

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართულური ენათმეცნიერება

IV

COLLECTED SCIENTIFIC WORKS

KARTVELIAN LINGUISTICS

სამეცნიერო შრომების კრებული IV კართულიან ენათმეცნიერება
COLLECTED SCIENTIFIC WORKS IV KARTVELIAN LINGUISTICS

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
ქართული ენის ინსტიტუტი
Institute of the Georgian Language

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართველური ენათმეცნიერება

IV

COLLECTED SCIENTIFIC WORKS

KARTVELIAN LINGUISTICS

ექდვნება პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძეს
Dedicated to Professor Zurab Chumburidze

2016-2017

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შრომების – „ქართველური ენათმეცნიერება“ – IV ტომი საიუბილეოა. იგი ეძღვნება გამოჩენილ ქართველოლოგს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, უმაღლესი სკოლის ღვანლმოსილ პედაგოგს, არაერთი თაობის აღმზრდელსა და დამკვალიანებელს, პროფესორ **ზურაბ ჭუმბურიძეს** დაბადებიდან 90 წლის აღსანიშნავად.

საიუბილეო კრებულში შესულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ბატონი **ზურაბ ჭუმბურიძის** საიუბილეო ღონისძიების მასალები – ქართველი და უცხოელი კოლეგების მისალმებები, გამობმარებები, დიალოგი სტუდენტებთან, სპეციალურად მისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც მოიცავენ ქართული სალიტერატურო ენის, ტექსტოლოგიური კვლევების, ქართველურ ენათა სტრუქტურის, სემანტიკისა და ლექსიკის საკითხებს; შეფასებულია ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში ბატონი **ზურაბის** მოღვაწეობა, წარმოჩენილია მისი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ნაშრომების მნიშვნელობა; დანართში მოცემულია შევსებული და დაზუსტებული **ზურაბ ჭუმბურიძის** შრომების ბიბლიოგრაფია, ფოტომასალები მეცნიერის პირადი არქივიდან.

პროფესორ **ზურაბ ჭუმბურიძის** საიუბილეო კრებული მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ჰუმანიტარული დარგის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ენის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორები:

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**, პროფესორი **რამაზ ქურდაძე**

პასუხისმგებელი მდივანი

ასოცირებული პროფესორი

რუსუდან ზექალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ასოცირებული პროფესორი

მაია ლომია

ასოცირებული პროფესორი

ქეთევან მარგიანი-სუბარი

ასოცირებული პროფესორი

სალომე ოშიაძე

ფილოლოგიის დოქტორი

ნინო ჭუმბურიძე



Борис Јаковљевић

შინაარსი

ზურაბ ჭუმბურიძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები	9
Important episodes from Zurab Chumburidze's biography	11

მისაღმებები 90 წლის საიუბილეო სხდომაზე (შეხვედრა კოლეგებთან, სტუდენტებთან)

დარეჯან თვალთვაძე, დიდი აკაკი შანიძის მოწაფე.....	15
ნანა გაფრინდაშვილი, ჭეშმარიტი კლასიკოსი	16
თამაზ გამყრელიძე, შესანიშნავი ქართველოლოგი	17
ავთანდილ არაბული, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიდი მეგობარი	17
გიორგი გოგოლაშვილი, დედაენის შეუდარებელი ქომაგი.....	18
დამანა მელიქიშვილი, შესანიშნავი მკვლევარი.....	19
მაია რაფავა, ჩვენი კოლეგა და გულშემატკივარი.....	19
მედეა როგავა, გამორჩეული მეცნიერი, მასწავლებელი და პიროვნება.....	20
იზა ჩანტლაძე, ჩემი მასწავლებელი.....	21
ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მდიდარი ტრადიციის გამგრძელებელი	22
დეკანოზი კონსტანტინე (გიორგაძე), ქრისტესმიერი მასწავლებელი.....	23
იასუჰირო კოჯიმა, მიძღვნა ძვირფას მასწავლებელს	23
სალომე ოშიაძე, მრავალმხრივ მისაბადი პიროვნება	24
მაია მადუაშვილი, გამორჩეული პიროვნება და მასწავლებელი.....	25
გვანჯი მანია, დაუვინყარი შეხვედრა	25
დიალოგი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან.....	26
ზურაბ ჭუმბურიძე, სამადლობელი	28

გამოხმაურებები 90 წლის იუბილეზე

მზექალა შანიძე, დამარცხებული სიბერე (ზურაბ ჭუმბურიძე-90)	31
ვინფრიდ ბოედერი, მთელი სიცოცხლის შემოქმედება	32
ჰაინც ფენრიხი, ქართველური ენების ღრმა მცოდნე	33
რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი), დასაფასებელი პიროვნება.....	34
გიორგი ლავთაძე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მილოცვა.....	36
კოტე ჟორჟოლიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მილოცვა	36

† რუსუდან ქორქიანი, სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მილოცვა	37
ნატო სუბარი, მესტიის საჯარო სკოლის მილოცვა.....	38
ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, „მოგონებანი, რაც ჩემს გულს ავსებს“ (ანუ შთამბეჭდავი გაკვეთილები)	38
მაია ნინიძე, მიძღვნა ბატონ ზურაბს	41
რუსუდან სალინაძე, წარუშლელი შთაბეჭდილებები	42
შურთხია ბეროშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე - 90	43

**პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო და პედაგოგიური
ღვაწლის შეფასება**

დარეჯან თვალთვაძე, მაია ლომია, „ნაწერი ჰგიეს უკუნისამდე“ (ზურაბ ჭუმბურიძის ტექსტოლოგიური მოღვაწეობა)	51
ლევან ბრეგაძე, ზურაბ ჭუმბურიძე – მწერალი და მეცნიერი.....	52
სალომე ოშიაძე, მოყვარული და შემაყვარებელი	53
პაატა ცხადაია, ზურაბ ჭუმბურიძე – ონომასტიკის მკვლევარი	54
მერი ნიკოლაიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძის „მყოფადი ქართველურ ენებში“ სამი ათეული წლის შემდეგ	56
რუსუდან ზექალაშვილი, დედაენის მადლით ცხებული – პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე.....	59
ხვთისო მამისიმედიშვილი, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ფოლკლორული თვალსაზრისით.....	62
ქეთევან მარგიანი, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ლინგვისტური თვალსაზრისით	65
მაია ლომია, მოძღვარი	66

სამეცნიერო სტატიები

რევაზ აბაშია, რამდენიმე ძირნაკლი სიტყვის ეტიმოლოგიისათვის ქართულში	71
ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია, ფრაზეოლოგია, როგორც რეალობათა ასახვა (ფრანგული და ქართული ენების მასალაზე).....	73
მაია ბარამიძე, თეოფანე კესარია კაპადუკიელის „თქუმულის“ ეფთვიმესეული თარგმანის სინონიმური ლექსიკისათვის	76
ცირა ბარამიძე, რედუპლიცირებულ ფუძეთა ფორმანტების გენეზისისთვის (-ეც / -ედ).....	85
თინათინ ბოლქვაძე, საბჭოთა პოლიტიკა ენობრივ უმცირესობათა მიმართ: პირველი პერიოდის შედეგები	91

ელისაბედ გაზდელიანი , ზოგი სვანური ტერმინის ეთნო-ლინგვისტური ანალიზი	102
გიორგი გოგოლაშვილი , მრავალწერტილი ანა კალანდაძის პოეზიაში	107
როზეტა გუჯეჯიანი , ისტორიის რეპრეზენტაცია და სვანეთის ტრადიციული ყოფა – „თამარ დედფალ“	114
ნინო დობორჯგინიძე , ძველი ქართული მთარგმნელობითი კორპუსის კონცეფციისათვის (წინაათონური პერიოდის თარგმანთა ციფრული დოკუმენტირებისა და კვლევის პრობლემატიკა)	124
რუსუდან ზექალაშვილი , ქართული ზმნების ვალენტობის ლექსიკონის შესახებ	132
დარეჯან თვალთვაძე , „შემდგომნი თარგმანნი პირველდამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლეთ“ (ძველ ქართველ მთარგმნელთა ეტიკეტის ზოგიერთი ასპექტი).....	142
მარინე კაკაჩია , ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა, სირცხვილის გამომხატველი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველური ემპირიული მასალის მიხედვით	152
იგორ კეკელია , აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის.....	157
მარიამ კიკონიშვილი , ნინო ჭუმბურიძე, დიმიუტივები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში	161
ნანა ლოლაძე , დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულები ქართულში	165
მაია ლომია , „ეკონომიურობის პრინციპი“ ენაში და სპონტანური მეტყველებისთვის დამახასიათებელი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია.....	170
ქეთევან მარგიანი , დალის ხეობის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის	175
ქეთევან მარგიანი-სუბარი , I თურმეობითის (resp. შედეგობითის) უპრევერბო ფორმათა სპეციფიკა სვანურ ენაში	180
დამანა მელიქიშვილი , დოგმატიზმი, ავტორიტარიზმი და ტრადიცია ენათმეცნიერებაში	184
მერაბ ნაჭყებია , თამილა ზვიადაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს ტრადიციული დარგობრივი ლექსიკიდან (ზემო იმერეთი).....	194
მაია ნინიძე , ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნოველის უცნობი ავტორი – ჯორჯ პარსონს ლეთროპი	199
სალომე ოშიაძე , საარწმუნოებრივი შრე პარემიულ ერთეულთა შინაფორმაში.....	211
ნიკოლოზ ოთინაშვილი , სოფელ ძვილეთის ონომასტიკური მასალები	219
ინგა სანიკიძე , კრებითი სახელისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი ქართულში.....	222

მედია სალიანი , ანმკოს ფუძის წარმოება სვანურში სხვადასხვა ფონოსემანტიკური ჯგუფის მიხედვით.....	227
მურმან სუხიშვილი , ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების დიაქრონიული ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულში	236
ნონა ქეცბაია , ეზო-კართან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში	243
რამაზ ქურდაძე , სიტყვა მაზალო-ს ეტიმოლოგიისათვის	246
მანანა ჩაჩანიძე, ნინო ხახიაშვილი, ნატა რაზმაძე , სინონიმური რიგის საკითხისათვის ქართულ ლექსიკოგრაფიაში.....	249
გიორგი ცოცანიძე , ქეთელაურიდან ნასკვაურისძემდე, ანუ ზოგი რამ, რაც ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს მიღმა იკითხება	253
ანა ხარანაული , თარგმანის ტექნიკა და ენის შესაძლებლობები (პირობითი წინადადებების გადმოტანის მაგალითები ლევიტელთა წიგნის ქართულ თარგმანებში).....	261
მარიკა ჯიქია , თურქულ ნასესხობათა გავრცელების დინამიკა ქართველურ ანთროპონიმიაში.....	270
Abstracts	275
ბიბლიოგრაფია	295
ფოტოარქივი	305

ზურაბ ჭუმბურიძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები¹

- **1926 წლის 30 ივნისს** დაიბადა ზურაბ ჭუმბურიძე იმერეთში, ქვედა სიმონეთში; აქვე მიიღო დაწყებითი და საშუალო განათლება.
- **1944 წელს** სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიურ ენათა სპეციალობით.
- **1949 წელს** წარჩინებით დაასრულა უნივერსიტეტის სრული კურსი და გახდა ძველი ქართული ენის კათედრის ასპირანტი აკად. აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით.
- **საფუძვლიანად დაეუფლა სვანურ ენას** ასპირანტურის წლებში და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „*ლენტეხური ენის ფონეტიკური თავისებურებანი*“.
- **1956 წელს, 30 წლის ასაკში**, აირჩიეს მწერალთა კავშირის წევრად.
- **ზურაბ ჭუმბურიძის ბიბლიოგრაფია 300-ზე** მეტ პუბლიკაციას – წიგნს, მონოგრაფიასა და სამეცნიერო სტატიას ითვლის.
- **აღსანიშნავია** შემაჯამებელი ხასიათის სამეცნიერო-პოპულარული გამოცემები: „*როგორ გაჩნდა სიტყვა*“ (1963), „*რა გქვია შენ?*“ (1966, 1971, 1982, 1992, 2003), „*ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი*“ (1975), „*ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ*“ (1983, 2000), „*დედაენა ქართული*“ (1987), „*ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები*“ (2016).
- **ცალკე აღნიშვნის ღირსია** მონოგრაფიული კვლევა „*მყოფადი ქართველურ ენებში*“ (1985), რომელიც სადოქტორო დისერტაცია გახლდათ ირეაღორის დროის გამოხატვის აქტუალურ საკითხებზე.
- **1985-2005 წლებში** იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების გამგე.
- **აქტიურად მონაწილეობდა** ქართველ კლასიკოსთა – ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ხუთტომეულისა და ათტომეულის, ვასილ ბარნოვის თხზულებათა ათტომეულის, სინური მრავალთავის (864), უდაბნოს მრავალთავის, გური-

¹ **2016 წლის 30 ივნისს ზურაბ ჭუმბურიძეს** – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, „მწერალთა აკადემიის“ (საქართველოს მწერალთა კავშირის) წევრს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. ბატონი ზურაბი ფართო პროფილის მეცნიერი გახლავთ. მისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეპიზოდები მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის ბატონი ზურაბის მრავალმხრივ მოღვაწეობასა და ქართველოლოგიის განვითარებაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილზე.

ის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა ოჯახების გამოცემებში.

- **დაჯილდოებულია** წმინდა გიორგის ოქროს ორდენით, ღირსების ორდენით, ივანე ჯავახიშვილისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლებით.
- **მიღებული აქვს** ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, შიო მღვიმელის პრემიები.
- **2017 წელს დაჯილდოვდა** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით ენათმეცნიერების დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით.
- **60 წელზე მეტია** მოღვაწეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

IMPORTANT EPISODES FROM ZURAB CHUMBURIDZE'S BIOGRAPHY¹

- **Zurab Chumburidze was born on June 30, 1926** in Lower Simoneti, Imereti. He attended secondary school in his village.
- **In 1944** he continued his studies at Tbilisi State University majoring in Caucasian languages.
- **In 1949** he graduated from the University and became a postgraduate student at the Chair of the Georgian Language. His scientific advisor was Academician Akaki Shanidze.
- **During his postgraduate course, Zurab Chumburidze mastered the Svan language** and maintained his thesis: *“The Phonetic Peculiarities of the Language of Lentekhi”*.
- **In 1956, at the age of 30**, he became a member of the Writers' Union.
- **Zurab Chumburidze's works embrace more than 300** publications – books, monographs and scientific articles.
- **Special mention should be made of** his summarizing scientific-popular works: *“How the Word Appeared”* (1963), *“What is Your Name?”* (1966, 1971, 1982, 1992, 2003), *“The Adventure of Old Georgian Manuscripts”* (1975), *“Tracing the Georgian Manuscripts”* (1983, 2000), *“Georgian Mother Tongue”* (1987), *“The Georgian Language, Scripts, Manuscripts”* (2016).
- **Special mention should be made of his monograph** *“Future Tense in the Kartvelian Languages”* (1985) - a doctoral thesis dedicated to the issue of expression of unreal time.
- **In 1985-2005** he was Head of Textology Department at Shota Rustaveli Institute of the History of Georgian Literature of the Georgian Academy of Sciences.
- **Zurab Chumburidze actively participated** in the editions of Georgian classical writers – five volumes and, later, ten volumes of Vazha-Pshavela's works, ten volumes of Vasil Barnov's works, the Old Georgian multiple-text manuscripts of Mount Sinai (864), the Old Georgian multiple-text manuscripts of the Desert, books about aristocratic families of Guria, Kakheti, Imereti and Samegrelo.

1 On June 30, 2016 **Zurab Chumburidze** – Doctor of Philological Sciences, Professor, Academician of Gelati Academy of Sciences, member of “The Academy of Writers” (Writers' Union of Georgia) celebrated his 90th anniversary. Professor Z. Chumburidze is a scholar of wide profile. The important episodes from his biography will introduce the reader to his diverse activities and his significant contribution to the development of Kartvelology.

- **Zurab Chumburidze was awarded** St. George Gold Order, Order of Honour, Medals of Ivane Javakhishvili and Tbilisi State University.
- **Zurab Chumburidze has been awarded the prizes of** Ilia Chavchavadze, Vazha-Pshavela and Shio Mghvimeli.
- **In 2017**, in connection with the World Science Day celebrated under the aegis of UNESCO, he was awarded an honorary diploma of the Georgian National Academy of Sciences in the field of linguistics.
- **For over 60 years** he has been working at Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

მისალმებები 90 წლის საიუბილეო სხდომაზე

(შეხვედრა კოლეგებთან, სტუდენტებთან)

დიდი აკაკი შანიძის მოწაფე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საზეიმო ღონისძიებით აღნიშნავს ერთ-ერთი გამორჩეული უნივერსიტეტელის – 90 წლის ამაგდარი პროფესორის, ღვაწლმოსილი ქართველოლოგის, ბატონი **ზურაბ ჭუმბურიძის** საიუბილეო თარიღს. ბატონმა ზურაბმა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა შექმნა ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში – ენათმეცნიერებაში, რუსთველოლოგიაში, ტექსტოლოგიაში, ლექსიკოლოგიაში, დიალექტოლოგიაში, ფოლკლორისტიკაში, ონომასტიკასა და ეტიმოლოგიაში, რომლებზეც თაობები იზრდებიან და ასე გაგრძელდება მომავალშიც.

ბატონი ზურაბი, ნიჭიერებასთან ერთად, დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რომლებიც აუცილებელია მაღალი დონის მეცნიერული ნაშრომების შესაქმნელად, მეცნიერების ჭეშმარიტად და ერთგულად მსახურებისთვის. ზემოხსენებული თვისებების შედეგად გამოარჩია სხვათაგან ზურაბ ჭუმბურიძე დიდმა აკაკი შანიძემ. **აკაკი შანიძის მოწაფეობა** ბატონი ზურაბისთვის დღემდე არის პროფესიული ერთგულებისა და სამართლიანობის, პრინციპულობის, საქმის აკურატულად კეთების საზომი.

გილოცავთ, ბატონო ზურაბ, ამ შესანიშნავ თარიღს და გისურვებთ დღეგრძელობას მშობლიური ქვეყნის, დედა უნივერსიტეტის სასიკეთოდ!

*პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე***

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი*

09. 06. 2016 წელი

ჭეშმარიტი კლასიკოსი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე მრავალ მიმართულებას აერთიანებს; ამ ტრადიციებს კოლეგებთან ერთად ექვს ათეულ წელზე მეტია ქმნის, ავითარებს, ახალ ძალასა და სიცოცხლეს ჰმატებს 90 წლის ამაგდარი მეცნიერი, პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე, რომელსაც ფილოლოგიური მეცნიერების ბურჯი შეიძლება ვუწოდოთ.

ნებისმიერი დარგის განვითარებისთვის განსაკუთრებით საჭირო და სასარგებლოა თაობათა კავშირის უწყვეტობა. ბედნიერებაა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ კიდევ მოღვაწეობენ პროფესორთა იმ თაობის წარმომადგენლები, რომლებიც მეცნიერების საფუძვლებს აზიარეს უნივერსიტეტის დამაარსებლებმა, პირველი პროფესორის წარმომადგენლებმა. მათ შორისაა ბატონი ზურაბ ჭუმბურიძეც. ბატონმა ზურაბმა შექმნა ანგარიშგასანევი მეცნიერული მემკვიდრეობა, რომელმაც გაუძლო დროს და ჭეშმარიტ კლასიკად იქცა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიღწევებში სხვებთან ერთად ბატონი ზურაბის მნიშვნელოვანი წვლილიც არის. ზურაბ ჭუმბურიძის ცოდნა და გამოცდილება დღესაც სჭირდება მშობლიურ უნივერსიტეტს, კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელით ვულოცავ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მომავალი თაობების დამრიგებელსა და გზის გამკვალავს ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს, მის მრავალრიცხოვან კოლეგებს, მოწაფეებს, ოჯახს ამ შესანიშნავ თარიღს და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს!

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი*

09. 06. 2016 წელი

შესანიშნავი ქართველოლოგი

მე მინდა შევეუერთდე ქალბატონ მზექალას¹ შესანიშნავ გამოსვლას და მივულოცო ბატონ ზურაბს, გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, შესანიშნავ ქართველოლოგს, ქართველური ენების შედარებითი შესწავლის გამორჩეულ სპეციალისტს, ეს საიუბილეო თარიღი და ვუსურვო მას მიზაძოს თავის დიდ მასწავლებელს² [სიცოცხლის ხანგრძლივობაში], გადააჭარბოს კიდევ და გააგრძელოს საქმიანობა. მე მინდა განსაკუთრებით მივულოცო ბატონ ზურაბს წმინდა გიორგის ოქროს მედალი, რომელიც დამსახურებულად მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისაგან და ვუსურვო შემდგომი წარმატებები და ახალ-ახალი გამარჯვებები ჩვენი მეცნიერების, ჩვენი კულტურის წინსვლისა და წარმატებების თვალსაზრისით. დიდი მადლობა და კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონო ზურაბ!

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიდი მეგობარი

მოგესალმებით, ბატონო ზურაბ! პატივი მაქვს, რომ ეს მისალმება და სიყვარული გადმოგცეთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით, როგორც ამ ინსტიტუტის დიდ მეგობარს და არაჩვეულებრივ კოლეგას, ვინც მთელი ამ დროის განმავლობაში, რასაც მეც მოვესწარი, აქტიურად მონაწილეობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ცხოვრებაში. ბატონი ზურაბი განასახიერებს ქართული ფილოლოგიური სკოლის, დიდი აკაკი შანიძის, დიდი საენათმეცნიერო სკოლის საუკეთესო ტრადიციებს კვლევის მრავალმხრივობითა და ფართო დიაპაზონით, რითიც დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიაში. ბატონი ზურაბი წარმატებით იკვლევდა და იკვლევს ქართველური ენების ისტორიისა და გრამატიკული სტრუქტურის საკითხებს. განსაკუთრებულია მისი წვლილი სვანურში; მისი „სვანური ენის გრამატიკა“ ერთ-ერთი სანიშნავი ამ სახის სახელმძღვანელოებიდან.

ბატონი ზურაბის ეტიმოლოგიური კვლევები ქართველური ენების სფეროში ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია. ქართული ენის კულტურისა და ისტორიის შესწავლაში განუზომელია ბატონი ზურაბის დამსახურება; კერძოდ, ასპექტის ცვლილების ასახვა ენის ისტორიაში და მყოფადის ახლებური ჩამოყალიბება სიღრმისეულად არის ბატონი ზურაბის მიერ შესწავლილი. ასევე, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული მწერლობის ენობრივი მემკვიდრეობის შესწავლაში. მისი ტექსტოლოგიური და ენათმეცნიერული კვლევები ამ სფეროში არის ნამდვილად ფუნდამენტური, ხოლო გამოცემები, რომლებიც

1 აკადემიკოსი მზექალა შანიძე; ქალბატონი მზექალას მისალმების ტექსტის შემცველი ვრცელი წერილი დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“; ჩართულია კრებულის მე-2 ნაწილში.

2 აკადემიკოსი აკაკი შანიძე

ბატონი ზურაბის ხელიდან გამოსულა, ნამდვილად საუკეთესო და აკადემიური ხასიათისაა. ჩვენთვის, ყველასთვის, ძვირფასია 1961 წლის გამოცემა – ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული. მაშინ ახალგაზრდა იყო ბატონი ზურაბი, თუმცა ტექსტების მომზადება, კომენტარები, შენიშვნები უმაღლეს დონეზეა გაკეთებული; აქვე მინდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი ყველაზე რთული უბანი მეცნიერებისთვის სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შექმნაა. ეს არის ის, რაც ქართულ მეცნიერებას ძალიან აკლია. ბატონ ზურაბს, როგორც ჩანს, ლიტერატურულმა ნიჭმა და განსაკუთრებულმა წერის მანერამ მისცა შესაძლებლობა, რომ საუკეთესო ნარკვევები დაეტოვებინა შთამომავლობისთვის. წიგნები ხელნაწერთა თავგადასავალზე, ხელნაწერების თავისებურებებზე სამაგიდოა ყველა ჩვენგანისთვის და ასე იქნება მომავალშიც.

ბატონი ზურაბის მემკვიდრეობა არის ძალიან ძვირფასი ჩვენთვის, ყველასთვის, მისი ახალგაზრდობისდროინდელი მოწაფეებისათვის და შემდეგ უკვე მომდევნო თაობის ყველა მოწაფისათვის.

*აკადემიკოსი ავთანდილ არაბული
თსუ, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი*

დედაენის შეუდარებელი ქომაგი

როდესაც ჩემს მასწავლებლებს – ბატონ ზურაბსა და ქალბატონ მზექალას ვუყურებ, თავი ბავშვი მგონია. არადა, უკვე ორმოცდაათი წელი ხდება, რაც მე უნივერსიტეტში ვარ. ორმოცდაათ წელს მე არ გავხაზავ შემთხვევით. ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე ჩემთვის ყოველთვის იყო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვიდგეთ დედაენის სადარაჯოზე, როგორ უნდა ვქომაგობდეთ და ვჭირისუფლობდეთ დედაენას. მე მინახავს ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე მწერალთა კავშირის დარბაზებში, როცა ქართულს იცავდა და ქართულს ასწავლიდა იმათ, ვინც ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს ქართული. მე მინახავს უნივერსიტეტის დარბაზებში, აუდიტორიებში, შეკრებებზე. მინახავს ქართული ენის სახელმწიფო [კომისიის] სხდომაზე. ბატონი ზურაბი როგორი მშვიდი, განონასწორებული და სერიოზული პიროვნება ბრძანდება, დღევანდელ გამოსვლებშიც კარგად ნახეთ, მაგრამ, როცა ქართულის დაცვას ეხებოდა საქმე, ქართულის ქომაგობას, ბატონი ზურაბი ზოგჯერ ნონასწორობასაც კი კარგავდა და ამალღებული ტონით, ინტონაციებითა და შემართებით მიმართავდა მოწინააღმდეგეს. ასეთი ზურაბ ჭუმბურიძე ყოველთვის მაგალითი იყო ჩვენთვის, არის და დარჩება. გვახსოვს წერილები და შესანიშნავი წიგნები – „დედა ენა ქართული“ და „მადლი დედა ენისა“, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ბატონი ზურაბი ქართულის ქომაგი და ჭირისუფალია.

ბატონო ზურაბ, ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ იმისთვის, რომ თქვენი მოღვაწეობით ბრძანდებით მაგალითი და თქვენი შემოქმედებით თაობებს უღვივებთ ინტერესს მშობლიური ენისადმი და აყვარებთ ქართულს.

ბატონი ზურაბი დიდი აკაკი შანიძის ღირსეული მონაფეა და გახსოვთ, რა თქმა უნდა, რომ აკაკი შანიძე თავის საუკუნოვან იუბილეს ხელში კალმით შეხვდა. ბატონ ზურაბსაც წლები კი არ აშინებს, პირიქით, ენერგიასა და შემართებას ჰმატებს; ეს გვაიმედებს, რომ ბატონი ზურაბი მომავალ საიუბილეო თარიღებს შემართებით და მხნედ შეხვდება.

დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ!

*პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი
თსუ, არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

შესანიშნავი მკვლევარი

ბატონი ზურაბი და ქალბატონი მზექალა – არ მინდა დავაცილო ერთმანეთს ეს ორი არაჩვეულებრივი კოლეგა, ორივე ძველი ქართული ენისა და ხელნაწერების შესანიშნავი მკვლევარი. მე არ გავკადნიერდები და არ დავინწყებ ბატონი ზურაბის უზარმაზარ ღვაწლზე ლაპარაკს, უბრალოდ აღვნიშნავ, რომ ჩემი შვილები აღიზარდნენ მის წიგნებზე: „რა გქვია შენ?“, „ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი“ და სხვა. როგორც აღვნიშნე, არ მინდა-მეთქი ერთმანეთს დავაცილო ეს ორი დიდი პიროვნება და მეცნიერი და ორივეს საჩუქრად მინდა გადავცე წიგნები, რომლებიც ქალბატონი მზექალას იუბილეს დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული; ესენი გახლავთ ფაქსიმილური გამოცემა იოანე პეტრიწის თარგმანისა და კომენტარებისა პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებისა“. მოგეხსენებათ, ეს ხელნაწერი, 113-37, არ იყო საქართველოში, როდესაც დიდმა ქართველოლოგმა და ბიზანტინოლოგმა სიმონ ყაუხჩიშვილმა გამოსცა ორტომეული პეტრიწისა. მე მგონი, მისი ოცნებაც ასრულდა. მინდა დიდი სიხარულით გადმოგცეთ ეს წიგნები და თქვენც გაგახაროთ. შემდეგ ტომებსაც მოგართმევთ დიდი მადლიერებით.

*ემერიტუს-პროფესორი დამანა მელიქიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ჩვენი კოლეგა და გულშემატკივარი

ჩვენ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს, გვსურს ჩვენი დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატოთ ბატონი ზურაბის მიმართ იმიტომ, რომ არ არსებობს სესია, კონფერენცია თუ რაიმე სხვა სახის ღონისძიება ჩვენს ინსტიტუტში, რომ ბატონი ზურაბი არ დაესწროს, არ მოისმინოს, აზრი და

შენიშვნები არ გამოთქვას. ჩვენ ვგრძნობთ, რომ იგი მთელი სულით, შინაგანი სულიერი ძაფებით არის დაკავშირებული ჩვენთან, ჩვენს საქმიანობასთან.

გილოცავთ, ბატონო ზურაბ, საიუბილეო თარიღს და გისურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებსა და წარმატებებს!

*პროფესორი მაია რაფავა
კორნელი კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

გამორჩეული მეცნიერი, მასწავლებელი და პიროვნება

ბატონი ზურაბი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩვენი ჯგუფის სტუდენტებს რჩეულებად მოიხსენიებდა, ხოლო ამ ჯგუფთან მუშაობა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, დიდი სიამოვნება იყო მისთვის. ასეთი იყო ჩვენთვისაც **ბატონი ზურაბი – გამორჩეული მეცნიერი, მასწავლებელი და პიროვნება**. ამგვარი „ორმხრივი“ დამოკიდებულება დღემდე გრძელდება და წლები ვერაფერს აკლებს. ბატონი ზურაბის მეცნიერულ და საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, საქმისადმი დამოკიდებულებაზე და ეროვნული მრწამსის პრინციპების ერთგულებაზე ბევრია ნათქვამი და უფრო მეტის თქმა მომავლის საქმეა. ბატონი ზურაბის გამორჩეული თვისებებია: ნიჭიერება, პრინციპულობა, მტკიცე ხასიათი, პირდაპირობა და, ამავე დროს, უსაზღვრო ლმობიერება. მას არც ღირსეული წოდებები და ეროვნული ჯილდოები აკლია, თუმცა გამორჩეულობის საზომად მისი შინაგანი ბუნებისა და ხასიათის მთავარი შტრიხი – **უ ბ რ ა ლ ე ბ ა ც** იკმარებს.

ბატონი ზურაბი ჩვენს ჯგუფს სვანურ ენას ასწავლიდა. საგანთან ერთად მისგან ვსწავლობდით: პატიოსნებას, სამართლიანობას, მეგობრობას, ერთმანეთის სიყვარულსა და თანადგომას. ახლაც ცხადად მახსოვს 1961 წლის 26 აპრილი: მეოთხეკურსელმა სტუდენტმა ახალგაზრდა მეცნიერისა და ლექტორის ზურაბ ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით თსუ-ის სტუდენტთა 23-ე სამეცნიერო კონფერენციაზე წავიკითხე მოხსენება „ზანური ლექსიკა სვანურში (ბალსქვემოური კილოს მიხედვით)“. ნაშრომმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ, იმ დაუვინყარი წუთებისთვის, მოპოვებული გამარჯვებისთვის, სტიმულისთვის!... 1987 წელს მთელმა საქართველომ აღნიშნა დიდი აკაკი შანიძის 100 წლის იუბილე. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ამ ღონისძიების ორგანიზება მე დამევალა და, რა თქმა უნდა, კონსულტაციისთვის თქვენ მოგმართეთ – ჩემს მასწავლებელსა და დამრიგებელს! დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ, თანადგომისთვის, თანამონაწილეობისთვის!...

ბატონო ზურაბ, თქვენ უკვე 90 წლის ბრძანდებით და მე კვლავ მიემდება თქვენი – გამორჩეული მეცნიერის, შესანიშნავი პედაგოგისა და არაჩვეულებრივი პიროვნების!

საიუბილეო დღეს მე ასევე მინდა გავიხსენო სტუდენტობის წლებში თქვენი დიდი ოჯახის მეზობლად ცხოვრება პეტრიაშვილის ქუჩაზე. დიდი სიყვარულით მაგონდება ქალიშვილების – თამარისა და ნინოს – ბავშვობა, თქვენი განუმეორებელი ურთიერთობა ძმებთან და თქვენი ღირსეული მეუღლე – შესანიშნავი დედა, მეზობელი, კარგი ენათმეცნიერი ქალბატონი ლეილა.

ბატონო ზურაბ, გილოცავთ 90 წლის იუბილეს! სიკეთე და სიხარული არ მოგშლოდეთ! დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ!

*ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი მედეა როგავა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ჩემი მასწავლებელი

ბატონი ზურაბი გახლავთ სვანური ენის ჩემი პირველი მასწავლებელი. ჩვენი ჯგუფი სვანეთშიც პირველად ბატონმა ზურაბმა წაიყვანა; ვცხოვრობდით ბიძინა მჭედლიანის ოჯახში, მესტიაში, მუხურას პირას, ორ ოთახში. ერთში ვიყავით გოგონები, მეორეში იყვნენ: ბატონი ზურაბი, ჩვენი ჯგუფელი, ყველასთვის კარგად ცნობილი ზურაბ სარჯველაძე და პანტელეიმონ ბერაძის ვაჟი, რომელიც მხატვარი იყო და ჩვენთან ერთად წამოსვლის სურვილი გამოთქვა. ჩვენ იქ არავინ გვიცნობდა, პირველად ვიყავით სვანეთში, ხოლო ბატონ ზურაბს ყველა იცნობდა. საკანდიდატო დისერტაცია ლენტეხურ ფონეტიკურ თავისებურებებზე ბრწყინვალედ ჰქონდა დაცული. მართალია, ჩვენ მესტიაში ვიყავით, მაგრამ იქაც იცნობდნენ.

ბატონო ზურაბ, მე ახლახან დავწერე სტატია, რომელიც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგ ტომში წლის ბოლომდე გამოვა და ეხება წრფელობით ბრუნვას სვანურში. თქვენი 1964 წელს ანთროპონიმებზე გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ ვერავინ გაბედა სვანურ საკუთარ სახელებზე მუშაობა. აბსოლუტურად ყველა გეთანხმებათ, რომ სახელობითი ბრუნვა, ისევე, როგორც ძველ ქართულში, სვანურში არ უნდა ყოფილიყო და დღემდე წრფელობითი ბრუნვის სახით არის წარმოდგენილი. დიდი ხანია არ შევხვედრივართ ერთმანეთს და ახლა მინდა გაგახაროთ, რომ სვანურში დავადასტურე ათი საზოგადო სახელი, რომელთაც დღემდე შენარჩუნებული აქვთ წრფელობითი ბრუნვა თითქმის ყველა დიალექტში. მაგალითად: *დომ ბარიშ ლარა* და *არა ლარე*; არის ქვემო სვანეთში ხომა ლერბეთის ეკლესია, რომელსაც ჰქვია *მაჩენა* და არა *მაჩენე*. ლენტეხურ ტექსტებში არის *მანესგრა* და არა *მანესგრე* და სხვა. რომ დაიბეჭდება ეს სტატია, თქვენ პირველს გაჩუქებთ და ძალიან გაგიხარდებათ იმიტომ, რომ ჩემი დაკვირვებები საკუთარ სახელთა ბრუნებაზე თქვენი სტატიის ერთგვარი გაგრძელებაა.

მე ახლა გაჩუქებთ თქვენ ჩემს წიგნს, რომელსაც ჯერჯერობით ისევ სტამბის სუნი ასდის და ჯერ კიდევ ახალია; წიგნს ჰქვია: „მარტო ამისთვის ღირდა სიცოცხლე“. ეს წიგნი ეძღვნება მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთი ძალიან ცნო-

ბილი სოფლის სკოლის ისტორიას, რომელიც სულ ახლახან გახდა ასი წლის. ბატონო ზურაბ, მართლაც ღირს სიცოცხლე მეცნიერებისათვის, ანუ მაღალაკადემიური განათლებისათვის და, თქვენ როცა ასი წლის გახდებით, ეს უკვე იქნება, მგონი, თქვენი მეხუთე იუბილე და მე მაშინ გავხდები ოთხმოცდაექვსი წლის; მე კიდევ ჩემი მორიგი ახალი წიგნით მოგილოცავთ 100 წლის იუბილეს და გაგახარებთ. გარდა ჩემი წიგნისა, თქვენს ოჯახს ვჩუქნი ილუსტრირებულ ალბომს „იმერეთი“; ვჩუქნი „იმერეთს“ იმიტომ, რომ იმ ოჯახის უფროსი, ანუ *ქორა მახვში*, იმერეთიდან არის წარმოშობით.

დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ, ყველაფრისთვის! იმისთვის, რომ თქვენ არსებობთ! ჩვენ, თქვენი მონაფეხები, ასეთები, თუ ვარგივართ, არ ვიქნებოდით, თქვენ რომ არ ყოფილიყავით ჩვენი მასწავლებელი.

*საპატიო პროფესორი იზა ჩანტლაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მდიდარი ტრადიციის გამგრძელებელი

ძვირფასო მეგობრებო, მეც მინდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, იქაური საზოგადოების სახელით უღრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით მივესალმო ბატონ ზურაბს და მივულოცო ეს იუბილე. აქ უცხოელი ქართველოლოგების მიერ გამოგზავნილი წერილებიდან კიდევ ერთხელ გახდა ცნობილი ის დიდი აღიარება, რომელიც არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბით აქვს ბატონ ზურაბს დამკვიდრებული, როგორც დიდ ქართველოლოგს. ბატონი ზურაბი გახლავთ ის პიროვნება, რომელიც მხოლოდ თბილისით არ არის შემოფარგლული და მთელი საქართველოს მასშტაბითაც აქტიურ საქმიანობას ეწევა. მე მინდა ამ თვალსაზრისით ხაზი გავუსვა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში ბატონი ზურაბის როლსა და დამსახურებას. განსაკუთრებით გააქტიურდა მისი საქმიანობა ჩვენს უნივერსიტეტში ბატონი მაგალი თოდუას რექტორობის პერიოდიდან მოყოლებული. ბატონი ზურაბი გახლდათ ჩვენი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, აქტიური მონაწილე იმ ქართველოლოგიური კონფერენციებისა, რომლებიც ჩვენთან, უნივერსიტეტში, სისტემატურად ტარდებოდა. მიხარია, რომ ასეთი დამოკიდებულება ჩვენს უნივერსიტეტთან გრძელდება დღემდე და უნდა ვუსურვო ბატონ ზურაბს, ეს ძალა და ენერჯია ღმერთმა რაც შეიძლება დიდხანს შეარჩინოს ასეთი საქმიანობის წარსამართად.

ბატონო ზურაბ, მე მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და დიდი შემოქმედებითი წარმატებები. თქვენ ბრძანდებით მეცნიერების იმ მდიდარი ტრადიციის გამგრძელებელი, რომელიც ვინრო თვალსაწიერით არ იფარგლება და ფართო მასშტაბებს ამკვიდრებს. თქვენ დიდი მეცნიერული მნიშვნელობის

ნაშრომებითა თუ პოპულარული გამოცემებით ამდიდრებთ ქართველოლოგიას! მიუხედავად იმისა, რომ 90 წლის იუბილეს აღვნიშნავთ დღეს, მიხარია, რომ კვლავ ჭაბუკურად, კვლავ ახალგაზრდულად გამოიყურებით და ამგვარი შემართებით აგრძელებთ სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ღმერთმა ეს ძალა და ენერჯია დიდხანს და დიდხანს მოგცეთ!

*პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ქრისტესმიერი მასწავლებელი

ქრისტე ამაღლდა! გილოცავთ და გლოცავთ!¹
მე უღრმესი მადლობელი ვარ ბატონი ზურაბის. მე მისი სტუდენტი ვარ [სასულიერო აკადემიაში] და რომ არ მოვსულიყავი დღეს, არ შემეძლო. მე მინდა ხაზი გავესვა იმას, რომ ქრისტეს, მაცხოვარს, დედამიწაზე განასახიერებს სამი პროფესია; ეს არის: მღვდელი, ექიმი და მასწავლებელი. მე ვფიქრობ, ბატონი ზურაბი ჭეშმარიტად ქრისტესმიერი მასწავლებელი გახლავთ.
ღმერთმა დაგლოცოთ!

დეკანოზი კონსტანტინე (გიორგაძე)

მიძღვნა ძვირფას მასწავლებელს

ბატონო ზურაბ, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო,
დღეს მართლაც განსაკუთრებული დღეა. გილოცავთ დღევანდელ დღეს, ოთხმოცდაათი წლის იუბილეს, ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას, ყოველივე კარგს გისურვებთ.

ის იყო 1999 წელი, როცა პირველად შევხვდი ბატონ ზურაბს, გავიცანი და დავინწყე მასთან სვანურის სწავლა. ახლაც კარგად მახსოვს, თუ როგორ თბილად მიმიღო და როგორ გულმოდგინედ მიხსნიდა სვანური ენის სირთულეებს, თავისებურებებს. ის იყო ჩემთვის, უცხოელი, ახალგაზრდა, ახალბედა ქართველოლოგისთვის, ძალიან კარგი ლექცია და მადლობელი ვარ, რომ ასე დამაკვალიანა ქართველურ ენათმეცნიერებაში. მას მერე დროდადრო ჩამოვდიოდი თბილისში და ვნახულობდი ბატონ ზურაბს. ყოველთვის მიკვირდა, რომ სულ მხნედ იყო და ახლაც სულაც არ შეცვლილა; როცა გავიგე, რომ ოთხმოცდაათი წლის იუბილეა ბატონი ზურაბისი, ძალიან გავიკვირვე და ვერც დავიჯერე. ძალიან ბევრი

1 ბატონი ზურაბ ჭუმბურიძის საიუბილეო ღონისძიება თსუ-ში გაიმართა 2016 წლის 9 ივნისს და დაემთხვა *ამაღლები*ს დღესასწაულს.

მაქვს ბატონი ზურაბისაგან ნასწავლი და ბატონი ზურაბის ნაშრომებიცა მაქვს, მაგრამ კიდევ ძალიან ბევრია სასწავლებელი. ასე რომ, გილოცავთ დღევანდელ იუბილეს, სულ ასე მხნედ, კარგად ბრძანდებოდეთ – ხოჩამდუ ხარი!¹ დიდი მადლობა.

იაპონელი ქართველოლოგი იასუჰირო კოჯიმა

მრავალმხრივ მისაბაძი პიროვნება

მოგესალმებით ყველას, სიყვარულით გაერთიანებულებს და თქვენ გილოცავთ ბატონი ზურაბის იუბილეს იმიტომ, რომ დღეს თქვენი მოსვლითა და გამოსვლით მიკარნახეთ ეს მილოცვა ასე დამეწყო.

ბატონო ზურაბ, მაქვს პატივი ინსტიტუტის სახელით მოგესალმით. თქვენს მოღვაწეობაზე, შემოქმედებაზე ბევრი ითქვა, ამიტომ, მე მადლიერებით გავაგრძელებ ჩემს გამოსვლას, თქვენ მიმართ მადლიერებით ყოველი გულშემატკივრულად ნათქვამი სიტყვისთვის, რჩევისთვის, ტაქტიანი და საქმიანი შენიშვნისთვის, იმ სიტბოსთვის, რომელსაც თქვენ არასოდეს იშურებდით და არც დღეს იშურებთ ჩვენთვის. თანამედროვეობაში, როცა ახალგაზრდებს, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ჰყავთ მაგალითი, თქვენ კვლავ ბრძანდებით მრავალმხრივ მისაბაძი პიროვნება. გილოცავთ და გისურვებთ დღეგრძელობას, მრავალ შემოქმედებითად ნაყოფიერ წელს!

იმედი მაქვს, ჩემი კოლეგები არ მინყენენ, პირადიც რომ ვთქვა. მე ძალიან კარგად მახსოვს თქვენი პირველი ლექცია. ცოტა ხნის წინ თქვენ, როგორც ყოველთვის, თავმდაბლობით არ უპასუხებთ შეკითხვას, როგორი ლექტორი იყავით. ამ შეკითხვის პასუხად, რა თქმა უნდა, დაუსრულებლად შემიძლია ლაპარაკი. ბოდიშს ვიხდი ემოციის გამო, ეს ცრემლებიც სიყვარულისა და მადლიერების ნიშანია. მინდა გაჩვენოთ ჩემი საშინაო დავალების რვეული. ამ სვანური ენის საშინაო დავალების ოცდაათი წლის წინანდელ რვეულს სათუთად ვინახავ ჩათვლის წიგნაკთან ერთად, რომელშიც თქვენი ლამაზი კალიგრაფიით შესრულებული ხელმოწერაც არის. კიდევ ერთხელ გილოცავთ, იხარეთ და იდღეგრძელებთ!

ახლა კი, ბატონო ზურაბ, გადმოგცემთ სამახსოვრო საჩუქარს, რომელსაც ქართული ენის ინსტიტუტის თანამშრომლები უღრმესი პატივისცემისა და დიდი სიყვარულის ნიშნად გიძღვნი!

*ასოცირებული პროფესორი სალომე ოშიაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

1 ქართ. კარგადამც ხარ!

გამორჩეული პიროვნება და მასწავლებელი

ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ წილად მხვდა ბედნიერება ბატონ ზურაბს - ჩვენთვის, ყველასთვის, საყვარელ პიროვნებასა და მასწავლებელს მივულოცო 90 წლის იუბილე ახალგაზრდა თაობის, „ქართველური ენათმეცნიერების“ პროგრამის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სახელით. როგორც ცნობილია, ბატონი ზურაბი არაერთი თაობის აღმზრდელი და მასწავლებელია და ეს სწავლება, დარიგება გრძელდება დღესაც. ნებისმიერ დროს ბატონი ზურაბი მზად არის მისთვის ჩვეული სიდინჯითა და პროფესიონალიზმით დაუღალავად უპასუხოს ჩვენს ნებისმიერ შეკითხვას, დაეხმაროს ახალგაზრდას, თუკი შეატყობს სწავლისა და კვლევის სურვილს.

ბატონო ზურაბ, ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი მოწაფეობა და გვინდა გისურვოთ, რომ ის ენერჯია და სიყვარული, რომელიც გაქვთ თქვენი პროფესიის მიმართ, ქართველი ახალგაზრდების მიმართ, კიდეც დიდხანს გაგყოლოდეთ და გეკვლით ქართველური ენების აქტუალური საკითხები და აღგეზარდოთ მრავალი თაობა; სიმბოლურად მინდა გადმოგცეთ კალამი, რომ კიდეც დიდხანს წეროთ და იკვლიოთ ჩვენი საყვარელი ქართული ენა.

თსუ დოქტორანტი მაია მადუაშვილი

დაუვინყარი შეხვედრა

მე მინდა გავიხსენო 1962 წელი, როცა 60-კაციანი ექსპედიცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაემგზავრა რაჭაში. ამ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა დოცენტი ზურაბ ჭუმბურიძე, ჩემთვის მაშინ სრულიად უცხო პიროვნება, ალბათ 35-36 წლისა. ის შეხვედრა ჩემთვის იყო და რჩება იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა მოიქცეს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის პირი საზოგადოებაში, უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ. აქედან ჩასულ ჯგუფს იქ მასპინძლობას უწევდა არაჩვეულებრივი პედაგოგი, არქეოლოგი, მხარეთმცოდნე, ისტორიკოსი, უნივერსიტეტის აღზრდილი ალექსი ჯაფარიძე, ცნობილი ფოლკლორისტის იური ჯაფარიძის მამა. ბატონო ზურაბ, 53 წლის შემდეგაც მე არ მავინყდება თქვენი ქცევა, სიტყვა-პასუხი; არ მავინყდება იმიტომ, რომ იმ არაჩვეულებრივ მასპინძელს უნივერსიტეტის არაჩვეულებრივი დოცენტი შეხვდა; იქაური სადღეგრძელოები იყო შესანიშნავი ნიაღვრეები საქართველოს ისტორიასა და კულტურაში. სამი დღის განმავლობაში სადღეგრძელოები არ გამეორებულა.

დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ! დიდი მადლობა თქვენს უნივერსიტეტს!

ჟურნალისტი გვანჯი მანია

დ ი ა ლ ო გ ი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ თ ა ნ

ლიკა მარგველაშვილი, ბაკალავრიატის საფეხურის პირველი კურსის სტუდენტი:

მინტერესებს თქვენი ერთ-ერთი წიგნის შესახებ, რომელიც მეც და ალბათ ყველა აქ მყოფმაც ბავშვობის ასაკიდან იცის; არ მეგულება ისეთი ოჯახი, ამ წიგნის ერთ ეგზემპლარს მაინც რომ არ ინახავდეს. ეს წიგნი არის „რა გქვია შენ?“ საკმაოდ სერიოზული ნაშრომია ისტორიული, ტიპოლოგიური და ტოპოგრაფიული თვალსაზრისით.

– რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ამ წიგნის შექმნა, როგორ იქმნებოდა და ზოგადად რა სახის შრომაა განეული?

ბატონი ზურაბი: თავიდან სულ არ ვფიქრობდი, რომ ენათმეცნიერი ვიქნებოდი, მაგრამ ლიტერატურა ძალიან მიყვარდა; ეს სიყვარული დედაჩემისგან მოდიოდა, [რომელიც] ბევრ რამეს მასწავლიდა, მარიგებდა. ფილოლოგი რომ მინდოდა ვყოფილიყავი და უნდა ვყოფილიყავი, ეს ჩემთვის საეჭვო არ იყო, მაგრამ ენათმეცნიერებაზე მაშინ არ მიფიქრია, მერე და მერე ჩამოყალიბდა ეს; თანდათანობით ენათმეცნიერებისკენ გადაიხარა ჩემი ინტერესები, რაშიც დიდი როლი შეასრულეს აკაკი შანიძემ, არნოლდ ჩიქობავამ, ვარლამ თოფურია და განსაკუთრებით ნიკო კეცხოველმა. ჩემს მომდევნო თაობაში, მომდევნო კურსზე (ორი კურსით უკან) იყო მუხრან მაჭავარიანი – [შემდეგში] გამორჩეული პოეტი; მთავარი იყო ის, რომ მუხრანი მალე დანიშნა და საბავშვო ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორად დანიშნეს. რედაქციას მისდიოდა შეკითხვები... მუხრანმა მთხოვა მე, ამ კითხვებს უპასუხეო და გავეცი პასუხი. ზოგი ტოპონიმი იყო, ზოგი პიროვნული სახელი, გვარი... ჟურნალ „პიონერის“ ნომრებში ქვეყნდებოდა ჩემი პასუხები ამ კითხვებზე. თანდათანობით ამან მიიღო სერიოზული სახე და საბოლოოდ იქცა წიგნად. ამ წიგნს მოჰყვა საკმაოდ დიდი ინტერესი და ჩემი პოპულარობა ამანაც განსაზღვრა; თავი მიმაჩნია ძალიან ბედნიერად, რომ ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, ასეთი მასწავლებლები და მეგობრები მყავდა, რომლებიც ხელს მინცობდნენ და ეს ჩემი წარმატება იმათი დამსახურებაც არის.

თამარ აფრასიძე, ბაკალავრიატის საფეხურის მესამე კურსის სტუდენტი:

– რამდენად რთული იყო თქვენთვის სვანეთში წასვლაზე გადამწყვეტილების მიღება? გაგიჭირდათ თუ არა უცხო გარემოში ცხოვრება და რამდენად რთული იყო სვანური ენის ასე ძირფესვიანად და საფუძვლიანად შესწავლა?

ბატონი ზურაბი: ბატონი აკაკი შანიძის წინადადებით ქართული ენის კათედრა, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთანავე გაიხსნა, გაყვეს ორად: ბატონი აკაკი დარჩა ძველი ქართული ენის კათედრის გამგედ, ხოლო ახალი ქართული ენის კათედრას სათავეში ჩაუდგა ბატონი ვარლამ თოფურია. ბატონმა აკაკიმ მიჩნია, შენ უნდა ისწავლო სვანური. სვანურში ყველა კილო შესწავლილია ცოტად თუ ბევრად, ლენტეხურის გარდა. შენ თუ წახვალ, ისწავლი და ლენტეხურს მოუვლი, კარგი იქნებაო; დავეთანხმე, რასაკვირველია, და ბატონი

აკაკის რჩევითა და რეკომენდაციით იმავე წელს მოვკიდე ხელი ლენტეხურის შესწავლას (ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვიყავი სვანეთში ნამყოფი; ეს იცოდა ბატონმა აკაკიმ და ალბათ ესეც უკარნახებდა ამ გადაწყვეტილების მიღებას). შედეგით მე თვითონ უკმაყოფილო არა ვარ; როგორც ჩემი სვანი მეგობრები მეუბნებიან, არა უშავს, მაინც რაღაც ვისწავლე და რასაც მივალწიე, არის ჩემი ასეთი მუშაობისა და ბატონი აკაკის რჩევის შედეგი.

სალომე გეგეჭკორი, ბაკალავრიატის საფეხურის მესამე კურსის სტუდენტი:

– *თქვენ სამოც წელზე მეტია, რაც მოღვაწეობთ განათლებისა და მეცნიერების სფეროში; დღეს, ოთხმოცდაათი წლის გადმოსახედიდან, თქვენი აზრით, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული პერიოდი თქვენს ცხოვრებაში?*

ბატონი ზურაბი: ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ძველი ქართული ხელნაწერების გამოცემაზე მუშაობა, რაც ბატონი აკაკის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ჩვენს კათედრაზე; რამდენიმე წიგნი, რამდენიმე ტომი გვაქვს ერთად გამოცემული, მათ შორის ვგულისხმობ *სინურ მრავალთავს*, რომელიც კათედრამ გამოსცა ბატონი აკაკის რედაქციითა და ხელმძღვანელობით; *სვანური ტექსტების* გამოცემა ბატონი აკაკისა და ბატონი მაქსიმე ქალდანის თანარედაქტორობით... მიჭირს რომელიმე ერთის გამოყოფა... ზოგიერთს პოპულარობა უფრო მეტი მოუტანია, მკითხველისაკენ გზა გაუკვალავს, სხვა დანარჩენმა ხელი შემინყო მეცნიერებაში ჩემი ადგილი მეპოვა.

მარიამ გოქსაძე, ბაკალავრიატის საფეხურის პირველი კურსის სტუდენტი:

– *რას ურჩევდით იმ ადამიანებს, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ მეცნიერებაში და რა არის ის ძირითადი მცნება (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), რომელიც უნდა გაითვალისწინოს ყველა მეცნიერმა, რათა მიაღწიოს წარმატებას?*

ბატონი ზურაბი: ცოტა რთული კითხვაა, მაგრამ ჩემი პასუხი ის იქნება, რომ მე ვუსურვებ ყველა დამწყებს ისეთი მასწავლებლები ჰყოლოდეთ, გულშემატკივრები, როგორც მე მყავდა – ბატონების ნიკო კეცხოველის, აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას და კიდევ ბევრის სახით. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, მე ის არ ვიქნებოდი, რაც ვარ. ახალგაზრდებს, რომლებიც ახლა იწყებენ მუშაობას, ვუსურვებ, რომ ჰყოლოდეთ ასეთი გულშემატკივრები, ხელისშემწყობნი და გზაზე დამყენებელნი.

ლელა ხათრიძე, მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი:

– *ბატონო ზურაბ, ჩვენ გიცნობთ, როგორც გამოცდილ ლექტორსა და პროფესორს; მე მაინტერესებს, როგორი იყო ახალგაზრდა ზურაბ ჭუმბურიძე, როგორც ლექტორი, როგორ აუღო მან ალღო ამ საქმიანობას და როგორი უნდა იყოს კარგი ლექტორი? ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ მხოლოდ ცოდნას.*

ბატონი ზურაბი: ბევრი რამ იყო, რამაც განსაზღვრა ჩემი მომავალი. ახალგაზრდას წარმოდგენაც არ მქონდა, ასეთი გზის გავლა თუ მომიხდებოდა. ეს გზა, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე რომ მოგახსენოთ, შევძელი პატიოს-

ნად გამეველო, თავი არ შემიტყუებინა; ამაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ ხალხს, ვინც ჩემ გარშემო იყო უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირსა თუ ცხოვრებაში. აქ ახსენეს რამდენჯერმე **მაგალი თოდუა** – ჩემი უახლოესი მეგობარი; ჩვენ ერთად მოვდიოდით სტუდენტობის დროიდან და შევრჩით ერთმანეთს მეგობრებად; **შურა გვახარია**, **შურა ონიანი** და რომ გავყვე, საკმაოდ დიდი სია გამოვა. თუ მაინც საჭირო იქნება ერთი პიროვნება გამოვყო მათ შორის, ეს ერთი გამორჩეული პიროვნება ჩემთვის, ჩემს ცხოვრებაში გახლდათ **ნიკო კეცხოველი**. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ნიკო კეცხოველი ახალი დანიშნული იყო უნივერსიტეტის რექტორად და ტარდებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. ბატონი არნოლდისაგან შეჩრეული თემა – „*სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია იმერულში ჩემი სოფლის მიხედვით*“ – წავიკითხე მოხსენებად, ბატონი ნიკოც ესწრებოდა. ძალიან ბევრი კითხვა დამისვა; გულახდილად ვამბობ, ძალიან ადვილად ვპასუხობდი, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ჩემთვის მშობლიური იყო, ჩემს სოფელში ნანახი და გააზრებული. საერთო შთაბეჭდილება, როგორც ჩანს, კარგი მოახდინა. ამ ნაშრომისათვის მე მაშინ პირველი პრემიით დამაჯილდოვეს. წარმოიდგინეთ, რამოდენა სიხარული იყო ჩემისთანა სტუდენტისათვის და როგორ განსაზღვრა ამან შემდეგ ჩემი მომავალი. რექტორი ბევრ რამეს აკეთებდა ჩვენთვის: ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრე, განაახლა სტუდენტური გაზეთი...

სამადლობელი

ჩემო მეგობრებო, ბუნებრივია, არავის შეეპარება ეჭვი და არ ჩამითვლით გადაჭარბებულად, თუ ვიტყვი, რომ დღევანდელი დღე ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი დღეა ჩემს ცხოვრებაში. მადლობა მინდა მოგახსენოთ ყველას ჩემი მცირე წვლილის ასე დიდად დაფასებისათვის. იდლეგრძელოს ჩვენმა უნივერსიტეტმა, ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ენამ, ჩვენმა მეცნიერებაში. ჩვენ, ყველანი, ამისათვის ვართ მონოდებულნი. პირადად მე, ჩემს ცხოვრებაში, თუ შევძელი პატარა მაინც რამე გამეკეთებინა, ამ ინტერესითა და ამ დიდი იმედებით ვაკეთებდი. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველას!

პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**

*საიუბილეო ღონისძიების ვიდეომასალა გაშიფრეს და
დასაბეჭდად მოამზადეს
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებმა:
სალომე გეგეჭკორმა და ელენე ლურსმანაშვილმა*

გამოსაქვეყნებელი 90 წლის იუბილეზე

დამარცხებული სიბერე

(ზურაბ ჭუმბურიძე - 90)

ზურაბ ჭუმბურიძე გავიცანი ჩვენი სტუდენტობის დროს, ომის წლებში; მას შემდეგ თითქმის შვიდმა ათეულმა წელმა განვლო. ზურაბი, წლების ტვირთით დამძიმებული, კვლავ ისეთია, როგორც მაშინ გავიცანი – მუყაითი, საქმიანი, პრომისმოყვარე. ზურაბს თან მოაქვს წლების განმავლობაში დაგროვილი ჭირ-ნახული – წიგნები, წერილები, მდიდარი მეცნიერული გამოცდილება და ცოდნა, მჭრელი კალამი, თმა კი შევერცხლა – როგორც ყველას, ვინც მისი ხნისანი დავ-რჩით – მაგრამ ფხიზელი გონება და მეცნიერული ალლო ძველებურად შერჩა.

ზურამ ჭუმბურიძის მრავალმხრივი ინტერესები ახალგაზრდობიდანვე გამოიკვეთა. ლინგვისტიკის დავა ამა თუ იმ ენობრივი ნორმების შესახებ თუ მევენახეობის დარგობრივი ლექსიკა ისევე საყურადღებო იყო მისთვის, როგორც ლიტერატორთა ცხარე კამათი მწერლობის საჭირობოტო საკითხების შესახებ. დღეს, როდესაც ზურაბ ჭუმბურიძეს უკვე ვიცნობთ როგორც ენათმეცნიერს, ფილოლოგს, ტექსტოლოგს, რედაქტორს, მრავალი სერიოზული მონოგრაფიისა და პოპულარული სამეცნიერო წიგნის ავტორს, ხშირად მიკვირს – როგორ მოახერხა მან ყველაფრის ერთმანეთთან შეთავსება ისე, რომ ყველგან ჩასწვდა საქმის არსს და არსად დილეტანტობის ზერელობა არ დასტყობია. ამისთვის მართო ბუნების მიერ ბოძებული ნიჭით არ მიუღწევია: მკაცრმა მეცნიერულმა სკოლამ, სადაც აღიზარდა და მკვლევრად ჩამოყალიბდა, ასწავლა მას მასალის გულდასმით შერჩევა-გამორჩევა და სიფრთხილე დასკვნების გამოტანისას. აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით შეითვისა ზურაბ ჭუმბურიძემ მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგია: დღეს, როდესაც ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მრავალი ახალი დარგი შემოვიდა და სტატიები ინგლისური – ზოგჯერ უადგილოდ გამოყენებული – ტერმინოლოგიით აჭრელდა, ზურაბმა შეინარჩუნა ქართველოლოგიური კვლევის ფუძემდებლური პრინციპები და ახალ კვლევასაც არ ჩამორჩა, ამიტომ არის მისი სამეცნიერო ნამუშავეი სერიოზული და მრავალმხრივი. ზურაბმა ბევრი გააკეთა ქართველური ენების, განსაკუთრებით სვანურის, შესასწავლად. ქართველური ენების ხუთენოვანი ლექსიკონი ზურაბ ჭუმბურიძის რედაქტორობით, სვანურის სახელმძღვანელო (ენის მატარებლის მიერ მოწოდებული ცოცხალი მასალის საფუძველზე) ამას ადასტურებს; ამავე დროს, მკითხველს ხელთა აქვს ქართველი მწერლების თხზულებათა არაერთი ტომი, რედაქტირებული და კომენტირებული. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელთა ენა თვით მოითხოვს დაკვირვებას, უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ქართულმა ენამ ბევრი ცვლილება განიცადა – ანტონ კათალიკოსის ფსევდოქართული ქართულიდან ინგლისური ენის „ქართულ დიალექტამდე“. ამ პროცესს დაკვირვება უნდა, თანამედროვე ქართულს – ნორმირება. ზურაბ ჭუმბურიძეს აქაც ეთქმის თავისი სიტყვა. მან თავისი წვლილი შეიტანა ძველი ქართული ენის შესწავლაშიც. ძველი ქართულის ბრწყინვალე ძეგლია „უდაბნოს მრავალთავი“; აკაკი შანიძის გარდაცვალების შემდეგ სწორედ მან დაასრულა ხელნაწერის პუბლიკაციის საქმე.

წლების განმავლობაში ზურაბი ძირითად კურსებს კითხულობდა ძველი ქართული ენის კათედრაზე. მრავალმა სტუდენტმა გაიარა მის ხელში. მან უცხოელი ქართველოლოგების აღზრდაშიც მიიღო მონაწილეობა.

ცალკეა სახსენებელი ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო-პოპულარული ნიგნები. ვისაც კი ნაუკითხავს ასეთი ნიგნები, მით უმეტეს – უცდია ერთი ასეთის დაწერა, კარგად იცის, რომ ეს უმძიმესი შრომაა. მშრალი მეცნიერული ფაქტის გადმოცემა ისე, რომ სიმართლე და ზუსტად ჩამოყალიბებული დებულებები არ დაამახინჯო, მკითხველის ყურადღება მიიპყრო, ნიგნი არ გააშვებინო ხელიდან – ამას მარტო საკითხის ცოდნა კი არა, მხატვრული ალლო და მწერლის ნიჭიც უნდა. ზურაბის ნიგნები: „რა გქვია შენ?“, „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“ – თითოეული რამდენიმეჯერ გამოიცა. ეს კი მოწმობს, რომ მათ მკითხველი ჰყავს: ეს მით უფროა სასიხარულო, რომ დღეს ეს ინტერესი ვლინდება. ტექნოლოგიზაციისა და ტექნოკრატიის ეპოქაში, დარწმუნებული ვარ, რომ ზურაბ ჭუმბურიძის ამ ნიგნებმა ბევრს უჩვენა, რომ ენა, სიტყვა, სიტყვის ისტორია საინტერესოა და მეტად მნიშვნელოვანიც. ვფიქრობ, სწორედ ამგვარმა ნიგნებმა უნდა მიახვედროს მკითხველი, რომ ადამიანის სულიერ სამყაროს ხშირად უფრო მეტს შესძენს პერგამენტის ჩამოყვითლებული ფურცელი, საუკუნეთა განმავლობაში მტვრად ქცეული გადამწერის ხელნაწერი, ვიდრე ბევრი ახლად შექმნილი, ელექტრონული ტექნიკით გავსებული „გაჯეტი“. ეგებ ამგვარმა ნიგნმა დააფიქროს მკითხველი, რატომ ჰქვია მის სოფელში რომელიღაც უბანს „იფნისხევი“, ან მდინარის შენაკადს „ჯიხვთანყარო“, ან გაახსენოს აღმოსავლეთის ბაზრებზე გატანილი ხელნაწერის გამომსყიდველი თავისი წინაპარი! აქაც ვხედავ მათი ავტორის მამულიშვილურ საქმიანობას – არა მყვირალა, შინაარსისაგან დაცლილ სტანდარტულ ფრაზებს, არამედ მუხლჩაუხრელ შრომას, მეცნიერის ფხიზელი გონებით წარმართულს.

ზურაბ ჭუმბურიძეს ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა. იგი კვლავ მხნედ განაგრძობს შრომას, მას მხარში უდგას მისი ოჯახიც – მეუღლე, შვილი და სიძე – ქართული ენის სპეციალისტები, მეორე შვილი - გერმანისტი.

ვუსურვოთ ზურაბ ჭუმბურიძეს ძველებური ენერჯია და შრომის უნარი, რომ საუკუნის მიჯნაზე მხნედ დააბიჯებდეს.

*აკადემიკოსი მზექალა შანიძე
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
03 მარტი, 2017 წელი, №48*

*დასაბეჭდად მოამზადა „ქართველური ენათმეცნიერების“
პროგრამის მაგისტრანტმა გიორგი ჯღარკავამ*

მთელი სიცოცხლის შემოქმედება

ძვირფასო და დიდად პატივცემულო ბატონო ზურაბ, უმჯობესი (უკეთესი) იქნებოდა, რომ 90-ე წლის იუბილეზე გულითადი მრავალჯამიერი მემღერა თქვენთვის, მაგრამ შორიდან თქვენს დღესასწაულზე შემიძლია მხოლოდ დავწერო, როგორ მაცვიფრებს თქვენი **მთელი სიცოცხლის შემოქმედება**. კოლეგები თბილისში დღეს თქვენი სამეცნიერო და პედაგოგიური დამსახურების ქებას ჩემზე უკეთ გამოთქვამენ, მაგრამ ნება მიბოძეთ ის მაინც გითხრათ, რაც გავიფიქრე, როცა ხელახლა გადავათვალიერე ზოგიერთი

თქვენი სტატია და წიგნი, რომელთა გასაოცრად გრძელ სიას ჯერ კიდევ ოცი წლის წინ თქვენს საიუბილეო კრებულში საფუძვლიანად გავეცანი.

თქვენ ჩემთვის ხართ ქართველ ენათმეცნიერთა ტრადიციის განსაკუთრებით შთამბეჭდავი წარმომადგენელი, ენათმეცნიერთა, რომელთაც სწადათ ქართველოლოგიის მთელი სპექტრის მოცვა: როგორც ქართული, ასევე სვანური, როგორც გრამატიკა, ასევე ონომასტიკა, როგორც ძველი ქართული, ასევე ახალი ქართული სალიტერატურო ენა და მისი განვითარება, ფილოლოგიური მუშაობა ძველ და ახალ ტექსტებზე, ისევე, როგორც ენობრივი კულტურის აქტუალური საკითხები.

ძველი ქართული ტრადიციის მეორე დამახასიათებელი, როგორც მე ამას თქვენს ნაშრომებში ვხედავ, არის მეცნიერების პასუხისმგებლობა ქართული ენობრივი კულტურის მიმართ საზოგადოებაში; პასუხისმგებლობა, რომელიც გამოსატყუია თქვენს მრავალრიცხოვან მეცნიერების პოპულარიზების მიზნით დაწერილ ნაშრომებში, რომელთა საფიქრალი არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ ქართული სოფელიცაა. ვფიქრობ, თქვენ ორივე თვალსაზრისით მისაბაძი მაგალითი ბრძანდებით ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც ვაჟკაცურად ცდილობს, არ დაეკარგოს ქართველოლოგიის მთლიანი დიაპაზონი იმ სამყაროში, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებს ვიწრო სპეციალიზებას აიძულებს, რომლის შედეგები საზოგადოებისთვის უფრო და უფრო გაუგებარი ხდება. თქვენ ამ თვალთახედვითაც იმსახურებთ ჩვენს განსაკუთრებულ მაღლიერებას, კერძოდ, გეზის შენარჩუნებისთვის, რასაც თითქმის სამოცდაათი წელია მისდევთ.

და ბოლოს, გისურვებთ, რომ არა მარტო მეცნიერებაში, არამედ სასიცოცხლო ძალაშიც მიბაძოთ თქვენს მასწავლებელს, აკაკი შანიძეს და, კიდევ დიდხანს იყოთ ჩვენ გვერდით.

თქვენი ვინფრიდ ბოედერი

ივნისი, 2016 წელი

ოლდენბურგი, გერმანია

ქართველური ენების ღრმა მცოდნე

პატივცემულო ბატონო ზურაბ,

ვიმედოვნებ, რომ ჩემი მოლოცვა თქვენამდე მიაღწევს საქართველოში. სულითა და გულით გილოცავთ თქვენი დაბადების 90 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ულევ შრომის ენერგიას ენათმეცნიერების დარგში, რომელშიც ასე ნაყოფიერად მოღვაწეობთ მრავალი ათეული წლის განმავლობაში და გამოცხადებით მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური ნაშრომები. თქვენი სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველოლოგიის ბევრ მიღწევასთან და ბედნიერად ვთვლით თავს, რომ თავის დროზე თქვენთან ვსწავლობდი სვანურ ენას თბილისის უნივერსიტეტში. სიამოვნებით ვიხსენებ იმ დროს და ახლაც ვსარგებლობ იმ ცოდნით, რომელიც მივიღე თქვენი წყალობით გასული საუკუნის 60-იან წლებში.

ბატონო ზურაბ, მე მხიბლავს თქვენი შრომისმოყვარეობა და ქართველური ენების ღრმა ცოდნა, რომელსაც ამჟღავნებთ თქვენს წიგნებსა და ნაწერებში ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, სვანური ენისა და ქართველური ენების დარგში. როგორც მკვლევარმა, დიდი სახელი მოიხვეჭეთ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც, სხვათა შორის ჩვენთან გერმანიაშიც, სადაც ჟურნალ „გეორგიკის“ სარედაქციო კოლეგიაში დიდი წვლილი შეიტანეთ მისი გამოცემის წარმატებაში და ახლაც მონაწილეობთ მის გამოცემაში. დიდი მადლობა, ბატონო ზურაბ, თქვენი თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

თქვენ მრავალი ინტერესი გამოიჩინეთ ქართული კულტურის სფეროში; არა მარტო მეცნიერებაში, როგორც მწერალმა, ლიტერატურისმცოდნემ და კრიტიკოსმაც მოიხვეჭეთ სახელი; ასე რომ, გასაკვირი არ არის, რომ გერმანიის ლექსიკონებსა და სამეცნიერო წიგნებში ხშირად ხართ ნახსენები.

ბატონო ზურაბ, თქვენი დაუღალავი შრომისათვის მინდა მოგახსენოთ დიდი მადლობა. დიდი მადლობა იმისათვის, რომ ასეთი რუდუნებით მუშაობთ თქვენი ერის წინსვლისათვის. გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობას, თქვენი მოღვაწეობის წარმატებით გაგრძელებას და შემოქმედებით სიხარულს.

*ჰაინც ფენრიხი
ივნისი, 2016 წელი
ბურგელი, გერმანია*

დასაფასებელი პიროვნება

ძვირფასო ბატონო ზურაბ, ჩემო საყვარელო მასწავლებელო!

მინდა მოკრძალებით შემოგეხმიანოთ თქვენს დიდებულ იუბილეზე.

როცა თქვენდამი მიძღვნილი კონფერენციისა და შეხვედრების მოსაწვევი ბარათი მივიღე, ჩემ თვალწინ კინოკადრებივით ჩაირბინეს ჩემი შორეული სტუდენტობისა და უნივერსიტეტში თქვენ გვერდით მუშაობის წლებმა; ის ცოტაოდენი წიგნებიც გადმოვიღე, თქვენ მიერ ნაჩუქარი, რომლებიც დღემდე შემომრჩა. რამდენი რამ გამოიარეს ჩემი ცხოვრების დიდი ცვლილებების ჟამს, მაგრამ ისევ საპატიო ადგილი უჭირავთ ჩემი წიგნების თაროზე იმიტომ, რომ მათ (და კიდევ ბევრ სხვას, რომლებიც თქვენ შექმენით) ჭეშმარიტად ეკუთვნით ასეთი ადგილი ქართველოლოგიით დაინტერესებული ყველა პირისათვის, ქართული ფილოლოგიისათვის. აღარ ჩამოვთვლი სათაურებს, რაკი დარწმუნებული ვარ, რომ დღეს ბევრს იტყვიან მათზე.

მე მინდა თქვენი დიდებული პიროვნული თვისებები გამოვყო, რომლებიც დღემდე გამშვენებენ: საოცარი გულის სითბო, ჩვენში, ქართველ ებრაელებში, იტყვიან დასაფასებელ პიროვნებაზე, ავკარგიანი კაციაო; სწორედ ასეთი ბრძანდებით თქვენ - მომთხოვნი და მკაცრიც კი, როცა საჭიროა, და საოცრად დამთმობი, მზრუნველი და გამგები, როცა ამას სიტუაცია მოითხოვს.

მიგრძელდება სიტყვა, მაგრამ ერთი შემთხვევა უნდა გავიხსენო ჩვენი ერთობლივი მოღვაწეობიდან - 14 აპრილის წინა მოვლენები, რომლებიც, სამ-ნუხაროდ, ბევრისთვის არ არის ცნობილი ან ისე არ არის ცნობილი, როგორც განვითარდა. ჩვენი კათედრის სხდომა გაიმართა კონსტიტუციის პროექტის განსახილავად. ბატონმა აკაკი შანიძემ მე, როგორც კათედრის მდივანს, დამავალა პატარა მოხსენების წარმოდგენა. მაშინ ჯერ კიდევ აგორებული არ იყო ქართული ენის გადარჩენის დიდი ტალღა, მხოლოდ წინა სალამოს გაიმართა შეხვედრა მწერალთა კავშირში, სადაც წამოიწყეს ბრძოლა. თქვენ იქ იყავით, მე კი ჯერ არ მქონდა ინფორმაცია. მე ახალგაზრდა გახლდით და საკმარისი გამოცდილება არ მქონდა, მაგრამ კონსტიტუციის ნაჩქარევად გადახედვითაც კი მივაქციე ყურადღება, რომ რაღაც ისე არ იყო და ვთქვი, ქართული ენის როლი განათლების საქმეში დამცირებულად მეჩვენება-მეთქი. მაშინ თქვენ მოითხოვეთ სიტყვა და ბრძანეთ, რატომ მართო განათლებაში, რატომ ვერ შეამჩნიეთ, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი დაგვიკარგესო. ყველამ ერთად წავიკითხეთ სათანადო ადგილები; ბატონმა აკაკიმ ბრძანა, რაკი ასეა საქმე, ამას სხვაგვარად უნდა მოეწოდებოდა, ჯერ თქვენ გაგესაუბრათ, მერე კი თავისთან წამიყვანა სახლში და დავწერეთ მკაცრი საპროტესტო ოქმი პროექტის კატეგორიული მიუღებლობის შესახებ. წარვადგინეთ ხელმძღვანელობასთან, დაგვიქნიეს თითი, მაგრამ ოქმის ამბავი სასწრაფოდ გავრცელდა და ამას მოჰყვა სტუდენტებისა და ინტელიგენციის გამარჯვებამდე. დიახ, ამ ბრძოლის რეალური დამწყები თქვენ ბრძანდებოდით! შემდეგ სხვადასხვაგვარი მოგონებები წამიკითხავს ამ ამბების შესახებ, რომლებიც შორსაა სინამდვილისგან.

ახლა დროისა და მანძილის დისტანციიდან (უკვე სხვა ქვეყანაში ვცხოვრობ და ჩემს მოღვაწეობასაც სხვა სიო დაჰქრის), თქვენს იუბილეზე გავიხსენე ეს ამბავი, რომელმაც მაშინ კიდევ უფრო გაზარდა თქვენდამი ჩემი პატივისცემა, რათა დაგვიანებით მაინც წარმოჩნდეს თქვენი დიდი ღვაწლის სახელოვანი, მაგრამ ჯერაც დაუფასებელი ფურცელი.

მრავალჯამიერ, ძვირფასო ბატონო ზურაბ!

თქვენი რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი)

Prof. Reuven Enoch
Israel Heritage Department
Ariel University in Samaria

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მილოცვა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს,
პროფესორ **ზურაბ ჭუმბურიძეს!**

ბატონო ზურაბ,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამორჩეულ მეცნიერსა და პედაგოგს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსსა და ერთ-ერთ დამფუძნებელს, მრავალი საპატიო წოდების, პრემიისა და ჯილდოს მფლობელს, საინტერესო და მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების ავტორს მოგილოცავთ დაბადებიდან 90 წლის იუბილეს.

გამოვხატავთ პატივისცემას ღვაწლმოსილი მეცნიერის მიმართ და აღვნიშნავთ, რომ, მართალია, თქვენი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მაგრამ მნიშვნელოვანია მისი [თსუ-ის] ურთიერთობა საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და განსაკუთრებით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. გარდა იმისა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში წლების მანძილზე იყავით სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, დიდი წვლილი მიგიძღვით ქუთაისში სამეცნიერო კადრების აღზრდაშიც. შესანიშნავი პიროვნული თვისებებით გამორჩეული მეცნიერისგან არაერთ ახალგაზრდა მკვლევარს მიუღია მაღალკვალიფიციური კონსულტაცია თუ რჩევა, არაერთი დამწყები სპეციალისტი დაგიკვალიანებიათ.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ამ სოლიდურ თარიღს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში! კიდევ მრავალი თაობა აღგეზარდოთ, დიდხანს გელვანოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

*აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით,
რექტორი პროფესორი **გიორგი ლავთაძე***

09.06.2016 წელი

მესტიის მუნიციპალიტეტის მილოცვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჭუმბურიძის მეცნიერებათა ფაკულტეტის,
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის

დიდი პატივისცემით ვეხმაურებით თქვენს გულთბილ მოწვევას პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებზე.

კავკასიის რეგიონის პირველ უმაღლეს სასწავლებელში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციად ქცეულ

ლი დამსახურებული აღიარება ღვანლმოსილი მეცნიერებისა წარმოაჩენს ერის სახეს და მისი სიცოცხლისუნარიანობის დასტურიც გახლავთ. განუზომელია ბატონი ზურაბის ღვანლი ქართველოლოგიური მეცნიერების, მათ შორის სვანური ენის კვლევისა და დოკუმენტირების საქმეში.

სიამოვნებით ვეპატიჟებით ბატონ ზურაბს სვანეთში დასასვენებლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან შესახვედრად. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის იმ კონტაქტებს, რომელთაც დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი, როცა იგი, სრულიად ახალგაზრდა, აგროვებდა და იკვლევდა სვანური ზეპირსიტყვიერებისა და ზეპირმეტყველების ნიმუშებს.

ვუსურვებთ ბატონ ზურაბს – არაერთი თაობის აღმზრდელსა და მასწავლებელს, სვანეთის დიდ გულშემატკივარსა და სვანური ენის მოამბეს – დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

პატივისცემით, **კოტე ჟორჟოლიანი**
მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ივნისი, 2016 წელი

სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მილოცვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს,
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს

მოგესალმებით საუკეთესო სურვილებით და მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მონვევისთვის! ჩვენთვის დიდი პატივია პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობა.

თითოეული ქართველისთვის ძვირფასია ზურაბ ჭუმბურიძის სახელი ქართველოლოგიის დარგში იმ ღვანლისა და დამსახურებისთვის, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულ ცნობიერებას. დიდი აკაკი შანიძის მონაფე - ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე ნახევარ საუკუნეზე მეტია უძველეს ქართულ ხელნაწერთა ნაკვალევს მიუყვება, ქართველურ ენათა ურთულეს სტრუქტურას იკვლევს, ონომასტიკის საინტერესო სფეროში მოღვაწეობს და ამ საგანძურის თანაზიარს ხდის კოლეგებს, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებას.

სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმისა და მესტიის მარგიანების სახლ-მუზეუმის თანამშრომელთა სახელით ვულოცავთ ბატონ ზურაბს – არაერთი თაობის აღმზრდელსა და მასწავლებელს 90 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

პატივისცემით, **რუსუდან ქოჩიანი**
სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი
ივნისი, 2016 წელი

მესტიის საჯარო სკოლის მილოცვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს,
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს

დიდი მადლობა გულთბილი მონვევისთვის!

დიდი პატივია ჩვენთვის მონაწილეობა მივიღოთ პროფესორ ზურაბ ჭუმბურის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ზურაბ ჭუმბურისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები ქართველოლოგიის განვითარებაზე ზრუნვის დასტურია. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი თაობის აღზრდა იმ პიროვნებების მაგალითზე, რომელთა წვლილი განუზომლად დიდია ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბატონ ზურაბს – ქართველოლოგიის დარგში მრავალმხრივ მოღვაწეს, ამაგდარ მეცნიერს, ქართველური ენების, განსაკუთრებით, სვანური ენის, დიდ მკვლევარსა და გულშემატკივარს, რომლის აღზრდილები საქართველოს ყველა კუთხეში და მის ფარგლებს გარეთაც წარმატებით უძღვებიან თავიანთ საქმიანობას.

ჭუმბურის საჯარო სკოლის პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების სახელით მივესალმებით საიუბილეო ღონისძიებების მონაწილეებს, იუბილარის ოჯახის წევრებს და ბატონ ზურაბს ვუსურვებთ დღეგრძელობას, დიდი ხნის ნაყოფიერ მოღვაწეობას დედაუნივერსიტეტისა და ქვეყნის, თითოეული ქართველისა და საქართველოში მცხოვრებთა საკეთილდღეოდ.

*პატივისცემით, ნატო სუბარი
მესტიის მუნიციპალიტეტის ჭუმბურის
საჯარო სკოლის დირექტორი
ივანისი, 2016 წელი*

„მოგონებანი, რაც ჩემს გულს ავსებს“

(ანუ შთამბეჭდავი გაკვეთილები)

გონების თვალთ რომ გადავფურცლავთ საკუთარი „ისტორიის“ უკვე მრავალწლიან მატეანეს, უმალ გაცოცხლდებიან მოგონებანი – ზოგი კვლავაც ძალიან გამოკვეთილი, ზოგიც დროის მანქანით ოდნავ გაფერმკრთალებული... დიახ, ეს მოგონებანი, ზოგჯერ ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერი წუთებით რომ შემოსულა ჩვენს ცხოვრებაში, მეტ-ნაკლები სიცხადითა და სიხშირით შეგვახსენებს ხოლმე თავს, პირველ ყოვლისა, იმ ადამიანების სახით, რომლებსაც პიროვნული ღირსებებით, სანიმუშო პროფესიული გაკვეთილებით განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენიათ ჩვენს სულიერებაზე და კეთილი მეგზურობა გაუწევიათ პედაგოგიურ საქმიანობაშიც.

მოგონებათა წიგნში გამორჩეული ადგილი უჭირავთ ყოფილ ლექტორ-მასწავლებლებს, უფროს კოლეგებს – ან უკვე იმიერი საუფლოს მკვიდრთ – ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავას, ივანე ქავთარაძეს... საბედნიეროდ, ამიერშიც მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც შემოქმედებითი მოღვაწეობით, ზნეობრივი და პროფესიული გაკვეთილებით კვლავაც გვანვდიან სულიერ საზრდოს. ერთ-ერთი ამათგანი გახლავთ თვალსაჩინო მეცნიერი, საუკეთესო პედაგოგი, პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**. ამჯერად მინდა მკითხველს გავაცნო ჩემი უფროსი თვალით დანახული ბატონი ზურაბი, მისი პორტრეტისათვის გამოვკვეთო რამდენიმე შტრიხი თითქმის ხუთი ათეული წლის წინათ მეხსიერებაში აღბეჭდილ შთაბეჭდილებათა ფონზე.

ბატონ ზურაბს პირველად შევხვდი სახელმწიფო გამოცდაზე დაახლოებით 1960-იანი წლების ბოლოს. იგი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოიწვიეს ფილოლოგიის ფაკულტეტზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ... აუდიტორიაში კომისიის წევრებმა დაიკავეს ადგილები. გამოცდის დაწყებამდე თავმჯდომარემ მოითხოვა დიპლომანტთა პირადი საქმეები, სადაც ინახებოდა მისაღები გამოცდების დროს აბიტურიენტის მიერ შესრულებული წერიტი ნაშრომი ქართულ ლიტერატურაში.

იმ ხანებში თითქმის ყოველწლიურად ვესწრებოდი სახელმწიფო გამოცდებს (ჯერ როგორც მდივანი, შემდეგ – როგორც საგამოცდო კომისიის წევრი) და ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, სახელმწიფო გამოცდაზე ვინმე დაინტერესებულიყო აბიტურიენტის თემით. ერთგვარად გაკვირვებული, ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალს გამოცდის მსვლელობას: როცა სტუდენტი საგამოცდო ბილეთის საკითხებზე პასუხს დაამთავრებდა, ამის შემდეგ ბატონი ზურაბი გადაშლიდა მის პირად საქმეს, თვალს გადაავლებდა თემას და მასში დაშვებული შეცდომების მიხედვით გამოსაცდელს დაუსვამდა „დამატებით“ კითხვას. ეს ყველაფერი ხდებოდა ისე ფრთხილად, ისე ტაქტიანად, რომ სტუდენტს ეგონა, ახალი კითხვები ისევე ამჟამინდელ გამოცდას უკავშირდებოდა და არა ხუთი წლის წინათ მის მიერ დაშვებულ შეცდომას.

ცხადი იყო, რომ, ერთი შეხედვით, ამ უცნაური „გადამონებების“ დროს დასმული კითხვა-პასუხებითა და გამომცდელის კომენტარებით თვალსაჩინო უნდა გამხდარიყო მაშინდელი განათლების სისტემის ერთი რეალური სურათი – რა ცოდნით მოდის სკოლიდან მოსწავლე და როგორი დონით მიდის უმაღლესი სასწავლებლიდან; აქვე გამოიკვეთა ზურაბ ჭუმბურიძის – მეცნიერისა და პედაგოგის – ძირითადი მრწამსი: უმაღლეს სასწავლებლებში მთავარი უნდა იყოს პედაგოგთა კადრების მომზადების მაღალი დონე, მათთვის გათვალისწინებული პროგრამული თეორიული მასალის არა მხოლოდ სრულყოფილი მიწოდება, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარიც.

ეს გამოცდა თავისი ფორმით, შინაარსითა და მიზანდასახულობით მაშინ ჩემთვის ძალიან საინტერესო სიახლე იყო. უფრო ზუსტად: იმ დღეს ჩემი სამომავლო პედაგოგიური საქმიანობის ასპექტით მოვისმინე ერთი მეტად ფასეული გაკვეთილი, რომელიც შემდგომში ყოველთვის მახსოვდა.

ზურაბ ჭუმბურიძე ერთ-ერთი პირველი გახლდათ ქართველ ენათმეცნიერთა შორის, რომელმაც ჯერ კიდევ 1970-იან წლებში, სამწერლობო ენისა და, განსაკუთრებით, სასაუბრო მეტყველების მიხედვით, -ავ/-ამ თემისნიშნისა ზმნათა

III სერიის I თურმეობითში დაუხატავს/უთქვამს ტიპის მართებული წარმოების პარალელურად დასაშვებად მიიჩნია დაუხატია/უთქვია-ც.

მოგეხსენებათ, ლინგვისტიკაში ნებისმიერი თეორიული დებულება ემყარება ენობრივ მონაცემებს. შესაბამისად, იგი მართებულად მაშინ ჩაითვლება, თუ ენაში ფართოდ არის გავრცელებული. ცხადია, ბატონ ზურაბს მისთვის საინტერესო -ია დაბოლოებიან ფორმებთან დაკავშირებით უამრავი მაგალითის მოძიება დასჭირდებოდა, მით უმეტეს, როცა ეს ახალი მოსაზრება აშკარად უპირისპირდებოდა სალიტერატურო ენის ნორმებს.

... ისევ სახელმწიფო გამოცდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე მაშინაც პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე გახლდათ. გამოცდა ტრადიციული წესით მიმდინარეობდა, თუმცა ჩემთვის ამჯერადაც იყო ერთი ასეთი სიახლე: სტუდენტი ბილეთზე პასუხს რომ დაამთავრებდა, თავმჯდომარე, თითქოს სხვათაშორის, დაუსახელებდა -ავ ან -ამ თემისნიშნის ზმნას და ავალებდა, იგი გადაეყვანა I თურმეობითში. რადგანაც, სტუდენტის ვარაუდით, კითხვა „დამატებითი“ იყო (თანაც ბოლოს დასმული!), ზოგი მათგანი აღარც კი ფიქრობდა გრამატიკულ წესზე და პასუხად -ავ/-ამ-ის ნაცვლად სწრაფად (მექანიკურად) ასახელებდა -ია დაბოლოებიან ფორმას, იმას, რომელსაც, ალბათ, ჩვეულებრივად იყენებდა ყოველდღიურ საუბარში. ზოგჯერ ასეც ხდებოდა: სტუდენტი საგამოცდო ბილეთის საკითხებზე მსჯელობის დროს, თავმჯდომარის მიერ საგანგებოდ დასმულ შეკითხვამდეც, მისდაუნებურად (მისთვის დამახასიათებელი მეტყველებიდან გამომდინარე) „გამოურევდა“ დაუხატია ტიპის ფორმებსაც, ე. ი. ბატონ ზურაბს პირდაპირ უსახელებდა მზამზარეულ საინტერესო მაგალითებს. ასეთ სიტუაციებში დაშვებული „შეცდომების“ გამო შეშინებულ სტუდენტებს გამომცდელი ამშვიდებდა ხოლმე და მოკლედ აცნობდა ამ ახალი ენობრივი მოვლენის არსს და „მოულოდნელი“ კითხვების მიზანსაც. იმ წლებში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ათეულობით სტუდენტი აბარებდა სახელმწიფო გამოცდას. თითქმის ყველა მათგანი დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან იყო. მათს მეტყველებაში ზოგჯერ იჩენდა თავს დიალექტური ფორმები – ანუ თავისთავად „ბუნებრივ პირობებში“ მოძიებული მეტად ფასეული მასალა მკვლევართათვის.

სახელმწიფო გამოცდაზე პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის გვერდით გატარებული ეს დღეც ჩემთვის იყო კიდევ ერთი ახალი შთამბეჭდავი გაკვეთილი, რომელმაც თვალსაჩინოდ დამანახვა, თუ როგორი გამონვლილვითი სიზუსტით უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის კვალიფიკაცია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მკვლევრისათვის მასალის სიუხვე და მრავალფეროვნება, სიზუსტე და ბუნებრივი გარემო.

მას შემდეგ ბატონ ზურაბს ხშირად ვხვდებოდი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისშიც. ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი, როგორც მეცნიერს, როგორც ადამიანს; ვცდილობდი (რამდენადაც შეიძლებოდა) გამეთავისებინა მისი პედაგოგიური მეთოდები, სტუდენტებთან ურთიერთობის მისეული ფორმებიც.

... 1973 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტი (ოთხთვიანი სასწავლო კურსით). პირველ მსმენელთა შორის მეც ვიყავი. ძველ ქართულ ენას გვიკითხავდა პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე. ფაქტობრივად, ეს იყო არა ტრადიციული ლექცია, არამედ მთელი ჯგუფის ერთობლივი მსჯელობა საინტერესო საკითხებზე ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით. დღესაც ცოცხლად მახსოვს ის ლექციები თავისი მეცნიერული დონითა და შემოქმედებითად

მრავალფეროვანი მეთოდური ასპექტითაც. ამისთვისაც გულწრფელი მადლობა!

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე – ქართული საენათმეცნიერო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, ნიჭიერი და პრინციპული მკვლევარი – უფალმა დააჯილდოვა წელთა სიმრავლითაც, რათა თავისი მრავალმხრივი მეცნიერული მემკვიდრეობით, ფიზიკური ცხოვრების ჯანსაღი წესითა და გამორჩეულად ლამაზი ღიმილით კვლავაც მრავალჟამიერ იყოს მაგალითი თაობებისათვის!

*ემერიტუს-პროფესორი **ჟუჟუნა ფეიქრიშვილი**
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მიძღვნა ბატონ ზურაბს

ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე 1985 წელს ხელმძღვანელად დაინიშნა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში, სადაც ახალდაწყებული იყო მუშაობა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემაზე. ბატონი ზურაბი, რომელსაც ტექსტოლოგიის სფეროში უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა, ამ საქმეს ჩვეული გულისხმიერებით შეუდგა. იგი დიდი ყურადღებით კითხულობდა თხზულებათა თითოეულ ტომს და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მათ რედაქტირება-დახვეწაში. რამდენადაც ორიგინალური ქართული ტექსტების გარდა, გამოცემაში უნდა დაბეჭდილიყო უცხოური თარგმანებიც, ბატონმა ზურაბმა გადაწყვიტა, რომ განყოფილების თანამშრომლებად უცხო ენების სპეციალისტებიც მიეღო. მისმა ამ გადაწყვეტილებამ რადიკალურად შეცვალა მთელი ჩემი ცხოვრება, რადგან სწორედ ამის გამო აღმოვჩნდი მის გვერდით. განყოფილების სხდომებზე განიხილებოდა ყველა დეტალი, რაც აკადემიურ გამოცემას უკავშირდებოდა, ერთობლივად ყალიბდებოდა თეორიული პრინციპები და კვლევის მიმართულებები. ახალგაზრდა მეცნიერებისთვის ეს იყო პროფესიული ზრდის საუკეთესო საშუალება და, ამავე დროს, უაღრესად საინტერესო და სასიამოვნო გამოცდილება.

წარმატებული ატრიბუციული კვლევების შედეგად ილია ჭავჭავაძის ტომების მოცულობა თანდათან იზრდებოდა, ახალ ტექსტებს კი შესაბამისი კვლევა-ძიება სჭირდებოდა. სწორედ ამ პერიოდში დავინტერესდი ერთი ანონიმური ნოველით, რომელიც ილია ჭავჭავაძეს რუსული ჟურნალიდან ჰქონდა ნათარგმნი. ტექსტს სათაურად ჰქონდა „უბინაო კაცი ნიუ-იორკში“, ავტორი კი რუსულ წყაროშიაც არ იყო მითითებული. იმ იმედით, რომ ავტორის კვალზე რუსი მთარგმნელის – ალექსეი პლეშჩეევის არქივი დამაყენებდა ან იმ პერიოდის რუსულ პრესაში ვიპოვიდი რაიმე ინფორმაციას, მივლინებით წავედი მოსკოვში, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ ის გავარკვიე, რომ პლეშჩეევი ინგლისურენოვან ტექსტებს გერმანულიდან ან ფრანგულიდან თარგმნიდა. თბილისში დაბრუნების შემდეგ ისევ გავაგრძელე ნოველის კვლევა და შევძელი მისი დათარიღება ოთხნობიანი სავარაუდო ინტერვალით. ასეთ ვითარებაში ბევრად უფრო ლოგიკური იყო პირდაპირ ინგლისური წყაროს ძიება, მაგრამ მე-20 საუკუნის 80-იანი

წლების ბოლოს საბჭოთა კავშირიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლა საკმაოდ რთული იყო და ეს საქმე თავისთავად გადაიდო. მეორე მხრივ, აღმოჩნდა, რომ საკვლევი ილია ჭავჭავაძის ორიგინალურ მხატვრულ თხზულებებშიც საკმაოდ ბევრი იყო. ბატონმა ზურაბმა სამუშაოდ უაღრესად საინტერესო თემა შემირჩია – „მოთხრობების – „სარჩობელაზე“ და „ოთარანთ ქვრივი“ – შემოქმედებითი ისტორია“. საქმემ ძალიან გამიტაცა და ჩემი ახალი პროფესია უზომოდ შემაყვარა. ეს მნიშვნელოვნად განაპირობა ბატონი ზურაბის დამოკიდებულებამ და კეთილგანწყობამ. ახალგაზრდები მუდმივად ვგრძნობდით მის თანადგომას და მხარდაჭერას, მაგრამ კვლევაში არასოდეს გვერეოდა, სრულ თავისუფლებას გვაძლევდა.

ამ მოვლენების შემდეგ 30 წელი გავიდა. ბატონმა ზურაბმა კიდევ არაერთ ახალგაზრდას აპოვნინა საყვარელი საქმე, კიდევ არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი და აკადემიური ტომი გამოსცა, მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი ღვაწლი. არავინ იცის, მის მიერ დათესილი კეთილი თესლი კიდევ სად და როდის გაღვივდება... ორიოდე წლის წინ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორის დახმარებით, რომელიც მივლინებით იმყოფებოდა კანზასის შტატში, მოხერხდა ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნოველის ინგლისური წყაროსა და ფრანგული შუალედური თარგმანის პოვნა.

ამ ნაშრომს ვუძღვნი ბატონ ზურაბს და ვუხდი უღრმეს მადლობას ყველაფრისთვის, რაც მასთან ურთიერთობით ვისწავლე.

*პატივისცემით, მაია ნინიძე
ივლისი, 2016 წელი
შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

ნარუშლელი შთაბეჭდილებები

ბატონო ზურაბ,
საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზატორებო,
უღრმესი მადლობა მონვევისთვის!

ჩემთვის ძვირფასი და დაუვინყარია ბატონი ზურაბის ლექციები, მისი თითოეული ნაშრომი, მის მიერ წაკითხული მოხსენებები, თითოეული სიტყვა...

გამორჩეულია ჩემს ცხოვრებაში ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით სვანეთის ექსპედიციაში გატარებული დღეები, ნარუშლელია შთაბეჭდილება მესტიიდან უმგულამდე ადგილობრივ მცხოვრებთა დახვედრით მიღებული. საკმარისი იყო არა მარტო გამოჩენა ბატონი ზურაბისა, არამედ მისი სახელის ხსენებაც კი, რომ მასპინძელი თუ შემთხვევით შემხვედრი განსაკუთრებული პატივისცემით განწყობილიყო ჩვენ მიმართაც. სიხარულისა და სიამაყის განცდით აღვსილნი გადავდიოდით ექსპედიციის ნევრები, მაშინ ქართველურ ენათა ჯგუფის მესამეკურსელი სტუდენტები, სოფლიდან სოფელში და ვკრებდით მასალებს. ფასდაუდებელია ბატონი ზურაბის ხელმძღვანელობით წლების მანძილზე სვანეთის ექსპედიციაში მოპოვებული მასალები ქართველოლოგიისათვის.

ვულოცავ ბატონ ზურაბს 90 წლის იუბილეს. ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას ოჯახთან, საყვარელ ახლობლებთან, კოლეგებთან ერთად. კიდევ დიდხანს ელვანოს ნაყოფიერად!

პატივისცემით, პროფესორი **რუსუდან სალინაძე**
ჭუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივნისი, 2016 წელი
რიზე, თურქეთი

ზურაბ ჭუმბურიძე – 90

„არ არის, ან ძალიან ცოტაა საქართველოში ნიგნიერი ოჯახი, რომელსაც არ ჰქონდეს სადა და მიმზიდველ ნიგნთავან რომელიმე მაინც – „რა გქვია შენ?“, „დედაენა ქართული“, „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“... ამ პოპულარული ნიგნებისა და სხვა ათობით სერიოზული მეცნიერული გამოკვლევებისა და მონოგრაფიების ავტორი ზურაბ ჭუმბურიძეა – თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების გამგე, გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ბატონი ზურაბი ბრწყინვალე პედაგოგია, ჩინებული ლექტორი, შთამაგონებლად მოსაუბრე. სამაგალითოა მისი მოქალაქეობრივი სახე: გაბედული, თითქმის მოურიდებლად მართლის მთქმელი, მაგრამ ამასთანავე უაღრესად კეთილმოსურნე: მისი ცხოვრებისეული კრედოა: „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების“! თავად მუხლჩაუხრელად იღვწის მეცნიერებისა და საზოგადოების წინსვლისთვის, იღვწის შესაძური ენერგიულობითა და გადამდები ენთუზიაზმით. ის ყველაფერს ასწრებს და აკეთებს მაღალპროფესიონალურად; ამიტომ აფასებენ და უყვართ იგი. ვუსურვოთ მას სიკეთე და წარმატებები თავისი სათაყვანებელი ქვეყნის საკეთილდღეოდ“, – ასე შეაფასა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა კორნელი დანელიამ პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის მოღვაწეობა, როდესაც იგი 70 წლის გახდა. შემთხვევითი არ არის, რომ 9 ივნისს, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ორგანიზებით, მეცნიერის 90 წლის იუბილე მასშტაბურად აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც სამეცნიერო წრის წარმომადგენლები, ზურაბ ჭუმბურიძის მოწაფეები, კოლეგები, სტუდენტები დაესწრნენ. მათ პირადად მიულოცეს ამაგდარ მეცნიერს ეს მნიშვნელოვანი თარიღი და ისაუბრეს პროფესორის განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპებზე.

საზეიმო ღონისძიება თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ გახსნა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა ზურაბ ჭუმბურიძის ბიოგრაფიის ძირითადი მო-

მენტები და მეცნიერის დამსახურებაზე ვრცლად ისაუბრა: „ზურაბ ჭუმბურიძე უნივერსიტეტის იმ თაობას ეკუთვნის, რომელთაც შეგვიძლია „ოთხმოცდაათიანელები“ ვუწოდოთ. ზურაბ ჭუმბურიძე სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, წმინდა გიორგის ოქროს ჯვრით, ივანე ჯავახიშვილისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლებით, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, შიო მღვიმელის პრემიებით. ზურაბ ჭუმბურიძე 60 წელზე მეტია მოღვაწეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; არაერთი თაობის აღმზრდელი და მასწავლებელი დღესაც წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას და ასე მხნედ ეგებება თავის 90 წლის იუბილეს. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ გვეძლევა საშუალება ვისაუბროთ მის პიროვნებაზე, ღვაწლზე, მის ცხოვრებაზე და, რაც მთავარია, საშუალება მივცეთ ახალ თაობას, უშუალოდ მისგან მოისმინოს მათთვის საინტერესო საკითხებზე პასუხები“ – განაცხადა დარეჯან თვალთვაძემ.

90 წლის იუბილე ზურაბ ჭუმბურიძეს პირველმა კიდევ ერთმა 90 წლის აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ მიულოცა და მეგობართან გატარებული სტუდენტობის წლები გაიხსენა: „მე და ზურაბ ჭუმბურიძე უკვე 73 წელია ვიცნობთ ერთმანეთს, ამიტომ გასახსენებელიც ბევრი გვაქვს: ჩვენი სტუდენტობა არც ისე ადვილი იყო; დღევანდელ ახალგაზრდობას ხშირად არ აქვს წარმოდგენილი, რა რთული პერიოდი გამოვიარეთ – ჩაბნელებული თბილისი, სიცივე, გაჭირვება... და მიუხედავად ამისა, მინდა გითხრათ, რომ უნივერსიტეტში იყო სწავლა და ამავე დროს ხალისი... ზურაბი იმთავითვე საენათმეცნიერო წრის წევრი იყო. მას, როგორც სოფლიდან ჩამოსულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, ძალიან უჭირდა, მაგრამ არასდროს წუნუნებდა. ჩვენ თავიდანვე საერთო საქმემ დაგვაახლოვა – ერთად ვმსჯელობდით, ვკამათობდით, ვკითხულობდით. შემდგომში, როდესაც იგი მამას ასპირანტი გახდა, უფრო მეტად დავახლოვდით. მინდა გითხრათ, რომ მან დღემდე შეინარჩუნა ძველებური ენერჯია და საქმისადმი ინტერესი. უამრავი საინტერესო წიგნი აქვს დაწერილი, ამიტომ დღეს, 90 წლის ასაკში, მას ბევრი აქვს მოსაყოლი და გასახსენებელი. როგორც კოლეგა, თანამშრომელი და მეგობარი, ყოველთვის ვადევნებ თვალყურს მის საქმიანობას და სიამოვნებით ვულოცავ იუბილეს“, – ასე მიესალმა მზექალა შანიძე იუბილარს. როგორც ცნობილია, ზურაბ ჭუმბურიძე არაერთი უცხოელი ქართველოლოგის პედაგოგი იყო. საზეიმო ღონისძიებაზე თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა მაია ლომიამ დამსწრე საზოგადოებას გააცნო უცხოელი ქართველოლოგების მილოცვები და შეფასებები, რომლებიც იუბილარმა ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით მიიღო. ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორის, თსუ-ის საპატიო დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის ვინფრიდ ბოედერის მილოცვა: „ბატონო ზურაბ, უმჯობესი იქნებოდა, რომ 90-ე წლის იუბილეზე გულითადი მრავალჟამიერი მემღერა თქვენთვის, მაგრამ შორიდან თქვენს დღესასწაულზე შემიძლია მხოლოდ დავწერო, როგორ მანცვიფრებს თქვენი შემოქმედება. ჩემთვის ხართ ქართველ ენათმეცნიერთა ტრადიციის განსაკუთრებით შთაბეჭდავი წარმომადგენელი, ენათმეცნიერთა, რომელთაც სწადიათ ქართველოლოგიის მთელი სპექტრის მოცვა. ძველი ქარ-

თული ტრადიციის მეორე დამახასიათებელი, როგორც მე ამას თქვენს ნაშრომებში ვხედავ, არის მეცნიერების პასუხისმგებლობა ქართული ენობრივი კულტურის მიმართ საზოგადოებაში, პასუხისმგებლობა, რომელიც გამოხატულია თქვენს მრავალრიცხოვან, მეცნიერების პოპულარიზების მიზნით დაწერილ ნაშრომებში, რომელთა საფიქრალი არა მხოლოდ დედაქალაქი, არამედ ქართული სოფელიცაა. ვფიქრობ, თქვენ ორივე თვალსაზრისით მისაბადი მაგალითი ბრძანდებით ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც ვაჟკაცურად ცდილობს, არ დაეკარგოს ქართველოლოგიის მთლიანი დიაპაზონი იმ სამყაროში, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერებს ვინრო სპეციალიზებას აიძულებს, რომლის შედეგები საზოგადოებისთვის უფრო და უფრო გაუგებარი ხდება. თქვენ ამ თვალთახედვითაც იმსახურებთ ჩვენს განსაკუთრებულ მაღლიერებას, კერძოდ, გეზის შენარჩუნებისთვის, რასაც თითქმის სამოცდაათი წელია მისდევთ. და ბოლოს, გისურვებთ, რომ არა მარტო მეცნიერებაში, არამედ სასიცოცხლო ძალაშიც მიბაძოთ თქვენს მასწავლებელს, აკაკი შანიძეს, და კიდევ დიდხანს იყოთ ჩვენ გვერდით“, – აღნიშნულია ვინფრიდ ბოედერის მისალოც წერილში.

ზურაბ ჭუმბურიძეს შორეული უცხოეთიდან 90 წლის იუბილე მიულოცეს ისრაელის არიელის უნივერსიტეტის პროფესორმა რეუვენ ენობმა (რუბენ ენუქაშვილმა), ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, თსუ-ის საპატიო დოქტორმა ჰაინც ფენრიხმა. საიუბილეო ღონისძიებას დაესწრო იაპონელი ქართველოლოგი, ბატონი ზურაბის მონაფე იასუჰირო კოჯიმა, რომელმაც მაღლიერებით გაიხსენა თსუ-ში მასწავლებლის გვერდით გატარებული წლები.

ზურაბ ჭუმბურიძის 90 წლის იუბილეს მესტიის მუნიციპალიტეტის, სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმისა და მესტიის რაიონის ს. ჭუმბურის საჯარო სკოლის ხელმძღვანელებიც გამოეხმაურნენ, რომელთაგანაც იუბილარმა გულთბილი მოლოცვები მიიღო. „კავკასიის რეგიონის პირველ უმაღლეს მასწავლებელში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციად ქცეული დამსახურებული აღიარება ღვანლმოსილი მეცნიერებისა წარმოაჩინეს ერის სახეს და მისი სიცოცხლისუნარიანობის დასტურიც გახლავთ. განუზომელია ბატონი ზურაბის ღვანლი ქართველოლოგიური მეცნიერების, მათ შორის სვანური ენის კვლევისა და დოკუმენტირების საქმეში. სიამოვნებით ვეპატიჟებით ბატონ ზურაბს სვანეთში დასასვენებლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან შესახვედრად. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის იმ კონტაქტებს, რომელთაც დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი, როცა იგი, სრულიად ახალგაზრდა, აგროვებდა და იკვლევდა სვანური ზეპირსიტყვიერებისა და ზეპირმეტყველების ნიმუშებს. ვუსურვებთ ბატონ ზურაბს – არაერთი თაობის აღმზრდელსა და მასწავლებელს, სვანეთის დიდ გულშემატკივარსა და სვანური ენის მოამაგეს დიდი ხნის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას“. „თითოეული ქართველისთვის ძვირფასია ზურაბ ჭუმბურიძის სახელი ქართველოლოგიის დარგში იმ ღვანლისა და დამსახურებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ეროვნულ ცნობიერებას. დიდი აკაკი შანიძის მონაფე – ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე ნახევარ საუკუნეზე მეტია უძველეს ქართულ ხელნაწერთა ნაკვალევს მიუყვება და ქართველურ ენათა ურთულეს სტრუქტურას იკვლევს, ონომასტიკის საინტერესო სფერო-

ში მოღვაწეობს და ამ საგანძურის თანაზიარს ხდის კოლეგებს, სტუდენტებსა და ფართო საზოგადოებას. სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმისა და მესტიის მარგიანების სახლ-მუზეუმის თანამშრომელთა სახელით ვულოცავთ არაერთი თაობის აღმზრდელსა და მასწავლებელს, ბატონ ზურაბს, 90 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას“, – აღნიშნულია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სვანეთის ეთნოგრაფიული მუზეუმის მისასალმებელ სიტყვაში.

მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთვნენ სტუდენტებიც, რომლებმაც უშუალოდ მოისმინეს ზურაბ ჭუმბურიძის მოსაზრება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით: როგორ დაინერა მისი წიგნი „რა გქვია შენ“, რა სირთულეები შეხვდა მეცნიერს სვანური ენის შესწავლასთან დაკავშირებით და სხვა. „თავიდან არ ვფიქრობდი, რომ ენათმეცნიერი ვიქნებოდი, ძალიან მიყვარდა ლიტერატურა, თანდათანობით ჩემი ინტერესები ამ სფეროსკენ [ენათმეცნიერებისკენ] გადაიხარა, ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვით არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, აკაკი შანიძეს და განსაკუთრებით ნიკო კეცხოველს. რაც შეეხება ჩემი ერთ-ერთი წიგნის შექმნის ისტორიას, ასეთია: თავდაპირველად მუხრან მაჭავარიანის თხოვნით ჟურნალ „პიონერში“ ვაქვეყნებდი ისტორიებს სახელებისა და ტოპონიმების შესახებ. ეს მასალები დამიგროვდა და შემდეგში სერიოზულად მოვეკიდე ამ საქმეს. სწორედ ამ წიგნის დამსახურება იყო ჩემი პოპულარობა. ძალიან გამიმართლა, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში და შემდეგაც ისეთ გარემოში და ისეთი ადამიანების გვერდით აღმოვჩნდი, რომლებიც დამეხმარნენ წარმატების მიღწევაში“, – განაცხადა ზურაბ ჭუმბურიძემ.

იუბილარს მიესალმნენ დეკანოზი კონსტანტინე გიორგაძე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იზა ჩანტლაძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სახელით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მაია რაფავა, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, თსუ-ის ემერეტუს-პროფესორი დამანა მელიქიშვილი, ჟურნალისტი გვანჯი მანია და სხვები.

„50 წელია, რაც უნივერსიტეტში ვარ; ამ ხნის მანძილზე ზურაბ ჭუმბურიძე ჩემთვის ყოველთვის იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიდგეთ დედაენის სადარაჯოზე, როგორ უნდა ვქომაგობდეთ მას. იგი ყოველთვის, როგორც ხმალამოღებულ მებრძოლი, აუდიტორიებში თუ სხვადასხვა შეკრებებზე ხმამაღლა ამბობდა თავის სათქმელს, ასეთები ცოტანი იყვნენ. მინახავს ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე მწერალთა კავშირის დარბაზებში, უნივერსიტეტის აუდიტორიებში როგორ ასწავლიდა და იცავდა ქართულ ენას. მინახავს იგი ქართული ენის კომიტეტის კომისიის სხდომაზე... ცხოვრებაში მშვიდი და განონასწორებული პიროვნება, როდესაც ქართული ენის დაცვას ეხებოდა საქმე, ზოგჯერ წონასწორობასაც კარგავდა და ამაღლებული ტონით და დიდი შემართებით გამოირჩეოდა. იგი მაგალითად რჩება ჩვენთვის, თუ როგორ უნდა დაიცვას თავისი ენა თითოეულმა ჩვენგანმა. ადამიანებს წლები აშინებთ, მაგრამ ზურაბ ჭუმბურიძეს, როგორც თავის პედაგოგს – აკაკი შანიძეს, წლები მხოლოდ ენერგიას და

შემართებას ჰმატებს და ჩვენ ეს გვაიმედებს, რომ მომავალ საიუბილეო თარიღებს იგი ასევე მხნედ შეხვდება“, – აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა.

ღონისძიების ბოლოს ზურაბ ჭუმბურიძემ უნივერსიტეტში გატარებული წლები და თავისი პედაგოგები გაიხსენა. მან დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მისი ღვაწლის დაფასებისთვის. „თუ ჩვენმა თაობამ რაიმე ღირებულს შექმნა, ეს მხოლოდ და მხოლოდ უნივერსიტეტის პედაგოგების დამსახურებაა, რომლებიც არ იშურებდნენ ჩვენთვის არც თავიანთ ენერგიას, დროს და ხშირად სახსრებსაც კი; ამიტომ დღეს, ამ გადასახედიდან ქედს ვიხრი ჩემი პედაგოგების, განსაკუთრებით კი ნიკო კეცხოველის, ხსოვნის წინაშე, რომელთა წყალობით მე ის ვარ, რაც ვარ!“ – განაცხადა ზურაბ ჭუმბურიძემ.

შურთხია ბეროშვილი

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“

ივნისი, 2016 წელი

პროფესორ გურაბ ჭუმბურიძის
სამეცნიერო და პედაგოგიური ღვაწლის
შეფასება

„ნაწერი ჰგის უკუნისამდე“...

(ზურაბ ჭუმბურიძის ტექსტოლოგიური მოღვაწეობა)

ცნობილია, რომ წერილობითი წყაროები – წარწერები, ხელნაწერები თუ ნაბეჭდი წიგნები საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას შეიცავს მსოფლიო ცივილიზაციის თუ კონკრეტული პიროვნებების შესახებ. საუკუნეების წინ შექმნილი წერილობითი წყაროების მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებულ მეთოდოლოგიურ მიდგომას და სკრუპულოზურ ანალიზს მოითხოვს, რათა ინტერდისციპლინური კვლევისთვის საანალიზო ემპირიულ მასალად სანდო ავთენტური ტექსტი მივიღოთ; ცნობილია, რომ ტექსტები ჰუმანიტარული, სოციალ-პოლიტიკური და იურიდიული დარგის კვლევის ობიექტია, ტექსტის დადგენა კი უპირველესად ლინგვისტიკის საქმეა და დიდ შრომასთან ერთად მოითხოვს *ქვედარგების – ფონეტიკა-ფონოლოგიის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიისა* თუ *ენის ისტორიის საკითხების* ღრმა ცოდნასა და გააზრებას. ტექსტის ადრინდელი და გვიანდელი ხელნაწერების შეჯერება, არქეტიპთან მიახლოებული ტექსტის აღდგენა ფრიად საპასუხისმგებლოა, რადგან ამგვარი სამუშაოსთვის მხოლოდ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა არ არის საკმარისი. ტექსტოლოგიაში უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ **ახალ ხელნაწერში ტექსტი შეიძლება იყოს უფრო ძველი, ვიდრე უძველეს ხელნაწერში** (დანვრილებით იხ. *Д. С. Лихачев, Текстология, 1964*). ამგვარი კანონზომიერების აღქმა და გათვალისწინება მოუცილებლად თან ახლავს ტექსტოლოგიის სამუშაოს და სირთულესთან ერთად საინტერესოსაც ხდის მას. ტექსტოლოგობა პროფესია იყო უკვე ანტიკურობაში, ხოლო ელინისტურ ხანაში ალექსანდრისა და პერგამონში საკმაოდ პრესტიჟულადაც ითვლებოდა. მაშინ ტექსტოლოგებს გრამატიკოსები ერქვათ, მოგვიანებით ფილოლოგებადაც მოიხსენიებდნენ. ტექსტოლოგია დღესაც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია, ხოლო ტექსტოლოგი, ფართო გაგებით, არის ფილოლოგი და ამზადებს ტექსტს გამოსაცემად.

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის ტექსტოლოგიური საქმიანობა მისი ფართო პროფილით მოღვაწეობის ერთ-ერთი და, ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანი მხარეა. ბატონი ზურაბი მუშაობდა ძველი ქართული ტექსტების ხელნაწერებზე და ამზადებდა მათ გამოსაცემად ჯგუფთან ერთად აკად. აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით; საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ზურაბ ჭუმბურიძის აქტიური მონაწილეობა სინური მრავალთავის გამოცემის საქმეში 1959 წელს (მომზადდა თსუ ძველი ქართული ენის კათედრის წევრების მიერ). ეს გახლავთ პირველი თარიღიანი ხელნაწერი – 864 წლისა, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესასწავლად. ასევე აღსანიშნავია ბატონი ზურაბის მონაწილეობა IX-X საუკუნეთა მიჯნის „უდაბნოს მრავალთავის“ გამოსაცემად მომზადებაში, ხოლო, ბატონი აკაკის გარდაცვალების შემდეგად, ეს საქმე საბოლოოდ ბატონმა ზურაბმა გაასრულა ტექსტის რედაქტირებითა და კორექტირებით (1994 წელი).

ბატონი ზურაბი ტექსტოლოგიურ საქმიანობაში ამგვარი წრთობის, საკუთარი ნიჭის, შრომისმოყვარეობისა და არაჩვეულებრივი ენობრივი ალღოს წყალობით წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ტექსტოლოგიის განყოფილებას შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. მისი რედაქტორობით გამოიცა „ქართული ტექსტოლოგია“ (თბილისი, 2006), რომელიც ამ დარგის მეცნიერთა არაერთი თაობის ცოდნასა

და გამოცდილებას აერთიანებს. პროფ. ზურაბ ჭუმბურიძემ განსაკუთრებული ამაგი დასდო მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ნაშრომების გამოცემა-საც; კერძოდ, შეადგინა ვაჟა-ფშაველას ხუთტომეულის I ტომის, ათტომეულის I და II ტომების ვარიანტები და შენიშვნები, გამოსცა ვასილ ბარნოვის ათტომეულის V ტომი; ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ასევე ბუვიეს რომანს „ი-ზა“ (1959 წელი), რომელიც იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ფრანგულიდან ილია ჭავჭავაძის თარგმნილად მიიჩნევა. ტექსტოლოგის რთულ, მომქანცველ და ფრიად საპასუხისმგებლო საქმიანობასთან ერთად ბატონი ზურაბი ავტორია ისეთი პოპულარული გამოცემისა, როგორცაა „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“ (1975; 1983; 2000; შევსებული გამოცემა სახელწოდებით „ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები“ (2016 წელი) გასულ წელს მიიღო მკითხველმა), რომელიც მოგვითხრობს ქართული ხელნაწერების თავგადასავალს და მათ მნიშვნელობას ჩვენი კულტურის განვითარების საქმეში.

როგორც ხელნაწერი უძლებს საუკუნეებს და კაცობრიობის მეხსიერებაში რჩება სამარადჟამოდ, ასევეა ტექსტოლოგის საქმიანობაც: მას დრო ვერაფერს აკლებს, რადგან მის ღვაწლსა და დამსახურებაზე მის მიერ სიცოცხლეშთაბერილი და წიგნებად, ქრესტომათიებად აკინძული ხელნაწერები ღალადდებენ.

*პროფესორი დარეჯან თვალთვაძე
ასოცირებული პროფესორი მაია ლომია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ზურაბ ჭუმბურიძე - მწერალი და მეცნიერი

არიან მეცნიერები და არიან მეცნიერების პოპულარიზატორი მწერლები. ორივე ერთად, ერთ პიროვნებაში შერწყმული, იშვიათია. ამგვარი იშვიათობა გახლავთ ბატონი ზურაბ ჭუმბურიძე – ენათმეცნიერი და ენის შესახებ დანერგილი პოპულარული წიგნების ავტორი. გავიხსენოთ ეს გამოცემები: „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „რა გქვია შენ?“, „დედაენა ქართული“ (ცალკე სალაპარაკოა მისივე არაჩვეულებრივი ნაშრომი „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“).

ეს წიგნები შეიძლება გავაერთიანოთ რუბრიკით „**ლინგვისტიკა და ცხოვრება**“, ვინაიდან აქ ენა (სიტყვა) და ჩვენი ყოველდღიურობა მჭიდროდ არიან გადაჯაჭვულნი ერთმანეთს. წერის მანერის მიხედვით ამ წიგნების ჟანრი შესაძლოა ასე განისაზღვროს: **ფილოლოგიური ნოველები**, ვინაიდან მათში სიტყვების მოულოდნელობებით აღსავსე თავგადასავლებია მოთხრობილი. თუ ცოტა სხვა კუთხით შევხედავთ ამ წიგნებს, მათ **კულტუროლოგიური ეტიუდების** კრებულებიც შეიძლება უწოდოს კაცმა, ვინაიდან კულტურის უმრავალფეროვანეს ისტორიასაც გვაზიარებენ ისინი.

ეს წიგნები უნდა წაიკითხოს ყველამ (უმჯობესია ახალგაზრდულ ასაკში თუ მოიმოქმედებენ ამას). ისინი ძალზე აფართოებენ ჩვენს თვალსაწიერს არა მარტო ლინგვისტიკის, არამედ საზოგადოებათმცოდნეობისა და ბუნებისმეტყველების სფეროებშიც, ვინაიდან ენა, არსებითად, ამა თუ იმ ხალხის ცნობიერებაში არეკლილი მთელი სამყაროა.

ეს წიგნები ბრძოლას უცხადებენ ფილოლოგიურ დილექტანტიზმს, რომელიც ამავდროულად ბევრ სხვა სფეროში დილექტანტიზმის საფუძველიც არის.

აი, ასეთი მრავალფუნქციური, ასეთი სასარგებლო წიგნების ავტორი გახლავთ იუბილარი მწერალი და მეცნიერი.

გამოჩენილი კანადელი ენდოკრინოლოგი, სტრესების თეორიის ფუძემდებელი ჰანს სელიე ამტკიცებს, საყვარელ სფეროში დაძაბული, მაგრამ წარმატებული საქმიანობა ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრების საწინდარიაო. ბატონი ზურაბის შემხედვარემ შეუძლებელია ამ მტკიცებულების სისწორე არ ირწმუნოს! მეთაე ათეულში გადამდგარ მწერალსა და მეცნიერს არც დალლა და არც ხალისის ნაკლებობა არ ეტყობა სიტყვის მსახურების ძველებური ერთგულებით გასაგრძელებლად.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

*გერმანისტი **ლევან ბრეგაძე***

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მოყვარული და შემაყვარებელი

გარემომცველი სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღებასა და დამუშავება-სისტემატიზაციაში, მეცნიერული ცოდნის დაგროვებასა და გადაცემაში გატარებული ნაყოფიერი წლები მუდამ წრფელი და სათუთი სიყვარულით იყო გაჯერებული. სწორედ მშობლიური ენის უსაზღვრო სიყვარულით იქმნებოდა სამყაროს მეცნიერული სურათის ის ფრაგმენტი, რომელიც ზურაბ ჭუმბურიძის სახელს უკავშირდება.

წმინდა სამეცნიერო ნაშრომების პარალელურად ბატონი ზურაბი მუდამ ქმნიდა სამეცნიერო-სასწავლოსა და სამეცნიერო-პოპულარულ ტექსტებს, რომლებშიც მეტად ჩანს იგი, როგორც ენის მოყვარული და სწორედ ამ ტექსტებით ხდება ქართული ენის სხვათათვის შემაყვარებელიც.

გაცილებით ადვილია სამეცნიერო ურთიერთობა, კვლევის შედეგების გაზიარება კოლეგა მკითხველთათვის, რომლებთანაც ავტორს ინტერესთა საერთო სფერო და ცოდნის მეტ-ნაკლებად საერთო დონე აკავშირებს. სულ სხვა ამოცანის წინაშე დგება იგივე ავტორი სამეცნიერო-სასწავლო თუ სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების შექმნისას. ამ ტიპის ტექსტთა მკითხველი ნებისმიერი შეიძლება იყოს; სწორედ არასპეციალისტი მკითხველი ხდება მოკარნახე; ავტორ-მეცნიერი მთლიანად იმის ცდაშია, რომ ზუსტად განსაზღვროს მისანოდებელი ინფორმაციის მოცულობა და მისი სტრუქტურირების ეფექტური გზები, იპოვოს თხრობის ის რეგისტრი, რომელიც გადაცემულ მეცნიერულ ცოდნას ადვილად მისაწვდომს გახდის არამეცნიერი ადრესატისთვის.

ჩვენნაირი პატარა ქვეყნისა და მცირერიცხოვანი ერისათვის უმნიშვნელოვანესი იყო და არის ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ადამიანი იმ კულტურას აკუთვნებს თავს, რომელთანაც დაკავშირებულია წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, გარემოთი, აღზრდით, ტრადიციით, ენით,

რომელზეც ლაპარაკობს და აზროვნებს. კულტურის განსაზღვრება მეხსიერების მეშვეობით ძალიან გავრცელებულია ჩვენს დროში, რომელიც, როგორც ამბობენ, მეხსიერების დაკარგვითაა დაავადებული. ჩვენ მეხსიერების დაკარგვის უფლება არა გვაქვს, ეს კარგს არაფერს გვიქადის ისევე, როგორც მეცნიერული ცოდნის უგულებელყოფა. წარსულთან კავშირის განყვეტა ნაშლის ჩვენს კულტურულ იდენტობას, სხვა კულტურათა და ენათა შესახებ მეცნიერული ცოდნის გარეშე ვერ შევიგრძნობთ დედაენის უნიკალურობას. ყოველივე ამას გაცნობიერება სჭირდება, რაც მონოდებებით არ მიიღწევა. წმინდა მეცნიერულ კვლევათა შედეგები კი, მოგეხსენებათ, ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელსაც მეცნიერული პროზა შეიძლება ეწოდოს და რომელიც შემეცნებითი ხასიათითა და პოპულარული თხრობის მანერითაა ნიშანდებული.

„როგორ გაჩნდა სიტყვა“, „რა გქვია შენ?“, „ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“, „დედაენა ქართული“ – ეს ის სამეცნიერო-პოპულარული ნიგნებია, რომლებსაც ფასდაუდებელი როლი ეკისრებათ დღევანდელ დღეს, როდესაც აქტუალურია ჭიდილი მეხსიერების შენარჩუნებასა და მეხსიერების დაკარგვას შორის, როდესაც ჟარგონი და ბილნსიტყვაობა მოურიდებლად იჭრება ჩვენს ყოფასა და მწერლობაში, რომელიც ოდითგანვე ქართული სალიტერატურო ენის დასაყრდენი იყო, როდესაც მაღალ სულიერებაზე ორიენტირებულ ქართულ ლიტერატურაში მისთვის უჩვეულო და მასთან შეუთავსებელი ვულგარულობა იკიდებს ფეხს, როდესაც ვერბალური აგრესია აგრესიული ქმედების წამქეზებელი ხდება, როდესაც უცხო სიტყვები ასპარეზს ართმევენ იმავე მნიშვნელობის გამომხატველ ქართულ სიტყვებს.

ზურაბ ჭუმბურიძის ნაწერებში, ყოველ სიტყვაში, სიტყვებს შორისაც, ყველგან მშობლიური ენისა და ქვეყნის სიყვარული იკითხება. იგივე სიყვარული ასაზრდოებს ბატონი ზურაბის ზეპირ გამოსვლებს, რომლებიც, რასაც უნდა ეხებოდეს, ყოველთვის ქართულ ენაზე ზრუნვისკენ მონოდებით სრულდება. გადამდებია ეს სიყვარული, შემგულიანებელია მისი მონოდება. დიდხანს, დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ბატონ ზურაბს, ქართული ენის მოყვარულსა და სხვათათვის შემაყვარებელს!

*ასოცირებული პროფესორი სალომე ოშიაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ზურაბ ჭუმბურიძე – ონომასტიკის მკვლევარი

ზურაბ ჭუმბურიძე – თვალსაჩინო მეცნიერი, ლინგვისტი და ლიტერატორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სამეცნიერო კვლევაში სტუდენტობის ასაკიდან ჩართულა; კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების

სტუდენტისათვის პროფ. არნოლდ ჩიქობავას დაუვალება იმერეთში, მშობლიურ სოფელში, ჩაენერა და გაენალიზებინა მევენახეობის დიალექტური ლექსიკა. ზურაბ ჭუმბურიძის მოხსენებამ „მევენახეობის ტერმინოლოგია ქვედა სიმონეთში“ თსუ-ის სტუდენტთა კონფერენციაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა თვით უნივერსიტეტის რექტორისგან ბატონი ნიკო კეცხოველისგან; ავტორმა მიიღო პრემია, ხოლო ნაშრომი დაიბეჭდა თსუ სტუდენტთა შრომების III კრებულში (1948:80-87). სტუდენტი ზურაბ ჭუმბურიძის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში გარკვეულია, რომ იმერულში (კერძოდ, ქვედა სიმონეთში) ტერმინი **ვენახი** იხმარება როგორც ვაზის, ისე ვაზის ბალის მნიშვნელობითაც. აღნიშნული დასკვნა ამყარებს წლების წინ ადრინდელ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ი. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს (1943) და მოგვიანებით, რაიონების მიხედვით გამოცემულ წიგნში – „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ – განვითარებულ აზრს. ასე დაიწყო ზურაბ ჭუმბურიძის მეცნიერული მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელმაც შემდგომ ქართული ფილოლოგიის მრავალი დარგი თუ ქვედარგი მოიცვა; ერთ-ერთია მრავალმხრივ საინტერესო მიმართულება – **ონომასტიკა**. ამ დარგში ბატონ ზურაბს არაერთი სტატია თუ წიგნი აქვს მომზადებული და გამოცემული.

„დედაენა ქართული“ (1987) მნიშვნელოვანი გამოცემაა. მასში, ავტორის თქმით, სხვა საკითხებთან ერთად, „მკითხველი გაეცნობა პიროვნული სახელების, გვარების, გეოგრაფიული სახელწოდებების წარმომავლობასა და მნიშვნელობას“. „ამ წიგნში „მშობლიური ქართული ენის ბუნება და ისტორია“ გადმოცემული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „დედაენა ქართულის“ ათგვერდიანი ქვეთავი „ადგილთა ვინაობა“ (გვ. 408-417), რომელიც წარმოგვიდგენს გეოგრაფიული სახელების დარქმევის მთავარ საფუძვლებს (ე.ი. მოტივაციას): (1) ადგილმდებარეობის (რელიეფის) დახასიათებას; (2) მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა სახელებს; (3) მცხოვრებთა ვინაობის აღნიშვნას; (4) კლიმატურ პირობებს; (5) ისტორიულ მოვლენებსა და პირებს; (6) ღვთაებათა და საკულტო ობიექტთა სახელებს. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საყურადღებოა და მნიშვნელოვანი არამარტო დიდი გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებანი, არამედ ე.წ. მიკროტოპონიმებიც, რომელთა ამოსავალი ლექსიკური ერთეული სალიტერატურო ქართულში შესაძლოა აღარც დასტურდებოდეს. ამისი ერთ-ერთი მაგალითია **მერე**, რომელიც სალიტერატურო ქართულში ფართოდ ყოფილა გავრცელებული, მაგრამ დღეს მხოლოდ გურულ და აჭარულ დიალექტებშია შემორჩენილი (გვ. 413).

ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის რედაქტორობით დაბეჭდილი გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა სიები, რომლებიც შეიქმნა XIX საუკუნის შუა წლებში საგანგებო და დროებითი კომისიების მიერ. ამ შემთხვევაში ენათმეცნიერს განსაკუთრებით აინტერესებდა მაღალი სოციალური წრეების გვარსახელები და პირსახელები. წიგნი, პირობითად, ორ ნაწილად იყოფა: მეორე ნაწილში ავტორი წარმოგვიდგენს ქართული გვარსახელებისა და პირსახელების წარმოშობასა და ფუნქციონირებას, ხოლო ბოლო ნაწილში (გვ. 418-541) ენობრივი და გარეენობრივი თვალსაზრისით მიმოხილულია საქართველოს ყველა რეგიონის 400-ზე მეტი ტოპონიმი და მიკროტოპონიმი.

მნიშვნელოვანია პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის „ტოპონიმური ძიებანი“. ამ საერთო სათაურით მკვლევარი მკითხველს სთავაზობს სხვადასხვა საიუბილეო

კრებულში – „ონომასტიკაში“, თსუ შრომებში, ჟურნალ „ენათმეცნიერებაში“, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბეში – გამოქვეყნებულ ათეულობით ტოპონიმის ეტიმოლოგიას (მათგან ზოგიერთი შეტანილია „დედაენა ქართულშიც“); ასეთებია: აბისი და ბებნისი, ბახმარო, კრობანი, სუჯუნა, ჭიშურა, მალლაკი.

ზურაბ ჭუმბურიძის ავტორობით შექმნილი ნაშრომები ონომასტიკაში საჭირო და საინტერესოა როგორც სამეცნიერო, ისე ფართო საზოგადოებისათვის.

*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჰაატა ცხადაია
ქართველური ონომასტიკის ს/კ ცენტრის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ზურაბ ჭუმბურიძის „მყოფადი ქართველურ ენებში“ სამი ათეული წლის შემდეგ

ზურაბ ჭუმბურიძის მონოგრაფია „მყოფადი ქართველურ ენებში“ თსუ-ის გამომცემლობამ გამოსცა 1986 წელს. ნაშრომი ეხება მყოფადის ფორმების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებს ქართველურ ენებში (ქართულში, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში). თავდაპირველად წარმოდგენილია მომავალი დროის თხრობითი კილოს აღმნიშვნელი ფორმების – მყოფადის მწკრივების – წარმოქმნისა და განვითარების ისტორია. ამ ფორმათა გენეზისისათვის განხილულია ქართველურ ენათა ზმნის კილოსა და ასპექტის ზოგი საკითხი, რომელთა დეტალური ანალიზი აუცილებელია მყოფადის სრულყოფილი შესწავლისათვის.

როგორც ცნობილია, წერს ავტორი, ქართველურ ენათა ისტორია გვიჩვენებს, რომ დროის გრმატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა ასპექტი – დიურატიული და მომენტობრივი. ეს ორი ასპექტი საფუძვლად დაედო ორი დროის, აწმყოსა და წარსულის, გარჩევას, მომავალი დრო კი შედარებით გვიან გამოიყო (ჭუმბურიძე 1986:3). თუ აწმყოსა და წარსულის გამიჯვნა ისტორიულად ასპექტს ემყარება, წერს ავტორი, მომავალი დროის ფორმების ჩამოყალიბებას კილოს ფორმები უდევს საფუძვლად. მთავარი იყო, თხრობით კილოში მომხდარიყო ამგვარი გარჩევა; რაც შეეხება სხვა კილოებს, იქ მომავლის შინაარსი ყოველთვის წინ იყო წამოწეული: პირობა, სურვილი, ნატვრა თუ ბრძანება. თითოეული მათგანი მოქმედების შესრულებას სწორედ მომავალში გულისხმობდა. ცნობილია, რომ მსოფლიოს მრავალ ენაში მომავალი დროის აღსანიშნად სწორედ კავშირებითი კილოს ფორმებია გამოყენებული, ასე იყო ქართულშიც ისტორიულად. (ჭუმბურიძე 1986:3-4). დროთა განმავლობაში კავშირებითი და მყოფადის თხრობითი კილო სემანტიკურად მკვეთრად გაემიჯნენ ერთმანეთს და შესაბამისად მათი ფორმების გარჩევა აუცილებელი გახდა. კავშირებითის მწკრივებს შერჩა კავშირებითი კილოს გამოხატვის ფუნქცია, მომავალი დროის თხრობითი კილოსთვის კი ენაში ახალი საშუალება გამოიწახა. ეს აღმოჩნდა ზმნისწინის ფორმები, რომლებიც აწმყოს განასხვავებს მყოფადისაგან (ჭუმბურიძე 1986:4.). ამასთანავე, ზმნისწინმა იტვირთა სრული ასპექ-

ტის მნიშვნელობის გამოხატვა, რამაც საერთოდ ძირეულად შეცვალა I სერიის ფორმთა ფორმობრივი და სემანტიკური მნიშვნელობები.

ასპექტი ძველ ქართულშიც გვექონდა, მაგრამ ის მიეკუთვნებოდა უღლების კატეგორიას. დღეს კი ის წარმოქმნის კატეგორიას. ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა ერთბაშად ვერ მოხდებოდა. მას გრძელი ისტორია აქვს: ის ხდებოდა ნელ-ნელა და თანდათანობით, ამიტომ XI-XIII საუკუნეების ძეგლებში გვერდი-გვერდ შეიძლება ძველი სისტემის ნიმუშიც იყოს და ახლისაც (აკ. შანიძე, *ქართული ენის გრმატიკის საფუძვლები*, 1953:268-269). მყოფადის წრის მწკრივთა წარმოქმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ასპექტის ახალ სისტემასთან. ამიტომ, რომ აღნიშნულ ნაშრომში ასე ვრცლად და სრულყოფილად არის გადმოცემული ასპექტის კატეგორიის ცვლილებისა და იმ თავისებურებების შესახებ მსჯელობა, რაც ახალ ქართულს განასხვავებს ძველი ქართულისაგან. ეს ორი პროცესი – ასპექტის კატეგორიის სახის ცვლილება და მყოფადის წრის ფორმების წარმოება, პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის აზრით, ერთდროულად ხდებოდა და, ამდენად, ამ პროცესების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაანალიზება არასრულყოფილ სურათს მოგვცემდა. ეს აქვს მხედველობაში ავტორს, როდესაც წინამდებარე მონოგრაფიის პირველ თავში დანვრილებით განიხილავს ასპექტთან დაკავშირებულ საკითხებს და მეტად საინტერესო დასკვნებს გვანვდის; წარმოდგენილია მასალები ასპექტის შესწავლის ისტორიიდან, განხილულია ასპექტი ძველ ქართულში. საინტერესო მსჯელობაა ზმნისწინის ფუნქციის სახეცვლილების შესახებ. როგორც ცნობილია, ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქცია იყო მიმართულების აღნიშვნა, შემდეგ გამოყენებულ იქნა ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად, ბოლოს კი მან იკისრა სრული ასპექტის გამოხატვა. თუ რატომ შეიძინა ზმნისწინმა ეს ფუნქცია, ავტორი ამ პროცესის ასახსნელად ა. მეიეს მოსაზრებას იშველიებს და დამაჯერებელ დასკვნებს გვთავაზობს. მისი აზრით, ძველ ქართულში, ვიდრე ზმნისწინი სრული ასპექტის გამომხატველი გახდებოდა, იგი აღნიშნავდა მოქმედების „განსაზღვრულობას“, ან რაღაც ამის მსგავს ფუნქციას ატარებდა და ზმნას მეტ კონკრეტულობას ანიჭებდა. უამისოდ ძნელი ასახსნელია, რატომ გვხვდება ზმნისწინი ძველ ქართულში ისეთ ზმნებთან, სადაც იგი არც მიმართულებას აღნიშნავს და არც ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის. ამავე დროს, ზოგი ასეთი ზმნა საერთოდ არ იხმარება უზმნისწინოდ. ეს ეხება განსაკუთრებით **-ნ/-დ** სუფიქსიან ვნებითი გვარის ზმნებს II სერიაში: გან-თენა, გან-რისხნა, გან-სივნა, შე-წუხნა, და-ბრკოლდა, და-ავინყდა, მო-კუდა, შე-ძრწუნდა და სხვ. აღნიშნული ზმნები უზმნისწინოდ არ იხმარება. ზმნისწინი მიმართულებას არ გამოხატავს და არც ლექსიკურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. ზმნისწინის დართვა, ასკვნის ავტორი, ასეთ შემთხვევაში უკვე ძველ ქართულში ერთგვარი ასპექტური ნიუანსის გამოხატვასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (ჭუმბურიძე 1986:19). აქვე მოცემულია საენთემეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ უწყვეტი და წყვეტილი მხოლოდ ზმნისწინით განირჩეოდა ქართულის დონიან ვნებითში და სვანურშიც. ეს კი მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, თუ ზმნისწინს ასპექტის წარმოების შესაძლებლობა ძველ ქართულშივე მოეპოვებოდა (ჭუმბურიძე 1986:19). ზმნისწინმა სრული ასპექტის წარმოების უნარი თანდათანობით შეიძინა, ჯერ გარკვეულ ზმნებში გავრცელდა, ხოლო შემდეგ მთელი სისტემა შეცვალა და ახალ ქართულში ზმნისწინი ასპექტის გამოხატვის ძირითად საშუალებად იქცა; თუმცა, საკითხი ასე მარტივად არ წყდება. ავტორს

აღნიშნული აქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც გვხვდება სხვადასხვა სახის გამონაკლისი და თავს იჩენს ისეთი სემანტიკური ნიუანსები, რომელთა გვერდის ავლა არ ხერხდება. მაგ.: განგრძობითობა - წყვეტილობა, ერთგზისობა - მრავალგზისობა, რომლებიც ავტორს მიაჩნია ასპექტის კატეგორიის გარკვეულ ვარიაციად, რაც მსოფლიოს მრავალი ენისთვის არის დამახასიათებელი და ამგვარ მოვლენებს ქართულად მოქმედების სახეს უწოდებს (Aktionsart – способ действия). მოქმედების სახეები არ შეიძლება გავაიგივოთ ასპექტთან, – წერს ავტორი, ისინი გამოიყოფა მხოლოდ სემანტიკური მსგავსების საფუძველზე. იგი ცალკე ასპექტს არ წარმოადგენს, მაგრამ საინტერესოა ასპექტის კატეგორიასთან მიმართების თვალსაზრისით. ეს არის ასპექტის სემანტიკური სახესხვაობა, ანუ მოქმედების სახე. ჩვენ გვსურდა გვეჩვენებინა, წერს ავტორი, რომ ქართულში არსებობს ზმნათა სემანტიკური ჯგუფები, რომელთა შინაარსი გარკვეულ გავლენას ახდენს ასპექტის გამოხატვაზე. ეს ჯგუფები კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც მოქმედების სახე (Aktionsart, способ действия) (ჭუმბურიძე 1986: 35). აღნიშნული საკითხის ამგვარი გადანყვეტა უაღრესად საინტერესო და საგულისხმოა.

ნაშრომში ასევე განხილულია ასპექტის გამოხატვის პროცესები მეგრულ-ჭანურსა და სვანურში. განხილულია სათანადო მასალა, რის საფუძველზეც ავტორი შემდეგ დასკვნას წარმოგიდგენს: ასპექტის ძველი სისტემა ყველა ქართველურ ენაში შეიცვალა, მაგრამ არათანაბარი ტემპით. ამის შედეგია ის განსხვავებები, რაც ქართველურ ენათა შორის გვაქვს, მაგრამ განვითარების ტენდენციები ყველგან ერთნაირია. ასპექტის სისტემის შეცვლამ არსებითი როლი შეასრულა მყოფადის მწკრივთა ჩამოყალიბებაში (ჭუმბურიძე 1986 : 45).

ავტორი ასევე წარმოადგენს მომავალი დროის სემანტიკის გამოხატვის ყველა შემთხვევას ძველ ქართულში; მომავალი დროის თხრობითი კილოს გადმოსაცემად გამოიყენებოდა: 1. კავშირებითი პირველი და მეორე; 2. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია; 3. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მეშველ ზმნასთან ერთად, ე. წ. მასდრული კონსტრუქცია; 4. ხოლმეობითის მწკრივები, განსაკუთრებით II ხოლმეობითი.

როგორ მოხდა ახალი სისტემის ჩასახვა და გავრცელება ენაში? ხოლმეობითის მწკრივები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ძველი ქართული ენისათვის, თანდათანობით გამოვიდა ხმარებიდან და ახალ ქართულში მხოლოდ ორიოდ დიალექტს შემორჩა. ახალ ქართულში აღარ გვხვდება მასდარული კონსტრუქცია. ასე რომ, მყოფადის გამოხატვის ეს საშუალებანი ენაში კარგა ხანია აღარ მოქმედებენ. მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოხატვის ფუნქცია დაკარგეს აგრეთვე კავშირებითის მწკრივებმა. სამაგიეროდ, ეს ფუნქცია იკისრა ზმნისწინიანმა ანმეომ, რომელმაც ცალკე მწკრივის სახე მიიღო“ (ჭუმბურიძე 1986: 53, 54). ავტორის აზრით, ეს პროცესი ენაში ერთბაშად არ განხორციელებულა, მყოფადის ახალი სისტემის ჩანასახები იყო ძველ ქართულშიც. ასევე, დღემდე ვხვდებით ძველი სისტემის კვალს მომავალი დროის გადმოსაცემად. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია მყოფადის ფორმები უკუთქმით ბრძანებითში, განსაკუთრებით „ნუ“ ნაწილაკიანი ფორმები. ავტორის აზრით, პირველად სწორედ ასე გამოიხატა მყოფადის შინაარსი ზმნისწინიანი ანმეოს ფორმებით. ეს პროცესი ჩანს უძველეს წერილობით ძეგლებში, მაგრამ მყოფადზე, როგორც ცალკე მწკრივზე, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საანალიზო ზმნისწინიანმა ფორმებმა მომავალი დროის გაგება თხრობით კილოში შეიძინეს, რაც IX საუკუნის ძეგლებში დასტურდება (ჭუმბურიძე 1986 : 64).

ავტორი განიხილავს ასევე მყოფადის მწკრივზე დამოკიდებულ ხოლმეობითს, მყოფადის კავშირებითს და აღნიშნავს, რომ ეს მწკრივები ყველაზე გვიანაა ჩამოყალიბებული (ჭუმბურიძე 1986:85). უაღრესად საინტერესოა და მნიშვნელოვანი იმავე საკითხების გაანალიზება ქართული ენის დიალექტებისა და ქართველური ენების მასალაზე. ცალკე თავები ეძღვნება მყოფადის წარმოებას მეგრულში, ჭანურსა და სვანურში. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ქართველურ ენებს – მეგრულ-ჭანურსა და სვანურს მომავალი დროის გამოხატვის მხრივ ისტორიულად იმავე გზა უნდა ჰქონდეთ გავლილი, რაც ქართულს (ჭუმბურიძე 1986 : 217). აღნიშნულ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. იგი კიდევ ერთხელ გახაზავს ქართველური ენების ნათესაობასა და მათს წარმომავლობას ერთი საერთო ენიდან.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვიდან, ვფიქრობთ, ნათელია, რომ ზურაბ ჭუმბურიძის მონოგრაფია „*მყოფადი ქართველურ ენებში*“ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომელსაც სამი ათაეული წლის შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი პირვანდელი ღირებულება და ქართველური ენების მკვლევართათვის სამაგიდო წიგნს წარმოადგენს.

*ემერიტუს-პროფესორი მერი ნიკოლაიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

დედაენის მაღლით ცხებული – პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე

ხშირად იმეორებენ დიდი ილიას სიტყვებს: „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკაო“, მაგრამ საქმით ამის საწინააღმდეგოდ იქცევია. ისინი ენობრივი ნორმებისადმი უაღრესად პურისტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ და ერთხელ დაკანონებულის შესწორება ეძნელებათ, რადგან უჭირთ იმის გაგება, რომ ცოცხალი ენა ვითარდება და იცვლება. ენათმეცნიერული ალლო, პროფესიონალიზმი და ნოვატორული აზროვნება ენის ცვლილებებისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებაში ვლინდება. სწორედ ასეთი მეცნიერია პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე, რომლის მოღვაწეობა უაღრესად მრავალმხრივია. გარდა ენათმეცნიერული პრობლემების თეორიული კვლევისა, ის დიდ დროს უთმობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და პრაქტიკული სტილისტიკის საკამათო საკითხებს.

ჯერ კიდევ 1956 წელს გამოვიდა ზურაბ ჭუმბურიძის წიგნი „ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები“, რომელშიც განხილულია ბევრი საინტერესო საკითხი: სალიტერატურო ენის ხალხურობისთვის, სალიტერატურო ენა და პერსონაჟთა მეტყველება, ენობრივი კოლორიტი ისტორიულ რომანში (კ. გამსახურდიას რომანების მიხედვით), „არსენა მარაბდელის“ ენობრივ-სტილისტიკური ეტიუდი. საგულისხმოა მეცნიერის სიტყვები: „ხალხურობა წარმოადგენს სალიტერატურო ენის არსებობისა და განვითარების საფუძველს, მის ძირითად პრინციპს... სალიტერატურო ენამ უნდა მისდიოს სასაუბრო

ენის განვითარებას, უნდა შეითვისოს ხალხის მეტყველებითი კულტურის მიღწევები, უნდა გამოავლინოს ის საუკეთესო თვისებები, რაც ცოცხალ მეტყველებას მოეპოვება აზრის უფრო ზუსტად, სწორად და ემოციურად გამოსატქმელად“ (ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956: 9).

საყურადღებოა მეცნიერის მოსაზრება ენის ნორმირების შესახებაც: „თუკი ესა თუ ის მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენა გზას იკაფავს მთელი ხალხის სასაუბრო მეტყველებაში, შეუძლებელია საბოლოოდ იგი სალიტერატურო ენაშიც არ შეიჭრას“ (იქვე, გვ. 64).

პრაქტიკულ სტილისტიკას ეძღვნება პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის სახელმძღვანელო მე-11 კლასისათვის (თანაავტორი როზა გაბეჩავა). მასში ავტორებმა ჩვეული სიმსუბუქით, გასაგები და პოპულარული ენით გადმოსცეს სკოლის მოსწავლეებისათვის საკმაოდ რთული საკითხები: მხატვრული მეტყველების ხერხები და საშუალებები, სინტაქსური ხერხები, სტილისტური ხარვეზები, გრამატიკული სინონიმის ზოგიერთი საკითხი, სიტყვათა განლაგება წინადადებაში, შერწყმული და რთული წინადადებების სტილისტური ფუნქცია, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სტილისტური თავისებურებანი, ფუნქციური სტილის გამოყენება და დანიშნულება, მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი და სხვ. ამას გარდა, ყურადღება მიაქცევს თავაზიანობის ენობრივ გამოხატულებას, ევფემიზმებსა და ვულგარიზმებს.

ზურაბ ჭუმბურიძე სამეცნიერო წერილებში სხვადასხვა დროს მრავალ პრობლემურ საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას. ასეთებია: პერსონაჟთა მეტყველების თავისებურება მხატვრულ ტექსტებში (1951), ენის ბუნებრიობის დაცვის აუცილებლობა მხატვრულ თარგმანში („მნათობი“, 2, 1957; „ცისკარი“, 2, 1959), თარგმანის ადეკვატურობა და ენის დახვეწილობა (1975), თარგმანის მიმართება სალიტერატურო ენასთან (2009), პრესის ენის მართებულობა და სრულყოფა („სალიტერატურო ენა და მწერლობა“, თბ., 1962), საბავშვო ლიტერატურის ენა („ლიტერატურული წერილები“, თბ., 1975) და კიდევ მრავალი სხვა.

ცალკე შევჩერდებით რამდენიმე საყურადღებო წერილზე, რომლებშიც პროფ. ზურაბ ჭუმბურიძემ გამოყო ქართული ენის მართლწერის საკამათო საკითხები: **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბ., 1976); **პასუხობს** და **უპასუხებს?** (ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 2, თბ., 1979); ერთი ქართული სიტყვის მართლწერის შესახებ (ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1, თბ., 1983).

1993-1994 წლებში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდებოდა წერილები სათაურით „მოვუაროთ ქართულ ენას“ (ე. ბაბუნაშვილის, კ. დანელიას, ბ. ჯორბენაძის თანაავტორობით; 13.04.1993; 05.06.1993; 19.06.1993; 07.07.1993; 06.10.1993; 10.12.1993; 10.03.1994). ავტორები გულისტკივილით განიხილავდნენ ქართული ენის წინაშე მდგარ პრობლემებსა და ტიპობრივ შეცდომებს; აღსანიშნავია წერილი „ვინ არის და ვინაა“ (დედაენის სინმინდისათვის) (გაზ. „თბილისი“, 30 XII, 1974)¹. 1996 წელს ზურაბ ჭუმბურიძემ ყურადღება მიაქცია პუნქტუაციის მტიკვნეულ საკითხებსაც: მძიმეების ჭარბ და არასწორ გამოყენებას პრესაში („მძიმეების ნიაღვარმა წალეკა პრესის ფურცლები“; გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, 12 (17), დეკემბერი, 1996).

1 ამ საკითხზე ქვემოთ შევჩერდებით.

ჩამოთვლილთაგან ზოგიერთი დღესაც საკამათოდ რჩება. მაგალითად, **-ავ** და **-ამ** თემისნიშნის ზმნათა უღლება პირველ თურმეობითში. როგორც ცნობილია, ნორმის მიხედვით, ამ ტიპის ზმნებში თემის ნიშანი შენარჩუნებული უნდა იყოს: უნახავს, უთქვამს, დაუხატავს. ზურაბ ჭუმბურიძემ კარგა ხნის წინ გამოთქვა აზრი, რომ პირველ თურმეობითში **-ავ/-ამ** თემისნიშნის ფორმების პარალელურად დასაშვები უნდა იყოს **-ია** დაბოლოებიანიც (უნახია, უთქვია, დაუხატია). მეცნიერს მოჰყავს ბევრი საყურადღებო არგუმენტი თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად და აღნიშნულ ფორმებს არ მიიჩნევს დიალექტურად, რადგან საყოველთაოდ გავრცელებულია როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ მეტყველებაში. მეცნიერის აზრით, დროთა განმავლობაში თავისთავად გამოვლინდება, საბოლოოდ რომელს მიანიჭებს ხალხი უპირატესობას.

პასუხობს თუ **უპასუხებს** ტიპის ზმნების შესახებ ბატონმა ზურაბმა ჯერ კიდევ 1967 წელს გამოთქვა აზრი (მყოფადის წარმოებასთან დაკავშირებით), 1979 წელს ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (№2) ამ საკითხს უძღვნა საგანგებო ნერილი, რომელიც შემდეგ დაიბეჭდა ნიგნში „მადლი დედაენისა“ (1982). 2007 წელს მეცნიერი კიდევ დაუბრუნდა აღნიშნულ პრობლემას ნერილში „ყველას მაგივრად თქვენ რატომ მპასუხობთ?“ (კრებ. „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, თბ., 2007:95-102) და მიმოიხილა სხვადასხვა მეცნიერის – გ. შალამბერიძის, ვ. კალანდაძის, გ. შეთეკაურის – მოსაზრებანი. როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, ანმყოში მართებულია **უპასუხებს**, ხოლო **პასუხობს** უკუგდებულია, მიუხედავად იმისა, რომ **უპასუხებს** ვერ განასხვავებს ანმყოსა და მყოფადის ფორმებს. პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე მხარს უჭერს ანმყოში **პასუხობს**, **ჰკარნახობს**, **საყვედურობს** და სხვ. ფორმათა მართებულობას და მოჰყავს სათანადო არგუმენტები: ხალხურ მეტყველებაში გავრცელებულობა, ანმყოსა და მყოფადის ფორმათა დიფერენცირების უნარი, ორაზროვნების დაძლევის შესაძლებლობა და ობიექტური პირის ნიშნების შეგუება (მაგ.: მპასუხობს, გპასუხობს), რაც მათ კიდევ უფრო მოქნილს ხდის.

ასევე უნდა შევხვით დისკუსიას, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა: 1962 წლიდან 1982 წლამდე. პირველად ნერილები იბეჭდებოდა გაზ. „თბილისის“ ფურცლებზე, შემდეგ კი გაგრძელდა ალმანახ „განთიადში“. ნერილი ეხებოდა მეშველი ზმნის გამოყენების მონესრიგებას: ვინ არის თუ ვინაა? ეს საკითხი სადისკუსიოდ წამოაყენა მ. მამულაშვილმა, რომელსაც შემდეგ მხარი დაუჭირა ალ. ფოცხიშვილმაც. ზურაბ ჭუმბურიძისა და ივანე იმნაიშვილის პირველი ნერილი ამის პასუხად დაიბეჭდა 1974 წელს გაზ. „თბილისში“¹. 1977 წელს კამათში ჩაერთო ლ. კიკნაძე ალმანახ „განთიადის“ ფურცლებზე.

აღნიშნული დისკუსია არის საბუთი იმისა, თუ როგორი პრინციპული, ღრმა და დასაბუთებული უნდა იყოს სამეცნიერო მსჯელობა, დამყარებული ენობრივი ფაქტების ღრმა და საფუძვლიან ანალიზზე. პროფ. ზურაბ ჭუმბურიძისა და ივანე იმნაიშვილის ნერილებში იგრძნობა დიდი პასუხისმგებლობა, ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტთა მონაცემების ღრმა ანალიზი, დასკვნების განმტკიცება მდიდარი საილუსტრაციო მასალით და სამეცნიერო ეთიკის წესების დაცვა, რომ ოპონენტებისთვის არ მიეყენებინათ შეურაცხყოფა. მეცნიერებმა მოახერხეს ბოლომდე საკუთარი პრინციპების ერთგულნი ყოფილიყვნენ და ღრმად გაეაზრებინათ ენის განვითარების მთელი პროცესი.

1 1971-1975 წლებში მ. მამულაშვილმა აღნიშნულ პოლემიკას უძღვნა ხუთი ნერილი.

ბოლოს კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის დამოკიდებულება სალიტერატურო ენის ნორმებისადმი შემოქმედებითი, ნოვატორული და არაპურისტულია. მან კარგად იცის, რომ ამა თუ იმ ნორმის დასადგენად ან შესაცვლელად გადამწყვეტი უნდა იყოს ხალხში გავრცელებული ფორმები, თუნდაც ისინი ენის გრამატიკული წყობის მიხედვით არამართებული ჩანდეს.

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ენის მოვლა სეზონური სამუშაო არ გახლავთ, რომ მას კამპანიური ხასიათი ჰქონდეს. ენას განუწყვეტელი ყურადღება და ზრუნვა სჭირდება“.

მოფუაროთ დედაენას – ჩვენს უტყუარ იარაღს, რომელიც წინაპრებმა ყველაზე ძვირფას განძად ჩაგვაბარეს. ჩვენც ვალდებული ვართ ასევე მოვლილი და დაფერილი გადავცეთ იგი მომავალ თაობებს“ (იხ. მადლი დედაენისა, თბ., 1982:15).

*ასოცირებული პროფესორი რუსუდან ზექალაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ფოლკლორული თვალსაზრისით

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო ფილოლოგიური მამართულების მრავალ დარგს მოიცავს. ღვანლმოსილი მეცნიერი მრავალი ათეული წელია იკვლევს ქართული ფილოლოგიის ისეთ დარგებს, როგორცაა ქართული სალიტერატურო ენის ისტორია და სტილისტიკა, ონომასტიკა, ეტიმოლოგია და ტოპონიმიკა, ტექსტოლოგია და ლიტერატურის ისტორია, ქართული ენის მორფოლოგია და სინტაქსი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართველური ენების, გამორჩეულად კი, სვანური ენის კვლევის საქმეში. ქართული ფილოლოგიით დაინტერესებული ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ზურაბ ჭუმბურიძის შრომებს. მისი მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები ქართული მეცნიერების დიდი შენაძენია.

როგორც ფოლკლორისტმა, მინდა ყურადღება გავამახვილო ფოლკლორისტიკის სფეროში ბატონი ზურაბ ჭუმბურიძის მიერ განეულ ღვაწლსა და ამაგ ზე, კერძოდ, ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებასა და პუბლიკაციაზე. ფოლკლორისტიკა ჰუმანიტარული მეცნიერების განსაკუთრებული დარგია, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს მეცნიერების სხვადასხვა დარგთან, როგორებიცაა: ენათმეცნიერება, ეთნოლოგია, პოეტიკა, ლიტერატურის თეორია და ისტორია. ფოლკლორული ტექსტების კვლევაში აუცილებელია მოსაზღვრე სამეცნიერო დისციპლინების მონაცემებისა და კვლევის შედეგების გათვალისწინება. თავის მხრივ, მეცნიერების სხვადასხვა დარგი ფოლკლორულ ნაწარმოებს განსხვავებული კუთხით განიხილავს. ასე მაგალითად, ენათმეცნიერება ხალხურ ტექსტს შეისწავლის სტილისტური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ როგორც ფოლკლორისტიკისთვის, ისე დიალექტოლოგიებისა და ზოგადად ლინგვისტიკისთვის უაღ-

რესად მნიშვნელოვანია ხალხური ტექსტების მოძიება-შეკრება. შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშების ერთ-ერთი პირველი შემკრებნი სწორედ ენათმეცნიერები იყვნენ. მართალია, ფოლკლორული ნაწარმოები რეალურად შესრულების პროცესში არსებობს, მაგრამ, თუ ის წერილობით არ დაფიქსირდა, მაშინ შეიძლება ტექსტი დავინწყებას მიეცეს და სამუდამოდ დაიკარგოს.

საქართველოში, დამწერლობის უძველესი ტრადიციების ქვეყანაში, ისევე, როგორც მსოფლიოში, ფოლკლორული ნიმუშების სისტემური ჩანერა და პუბლიკაცია, სამწუხაროდ, დაინწყეს გვიან, მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევრიდან. შესაბამისად, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, როგორი იყო ქართული ფოლკლორის ჟანრული შედგენილობა უფრო ადრეულ საუკუნეებში. ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული დღემდე ქართული მწერლობის, კულტურისა და მეცნიერების სახელოვან წარმომადგენლებს გააზრებული ჰქონდათ ფოლკლორული ნიმუშების, როგორც ეროვნული სულის გამომხატველი სიტყვიერი ტექსტების, მოძიება-შეკრების უდიდესი როლი და მნიშვნელობა.

ზურაბ ჭუმბურიძემ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. შემკრებლობითი მიმართულებით მისი ინტერესის სფეროს სვანური ხალხური ტექსტები წარმოადგენდა. იმ დროს სვანეთში ჯერ კიდევ კარგად იყო დაცული ტრადიციული, არქაული ყოფის ელემენტები და, ამდენად, მკვლევარს ფოლკლორული ნიმუშების მოძიება-გამოვლენის უფრო მეტი საშუალება ჰქონდა. გასული საუკუნის I ნახევარში სვანური ენის ლენჯერულ, ლაშხურ, ლენტეხურ, ბალსზემოურ და ბალსქვემოურ კილოებზე ხალხურ ტექსტებს ინერდენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ა. შანიძე, ე. გაბლიანი, მ. გუჯეჯიანი, მ. ქალდანი და სხვები. უფრო ადრე კი სვანური სიძველენისა და ფოლკლორის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბ. ნიჟარაძემ, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა.

უნდა ითქვას, რომ ზურაბ ჭუმბურიძემ ღირსეულად გააგრძელა წინამორბედ მკვლევართა და ზეპირსიტყვიერების შემკრებთა სახელოვანი ტრადიციები. იგი ბევრჯერ იყო სამეცნიერო მივლინებით სვანეთში, განსაკუთრებით ლენტეხური კილოს მასალების შესაგროვებლად. ზურაბ ჭუმბურიძემ სავსე მუშაობისას მოიპოვა უაღრესად მნიშვნელოვანი და მდიდარი ფოლკლორული მასალა. პატივცემული მეცნიერის მიერ ჩანერილ ფოლკლორულ ნიმუშებს განსაკუთრებულ ღირებულებას ჰმატებს ის გარემოებაც, რომ დღეს თითქმის შეუძლებელია ცოცხალ ყოფაში ამ მასალის პოვნა-მოძიება. იმ მთქმელ-შემსრულებელთა უმრავლესობა, რომელთაგანაც ზურაბ ჭუმბურიძე ხალხურ ტექსტებს ინერდა, დღეს ცოცხალი აღარ არის. შესაბამისად, დავინწყებას მიეცა არა მხოლოდ რომელიმე ფოლკლორული ნაწარმოები, არამედ ხალხური რეპერტუარიდან ამოვარდა მთელი რიგი ჟანრებიც.

ზურაბ ჭუმბურიძეს 1951 წელს, 26 წლის ასაკში, ჩაუწერია თემატურად მდიდარი სვანური ფოლკლორული მასალა, რომელიც გამოირჩევა ჟანრული მრავალფეროვნებით. მათ შორის ფოლკლორისტული თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია რელიგიურ-მითოლოგიური და საოჯახო საქმიანობის ამსახველი ტექსტები, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ზღაპრები. სვანური ენით დაინტერესებულ მეცნიერს ლენტეხელი ქიშვარდი ბენდელიანისგან ჩაუწერია რელიგიური შინაარსის სანესჩვეულებო ტექსტები: „ქრისტემ“, „მეისარობ“; ამავე

ჟანრს განეკუთვნება „კალანდა“ (ინფორმატორები – შურა და შოთა ლიპარტელიანიები), „ფუსტ“ ლიტაბლიელ“ (ინფორმატორები – სპირიდონ ბენდელიანი და კირილე ჩანქსელიანი). საოჯახო საქმიანობასა და წეს-ჩვეულებებს ასახავს ხალხური ტექსტები: „ოჯახ“, „ლიკანი“, „ლიარაყი“, „ლახხო ლიმგზარაჟ“, რომლებიც ზურაბ ჭუმბურიძეს, ასევე, 1951 წელს ჩაუნერია შურა და შოთა ლიპარტელიანებისგან. უაღრესად მაღალი ღირებულება აქვს მეცნიერის მიერ ველზე მოპოვებულ სვანურ მითოლოგიურ გადმოცემებს, როგორებიცაა: „თარიგზელი ლადვამი ლიგემ“, „მეთხუარ გულბან“, „ლახვხო ლიზი“. ვფიქრობ, საზღაპრო ეპოსის მნიშვნელოვანი შენაძენია ზურაბ ჭუმბურიძის ჩანერილი სვანური ზღაპრები: „მაულ“, „გიცლად ი მავლუდ“, „კუპრიელოდ“, „მეჩი თხერე“, „სემი ლავდილა“, „ჩხარა ლახვბა“, „მეთხუარ ლახვბა“, „დევის“, „ბალაყანტრ“ და სხვები.

ზურაბ ჭუმბურიძის მიერ მოძიებული და შეკრებილი ზეპირსიტყვიერი მასალა, რამდენადაც იგი გამოირჩევა სანდოობითა და მაღალი მეცნიერული ღირებულებით, დაიბეჭდა დამხმარე სახელმძღვანელოში – „სვანური ენის ქრესტომათია“. ის 1978 წელს ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა. კრებულში, ზურაბ ჭუმბურიძის მიერ ჩანერილ ფოლკლორულ მასალასთან ერთად, შესულია ა. შანიძის, მ. გუჯეჯიანის, ა. ონიანის, მ. ქალდანისა და ს. გულედანის შეკრებილი ზეპირი ტექსტებიც. წიგნი მრავალმხრივ არის საყურადღებო. მასში ნამდვილად ნახავს საჭირო მასალას ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი. მიმაჩნია, რომ „სვანური ენის ქრესტომათიას“ აუცილებლად უნდა დაერთოს თარგმანი ქართულ ენაზე, რათა სვანური ზეპირსიტყვიერება, სვანების ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ხალხური ტექსტები, მკითხველთა ფართო წრისათვის გახდეს ხელმისაწვდომი.

ბატონმა ზურაბმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული ანდაზების შესწავლის, პოპულარიზაციისა და გამოცემის საქმეს („ქართული ანდაზები“, თბილისი, 1965, შესავალი წერილი და რედაქცია ზურაბ ჭუმბურიძისა). ანდაზა მნიშვნელოვანი ენობრივი ფენომენია, რომელშიც უდიდესი ცხოვრებისეული სიბრძნეა ჩაქსოვილი; მასში კოდირებულია ერის მენტალიტეტი: „ანდაზების კრებული მხატვრული ფორმით ჩამოსხმული მორალური კოდექსია ხალხისა“ (გვ.3).

ერთი წერილი ვერ დაიტევს იმ დიდ ამაგს, რომელიც ზურაბ ჭუმბურიძეს მიუძღვის მეცნიერების წინაშე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მკვლევარს, სვანური ენის უბადლო სპეციალისტს, ზეპირსიტყვიერების შემკრებსა და სტუდენტთა მრავალი თაობის აღმზრდელ პროფესორს. ვულოცავ ბატონ ზურაბს დაბადებიდან 90 წლის იუბილეს, ღმერთმა ბევრი შეაძლებინოს ჩვენი ქვეყნისა და უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ!

*ასოცირებული პროფესორი ხვთისო მამისიმედიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ლინგვისტური თვალსაზრისით

...ჩემი მხრით დიდი კადნიერება იქნებოდა ქართველოლოგიაში, თუნდაც სვანური ენის კვლევის საქმეში, ზურაბ ჭუმბურიძის ღვანლისა და დამსახურების შეფასების მცდელობა. მე მხოლოდ მის მიერ სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება-დამუშავების მიმართულებით განეულ მუშაობას მინდა შევეხო. ზურაბ ჭუმბურიძის საენათმეცნიერო მოღვაწეობის ეს მონაკვეთი მეცნიერის მრავალპროფილიან მემკვიდრეობაში, ერთი შეხედვით, შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; სინამდვილეში კი მის მიერ სავსე მუშაობის პირობებში მოპოვებული მასალა ფასდაუდებელი განძია არა მარტო ენათმეცნიერული, არამედ ფოლკლორული და ეთნოლოგიური თვალსაზრისით.

კარგად ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სანდო ემპირიულ მასალას საენათმეცნიერო კვლევისათვის, განსაკუთრებით, თუ ეს მასალა უმწერლობო ენების მონაცემებია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1978 წელს გამოცემულ „სვანური ენის ქრესტომათიაში“ გამოქვეყნებული, ზურაბ ჭუმბურიძის მიერ გასული საუკუნის 50-იან წლებში ქვემო სვანეთში ლენტეხურ დიალექტზე ჩანერილი ორმოცდაათამდე ტექსტი მართლაც რომ დიდი ღირებულების მქონე მასალაა ქართველურ ენებში მომუშავე მეცნიერთათვის (საინტერესოა, რომ ზოგიერთი მათგანი მეცნიერს 70-იან წლებში იმავე მთქმელებთან გადაუმონებია: ალბათ, ზოგი მონაცემის ხელახლა დასაზუსტებლად, ასევე, ოც წელიწადში ენაში მომხდარი ცვლილებების დასაფიქსირებლად). პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს მასალა ლენტეხურია, რადგანაც ქართველურ ენათა შორის ძლიერი რედუქციით გამორჩეულ სვანურ ენაში ეს ერთადერთი დიალექტია, რომლისთვისაც აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა თითქმის უცხოა. ამდენად, ხშირად ლენტეხური მონაცემები გასაღებია ამა თუ იმ ლექსემისთვის ამოსავალი ფორმის აღსადგენად, რედუცირებული ფუძისეული ხმოვნის დასაზუსტებლად, მისი გენეზისის წარმოსაჩენად. უმწერლობო ენაში ხომ კომპარატივისტიკის შესაძლებლობა ნაკლებადაა, აქ დიაქრონიული სურათის აღსადგენად მხოლოდ ენის ფონოტაქტიკის ცოდნა და მეცნიერული ალლო არსებობს, რაც ყოველთვის უტყუარი როდია. ამიტომ, ვფიქრობ, ზურაბ ჭუმბურიძის მიერ ლამის ორი მესამედი საუკუნის წინ მოპოვებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომელთა მნიშვნელობას ერთიორად ზრდის მათი სანდოობის მაღალი ხარისხი, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მეცნიერის მიერ შექმნილი არაერთი შესანიშნავი მონოგრაფია თუ სტატია.

გარდა ამისა, ყოფითი ევოლუციისა თუ სალიტერატურო ენის ძლიერი გავლენის (განსაკუთრებით სწორედ ლენტეხურში!) გამო, სვანურში არაერთი ლექსიკური თუ გრამატიკული ფორმა ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო და უფრო იშვიათად იხმარება, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის მეტყველებებაში, ხოლო ზოგი რამ სულაც დავინწყებას არის მიცემული. აღნიშნული პუბლიკაცია ამ მხრივაც მეტად მნიშვნელოვანია, რადგან აქ რელიგიურ-სარიტუალო თუ შიდასამრეწველო ლექსიკა, საგულდაგულოდ დაზუსტებული და გადამონმებული, უხვადაა წარმოდგენილი.

უნდა ითქვას, რომ „სვანური ენის ქრესტომათიაში“ შეტანილი ლენტეხური ტექსტები სრულად ვერ მოიცავენ ზურაბ ჭუმბურიძის წვლილს თუნდაც ამ მიმართულებით: ზემო სვანეთში, მესტიის რაიონში არაერთი მხცოვანი შეგვხვედ-

რია, რომლებიც სიამოვნებით იგონებენ სიმჰათიურ, ზრდილ, თავმდაბალ, სვანურად მეტყველ ჭაბუკ ზურაბ ჭუმბურიძეს, დიდი რუდუნებით რომ აგროვებდა ზემოსვანურ ფოლკლორულ თუ ყოფით ენობრივ მასალას გასული საუკუნის შუანლებში...

ჩემი და სრულიად სვანეთის სახელით ვულოცავ ჩემი, ჩემ წინა და ჩემი შემდგომი არაერთი თაობის აღმზრდელ, ყველასათვის საყვარელ, არამარტო კომპეტენციით, არამედ კეთილშობილებითა და სათნოებით გამორჩეულ ლექტორს, ჩვენს ამაგდარ მეცნიერს – ზურაბ ჭუმბურიძეს დაბადებიდან 90 წლის იუბილეს! ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ქვეყნის, ქართული მეცნიერებისა და დედა უნივერსიტეტის სასიკეთოდ!

*ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარვიანი-სუბარი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მოძღვარი

ძველად მასწავლებელს მოძღვარს ეძახდნენ. აკაკი წერეთელი ამავე სახელწოდების პატარა წერილში საგანგებოდ მსჯელობს ამ სიტყვის მნიშვნელობაზე და აღნიშნავს: „ისტორიას ბევრი მაგალითი როდი შემოუნახავს იმნაირი სიყვარულისა და პატივისცემისა, როგორსაც ქართველობა თავიანთი შვილების აღმზრდელთა მიმართ იჩენდა“. მოძღვრისეული აღზრდა მხოლოდ ცოდნის გადაცემით არ შემოიფარგლებოდა, ის ზნეობასაც უყალიბებდა მოზარდს. ისევე აკაკის თუ დავესესხებით, „დიდი არისტოტელეობა“ ნაკლებად იზიდავდათ ხოლმე თანამდევი სირთულეების გამო. ეს ახლაც ასეა, ამიტომ ჩვენს სინამდვილეში ძალზე ცოტანი არიან ახალგაზრდის განათლებასა და სულიერ სრულყოფილებაზე მზრუნველი მოძღვრის სულისკვეთების პიროვნებები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს – ცოცხალ ლეგენდასა და მემატრიანეს, თავის საქმეზე, კოლეგებსა და სტუდენტებზე, ზოგადად ადამიანებზე, უზომოდ შეყვარებულს. მას ყველაზე დიდი ჯილდო არგუნა განგებამ: **ქართული ენის მსახურება და დიდი აკაკი შანიძის მონაფობა**, რაც უთუოდ გამორჩეულობის ნიშანი გახლავთ და სწავლებისა თუ კვლევის სფეროში, საკუთარი მოძღვრის მსგავსად, მრავალმხრივ და მრავალფეროვან შესაძლებლობებზე მიუთითებს. სხვანაირად წარმოუდგენელია, რადგან ქართველური ენები – ქართველი ხალხის სულიერი საუნჯე – მოითხოვს ძველი და ახალი ქართული ენის, ქართული ენის დიალექტების, მეგრულის, ლაზურისა და სვანურის სიღრმისეულ ცოდნას, რომელიც შეიძლება აისახოს ენის ისტორიის, ტექსტოლოგიის, ქართველური ონომასტიკის, გრამატიკის, ლექსიკის საკითხების შესწავლასა და სწავლებაში.

მოგეხსენებათ, თითოეულ დარგსა და ქვედარგს თავისი სპეციფიკა აქვს. გასაოცარია, ზოგჯერ შეიძლება დაუჯერებელიც, რომ ერთ ადამიანს შეუძლია ამხელა ტვირთის აწევა, მით უფრო, რომ კვლევისა და სწავლების მეთოდოლოგიები განსხვავებულია და თავისთავად ცალ-ცალკეც ქმნის სირთულეებს.

რამდენადაც მრავალმხრივია ბატონი ზურაბის მოღვაწეობის სფერო, იმდენად მრავალფეროვანია საუნივერსიტეტო სალექციო კურსები, რომელთაც 6 ათეულ წელზე მეტია კითხულობს; ესენია: *სვანური ენის გრამატიკა, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ძველი ქართული ენა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა...* მისი ყოფილი სტუდენტები დღემდე სათუთად ვინახავთ ბატონი ზურაბის სალექციო ჩანაწერებს (იხ. სალომე ომიადის გამოსვლის ტექსტი საიუბილეო სხდომაზე თსუ-ში, გვ. 24). *სვანური ენის გრამატიკის* რვეულში ოდენ გრამატიკის საკითხები კი არ არის მშრალად გადმოცემული, არამედ მაგალითები, სავარჯიშო ტექსტები ისეა შერჩეული, გეგონება თვალწინ მთელი სვანეთი გაცოცხლდაო თავისი ყოველდღიური ყოფით, მატერიალური და სულიერი ძეგლებით. ბატონი ზურაბის მოსმენის შემდეგ სადღაც ქრება შიშნარევი პირველი განცდა სვანური ენის შესწავლის სირთულისა და დაუძლევლობის შესახებ. მის ლექციებში ასევე შთამბეჭდავად არის წარმოჩენილი ქართული სალიტერატურო ენის დახვეწისა და სისტემური განვითარების გზები, საერთოქართველური ლექსიკური და მორფემული მონაცემების რეკონსტრუქციის საკითხები; ლექციაზე დღესაც კი უხვად და თან ზეპირად მოჰყავს მაგალითები ოთხივე ქართველური ენის ფოლკლორული ნიმუშებიდან, კილოური განსხვავებებით შეუძლია დაიმონოს ილუსტრაციები; დამეთანხმებით, ამას თავისი ხიბლი აქვს.

შემთხვევითი არ არის, რომ ბატონი ზურაბი საშუალო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოების ავტორია. ამ წიგნებში ცოდნასთან ერთად ჩადებულია წლების განმავლობაში დაგროვილი პედაგოგიური გამოცდილება. ცალკე აღნიშვნის ღირსია მონოგრაფიული კვლევა *„მყოფადი ქართველურ ენებში“* (თბილისი, 1986; დანვრილებით იხ. მ. ნიკოლაიშვილის წერილი, გვ. 56-59). ცნობილია, რომ ისტორიულად ბინარული ოპოზიციის პრინციპით განირჩეოდა ერთმანეთისაგან ორი დრო – ახლანდელი და წარსული მოქმედების სახეების – განგრძობითობა-წყვეტილობის მიხედვით. მომავალი ირეალური დროა, რომელიც დროულ მიმართებათა სამწევროვან სისტემაში გვიან ჩაერთო და დროის გრამატიკულ კატეგორიად ჩამოყალიბება დაასრულა. ძალზე საინტერესოა, როგორი ენობრივი გამოხატულება აქვს ადამიანის აზროვნების განვითარებას, რომელიც სუბიექტის აღქმის ობიექტივაციასთან (ამ შემთხვევაში დროის აღქმასთან) არის დაკავშირებული. აღნიშნულ მონოგრაფიაში ქართველურ ენათა მდიდარი ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად ნაჩვენებია ადამიანის აზროვნების გარდატეხის შედეგი – სემანტიკურად ერთმანეთისაგან გამიჯნული კავშირებითი და მყოფადის თხრობითი კილო, რომელთა ფორმობრივი დიფერენციაცია მოხდა ანმეოს გამომხატველი ზმნისწინიანი ფორმებით. აღნიშნული ენობრივი მოვლენა მჭიდროდ უკავშირდება არა მარტო ენის ისტორიისა და სტრუქტურის, არამედ ფსიქოლინგვისტიკის საკითხებსაც. **დღესდღეობით ერთადერთია ბატონი ზურაბის ნაშრომი, რომელშიც ქართველური ენების მასალაზე კომპლექსურად არის განხილული მომავალი დროის ჩამოყალიბების, განვითარებისა და ენობრივი გამოხატულების უნივერსალური საკითხი, ამიტომ „მყოფადი ქართველურ ენებში“** ლინგვისტიკისთვის, ფაქტობრივად, დამხმარე სახელმძღვანელოა, ხოლო მომიჯნავე დარგის სპეციალისტებისთვის – საინტერესო და საჭირო ნაშრომი, რომელშიც ნაჩვენებია, როგორ ვლინდება ენაში პიროვნების თვისებები და ხასიათი.

„პირველსავე სიტყვასა ზედა რომ აღვიდეთ“, ბატონი ზურაბი არამარტო ჩინებული მეცნიერი და შესანიშნავი მასწავლებელია, არამედ შესაშური დამკვალთანებელიც. მისი ლექციების თანამდევია დაარიგოს ახალგაზრდები, რათა „ოქროს საშუალოთი“ აწონონ და განსაზღვრონ სიფრთხილე და გაუბედაობა, პრინციპულობა და კომპრომისი როგორც მეცნიერებაში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

აკაკი წერეთელი წუხდა, მოძღვარი თავდაპირველი მნიშვნელობით დავინყებებს მიეცაო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლექსემას პიროვნებები აცოცხლებენ; ამიტომაც, ჩვენს სინამდვილეში ცოცხლობს საუკუნეების წინ დავინყებული ლექსემა *მოძღვარი* ბატონი ზურაბის მსგავს პიროვნებებთან ერთად.

დიახ, უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზაზე დადის წლებით, ცოდნით, გამოცდილებითა და ადამიანთა სიყვარულით დახუნძლული **თმაშევერცხილი მოძღვარი – ზურაბ ჭუმბურიძე**, რომლისგან დათესილი სიკეთის მარცვალი მხოლოდ სითბოდ და სინათლედ იღვრება ირგვლივ.

დღეგრძელობა და მზეგრძელობა ვუსურვოთ!

კიდევ დიდხანს იაროს!

*ასოცირებული პროფესორი მაია ლომია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

სამეცნიერო სტატიები

რამდენიმე ძირნაკლი სიტყვის ეტიმოლოგიისათვის ქართულში

ძველსა და ახალ ქართულში დასტურდება ერთგვარად უცნაური წარმოების ფუძეები, რომლებშიც აფიქსები გვხვდება – სხვადასხვა ფუნქციის პრეფიქსებიცა და სუფიქსებიც, მაგრამ ძირი კი არა ჩანს. რამდენიმე ასეთი ფუძე გამოვლენილი აქვს არნ. ჩიქობავას, კერძოდ: **მ-ალ-ალ-ი, უ-ალ-რე-ს-ი, წარ-მო-ება**. „მარტივი ფუძის როლში გამოდის -ალ (პრევერბი!) შდრ. ანალოგიური შემთხვევა ახალ ქართულში: **წარმოება**; თუმცა **წარ-მო-** წინასწარ სახელად ქცეული ჩანს“ (ჩიქობავა 1942 : 26). ბაქარ გიგინეიშვილის განმარტებითაც **მალალი** „წანარმოებია **მ-ალ** ცირკუმფიქსით **ალ-** ზმნისწინიდან, რომელიც მიუთითებს ქვემოდან ზემოთკენ აღმართებაზე. **მ-ალ-ალ-ის** ანალოგიური წარმოება გვაქვს მის ანტონიმში **მ-და-ბ-ალ-ი**“ (გიგინეიშვილი 2016 : 323). ვფიქრობთ, ქართულსა და, საერთოდ, ქართველურ ენებში ანალოგიური სხვა ფუძეც (ფუძეებიც) გვხვდება, რომელთა გამოვლენას ამ ფუძეთა ეტიმოლოგიური ანალიზი შეგვაძლებინებს.

ამ მხრივ საინტერესოა ლექსემა **სულ** (**სულ** მთლად, **სულ** ცოტა, **სულ** მუდამ, **სუყველა** **სულ** ყველა, **სულ-ად-აც**), რომელიც წარმოადგენს მასდარის ოდინდელი **ს-პრეფიქსითა** და მიმღეობის **-ულ** სუფიქსით შედგენილ ფუძეს, სადაც ძირი არ ჩანს. **სულ** მომდინარეობს **სრულ** ფორმისაგან, რომელშიც სწორედ დაკარგული **ვალ** ძირის **ლ** ნაშთის დისიმილირებული **რ** ელემენტი დაჩნდება: **ს-ულ ← ს-რ-ულ ← ს-ლ-ულ ← *ს-ვლ-ულ ← *ს-ჟალ-ულ**. **ს-ულ** ფუძის **ს-ვლ-ა** ზმნასთან ეტიმოლოგიური კავშირი სხვა „უძირო“ ლექსიკურ ერთეულსაც გამოავლენს, კერძოდ, **წასულ** ლექსემაში, რომელიც მომდინარეობს ძველ ქართულში დადასტურებული **წასრულ** ფუძისაგან (შემდეგი ეტიმოლოგიური სეგმენტაციით: **წა-ს-რ-ულ ← წა-ს-ლ-ულ ← *წა-ს-ვლ-ულ...**), ძირი არა ჩანს. ძირი არ დაჩნდება, ცხადია, ამ ფუძის სხვა ზმნისწინიან ფორმებშიც: **ა-ს-ულ-ი, გა-ს-ულ-ი, და-ს-ულ-ი, მო-ს-ულ-ი, შე-ს-ულ-ი, ჩა-ს-ულ-ი, გარ-და-ს-ულ-ი...** ნამყო დროის ანუ გასული დროის აღმნიშვნელი ცნება **წარსული** (**წარ-ს-ულ-ი**, ძველი ქართული ამოსავალი ფორმა **წარ-ს-რ-ულ-ი**) ასევე უძირო ანუ ძირის უქონელი სიტყვა-ფუძეა.

სულ- /სრულ- დასტურდება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში: „**სრული** საქმე ქმნეს ღმერთმან შენ თანა“ O, ივდ. 11, 4; „ამათ **სრულ** ქმნეს სიკეთე შენი“ O, ეზეკ. 27, 11 (აბულაძე 1973); „რაოდენ უძლო, მარტივად და **სულმცირედ** აღვწერო... პირისა მისისაგან მოთხრობილი...“ გიორგი მთაწმ. 105, 14; „ყოველივე **სულმცირედ** და მოკლედ მიგითხრა“, იქვე, 114, 22 (სარჯველაძე 1995).

სულ მიღებულია **სრულ** ფორმისაგან, მეორე მხრივ კი **სრულ** < **სლულ**, რასაც ადასტურებს ქართული წერილობითი წყაროებიც, მაგალითად, სახარების ერთ რედაქციაში **სრულ-** არის დამონმებული, მეორე რედაქციაში კი - **სლულ**: „ძმავა შენი მოსრულ არს“ DE, - „ძმავა შენი მოსლულ არს“ C, ლ, 15, 27. მაშასადამე, ქართულში: **სულ** < **სრულ** < **სლულ** < ***სვლ-ულ** (**სვლ-ა** < ***ს-ვალ-ა**

< ვალ-*ქალ). ვალ ზმნური ძირისგან ჩანს ნაწარმოები ასევე ძველი ქართული გუალ- „ნასვლა; მოსვლა; ადგომა; რბენა“ (აბულაძე 1973), რომელიც ზანურში შევიდა გვალ- (გვალ-ო, გვალ-ე, გვალ-ას „სულ, მთლად, სრულად“) ფუძის სახით და გადატანითი მნიშვნელობით (აქ ისეთივე სემანტიკური გადაწევა მოხდა, როგორც სრულ-სულ-შურო შემთხვევაში გვაქვს). ვალ ქართული ენის უძველესი ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი ძირეული სიტყვაა და ამიტომ მოულოდნელი არაა მისგან წარმოქმნილი ფუძეებისა და დროთა განმავლობაში სემანტიკური გადაწევების შედეგად მიღებული ლექსიკური ერთეულების სიმრავლე, რაზეც მათი ერთი ნაწილის, ქვემოთ ჩამოთვლილი ლექსემების, ძველსა და ახალ ქართულში პოვნიერებაც მეტყველებს:

აღსრულება, აღსასრული, გა(ნ)სრულება, დასასრული, დასრულება, მოსრული, მოსლული, მისრულება, მოსრულება, სისრულე, უსრული, შესრულება, წარსული, წასრული, წასული... ასევე: **სრულად, სრულიად, სრულებით, სულმცირედ, სრულქმნა, სრულყოფა** და სხვა.

საინტერესოა, რომ **სულ, სულ-ად, სრულ, სრულ-ად** ფუძეს ზანურში მოეპოვება კანონზომიერი შესატყვისი **შურ-ო, შურ-ოთ** „სრულიად“ ფუძის სახით (აბაშია 1999, II:35-36; ჩუხუა 2000-2003:207-208), სადაც ასევე ეტიმოლოგიური სეგმენტაციის შედეგად – **შ-ურ-ო** – ირკვევა, რომ მხოლოდ აფიქსებია წარმოდგენილი და ძირი კი არა გვაქვს. ქართული **ს-ულ/ს-ულ-ად** : ზანური **შ-ურ-ო/შ-ურ-ოთ** შესატყვისობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ქართულ-ზანურ პრეფიქსთა სისინა:შიშინა (**ს:შ**) შესატყვისობის სხვა მაგალითი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

სვანურში საანალიზო ფუძის შესატყვისად ჰ. ფენრიხი და მ. ჩუხუა **სურ-უ** „ძლიერ, მთლიანად“ ფუძეს ვარაუდობენ. ჰ. ფენრიხი არქეტიპად **სურ-** ძირს ვარაუდობს არამხოლოდ ფუძე-ენის დონეზე, არამედ საკუთრივ ქართული ენისთვისაც (Fährnich 1982:36). მ. ჩუხუა უშვებს სიბილანტური გადასვლის უკუპროცესს (**შ→ს**) სვანურის მაგალითზე (ჩუხუა 2000-2003:208). ვფიქრობთ, სვანურში, როგორც ზანურში, შიშინა შესატყვისი უნდა გვექონოდა; ამიტომ სვანურშიც, როგორც ზანურის სისინა ფორმებში (სრულ-ი, **რსულ-ი, რსულ-ო** „სულ, სრულიად“) ქართულიდან შესული ფუძე უფრო უნდა გვექონდეს, ვიდრე შესატყვისი. მართებული არაა პ. ჭარაიას თვალსაზრისი **შურ-ო** „სულ, მთლად“ ლექსემის **შურ-ი** „სული; სუნი“ სახელთან დაკავშირების შესახებ (ჭარაია, 1997:156). **შური** ი. ყიფშიძესაც აქვს დამონმებული: **შურო** «совсем, совершенно», **შურო-თი** «и совсем» (Кипшидзе 1914), თუმცა ის არაფერს ამბობს მისი ეტიმოლოგიის შესახებ.

ზემოთ განხილულ ფუძეთა ბგერათშესატყვისობის საფუძველზე, ვფიქრობთ, საერთოქართველური ფუძე-ენის გარკვეულ საფეხურზე სავარაუდებელია ***ს-ულ/ *ს-რ-ულ/ *ს-რ-ულ-ად** არქეტიპების დაშვება, რაც, მეორე მხრივ, ფუძე-ენის უფრო ადრინდელ ეტაპზე ***ს-ლ-ულ / * ს-ვლ-ულ / * ს-ვალ-ულ** არქეტიპთა არსებობას გულისხმობს.

ამასთანავე, საინტერესოა ვალ ზმნურ ძირთან ძველი ქართული **ვედ/ვიდ** (სეგმენტაციით: **ვ-ედ/ვ-იდ**), **გუალ** – („ნასვლა; მოსვლა; ადგომა; რბენა“), ზანური **გვალ** – (**გვალ-ო; გვალ-ე; გვალ-ას** „სულ, სრულად“) ფუძეთა ეტიმოლოგიური კავშირიც, რომელიც დამატებითი მსჯელობის საგანია. **ვიდ** (←**ვლ-იდ**←***ვალ-იდ**) ფუძის ზანური შესატყვისი – III პირის ზმნური ფორმები: **ი-დ-უ** „წავიდა“, **ი-დ-ეს** (მრ. რ.), **ი-დ-ას** „წავიდეს“, **იდ-ან** (მრ. რ.) – ასევე ძირის გარე-

შეა წარმოდგენილი. **გუალ-** ზმნური ფუძის სეგმენტაციას გარკვეული სირთულე ახლავს, ვინაიდან ფუძეში **გუ-** სეგმენტის გამოყოფით (**გუ-ალ←*გუ-ვალ *გუ-ჟალ**) მისი კვალიფიკაციის პრობლემა ჩნდება: **გუ-** ფუძეს შეხორცებული პირის ნიშანია თუ სხვა ელემენტი? მიუხედავად ამისა, ქართულ-ზანურ ფუძეთა ერთიანობის ვარაუდს, სემანტიკური გადაწვევის გათვალისწინებით, არსებობის უფლება აქვს.

ლიტერატურა:

- აბაშია 1999** – რ. აბაშია, მასალები ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიიდან. IV. „ენათმეცნიერების საკითხები“, II, თბილისი, 1999;
- აბულაძე 1973** – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973;
- გიგინეიშვილი 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2016;
- სარჯველაძე 1995** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი, 1995;
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000;
- ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942;
- ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003;
- ჭარაია 1997** – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997;
- Кипшидзе 1914** - И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка С хрестоматией и словарем, Санкт-петербург, 1914;
- Fährnich 1982** - H. Fährnich , Kartwelischer Wortschatz: Georgica 7, Jena-Tbilissi. 1982.

ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფრაზეოლოგია, როგორც რეალობათა ასახვა

(ფრანგული და ქართული ენების მასალაზე)

ფრაზეოლოგიური ერთეულები ასახავენ ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეს: გარეგნობას, სულიერ თვისებებს, მოქმედებებს, ჩვევებს, საზოგადოებრივ მორალს, ბუნების მოვლენებს და სხვ. ფრაზეოლოგიზმები გამოიყენება ყოველდღიურ საუბარში, მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტიკაში. ისინი მეტ გამომხატველობას ანიჭებენ საუბარს და წარმოადგენენ ხატოვანების შექმნის საშუალებებს. მათ გააჩნიათ თავიანთი სპეციფიკა ყოველ ენაში, ასახავენ ნაციონალურ მენტალიტეტს და მიუთითებენ ერის ცნობიერებაზე; მაგ., რას ამჩნევს ქართველი ან ფრანკოფონი ადამიანის ცნობიერება გარემომცველ სამყაროში და რას ვერ ამჩნევს; როგორ გამოიხატება ადამიანთა მიერ სამყაროს აღქმა ლექსიკურად ან გრამატიკულად; მნიშვნელოვანია ისიც, თუ რაში მდგომარეობს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ხმარების თავისებურებანი. პრაქტიკუ-

ლი თვალსაზრისით, ფრაზეოლოგიის ფლობა აიოლებს ავთენტური მეტყველების გაგებას, ასევე ურთიერთობას, რადგან უფრო მეტ ბუნებრიობას სძენს მას, აზრის გამოსატყვის საშუალებების ვარიანტების გზით. უცხოური ენის შესწავლის თვალსაზრისით, აუცილებელია ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა. უცხოური ენის შესწავლისას, ბევრ სირთულეს ვხვდებით ისეთი ავთენტური ტექსტების გაგების თვალსაზრისით, რომლებიც შეიცავენ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, ანდაზებს, თქმებსა და შედარებებს.

ფრაზეოლოგიის მჭიდრო კავშირი ამა თუ იმ ხალხის ისტორიასთან, კულტურასა და ყოფასთან საყოველთაოდ ცნობილია, რადგან იგი განასახიერებს ამ ხალხის სულს, ფსიქოლოგიასა და აზროვნების საშუალებებს. ცნობილი ფრანგი ლინგვისტი შარლ ბალი აღნიშნავს, რომ ხატოვანი მეტყველების წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი წინამძღვარია ადამიანის ტვინის ის თვისება, რომლის მიხედვითაც ადამიანი ცდილობს მიახლოვდეს აბსტრაქტული ცნებები გრძნობითი სამყაროს საგნებს, მათი შეცნობის მიზნით. ამ მეცნიერის აზრით, ჩვეულებრივი ხატოვანი სახეც კი ზემოქმედებს მთელი სოციალური ჯგუფის ფსიქიკაზე და საერთოდ – ადამიანური აზროვნების სტრუქტურაზეც. გრძნობითი (ანუ მატერიალური) სამყაროს მრავალფეროვნება და მის შესახებ სხვადასხვა ხალხთა არაერთგვარი წარმოდგენა განაპირობებს იმ ხატოვან ასოციაციას სპეციფიკას, რომლებიც წარმოიშვებიან რეალურად არსებულ ან გამოგონილ საგანთა საფუძველზე და მკვიდრდებიან მოცემული საზოგადოების ენაში. ხატოვანი ფრაზეოლოგია ზოგადი ფონური ცოდნის მნიშვნელოვანი კომპონენტია, მისი ცოდნა აუცილებელია ენის მატარებელთათვის, რადგან მის საფუძველში დევს მუდმივი ასოციაციური რეალიები, რომლებიც წარმოადგენენ არსებული სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ხატოვანი გადააზრების შედეგს. ერთი ენის ფრაზეოლოგიის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა ნათლად ვლინდება სხვა ენის მყარ შესიტყვებებთან შეპირისპირებისას. მაგ., ფრანგულ და ქართულ ენებში გვხვდება ფრაზეოლოგიზმები მსგავსი იდიომატური მნიშვნელობით, მაგრამ გადმოცემულნი სხვადასხვაგვარად: **un mouton à 5 pattes** – „თეთრი ყვავი“ (სიტყვასიტყვით: ხუთთათიანი/ხუთფეხიანი ცხვარი); **réveiller le chat** – „ნუ გააღვიძებ ძველსა ჭრილობებსაო“ (სიტყვასიტყვით: კატის გაღვიძება); **prendre la poudre d’escampette** – „მოკურცხვლა, გაქცევა, გაპარვა“ (სიტყვასიტყვით: გაქცევის მტვრის შეყრა). იმ აზრის გამოსახატავად, რომ ადამიანი ვერ მიაღწევს განსაზღვრულ შედეგს, თუ არ დათმობს რაიმეს, ფრანგული ენა იყენებს ფრაზეოლოგიურ ერთეულს **On ne fait pas l’omelette sans casser les oeufs** „ვინც არ გაირჯება, პურსაც ვერ მისწვდებაო“ (სიტყვასიტყვით: კვერცხების გატეხვის გარეშე ერბო-კვერცხი არ კეთდება). საკუთარი სახელები ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენლობაში კარგავენ თავიანთ ძირითად ნიშნებს, იქცევიან საზოგადო სახელებად და თითოეული ლინგვოკულტურული ერთობა თავის წარმოდგენებს უკავშირებს ამა თუ იმ სახელს; მაგ., ფრანგულ ენაში სახელი **Jean (Gros Jean)** დაკავშირებულია გულუბრყვილო ადამიანის წარმოდგენასთან: **Jean-farine** - „გულუბრყვილო, მიაშიტი ადამიანი“.

ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიურ სისტემაში არსებობს ცალკეული ისტორიული მოვლენების ამსახველი და ისტორიულ პიროვნებებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულების მთელი პლასტი: **prêt à un coup de Yarnac** – „ვისიმე ავის წადილი, ჯავრის ქონა“; **farie Charlemagne** – „ნაგების შემდეგ თამაშის დატოვება“ (სიტყვასიტყვით: კარლოს დიდივით მოქცევა); **letter de**

Bellerofont - „ბალროფონის წერილი“, ანუ ყალბი, ვერაგი გზავნილი. ამგვარად, სახელდობრ იდიომები, რომლებიც შეადგენენ ფრაზეოლოგიის ბირთვს, ნათლად ასახავენ ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობის ნაციონალურ-კულტურულ ასპექტს. იდიომატიკის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის განხილვა, მრავალ მკვლევართა აზრით, ვარაუდობს მის ორსაფეხურიან ანალიზს, რაც ეყრდნობა სოციოლინგვისტური და ლინგვისტური პრინციპების გამოყენებას, ამოსავალი თეზისით „კულტურიდან ენისაკენ“ ან „ენიდან კულტურისაკენ“. იდიომები, როგორც ფასეულ ცნებათა ნაციონალურად ორიენტირებული სისტემის აღმნიშვნელები – მნიშვნელობის განსაკუთრებული ტიპის ერთეულები – ასახავენ ენის მატარებელთა განზოგადებულ დამოკიდებულებას. გარდა ამისა, თანამედროვე ფრანგული ენის იდიომატიკა შეიცავს მთელ რიგ აღმნიშვნელებს. ამიტომაც, ანალიზის პირველ ეტაპს მიაკუთვნებენ იდიომატურ გამონათქვამთა განსაზღვრას, ანუ ადგილისა და სპეციფიკის დაზუსტებას თემატურ კლასიფიკაციაში.

ანალიზის მეორე ეტაპი ვარაუდობს იმ კონკრეტულ იდიომათა განხილვას, რომლებიც ენაში გამოჩნდნენ XX საუკუნის პერიოდში. მათი ნაციონალური სპეციფიკის გამოვლენა უკავშირდება შიდაენობრივ ანალიზს: ამოსავალ სიტყვაშეერთებათა და იდიომათა კომპონენტური შემადგენლობის კვლევა; მოცემული ერთეულის ხატოვანების განმსაზღვრელი პროტოტიპის მნიშვნელობა; იდიომის ფრაზეოლოგიური მნიშვნელობისა და მისი სტრუქტურის კომპონენტთა ანალიზი; ნაციონალურ-კულტურული კომპონენტის ადგილის განსაზღვრა იდიომის მნიშვნელობის სტრუქტურაში. თუმცა, ნებისმიერი ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში ნაციონალური კომბინირებულია ინტერნაციონალურთან, რაც განპირობებულია ადამიანთა ცივილიზაციისა და აზროვნების ერთობით, საერთო კულტურულ-ურთიერთგამდიდრებით. არსებობს ბიბლიურ სიუჟეტზე შექმნილი ინტერნაციონალურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დიდი შემადგენლობა, რომლებიც წარმატებით გამოიყენება დღემდე, ზოგჯერ – ახალი შინაარსითაც: **Jeter les perles devant les porceux** – „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო“ (სიტყვასიტყვით: ღორთა წინ მარგალიტის დაყრა); **fruit defend** – „აკრძალული ხილი“; **terre promise** - „აღთქმული მიწა“. ბიბლიურ პერსონაჟებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები: **pauvre comme Iob** - „იობივით ღარიბი“; **basier de Judas** - „იუდას ამბორი“; რელიგიურ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები: **bouc émissaire** - „განტევების ვაცი“; **jeter l’anathème** - „ვინმეს ანათემაზე გადაცემა“ და სხვ. ლიტერატურული წარმოშობის მრავალი ფრაზეოლოგიზმი უკავშირდება, უპირველეს ყოვლისა, ძველბერძნულ და ძველრომაულ ლიტერატურას: **les écuries d’Augia** - „ავგიას თავლა“; **la boîte de Pandore** - „პანდორას ყუთი“; **le lit de Procruste** - „პროკრუსტეს სარეცევილი“; **le travail de Sisyphe** - „სიზიფეს შრომა“. მრავალი ფრაზეოლოგიზმი მომდინარეობს ანტიკური ისტორიიდან: **franchir / passer le Rubicon** „რუბიკონის გადალახვა“ - უკავშირდება იულიუს ცეზარის ლაშქრობას; **victorie à la Pyrrhus** „პირუსის გამარჯვება“ - უკავშირდება ბერძენი ხელმწიფის პირუსის გამარჯვებას, რომელიც მან მოიპოვა 279 წელს რომაელებთან ბრძოლისას; **trancher / couper le noeud Gordien** „გორდიას კვანძის გახსნა“ და სხვ. ამგვარად, ფრაზეოლოგია, ისევე როგორც ენა მთლიანობაში, ინახავს არა მხოლოდ ნაციონალურ, არამედ ინტერნაციონალურ ფონურ ცოდნასაც.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სხვადასხვა ენების სპეციალურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სრული დამთხვევა, შინაარსისა და გამოსატყვის პლანით, არ არის ხშირი, რადგან ფრაზეოლოგიური ერთეული რეალიზდება თითოეული ენის თავისებურებებით. სრულად ექვივალენტურებია, როგორც კომპონენტური შემადგენლობის მიხედვით, ასევე შინაარსითა და გრამატიკული სტრუქტურის მიხედვითაც, ფრანგული ფრაზეოლოგიზმი **jouer avec le feu** და ქართული „ცეცხლთან თამაში“, ასევე ფრანგული **travailler comme un boeuf** და ქართული „ხარავით მუშაობა“, მაგრამ ასეთი წყვილები არ არის მრავალრიცხოვანი.

განსხვავებული სტრუქტურების მქონე ენების ფრაზეოლოგიური უნივერსალიებისა და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სპეციფიკის ურთიერთქმედების შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ლინგვისტიკის ზოგადი თეორიისათვის, ასევე უცხოური ენის სწავლების მეთოდისთვისაც. ფრაზეოლოგიური ერთეულების ფლობა საგრძნობლად აადვილებს ფრაზეოლოგიზმების შემცველი ტექსტების აღქმას, ავითარებს ინტერფერენციის დაძლევის უნარს ლექსიკურ-გრამატიკული ფორმების დონეზე, ასევე ხელს უწყობს დიალოგის სწორად წარმართვას.

ლიტერატურა:

Bally 1977 - Bally Ch., *Le langage et vie*. Paris, 1977;

Rey 2009 - Rey I., *La phraséologie du français*, Paris, 2009.

მაია ბარამიძე

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეოფანე კესარია კაპადუკიელის „თქუმულის“ ეფთვიმესეული თარგმანის სინონიმური ლექსიკისათვის

„თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა თეოფანე მთავარეპისკოპოსისაჲ, კესარია კაპადუკიელისაჲ“ ბერძნულიდან უთარგმნია ეფთვიმე ათონელს (კეკელიძე 1957:60-61). ორიგინალს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ, ვერც ავტორის შესახებ მოვიძიეთ ცნობები.

თხზულება დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის **A1101** ნუსხაში, რომელიც 1047 წელს არის გადანიშნული. კრებული წარმოადგენს ასკეტიკონს, შედგება 249 ფურცლისაგან. ხელნაწერი შესრულებულია ეტრატზე XI საუკუნის კუთხოვანი ნუსხურით, სათაურები – სინგურით, აქვს ხის მაგარი ყდა, სადა ტყავით შემოსილი. გადანიშნულია საბერძნეთის მთაწმინდის ღვთისმშობლის მონასტერში, გადამწერია არსენი გოგოფაი (აღწ. IV: 66–73).

თეოფანეს თხზულება მოიცავს **A1101** ხელნაწერის 170r–196r გვერდებს. „თქუმული“ წარმოადგენს მორწმუნეთა დასამოძღვრ სიტყვებს, ქადაგებებს; ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სულ ხუთი ასეთი ქადაგებაა. ესენია: 1.

„თქუმული სულისა მიმართ თვისა“; 2. „თავისა თვისა მიმართ“; 3. „ლოცვაჲ სინანულისათჳს“; 4. „შიშისათჳს ღმრთისა“ და 5. „სწავლაჲ მცნებათა ღმრთისათა დაცვისათჳს“.

აღნიშნული თხზულება დაცულია აგრეთვე ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. იგი შესულია ასკეტიკურ კრებულში (XIX ს.) №234 (187r–243r), შესრულებულია მხედრულით, სათაურები სინგურით. ძეგლის სახელწოდებაა: „თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა თეოფანე მთავარეფისკობოზისა, კესარია კაპადუკიელისა, სულისა მართვისა თვისისა“ (აღწ. I: 417).

„თქუმულის“ ენა ძირითადად მიჰყვება ძველი კლასიკური ქართულის ნორმებს.

ლექსიკა ძირითადად ძველი კლასიკური ქართულისაა. დამახასიათებელია სინონიმური წყვილები, რომელთა კომპონენტები ნიუანსურად მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, გვხვდება სხვა ძეგლებითაც ცნობილი სინონიმები.

ეკალი და კუროესთავი

შენთვის დაისაჯა ქუეყანაჲ აღმოცენებად ეკალთა და კუროესთავთა 170v.

ეკალი და კუროესთავი აღმოგიცენოს შენ ქუეყანამან 193v.

[მონვენად არს] არცა... აღმოცენებაჲ ეკლისაჲ და კუროესთავისაჲ არამედ...

194r.

„კუროესთავი“ ძველი ქართული ენის ლექსიკონების მიხედვით იგივეა, რაც „ეკალი“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 1995; სარჯველაძე 2001).

კლიტენი და მოქლონნი

დაჰჳაშ წინაშე მისსა კარი შენი და დასხენ მის ზედა კლიტენი და მოქლონნი ძლევისანი.

„კლიტეს“ იგივე მნიშვნელობა აქვს ძველ ქართულში, რაც ახალში. მოქლონნი – **გასაღები; რკინის კეტი** (ზ. სარჯველაძე); „კეტი, ურდული“ (ილ. აბულაძე).

შიში და ძრწოლა

აღნიშნული სიტყვები ბევრჯერ გვხვდება ჩვენს ძეგლში. წყვილში ყოველთვის დაცულია რიგი: ჯერ „შიში“, შემდეგ „ძრწოლა“, რომელიც თავისი მნიშვნელობით მეტია, ვიდრე „შიში“, ნიშნავს შიშით გამოწვეულ „კანკალს“.

ყოველნი დაბადებულნი შიშით და ძრწოლით გმონებენ შენ 174v.

შიშით და ძრწოლით დგანან და სიტყუსაგან მისისა ყოველნივე ძრწიან 191 r.

ეს რიგი დაცულია მაშინაც, როცა ერთ რთულ წინადადებაში ეს სიტყვები ერთმანეთის გვერდით არ გვხვდება:

არარაჲ ესრეთ დაანყნარებს გულისწყრომასა, ვითარ შიში და არარაჲ ესრეთ მოიყვანებს წყალობასა ღმრთისასა ჩუენ ზედა, ვითარ ძრწოლაჲ საშჯელისა მისისაგან 192r.

იშვიათად ირღვევა ეს თანმიმდევრობა: *რომელი ძრწოლაჲ არა მონვენად არს შენ ზედა, ანუ რომელმან შიშმან არა შეგიპყრა შენ? 192v.*

აღნიშნული სინონიმური წყვილის კომპონენტები ცალ-ცალკეც გვხვდება ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში: *რაჟამს ნანეგარნი შენნი შიშისაგან დაიქსნებოდინ 192v.*

გულისჴმა-ყავ... ძრწოლითა სავსე საყვრისა მის ოჭრაჲ 192v.

„ძრწოლა“ არა შიშით, არამედ სიხარულით გამოწვეულ კანკალს უნდა აღნიშნავდეს შემდეგ წინადადებაში: *მივრბიოდი მისა მიმართ სიხარულითა და ძრწოლითა 178v.*

ერთსა და იმავე წინადადებაში დასტურდება ამ ფუძეთა პირიანი ფორმები, აქაც ორივე რიგი გვხვდება, უმეტესად დაცულია ზემოთ აღნიშნული მიმდევრობა: გეშინოდენ სიტყვსა ამისგან, წ სულო, ძრნოდე რისხვისა მისგან 171r. შიში, რომელი მეშინოდა, და რომლისაგან ვძრნოდე, შემემთხვა მე 180v.

პირიანი ფორმებია შემდეგ წინადადებებში: მეშინის დაშჯისაგან ჩემისა 188r. ... რომელსა არა ეშინოდის მისგან 191r. ამისათვისცა მეშინის მე 189r. რომლისაგან დავითს ეშინოდა 189r. არა ძრნის მეფობისაგან 182r. სიტყვსაგან მისისა ყოველნი ძრნიან 191r. რომელი ძრნოდის სიტყუათაგან ჩემთა 172r.

შედრწუნება - შეშინება, საშინელი - შესადრწუნებელი

ეს ლექსიკური ერთეულები წყვილის სახით იშვიათია ამ ძეგლში: შევძრწუნდები და შემეშინების 176r. ვჰგონებ, ვითარმცა საშინელსა მას და შესადრწუნებელსა საყდარსა წინაშე მდგომარე ვიყავ და ვითარმცა მესმოდა საშინელი იგი ჳმაე წყევისაე ... 189r.

ეს სიტყვები ტექსტის სხვადასხვა ნაწილშია: ღრჭენაე იგი კბილთაე შემადრწუნებს მე 177v. შემადრწუნებს მოსლვისა შენისა საშინელეაე 188v. ...ყოველნივე შესადრწუნებელსა მას სამშჯავროსა საშინელთა ანგელოზთა მიერ მიიყვანებოდინ 192v. მართალია, ამ წინადადებაში წყვილის მეორე კომპონენტიც გვხვდება, მაგრამ სხვა სახელის მსაზღვრელად: შესადრწუნებელი „სამშჯავროს“ მსაზღვრელია, საშინელი კი „ანგელოზებს“ განსაზღვრავს.

იხილა რაე აბაკუმ, შედრწუნდა 192v.

საცინელი - სამღერელი

„სამღერელი“ ძველ ქართულში სათამაშოს, სათამაშო ადგილის, თეატრის მნიშვნელობითაც იხმარება, ნაწარმოებია სიტყვისგან „მღერა“ (თამაში - ილ. აბულაძე). „მღერას“ დაცინვის მნიშვნელობაც აქვს ძველ ქართულში. ამ მნიშვნელობით მისი სინონიმია „კიცხევა“, „მოკიცხვა“ (ილ. აბულაძე). ჩვენს ძეგლში „საცინელი და სამღერელი“ დასაცინს აღნიშნავს: იქმენ შენ საცინელ ეშმაკთა და სამღერელ სიკუდილისა 170r.

„საცინელ“, „სამღერელ“, „სამღერელად“ ცალკეც გვხვდება: ვიქმენ საცინელ ეშმაკთა... 175r, ვიქმენ დასაშჯელ და საშუებელისაგან სამოთხისა განძებულ და სამღერელ სიკუდილისა 178v. ... უზომოდ ვქმენ მე უკეთურებაე და ვყავ თავი ჩემი სამღერელად ეშმაკთა 189v.

დაცინვის, შერცხვენის მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე სხვა ძეგლებითაც ცნობილი მოკიცხვა: რომელმან ბოროტმან ეშმაკმან მოგკიცხა შენ 170v. მოკიცხა მე სანუთრომან ამან ბოროტმან 181r. გვხვდება აგრეთვე რცხუნ ფუძის ზმნაც: ნუ მარცხუნ ჩუენ 191v.

სინონიმური წყვილებია: **გლოვა და ტირილი, გოდება და ტირილი.**

ტირილი - გლოვა

ამისთვის უკუეთუ ჯერ-არს ტირილი და გლოვაე მარადის 182r. ტირილი უჳმს მარადის და გლოვაე 182r. ნუ ესრეთ იგლოვთ და სტირთ, ძმანო 180v. თავსა თვსთა ზედა ტიროდეთ და იგლოვდით 180v. იგლოვდიან თვსნი იგი და მეგობარნი და ტიროდიან... ნარმავალსა, მას 180r.

„გლოვა“ ცალკეც გვხვდება: ამისთვისცა რაჟამს ცხორებისა ჩემისაე ვინებო გლოვაე 182v.

გოდება - ტირილი

ყოვლით კერძო არნ გარემო მისა გოდებაე და ტირილი 180v.

ტექსტის სხვადასხვა ადგილას *ტირილის* სინონიმია *ცრემლოვა*: *შთამადეს მე მთხრებლსა მას სასონარკუეთილებისასა, ამისთვის ვცრემლოდი 177v. ვცრემლოდი ესეზომსა ამას უბადრუკებასა ჩემსა 176r.*

უფრო გავრცელებულია „ტირილი“ და შესაბამისი პირიანი ფორმები: *ილუანე ყოველთა სათნოებათა მოგება - სიმშჳდე... ტირილი ცოდვათა შენათავს 179v. რაათა ვსტიროდი ღირსებით უფსკრულსა მას ჩემთა ცოდვათასა 170r.*

ფრიად - აუარაცხელ - უზომოჲ; ფრიად - უზომოდ.

დიდ არს სახიერება უფლისაჲ და ნყალობანი მისნი ფრიად და აუარაცხელ 171v.

მეუძლებელ იყო სხუებრ უზომოჲსა მის სიყუარულისა მისისა გამოჩინებაჲ 194v.

„ფრიად“ ზმნიზედის სინონიმია აგრეთვე „უზომოდ“: *ეგრეთვე ფრიად და უზომოდ მოჰფინე ნყალობაჲ შენი 185v.*

„უზომოდ“ გვხვდება სინონიმის გარეშეც: *ვითარ მონყალე ვყო, რომელი იგი უზომოდ განვარისხე? 177v. ჩემ ზედა უზომოდ მოჰფინე ნყალობაჲ შენი, რამეთუ უზომოდცა მიქმნიან ცოდვანი 185v.*

ფიცხელი - ძლიერი

„ფიცხელი“ ძველი ქართული ენის ძეგლებში იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით: *სასტიკი, ძნელი, უსწორმასწორო, ძლიერი, მკაცრი* (ილ. აბულაძე, ზ. სარჯველაძე). ჩვენს ძეგლშიც „ფიცხელი“ და „ძლიერი“ სინონიმებია. *მკურნალი იგი არს, რომელმან სიფიცხლისაებრ ნყლულებათაჲსა დასდვას ფიცხელიცა და ძლიერიცა ნამალი 185v.*

იგივე მნიშვნელობა აქვს ამ ზედსართავთაგან ნაწარმოებ ზმნიზედებს:

ცეცხლი იგი შინაგანისა გონებისაჲ ფიცხლად და ძლიერად მოტყინარე არს 184v.

ამავე მნიშვნელობით ცალკე დასტურდება „ძლიერი“, „ძლიერად“: *არა მაქუს სინანული მჭურვალე, არცა სულთქუმაჲ ძლიერი 178r. კაცი მრისხანე ძლიერად უგუნურ არს 171v.*

„ფიცხლად“ ზმნიზედას სინონიმურ ცალად ახლავს აგრეთვე „მწარედ“, რომლის მნიშვნელობაა „სასტიკად“:

რაჟამს-იგი შინაგანი გონებაჲ ფიცხლად და მწარედ მამხილებდეს 179v.

ბოროტი - მწარე

„ბოროტი“ ძველ ქართულში „სასტიკის“ მნიშვნელობით გვხვდება (ზ. სარჯველაძე). ამ მნიშვნელობით ჩვენს ძეგლში მისი სინონიმია „მწარე“:

ხოლო მე შენგან თავი ჩემი უცხო ვყავ და ბოროტთა მათ და მწარეთა უფალთა მონებად მივეც 175v.

„მწარე“ „სასტიკის“ მნიშვნელობით სინონიმური ცალის გარეშეც დასტურდება: *...გუპოვნა რაჲ... მძიმეთა მათ საქმეთაგან ცოდვისათა მწარეთა მათ ზედა-მდგომელთა ეშმაკთა მიერ დამძიმებულნი... 194v. ... მწარესა ამას უფალსა, რომელ არს სოფელი, დაუმონოთ აზნაურებაჲ იგი ჩუენი 182v.*

სიტყვისაგან „მწარე“ ნაწარმოებია პირიანი ფორმა გან- ზმნისწინით, რომელსაც „*განრისხების*“ მნიშვნელობა აქვს (ზ. სარჯველაძე): *ამიერი თგან შენდავე მხოლოჲსა მოვილტი, რომელიცა განგარისხე, რომელიცა განგამწარე 185v.*

აყირო - საქირო

ეს სინონიმური წყვილი ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში დადასტურებული არ ჩანს. *აყირო - „გოგრა, ხაპი“* (ილ. აბულაძე), „გოგრა“; „გოგ-

რისაგან დამზადებული ჭურჭელი“ (ზ. სარჯველაძე). ჩვენი მხრით დავუმატებთ: ქართული ენის დიალექტებში მისი სინონიმია „კოში“ (ლლონტი 1984: 306), აყირო საერთოდ გოგრის სახელწოდებაც არის. ეს არის საკვებად გამოუსადეგარი, მწარე-ჯიშის მაგარქერქიანი გოგრა, რომელსაც შიგა ნაწილის, რბილობის ამოღების შემდეგ ჭურჭლად იყენებენ. ჩვენს ძეგლში ხაზი ესმება სწორედ სიმწარის მნიშვნელობას, „აყირო“, „საჭირო“ სინონიმებია, „სასტიკის“, „ძნელის“ მნიშვნელობით. „აყირო“ თეოფანესთან გადატანითი მნიშვნელობით „ცხოვრების“, „წუთისოფლის“ მსაზღვრელია, რომელიც უპიროსპირდება „უკუდავს“: ... უკუდავისა ამის ცხოვრებისაგან დაეცი და შთაჰვარდი ცხოვრებასა ამას შინა აყიროსა და საჭიროსა 170v.

„ჭირისაგან“ მომდინარე „საჭირო“ იგივეა, რაც „ძნელი“ (ილ. აბულაძე, ზ. სარჯველაძე).

ძმა - ძე დედისა შენისა

ეს სინონიმური წყვილი განასხვავებს „ძმობის წევრის, მონასტრის კრებულის წევრისა“ და ბიოლოგიური ძმის მნიშვნელობებს. ძეგლში დამონმებული წყაროს (49-ე ფსალმუნი, მუხლი 20) მიხედვით იკითხება: *შჯღი რაჲ, ძმისა შენისათჳს ბოროტსა იტყოდო და ძისათჳს დედისა შენისა დასდვი საცთური* 171r.

სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები გვხვდება ტექსტის სხვადასხვა ადგილას, ზოგჯერ ერთ წინადადებაში:

დამარხვა - დაცვა; დამარხვა - დაფლვა

„დამარხვას“ ძველ ქართულში ჰქონდა სამი მნიშვნელობა: „დაცვა“, „შენახვა“ და „დაკრძალვა“ (ილ. აბულაძე, ზ. სარჯველაძე). ძველ ძეგლებში „და-მარხვა“ უპირატესად „დაცვის“, „შენახვის“ მნიშვნელობით გვხვდება, ასეა თეოფანესთანაც: ერთ-ერთი თავის სათაურია - *სწავლაჲ მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა თეოფანესი მცნებათა ღმრთისათა დაცვისთჳს* 193r.

თხრობის დასაწყისში მომდევნო სტრიქონში ამ მნიშვნელობით არის „დამარხვა“: *ძმანო, ყოველსავე ადგილსა და ყოველსავე ჟამსა შესაძლებელ არს დამარხვაჲ მცნებათა ღმრთისათაჲ* 193r.

ამ მნიშვნელობით ხშირია პირიანი ფორმებიც: *უკუეთუ დავიმარხნედ იგინი... კეთილნი წარუვალნი მოგუეცემიან ჩუენ* 193r. ... *რომელნი უკუე ვინ დაიმარხნეს, დიდთა მადლთა ღირს იქმნების იგი* 193r. *უკუეთუმცა დაემარხა მცნებაჲ იგი ღმრთისაჲ, ნიჭნი და მადლნი დიდნი მიეცემოდეს მას* 193v.

შინაარსის მიხედვით საინტერესოა ტექსტის ერთი ადგილი, სადაც ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობა უნდა იგულისხმებოდეს: *...არამედ დაჰმარხის იგი საჭმლად მატლთა და მერმე განშიშულდიან ძუალნი და განჴმიან ტვნნი და განიბნინიან ნანევარნი და ... უკუანაჲსკნელ გარდააქციის მინაჲ იგი მინადვე საფლავმან და დაჰმარხის იგი კეთილად, ვითარცა ნამარხვეჲ, რაეთა არცა ერთი ნანევარი სადა წარწყმდეს, ეჰა, საკურველი!*

„ნამარხევი - განძი, საცავი, შესანახავი, მიბარებული ქონება“ (ილ. აბულაძე).

„დამარხვა“ *დაკრძალვის*, მნიშვნელობითაა შემდეგ წინადადებებში: *...ლოდმან დამფაროს მე და დამმარხოს მინაჲ ესე მინასა შინა* 179v. *ენებოს მის თანაცა დაფლვაჲ* 180v.

განრინება, განრომა - ჴსნა, ცხოვნება

აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებს ძველი ქართული ენის ძეგლებში *ხსნის*, *გადარჩენის*, *გათავისუფლების* მნიშვნელობა აქვთ (ზ. სარჯველაძე, ილ. აბუ-

ლაძე). განრილება და განრომა გვარის მიხედვით განსხვავებული საწყისებია. განრილება მოქმედებითი გვარის ზმნის შესატყვისია, განრომა – ვნებითისა. თეოფანესთან გავრცელებულია განრილება, განრომა და შესაბამისი პირიანი ფორმები:

სადა ეპოოთ გზაჲ იგი ნრფელი, რომლითა შეუძლოთ სოფლისა ამისგან განრომად 181v. სივლტოლად ვისნრაფი, უკუეთუმცა სადა შესაძლებელ იყო განრომად სიკუდილისაგან 182v. ვითარ უკუე განვერუ საშჯელსა მას? 177v. მნებაჲს, რაჲთამცა ოდენ განვერი ვნებათა მათგან 182v. რაჲთა საშჯელისა მის საუკუნოესაგან განვერუ 172v. არაჲინ არს, რომელიმცა განვერა ბადეთა მისთა 189r. ვითარ განვერნეთ მისგან 181v. რაოდენ სატანჯველთაგან განვერნეთ 182r. ყოვლისაგანვე ბოროტისა განვერნეთ 191v. მერმისა მისგან შიშისა უეჭუელად განვერნეთ 193r. განმარინე მე ჳელთაგან მისთა 190r.

შედარებით იშვიათია ჳსნა და ამ ფუძის ზმნები: ვის ძალ-უც სხუასა ჳსნაჲ ჩემი 190r. ჳელთა აღვიპყრობ მისა მიმართ, რომელსა-იგი ძალ-უც ჳსნაჲ ჩემი 185r. ... ვერცა სხუაჲ რაჲმე შემძლებელ არს მის ჟამისაგან ჳსნად კაცისა 180r ...და არცა ვინ არს, რომელმანცა მიჳსნა მე ცეცხლისა მისგან 184v. მიჳსენ მე მნარისა მისგან ჳმისა 190r. მიჳსენ მე ბრძოლათა მათგან 187v.

კიდევ უფრო იშვიათია გადარჩენის, ხსნის მნიშვნელობით ცხოვნება//ცხონება: რაჟამს მოიქცე და სულთ-ითქუნე, მაშინ სცხონდე 171r. იგი ამისთვის მორჩილ იქმნა, რაჲთა ჩუენ ვცხონდედეთ 191v.

განრღუეული - დაჳსნილი

ამ სიტყვების მნიშვნელობაა: დარღვეული, დაშლილი, დანგრეული. დაჳსნილ არს ძალი სულისა ჩემისაჲ და ასონი იგი სათნოებათანი განრღუეულ არიან 187v. შენ სულგრძელ ხარ, არამედ მე დაჳსნილ 187r.

მიმღეობისაგან დაჳსნილი ნაწარმოებია საწყისი დაჳსნილობა: ჳ უდებებაჲ ესე და დაჳსნილობა 195v.

გვხვდება შესაბამისი პირიანი ფორმებიც: რაჟამს-იგი ნივთნი ცათანი დაიჳსნებოდინ ... 181v. რაჟამს იგი ნანევარნი შენნი შიშისაგან დაიჳსნებოდინ 192v.

აღსასრული – სიკუდილი

ძველი ქართული ენის ძეგლებში სიკვდილის მნიშვნელობის გადმოსაცემად ზემოთ აღნიშნულის გარდა გამოიყენება სხვა სიტყვებიც: გარდაცვალება, მიცვალება, ჳორცთაგან განსლვა, დაძინება, უფლისა მისლვა... თეოფანესთან მხოლოდ ეს ორი სიტყვა გვხვდება, უფრო ხშირად „სიკუდილი“.

არა ჳნებაჲს ღმერთსა სიკუდილი ცოდვილისაჲ 171v. მოინევის სიკუდილი, ვითარცა მპარავი 189r. სიკუდილი, ვითარცა ვხედავ, მონვენულ არს ჩემ ზედა 189v. ... კუალად გამოვიხატავ ჟამსა მასცა აღსასრულისასა 189r. ცხოვრება მოვიყიდოთ, ვიდრე არა მონვენულ არს აღსასრული 195v.

სახიერი - ქველისმოქმედი

კეთილის, სიკეთის მნიშვნელობით თეოფანეს თხზულებაში უფრო ხშირია „სახიერი“: ბოროტ არს... განრისხებაჲ სახიერისა მის და მონყალისა 184r. შენ სახიერ ხარ, არამედ მე ღირს სატანჯველთა ვარ 187r. მივის მეუფეჲ ესრეთ კაცთმოყუარე, ესრეთ სახიერ 187r. ვლალადებ და ვიტყვ სახიერისა მის მიმართ 185r. თავს ისხენ ნეფსით თჳსით წინაშე შენსა კაცთმოყუარისა მამისა და სახიერისა 175r. მოვილტი შენდა მომართ სახიერისა მაგის მეუფისა 174r.

„ქველისმოქმედი“ იშვიათია: მე არა მნებავს შენდა მომართ ქველისმოქმედისა მაგის მოქცევაჲ 186v.

სახიერება - ქველისმოქმედება - კეთილი

ამ სიტყვათა მნიშვნელობაა *სიკეთე, სიკეთის ქმნა*. „სახიერება“ ნაწარმოებია ზედსართავისაგან „სახიერი“.

ვიცნობ დიდსა მას უფსკრულსა შენისა *სახიერებისასა* 185v. დიდნი არიან წყალობანი ღმრთისანი და *სახიერებაჲ* მისი მიუწთომელ არს 184r. მინდობილ ვარ სიმდაბლესა მას *სახიერებისა* შენისასა 174r. კადნიერ ვიქმნა მე შენისა *სახიერებისა* მიმართ 187v.

„ქველისმოქმედება“ კომპოზიტიან. პირველ კომპონენტს („ქველი“ ძველ ქართულში აქვს *კეთილისა* და *მამაცის* მნიშვნელობა (სარჯველაძე 2001), ნაწარმოებია მიმღეობისაგან *ქველისმოქმედი*: არცა მივაგოთ *ქველისმოქმედებისა* წილ მისისა ურჩებაჲ მცნებათა მისთაჲ 194r.

„კეთილი“ ძველ ქართულში დღევანდელი მნიშვნელობის გარდა ნიშნავს „კარგს“, „სიკეთეს“. მოსწრაფე არს *კეთილისა ჩუენისა* 195v. *გიყუარდინ კეთილი* 172r. *კეთილნი* მიაგენ 172v.

ძველ ქართულში არის „სიკეთეც“, მაგრამ ადრინდელ ძეგლებში მისი მნიშვნელობაა *მშვენიერება, მოხდენილობა, სილამაზე* (ილ. აბულაძე, ზ. სარჯველაძე). ამდენად, იგი ვერ ჩაითვლება *სახიერებისა* და *ქველისმოქმედების* სინონიმად.

ესრეთ ბრწყინევიდნი სიკეთეჲ საქმეთა შენთაჲ 172v. „კეთილი“ „სიკეთის“ მნიშვნელობით უნდა იყოს შემდეგ წინადადებაშიც: *ვივლტი საშჯელისა მისგან არა კეთილისა საქმითა*. „კეთილი“ ამ წინადადებაში მსაზღვრელია, იგი რომ „კარგს“ ნიშნავდეს, მოსალოდნელი იყო „კეთილითა საქმითა“, „საქმე“ აქ „ქმნის“, „კეთების“ მნიშვნელობითაა. „კეთილისა საქმით“ იგივეა, რაც „სიკეთის ქმნით“.

ეს სინონიმები ერთსა და იმავე წინადადებაშიც გვხვდება: *რომელმან - ეგე მრავლითა კეთილითა პატივ-მეც, რომელმან-ეგე ბევრეულითა ქველისმოქმედებითა გვრგვნოსან ჰყავ ბუნებაჲ ჩემი* 174v. აღნიშნულ სინონიმთაგან უფრო ხშირია „სახიერება“.

ვედრება - თხოვა

ამ სინონიმთაგან ხშირია საწყისი „ვედრება“ და მისი შესაბამისი პირიანი ფორმები: *რაჲთა მასწაოს მე ... ვედრებაჲ შენი...* 173v. *ესე იგი არს...* *ვედრებაჲ* მისი 176r. *ყუარდ-ილე ვედრებაჲ ჩემი...* 189v. *ვითარმცა ვიყავ ღირს კადნიერებით შენდა მომართ ვედრებად* 187r. ... *რომლისა უკუე ცოდვისათჳს ვევედროლ პირველად მსაჯულსა მას* 177v. ...*ანუ ვის ვევედროლ სხუასა* 190r.

„თხოვა“ ფუძე ზმნის პირიანი ფორმებითაა წარმოდგენილი: *ამას წყალობასა ვითხოვ მეც* 186r. ...*რომელი ითხოვდა შენგან, რაჲთა მოიწსენო იგი* 186r. *ამისთჳს ვითხოვ წყალობასა შენსა* 186r. *ვითარ ვითხოვ ცოდვათა ჩემთა მიტევებაჲ* 187r. *ამისთჳს ვითხოვ შენგან უსასყიდლოდ წყალობასა* 187r.

აზნაურება - განთავისუფლება

აზნაურება პირიანი ფორმებით არ გვხვდება. არ დასტურდება იგი სხვა ძეგლებშიც.

არღარა მაქუს პატიოსნებისა მის ჩემისა აზნაურებაჲ 175r. *მწარესა ამას უფალსა, რომელ არს სოფელი, დაუმონოთ აზნაურებაჲ იგი ჩემი* 182r. *ჩემითა მით უვნებელობითა ბუნებაჲ თქუენი ვნებათაგან განვათავისუფლე* 195r. *რაჲთა ჩემისა სიმდაბლისა და მონებისა მიერ მრწამსნი ჩემნი განვათავისუფლნე* 195r.

რამათა ჩუენ, ცოდვითა დამონებულნი ესე, განგუათავისუფლნე და აზნაურებითა პატივ-გუცე 186v.

მთხრებლი - მღვმე

„მთხრებლი“ და „მღვმე“ ძველი ქართული ენის ლექსიკონებში განმარტებულია როგორც, „ღრმღ“. თეოფანეს თხზულებაშიც ეს სიტყვები ღრმღს მნიშვნელობით იხმარება ტექსტის სხვადასხვა ადგილას: შთამავდეს მე მთხრებლსა მას სასონარკუეთილებისასა 177v. შთაჰვარდი შენ მთხრებლსა მას დაჰსნილობისასა 170r. ... ვიდრე არა შთავრდომილ არს ურმისთუალი იგი მღვმედ 195v.

საფრჯე-მახე - საცთური - ბადე

აღნიშნული სიტყვები ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება. უფრო გავრცელებულია საფრჯე: რომელმან მზაკუვარმან განზრახვამან ... შთაგაგდო შენ ბადეთა მათ შინა მტერისათა და შთავარდი შენ საფრჯეთა მათ შინა უდებებისათა 170v. საფრჯეთა მათ ცოდვისათა შთაჰვარდი 184v. გ უ ლ ი ს ჯ მ ა - ყ ა ვ, რამეთუ შორის საფრჯეთა ხუალ 179r. არავინ არს, რომელიმცა განერა ბადეთა მისთა 189r.

... რომელმან - იგი მახჯ ურჩებისა შემიმზადა მე 178v.

... ყოველივე საქმჯ ამის ცხორებისა საცთური არს 179r. ძისათჳს დედისა შენისა დასდვი საცთური 171v.

სამარე - საფლავე

„თქუმულში“ ეს ორი სიტყვა თითქმის თანაბრად იხმარება. აღდგომასა შენსა სამარისა მისგან ცოდვათაჲსა მეცა აღვდგე 188r. მისციან იგი სამარედ და დაფარონ იგი ერთბამად მიწითა 180r. შემდგომად ამისა რაჲ ყოფად არს, გარნა სიკუდილი და სამარედ მისლვაჲ 179v. რაჲამს - იგი მცირემან საფლავემან მიმილოს ... ვითარცა იგი მე თვთ მრავალგზის ვიხილე საფლავებსა შინა საკრველი 182v. მერე შემდგომად მცირედისა შეინყნარის სამწყრთეულმან საფლავემან უბადრუკი იგი გუამი 181r. უკუანაჲსკნელ გარდააქციის მიწაჲ იგი მიწადვე საფლავემან...181v.

ჯორცნი - გუამი

ჯორცნი მრავლობითის ფორმით იგივეა, რაც გუამი (=სხეული), იგი „სულის“ ანტონიმი. მოვაკუდინნე ჯორცნი ჩემნი და დაუმორჩილნე იგინი სულსა 178v. უბადრუკებითა და ჭირითა განეშორებოდის სული ჩემი ჯორცთაგან 189r. შეინყნარის... უბადრუკი იგი გუამი ვრცელთა მათ და მაღალთა ტაძართა წილ 181r. ნუ გეშინის მათგან, რომელნი მოაკუდინებენ ჯორცთა, ხოლო სულისაჲ ვერ ძალ-უც მოკუდინებაჲ, არამედ უფროჲსად მისგან გეშინოდენ, რომელსა ძალ-უც სულისა და ჯორცთა წარწყმედაჲ გეჰენიასა შინა 192r.

გეჰენია - ჯოჯოხეთი

...რომელსა ძალ-უც სულისა და ჯორცთა წარწყმედაჲ გეჰენიასა შინა 192r. გამოვევარდებით მიერ და შთავევარდებით ჯოჯოხეთს, რამეთუ არარაჲ არს სხუაჲ ჯოჯოხეთს შესლვაჲ 190v. მერმისა მისგან შიშისა უეჭუელად განვეერნეთ და ჯოჯოხეთისა წილ მოვილოთ გვრგვნი დაუჭნობელი 193r.

ზუაობა - მალლოვა - ამპარტავანება

... ვითარ თიჯაჲ თიჯასა ზედა ზუაობნ და მიწაჲ მიწასა ზედა მალლოინ 171v.

... არცა ოდეს მალლოის მოყუასსა ზედა 191r.

მოიძულე... ყოველთა უბოროტესი ამპარტავანებაჲ 172v. ... რომელმან საქმემან დასაჯა ფარისეველი იგი... ანუ არა...ამპარტავანებამან მოყუასსა ზედა თჳსსა? 191r.

შესაბამისად სინონიმებია – ამპარტავანი და მზუაობარი
... უკუეთუ გონებითა ამპარტავან იყო 171v.
რამეთუ უფალი ამპარტავანთა წინააღმდეგების 172r. ნუ ხარ მზუაობარ და
შეურაცხის - მყოფელ სხუათა 171v.

ბევრეული - მრავალი - ათასეული

ბევრი და მისგან ნანარმოები ბევრეული ძველ ქართულში კონკრეტულ
რაოდენობას – „ათი ათასს“ და ზოგადად მრავალს აღნიშნავს. ჩვენს ძეგლში
ბევრეული მრავალს აღნიშნავს შემდეგ წინადადებებში: *მონვენად არიან ჩუენ
ზედა... გარესკნელი ბნელი და ბევრეულნი იგი სხუანი სატანჯველნი* 194r.
*რომელმან-ესე ბევრეულითა ქველისმოქმედებითა გვრგვინოსან ჰყავ ბუნებაჲ
ჩემი* 174r.

რაჟამს ბევრეულნი ანგელოზნი დგანან გარემოჲს მისა 192v. ყოვლითურთ
უჴმარ ვარ მე და დასაშჯელ და გუემულ ცოდვათაგან ბევრეულთა 178r.

„ბევრეული“ ზმნიზედის შემადგენლობაშიც შედის: *არამცა ბევრეულგ ზის
სულთ-ითქუნა და დაალტო ქუეყანაჲ ცრემლითა* 189v.

ტექსტის სხვა ადგილას ამავე მნიშვნელობით არის *მრავალი*:
დიდითა წყალობითა შენითა მრავალნი შეგინყალებიან 185r. ...და მქონან
მრავალნი სახენი მონყალებისა შენისანი 185r. *რომელსა – ესე მრავალნი გქონან
შინაგანისა მის გონებისა მხილებანი* 170r.

„ბევრეულნი“ „ათასეულნის“ გვერდითაც მრავალს უნდა აღნიშნავდეს შემ-
დეგ წინადადებებში: *დალაცათუ ათასეულნი მთავარ-ანგელოზნი დგანან წინაშე
ქელმნიფებისა ღმრთეებისა ჩემისა და ბევრეულნი ანგელოზთანი ჰმსახურებენ
ნებასა ჩემსა* 195r.

„თქუმულში“ სინონიმებია აგრეთვე: **ბოროტი – უკეთური; მრისხანება –
განრისხება – გულისწყრომა – რისხვა; იცის – უწყის; დაჰჴმავ – დაჰჴმადავ;
საძულელ – საძაგელ; მოქცევა – სინანული; სიმართლე – ჭეშმარიტება; სენი
– სნეულება; დასაბამი – ძირი** და სხვა.

თეოფანე კესარია კაპადუკიელის „თქუმული“ მნიშვნელოვან მასალას
გვანვდის ძველი ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონისათვის.

ლიტერატურა:

- აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973;
- კეკელიძე 1957 – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,
ტ. V, თბილისი;
- სარჯველაძე 1995 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995;
- სარჯველაძე 2001 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი,
2001;
- ლლონტი 1984 – ა. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

შემოკლებათა განმარტებანი

- აღწ. I – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I,
ქუთაისი, 1953.
- აღწ. IV – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, IV, თბილისი, 1953.

რედუპლიცირებულ ფუძეთა ფორმანტების გენეზისისთვის (-ეც / -ედ)

რედუპლიკაცია – სიტყვის ან ფუძის, უფრო იშვიათად ფუძის ნაწილის, გაორკეცება სიტყვათა წარმოქმნის ერთ-ერთი სახეა და გამოსახვის სტილისტიკურ ფუნქციასთან ერთად ხშირად მორფოლოგიურ ფუნქციასაც ასრულებს. ლ. სანიკიძე აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ძნელდება ზღვარის გავლება განმეორების სტილისტიკურ, სიტყვანარმოქმნით და სიტყვაცვლილებით ფუნქციებს შორის (სანიკიძე 1976: 35). გაორკეცების სახეებზე აქ არ შეჩერდებით, აღვნიშნავ, რომ რედუპლიცირებულ ფუძეებში დასტურდება ფონეტიკური ცვლილებები:

პანანა <პანპანა (შანიძე 1953 : 151).

წინიბო < წიპნიპო

გორაკი < გორგორაკი...

რედუპლიცირებულ ფუძეებში გამოყენებულია სხვადასხვა ფორმანტი (ამ ფორმანტთა ფუნქციების ცალკე კვლევაა საჭირო); მაგალითად:

-ა: **კარკარ-ა; თახთახ-ა** „ქალღივიტით თხელი და ხმელი რამე, ხმას რომ გამოსცემს ხელის ცემის დროს“, შდრ. თახ- (თხ-ელ-ი); ყელყელ-ა; ცახცახ-ა „ერთნაირი ბალახი, გავრცელებულია ეზოებში, გზის პირებზე“.

-ო: **ჯვერჯვერ-ეც-ო** „პატარა ჯვედა“ (საბა), „პატარა ხის ჩაქუჩი“, შდრ. **ჯვ-ედ-ა** „ხის ურო“ (საბა); ღიღილ-ო შდრ.: ღილ-ი;

-ობ: **ძონძრ-ობ-ი < ზონზრ-ობ-ი < ზორზრ-ობ-ი;**

-იხ: იმერ. **წინწრ-იხ-ი < *წინწირ-იხ-ი** „ჭუჭყი“; შდრ.: **წვირ-** (იმერ. **მ-წვირ-ე**, წინწრიხ-ში ვ- დაკარგულია);

-ელ: **ბურბუშ-ელ-ა;**

-ალა: **ბახარხ-ალა** „წვრილი ბავშვები“, შდრ. ბახ-ალა „ბარტყი“;

-იელ: **ქასქანჯ-იელ-ი** „ემბაკი“ (ილ. ჭყონია), შდრ. ქაჯი;

-იან: **ლულუტ-იან-ი** „გაიძვერა“, „ქვემქვემა“ (ვ. ბერიძე), შდრ. ლუდ-იან-ი;

-აკ: **ჩაჩან-აკ-ი; ჭოჭონ-აკ-ი < ჭორონ-აკ-ი < ჭალ-ი; ჭინჭილ-აკ-ი** „ურმის თვალის ჭილიბი“ (საბა), შდრ. ჭილ-იბ-ი;

-იკ: **კოჭოჭ-იკ-ი** „ქვევრის განწვრილებული ბოლო, ქვევრის ძირი“;

-უტ: **ხურხ-უტ-ანა, ხუხურ-უტ-ანა**, შდრ. **ხურ-** (ძვ. ქართ. **ჯურ-ელ-ი**, ახ. ქართ. **ხვრ-ეც-ა**);

-იტ: რაჭ., იმერ. გურ. **ჭვარჭვალ-იტ-ა** „წინწკლებით აჭრელებული, „წინწკლებიანი“

შდრ.: **ჭარ- / ჭ(ი)რ- (ჭრ-ელ-ი).**

შეიძლება გამოიყოს სხვა სუფიქსებიც, მაგრამ ამჯერად განვიხილავთ -ედ /-ეც სუფიქსებს რედუპლიცირებულ ფუძეებში. ცალკეულ არარედუპლიცირებულ ფუძეში გამოიყოფა -ედ / -ეც (/ -იტ) სუფიქსები; მაგალითად,

-ედ: **მ-ტრ-ედ-ი < *მ-ტარ-ედ-ი (*ტარ-/*ტერ-** დუპლეტური ფუძეები უნდა გვექნოდან; ეტიმოლოგიურად, მტრედი არის მიმღებობური ფორმა და აღნიშნავს: რაც ატარებს თავის თავს (მატარებელი), ამავე ძირს შეიძლება უკავშირდებოდეს

ძვ. ქართ. ტერ-ება „თავის პატრონობა ანუ ტარება“ (ვეფხ. „ეტერენით თავსა თქვენსა“, „ღმერთიცა მას ეტერების“....);

ქართ. მ-ტრ-ედ-ი < *მ-ტარ-ედ-ი : ზან. ტორ-ო(ნ)ჯ-ი.

*-ედ/-იდ ზმნური სუფიქსი გამოყოფს კლიმოვმა (კლიმოვი 1985:185) სიტყვებში:

ქართ. -ედ: ნრ-ედ-ა; და-ნრ-იდ-ა

ზან. -იდ: ნირ-იდ-უ-ა „ნრედა“.

ვ-ედ- /ვ-იდ ზმნაში ასევე შეიძლება გამოიყოს -ედ მარკერი:

*ვალ-ედ > ვლ-ედ > ვ-ედ

წვ-ერ-ი : ზან. წვ-ა(ნ)დ-ი

*წვ-ედ- / წვ-ეტ- : წვ-ა(ნ)დ-

ზან. მეგრ. წვ-ე(ნ)ტ-ერ-ე // *წვ-ა(ნ)ტ-

(მეგრ. *წვ-ა(ნ)ტ- გვავარაუდებინებს, რომ მას შეესატყვისება ქართ. წვ-ა(ნ)ტ-ს წვ-ეტი- / წვ-ერ-ი

ზან. (მეგრ.) წვ-ათ-ურ-უ-ა „წვერის თლა, დაწვეტიანება“

ქართული ენის ცალკეულ ფუძეში ხერხდება -ეტ (/ -იტ) სუფიქსის გამოყოფა (მაგალითად: ხვრ-ეტ- / ხვრ-იტ-, ჭყლ-ეტ-/ჭყლ-იტ-); ძვ. ქართ. კუმ-ეტი- (კუნ-აპეტი-ი, კუკუნეთი < უკუნეთი, სა-უ-კუნ-ე)< შდრ. კუნ-

-ედ / -ეტ (/ -იტ) სუფიქსის გამოყოფა ამ არგუმენტით სარწმუნოა რედუპლიცირებულ ფუძეებში:

ღერღ-ედ-ი < *ღერღერ-ედ- „ბატი“

გურ. ჭინჭორ-ედ-ა „ცუდიჭრელები“

ჩერჩ-ეტ-ი < *ჩერ-ჩერ-ეტ-ი

ქერქ-ეტ-ი < *ქერ-ქერ-ეტ-ი

კერკ-ეტ-ი < *კერ-კერ-ეტ-ი

წერწ-ეტ-ი < *წერწერ-ეტ-ი, შდრ. წერ-ა „ჭრა“, „კვეთა“, „წერა“

(ფრ. ნაისერის ეტიმოლოგიით, წერწ-ეტ-ი<წვეტ-:წერწ-ეტ-ი<წელწვეტ-ი, შდრ.: წელწერილი, ტანი-სარო); აღნიშნულ მოსაზრებას არ ვიზიარებ).

ივ. ქავთარაძე (ქავთარაძე 1959 : 385-399) ადასტურებს ლექსემას წენენა, რომელიც, ჩემი აზრით, ამავე წერ- ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული:

წენენა < ქართლ. წერწენა „სახვნელი იარაღის ძირითადი ნაწილი“.

წარმოების თვალსაზრისით, რედუპლიცირებული ფუძეები მეორეულია, გვიანდელია. ჩვენი ვარაუდით, -ეტ/-ედ სუფიქსები მცირერიცხოვან რედუპლიცირებულ ფუძეებშია წარმოდგენილი. -ეტ/-ედ ფორმანტების გენეზისი ასეთია: საერთოქართველურში – *-ეტ, რომლის დაშლის შედეგად ქართულში გვაქვს -ეტ, ზანურში -ატ :

*-ეტ < ქართ. -ეტ, ზან. -ატ:

ქართ. ჭყლ-ეტ-ა / ჭყლ-იტ-ა ზან. ჭყილ-ატ-უა / ოჭყილ-იტ-უ „ჭყლეტა“;

ქართ. ხვრ-ეტ-ა/ხვრ-იტ-ა ზან. ხირ-ატ-უა/ო-ხირ-იტ-უ „გახვრეტა“, სემანტიკური გადანევით: „გახლეჩა“.

-ეტ/-იტ/-ტ სუფიქსის კანონზომიერი ფონემური და ფუნქციური შესატყვისია მეგრული -ატ/-იტ. ამ ვარიანტთა განაწილების შესახებ იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:179-194). *-ეტ/-იტ სუფიქსების შესატყვისობები ქართველურ ენებში მოცემულია ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:191).

ქართ. -**ეტ**/**-იტ**/**-ტ** (ზმნური სუფიქსი) ვ-შრ-**ეტ**; ვ-შრ-**იტ**-ე; და-შრ-**ტ**-ა;
ვ-ჭყლ-**ეტ**; ვ-ჭყლ-**იტ**-ე...
მეგრ. -**ატ**/**-იტ**/**-ტ** (ზმნური სუფიქსი) შქირ-**ატ**-უ-ა / შქირ-**იტ**-უ-ა „ჩაქრო-
ბა“; ჭყილ-**ატ**-ირ-ი „გაჭყლეთილი“; ჭტილ-**იტ**-უ-ა „ჭყლეთა“...

ვფიქრობთ, რომ ***-ეტ** < ქართ. -**ეტ**, ზან. -**ატ** ფორმანტებს ქართველურ ენა-
კილოებში მოეპოვება ფონეტიკური ეკვივალენტები: ***-ტ** > **-დ** > **-ჯ**:

დ-ს **ჯ**-ში გადასვლის მაგალითი (აფრიკატიზაცია) ცოტაა, მაგრამ მაინც
დასტურდება (შდრ. ქართ. ხიდ-ი, ზან. ხი(ნ)**ჯ**-ი; ძვ. ქართ. ღერ-ღერ-**ედ**-ი > მეგრ.
ლორლონ**ჯ**-ი < *ლორ-ლორ-ო(ნ)**ჯ**-ი „ბატი“; **რ** > **დ** > **ჯ**: ქართ. ცვარ-ი, ზან. ცუ(ნ)
დ-ი / ცუ(ნ)**ჯ**-ი).

ტ-**დ**-ს მონაცვლეობა სინქრონიულ დონეზე თუ არა, დიაქრონიულ დონეზე
მაინც დასაშვებია. -**ედ**/**-ეტ** მარკერები ერთვოდა **CVC** სტრუქტურის ძირებს,
კერძოდ, სონორზე დაბოლოებულ **CVS** ძირებს; მარკერები იწვევს ამ ფუძეების
რედუქციას). ეს ძირები ზოგჯერ იყო დუბლეტური ძირები. **ჯ** არის **დ**-ს ზანური
შესატყვისი, მაგრამ ქართულში სინქრონიულ დონეზე არა გვაქვს **დ** : **ჯ** შესატყ-
ვისობა; ეს შესატყვისობა შეიძლება აღვადგინოთ შემდეგ ფუძეში: **დ**-ს აფრიკა-
ტიზაცია უნდა გვექონდეს **დ**-**ევ**-ს / **ძ**-**ევ**-ს < ***ჯ**-**ედ** ზმნაში; სემანტიკურად **დევ**
და **ზის** უნდა იყოს ერთი ბუდისა. ამოსავალში ან დუბლეტური ფუძეები იყო, ან
მარტო **დ**- იყო და მერე **დ**-სგან მივიღეთ **ძ**-**ჯ**.

რედუქციცირებული ფუძეები ხასიათდებიან სინჰარმონიზმით: ***ხუხურ**-
უტ-ან-ა, ***ჩერჩერ**-**ეტ**-ი, ***ღერღერ**-**ედ**-ი, ***ქერქერ**-**ეტ**-ი ... სუფიქსური ხმოვნები
ფუძის ხმოვნების იდენტური ხდება; შდრ.: **ჯუჯღღ**-**უნ**-ი (შდრ. **ჯღღუნ**-ა, მო-**ჯღღუნ**-
ულ-ი „უსახური“), **ჯიჯღღ**-**ინ**-ი.

სისინ-შიშინა სიბილანტები დუბლეტურ ფუძეებში არსებობდა ქართველურ
ენების დივერგენციის პერიოდიდან. ქართული ენის დიალექტებში შემორ-
ჩენილია დუბლეტური ფუძეები, რომლებიც ასახავენ ძველ ვითარებას, როცა
დუბლეტურ ფუძეებში ეკვივალენტების გაჩენამ შესატყვისობა შექმნა ქარ-
თველურ ენათა შორის. ეს პროცესი ქართული ენის დიალექტებში შეჩერდა
დუბლეტური ფუძეების დონეზე და არა ბგერათშესატყვისობების სახით, გან-
სხვავებით ზანურისა და სვანურისაგან, რომლებშიც მოგვცა შესატყვისობები.
რედუქციცირებულ ფუძეებში ხშირ შემთხვევაში შეიძლება ჩანდეს ბგერათშე-
სატყვისობის ძველი სურათი, რომელიც ცალკეულ ძირსა თუ ფუძეში არ არის
დადასტურებული.

წერწეტი-ი (< ***წერ-წერ-ეტ**-ი) ლექსემის სემანტიკური გადაწვევა გვესახება
ამგვარად: „წერა - როგორც ჭრა, კვეთა“ > **წერწეტი** „გამოჭრილი > გამოკვე-
თილი ტანით“. ფრ. ნაისერის მოსაზრებით (ნაისერი 1953 : 60), **წერწეტი** გაორ-
კეცებულია, მიღებულია **წვეტ**- ფუძისაგან; ლ. სანიკიძე აღნიშნავს (სანიკიძე
1976:61), რომ **წერწეტი წელწეტი**საგან შეიძლება მომდინარეობდეს, შდრ.
წელ-წერილი, ტანი-სარო.

ლექსემა **წერწ-ეტ**-ი დაკავშირებულია საერთოქართველურ ძირთან **წერ**-
„წერა“, ძვ.ქართ. „ჭრა“, „კვეთა“ მნიშვნელობით. ამავე სემანტიკურ-ეტიმოლო-
გიურ ძირს (წერ-) უკავშირდება ლექსიკური ერთეულები: ქართ. **წერ-ა-ქვი**,
წერ-ტ-ილ-ი < ***წერ-ეტ-ილ-ი** (-**ეტ** ზმნური სუფიქსი გვხვდება ლექსიკურ ერ-
თეულებში: ქართ. ჭყლ-**ეტ**-ა, წრ-**ეტ**-ა, წყვ-**ეტ**-ა... ფუძედრეკად, აბლაუტიან
ზმნურ ძირებთან), **მ-წერ-ი** იგივეა ეტიმოლოგიურად, რაც **მ-წერ-ალ-ი** (მწერი
იჩხვლიტება, ანუ „წერ-ს“, მწერალიც „წერს“, ლექსიკურ ერთეულში მ-წერ-ი

მ- არის მოქმედებითი გვარის მიმღობის პრეფიქსი, მოქმედის, სასუბიექტო მიმღობის აღმნიშვნელი). ნერ- ძირს აქვს შესატყვისი ქართველურ ენებში:

ქართ. **ნერ-ა** ზან.: მეგრ. **ჭარ-უა** „ნერა“; ჭან. (ნ)ჭარ- (შდრ. მეგრ. ცვაი-ჭარა „ბედი, ბედის ნერა“ – „შუბლზე ნერა“) (ჩიქობავა 2008 : 291-292).

ქართ. **მ-ნერ-ალ-ი** ზან. **მა-ჭარ-ალ-ი**

ქართ. **სა-ნერ-ი** ზან. **ო-ჭარ-ალ-ი**

ქართ. **ნერ-ილ-ი** ზან. **ჭარ-ილ-ი**

(თუმცა ქართულიდან ზანურში შევიდა ლექსიკური ერთეული *ნერილი* და დღეს ეს ლექსიკური ერთეული უფროა გავრცელებული, ვიდრე ზანური შესატყვისი *ჭარილი*).

არნ. ჩიქობავამ საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში კლას-კატეგორიის აღმნიშვნელი პრეფიქსების გვერდით და მათთან ერთად დეტერმინანტი სუფიქსებიც გამოყო, როგორც ფუძის ამგები უძველესი ელემენტი. ამგვარად, შესაძლებელია **CVC** სტრუქტურა ცალთანხმოვნისა ძირის შემდგომი გართულების შედეგი იყოს (გამყრელიძე-მაჭავარიანის დასკვნა საპირისპიროა). ჰაინც ჰენრიხი და ზურაბ სარჯველაძე სამი რიგის თეორიის მიხედვით საერთოქართველური ნერ- ძირისთვის აღადგენენ ნ-ს სისინ-შიშინა ვარიანტს: ***ნერ-** შემდეგი შესატყვისობით:

ქართ. **ნერ-** (ნერ-ს), **ნერ-ილ-ი**, **მ-ნერ-ალ-ი**, **ნერ-ტ-ე-ა**, **ნერ-ტ-ილ-ი**, **მ-ნერ-ი...**

მეგრ. **ჭარ-** (ჭარ-უ-ა) „ნერა“, **მა-ჭარ-ალ-ი** „მწერალი“ **ნა-ჭარ-ა** „დანერილი“, **ჭანჯ-ი** / **ჭანდ-ი** „ბუზი“...

ლაზ. **ჭარ-** / **ნჭარ-** **ო-ნჭარ-უ** „ნერა“, **ჭარ-ერ-ი** „დანერილი“, **მ-ჭაჯ-ი** „ბუზი, მწერი“...

სვან. **ირ-/-რ-/-ერ- ჩუ-ა-ირ** (ნახევარხმოვანი ი) „დანერა“, **ლა-ირ** (ა-პალატალიზებული, ი ნახევარხმოვანი) „ნერილი“, **ლი-რ-ე** „ნერა“, **მ-ნერ** „ბუზი“.

ქართ. ნერ- (<*ნერ-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრ. **ჭარ-**, ლაზ. **ჭარ-** და სვან. **ირ-** (<*ჭერ-ჭ-ს დაკარგვის შედეგად).

ქართ. **მ-ნერ** - ფუძეს შეესატყვისება მეგრული **ჭანჯ-** (**ჭანდ-** < **ჭანჯ-** დისიმილაციური დეზაფრიკაციისა და ნ-ს განვითარების გზით (როგავა 1947:352-353), ლაზური **ჭაჯ-** (მეგრულია და ლაზურისათვის ამოსავალია საერთოზანური ***მჭაჯ-** ანლაუტში მ-ს დაკარგვის შედეგად; შესატყვისობისათვის ქართ. **რ** : მეგრ. **ჯ** : ლაზ. **ჯ** (მარი 1909:3-4) და სვან. **მერ-** (<*მჭერ-).

ქართული **ნერ-** და მეგრული **ჭარ-** ზმნური ძირები ერთმანეთს დაუკავშირა მ. ბროსემ (ბროსე 1951:74, 78); ლაზური და სვანური მასალა მოიხმო ნ.მარმა (მარი 1914 :37). ქართული **მწერ-** და მეგრული **ჭანჯ-** შეაპირისპირა მ. რიაზინინმა (რიაზინინი 1897 : 21); ქართული **მწერ-ი** და სვანური **მერ-** ო. უორდროპმა (უორდროპი 1911 : 605); ლაზური **ჭაჯ-** ფორმა მოიხმო ნ.მარმა (მარი 1909:4). გ. კლიმოვმა საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა ***ნერ-**, შდრ. კლიმოვი და ***მწერ** არქეტიპები (კლიმოვი 1985 : 240, 309, 141).

ნერ- საეტიმოლოგიო ძირ-ფუძეს უკავშირდება აგრეთვე **ნერ-აყ-ან-ი** (ქართ., მოხ. დიალ.); სალიტერატურო ქართულში დასტურდება ლექსიკური ერთეული **ნერაყინ-ი** (ნერ-აყ-ინ-ი) „ნერაქვის მსგავსი რკინის იარაღი (ქეგლ-ი)“. მ. ჩუხუა მას უკავშირებს კანონზომიერი შესატყვისობით ზან. (მეგრ.) **ჭარკ-ინ-ი** < ***ჭარყ-ინ-ი** „მოკაუჭებული ჯოხი“, შდრ. იმერ. (<ზან.) **ჭარკ-ენ-ი** „ბურთის

სათამაშო მოკაუჭებული ჯოხი“. იქვე აღნიშნავს, რომ სვანური ეკვივალენტი ვერ გამოვლინდა. ავტორმა ქართ. *ნერ-აყ-ინ-ი*, მოხ. *ნერ-აყ-ან-ი* და მითითებული ზან. შესატყვისების საფუძველზე აღადგინა ს.-ქართვ. **ნერყ-ინ-* „მოკაუჭებული ჯოხი (სანადირო, სათამაშო)“ და მართებულად დაუკავშირა ჩეჩნ. (იჩქ.) *ჭერგ < *ჭარკ-ა (ნ) „განივი მორი (დირე) სხვენზე გადაებული“*, ინგ. *ჭარგა < *ჭარკ-ა(ნ) „იდ“*, ბაცბ. *ჭარკ-ე(ნ) „მოკლე ჯოხი“*; ამ შემთხვევაში ბაცბური თითქმის იმეორებს საერთონახურის ვითარებას: ბაცბ. *ჭარკ-ე(ნ) < ს.ნახ. *ჭარკ-ენ*; ეს უკანასკნელი კანონზომიერად მიემართება ს.-ქართვ. **ნერყ-ინ-* არქეტიპს.

შდრ. ს.-ქართვ. ე : ს.- ნახ. ა

ს.-ქართვ. ნ : ს.- ნახ. ჭ

ს.-ქართვ. ყ : ს.- ნახ. კ (ჩუხუა 2008 : 614-615).

საერთოქართველურ დონეზე უნდა ყოფილიყო **ნერ-/*ნარ-* ძირები და მისი დუბლეტური შიშინა ვარიანტიანი ფუძე **ჭერ-/ *ჭარ-* (და-ვ-ჭერ/და-ვ-ჭარ). ამოსავალი ს.-ქართვ. **ნ₁>ნ/ჭ* : გაუდიფერენცირებელი პოლისემანტიკური მონოკონსონანტური ძირით და ძირის ამგები, დეტერმინანტი - ერ/-არ მარკერებით; ამ ძირ-ფუძეთა ამოსავალი სემა იყო „ჭრა“, „კვეთა“ (თავდაპირველად - ქვაზე ჭრა, კვეთა, ქვაზე წერა); ამგვარად, ქართ. *ნერ-ა* და *ჭრ-ა < ჭVრ-ა*. მონოკონსონანტური პოლისემიური საეტიმოლოგიო ძირის ს.-ქართვ. (**ნ-/*ჭ-*) სისინ-შიშინა ვარიანტი უნდა ყოფილიყო ქართველურ ენათა დივერგენციამდე საერთოქართველურში; ამიტომ ნ-ს სისინა ვარიანტის გვერდით ქართულშივე გვაქვს შიშინა ვარიანტიც: *ჭერ-/ჭარ-* „კვეთის, ჭრის“ აღმნიშვნელი; ქართულში დასტურდება ლექსიკური ერთეული *ჭარ-ი* „განაძრობი კანი“. მ. ჩუხუა მას ბაცბურიდან შეთვისებულად მიიჩნევს (ჩუხუა 2008 : 615). ჩემი აზრით, *ნ : ჭ* შესატყვისობა საერთოქართველურ დონეზევე იყო და ქართულმა შემოგვინახა დიასისტემებში.

ფუძეების დონეზე დუბლეტური ფუძეების არსებობა ვერიფიცირებადია, თუ ცალკეულ ფუძეს ცალკეული შესატყვისობები ეძებნება ქართველურ ენებში:

ნნ-ეხ-ა /ნნ-იხ- // ჭნ-ეხ-ა

ნილ-ახ-უ-ა ო-ჭინ-ახ- *ჭკინ-

ძვ. ქართ. ღერ-ღერ-ედ-ი > მეგრ. ღორღონჯ-ი < * ღორ-ღორ-ო(ნ)ჯ-ი „ბატი“

ქართ. ჩერჩეტ-ი < ჩერ-ჩერ-ეტ-ი

ქართ. ქერქეტ-ი < *ქერ-ქერ-ეტ-ი

ქართ. კერკეტ-ი < *კერ-კერ-ეტ-ი

ცალკეულ, არარედუპლიცირებულ ფუძეებში გვხვდება *-ედ > -ეტ* სუფიქსები (ვ-ედ-, მ-ტრ-ედ-ი, ნვ-ეტ-ი...). თუ ცალკეულ ფუძეში ხერხდება *-ეტ* სუფიქსის გამოყოფა (მაგალითად: ხვრ-ეტ, მაშინ ამ სუფიქსის გამოყოფა უფრო სარწმუნოა რედუპლიცირებულ ფუძეებში. წარმოების თვალსაზრისით, რედუპლიცირებული ფუძეები მეორეულია, მიღებულია ფუძეთა გაორკეცებით.

ერთი ენის დიასისტემებში გვხვდება აბრუპტიული ვარიანტები - სვან. კო-ტოლ- /კონოლ- /კოჭოლ-; ასეთივეა : ქართ. *ღრძუ* „მიუკარებელი“ (სამნ. ქართ.): *ღრჯუ* (ქართლ., იმერ.) „მიუკარებელი, უხასიათო“... (მ.ძიძიგ., ნ. კეცხ., პ.ხუბ., ვ. ბერ.); *ცეხვა* (სამნ. ქართ): *მოჩეხება* (ლომისა) (გურ.) „ლომის საბოლოოდ გა-

ცეხვა“ (გ. შარაშიძე; აღ. ლლონტი): ზან. **ცახუა** (სისინა შესატყვისობა); **ჩახუა** (მეგრ.); **ონჩახულე** (ჭან.) (შიშინა შესატყვისობა); (დაკავშირებები მოტანილია რ. აბაშიას სადისერტაციო მაცნედან: 2010:44). დუბლეტური ფუძეები ცალკე აღებული ქართული ენისა და დიალექტების დონეზე მრავლად გვხვდება, მაგრამ არ დასტურდება შესატყვისობა ქართველური ფუძეების დონეზე. შესაძლებელია აღდგენილი ვარიანტი შესატყვისობისა ყოფილიყო ***ჩქახ-**. ხ-ს დისიმილაციური გავლენით გამარტივდა **ჩქ-** კომპლექსი. ამიტომ გვიჭირს ვერიფიცირება, ნამდვილად არსებობდა თუ არა შესატყვისობა საერთოქართველურ დონეზე, მაგრამ დასაშვებია და ვუშვებთ.

ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული **ჭრ-ელ-ი** <***ჭერ-ელ-ი** : ზან. მეგრ. **ჭკარ-ჭკუნ-ტ-ი-ა** > ან // **ჭარ-ჭულ-ი-ა** „ჭრელი“ (ის, რაც თვალს ჭრის), პარალელურად დასტურდება ეს ფორმები ზანურში (ცნობა მოგვანოდა რ. აბაშიამ). ცალკე არ გვაქვს ჭკარ-; გვაქვს დამალული მხოლოდ რედუპლიცირებულ, ხმოვანმონაცვლე ძირში მეგრ. **ჭკარ-ჭკუნ-ტ-ი-ა** > ან // **ჭარ-ჭულ-ი-ა** „ჭრელი“. ხმოვანმონაცვლეობა დამახასიათებელია რედუპლიცირებულ ფუძეებში (ბრაგა-ბრუგი, ბათქა-ბუთქი...). ამგვარად, ქართული ენის ცალკეულ ფუძეში ხერხდება **-ეტ (/ -იტ)** სუფიქსის გამოყოფა (მაგალითად: ხვრ-ეტ-/ხვრ-იტ-, ჭყლ-ეტ-/ჭყლ-იტ-). **-ეტ (/ -იტ)** სუფიქსის გამოყოფა ამ არგუმენტით საარსებოა, როგორც აღვნიშნეთ, რედუპლიცირებულ ფუძეებში: ჩერჩეტი-ი < *ჩერ-ჩერ-ეტი-ი, ქერქეტი-ი < *ქერ-ქერ-ეტი-ი, კერკეტი-ი < *კერ-კერ-ეტი-ი.

ჩვენი ვარაუდით, **-ეტ / -ედ** სუფიქსები მცირერიცხოვან რედუპლიცირებულ ფუძეებშია წარმოდგენილი. **-ეტ / -ედ** ფორმანტების გენეზისი ასეთია: საერთოქართველურში - ***-ეტ**, რომლის დაშლის შედეგად ქართულში გვაქვს **-ეტ**, ზანურში **-ატ** : ***-ეტ** < ქართ. **-ეტ**, ზან. **-ატ**. შესაძლებელია, **-ეტ** სუფიქსის გამარტივება: **-ეტ** < **-ტ**, როგორც ეს გვაქვს მეგრ. **ჭკარ-ჭკუნ-ტ-ი-ა**-ს შემთხვევაში.

ლიტერატურა:

- აბაშია 2010** - რ. აბაშია, სიბილანტურ ფონემათა სისტემა ქართველურ და დალესტურ ენებში (ისტორიულ-შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო მაცნე, თბილისი, 2010;
- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965;
- როგავა 1947** - გ. როგავა, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში, თსუ-ს შრომები, XXXბ, თბილისი, 1947;
- სანიკიძე 1976** - ლ. სანიკიძე, გაორკეცება ქართულში, იკე-ს წელიწდეული, III, თბილისი, 1976;
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000;
- ქავთარაძე 1959** - ივ. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, თბილისი, 1959;
- შანიძე 1953** - აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953;
- ჩიქობავა 2008** - არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IV, თბილისი, 2008;
- ჩუხუა 2008** - მ. ჩუხუა, იბერიულ და იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2008;
- Климов 1985** - Г. Климов, Дополнения к этимологическому словарю картвельских языков Этимология, , Москва;
- Март 1909a** - Н. Март, К вопросу о ближайшем средстве армянского с иверским ЗВОРАО, XIX, вып. I, Санкт-Петербург.

- Mapp 1914** - Н. Мapp, Определение языка второй категории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания (предварительное сообщение) - ЗВРАО, т. XXII, вып. I-II, Санкт-Петербург;
- Brosset 1950** - M. Brosset, Rapports sur une voyage archeologique dans la Georgie et dans L'Armenie, Rapport VII, St.-Petersbourg;
- Neisser 1953** - F. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung. Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, XXXI, 2, Wiesbaden;
- Riabinin 1897** - M. Riabinin, Notes de lexicographie georgienne (Examen du material emprunte: Memories de la societe de Linguistique de Paris, X, I, Paris);
- Wardrop 1911** - O. Wardrop, English-Svanetian Vocabulary: Jurnal of the Royal Asiatic Society, London.

თინათინ ბოლქვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბჭოთა პოლიტიკა ენობრივ უმცირესობათა მიმართ: პირველი პერიოდის შედეგები

საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ენობრივი კონგლომერატი იყო. საბჭოეთის ენობრივი სიჭრელე, რომელსაც ხშირად ახასიათებენ როგორც დახლართულობასა და არეულ-დარეულობას (ლევინი 1972:17), მხოლოდ ცხოვრების სოციალისტური წესის შედეგი როდია, არამედ რუსეთის წარსული საუკუნეების მემკვიდრეობა. რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკა ივანე მრისხანის დროიდან დაიწყო და ალექსანდრე II-ის მეფობის წლებში უკვე ჩამოყალიბებული იყო მრავალენოვანი სახელმწიფო. თუმცა დაპყრობითი პოლიტიკა ამის შემდეგაც წარმატებით გრძელდებოდა. „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, – წერდა ილია ჭავჭავაძე 1881 წელს, – საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწა-წყალზე შეჯგუფულნი არიან... ამიტომაც ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, თუ სხვადასხვა ერის ტომნი როგორ მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე – როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოში... რუსეთს არ ჰქონდა და არც დღეის აქამომდე აქვს გამოკვლეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“ (ჭავჭავაძე 1881). რევოლუციამდე რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიის ოფიციალურ პატრონად აღიარებული იყო მხოლოდ რუსი ხალხი. არარუსი ძირეული მოსახლეობა არ ითვლებოდა თავისი მხარის მესაკუთრედ. ის მხოლოდ უბრალო მცხოვრები იყო. რევოლუციის დროს მდგომარეობა შეიცვალა.

როგორც ნ. ტრუბეცკოი წერს, „რუსმა ხალხმა სახელმწიფოებრივი მთლიანობისათვის ქვეყნის ერთადერთი პატრონის მდგომარეობა დათმო. ისტორიის უღმობელი ლოგიკის ძალით რუსეთში მოსახლე რუს და არარუს ხალხებს შორის ძველი მიმართება დაირღვა. ამის შემდეგ რუსი ხალხი სახელმწიფო ტერიტორიების ერთადერთი მპყრობელი კი აღარ იყო, არამედ ერთ-ერთი, რუსეთში მოსახლე უკვე თანასწორი უფლებების მქონე სხვა ხალხებს შორის“ (ტრუბეც-

კოი 1995:417). საბჭოთა კავშირი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ, ერთმანეთისაგან ბუნებრივი და კლიმატური პირობების მიხედვით ზოგჯერ დიამეტრალურად განსხვავებულ ტერიტორიებზე მოსახლე საზოგადოებებს მოიცავდა. აქ ერთდროულად თანაარსებობდნენ დანიანურებული ერები და მომთაბარე ტომები. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო უნიტარულ სახელმწიფოში მოქცეული ჰეტეროგენული საზოგადოებები. ამ მდგომარეობას ასახავდა ტერმინები: Народ (რაც ეთნიკურ ჯგუფს გულისხმობს), Народность (გარკვეული დონის ეკონომიკური, ტერიტორიული და ენობრივ-კულტურული ერთიანობა) და Нация (რომელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ეკონომიკური, ტერიტორიული და ენობრივ-კულტურული ცხოვრების სტაბილურობით).

ცარისტული რუსეთის ასიმილაციურ პოლიტიკას დაუპირისპირდა ლენინური თეზა „ერთა თვითგამორკვევის“ (ლენინი 1961) შესახებ, რითაც იწყება საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის პირველი პერიოდი, რომელსაც „ენობრივი პლურალიზმის“ პერიოდი შეიძლება ეწოდოს. „ერთა თვითგამორკვევის“ პოლიტიკის განუხრელმა დაცვამ შესაძლებელი გახადა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე საშუალო და უმაღლესი განათლების მიღება, რასაც წინ უძღოდა ეროვნულ უმცირესობათა ანბანებით მომარაგება და მათი სალიტერატურო ენებისთვის შესაბამისი დიალექტების შერჩევა, რაც ზოგჯერ ძალიან რთული ხდებოდა.

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის მეორე პერიოდი იწყებაოცდაათიანი წლებიდან და 1953 წლამდე გრძელდება. პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელი ენობრივი პლურალიზმი ახლა უკვე ცენტრალიზმმა შეცვალა. საბჭოთა ენობრივ პოლიტიკას ამ დროს იოსებ სტალინი განსაზღვრავდა. იგი 1929 წელს წერილში „Национальный вопросы Ленинизм (ответ товарищам Мешкову, Ковальчуку и другим)“ – ფაქტობრივად აჯამებს საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის პირველ პლურალისტურ პერიოდს, როცა წერს: „სოციალისტურმა რევოლუციამ კი არ შეამცირა, არამედ, პირიქით, გაზარდა ენათა რაოდენობა, რადგან მან კაცობრიობის ქვედა ფენები დაძრა და გამოიყვანა ისინი პოლიტიკურ სცენაზე, ახალი სიცოცხლისათვის გამოალვიდა ისეთი ხალხები, რომლებიც ადრე უცნობი ან ნაკლებ ცნობილი იყო“ (სტალინი 1954:11). ი. სტალინმა დაიწყო ერთა (და შესაბამისად, ენათა) დაახლოების (сближение) პოლიტიკა, რომელიც, მისი აზრით, მომავალში ენათა შერწყმით (слияние) უნდა დასრულებულიყო. თუმცა მას კარგად ჰქონდა გააზრებული, რომ ენათა დაახლოება და, მით უმეტეს, შერწყმა ვერ იქნებოდა ხანმოკლე პროცესი, რადგან, როგორც თვითონ ხაზგასმით აღნიშნავდა, ერები და ეროვნული ენები გასაოცარი სიმყარითა და წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით გამოირჩევიან. ამას გარდა, ი. სტალინი დიდ შეცდომად თვლიდა ერთა შერწყმის განხორციელება ზევიდან, დეკრეტირების გზით, ე.ი. იძულებით, მიუღებელია. ეს ნიშნავს, - წერდა იგი, - ხელი შევუწყოთ იმპერიალისტებს, ჩავშალოთ ერთა განთავისუფლების პროცესი, დავლუპოთ ერთა ძმობისა და თანამშრომლობის საქმე (სტალინი 1954:13). ი. სტალინის აზრით, ენათა შერწყმა მოსალოდნელი იყო სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ: „სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ, როცა ლიკვიდირებული იქნება ეროვნული ჩაგვრა, ნაციონალიზმი და კოლონიალიზმი; გათიშულობა და უნდობლობა შეიცვლება ნდობით. პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის პირობებში ასობით ენიდან

შეიქმნება გამდიდრებული ერთეული ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები შეირწყმება ერთ საერთაშორისო ენად, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იქნება არც რუსული, არც ინგლისური, არამედ ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტების შემცველი ახალი ენა“ (სტალინი 1950:111-112). კაცობრიობის მრავალენოვნიდან ერთ ენაზე გადასვლას ნ.მარიც წინასწარმეტყველებდა. მისი აზრით, ერთიანი ენის საჭიროებაზე მიუთითებს ხელოვნური ენების შექმნა, თუმცა ისინი შესრულებითა და ტექნიკით სუროგატებია იმასთან შედარებით, რაც გარდაუვლად მოხდება მსოფლიო ხალხთა ენების დაახლოების შედეგად. ამ გლობალურ პროცესს ვერც ერთი ერი ვერ ასცდება, - წერდა ნ. მარი. ერთ ენაზე მოლაპარაკე კაცობრიობას დამწერლობაც ერთი ექნება (მარი 1926). რომან იაკობსონის ნაშრომში „ევრაზიული ენობრივი კავშირის დახასიათებისათვის“ აისახა ის დისკუსია, რომელიც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში ანბანების გრაფიკული საფუძვლების არჩევის თაობაზე. რა უნდა აერჩიათ ახალი საბჭოთა ანბანებისთვის - სლავური კირილიცა თუ ლათინური ანბანი. ნიკო მარი ლათინურ ანბანს უჭერდა მხარს და სწორედ ლათინურზე დაყრდნობით შექმნა, როგორც თვითონ უწოდებდა, „აფხაზური ანალიტიკური ანბანი“.

რ. იაკობსონი ეწინააღმდეგებდა საბჭოთა ანბანების ლათინიზაციის იდეას და ზოგჯერ არგუმენტად ეკონომიურობის პრინციპი მოჰყავდა. მაგალითად, მისი გამოთვლით, ლათინიზებული ბელორუსული დაბეჭდილი ტექსტი 7,5%-ით აჭარბებს კირილიცაზე დაფუძნებული ბელორუსული დაბეჭდილს. ეს ანგარიში აჩვენებს, რომელი გადანყვეტილება სჯობს ბეჭდვის თვალსაზრისით. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რის გამოც იგი უჭერდა მხარს ანბანის შექმნის ნ.იაკოვლევისეულ ფორმულას (იაკოვლევი 1928) და აკრიტიკებდა ნ.მარს იაკოვლევის შევინროვებისათვის (იაკობსონი 1931). „ბელორუსული დამწერლობის ლათინურზე გადაყვანის მცდელობა იქნება ლათინურის არაეკონომიურობის თვალსაჩინო ილუსტრაცია თანხმომავნათა დამოუკიდებელი სირბილის გადმოცემის თვალსაზრისით. თუ, მაგალითად, ლათინური შრიფტით დაბეჭდილი ბელორუსული წიგნის - *Włast, Karotkaja historyja Bielarusi* პირველ გვერდებს გადავწერთ კირილიცათი და ორივე ვარიანტს შევუდარებთ ერთმანეთს, ვნახავთ, რომ რუსული სისტემის „დამატებით“ ხმოვან ასოებზე უარის თქმა ლათინიზებულ ტექსტს განსხვავებით ადიდებს დაახლოებით 7,5%-ით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ბელორუსები, რომლებსაც ლათინური დამწერლობა შეუყვარდათ, ტექსტის ყოველ 100 გვერდში 7,5 გვერდს ქაღალდს ზედმეტად ხარჯავენ ისევე, როგორც ზედმეტად იხარჯება სტამბური ფერები და ანყობა. ეს არის უკან დახევა უბრალო სტატისტიკური გამოთვლებითაც კი. როგორც უნდა გარდაიქმნას ორთოგრაფია, ყველა შემთხვევაში რუსულის ან აღმოსავლეთ-ფინური ენების გადასვლა ლათინურ დამწერლობაზე დაკავშირებულია ზედმეტ ხარჯებთან. თანხმომავნათა სირბილის გადმოცემა ლათინური დამწერლობით ერთ პრინციპს ვერ დაექვემდებარება, რაც უარყოფითად აისახება წერა-კითხვის სწავლებაზე. რუსულად წერაში თანხმომავნათა ფონოლოგიური სირბილე ყველა შემთხვევაში გადმოიცემა მომდევნო ასოთი (Зх, Зя, Зѣ, Зю, Зи), ხოლო ლათინიზირებულ ბელორუსულში სირბილის გამოსახატავად გამოიყენება ოთხი სრულიად განსხვავებული საშუალება: 1. რბილი და მაგარი II გადმოიცემა ორი სხვადასხვა ასოთი: I=II რბილი, I=II მაგარი. 2. სხვა თანხმომავნათა სირბილე, თუ ისინი გამოყენებული არ არის ხმოვნის წინა პოზიციაში, გამოიხატება დიაკრიტიული ნიშნით. მაგალითად, kniaz', რუს', dzien'. 3. II-ს გარდა სხვა თანხმოვ-

ნების სირბილე-სიმაგრე უ ფონემის წინ გადმოიცემა ორი სხვადასხვა ასოთი: y - მაგარი თანხმოვნების შემდეგ, i - რბილი თანხმოვნების შემდეგ (რუსული აღნიშვნის შესაბამისად). მაგალითები: kniazi, dni. 4. იმავე თანხმოვანთა სირბილე სხვა ხმოვნების წინ გამოიხატება ი ასოს ჩართვით თანხმოვანსა და ხმოვანს შორის: kniazia, kniaziu, kniaziom. ასეთი სიტყრელე ძალიან არარაციონალურია და შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, თუ თანხმოვანთა სირბილეს განვაზოგადებთ დიაკრიტული ნიშნებით, მაგრამ მაშინ საჭირო გახდება ბევრი ნიშანი და, რაც მთავარია, ნაბეჭდი გადატვირთული იქნება ამ მოუხერხებელი დიაკრიტული ნიშნებით. ლათინური ანბანის გამოყენება ევრაზიული ენების ფონოლოგიისთვის ისე რადიკალურად გარდაიქმნის ამ ანბანს, რომ მისგან არაფერი დარჩება რქებისა და ჩლიქების გარდა, ხოლო ლათინიზაციის ლოზუნგი ცარიელ სიტყვად იქცევა“ (იაკობსონი 1931). არ უნდა დაგვაინწყდეს სლავურზე დაფუძნებული საბჭოთა ანბანები ხელს უწყობდა რუსულის, ევრაზიული თეორიის შემქმნელთა შეფასებით, როგორც „საერთო ევრაზიული კულტურული მისიის მქონე ენის“ გავრცელებას. 1940 წლისათვის უკვე 68 ენას ჰქონდა კირილიცაზე შექმნილი ანბანი, რომელთაც 25 მილიონი არარუსი საბჭოთა მოქალაქე იყენებდა. როგორც ე. ლევისი წერდა, ახალი ანბანების საფუძვლად კირილიცასა და ლათინურის აღება რამდენიმე მიზანს ისახავდა: ახლად შექმნილ ანბანთა უნიფიცირებული ბაზა ხელს უწყობდა ჰომოგენური საზოგადოების განვითარებას, ქმნიდა რუსულთან თანაარსებობის პირობებსა და აადვილებდა მათ შესწავლას (ლევისი 1972:169. ენისა და ხელისუფლების მიმართებისათვის საბჭოთა კავშირში იხ. აგრეთვე სმითი 1998).

ი. სტალინზე უფრო ადრე ამტკიცებდა ნ. მარი ზონალური ენების საჭიროებას. ამის მაგალითად განიხილავდა ერთიანი კავკასიური ენის შექმნის აუცილებლობას. იგი წერდა: კავკასიის თანამედროვე და მომავალი საზოგადოებრიობა ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს, თუ კავკასიამ ოდესმე შეძლო ყოველთვის ხელიდან გამსხლტარი დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი საერთო კავკასიური მნიშვნელობის ენად აღიარებდა ქართულს, რომელსაც ახასიათებდა როგორც თვითკმარ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულობით გამორჩეულ ენას. მისი აზრით, კავკასიის მასშტაბით ქართულის მნიშვნელობას განაპირობებდა ის ფაქტი, რომ სალიტერატურო ქართული გამდიდრებულია სხვა კულტურებიდან შემოსული ტერმინოლოგიით: ძნელად თუ მოიძებნება სხვა ენა, რომელზეც ამდენი ენიდან ითარგმნებოდა ლიტერატურა: ბერძნულიდან, სომხურიდან, სირიულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან, თურქულიდან და ა.შ. (მარი 1922:4,14). ერთიანი ენის შექმნასთან ერთად კავკასიელებს უნდა ეზრუნათ საერთო დამწერლობაზეც, რომლის საფუძველი, მისი აზრით, რა თქმა უნდა, ლათინური ანბანი უნდა ყოფილიყო. ნ. მარს ანაქრონისტულ მოვლენად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ ქართველები და სომხები ჯერაც იმ ანბანებს იყენებდნენ, რომელთა ასოები წარსულში შექმნეს მხოლოდ კლასობრივი და არა ეროვნული ინტერესების მქონე ფენებმა და თითოეული ნიშანი აუღებელ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა (მარი 1922:5).

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის მეორე პერიოდში შეიცვალა მიდგომა ნაციონალიზმის მიმართ. ცენტრალიზმი ნიშნავდა ოფიციალურად აღიარებული ეთნიკური ჯგუფების, ხალხებისა და ერების რაოდენობის შემცირებას. მიუხედავად ამისა, მეორე პერიოდში კვლავ გრძელდებოდა ახალი სალიტერატურო ენათა შექმნა ისეთი ენებისთვისაც კი, რომელთაც ისტორიულად არასოდეს ჰქონიათ სამწიგნობრო ენა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მეგრული ბეჭდური

მედიის შექმნა, რაც მართლდებოდა ბოლშევიკური იდეების ყველაზე დაბალ სოციალურ წრეებში გავრცელების აუცილებლობით. მეგრულ და სვანურ ენებზე მოლაპარაკენი, როგორც ეს ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ნყაროებით დასტურდება, თავის თავს ყოველთვის მიაკუთვნებდნენ ქართველებს და მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მეგრულენოვანი (ქართულ ანბანზე დაფუძნებული) გაზეთი იწვევდა საზოგადოების გაღიზიანებას. ეს განსაკუთრებით ითქმის თვით მეგრული ენის მცოდნეებზე. ამაზე მიუთითებს XX საუკუნის 30-იან წლებში მომხდარი ამბებიც (დანვრილებით ამ საკითხზე იხ. ბოლქვაძე 2010).

მეგრულ ენაზე ბეჭდური ორგანოს შექმნის იდეა სოციალისტურ საქართველოში ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც ცარისტული ენობრივი პოლიტიკის გაგრძელება. უინტერესო არ უნდა იყოს თვალის გადავლება, თუ როგორ მუშაობდა XX საუკუნის 30-იან წლებში კომუნისტური პარტიისაგან დიდად ნახალისებული, ისაკი ჟვანიას ხელმძღვანელობით დაარსებული „ყაზაყიში გაზეთი“. ხელისუფლების მხარდაჭერას მაღლიერებით პასუხობდა მეგრული ბეჭდური ორგანო.¹



ელექტროენერჯის შეფერხებით მიღების გამო რედაქციას პოლიგრაფტრესტიდან საბეჭდი მანქანა მოუტანია და ამ ორგანიზაციის ვალად დასდება ათასი მანეთი. თანხა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უპატიებია „ყაზაყიში გაზეთისთვის“, როგორც ირკვევა, რედაქციას მხოლოდ ერთი საბეჭდი მანქანა² ჰქონდა, რომელსაც ღამლამობით ამუშავებდნენ,³ რაც „კომუნისტის“ ფურცლებიდან ემცნო საზოგადოებრიობას. ამ მხარდაჭერას დიდად აფასებდა მეგრული გაზეთი.⁴

1 „მადლობა საქ. სახ. მეურნ. მაღალაში საბჭოს“.
 2 „ობემტალი მაშინა“.
 3 „მაშინა მუშენდუ ხვალე სერ-სერიტინი, თიშენი ნამდა ელექტრონიში ნძალა დღა-შით ვერზიებუდუნი“.
 4 „გაზეთი „კომუნისტი“-ს გამოცხადებული“.

„ყაზაყიში გაზეთის“ ფურცლებიდან ვიგებთ მეგრულად გაზეთის გამოცემის მიზეზებს. ერთ-ერთ მენინავე სტატიად გატანილია სკპ (ბ) ცეკას თავმჯდომარის ლევან ლოღობერიძის¹ მოხსენება „მეგრელი მშრომელი გლეხისთვის დღეს მეგრული გაზეთი აუცილებლად საჭიროა.² ლ. ლოღობერიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ყაზაყიში გაზეთი“ გამოდის ცენტრალური კომიტეტის გადანყვეტილებით და აღელვებს ის გარემოება, რომ უპარტიო ქართველი ინტელიგენციის ნაწილი სასაცილოდ იგდებს ამ გაზეთს და ირონიულად „ყაზაყიშე ცეიტუნგს“ უწოდებს.³ მეგრული გაზეთის გამოცემის საჭიროებას ლევან ლოღობერიძე იმ გარემოებით ხსნის, რომ რაიონის მოსახლეთა უმრავლესობამ თითქოს ქართული ენა არ იცის. ეს გარემოება რამდენიმე ადგილასაა აღნიშნული: სამეგრელოს ამ ნაწილში გლეხობამ ქართული არ იცის და არ ესმის.⁴ სამნუხაროდ, ლ. ლოღობერიძე უსირცხვილოდ ტყუოდა, რასაც პირად საუბრებში ადასტურებენ იმ დროის მომსწრე მსცოვანი ქალბატონები და ბატონები. ბოლოს და ბოლოს, „ყაზაყიში გაზეთის“ ნაკითხვას სულ მცირე ქართული ანბანის ცოდნა მაინც სჭირდებოდა. ქართული ანბანი კი, უპირველესად, ქართული ტექსტების შექმნისა და ნაკითხვისთვის შეიქმნა. მეგრული გაზეთის საჭიროებას სკპ (ბ) მეშვიდე ყრილობის მომხსენებელი მისი ტირაჟის სიდიდითაც ამტკიცებდა. „ყაზაყიში გაზეთი“ 16-ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ გაზეთს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს თვით მეგრელებს შორისაც.⁵ ტირაჟი შთამბეჭდავია, მაგრამ არ ასახავს „ყაზაყიში გაზეთის“ მკითხველთა რეალურ რაოდენობას. ამ პერიოდულ გამოცემას გაცილებით მცირე მკითხველი ჰყავდა.

მეგრული გაზეთის მოწინააღმდეგეებს ლ. ლოღობერიძე უწოდებს ცრუ ინტერნაციონალებს, რომლებიც რეალურად შოვინისტები არიან და ფიქრობენ, რომ ამით ილაზნება საქართველოს ნაციონალური ინტერესები. ასეთი აზრები ეწინააღმდეგება საბჭოეთის იდეოლოგიას, ლენინურ პრინციპებსა და ნაციონალურ პოლიტიკას, რასაც ვერაფრით ვერ დავეთანხმებითო. ამის მიუხედავად, ლ. ლოღობერიძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გაზეთს ჰქონდა ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი: **რედაქცია გაიტაცა ახალი მეგრული სიტყვების შექმნის იდეამ და ბევრ ქართულ სიტყვას არ იყენებენ, მათ შორის ისეთებსაც, როგორცაა: „თავმჯდომარე“, „მშრომელი ხალხი“.** ლ. ლოღობერიძეს მიაჩნდა, რომ ახალი მეგრული სიტყვების შექმნა გამოინვევდა უხერხულ მდგომარეობას, რაც საბოლოოდ მეგრულ გლეხობას საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან კი არ დაახლოებდა, არამედ დააშინებდა და დააშორებდა მასთან. როგორცა ჩანს, ლოღობერიძეს ეს მაინც ხანმოკლე ან უმომავლო მოძრაობად მიაჩნდა, რადგან ამავე სტატილაში აღნიშნავდა, რომ მეგრელი გლეხობა ქართულის გარეშე ცხოვრებას ვერ შეძლებდა. მეგრულენოვანი პრესის საბჭოური პერიოდი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგრულის ემანსიპაციის სურვილი XX საუკუნის 30-იან წლებში იყო რუსეთის მიერ XIX საუკუნის ბოლო ოცნლეულში გატარებული და საგანმანათლებლო პოლიტიკის გაგრძელება და არა საკუთრივ ქართულ

1 „კ.პ. (ბ) ცეკაში დუდი მელაპოსე“

2 „მარგალი მოხანდე ყაზაყიში ამდლა მარგალური გაზეთი აუცილებერი საჭირო რე“; ...უპარტიო ქორთუ ინტელიგენციაში ნაწილი ოძიცეთ ეთმეჭოფუნცუ ათე გაზეთის და გეძიცელო „ყაზაყიშე ცეიტუნგ“-ის უძახუ“.



3 „ათე რაიონეფცი მახორუუფიში უმოსი ნაწილი ქორთული ნინა ვაუჩქი“...

4 სამარგალოში ათე ნაწილიში ყაზაყობას ქორთული ნინა ვარჩქილენი.“

5 გვალო ბრელი ბაალეფი ათე გაზეთიში წინამდექი რე, თვითონ ნამთინე მარგალეფითი წინამდექი რენა ათე გაზეთიში გიშაშქუმალაშენი.“

ნიადაგზე წამოქმნილი გარდაუვალი საჭიროება (ამ საკითხთან დაკავშირებით დანვრილებით იხ. ბოლქვაძე 2010). ამაზე მიუთითებს „ყაზახიში გაზეთის“ გამოცემის ხანმოკლე ისტორია და მისი რედაქტორის ტრაგიკული ბედი.


ქართული ანბანი ერთ პერიოდში გამოყენებული იყო ოსური და აფხაზური ენების გრაფიკული სისტემების გადმოსაცემად. ოსური ენისათვის საბჭოთა პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა ანბანი. 1923 წელს მოხდა კირილიცაზე დაფუძნებული ანბანის ლათინიზაცია, 1938 წელს დამწერლობა ისევ კირილიცაზე იქნა გადაყვანილი. 1938-1954 წლებში გამოიყენებოდა ქართული გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი, ხოლო 1954 წელს ისევ კირილიცას დაუბრუნდა (მაკკონელი და სხვები 2000: 357). კირილიცაზე ოსურის დაბრუნების ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო ის, რომ ოსურ ერთობას შლიდა ორი სხვადასხვა ანბანის გამოყენება და ოსურის ორი დიალექტის განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაყენება. მაშინ, როცა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსები ქართულ ანბანზე დაფუძნებულ ანბანს იყენებდნენ, ჩრდილოეთ ოსეთში კირილიცა გამოიყენებოდა. მაგრამ როგორც ბეჭდური მასალა გვიჩვენებს ანბანის საერთო საფუძველი არ არის საკმარისი სალიტერატურო ენის განვითარებისათვის. მაკკონელისა და მისი თანაავტორების მიერ შექმნილი სოციოლინგვისტური ენციკლოპედიის მიხედვით, მაგალითად, 1995 წელს ოსურ ენაზე გამოქვეყნდა მხოლოდ 15 ლექსი, 15 პიესა, 61 მოკლე მოთხრობა, 4 რომანი (? -თ.ბ.), (მაკკონელი და სხვები 2000:359) რაც მიიჩნევა სტაბილიზაციად საბჭოთა ბეჭდური სიტყვის მეტნაკლები სიმრავლის ფონზე.



ქართული ანბანის გრაფიკათა აგებულების ანალიზი. დოკუმენტი დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოში (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) და ასახავს ქართული ანბანის ოსური და აფხაზური ბგერითი სისტემების გრაფიკისათვის გამოყენების სამუშაო პერიოდს.

აფხაზური ანბანი

ა	თი	ჟუ	ლ	ხო	ჯუ
ბ	ნი	ჟი	ღუ	ქ	ჰ
გ	კ	რ	ყ	ძი	ჰი
გღ	კღ	ს	ყღ	წ	ჭ
ღ	ლ	ვ	შ	წი	ჯ
ღი	მი	ჰი	შუ	ჭ	ჰ
ე	ნ	უ	ში	ჭუ	ღ
ვ	ო	ფ	ჩ	ხ	შ
ზ	პ	ქ	ჩუ	ხღ	ი
თ	ქ	ქღ	ს	ჯ	



ქართულ ანბანზე დაფუძნებული აფხაზური ანბანი

ქართულ ანბანზე დაფუძნებული ოსური ანბანით გამოცემული წიგნი

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის ყოველი შემდგომი პერიოდი წინამავალიდან გამომდინარეობს. ენობრივ პლურალიზმსა და ცენტრალიზმს შორის ახალი წონასწორობის შექმნა დაისახეს მიზნად **მესამე პერიოდში**, რომელიც 1967 წლამდე გრძელდებოდა. ასეთმა **ახალმა წონასწორობამ** ეს პერიოდი დუალისტური გახადა. მართალია, ყველა საბჭოთა ხალხი მას ერთნაირად არ შეხვედრია, მაგრამ მან მტკიცე საფუძველი შეუქმნა საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის **მეოთხე პერიოდს**, რომელიც **სტაბილური ბილინგვიზმის** (ზოგ შემთხვევაში ტრილინგვიზმის) პერიოდად შეიძლება ჩავთვალოთ. წამყვანი როლი რუსულ ენას ეკავა, რასაც განაპირობებდა რუსულის სწავლების მაღალი დონე. ეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. მას აძლიერებდა ურბანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია და შერეული ქორწინებანი (ლევისი 1972:121-122). ამ დროს განსაკუთრებით გაძლიერდა რუსულის გავლენა საბჭოეთის სხვა ხალხთა ენებზე. საბჭოთა კავშირში რუსული ენის ფუნქციის აღსაწერად გამოდგება ტერმინები **ლინგვა ფრანკა (lingua franca)** და **ინტერენა**. იგი გამოიყენებოდა სხვადასხვა ენობრივ კოლექტივებს შორის ურთიერთობის საშუალებად და მას ბოლომდე არ აღმოფხვრილა. ას ჯერ კიდევ დარჩა ზოგიერთი სოციოლინგვისტური ფუნქცია დარჩა.

საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები ასახავენ საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის სხვადასხვა პერიოდის ხასიათს – ენობრივი პლურალიზმიდან სტაბილურ ბილინგვიზმამდე. საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუცია, საქართველოს ყველა სხვა კონსტიტუციის მსგავსად, სახელმწიფო ენად აღიარებდა ქართულს, თუმცა იქვე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სსრ-ში თავისუფალია რუსულისა და მოსახლეობის სხვა ენების გამოყენება. «B

Грузинской ССР, на основе равноправия, обеспечивается свободное употребление во всех этих органах и учреждениях русского, а также других языков населения, которым он пользуется (статья 75)» (საქართველოს სსრ კონსტიტუცია 1978:33). 1978 წლამდე მიღებული კონსტიტუციებით სახელმწიფო ენად ცხადდება მხოლოდ ქართული (მუხლი 156), ხოლო 157-ე და 158-ე მუხლებში აღნიშნულია, რომ „საქართველოს სსრ-ის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისთვის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და განმარტებანი ქვეყნდება ქართულ ენასა და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე; ხოლო თვით ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური

ორენოვნების ხარისხი საბჭოთა კავშირში 1989 წლის აღწერის მიხედვით

ხალხი	ორენოვნების ხარისხი %
მთელი მოსახლეობა	24.65
არარუსი ხალხები	50.41
რუსები	0.08
უკრაინელები	4.00
უზბეკები	23.53
ბელორუსები	64.32
ყაზახები	60.30
თათრები	73.67
აზერბაიჯანელები	34.34
სომხები	48.15
ქართველები	33.34
მოლდაველები	55.36
ტაჯიკები	27.10
ლიტველები	38.00
თურქმენები	27.58
გერმანელები	44.79
ყირგიზები	34.50
ებრაელები	91.71
ჩუვაშები	69.54
ლატვიელები	65.98
ბამკირები	64.51
მორდველები	70.19
პოლონელები	23.50
ესტონელები	34.98
ჩეჩნები	73.99
უდმურტები	66.46
მარიელები	71.82
ოსები	66.96
კომიელები	67.70
კორეელები	43.08
ბურიატები	74.45

ოლქის ენასა და ქართულ ენაზე“ (საქართველოს სსრ კონსტიტუცია, 1922: 159; 1959: 37-38).

ამიტომ **ენობრივი ასიმილაციის ხარისხით** შეიძლება ვიმსჯელოთ ეთნიკურ ასიმილაციაზე. ხო სუნ ჩხოლმა გამოიკვლია, რამდენად იყვნენ ასიმილირებულინი საბჭოთა ხალხები კავშირის დანგრევის დროისთვის (ჩხოლი 2000:381-391). იგი მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებს დააკვირდა ბრაიან სილვერის მეთოდით (სილვერი 1975) და ყოველი ხალხი დაყო ჯგუფებად ეროვნული და რუსული ენის ცოდნის მიხედვით. მაგალითად, ამ პრინციპით ქართველები შეიძლება დაიყოს შემდეგ ოთხ ჯგუფად:

1. არაასიმილირებულნი;
2. არაასიმილირებული ორენოვანნი;
3. ასიმილირებული ორენოვანნი;
4. ასიმილირებულნი.

ენობრივი ასიმილაციის ხარისხის (ეახ) გამოსათვლელად სპეციალური ფორმულაც იქნა შემუშავებული: $ეახ = -1/3 + (4)X4 + (3)X3 + (2)X2 + (1)X1 : 3005$. ამ ფორმულის გამოყენებით ქართველთა ენობრივი ასიმილაციის ხარისხი 1%-საც არ აღწევდა.

საბჭოთა ხელისუფლება **სტაბილურ ბილინგვიზმს** განიხილავდა როგორც გარდამავალ ეტაპს **საყოველთაო ერთენოვნებისკენ**, როცა რუსული შეაღწევა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ნაწილობრივ კიდევ განხორციელდა, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები არარუსი ხალხების მიმართ. თუმცა ამას ვერ ვიტყვივით მოკავშირე რესპუბლიკებზე, თვით ისეთებზეც კი, სადაც მაღალი იყო ორენოვნების ხარისხი (მაგალითად, ლატვიაში). შეცვლილმა შიდაპოლიტიკურმა და საერთაშორისო ვითარებამ რუსული ენის მდგომარეობასაც შეურყია საფუძველი. რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები არარუსი ხალხების მდგომარეობა კი განსხვავებული იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ნაციონალური თვითგამოხატვის იარაღად გამოდის არა ამ ხალხთა მშობლიური ენა, არამედ რუსული ენა და რუსულად შექმნილი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც განმათავისუფლებელ იდეებს გამოხატავს.

თუ თვალს გავადევნებთ იმ ენების განვითარების ისტორიას, რომელთათვისაც საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის პირველ პერიოდში შეიქმნა ანბანები, ვნახავთ, რომ ეს ენები არც ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებში და არც მხატვრული შემოქმედებისათვის არ გამოიყენებოდა. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოა კანადურ-რუსული ერთობლივი სამეცნიერო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ფედერაციის დამწერლობის მქონე ენების სოციოლინგვისტურ დახასიათებას. დასახელებული პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ირკვევა, რომ მაგალითად, ავარული ენისათვის დამწერლობა რამდენჯერმე შეიცვალა, მაგრამ ეს ენა დღესაც არ გამოიყენება წარმოებაში, თვით სოფლის მეურნეობაშიც კი მას ძალიან შეზღუდულად იყენებენ (მაკკონელი და სხვები 2000:30). ამ ვითარებას ვერ ცვლის ის გარემოება, რომ მოქმედებს რამდენიმე ინსტიტუცია, რომელიც მიზნად ისახავს ავარული ენის სწვლებასა და კვლევას (მაკკონელი და სხვები 2000:32). ძალიან საინტერესოა ამ თვალსაზრისით ადიღეური ენის მაგალითი, რომელსაც 1917 წლამდე პუბლიკაციები არ ჰქონია, ხოლო 1917-1986 წლებში მხოლოდ 100 პუბლიკაცია გამოქვეყნდა. უფრო მეტი აქტიურობა ჩანს 1987-1993 წლებში. ამ მოკლე პერიოდში ადიღეურ ენაზე 91 პუბლიკაცია გამოვიდა (მაკკონელი და სხვები

2000: 40). ასეთი სიმწირე თითქოს მოსალოდნელი არ უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს ბექდვის სამინისტრო. ამის მიუხედავად, ადიღური ძალიან შეზღუდულად ან საერთოდ არ გამოიყენებოდა რეგიონალურ ხელისუფლებაში. იგი არათუ ხელისუფლების სამუშაო ენად, თვით ზეპირი რეკლამის დროსაც კი არ გამოიყენება. იგივე ითქმის, მაგალითად, ალათაურ და ბაშკირულ ენებზე. ალათაურ ენაზე ბექდვა დაიწყო 1917 წლიდან და 1993 წლამდე მხოლოდ რამდენიმე ათეული პუბლიკაცია შეიქმნა (მაკკონელი და სხვები 2000:57, 73). ამ ფონზე გამონაკლისად გამოიყურება, მაგალითად, დარგუული ენა, რომელზეც 1917 წლიდან 1995 წლამდე 1000-ზე მეტი პუბლიკაცია გამოქვეყნდა და ინგუშური, რომელზეც 1995 წლამდე რამდენიმე ათასი ნაბეჭდი წიგნი იყო. საინტერესოა კიდევ ერთი მაგალითი - კალმიკური თავიდან იყენებდა საერთომონგოლურ დამწერლობას, 1928 წლიდან რეფორმის შედეგად გადაიყვანეს ლათინურ ანბანზე. 1938 წელს იგი შეიცვალა კირილიცაზე დაფუძნებული ანბანით, რომელშიც საბოლოო ცვლილებები შევიდა 1941 წელს (მაკკონელი და სხვები 2000:164). ასეთი ხშირი ცვალებადობა სალიტერატურო და სახელმწიფო ენის განვითარებაზე სულაც არ ახდენს კეთილისმყოფელ გავლენას. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება რამდენიმე ენის მონაცემი. ზუსტად არის დათვლილი რამდენი პუბლიკაცია გამოდიოდა წლების მიხედვით, მაგალითად, მორდვულ ენაზე:

1917 წლამდე: 300

1922-1928 წლებში: 237

1931: 177

1993: 211

1995: 49 (მაკკონელი და სხვები 2000:323).

კიდევ უფრო დიდი სიმწირეს ვნახავთ, თუ ლაკურ ენაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს დავთვლით. მაგალითისთვის 1995 წელს დაიბეჭდა 12 ლირიკული ლექსი. (მაკკონელი და სხვები 2000:255). ფაქტია, რომ საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის შედეგად მრავალი ეთნიკური ჯგუფისათვის შექმნილი ანბანები და მათი სალიტერატურო ენებისთვის შერჩეული დიალექტები არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ენებზე მოლაპარაკე კოლექტივებისთვის, რომ ისინი ქცეულიყვნენ ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთ საყრდენად მაინც. საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის შემდგომმა პერიოდებმა გააფერმკრთალა ან სულაც წაშალა ყველა ის მონაპოვარი, რომელიც, ერთი შეხედვით, პირველ პერიოდს ჰქონდა. ამას კარგად აჩვენებს უკვე 1989 წლის აღწერის შედეგები. რუსეთის ფედერაციის დამწერლობის მქონე ენებზე მოლაპარაკეთა ორენოვნების ხარისხი ზოგჯერ ოთხმოც პროცენტსაც კი უახლოვდებოდა (იხ. ცხრილი, გვ. 99).

ლიტერატურა

ბოლქვაძე 2005 – თ. ბოლქვაძე, იდეოლოგიზებული ლირებულებები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2005;

ბოლქვაძე 2010 - თ. ბოლქვაძე, ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010;

იაკობსონი 1931 – Якобсон Р. О., Кхарактеристике евразийского языкового союза. Париж: Издательство евразийцев. აგრეთვე: R. Jacobson, Selected writings. I. Phonological Studies, 's-Gravenhague, 1962; ქართული თარგმანი იხ. წიგნში : თ. ბოლქვაძე, ენობრივი კავშირი : ევრაზიულობის თეორიის გეოლინგვისტური პრობლემები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015;

- იაკოვლევი 1928** – Н. Яковлев, Н. Ф. Математическая формула построения алфавита. – Культура и письменность Востока, I, Москва, 1928;
- კონსტიტუცია 1922** – Конституция Грузинской ССР, Тифлиси, 1922;
- კონსტიტუცია 1978** – Конституция Грузинской ССР (основной закон), Тбилиси, 1978;
- ლევინი 1972** – Lewis E. G., Multilingualism in the Soviet Union - Aspects of Language Policy and Its Implementation, - Contributions to the Sociology of language, Edited by S. A. Fishman, Mouton – The Hague - Paris, 1972;
- ლენინი 1961** – Ленин В. И., Социалистическая революция и право на самоопределение, Сочинения, т. XX, Москва, 1961;
- მაკკონელი და სხვები 2000** – Макконел Г. Д., Солнцев В., Михальченко, Письменные языки мира, Языки Российской Федерации, Социолингвистическая энциклопедия, Книга 1, Международный центр исследования по языковому планированию, Университет им. Лаваля (Канада), Квебек; Научно-исследовательский центр по национально-языковым отношениям, Москва, Российская Академия Наук, Институт Языкознания, Москва, 2000;
- მარი 1926** – Марр Н. Я., К изучению современного грузинского языка (вступительная лекция в Петроградском Институте живых восточных языков, 18 января, 1922 г.), Петроград, 1926;
- მარი 1926** – Марр, Н. Я.: Абхазский аналитический алфавит, Ленинград, 1926;
- სილვერი 1975** – Silver B., Methods of Deriving Data on Bilingualism from the 1970 Soviet Census, - Soviet Studies, vol. 27, № 4, 1975;
- სმიტი 1998** – Smith M. G., Language and Power in the creation of the USSR, 1917-1953, Mouton de Gruyter, Berlin, 1998;
- სტალინი 1950** – Сталин И., Марксизм и вопросы языкознания, Москва, 1950;
- სტალინი 1954** – Сталин И., Национальный вопрос и ленинизм, ответ товарищам Мешкову, Ковальчуку и другим, М., 1954;
- ლოლობერიძე 1932** – მარგალი მოხანდე ყაზახიში ამდღა მარგალური გაზეთი აუცილებური საჭირო რე, „ყაზახიში გაზეთი“, 1932;
- ჩხოლი 2000** – Чхол Хо Сун, Языковая ситуация в России и других новых независимых государствах бывшего СССР: анализ данных всесоюзной переписи населения 1989 г., – Языки Российской Федерации и нового зарубежья – Статус и функции, «Эдиториал УРСС», Москва, 2000;
- ჭავჭავაძე 1881** – ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, მარტი, „ივერია“, 3, 1881;
- ტრუბეცკოი 1995** – Н Трубецкой, Общеєвразийский национализм, წიგნში: Мы и другие История, культура, язык, Москва, 1995.

ელისაბედ გაზდელიანი

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ზოგი სვანური ტერმინის ეთნო-ლინგვისტური ანალიზი

სვანური ენა გამორჩეულად მდიდარია რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკით. აქ ვხვდებით როგორც წარმართულ, ისე ძველი და ახალი აღთქმის წმინდანთა სახელებს, მათთან დაკავშირებული დღესასწაულების განსხვავებულ, საინტერესო სახელწოდებებს და სანესო რიტუალებს. რელიგიურ ტერმინთა სიუხვე სვანურში ადასტურებს, თუ რამდენად დიდი ადგილი ეჭირა ძველად სვანების ცხოვრებაში რელიგიას, მათ სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებს. როგორც ცნობილია, სვანურ ენაში დადასტურებული ზოგი ტერმინის სტრუქ-

ტურულ-სემანტიკური ანალიზის საშუალებით შეიძლება საერთო ქართველური სამეურნეო ყოფისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების უძველესი საფეხურების წარმოჩენა.

სვანური ენის გამოქვეყნებულ, ნაბეჭდ ტექსტებში ჩვენი ყურადღება მიიქცია სვანურ ღვთაებათა პანთეონში ძველი ალტჰიმის წმინდანებისადმი თაყვანისცემამ და მათთვის მიძღვნილმა ლოცვა-ვედრებამ.

1946 წელს სები გულედანის მიერ დაწერილ ტექსტში ქრისტიანული დღესასწაულების აღწერის დროს, ცალკე გამოყოფს: **ლმზერ ღერთჷ მაჯონტჷრ** (სვან. ქრესტ., 1978:21) „სალოცავი ღმერთის მსგავსები“. **მაშენე პატივისგა სოლომნ ხეჷნდხ, ეჯა ლსვ ლჷკირიმ, ლშჷკდამიმ, ლითხვარამ, ლილგიმალემ, ლიგლვანამ ი ჩიმი ხელოზ ღერბეთ** (სვან. ქრესტ. 1978:21) – „ყველაზე დიდ პატივში სოლომნი ჰყავდათ, ის იყო საკირის, სამჭედლოსი, ნადირობის, მშენებლობის, ხელოსნობის და ყოველი ხელობის ღმერთი“.

ვ. ბარდაველიძის განმარტებით: „**სოლომ, სოლომ ფუსნბჷსდიმ** – „სოლომ, სოლომი სამყაროს უფლისა, ყოველგვარი ხელოსნობის – სახლის აგების, არყის გამოხდის და სხვ. მფარველი და ყოველ საქმეში სვე-ბედის მიმნიჭებელი კაცი-ღვთაება“.

საინტერესოა ერთ-ერთი რიტუალი, რომელსაც **ნაუქმი (ნა-უქმი-ი)** ეწოდებოდა. ძველად, სვანების წარმოდგენით, უქმეების გატეხვის გამო, შეიძლებოდა ოჯახი დასჯილიყო, ამიტომ **კათხ-ტაბზგს (კათხ „კათხა“ ტაბზგ „სუფრა“)** ხარჯს, სუფრას იხდიდნენ, სადაც ადიდებდნენ ღმერთებს და პატიებას შესთხოვდნენ უქმეების გატეხვის გამო. პირველ რიგში ახსენებდნენ **ხომა ღერბეთს** – „დიდ ღმერთს“, **ჯგერზგს** – „წმინდა გიორგის“, **ლამწრას** – „ღვთისმშობელს“ და განსაკუთრებით **სოლომ**-ს შესთხოვდნენ – **ლახემდ ალ ქორს ი ალ ქორზ მერდას** – „შეენიე ამ სახლს და ამ სახლში მყოფთ“.

სოლომ-ს კარპეზ დონდუა სვანურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში განმარტავს. **სოლომ** – „სოლომ-ი არყის ღმერთი“. ლოცვებში **სოლომ** ზოგან **სოლომნ** ფორმით გვხვდება. სახლის ასაშენებლად კირის დამზადების დროს ოჯახის უფროსი არყით და სამი სალოცავი პურით: **ხეკერალ სოლომნს... სევსი ი ჰაჯს** – „ევედრება სოლომნ-ს სევს და ძალას, ბარაქას“. **ღეკმაშ არყი ლიმურჯეს ხემგომ არყი ღერბათ სოლომს** (ლშხ. IV 244) „მაგარი (ძლიერი) არაყის გამოხდას (გამოსვლას) სთხოვენ არყის ღმერთს სოლომს“. სახლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ოჯახი იხდიდა წვეულებას **ლი-ზგერალ-ს** „დასრულებას“. ერთ-ერთი კალატოზი აიღებდა სალოცავ კვერებს, სანთელს და დალოცავდა ოჯახს: **მადღან სოლომნ! ალ ქორ ბედნიერ ჩვემნ, მაჩენე შვიდბიან, ბარქან... ხოჩა გარ ახასყ ალ ქორისგა... ქვინღემგენე, მარე, მანგ ათფიშირ...** (სვან. ქრესტ. 1978:111) – „მადლიანო სოლომ! ეს სახლი ბედნიერი ჰქენი, ყველაზე მშვიდობიანი, ბარაქიანი, მხოლოდ კარგი გააკეთე ამ სახლში, სულდგმული (საქონელი) და ადამიანი ყველა გაამრავლე“...

სოლომო ფორმა გვხვდება ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში. **სოლომო** (სოლომო-ს) – სოლომონი, წმინდა სოლომო – წმინდა სოლომონი. ხელოსნობის ღვთაება, სალოცავი ჰქონდა ხეხუნჯობა (ი. ყიფშიძე). სოლომო – მოწყალე, ბრძენი, კარგი გამგონი (სოლომონ მეფის სახელიდან) (ა. ქობალია). ამავე ლექსიკონში ვრცლადაა განმარტებული დღესასწაული **ხეხუნჯობა** – „ხელ-მხრისა“. ხელ-მხრის განათვლა. ხელდასხმა მჭედელთა და ხელოსანთა მიერ. წმინდა სოლომონის მიმართ ლოცვის აღვლენისა და მსხვერპლთშენიერვის

დღე იმართებოდა 31 დეკემბერს. ამ დღეს აკურთხებდნენ ოსტატებად შეგირ-
დებსაც (ქობალია 2010).

როგორც ჩანს, სვან. **სოლომ**, **სოლომნ** და მეგრული **სოლომო** იგივე ბიბ-
ლიური, იუდეველთა მესამე მეფე **სოლომონია**, რომლის სახელთანაა დაკავში-
რებული ებრაელთა უდიდესი სინმინდის იერუსალიმის ტაძრის აგება და ებრაე-
ლი ხალხის კეთილდღეობა.

სოლომ^ნ, რომ იგივე სოლომონ ბრძენია, ამის შესახებ 1946 წელს სები
გულედანის მიერ დაწერილ ერთ-ერთ ტექსტში ვკითხულობთ: **ქრისტიანრე
ლერთარგქა ჯვინალდ შვანარს, ობშინ ვირაზარე ლერთარი ხამმმენს** (სვან.
ქრესტ. 1978: 21) – „ქრისტიანების ღმერთების გარდა ძველად სვანებს ხშირად
ებრაელების ღმერთებიც სწამდათ“.

აშკარაა, **სოლომ** < **სოლომნ** და მეგრული **სოლომო** სოლომონ ბრძენია,
რომელსაც ევედრებოდნენ მშენებლობაში და ყოველგვარ სამეურნეო საქმიან-
ობაში შეწევნას და წარმატებას.

სები გულედანის მიერ დაწერილ ამავე ტექსტში ნახსენებია ებრაელების
ღვთაება (ავტორის აზრით): **სუდუქ (სუნდუქუ) დეცემ** – „სუნდუკი, კიდობანი,
ზანდუკი ცისა“, რომელიც ძალიან ძლიერ ღვთაებად მიაჩნდათ და მას სვანურ,
ღვთაებათა პანთეონში ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირა. ამ ღვთაებას ხა-
რებს და უსხებს სწირავდნენ. შეწირულ ხარებს **სუნდუქუა**-ს არქმევდნენ. როცა
სუნდუქუა ხარი ან უსხი დაიკვლებოდა, **ერქას ხეჯგრაზს, ერე დიდაბი ლეჯედ
სუდუქუ დეცემ მიჩა მეფშუდე მზიგ ქ'თქაზენას მემზირი ქორა მერდა მზრა**
(სვან. ქრესტ. ბზ. 1978: 21) „მაშინ ევედრებიან, დიდება მისასვლელ **სუნდუქ
(ზანდუკ)** ცისას, მისი მოვლენილი (გაშვებული) ავადმყოფობა ამოროს მლოც-
ველის ოჯახში მყოფ ადამიანებს“. აღსანიშნავია, რომ ამ ღვთაების სახელზე შე-
წირული ხარის უღელში შებმა არ შეიძლებოდა, აკრძალული იყო.

სუნდუქუ დეცემ-ს „ლამპარი ცისა“ ბესარიონ ნიჟარაძეც ასახელებს და
წერს, რომ ლამპრობის (მირქმის, სვიმონობის) დროს სახლის კალოზე ინთება
დიდი, გამორჩეული ლამპარი – ლამპარი ცისა და იქვე აღნიშნავს, რომ ხალხის
აზრით, **სუნდუკ/ქ დეცემ** „კიდობანი ცისა“ არის ის ცის ღმერთი, რომლის ხელთ
არის ყვავილის მოვლენა ქვეყანაზე და ამისათვის ლამპრის (ჩირაღდნის) ან-
თების დროს, ხალხი ევედრება მას, რომ მშვიდობიანად მოავლინოს ყვავილი და
ბავშვები არ დახოცოს“ (ნიჟარაძე 1962:59).

ირკვევა, რომ **სუნდუკ/ქ**-ი ქართველურ ენებში დღეს არ გვაქვს. **სუნუკ/
ქ**-ს ცვლის ზანდუკი ან კიდობანი.

სუნდუკ ტერმინი გავრცელებულია მრავალ ენაში: ძველ რუსულში,
შუა აზიის ენებში, ყირიმის თურქულსა და ყაზანის თათრულში, სპარსულში,
არაბულში, სომხურში, ევროპულ ენებში... **სუნდუკ**-ი საენათმეცნიერო ლიტე-
რატურაში ინტერნაციონალურ სიტყვად მიიჩნევა და ყოველივე ამის წყარო უნ-
და იყოს არაბული **Ṣanduk, Ṣundak**.

ჩვენთვის საინტერესო სვანურში არსებული **სუნდუქუ დეცემ** „კიდობანი
ცისა“ რომ ძველი ფორმაა, იქიდანაც ჩანს, რომ აქ მსაზღვრელ-საზღვრულის
პოსტპოზიციური წყობა გვაქვს, რაც დღევანდელ სვანურში იშვიათად გვხვდე-
ბა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსალმუნთა მე-18 კანონში ნახსენებია **კიდობა-
ნი სინმინდისაჲ**, რომელიც, ზოგი სამღვდლო პირის განმარტებით, მიიჩნევა
ღვთისმშობლის სინონიმად. ჩვენი ვარაუდით **სუნდუქ^უ დეცემ** „კიდობანი ცი-
სა“ ბიბლიური კიდობანია. როგორც ძველი აღთქმიდან ვიცით, მოსემ ებრაელ

ხალხს სინას მთიდან ჩამოუტანა ქვის ფირფიტები, რომლებზედაც ჩამონერილი იყო ათი მცნება (რჯულის კანონები). ებრაელებმა ამ ფირფიტებს კიდობანი შეუკრეს. თავყვანს სცემდნენ მას და აღთქმულ ქვეყანამდე თან ატარებდნენ.

როგორც ჩანს, სვანეთში შემორჩა ძველი აღთქმისეული სინმინდისადმი თავყვანისცემა და ძველი **სუნდუქ** ფორმა, რომელიც დღევანდელ სვანურში სხვა შემთხვევებში არ დასტურდება. მისი ადგილი მთლიანად დაიჭირა ქართველურ ენებში არსებულმა ზანდუკმა.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სვანურმა ენამ შემოინახა ბევრი რელიგიური, ყოფითი ტერმინები და რიტუალები, რაც სხვა ქართველურ-მა ენებმა დროთა განმავლობაში დაკარგეს.

ლიქურეში – ამ სახელწოდების დღესასწაულის შესახებ დაბეჭდილია სვანური ენის ქრესტომათიაში ბალსზემოურ და ბალსქვემოურ ტექსტებში. რიტუალების აღწერის მიხედვით, მათ შორის არის სხვაობაც და ერთგვარობაც. დასახელებული რელიგიური დღესასწაული აღინიშნებოდა: მესტიაში, მულახსა და მუჟალში. ბ. ნიჟარაძის ცნობით, უშგულსა და ბეჩოს საზოგადოების ზოგ სოფელში. დღესასწაულის გავრცელებული სახელწოდებაა: **ლი-ქურ-ემ-ი**, შეიძლება შეგვხვდეს **ლი-ქურ-ემ** ან **ლი-ქურ-ჰშ** ფორმითაც. ყოველ წელს **ლა-ნ-ხუბ** „საძმო“-ში შემავალი ოჯახები რიგრიგობით იხდიან ამ დღეობას. ლხინი და პურობა გარკვეული დღეების განმავლობაში გრძელდება.

ლი-ქურ-ემი საეკლესიო კალენდრით ემთხვევა უძღვები შვილის კვირას. როგორც სახარებიდანაა ცნობილი, დაკარგული (უძღვები) შვილის სახლში დაბრუნებით გახარებულმა მამამ **ტისხტ** ზს.; **უსხტა** ლშ., **ტისხტ** ლნტ. „უსხი“, „ჭამებული“ დაუკლა უმცროს ვაჟს და მოუწოდა ოჯახის წევრებს და ახლობლებს ემხიარულათ და პურობა გაემართათ.

როგორც ჩანს, ამ დღესასწაულის სახელწოდებას საფუძვლად დაედო ლექსემა **ქორ** „სახლი“. რაც შეეხება **ლი-ქურ-ემ-ი**, **ლი-ქურ-ემ**, **ლი-ქურ-ჰშ** „სახლობა“ ფორმებში გამოიყოფა **ლი--[ი]** მასდარის მანარმოებელი კონფიქსი. ხოლო **-ჰშ**, **-ემ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებია. ე. ი. ***ლი-ქორ-ემ-ი** „სახლობა“ ფორმიდან ფუძისეული **ო** ხმოვნის ნაწილობრივ რედუქციით მივიღეთ: **ლი-ქურ-ემ-ი**, **ლი-ქურ-ჰშ**, **ლი-ქურ-ემ** ფორმები.

ლიშიაში – ახალ წელს დილით ადრე ოჯახში მოდიოდა, ოჯახის მიერ კენჭისყრით შერჩეული ფეხბედნიერი, სიკეთით გამორჩეული მეზობელი ან ახლობელი სხვა ოჯახიდან **მე-ჭშ-ი** „მეკვლე; **მე--ი** მოქმედებითი გვარის მიმღეობის მანარმოებელი კონფიქსია. **-ჭშ-** „ფეხი“ შდრ. ლეჩხ. **მე-ფეხ-ურ-ი**, **მე-ფეხ-ე** „მეკვლე“ (ა. ლლონტი). **მეჭშის** ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა შეასრულოს **ლიშიაში**, **ლიშიაში** ბზ., **ლიშიაში** ბქ. ლნტ. ბქ., **ლიშიაში** ლშ. – მოსალოცის ხელში მიცემა საახალწლოდ (ტკბილად დაბერება), ხელის გახსნა (სვან. ლექს.) – ხელის აშვება, ახალ წელს პირველად მიწოდება რისამე (დონა დუა 2001). ბ. ნიჟარაძის ლექსიკონში ეს ტერმინი არ შეგვხვდა, მაგრამ მეკვლე – **მეჭშის** ლექსემასთან მეორე მნიშვნელობად მიწერილია **მეშიაში** – поздравитель в новый год (ახალი წლის მიმლოცველი). – ხელის ახსნა, ახალი წლის წეს-ჩვეულება (ბარდაველიძე 1939); აქვე გვხვდება ამ მასდარის **ლიშოშლ** ვარიანტიც. ხშირად ამ ტერმინს ენაცვლება **შიმი ლიფშტდე** – „ხელის ახსნა“; **შიმი ლიცადი** „ხელის შეცვლა“, შდრ. **ჭიშხი ლიფშტდე** – „ფეხის ახსნა“ (პატარძლის პირველად მიყვანა ქმრის ოჯახში).

ფერუაჲ აშიაშნოლ, ეჯი ქა ხოჯდა ლემეზირს ი ღვინელს ლეშიაშის ი ამჟი
ხაყლა: ღერბეთ, ხოჩა ნა-შიაშ ლოქ ახადეს მიჩა თამარს! (ლნტ. 59, 36) „ვინც
 ხელს უმსუბუქებს, ის მიუტანდა დასალოც კვერს და ღვინოს ხელის ასამსუბუ-
 ქებელს და ასე ეტყოდა: ღმერთო, კარგი დანალოცი (ხელის ამსუბუქება) ჰქონ-
 დეს ჩემს თამარს“.

ლი-ში-აში ფორმაში გამოიყოფა **ლი-** მასდარის მანარმოებელი პრეფიქ-
 სი. ფუძე შედგება **-ში-** „ხელი“ სახელისაგან და **-აში < -აში** – „მსუბუქი, მჩატე,
 ადვილი“ ზედსართავი სახელისაგან. გრძელხმოვნიან დიალექტებში მასდარისა
 და ზმნის პირიანი ფორმების ფუძეში ხმოვნის სიგრძე გაუჩინარებული **ჰ**'ს კომ-
 პენსაციაა **-აში < -აში**. **ში-** გვხვდება სხვა კომპოზიტების შემადგენლობაშიც:
შიაპრი/შენაპრი – „ხელცარიელი“; **ში-ემ-იმ-ბერ** ბზ., **შიმბერ** ბქ. (ში-ემ-იმ-
 ბერ) 1. ხელისგული; 2. ხელთათმანი. ამ კომპოზიტებში **შიემ-/შიმი-** ნათესაო-
 ბითი ბრუნვის ფორმებია „**ხელის**“, ხოლო **ბერ** ზს. „წინდა“. შდრ. **შიმიგუგ** ლშხ.
შიმი გუიგუ ლნტ. „ხელისგული“.

ლი-ში-აში – „ხელის ამსუბუქება, ხელის ახსნა“ **მე-ში-აში** ბზ., **მე-ში-აში**-
 ლშხ., **მე-ში-აში** ლნტ. „ხელის ამსუბუქებული, ხელის ამშვები“. აღნიშნული
 კომპოზიტისაგან იწარმოება როგორც ზმნის პირიანი ფორმები სხვადასხვა
 დროსა და კილოში, ისე მიმღებები. **-ში-აში** ფუძიანი ზმნის ფორმები ძირითად
 დროებში:

	ბქ.	ბზ.	
ანმყო	ხტააშაში	ხტააშიაში	ხელს ვუხსნი ეტ. (გუმსუბუქებ)
უნყ.	ხტააშა	ხტააშიაშდას	ხელს ვუხსნიდი (გუმსუბუქებდი)
მყოფ.	ოთააშისგ	ოთააშიაშნას	ხელს გავუხსნი (ავუმსუბუქებდი)
წყვ.	ოთააშა	ოთააშიაშ	ხელი გავუხსენი (ავუმსუბუქე)
თურ.	აშააშა	აშააშიაშა	ხელი გამიხსნია (ამიმსუბუქებია)

ამ კომპოზიტის შემცველი ზმნები გამოქვეყნებული ტექსტებიდან:

უშხტარ **აშიაშიხ** (ბზ.) – „ერთმანეთს ხელს უმსუბუქებენ“; ჰამს **ჩტააშაში**
 ჩი (ბქ. II, 7325) – „დილით ხელს აუმსუბუქებს ყველას“; **აშიაშაშლუნა თხუმ**
მეაშიაშის (ლშხ. 17, 11) „...ხელი (თავი) ამსუბუქებინო ხელის ამმსუბუქებელს
 (მეკვლეს)“; **ჩტადააშიაში** თეთრშუ (ქრესტ, ლნტ. 1978: 292) – „ხელს აუმსუბუ-
 ქებს ფულით“.

მიმღებები: **ლააშიაში ჟი ლემარე ხარხ** (ბქ. II, 725) „ხელის ასამსუბუქებე-
 ლი (სამეკვლეო) გამზადებული აქვთ“. **მეაშიაში აარ გვერა** (ბზ.) „ხელის ამმსუ-
 ბუქებელი ვინ გვეყოლება“; **ლეაშიაშის შიარ ხოხლა** (ბქ. II, 73) „ხელის ასამსუ-
 ბუქებელს ხელები განვდილი აქვს“. **მეაშიაშის ითაიხ ხოჩა შიე მარას** (ლშხ. 17,
 19) „ხელის ამმსუბუქებელს კარგი ხელის კაცს ირჩევენ“.

ნორ სვანური ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი ტერმინია. **ნორ** ზს.; ლმხ., **ნუერ** ლნტ. – „შურისძიება, სისხლის საფასური მკვლელობისათვის“. **ალჰარ ნორს ხეშკმედახ** (ლმხ. 7) „ესენი სისხლის საფასურს სთხოვდნენ“. **ნორ-ობ** „მედიატორობა, საქმის გარჩევა მკვლელობისათვის“. საქმეს არჩევდნენ **მორუ-აღ** „მედიატორები“. შდრ. ქართ. **მოურავი** > სვან. **მორაუ** „საქმის გამრჩევი, მომრიგებელი“. **ლი-ნურ-ი** ზს.; ლმხ.; **ლი-ნუერ-ი** ლნტ. „შურისძიება, სისხლის საფასურის აღება“. **ლადი ჯინუიუხ სი თეფს ისგუა თხუმე ლინური რუსნლისგა** (პოეზ. 66) „დღეს გმართებთ შენ და შენს თოფს სისხლის აღება რუსებთან“. **ლი- -ი** მასდარის მანარმოებელი კონფიქსია, რომელმაც ზემოსვანურ და ლაშხურ დიალექტებში გამოიწვია ფუძისეული **ო**’ს ნანილობრივი რედუქცია **უ**’დ, ხოლო ლენტეხურში უმლაუტი **ო**>**უე**. **ლე-ნურ-ი** ბზ.; ლმხ.; **ლე-ნუერ-ი** ლნტ. „ის ვისთვისაც სისხლი უნდა აიღონ, სასისხლებელი“.

არსებობს გამოთქმა **უნურა-უთხელა** „უსისხლებელ-მოუძებნელი“. იტყვიან მოკლულზე, რომლის მოკვლისათვის სისხლი არავის აუღია. ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ აგრეთვე მოკლულს, რომელსაც არავინ რჩება სისხლის ამღები (მამა, ძმა, ბიძაშვილი ოჯახის მკვიდრი ნათესავი). **ჯე ესერ უ-ნურ-ა-დ ნომოუ აცურიხ** (ბზ. ქრ. 46) „მე სისხლის აუღებლად (უსისხლებლად) არ დამტოვოთ“. **სი ლოქ უნურუ გეზალ** (ბზ. 23, 13) „შე უსისხლებელის შვილო!“ **ნორ, ნუერ** სვან. ტერმინი უკავშირდება ქართულ **სნორ**-ს შდრ. მეგრ. **ნორი** „სნორი“, სვან. **ნორ** ფორმებში თავკიდური **ს**- დაკარგულია. შდრ. ქართ. **გაუსნორდა** სვან. **ქანდნორე** „ისისხლა“ და სხვა.

ლიტერატურა

- ბარდაველიძე 1939** – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I ტიფლისი, 1939;
- დონდუა 2001** – კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001;
- ნიჟარაძე 1962** – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები ტ. I, თბილისი, 1962;
- ნიჟარაძე 1964** – ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. II, თბილისი, 1964;
- ნიჟარაძე 2007** – ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007;
- სვანური ენის ქრესტომათია**, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა, ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978;
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

ვიორგი გოგოლაშვილი

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მრავალწერტილი ანა კალანდაძის პოეზიაში

ანა კალანდაძის ორტომეულის (1995 წ.) ერთ-ერთი რედაქტორი ვახტანგ ჯავახაძე მოგვიანებით წერდა: ლექსებში ანა კალანდაძე ხმარობდა მძიმესა და ორ წერტილს („..“); ყველგან სამი წერტილით შევუცვალე; ქალბატონი ანა დამეთანხმაო. რედაქტორი ნანობდა ტექსტში ამგვარ ჩარევას.

თავისთავად, ინტერესს აჩენს, რას ნიშნავს უჩვეულო **მძიმე და ორი წერტილი** (ჰორიზონტალურად განლაგებული – „...“)? ანა კალანდაძე პროფესიონალი ენათმეცნიერია; მის ნაწერებში ენობრივ შეცდომებზე (გრამატიკული იქნება ის, სტილისტური თუ პუნქტუაციური) საუბარი უხერხულიც არის: ანას ქართული კლასიკური ქართულია. „ენა ჩემი ბედისწერაა!“ – წერდა ერთგან და ეს შეგნება მას ენისადმი დამოკიდებულების კლასიკურ მაგალითად წარმოგვიჩინს...

მაშ, რას ნიშნავს არაორდინალური სასვენი ნიშანი? ამ ფიქრმა გადაგვანყვეტინა მკვლევრის თვალთ ჩაგვეხედა მის პოეზიაში. რამდენადაც რედაქტორ-გამომცემელთა ჩარევა ხდებოდა გამოსაცემ ტექსტში, გადავწყვიტეთ, საანალიზოდ აგველო ანა კალანდაძის წიგნი „თუთა“. წიგნი გამომცემლობა „საარმა“ 2004 წელს გამოსცა. ეს არის პოეტის ხელნაწერთა კრებული. მასში შესულია 100 ლექსი (პოეტის მიერ შერჩეული) და მოიცავს 141 გვერდს. წიგნს ერთვის სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ქალბატონი ანას 7 პორტრეტი და დასურათებულია რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ. შესანიშნავი გამოცემაა.

ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პოეტის ხელნაწერებია მასში შესული – რედაქტორ-გამომცემელთა ჩარევა არ მომხდარა.

ვინც იცის ქალბატონი ანას პასუხისმგებლობა მისი ხელიდან გამოსული ტექსტის მიმართ, არ გაუკვირდება: რამდენიმეჯერ გადავიკითხე და წიგნში კორექტურული შეცდომაც ვერ ვიპოვე. ამას იმიტომაც აღვნიშნავ, რომ სასვენი ნიშნებიც ასეთივე პასუხისმგებლობითაა მასში დასმული.

მძიმე, ორი წერტილი (ვერტიკალურად განლაგებული), ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი და კითხვა-ძახილის ნიშანი ტექსტში ჩვეულებრივ, გრამატიკული წესების შესაბამისად გამოიყენება. წერტილი თითქმის არ იხმარება: მთელ წიგნში სულ 18-ჯერ არის გამოყენებული; 9-ჯერ ლექსის ბოლოს, ამდენჯერვე შიგ ტექსტში... სხვა შემთხვევაში მოსალოდნელი წერტილის ადგილას მრავალწერტილი ზის... წიგნში რამდენიმე ლექსს ეპიგრაფი უძღვის. ამ პროზაულ ტექსტში წერტილი ჩვეულებრივ, პუნქტუაციის არსებული წესების შესაბამისად გამოიყენება. პოეტურ ტექსტში არაა ასე...

ესეც საინტერესოა: 100 ლექსიდან ლექსის ბოლოს 42-ჯერ ძახილის ნიშანია დასმული, 36-ჯერ – მრავალწერტილი (უმეტესად სამი წერტილი, ერთგან ორი წერტილი ..); კითხვის ნიშანი და მრავალწერტილი (?...), ძახილის ნიშანი და ტირე !– (2-ჯერ)...

არ უნდა იყოს ეს ფაქტი უმნიშვნელო...

ჩვენ ვისაუბრებთ მრავალწერტილის გამოყენებაზე, ძირითადად პუნქტუაციის არსებული წესებისაგან განსხვავებულ შემთხვევებზე.

* * *

სამი წერტილი (...). ეს ნიშანი ანას პოეზიაში ყველაზე ხშირადაა გამოყენებული. ჩვეულებრივ, გრამატიკულ სახელმძღვანელოებში მითითებული წესებისაგან განსხვავებით, შეიძლება შეგვხვდეს იქ, სადაც „მშრალი გრამატიკული წესების“ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ:

მარტივ წინადადებაში სამი წერტილით გათიშულია წინადადების მთავარი წევრები: „მე... შხამი მასვეს!“, „მე ხომ... სტვირი ვარ ქარში გაზრდილი“, „მეც... სხვათაშორის ვიკითხე“, „ყვავილებიც... იმდენია ნაზსათუთად ნატიფები!“, „ეს... ვინ არი, გამოცხადდა მგზავრის წინა?“...

სხვა შემთხვევები, როცა „არასწორადაა დასმული“ სამი წერტილი:
„მაგრამ... დახედეთ განჩინებას ამა სოფლისას“.
„როგორ, ვითომ... ქართველები მოდიან?“
„და... მეც გავგიჟდი...“ „და... შემოხეთქა ქარმა კარები“.
„სიტყვას ვიტყვი და... დაინყება ქუხილი ცაზე“.
„და... რა ქალი?“ „ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს“...
„იციან მგზავრთა, რომ... მგლისა არი ველი ვრცეული“.
„გნახავ და... გამეხარდები“.
„დუმს, მაგრამ... გულში კი... რას ფიქრობს ნეტა?“,
„განა... ერთგვარად შეგიცნო ჩემმა გულმა და სხვისამა?“,
„ხელი ჰკარ მახვილს, საქართველოს გულთან დახრილო, და... ააცდინე!“
„გული კი ჩემი... კვლავ გაზაფხულობს,
თითქოს იგივე... ჩემს თავს არ იყვეს!“
„მაგრამ... ნამუსი... ვინ მისცა ძალღაბა?“
„და უცხო ნათელს
სული...
პეპლები...
გაეკიდება!“

მაგალითების გამრავლება შეიძლება... თუნდაც:

„აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმობდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...“ და ა. შ.

სახელდებითი წინადადების ბოლოს მხოლოდ სამი წერტილი...

ცხადია, სამი წერტილის ფუნქცია არ არის ტრადიციული (გამოტოვებული სიტყვა, შეკვეცილი ციტატა, დაუმთავრებელი წინადადება თუ სიტყვა...); მეტია. ავტორი რიტმს გვიკარნახებს, მოულოდნელობის ეფექტს ქმნის და ა. შ. ანა კალანდაძის პოეზიის მკვლევარმა ამ ფაქტს ყურადღება უნდა მიაქციოს...

ორი წერტილი (ჰორიზონტალურად განლაგებული (..) არაა იშვიათი ანას ლექსებში; ჩვენთვის ძნელია იმ სხვაობის დანახვა, რაც არის ორ წერტილსა (..) და სამ წერტილს (...) შორის:

„ვარსკვლავთა ვუჭვრეტ შიშით და კრძალვით
უდაბურს ტყეში დაძრწის მარტორქა..
ქარი გუგუნებს ქვაბის კართან
თავგანწირული,
ხმა აქვს საზარი“.

„ჩვენკენ სძრავდნენ, ჩვენ გვარბევდნენ რისხვითა
გვერდმეჯარულთ სამის წყრთისა ისრითა“..

„ბოლოს აპირებენ, გიგაურებთან,
ორგან თუ სამგან ელით ტაბლები“..

„ჩანს არ ყოველი ნაშლილა,
არც... არავცს მოაქვს ყოველი!“

„მაგრამ.. გალობენ კვლავ ანგელოსნი
და დღემარადის შეგფვინვენ ზენას“.

„გაჰყვა სენკოესკი, ვითომ.. ძველ დროსა?“

ზოგან მსგავს შემთხვევებში, როგორც ვნახეთ, სამი წერტილი არის დასმუ-
ლი. ეს შემთხვევები (ორი წერტილი) კალმის შეცდომა ხომ არ არის?

ვფიქრობთ არა: ლექსში „ქარმა შეარხია რტოი ძენნისაი“ (სათაურთან სას-
ვენი ნიშანი არ ზის) სათაური ტექსტში ორჯერ მეორდება. ორივე შემთხვევაში
სტრიქონის ბოლოს ორი წერტილი არის დასმული (..). არადა, 17-სტრიქონიან
ლექსში რვა სტრიქონის ბოლოს სამი წერტილი (...) ზის. როგორც ვთქვით, გან-
მეორებული სათაურის ბოლოს ორივეჯერ ორი წერტილია! არ ჩანს ეს შემთხვე-
ვითი.

არის შემთხვევა ოთხი წერტილისაც:

„ბრწყინვა კანდელთა ჰგავდა

ბრწყინვას ვარსკვლავთ მირიატთ...“

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კომბინაცია – მძიმე და მრავალ-
წერტილი (რის თაობაზეც ვ. ჯავახიძე მიანიშნებდა).

აქ რამდენიმე ვარიანტი გვაქვს:

მძიმე და ორი წერტილი (,..)

„მე ვგრძნობ, ტალღები ამ კიდობანს

როგორ არყევენ, ჩემო ბებია,..

რად სევდიანნი შენს სარკმელთან

დგანან არყები?“

„მათ გადაიარეს ცა პირამიდების,

ხეთა და მიდია,..

ზღაპრული ურარტუ, ქართული მინდვრები,

კვლავ საით მიდიან?“

„– როგორ ხარ? – ჩუმად იკითხე

(ძველი ნალველი გმთენია...),..

დაბნელდა ირგვლივ, მზის სხივი

მხოლოდ ბორბალოს ჰფენია...“

მძიმე და სამი წერტილი (,...):

„ბედი ჰქონდეს? ხა, ხა, ხა, ხა,... არასოდეს!“ –

(საინტერესოა: ლექსის ბოლოს ეს ფრაზა მეორდება; გამეორებისას მძიმე
აღარ ჩანს: სატანამ თქვა: ხა, ხა, ხა, ხა... არასოდეს!“)

„რა ვიცი,.. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!“

ორივე შემთხვევაში მძიმე „თავის ადგილზეა“; გამოცანას ორი და სამი წერ-
ტილი წარმოადგენს. მათ იგივე ფუნქცია აქვთ, რაც ზემოთ (მძიმის გარეშე მრავ-
წერტილს), თუმცა ეს ფუნქცია ამოსაცნობია. განსხვავებაა დასანახი.

ასევე საინტერესოა კომბინაციები: **ძახილის ნიშანი და მრავალწერტილი.**

დახილის ნიშანი ანა კალანდაძის ლექსებში ძალიან ხშირად გამოიყენება. ზემოთაც ვთქვით, თითქმის სანახევროდ ლექსის ბოლოს დახილის ნიშანს დასვამს... ხშირია დახილის ნიშანთან მრავალწერტილის კომბინაცია:

დახილის ნიშანი და ორი წერტილი:

„საქართველო შენი წილმომხვდარია,
გაგვამარჯვე, ღვთისმშობელო მარიამ!..“

„გაქრა, ნუქარდინ, ოცნება ამო, –
შორია თამარ!..“

„და... რა ქალი?! ხელის გულით სატარები!..“

დახილის ნიშანი და სამი წერტილი:

„აქ ჩაესვენა ერთი ვარსკვლავი,
აქ, შარავანდის დიად გვარისა...
.....“

ეჭა, შავბედო!...“
„დინჯად მისდევს კვალში ძველი გუთანი...
ვერ ნაიღებს ხორბალს სულთამხუთავი!...„
„ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური, –
– მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!...“

დახილის ნიშანი და ოთხი წერტილი:

„რა თვალეები?! ელვის ცეცხლის დამჭერი!...“

ეს ლექსი („ბოშა ქალი“) ამ მხრივ ძალიან საინტერესოა: გვერდიგვერდ არის დახილის ნიშანი და ორი წერტილი, დახილის ნიშანი და სამი წერტილი, დახილის ნიშანი და ოთხი წერტილი:

„და... რა ქალი?! ხელის გულით სატარები!..
რა თვალეები?! ელვის ცეცხლის დამჭერი!...
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები!
შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი!...“ და ა. შ.

აქ ერთ ფაქტსაც გვინდა ყურადღება მივაქციოთ: მრავალწერტილი დახილის ნიშნისაგან დაშორებულია – „მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო! ...“. ჩვეულებრივ მრავალწერტილში წერტილები თითქმის თანაბრადაა დაშორებული. აქ კი ზოგჯერ დახილის ნიშანთან ინტერვალი გვაქვს:

! .. ! ... არც ეს უნდა იყოს შემთხვევითი.

გვაქვს ასეთი შემთხვევაც – კითხვის ნიშანი და დაშორებული სამი წერტილი:

„დავდივარ ბაღში, ვით უდაბნოს მწირი,
და ჭიამარია,
ვინ იცის, სად არი? ...“

ეს ლექსის დასასრულია. ლექსში კითხვის ნიშნები არის, მაგრამ მრავალ-
ნერტილის გარეშე:

„რატომ არ დასველდი, თუ წვიმდა
წუხელი,

გეძინა სადა?

თქვი ჭიამარია, სით მიგიხარია?“

კიდევ ერთი საინტერესო ნიშანი: **ტირეს** გამოყენება „ანასეული მრავალ-
ნერტილის“ ფუნქციით:

„მტრის გვამთა შორის... იცვნეს დიაცი,

როს დასწვდნენ ჩაჩქანს,—

ხელი არ ახლეს იმის იარაღს“.

„ამ ცხელ ქვიმაზე... პატარა გოგომ

გადაირბინა,—

თეთრმა იზიდამ...“

„რასაც აქ ეძებ,

დახუჭე თვალი,—

შენშია სულაც!“

სხვაგან მსგავს შემთხვევაში მრავალნერტილია გამოყენებული.; ჩვეულებ-
რივ ტირე ტრადიციული ფუნქციით გამოიყენება – დიალოგში:

„დგახარ ქუჩის განაპირას,

ვარდებს ყიდი...
– ჩემო კარგო,

არაბი ხარ?–

– იეზიდი... –

როგორც ია,

თავდახრილი ბუჩქის ძირას,

მორცხვი ხარ და

როგორ გშვენის კდემა დიდი...
– თქვი, შავთვალავ,

არაბი ხარ?–

– იეზიდი! –“

ბოლო სტრიქონის ბოლო ტირე „ანასეული“ მრავალნერტილის ფუნქციი-

საა...

ახლახან ზაზა აბზიანიძემ გამოსცა ალბომი – „ანა კალანდაძე – ხელნაწე-

რები; ანა ნიკოლაძე – ფერწერა“. ხელნაწერი ლექსების რვეული ანა კალანდა-

ძეს 1950 წელს უსახსოვრებია თავისი ლექტორებისათვის – ანა ნიკოლაძისა და

გიორგი აბზიანიძისათვის.

სასვენ ნიშნებთან თავისებური დამოკიდებულება ანა კალანდაძისა ამ

ახალგაზრდობისდროინდელი ალბომიდანაც ჩანს. თუმცა არ ემთხვევა ყოვე-

ლივე გვიანდელ ხელნაწერებს. მეტი „თავისუფლება“ გვიანდელ ხელნაწერებ-

შია. ჩვენი მიზანი არ არის ამ ხელნაწერთა შედარება. ერთს აღვნიშნავთ: ორი

ნერტილი (..) იმ ხელნაწერებშიც არის მძიმის ფუნქციით. ლექსში „ალარავინ

ალარ მიყვარს“ ორჯერ მეორდება ერთი და იგივე სტრიქონი. „ძველ ალბომში“

ასეა:

„ხა.. ხა.. ხა.. ხა.. არასოდეს!“ ორივე სტრიქონში სასვენი ნიშნები ერთნაირად არის დასმული (..).

„საარის“ გამოცემულ წიგნში (2004 წ.) ეს ვარიანტია:

„ხა, ხა, ხა, ხა,... არასოდეს! – გამეორებისას სამი წერტილის წინ მძიმე არ არის...

ვარიაციები – !.. / !... / !.... / ! ...

ან ,.. / ,... – ნაბეჭდ ტექსტში აღარ არის. რედაქტორმა (ვ. ჯავახიძემ) დაინანა კიდევ – არ უნდა გამესწორებინაო.

ერთ მაგალითს მოვიყვან, რედაქტირებულ ტექსტს რა სახე აქვს (ფრჩხილებში ვსვამ ხელნაწერისეულ ვარიანტს):

„და რა ქალი?! ხელის გულით სატარები... (!..)
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი... (!....)
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები... (!)
შეხედეს და... შეუკურობეს გამჩენი... (!...)
მეზღვაურებს გამომწვევად გვერდს აუვლის,
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური: (,-)
– მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!.. (! ...).

კიდევ ერთი საინტერესო ვარიანტია: ლექსი „დამილოცეთ, ძმებო!“ ბეჭდური ვარიანტი თითქმის ემთხვევა გვიანდელ ხელნაწერს. ერთი მცირე სხვაობაა:

„აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...
აქ, – მზით დამწვარ ხელში,
ღვინიანი ჭიქა...
იქ, – ცარიელ ქვევრში
დამწყვდეული ჭინკა...“

ხელნაწერში V და VII სტრიქონებში ტირე არ არის და VI სტრიქონის ბოლოს მძიმეა. საინტერესო ვარიანტია ადრეულ ხელნაწერში: კენტი სტრიქონების ბოლოს სამი წერტილია (ტევრი... ქვევრი...), ლუწი სტრიქონების ბოლოს ორი წერტილი (ღობე.. კოპე.. ჭიქა.. ჭინკა..)... საინტერესოა!..

ამ მაგალითებიდანაც ჩანს, რა სიფრთხილვა საჭირო კლასიკოსის ნაწერების გამოცემისას. პროფესიონალ ენათმეცნიერს, კლასიკოს პოეტს ანა კალანდაძეს „გრამატიკული ნორმების შესაბამისად“ ტექსტს უსწორებენ...

პოეტს რედაქტორთან კამათი არ დაუნყია, დაეთანხმა მის გასწორებებს... ესეც გასაგებია: ანა კალანდაძის ბუნებისათვის ჩვეული ფესტი – ამ (,..) და სხვა ავტორისეულ იმპროვიზაციათა შესახებ პოეტი პასუხს ერიდება, ახსნას არ ცდილობს. რატომ? სხვა შემთხვევისათვის ანასაგან თქმულს გავიხსენებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუმარტავიც...“ „ამას უჩვენოდაც ჩინებულად ანესრიგებს „ის“, რაიც შთაგონებით გვწყალობს!“

ისტორიის რეპრეზენტაცია და სვანეთის ტრადიციული ყოფა – „თამარ დედფალ“

ქართული ეროვნული კულტურის განვითარების მრავალსაუკუნოვანი დინამიკა ავლენს ისტორიის რეპრეზენტაციის არაერთ ფაქტს და მოტივს. ქართველთა ისტორიული მეხსიერების შრეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქმნებოდა და მათში ისტორიის სხვადასხვა პერიოდის ამსახველი ინფორმაცია იკვეთება. ამავე დროს, ისტორიული მეხსიერების მუდმივი რეპრეზენტაცია აპირობებს ტრადიციული მსოფლხედვის მრავალ ასპექტს.

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტერესი ისტორიული/კულტურული მეხსიერების (Memory Studies), როგორც კვლევის ინტერდისციპლინური მიმართულების მიმართ, დღითიდღე იზრდება. ისტორიული მეხსიერების მკვლევართა შორის არიან ისტორიკოსები, კულტურის ისტორიკოსები, ეთნოლოგები, ფილოლოგები, სოციოლოგები. ისტორიული მეხსიერების კვლევა მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, როგორც ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქვეყნისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში თავდაპირველად ჩნდება ტერმინი „კოლექტიური მეხსიერება“, ამჟამად გამოყენებულია სხვა ტერმინებიც – „სოციალური მეხსიერება“, „კულტურული მეხსიერება“ და „ისტორიული მეხსიერება“. საკვლევი თემატიკა მეტად ფართო სპექტრის მომცველია და კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდისა თუ გეოგრაფიული არეალის ამსახველ მასალას მოიცავს.

კოლექტიური მეხსიერების, როგორც ინდივიდუალური მეხსიერების ჩამომყალიბებელი მექანიზმის, შესახებ მსჯელობას იწყებს მორის ჰალბვაქსი (HALBWACHS 1992) და ტერმინში იგი მოიაზრებს არა ბიოლოგიური მოცემულობიდან მომდინარე მეხსიერებას, არამედ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისთვის მშობლიურად მიჩნეულ და გაზიარებულ საერთო მეხსიერებას. ბიოლოგიური ტერმინოლოგია იცვლება საისტორიო მეცნიერებაში მიღებული ტერმინოლოგიითა და დეფინიციებით. ამ ახალი ტერმინით იწყება ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების და ფსიქოლოგიური შტრიხების გამიჯვნა და ანალიზი.

სხვადასხვა დარგის ისტორიკოსები საკვლევ მასალად იყენებენ ნარატივებს ან სულაც ხელოვნების ძეგლებს. ამ მხრივ ერთ-ერთ პირველ მკვლევრად გვევლინება ხელოვნების ისტორიკოსი აბუ ვარბურგი, რომლის დაუსრულებელი ატლასი გვაძლევს საინტერესო სურათს ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის კულტურებში (ხელოვნებაში) გამოხატული ისტორიული/კულტურული მეხსიერების ფაქტების შესახებ. ფაქტები ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მომცველია: ანტიკური ხანიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე (Aby Warburg).

ახალი განვითარება ისტორიული/კულტურული მეხსიერების კვლევამ ჰპოვა ცნობილი ეგვიპტოლოგის იან ასმანის შრომებში (Асман 2004). მეხსიერების

კვლევის კონტექსტში აქტუალური თემაა კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის ურთიერთმიმართების პრობლემა¹.

კოლექტიური მეხსიერება აპირობებს ეთნიკური (ან სოციალური ჯგუფების) მენტალობის თავისებურებებსაც, რადგან კოლექტიურ მეხსიერებაში ადგილს იკავებს ისეთი ისტორიული ფაქტები, რომელთაც ახასიათებთ ჯგუფისათვის მისაღები და ნაცნობი კატეგორიების ფარგლებში თვითდამკვიდრების უნარი. ხშირად კი ამგვარი ისტორიული ფაქტების ან ისტორიული პიროვნებების გაიგივება ხდება არქეტიპულ მოდელებთან (Элиаде 1987; ელიადე 2009). მსგავსი კულტურული მეხსიერების ფაქტები ნიშანდობლივია დასავლეთ ევროპული ყოფისა და ბიზანტიური ცივილიზაციისთვისაც (ЛеГოфფ 1992; ЛеГოфფ 2001). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქრისტიან ევროპელთა და ქრისტიან ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში გამოვლენილი ზოგიერთი შტრიხი, რომლებიც წმიდა მეფეების ხსოვნას უკავშირდება.

საქართველოს მაგალითზე ისტორიული მეხსიერების შესწავლა ჯერ-ჯერობით ძირითადად კულტურის ისტორიკოსთა კვლევის სფეროა, მაგრამ ქართული მასალა ავლენს კვლევის ეთნოლოგიური ასპექტების მასშტაბურ არეალს. კვლევა შესაძლებელია გაიშალოს რამდენიმე მიმართულებით: 1. ა). მეცნიერის (ისტორიკოსის) მიერ შექმნილი საისტორიო ქრონიკა, როგორც ისტორიის მუდმივად განახლებადი საშუალება (წყარო) – ხელმისაწვდომი მოსახლეობისათვის და მუდმივად რეპრეზენტირებადი თემა ხალხურ ყოფაში (მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ სიუჟეტები). ბ). ქართულ ნარატიულ წერილობით წყაროებში ასახული ისტორიული მეხსიერების (ლეგენდა-გადმოცემების) კვლევა ეთნოლოგიურ კონტექსტში, 2. წერილობითი წყაროებიდან ხალხურ ყოფაში გადასული კონკრეტული ისტორიების გახალხურებული ვარიაციების კვლევა. ორივე მიმართულება ისტორიის რეპრეზენტაციის მუდმივად განახლებადი წყარო და მოტივია. 3. მნიშვნელოვანია შესწავლა სხვა ეთნიკურ კულტურათა წიაღში შემონახული საქართველოს ისტორიითა და კულტურით განპირობებული კულტურული მეხსიერების დანაშრეგებისა, გავრცელების გზებისა და, ზოგადად, კულტურული პარალელებისა.

ქართულ საისტორიო ძეგლთა უმეტესობა სხვადასხვა ობიექტურ გარემოებათა გამო (ომიანობა, დამპყრობელთა მიერ სამეფო კანცელარიებისა და

1 იხ. ამ საკითხზე სპეციალური უცხოური ლიტერატურის სია: Нора П. Проблематика мест памяти; Франция-память / П. Нора, М. Озуф, Ж. де Пюимеж, М. Винок. СПб.: Изд-во С.-Петербур. ун-та, 1999, с. 17-50. Нора П. Между памятью и историей. Проблематика мест памяти. Нора П. Нация-память. Нора П. Как писать историю Франции. Нора П. Эра коммемораций. Озуф М. Пантеон. Эколь нормаль мёртвых. Пюимеж Ж. Солдат Шовен. Винок М. Жанна Д'арк. Хапаева Д. Прошлое как вызов истории Приложение. Места памяти. План. - СПб.: Изд-во С.-Петербур. ун-та, 1999. <http://ec-dejavu.ru/m-2/Memory-Nora.html> Йейтс Ф. Искусство памяти, Фонд поддержки науки и образования «Университетская книга», СПб, 1997; Арнаутова Ю.Е., MEMORIA: «ТОТАЛЬНЫЙ СОЦИАЛЬНЫЙ ФЕНОМЕН» И ОБЪЕКТ ИССЛЕДОВАНИЯ. Образы прошлого и коллективная идентичность в Европе до начала Нового времени. М., 2003, с. 19-37. Рикёр П. Память, история, забвение. М., 2004, с. 136-143. Between Memory and History: Les Lieux de Mémoire Pierre Nora Representations, No. 26, Special Issue: Memory and Counter-Memory. (Spring, 1989), pp. 7-24. Савельева И.М., Полетаев А.В. (отв. ред.) Феномен прошлого, М.: Изд. дом ГУ ВШЭ, 2005 და სხვ.

ბიბლიოთეკების განადგურება) დროთა ვითარებში იკარგებოდა და ხშირად ისტორიის ამა თუ იმ კონკრეტული სიუჟეტის ხსოვნა მხოლოდ ზეპირ წყაროებშია შემორჩენილი. ასეთ შემთხვევაში ხალხში შემონახულ ზეპირ ისტორიას, როგორც ისტორიული/კულტურული მეხსიერების ფაქტს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი გვევლინება იმ კონკრეტული ისტორიული ამბის ერთადერთ ცოცხალ მონაცემად/წყაროდ.

ზეპირი საისტორიო წყაროები, რასაკვირველია, ისტორიული ამბების ანარეკლია და ამბების სათავე ხშირად წერილობითი ძეგლებიცაა, საიდანაც გადადის იგი ხალხურ ყოფაში. საქართველოში, წიგნიერების მაღალი კულტურის მქონე ქვეყანაში, ისტორიის ცოდნა, ცოდნის თაობიდან თაობაში გადაცემის ტრადიცია და საკვანძო თემების მუდმივი რეპრეზენტაცია ბუნებრივი მოვლენა იყო. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ისტორიის რეპრეზენტაციის არსებობისა საისტორიო კრებული „ქართლის ცხოვრებაა“, რომელიც იწერებოდა „ჟამითი ჟამად“ და ქმნიდა საქართველოს გაბმულ ისტორიას, რითაც საზრდოობდა ქართველი ერი და რის საფუძველზეც იქმნებოდა მისი ეთნიკური კულტურა (ლორთქიფანიძე 1989). ისტორიის რეპრეზენტაციის აუცილებლობა, გაცოცხლება წარსულის სურათებისა თანამედროვე ყოფაში, თანაგანცდა საკუთარი ქვეყნის ისტორიისა მუდმივი თემა ქართველი ისტორიკოსებისათვის (ლორთქიფანიძე 1966).

ბუნებრივია, ისტორიკოსი თვითონ არის ისტორიის რეპრეზენტაციის ყველაზე აქტიური შემოქმედი, ის ახდენს ისტორიული (კოლექტიური, კულტურული, სოციალური) მეხსიერების ფორმირებას საკუთარი შემოქმედებით-ისტორიული ქრონიკით.

ქართულ გარემოში ეთნოგრაფიული კვლევით მოპოვებული ისტორიული სიუჟეტები, ცხადია, ხშირად დაცილებულია კონკრეტულ ისტორიულ გარემოსა და დროს, არის ანაქრონიზმის ბევრი ფაქტიც, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან კოლექტიური მეხსიერება ხასიათდება კონკრეტული და ინდივიდუალური მნიშვნების გაფერმკრთალებისა და, ზოგჯერ, გაქრობის ტენდენციებით. ისტორიული მეხსიერება ინახავს მხოლოდ მთავარ და არსობრივად მნიშვნელოვან ფაქტებს. მნიშვნელოვანი საისტორიო სიუჟეტები გადადის თაობიდან თაობაში ყოფის განუყოფელ, ორგანულ ნაწილად: ზოგჯერ რამდენიმე ფაქტი ერწყმის ერთმანეთს, ზოგჯერ ისტორიული ფაქტი მითოსური სახეებით იბურება.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ თემად ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში გვხვდება წმიდა თამარ მეფის ხატება. თამარ მეფის ხატება ისტორიული მეხსიერების ისეთი ნაწილია, რომელიც დადებითი მუხტის შემცველია და საუკუნეთა განმავლობაში ასულდგმულებს ეთნიკური იდენტობის გადარჩენისა და განვითარების იდეას. აღსანიშნავია, რომ თამარ მეფის სახელი შემონახულია თურქეთის ქართველთა შორისაც კი ზეპირი ისტორიების სახით, შემოსილია ხატოვანი ფერებით და იქ „თამარ დოდოფლის“ ხსოვნაში ფოკუსირებულია სამშობლოს განცდა და იდენტობა ქართულ ეთნიკურ კულტურასთან.

საქართველო მნიგნობრობის თვალსაჩინო კერაა და ქართველთა ისტორიულ მეხსიერებაში, ბუნებრივია, შემონახულია ნარატივებიდან გადასული ინფორმაცია, რომელიც დროთა განმავლობაში ზეპირი გზით თაობიდან თაობაში გადადის და ისტორიული მახსოვრობის მთავარ სეგმენტად იქცევა. ისტორიის

რეპრეზენტაციის ფაქტორი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველ მთიელთა შორის და მეტად მრავალფეროვანი მასალა სვანეთშია დადასტურებული.

სვანეთის მოსახლეობის ისტორიული მეხსიერების უმნიშვნელოვანეს სეგმენტად თამარ მეფის ხსოვნა გვევლინება. თამარ მეფის სახელი სვანეთის მეზობლად მდებარე ყარაჩაელებსა და მალყარელებშიც (ბალყარელები) დაცულია.

„თამარ მეფის დროს სვანეთში ზამთარიც კი არ ყოფილაო“ – მოგვითხრობენ სვანები. ამ გულიდან ამონაკვნეს, ერთი შეხედვით, მეტად მიაშიტურ გამონათქვამში მთელი სისრულით იკვეთება ქართველ მთიელთა სიყვარული და მონინება თამარ მეფისადმი. ეს მაგალითი ხსნის იმ მიზეზებსაც, რაც აპირობებდა ნმიდა თამარ მეფის ხსოვნის მუდმივად განახლებას/რეპრეზენტირებას საუკუნეთა განმავლობაში. ამ მრავლისმთქმელ ფრაზაში ქართველ მთიელთა მენტალობის ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობა – მეფისადმი ერთგულებაა წარმოჩენილი. მირონცხებულები მეფის ხატება ხომ ტრადიციულ ქართველთათვის უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენდა: სამშობლო, მეფე, სარწმუნოება ის ტრადიციული ღირებულებები იყო, რაც კრებითად თამარ მეფის სიმბოლურ ხატებაში იყო ფოკუსირებული.

ცნობილია, სვანეთის ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელი მენტალური ველი სხვა მრავალ სიმბოლო-ნიშანსაც ინახავს სასოებით, მაგრამ განსაკუთრებით ფასეული თამარ მეფის ხსოვნის რეპრეზენტირების მასშტაბურობაა („თამარ დედფაო“). ამ სიმბოლოში თავმოყრილია ისტორიული ხსოვნის ზოგადქართული მოტივებიც და საგულისხმო ადგილობრივი (სვანური) ნიუანსებიც.

თამარ მეფის სახე ისტორიული მეხსიერების ნაწილია და იგი დაკავშირებულია ქართული სახელმწიფოებრიობის „ოქროს ხანასთან“, მოგონებაა იმ დროისა, როდესაც მონესრიგებული იყო ქვეყნის ცხოვრების ყველა მხარე: პოლიტიკურიც, სოციალ-ეკონომიკურიც და სულიერიც:

„ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
თმები გქონდა („გედგა“) ხუჭუჭი,
თვალეები გეჯდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა;
შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი,
ფეხზე გეცვა, ო, ჩექმები,
თავზე გედგა ზუჩი;
ცხენი გყავდა ქვიშისფერისა,
უნაგირი გედგა, ოი, მოჭედილი,
აღვირი გედგა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი,
თამარ დედოფალო, თამარს,
ყველაზე უკეთეს თამარს!“ (სვანური პოეზია 1939) –

– ამ ჰიმნს გალობენ დღესაც სვანები და იგი სრულდება ფერხულის თანხლებით.

თამარ მეფის ეპოქის საქართველოს ხსოვნა სვანეთის საზოგადოების ისტორიული მეხსიერების მასაზრდოებელი წყაროა მთელი გვიანი შუასაუკუნეების მანძილზეც, XIX საუკუნეშიც და თვით დღევანდელ დესაკრალიზებული და ღია ინტელექტუალური საზღვრების ეპოქაშიც კი: „დედა ქართლისა – თამარი“ სიმბოლოა ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და გაძლიერებისა.

დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის შენიშვნით, „როცა სვანები ძველს დროზე ლაპარაკს ჩამოაგდებენ, თამარ დედოფალზე მსჯელობა ერთადერთს საყვარელს და საინტერესო თემას წარმოადგენს“ (ნიჟარაძე 1973:86). მრავლისმთქმელია ის ფაქტიც, რომ სვანი მთხრობელები ახლაც წმინდანთა და მათ შორის თამარ მეფის ხსენებისას კვლავ ქუდს იხდიან და ფეხზე დგებიან.

წერილობითი და ზეპირი საისტორიო წყაროები მოგვითხრობენ თამარ მეფის გულისხმიერ დამოკიდებულებაზე სვანეთის საერისთავოსადმი. ბუნებრივია, ეს გადმოცემა რეალური ისტორიული ფაქტებიდან მომდინარეობს. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, თამარის მეფის კურთხევისას მისი სამხედრო საჭურვლით შემოსვა სვან დიდებულთა პრეროგატივა ყოფილა: „სრულ ყვეს მოჴელეთა და სვანთა და დიდებულთა ვარდანის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა მოღება და დადება ჴრმლისა“ („ქართლის ცხოვრება“ 1959: 27). სვანმა დიდებულებმავე მოჴგვარეს დამარცხებული გიორგი რუსი თამარ მეფეს: „გარდამოვიდეს სუანნი დიდებულნი და მეჴვენი და გარდამოიტანეს რუსი, მეფე – ყოფილი“ („ქართლის ცხოვრება“ 1959: 54).

თამარ მეფისეულადაა მიჩნეული ციხე-კომპლექსი უშგულის თემში. მას ხალხი „თამარის კოშკებს“ უწოდებს. რეზიდენცია უშგულის სამხრეთით, ენგურის მარცხენა ნაპირზე მაღალ მთაზეა აღმართული და ფართო გალავნითაა შემოზღუდული, მკვლევართა (ნ. ბერძენიშვილი, მ. ცქიტიშვილი, დ. ბერძენიშვილი, დ. მუსხელიშვილი) დაკვირვებით, ეს კომპლექსი სვანეთის ერისთავთა ერთ-ერთი რეზიდენცია უნდა ყოფილიყო: „თამარის ციხე“ ცენტრია არა მარტო ზემო, არამედ ქვემო სვანეთისთვისაც იმ პირობით, რომ ეს ორი „ჯევი“ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულადაა გაერთიანებული. მართლაც, უშგული მთელი რიგი გზებით... მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვემო სვანეთთან... აგრეთვე, სვანეთის „მთიულეთთან“ და, ამდენად, მისი ცენტრობაც ბუნებრივია... ასეთი ვითარება... გასაგებია იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეს ზემოხსენებული მხარე გაერთიანებულია. ეს კი ასე იყო არა გვიანფეოდალურ ხანაში, არამედ სწორედ „სვანთა საერისთავოს“ არსებობის დროს“ (მუსხელიშვილი 1980:148). ამ მოსაზრებას იზიარებს გერონტი გასვიანიც (გასვიანი 1973:45). ლეგენდა-გადმოცემებითაც, „აქ ცხოვრობდა თამარ მეფე... მისი ქალი რუსუდანი“ (თაყაიშვილი 1991:154). ეცერის თემში, ფხუტრერის მთავარანგელოზების ეკლესიაში ექვთიმე თაყაიშვილმა აღწერა გიორგი III-ის, მისი მეუღლის – დედოფალ ბურდუხანისა და თამარის მამიდის – რუსუდანისაგან შეწირული საეკლესიო განძეული (თაყაიშვილი 1991:471-477). გადმოცემები მოგვითხრობენ ომიანობისას რუსუდან მეფის სვანეთში ყოფნის შესახებ, რაც დიმიტრი ბაქრაძეს რეალურ ამბად მიაჩნია (Бакрадзе 1864:32). სომხური საისტორიო წყაროებით, რუსუდან დედოფლისა და ლაშა-გიორგის შვილები – „ორივე დავითი სვანეთში გაიქცნენ“ (აირივანეცი, 1991:84). დავით ნარინი ზრუნავს სვანეთის საეკლესიო ცენტრების აღორძინებისთვისაც: სვანეთში დაცული ლაბსყალდის სახარების მინაწერით ირკვევა, რომ ეს სახარება ეკუთვნოდა დავით ნარინს. მეფეს სახარება

უბოძებია თავისი მოძღვრის ილარიონ სოფრომისძისათვის. მხედრული მინანერიდან კი ჩანს, რომ ლაბსყალდის ეკლესია უკურთხებია ცაიშის მთავარეპისკოპოსს, დანიელს, დავით ნარინის მეფობაში (თაყაიშვილი 1991: 458). ცნობილია, რომ ამ დროის სომხურ წყაროებში „სვანეთი“ ხშირად იხსენიება და ყველა შემთხვევაში იგი განზოგადებულად აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს (ალასანია 2004:21). ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზით ირკვევა, რომ იენაშის ეკლესიის (ლატალის თემი) მოხატულობაში კონსტანტინე I-ის, დავით ნარინის ძის სამეფო პორტრეტია გამოსახული (ყენია 2002) და სხვ.

ზეპირი საისტორიო წყაროების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სვანეთის ყოფა ინახავს თამარ მეფესთან დაკავშირებულ მრავალ ისტორიულ სიუჟეტს: თამარ მეფის დროს სვანეთი იყო „ხევი ბედნიერი“; თამარ მეფეს განსაკუთრებით უყვარდა სვანეთი; თამარ მეფემ სვანეთში უამრავი ეკლესია-მონასტერი, ციხე-დარბაზი და საგუმბაგო კოშკი აღმართა; თამარ მეფემ გაიყვანა და კეთილმოაწყო სვანეთის გზები; თამარ მეფემ სვანეთის ეკლესიებს დიდძალი ჯვარ-ხატი შესწირა; თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა სვანეთში (ჯორჯვალის, ლახამის, ეცერი, ივარი, უშგული...); თამარ მეფის ლაშქარში/სამეფო ჯარში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სვანი მოლაშქრეები; თამარ მეფემ აკურთხა სვანეთის საერისთავო დროშა „ლემი“ და უბოძა იგი სეტის მთავარმონაშეს სვანი მეომრების მიერ გამოჩენილი გმირობისათვის; თამარ მეფე სასწაულმოქმედი მკურნალი იყო. ამასთანავე, ლეგენდა-გადმოცემებში მოჩანს თამარ მეფის ბიოგრაფიის ანარეკლიც: დემნა ბატონიშვილის შეთქმულება, გიორგი რუსის აჯანყება, „ხონთქარის“ ძლიერი ლაშქრის შემოჭრა, მეფის საფლავის გაუჩინარება; სვანეთის თითქმის ყველა თემში გავრცელებულია ლეგენდა, რომ თამარ მეფე დაკრძალულია სვანეთში და ა. შ.

მივყვეთ თანმიმდევრობით: თამარ მეფის აღმშენებლობითი ღვაწლი მრავალ სვანურ ლეგენდაშია აღწერილი: თამარ დედოფალმა ეკლესიების შენება უშგულში დაიწყო და ეცერში დაამთავრა. იქ ფხოტრერის საყდარში დატოვა მრავალი ძვირფასი ნივთი, მათ შორის, თავისი სარტყელი და კვერთხი (გაბლიანი 1925:50). სხვა მასალით, ეს სარტყელი ეცერის თემის ერთ-ერთ სოფელში, ლანტელიში, კატმანების საგვარეულო კოშკში ყოფილა დაცული და იგი თავად დადემქელიანებს მიუთვისებიათ (Стойнов 1876:320-328). სარტყელი 1857 წელს ჯანსუხ დადემქელიანის მეუღლეს ეკატერინე ჭავჭავაძისათვის მიურთმევია. ამ ძვირფასი ნივთის ამჟამინდელი ადგილსამყოფელი უცნობია. სხვა გადმოცემით, თამარ მეფეს განსაკუთრებით მოსწონებია ეცერის სანახები და ამ თემისთვის „თეთრი ეცერი“ უწოდებია. ამის შემდეგ ეცერს კარგი ამინდები დაჰბედებია, რაც ხალხურ ლექსშიცაა ასახული:

„ყველგან წვიმს, ყველგან თოვს,
თეთრ ეცერს მზე ანათებს“.

სხვა ვარიანტით:

„ყველგან წვიმაა და ყველგან თოვლი,
ეცერის ვაკეზე მზე დგას ცხრათვალა“.

ლატალის თემში კი დაცულია სიმღერა:

„ლატალს მობრძანდა თამარი, ლაჭლას ნათელი მოჭფინა
სვანეთი ვაკე მეგონა, სულ მთა და გორი ყოფილა“ (სვანური პოეზია 1939).

ერთ-ერთი გადმოცემით, „ძველი ხელმწიფეებიდან სვანეთი ყველაზე მეტად თამარ დედფალს ემადლიერება, მას სვანეთში გზები გაჰყავდა, საყდრებს აშენებდა, სვანები გამორჩეულად უყვარდა და მათი განსაკუთრებული იმედიც ჰქონდა ომიანობისას. ყოველ სანყალს ეხმარებოდა, ზაფხულობით სვანეთში მობრძანდებოდა, ციხეებს აშენებდა (სექ 1978: 59).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ლეგენდა-გადმოცემათა ციკლის ის ნაწილი, რომელშიც თამარ მეფის მიერ მოპოვებული გამარჯვებების შესახებაა საუბარი. ამ დროს სვანი მთხრობლები ხაზგასმით მიუთითებენ სვანი მოლაშქრეების მონაწილეობაზე ბრძოლებში. მაგალითად, სვანური პროზაული ტექსტების II ტომში გამოქვეყნებული გადმოცემით (თამარ დედფალი და თათრის ჯარი), თურქების შემოსევისას თამარ მეფეს მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯარი ხლებია, ამ დროს იგი სვანეთში ეკლესიებს აშენებდა და ერთ-ერთ მურყვამში (კოშკში) გამაგრებულა. სასწრაფოდ შეკრებილ სვანების ლაშქარს მტერი სასტიკად დაუმარცხებია (სპტ 1957: 25), რაც ერთ-ერთ სიმღერაშიცაა ასახული:

„თამარ მეფევ, თამარე, სად ყოფილხარ, თამარე?
ვის ეომე, ვინ დარისხე, ვინ დაამხე, თამარე?
მტერი დაგიმარცხებია, დავლით მოხვალ თამარე,
სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ, ძლევით მოხვალ თამარე“
(ლექსო, არ დაიკარგები 1985: 25).

იხ. აგრეთვე, ამ სახის გადმოცემები ქ. სიხარულიძის ნაშრომებში (სიხარულიძე 1961).

ბრძოლებისა და გამარჯვებების ანარეკლი მოჩანს ტრადიციული სვანების დამოკიდებულებაში „წმინდად“ მიჩნეული დროშის, „ლემის“, მიმართ. „ლემი“, რომელიც „ერთადერთია გაერთიანებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის მთავარ დროშათაგან..., სვანეთის „ერთობილი ჴევის“ დროშა...; ისევე, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა, სვანეთის ეს დროშაც იყო ძალაუფლების ნიშანი და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლო“ (ბარნაველი 1953: 27). დროშა სვანეთის მთავარი სასულიერო ცენტრის, სეტის მთავარმონამის ეკლესიაში იყო დაცული და მასთან დაკავშირებულია სვანეთის საერო ხელისუფლის „მელომის“ ინსტიტუტი (გასვიანი 1991: 83-85). გადმოცემით, „ლემის“ ალამი თვით თამარ დედფალს შეუკერავს და გამარჯვებული სვანეთის ლაშქრისათვის უბოძებია. სეტის ჯგირაგ-ში დავანებულ ამ სინმინდეს სვანები წელიწადში მხოლოდ ერთხელ „ჴულიშობის“ – ელიაობის სადღეობო რიტუალისთვის გამოასვენებენ ტაძრიდან და ამ დროშით ლოცავენ სვანეთის ჴევს და მთელ საქართველოს (გუჯუჯიანი 2005: 50-71) ცხადია, ისტორიულ მეხსიერებაში ფეოდალური ხანის სვანეთის საერისთავო დროშასთან ასოცირებულია ხსოვნა ძველი, დიდი საქართველოსა და „ერთობილი სვანეთის ჴევის“ („ხოშა მურგვალ შვანან ჴეობ“) არსებობისა, ხსოვნა იმ სანეტარო დროისა, როდესაც მთელი ქვეყანა და, მათ შორის, სვანეთიც ძლიერი და ბედნიერი („ჴევბედნიერი“) იყო. ბუნებრივია, რომ

საკრალური ისტორიის გაზიარება კრავდა და ადულაბებდა ქართველ მთიელთა ერთობას.

სვანურ ლეგენდა-გადმოცემებში თამარ დედოფალს სასწაულმოქმედ მკურნალადაც მიიჩნევენ. ეს ტრადიცია უნივერსალურია ზოგადქართული გადმოცემებისათვის. წმიდა მეფეებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ცნობილია დასავლეთ ევროპისთვისაც. მაგალითად, მარკ ბლოკი მოგვითხრობს ინგლისისა და საფრანგეთის სამეფო კარების ისტორიებს, სადაც არსებობდა რწმენა მეფეების სასწაულებრივი განმკურნებელი უნარის შესახებ. ინგლისისა და საფრანგეთის მეფეებსა და დედოფლებს, ხალხის რწმენით, შესწევდათ ძალა საყმანვილო სენითა და კანის დაავადებებით დასნეულებულთა განკურნებისა. ოდენ ხელის შეხებით. ეს „ნიჭი“ მეფეთა ქარიზმის მაჩვენებელი იყო (Blok 1973).

სვანურ გადმოცემებში თამარ მეფის ბიოგრაფიული პასაჟების მხატვრული გააზრებაც არის. „თქმულება თამარის ძმის შესახებ“ მოგვითხრობს, რომ თამარს ჰყოლია ძმა. მშობლებს ეშინოდათ, ტახტის მემკვიდრე, ერთადერთი ვაჟიშვილი, ომში არ დაგვეღუპოსო, რის გამოც ძმას და – თამარი – შენაცვლებია და ჯარს სათავეში ჩასდგომია. ბრძოლაში თამარს ისეთი დიდი გამარჯვებები მოუპოვებია, რომ მეფობაც მას დარჩენია (ვირსალაძე 1953: 383-384).

თამარ მეფის დაკრძალვის ადგილთან დაკავშირებით სვანეთის სხვადასხვა თემი ერთმანეთს ეცილება. ლეგენდა-გადმოცემებში ყველაზე ხშირად უშგული და ეცერი ფიგურირებს. ა. ხახანაშვილის მასალით, სვანებს სწამთ, რომ თამარ მეფე უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველშია დაკრძალული, მაგრამ მალავენ ამას, რადგან შიშობენ, მეფის წმიდა ნეშტს წაასვენებენ და ამით სვანეთს ბედნიერებაც დატოვებსო (Хаханов 1895: 291-292). ა. სტოიანოვს (1872 წ.) სვანეთის სხვადასხვა თემში უჩვენეს ათამდე ადგილი, სადაც თამარ მეფის საფლავი ივარაუდებოდა (Стоянов 1876: 324). თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალითაც ეცერის თემში, ივარში, უშგულში და სხვ. წმიდა მეფეა დაკრძალული. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ლეგენდა არსებობს ყარაჩაელებსა და მალყარელთა შორისაც.

თამარ მეფის შესახებ არსებულ სვანურ გადმოცემებს თავისებური კეთილი ტონალობები შემოაქვს ზოგადქართულ მასალაში. არც ისაა გასაკვირი, რომ სვანები ხაზგასმით საუბრობენ სვანეთის მიმართ თამარ მეფის განსაკუთრებული სიყვარულის შესახებ. ამ პასაჟში სიამაყე და გულისტკივილი გადაჯაჭვულია: სიამაყეს დიდი და წმიდა მეფის ხატება ინვეეს – მეფისა, რომელმაც აღაშენა და დაამშვენა მთელი საქართველო და მათ შორის სვანეთიც; გულისტკენა კი სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან ქვეყნის პერიფერიული ნაწილების მიმართ გამოვლენილი უყურადღებობითაა განპირობებული.

თამარ მეფის ხსოვნასთან დაკავშირებით იკვეთება სხვა საყურადღებო ნიუანსიც: „თამარ დედოფალს ქვეყნის შიგნით არასოდეს უომია, იგი მხოლოდ გარეშე მტერს, ურჯულოებს („ურჯვილ“) ებრძოდაო“ (ვირსალაძე 1953: 384).

დღეს, როდესაც სადღესასწაულო თუ ყოფით თავყრილობებზე კვლავაც გაისმის თამარ მეფისადმი მიძღვნილი საგალობლები, როდესაც სრულდება ომახიანი ფერხულები, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის ოდინდელ დიდებას ასხამენ ხოტბას, მსმენელს ერთგვარი სევდაც ეუფლება. ისეთი სევდა, რომელზეც ვაჟა-ფშაველა წერდა – „მივარდნილი კუნჭულებიდან მოისმის სიმღერა ძველებუ-

რი, მკვნესარი, სიმღერა გულს სწვდება და ნალველს ალვიძებს“ (ვაჟა-ფშაველა 1987: 150).

XIX საუკუნეში მთამსვლელმა და მოგზაურმა დუგლას ფრემფილდმა თარჯიმნის დაუხმარებლად ამოიცნო სვანური ფერხულის „თამარ დედფლ“-ის შინაარსი: „სვანები გრძელ ბალადებს მღეროდნენ და თან მისამღერზე წრეში ცეკვავდნენ. სწორედ ამ ბალადებში დამარხულა სვანეთის დაკარგული ისტორია... ბალადებს გუნდი დიდი ძალითა და ემოციით მღეროდა. ჩვენ თამარ მეფის ქება-დიდების გარეშე არ დაგვიმთავრებია, რაც ისევე აუცილებელი წესია სვანეთში, როგორც ჰიმნი „ღმერთო, დაიფარე დედოფალი“ – ბრიტანეთის სამფლობელოებში (Freshfield 1896: 253).

რასაკვირველია, სვანეთში შემონახული ისტორიული მეხსიერების ზოგიერთი ფაქტი გავრცელებულია საქართველოს სხვა მხარეებშიც, თუმცა სვანურ მასალაში მნიშვნელოვანი ადგილობრივი, ლოკალური ინფორმაციაც არის ასახული.

წმიდა თამარ მეფის ხატება სვანეთის ტრადიციული ყოფის ის უმთავრესი მოტივია, რაც ქართველ მთიელს ეროვნული სიამაყისა და ისტორიის შექმნაში თანამონაწილეობის განცდას უჩენს. ისტორიის რეპრეზენტაცია ასაზრდოებს ეთნოსის შიგნით ეროვნული ისტორიის მუდმივად განახლების იმპულსებს.

ლიტერატურა:

- აირივანეცი 1991** – მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ძველსომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბილისი, 1991;
- ალასანია 2004** – გიული ალასანია, გაერთიანებული ქართული სამეფოს სათავეებთან, ანალები, 2, თბილისი, 2004;
- ბარნაველი 1953** – სარა ბარნაველი, ქართული დროშები, თბილისი, 1953;
- გაბლიანი 1925** – ეგნატე გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილისი, 1925;
- გასვიანი 1973** – გერონტი გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი, 1973;
- გასვიანი 1991** – გერონტი გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბილისი, 1991;
- გუჯეჯიანი 2005** – როზეტა გუჯეჯიანი, ელიაობა სვანეთში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, IX, თბილისი, 2005;
- ელიადე 2009** – მირჩა ელიადე, მითის ასპექტები, თბილისი, 2009;
- ვაჟა-ფშაველა 1987** – ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, თხზულებანი, თბილისი, 1987;
- ვირსალაძე 1953** – ელენე ვირსალაძე, ზემო სვანეთში ფოლკლორული მივლინების მოკლე ანგარიში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. VIII, თბილისი, 1953;
- თაყაიშვილი 1991** – ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, ტ. II, თბილისი, 1991;
- ლორთქიფანიძე 1989** – მარიამ ლორთქიფანიძე, რა არის „ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1989;
- ლორთქიფანიძე 1966** – მარიამ ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1966;
- მუსხელიშვილი 1980** – დავით მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980;

- ნიჟარაძე 1973** – ბესარიონ ნიჟარაძე, თამარ დედოფლის ხსოვნა თავისუფალ სვანეთში, კრებ. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბილისი, 1973;
- სექ 1978** – სვანური ენის ქრესტომათია, თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 21, თბილისი, 1978;
- სვანური პოეზია 1939** – სვანური პოეზია, ტფილისი, 1939;
- სპტ 1957** – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, თბილისი, 1957;
- სიხარულიძე 1961** – ქეთევან სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, თბილისი, 1961;
- ქართლის ცხოვრება 1959** – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959;
- ყენია 2002** – მარინე ყენია, სამეფო პორტრეტი ენაშის ანის ეკლესიის მოხატულობაში, საქართველოს სიძველენი, 2, თბილისი, 2002;
- Aby Warburg**, Mnemosyne: Meanderings Through Aby Warburg's Atlas - <https://warburg.library.cornell.edu/>
- Blok 1973** - M. Blok, The Royal Touch, English trans. London, 1973;
- Freshfield 1896** - D. Freshfield, The Exploration of the Caucasus by Douglas W. Freshfield V. I. London and New-York, 1896;
- HALBWACHS 1992** - MAURICE HALBWACHS, ON COLLECTIVE MEMORY, Edited, Translated, and with an Introduction by LEWIS A. COSER. THE UNIVERSITY OF CHICAGO PRESS. Chicago and London, 1992;
- Ассман 2004** - Ассман Я. Культурная память. Письмо, память о прошлом и политическая идентичность в высоких культурах древности, Язык и славянской культуры, М.: 2004;
- Бакрадзе 1864** - Бакрадзе Д., Сванетия, ЗКОИРГО, кн., V, Тифл., 1864;
- ЛеГофф 2001** - ЛеГофф Ж., Средневековый мирвоображаемого: Пер. с фр. / Общ. ред. С.К. Цатуровой. — М.: Изд. группа «Прогресс», 2001;
- ЛеГофф 1992** - ЛеГофф Ж., Цивилизация средневекового Запада, М. Издательская группа «Прогресс» «Прогресс-академия» 1992;
- Стоянов 1876** - Стоянов А. Я., Путешествие по Сванетии, ЗКОИРГО, кн. X, вып. 2, Тифлис, 1876;
- Хаханов 1895** - Хаханов А., Очерки по истории Грузинской словесности, вып., I, Москва, 1895;
- Элиаде 1987** - Элиаде М., Космос и история, Москва, 1987.

ძველი ქართული მთარგმნელობითი კორპუსის კონცეფციისათვის

(წინაათონური პერიოდის მთარგმნელობითი ციფრული დოკუმენტაციისა და
კვლევის პრობლემატიკა)

შესავალი

სტატიაში განხილულია პრობლემები, რომლებიც ძველი ქართული ლიტერატურის, კონკრეტულად კი V-X საუკუნეების წინაათონური პერიოდის, ქართული მთარგმნელობითი ძეგლების კორპუსული¹ დოკუმენტაცია-ანოტირებისა და კონცეპტუალიზაციისას იჩენს თავს. ნაჩვენებია ის გზები, რომელთა მეშვეობით ამ პრობლემების გადაწყვეტა მიგვაჩნია შესაძლებლად.

სტატიაში საგანგებოდ შევჩერდები რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე:

ა) ძველი ქართული ენობრივი მემკვიდრეობის კორპუსული დოკუმენტაციის სტანდარტები;

ბ) ძველი ქართული ნათარგმნი ლიტერატურის კვლევის არსებული თეორიული და ფუნქციური ჩარჩოს გაფართოება;

გ) V-X საუკუნეების წინაათონური პერიოდის ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის სრული ტექსტური ბაზების (დღემდე ცნობილი ყველა ხელნაწერი, გამოცემები) მომზადება.

1. წინაათონური პერიოდის ქართული მთარგმნელობითი კორპუსის ზოგადი აღწერა და სტანდარტები

აღნიშნული კორპუსი ერთ-ერთი ქვეკორპუსის სახით შესულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეგაპროექტში *ქართული ენის კორპუსი* (<http://corpora.iliauni.edu.ge/>). იგი შეიცავს 180 მილიონ ერთეულს და შედგება ორი ძირითადი ქვეკორპუსისგან: ბილინგვურისა და მონოლინგვურისგან, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა თემატურ-ქრონოლოგიურ ბლოკებად.

ბილინგვურ კორპუსში წარმოდგენილია ქართულიდან უცხო ენებზე ნათარგმნი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამ ეტაპზე სრულად არის დოკუმენტირებული „ვეფხისტყაოსნისა“ (ქართულ-ინგლისური)² და „ქართლის ცხოვრე-

1 ენის კორპუსის, როგორც ლინგვისტური ანალიზისთვის განსაზღვრული პარამეტრებითა და პრინციპებით ერთმანეთთან დაკავშირებული ტექსტების კრებულის, მისი შედგენის პრინციპების, მრავალფეროვანი დიზაინისა და ტექსტოლოგიის საკითხთა შესახებ მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს; ქართული ენის კორპუსის შემთხვევაში გამოყენებული ძირითადი ორიენტირების შესახებ იხ. Francis 1992:17-32.


2 „ვეფხისტყაოსნის“ პარალელური კორპუსის მომზადებისას პირველად იქნა შესწავლილი და დოკუმენტირებული პოემის ტექსტის შემცველი 10 ისეთი ხელნაწერი, რომლებიც დღემდე აღწერილი, შესაბამისად, გამოყენებული არ ყოფილა აქამდე გამოცემებში. პარალელურ კორპუსში სპეციალური პროგრამული რესურსის, კორპუსერის (მომზადდა მ. ზაკალაშვილის მიერ), დაბალანსებულია პოემის ყველა

ბის“ (ქართულ-სომხური)¹ პარალელური კორპუსები; 2017 წელს დასრულდება მუშაობა „შუშანიკის ნამების“ პარალელურ (ქართულ-სომხურ) კორპუსზე.

მონოლინგუური კორპუსი მოიცავს შემდეგ ქვეკორპუსებს:

ა. ახალი და უახლესი ქართული ენა,²

ბ. ძველი და საშუალო ქართული ენა³ (იხ. სურათი 1).



ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ქვეპროექტია **წინათონური პერიოდის ქართული მთარგმნელობითი კორპუსი**. ამ ეტაპზე მასში თანამედროვე ციფრულ-

ქართულენოვანი გამოცემის, ხელნაწერებისა და ინგლისურენოვანი თარგმანების ტექსტები. ამ უკანასკნელში შეტანილია მარჯვნივ უორდროპის, სტივენსონისა და ნათელა ურუშაძისეული თარგმანები, სულ ხუთი გამოცემა. კორპუსში ძიება შესაძლებელია როგორც ცალკეული გამოცემების, ხელნაწერებისა და ინგლისური თარგმანების, ასევე ყველა არსებული ტექსტური რესურსის მიხედვით (იხ. <http://corpora.iliauni.edu.ge/?q=ka/node/11>). კორპუსი შეიცავს ვიზუალური მემკვიდრეობის ბლოკს, რომელშიც წარმოდგენილია ტექსტის შემცველ ხელნაწერებში შემორჩენილი მინიატურები, ხელნაწერთა ყდის ფოტოები, ასევე თითო გვერდის ფოტო ყოველი ხელნაწერიდან. პროექტის ვრცელი აღწერა იხ. Doborjginidze, Lobzhanidze 2015: 62-77.

- 1 „ქართლის ცხოვრების“ პარალელურ კორპუსში შესულია როგორც ნაბეჭდი, ასევე ხელნაწერი ტექსტები, რომელთა დიდი ნაწილი (45 ხელნაწერი) დღემდე არც ერთ გამოცემაში არ ყოფილა გათვალისწინებული, მეტიც, აღწერილიც კი. კორპუსში წარმოდგენილია „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი და ამ უკანასკნელის ილია აბულაძისეული ახალი ქართული თარგმანი. მომავალში პარალელურ ბლოკს შეემატება რობერტ ტომსონისეული ინგლისური თარგმანიც. ვიზუალური მემკვიდრეობის ბლოკში წარმოდგენილია ხელნაწერთა ფოტოები. კორპუსის ვრცელი აღწერილობა იხ. დობორჯგინიძე, ლობჯანიძე 2015:367-379;
- 2 ახალი და თანამედროვე ენის კორპუსში ამ ეტაპზე XIX-XXI საუკუნეების 3160 ტექსტია კორპუსული მეთოდოლოგიის მიხედვით დოკუმენტირებული. 2012-2014 წლებში ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში ირ. ლობჯანიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა და ქართული ენის კორპუსში ინტეგრირებულ იქნა თანამედროვე ქართული ენის ანალიზატორი.
- 3 ამ ეტაპზე ძველი და საშუალო ქართული ენის კორპუსი წარმოდგენილია ორი ქვეპროექტით: წინათონური პერიოდის ქართული მთარგმნელობითი კორპუსი, ათონური პერიოდის ქართული მთარგმნელობითი კორპუსი.

ლი გამოცემის სტანდარტის შესაბამისად დოკუმენტირებულია ათონამდელი პერიოდის მთარგმნელობითი ლიტერატურის დღემდე ცნობილი ყველა ძეგლის ტექსტური რესურსი¹. წინათონური თარგმანების დიპლომატიურ და აკადემიურ გამოცემებთან ერთად კორპუსში შესულია ამ პერიოდში ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანების დღემდე შემორჩენილი ყველა ხელნაწერი; მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება. მათ შორისაა ისეთი ძეგლები, ან ცალკეულ ძეგლთა დღემდე შეუსწავლელი ხელნაწერები, რომლებიც ტექსტის სრულიად განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს და აქამდელ გამოცემებში არ ყოფილა გათვალისწინებული (იხ. კორპუსის ტექსტების მეტაანოტაციები).

ქართული სალიტერატურო ტრადიციის პირველი პერიოდის ეს უძველესი ნათარგმნი ძეგლები კორპუსში წარმოდგენილია შემდეგ ქვებლოკებად:

ბერძნულიდან ქართულად ნათარგმნი ძეგლები (ქრისტოიანული)

არაბულიდან ქართულად ნათარგმნი ძეგლები

სირიულიდან ქართულად ნათარგმნი ძეგლები

სომხურიდან ქართულად ნათარგმნი ძეგლები (იხ. სურათი 2)



არსებული ტექსტური მემკვიდრეობის სრულად დოკუმენტირების ასეთი სტანდარტი იძლევა საშუალებას, ვიკვლიოთ როგორც (სათარგმნი) უცხო ენებისა და კულტურების (ბერძნული, სირიული, ქრისტოიანული არაბული, სომხური) კვალი ქართულში მიმდინარე სალიტერატურო პროცესებზე, ასევე დავაკვირდეთ ორიგინალური ქართული ძეგლების ენასა და სტილს.

კორპუსის შედგენისას გათვალისწინებულია მანქანურად წაკითხვადი ტექსტის ძირითადი სტანდარტები, როგორცაა: ბუნებრივი ენის დამუშავების ISO სტანდარტი წერილობითი ტექსტის სიტყვებად სეგმენტირების შესახებ (ISO 24614), მორფოსინტაქსური ანოტირება (MAF) (ISO 24611, 246121 და 24615) თვისებების სტრუქტურების შესახებ (ISO 24610), ლექსიკური დონის მონიშვნა

1 წინათონური ძეგლების სრული ტექსტური რესურსის ბიბლიოგრაფია შეადგინა პროექტის კოორდინატორმა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულმა მკვლევარმა თამარ პატარიძემ. ტექსტების კორპუსულ დოკუმენტირებასა და მონაცემთა ბაზის შექმნაზე მუშაობდნენ პროგრამისტი გიორგი მირიანაშვილი, ასისტენტ-მკვლევრები: ცირა ხახვიანაშვილი, ნატო ბილანიშვილი, შალვა თუმანიშვილი, ნინო დათაშვილი. პროექტის ხელმძღვანელია ნინო დობორჯგინიძე.

(LMF) (ISO 24613); დამატებითი სტანდარტები, როგორცაა: მონაცემების კატეგორიების რეგისტრი (ISO 12620), ენობრივი კოდები (ISO 639 ან IETF BCP-47), სკრიპტ-კოდები (ISO 15924),

ქვეყნის კოდები (ISO 3166), თარიღი და დრო (ISO 8601) და უნიკოდი (ISO 10646) [ISO-TC37] და TEI XML P5 რეკომენდაციები.

კორპუსში განთავსებულ ტექსტებს – როგორც ხელნაწერს, ისე ბეჭდურს – თან ახლავს მეტამონაცემები,¹ რომლებიც მოიცავს შემდეგ ძირითად ინფორმაციას:

პროექტის აღწერა: დამფინანსებელი ორგანიზაცია, წამყვანი ორგანიზაცია, პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, პასუხისმგებელი პირის ფუნქცია, პასუხისმგებელი პირი, პასუხისმგებელი ორგანიზაცია, პროექტის სახელწოდება.

ფაილის აღწერა: ფაილის ავტორის გვარი, სახელი, ფაილის წყარო, ფაილის ენა, ფაილის ზომა (კბ), ფაილის შექმნის თარიღი, ფაილის შექმნის ადგილი, ინფორმაცია ფაილში შეტანილი ცვლილებების შესახებ და ა.შ.

ნაბეჭდი ტექსტის დახასიათება: ტექსტის სახელწოდება, ავტორის სახელი, გვარი, წყარო ენა, ტექსტის შექმნის თარიღი, ტექსტის შექმნის ადგილი, გამომცემელი, გამოცემის ადგილი, გამოცემის თარიღი, რედაქტორი, მთარგმნელი, ილუსტრატორი, ტომების/ნომრების რაოდენობა, გვერდების რაოდენობა, ტექსტის გვერდები, ISBN/ISSN, წვდომა, გამავრცელებელი, უფლებამოსილი ორგანიზაცია, შენიშვნები.

ხელნაწერის აღწერა: შენახვის ადგილი, საცავის სახელწოდება, საცავის ნომერი, კოლექციის სახელწოდება, დამატებითი საიდენტიფიკაციო კოდი, კატალოგის ნომერი, ხელნაწერის ავტორის, გადამწერის ან შემდგენლის გვარი, სახელი, ხელნაწერის სახელწოდება.

ხელნაწერის ენა და საწერი სისტემა: ხელნაწერის ენა და ანბანის ტიპი (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული, შერეული).

ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობა: ობიექტის ფორმა, მასალა, ქალაქი, ფურცლების რაოდენობა, ფურცლის ზომა, სიმაღლე, სიგანე, ხელნაწერის მდგომარეობა (ცვლილებების, დაზიანებების აღწერა), ხელნაწერის ფურცლების დანომრვის აღწერა (მაგ., რექტო, ვერსო, ფოლიო და ა.შ.), ფურცლების თანმიმდევრობის დახასიათება (მაგ. არეული თანმიმდევრობა და ა.შ.).

ხელნაწერის ფორმალური აღწერა: ხელის აღწერა, სკრიპტის აღწერა, მინიატურებისა და დეკორაციების აღწერა, მინაწერები.

ხელნაწერის ისტორია: ხელნაწერის შექმნის ადგილი, ხელნაწერის შექმნის თარიღი, ინფორმაცია ხელნაწერის შესახებ საცავში მოხვედრამდე (არსებობის შემთხვევაში), ინფორმაცია ხელნაწერის შექმნის ან ჩუქების შესახებ.

ამ ეტაპზე როგორც წინათონური, ისე, ზოგადად, ძველი და საშუალო ქართული ტექსტები არ არის მორფოლოგიურად ანოტირებული. ძველი ქართული ენის მორფოლოგიურ ანალიზატორზე ამჟამად მუშაობს მკვლევართა ჯგუფი ირინა ლობჟანიძის ხელმძღვანელობით.

კორპუსში განთავსებულ ტექსტებში შესაძლებელია როგორც მარტივი ძიება ერთი კონკრეტული ხელნაწერის, ან გამოცემის მიხედვით (იხ. სურათი 3),


¹ მეტამონაცემები, ანუ მონაცემები კორპუსში შეტანილი მონაცემების შესახებ (Bournard 2005: 30).

corpora.iliauni.edu.ge

კვალი პართალი მთარგმნელუბითი ბურბუნი (წინათურერი პერიოდი)

ჩანანერები გალმერა ბილინგვური კორპუსი

ძებრა



სტრ. 1-25, გვ. 62r

[...] **ც-ცისც ყს-ხსი სცსცქქ ჴრქღ**
ხსც [ცქ]ჩსცც: **ცა** თქ-ა ვიცან
 სახც თ-ქნი მოწურქი [ქლისა: წიუნისა თქ-ნი
 სა გ-ნ ვ-ა ივი ტნის კ-ცმ-ნ სახც მევგებრისა
 თვისისა შევილსა მისისა გ-ნი :-
ქ-რ-ლ ესე სოქუ კ-ლ ვერ შემძღებულ ხ-რ
 რ-ამცა სურვიელ იქმნა გ-ლი თ-ქნი ყოვე
 ად: ჩ-ნ თ-ნა უწინარქს უწევებადმე ჩე
 მდა: მიერ გზისა ამის საქმისა: რ-ლსა ესე
 ჩ-ნ შ-ა ვართ: სახც მინაზრებისა:-
ყ-ჩად იყო ესე: **შ შ მმ-ა**ი პატიოსანო: დას-ლი
 სა თ-ქნისა ტტებლისა: რ-ნ განაშორე და
 შეურაცხე მკაფე ყ-ივე რაიარს ნივთი' ა
 მის სოფლისა საშუებელსა შ-თ თვის მე
 რმისათა: **ქ-მ** შე-რ მრცხუნისა მიწურად თ-ქნ
 და: სახც ესე ჩ-ი ამას უღაბისა შ-ა დღც და ღაბეა:
 რ- დეუტევე ქლ-ქი: დაბატი ვი ჩ-ი მას შ-ნა
 ბორტისა თვის მიწესისა: ხ- ს-ლი ჩ-ი ჩუვე
 ლებისა გ-ნ ბორტისა ვერ შეუძულ და
 ტევება: ჴარნა ვეშგავიე კ-ცთა ნა

ხმუნანერები

მთარგმნელ-მწვლე პართალი

Jer. 44. თმშ-ლი ნი-სა თა ნბრ-ისა მბი-სა ჩ-ნისა ი-ი იმბროპირის-ი პრესობილუს-ი მძსუთა გ-თ ღმთ-ა თ-ს სფ-ლის ღმ-ბინთა. [↗](#)

პარაბალ-მწვლე პართალი

Sim. 36. აბას ნიგნსა მსოფლიის საბოთხი რ-ლსა შ-ნა ნერილ არიან საბოთხი თა გ-ნგაბი რ-თა გ-მისა თა ქ-სა მწ-რთა ღმთაიანი რ-ი აუწყისა ყ-ლთა სათრეობათა სარგაბელ-თ კაბთა თა ბორთობთ მომგებლათ-სა რ-ლთა არა მნილთა ღ-თისა აღწერა ანგა ი-ნი მთმლ-რ-გ-ს სოფრთხი ი-მლ [↗](#)

A. 249. ნიგნი რ-ლი. თანერა. იოსებ. არიანთილ-მ-მ. მონაგმ-მ ი-ისა ჩ-ნისა: ი-მ-მ-მ-მ-მ-მ. დათხრო-ბამ. აღმნიგნისათმს. ეკლესიისა. რ-ლ. იბი. არს. ლულს. შინა. ქ-ლ-სა. ნივთისა. მსოფლიისა. ჩ-ნისა გ-რ-მ. ლტრთის. მსოფლიისა. [↗](#)

Q. 843. მ. თვისა მარტსა მთმისა ღმლსა, ნაბაბა ნივთისა მთაღმლის რთმული იყო ლავრასა ღმლსა ნივთისა მათისა ჩაწინსა საბაბსა, ან. [↗](#)

A. 249. მსოფლიისა მწვლე პართალი

Atk. 9. ქ აბას ნიგნსა საბოთხი მსოფლიის რ-ლსა შინა ნერილ არიან საბოთხი თა გ-ნგაბი რ-თა გ-მისა თა ქ-სა მწ-რთა ღმთაიანი რ-ი აუწყისა ყ-ლთა სათრეობათა სარგაბელ-თ კაბთა თა ბორთობთ მომგებლათ-სა რ-ლთა არა მნილთა ღ-თისა [↗](#)

Atk. 8. თ-ა. მრ-ტისა ქ-მ-მ-მ-მ-მ-მ. მრ-ლ-ისი. რ-ი. იყო: ლავრასა. ღმლსა. ნივთისა. მათისა. ჩ-ნისა. საბაბსა. ან-ნა. [↗](#)

A. 95. რამ თ-ა აბაბსისა ი ნაბაბე რ-ლისა მწ-რთა ღმლსა ი-ი იმბროპირის-ი იმბროპირისა მრ-ტისა გ-ნა. აბას. ბალაბისა [↗](#)

corpora.iliauni.edu.ge

კვალი პართალი მთარგმნელუბითი ბურბუნი (წინათურერი პერიოდი)

ჩანანერები გალმერა ბილინგვური კორპუსი

ძებრა



მკარული

83. 223r

ც-ც: მრ-ისც ბ- ჴმ-ყღ:
ც-ცისც: მქ
ქ-ხსს: რ-ლ: ჴყღ: ხსჩ-ისც:
ციც: ცმძისც: მცმისც:
ჩ-ჩქ
სც: სცყცისც: : ცს-ჩ: :
ხ-ხ სქოქსაყმე ნმე ყსლთო
მიწოთ სყე თმბითო:
ხეღ სეჩქმთოქო: მც სცს
ოქათოც მყოქოქო
ო-მ ბიოც ყსიყცს: ვე
ჩო-ბოთ თიფჩინს: ჴაქღ
მს ხეიმთა თიფჩინს:
ასისა აბიჩ აქეოქინს:
ნვიოსც ჩიჩყაქისა:
სეოქფჩინს: ი-თის
მყაყოსცს:
მძს ნვიოსც იყაქჩ ჩქ
ჩიჩოქო ყოქოსც: მძისც
ჩ-ჩისც. სეყსისც: ქ-ბ-ისც
ბიბაფოქოსცს: ვაქჩ
თი თინე ნვიოქათობ
ს: მც ხიჩყაქისა თინე
ქ-თისც მც ყიწიოქ სე
იყაქჩ ყიოქობისც თე
ქობისც ქ-ბ-ისც ბიბ

ხმუნანერები

მთარგმნელ-მწვლე პართალი

Jer. 44. თმშ-ლი ნი-სა თა ნბრ-ისა მბი-სა ჩ-ნისა ი-ი იმბროპირის-ი პრესობილუს-ი მძსუთა გ-თ ღმთ-ა თ-ს სფ-ლის ღმ-ბინთა. [↗](#)

პარაბალ-მწვლე პართალი

Sim. 36. აბას ნიგნსა მსოფლიის საბოთხი რ-ლსა შ-ნა ნერილ არიან საბოთხი თა გ-ნგაბი რ-თა გ-მისა თა ქ-სა მწ-რთა ღმთაიანი რ-ი აუწყისა ყ-ლთა სათრეობათა სარგაბელ-თ კაბთა თა ბორთობთ მომგებლათ-სა რ-ლთა არა მნილთა ღ-თისა აღწერა ანგა ი-ნი მთმლ-რ-გ-ს სოფრთხი ი-მლ [↗](#)

A. 249. ნიგნი რ-ლი. თანერა. იოსებ. არიანთილ-მ-მ. მონაგმ-მ ი-ისა ჩ-ნისა: ი-მ-მ-მ-მ-მ-მ. დათხრო-ბამ. აღმნიგნისათმს. ეკლესიისა. რ-ლ. იბი. არს. ლულს. შინა. ქ-ლ-სა. ნივთისა. მსოფლიისა. ჩ-ნისა გ-რ-მ. ლტრთის. მსოფლიისა. [↗](#)

Q. 843. მ. თვისა მარტსა მთმისა ღმლსა, ნაბაბა ნივთისა მთაღმლის რთმული იყო ლავრასა ღმლსა ნივთისა მათისა ჩაწინსა საბაბსა, ან. [↗](#)

A. 249. მსოფლიისა მწვლე პართალი

Atk. 8. თ-ა. მრ-ტისა ქ-მ-მ-მ-მ-მ-მ. მრ-ლ-ისი. რ-ი. იყო: ლავრასა. ღმლსა. ნივთისა. მათისა. ჩ-ნისა. საბაბსა. ან-ნა. [↗](#)

A. 95. რამ თ-ა აბაბსისა ი ნაბაბე რ-ლისა მწ-რთა ღმლსა ი-ი იმბროპირის-ი იმბროპირისა მრ-ტისა გ-ნა. აბას. ბალაბისა [↗](#)

ციის ამოღებაზე, მიუხედავად იმისა, რომელი ანბანიტაა შესრულებული ხელნაწერი, ან რომელ ანბანს იყენებს მომხმარებელი.

2. წინათონური მთარგმნელობითი კორპუსის შედგენის კონცეპტუალური პრინციპები

როგორც ზემოთ ვთქვი, უძველეს ხელნაწერთა დოკუმენტირების კორპუსული სტანდარტი, გარეანოტირებითა და მორფოლოგიური ანოტირებით გადასინჯვის შესაბამისად, ძიების მოქნილი სისტემით, იძლევა ამ ძეგლების ახალი თვალთახედვით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ინტერდისციპლინური კვლევის საშუალებას. ქვემოთ საგანგებოდ შევეხები ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის კვლევის ერთ-ერთ პერსპექტივას, უფრო ზუსტად, კვლევის ფუნქციური ჩარჩოს გაფართოებას.

გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ენების ისტორიას, მათი განვითარების ძირითად კანონზომიერებებს სამართლიანად აკავშირებენ, მეტიც, აიგივებენ მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიასთან¹. ეს კონცეპტუალური მიდგომა სავსებით შეესაბამება ქართული ენის ისტორიული განვითარების პრინციპებს, უმდიდრეს მთარგმნელობით ტრადიციას, რომლის კომპენდიუმია კორნელი კეკელიძის უმნიშვნელოვანესი წიგნი: *უცხოელი ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში* (ექიუდები, ტ. V). მასში ძველი ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურა კონცეპტუალიზებულია, როგორც უცხოური სალიტერატურო მემკვიდრეობის (ბერძნული, არაბული, სირიული, სომხური) **მეტად ღირებული საცავი**, რომლის გარეშე შეუძლებელია ამ უცხოენოვანი ტექსტების კვლევა.

კორნელი კეკელიძის ეს ამოსავალი დებულება, რა თქმა უნდა, ასევე გულისხმობს ამ ტრადიციის შესწავლას, გააზრებას სხვა, საკუთრივ ქართულში მიმდინარე სალიტერატურო პროცესების არანაკლებ მნიშვნელოვანი პერსპექტივებიდანაც. პირველ ყოვლისა, იგულისხმება ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის, როგორც ქართულ ენაში მიმდინარე უაღრესად საინტერესო **სალიტერატურო პროცესების**, შესწავლა და დოკუმენტირება, შესაბამისად, მისი კონცეპტუალიზება და კვლევა; ეს უკანასკნელი ძველი ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა უცხოელი ავტორების ქართულად არსებული რედაქციების შესწავლასა და ტექსტის ზოგადი ისტორიის მათი მნიშვნელობის წარმოჩენასთან ერთად. თანამედროვე საძიებო და საანოტაციო სტანდარტების მიხედვით დოკუმენტირებული კორპუსი, პირველ ყოვლისა, ძველი ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ამგვარად გააზრების საშუალებას იძლევა.

ცნობილია, რომ წინათონური პერიოდი ქვეყნის სამეზობლო-სტრატეგიულ ურთიერთობათა, შესაბამისად, კულტურულ-რელიგიურ, განსაკუთრებით მთარგმნელობითი პროცესების, თვალსაზრისი მეტად ჭრელია. დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ირანისა და ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენებს შორის მერყევი ქართლის სალიტერატურო-მთარგმნელობითი ორიენტაცია ერთმნიშვნე-

1 Keipert 1981: 67.

ლოვნად ქრისტიანულია და, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არჩევანი, პირველ ყოვლისა, გამოხატულია გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელი ენობრივი მრავალფეროვნების აღიარებით, ამ ენათა სამწერლობო-სალიტერატურო პროცესების, ტენდენციების გადმოღებით, თარგმნით და მთარგმნელობითი საქმიანობის პარალელურად, ორიგინალური სამწერლობო ტრადიციების განვითარებით.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ აღმოსავლეთში სირიულის მაგალითით თუ გავლენით დამკვიდრებული ეს უნიკალური მოდელი¹ იქცა ადგილობრივ ენათა სტილურ-გამომხატველობით საშუალებათა დახვეწის, გამდიდრებისა და საბოლოოდ მათი ენობრივი დამოუკიდებლობის, ბერძნულთან ფუნქციური და თვისობრივი გატოლების, მასტიმულირებელ ფაქტორად.²

ამ თვალსაზრისით წინათონური პერიოდი მეტად მნიშვნელოვანი და რთული ეტაპია; ეპოქა, როცა ბიბლიური და ზოგადად, ნებისმიერი ხასიათის ტექსტების თარგმნა, განმარტება ან გამოსაცემად მომზადება ჯერ შემთხვევით დაკვირვებასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული საქმიანობა იყო,³ ამ პერიოდის ბოლოს კი დაიწყო მისი სისტემატიზაციის, სისტემატიკის კანონებით რეგულირებულ ფილოლოგიურ დისციპლინად ჩამოყალიბების პროცესი.⁴

წინათონური პერიოდი უნიკალურია სათარგმნი ენების მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. ქართველები ინტენსიურად თარგმნიდნენ მაშინდელი კულტურული მსოფლიოს ოთხი უმნიშვნელოვანესი ტრადიციის ძეგლებს: ბერძნულს (ქრისტიანული), არაბულს, სირიულს და სომხურს.

ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ნორმირებული ქართული სამწერლობო-სალიტერატურო ენისა თუ თავად ლიტერატურის ჩამოყალიბების, ქართულზე უცხო ენათა და კულტურათა გავლენის, ზემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ამ მრავალფეროვანი ენობრივი მემკვიდრეობის ელექტრონული დოკუმენტირება, რათა შესაძლებელი იყოს კვლევითი მიზნებისთვის, ერთი მხრივ, ცალ-ცალკე თითოეული სათარგმნი ენიდან გად-

1 აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს ადგილობრივი ხალხური ენების, მათ შორის ქართულის, განვითარების ტენდენციათა შესახებ ბოედერი 1998:61-68;

2 დობორჯგინიძე 2009:13-29;

3 შდრ. „როდესაც ჩვენ წმინდა წერილის პირველი თარგმანის მეთოდზე ვლაპარაკობთ, სრულიადაც არ იგულისხმება, რომ მთარგმნელს ჰქონდა გარკვეულ პრინციპებზე დაფუძნებული თარგმანის მეთოდი. ჩვენ მხოლოდ იმ პრინციპებზე ვლაპარაკობთ, რომელთაც თავადვე გამოვყოფთ ტექსტში. თარგმანის I ეტაპზე მთარგმნელის ამოცანა ცხადი და მარტივი იყო: ზუსტად ეთარგმნა ღვთის სიტყვა. რაში უნდა გამოხატულიყო ეს სიზუსტე და რა ხარისხისა უნდა ყოფილიყო იგი, ეს საგანგებო თეორიული განსჯის საგანი, ალბათ, არც ყოფილა. მთარგმნელები ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის ინტუიციურად ირჩევდნენ თარგმანის პრინციპს. ამგვარი ხასიათის გამო პირველ თარგმანებს შეიძლება სპონტანური ან ინტუიციური ვუნოდოთ [...]. შემდგომში, როცა ინტუიციური ჭვრეტა ანალიტიკურმა აზროვნებამ შეცვალა და ბიბლიის ტექსტი პოლემიკის იარაღი გახდა, თარგმანის დედანთან სიახლოვე უკვე ისეთ პრინციპად იქცა, რომელიც კონკრეტულ დეტალებში გამოიხატა“ (ხარანაული 2005:36);

4 იხ. დობორჯგინიძე 2012:164-182.

მოღებულ მასალის ანალიზი, მეორე მხრივ, დიაქრონულ ძრილში ერთ კონკრეტულ პერიოდში სხვადასხვა ენიდან ქართულში შემოსული ენობრივ-გამომხატველობითი საშუალებების შედარებითი შესწავლა. სწორედ ამგვარად შექმნილი ენობრივი კორპუსი გაგვიადვილებს, ვიკვლიოთ ქართულისა და მისი მასაზრდოებელი ენობრივ-კულტურული სამყაროს ურთიერთკავშირი, მათი გავრცელებისა თუ გავლენის სფეროები.

ლიტერატურა

- Boeder 1998** – Boeder, W., Sprache und Identität in der Geschichte der Georgier, *იხ. B. Schrade - Th. Ahbe (edd.), Georgien im Spiegel seiner Kultur und Geschichte. Zweites Deutsch-Georgisches Symposium: Vortragstexte, Berlin, 1998;*
- Bournaud 2005** – Bournaud, L., :Metadata for Corpus Work”, *იხ. Developing Linguistic Corpora: A Guide to Good Practice, M. Wynne, Oxford: Oxford Books, 2005;*
- დობორჯგინიძე 2009** – ნინო დობორჯგინიძე, ქართული ენის ფუნქციური და თვისობრივი ლეგიტიმაციის საკითხები შუა საუკუნეებში, *იხ. წახნაგი ფილოლოგიურ კვლევათა წელიწადი (1), თბილისი, 2009;*
- Doborjginidze, Lobzhanidze 2015** – Nino Doborjginidze, Irina Lobzhanidze, Corpus of the Man in the Panther Skin, Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies, 25 (Index Copernicus), University of Warsaw, Centre for East European Studies Faculty of Oriental Studies, 2015;
- Francis 1992** – Francis, W. N., `Language corpora BC“ Directions in corpus linguistics. J. Svartvik, Berlin: Mouton de Gruyter, 1992;
- Keipert 1981** – Keipert, H., Russische Sprachgeschichte als Übersetzungsgeschichte, *იხ. Wolfgang Girke, Slavische Linguistik 198. Referate des VII Konstanzer Slavistischen Arbeitstreffens, Mainz 30.9-2.10. 1981, გვ.67-112 (= Slavische Beiträge 160), München, 1981;*
- ხარანაული 2005** – ანა ხარანაული, ძველი ალექსის ხანმეტი ფრაგმენტები და ქართული ბიბლიის ტექსტის ისტორიის საკითხები. დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2005.

რუსუდან ზეკალაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ზმნების ვალენტობის ლექსიკონის შესახებ

მე-20 საუკუნის ბოლოს ევროპაში ძალიან აქტუალური გახდა სხვადასხვა მეტყველების ნაწილის – არსებითი და ზედსართავი სახელების, სახელზმნების, ზმნების, ზმნიზედების – ვალენტობის შესწავლა. ვალენტობის თეორიის საფუძველზე ენობრივი მოვლენების კვლევა ახალ პერსპექტივებს ავლენს ენათმეცნიერებაში და დიდ დახმარებას უწევს ლექსიკოგრაფიასაც. ვალენტობისა და დისტრიბუციის ლექსიკონები ლექსიკურ ერთეულებს აღწერს როგორც სემანტიკური, ისე მორფოლოგიურ-სინტაქსური თვალსაზრისით და იშველიებს ინდექსაციას.

ვფიქრობთ, ამ ტიპის ლექსიკონის შექმნა საჭიროა ქართული ზმნებისთვისაც, მით უმეტეს, რომ ანალოგიური ლექსიკონები სხვა ენებში კარგა ხანია არსებობს. მათი უმრავლესობა გამიზნულია უცხოენოვანი შემსწავლელების-

თვის ზმნების გამოყენების გასაადვილებლად. ამას გარდა, ვალენტობის ლექსიკონი მოამზადებს ბაზას უნივერსალური ელექტრონული ლექსიკონისთვის, რომლისთვისაც საყრდენი იქნება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, „ქართული ზმნური ფუძეების ლექსიკონი“ (გოგოლაშვილი და სხვ. 1989), კიტა ჩხენკელის „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (ჩხენკელი 1965-1974) და „ქართულ ზმნათა ლექსიკონი“ (ფენრიხი და სხვ. 2013)¹. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებული ზმნათა კლასიფიკაცია. დიდ დახმარებას გაგვიწევს უცხოელ ლინგვისტთა გამოცდილება, განსაკუთრებით – **ჰელბიგის** ვალენტობის თეორია, რომელიც იქცა გერმანული ენის ზმნათა ვალენტობისა და დისტრიბუციის ლექსიკონის თეორიულ საფუძვლად².

ყველა ეს მასალა საშუალებას გვაძლევს, რომ ჩამოვაცალიბოთ ვალენტობის ლექსიკონის შედგენის პრინციპები.

უპირველეს ყოვლისა, დავაზუსტოთ ამოსავალი ცნებები.

ვალენტობა, როგორც ზმნის უნარი, დაიკავშიროს აქტანტთა გარკვეული რაოდენობა, ლინგვისტიკაში შემოიტანა ფრანგმა ენათმეცნიერმა **ლუსიენ ტენიერმა** (ტენიერი 1988), რომელმაც გამოყო **ავალენტური** (ე. წ. იმპერსონალური), **ერთ-, ორ-** და **სამვალენტური** ზმნები და ვალენტობის ცვლილების საშუალებებში დაასახელა გვარი, უკუქცევითობა, კაუზატიური კონსტრუქცია და სხვ. (იხ. ლელ 1990:79-80). 1948 წელს **ს. კაცნელსონმა** ვალენტობის ცნება გამოიყენა ყველა მეტყველების ნაწილის მიმართ (იხ. კაცნელსონი 1948).

თანამედროვე ლინგვისტიკაში კიდევ უფრო გაფართოვდა ვალენტობის ცნება, გამოიყო არა მარტო **სინტაქსური** ვალენტობა, არამედ **სემანტიკური, ლექსიკური** და **მორფოლოგიური**.

ზმნის ვალენტობის შესახებ **თ. გამყრელიძე** წერს: „წინადადების ბირთვის ცენტრალურ სინტაქსურ ელემენტად... გვევლინება ზმნა-შემასმენელი, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით შეეწყობა სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი ოდენობები – სახელები ან ნაცვალსახელები... ზმნური ფორმის „სინტაქსური ვალენტობა“ განისაზღვრება წინადადების ბირთვში თავისუფალ უჯრედთა რაოდენობით“ (გამყრელიძე 1979:118)³.

რაც შეეხება **დისტრიბუციას**, ის სტრუქტურული ენათმეცნიერების ტერმინია და აღნიშნავს ენობრივი ერთეულის (ელემენტის) ყველა პოზიციის ჯამს სხვა ელემენტებთან მიმართებაში. ამ დროს ადგენენ თითოეული ერთეულის შეხამებულობის უნარს სხვა მსგავს ერთეულებთან. თუკი **ვალენტობა** ენობრივი ერთეულის შეხამებულობის პოტენციური შესაძლებლობაა, **დისტრიბუცია** გულისხმობს მის კონკრეტულ რეალიზაციას.

ენობრივი დონეების მიხედვით ზმნას განიხილავენ სხვადასხვა თვალსაზრისით: **ადგილიანობის, ვალენტობისა** და **პირიანობის** მიხედვით. **ადგილია-**

- 1 აღსანიშნავია შ. ხოტივარი-იუნგერის, დ. მელიქიშვილისა და ლ. ვიტეკის „ქართულ ზმნათა ტაბულები“, რომელშიც დახასიათებულია 800 ქართული ზმნა დიათეზების მიხედვით (ხოტივარი-იუნგერი და სხვ. 2010);
- 2 გერმანულ ენაზე გამოცემულია ზმნების ვალენტობისა და დისტრიბუციის რამდენიმე ლექსიკონი: ჰელბიგისა და შენკელის (1968; 1971; 1975; 1980; 1983), ენგელისა და შუმახერის (1976; 1987), შუმახერის (1986), ბიანკოს – გერმანულ-იტალიური ზმნების ვალენტობის ლექსიკონი (1996); არსებობს ინგლისური ზმნების ვალენტობის ლექსიკონი (ჰერბსტი და სხვ. 2004) და სხვ.
- 3 თ. გამყრელიძის ნაშრომი პირველად დაიბეჭდა 1979 წელს გივი მაჭავარიანისადმი მიძღვნილ „საენათმეცნიერო კრებულში“.

ნობა პრედიკატს ახასიათებს **სემანტიკის** დონეზე ანუ ესაა „ზმნის სემანტიკით ნაგულისხმები მოქმედების განხორციელებისათვის ლოგიკურად აუცილებელი და საკმარისი სახელების რაოდენობა“ (ასათიანი 1994:7). შემასმენლის **ვალენტობა** გამოიყოფა **სინტაქსის** დონეზე და ნიშნავს „ზმნასთან ფორმალურ ურთიერთობაში მყოფი სახელების რაოდენობას“ (ასათიანი 1994:8). **მორფოლოგიის** დონეზე ზმნას ახასიათებს **პირიანობა** – ზმნურ ფორმაში მორფოლოგიურად ასახული (რეფერირებული) სახელების რაოდენობა¹.

ამდენად, ერთმანეთისაგან განსხვავდება ზმნის **ადგილიანობა** (ლოგიკურ-სემანტიკური ვალენტობა), **სინტაქსური ვალენტობა** და **მორფოლოგიური პირიანობა**. ამათგან **ადგილიანობა** უნივერსალურია ყველა ენისათვის, რადგან აღნიშნავს ზმნასთან დაკავშირებულ ერთეულებს, განპირობებულს ზმნის შინაარსით. **სიღრმისეულ სტრუქტურაში** ენათა შორის არა მოსალოდნელი სხვაობა, რომელიც თავს იჩენს **ზედაპირულ სტრუქტურაში** – ვალენტობასა და პირიანობაში.

მაგალითად: **აქებს** ზმნა **ორადგილიანია**, რადგან გულისხმობს იმას, ვინც აქებს და იმას, ვისაც ან რასაც აქებენ. **სინტაქსურად** ის **ორვალენტიანია**, რადგან მასთან დაკავშირებულია ორი სახელი: ბრუნვაცვალებადი სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი. **მორფოლოგიურად** მას შეიძლება ჰქონდეს ორი ან ერთი პირის ნიშანი (ან საერთოდ არ ჰქონდეს): **მ-აქებ-ს** ფორმაში ორი პირის ნიშანია წარმოდგენილი: **-ს** – **S₃** პირის ნიშანი და **მ-** – პირდ. **0₁** პირის ნიშანი. **აქებ-ს** – ფორმაში **-ს** არის **S₃** პირის ნიშანი, პირდაპირი ობიექტი **მას** კი უნიშნოა, **აქებ** (შენ მას) – აქ პირის ნიშანი საერთოდ არაა წარმოდგენილი. ადგილიანობა არაა დამოკიდებული იმაზე, ორვალენტიანია ზმნა თუ სამვალენტიანი, განსხვავდება თუ არა ქცევისა და კონტაქტის მიხედვით, მაგ., **იქებს** (ის თავს), **უქებს** (მასწავლებელი დედას შვილს) და სხვ.

ვალენტობისა და დისტრიბუციის ლექსიკონში შეძლებისდაგვარად სრულად უნდა აისახოს ქართულ ზმნურ ფორმათა მრავალფეროვნება და აღინეროს ზმნის სემანტიკური და მორფოსინტაქსური ნიშნები.

ენის კვლევის ტრადიციული და ახლებური მიდგომა ერთმანეთს ავსებს **გერჰარდ ჰელბიგის** ვალენტობის თეორიაში, რომლის მიხედვითაც, გამოიყოფა ზმნის ვალენტობის **სამსაფეხუროვანი** სისტემა: **I. რაოდენობრივი** ანუ კვანტიტატიური ვალენტობა; **II. თვისობრივი** ანუ კვალიტატიური ვალენტობა; **III. აქტანტთა სუბკატეგორიზაცია**.

მეცნიერი წინადადების სტრუქტურულ ცენტრად გერმანულ ენაშიც მიიჩნევს **ზმნას** (resp. შემასმენელს), ხოლო დანარჩენ წევრებს აჯგუფებს იერარქიულად, **რანგების** მიხედვით: მისი აზრით, **პირველი** რანგისაა: სუბიექტი, პრედიკატივი, აუცილებელი ან ფაკულტატიური დამატებები (პირდაპირი, ირიბი, წინდებულიანი) და ზმნის სემანტიკით განპირობებული აუცილებელი გარემოება; **მეორე** რანგს აკუთვნებს პირველი რანგის წევრთა განსაზღვრებებსა და თავისუფალ მიცემითს; **მესამე** და **მეოთხე** რანგს – წინა რანგის წევრთა განსაზღვრებებს (ჰელბიგი, შენკელი 1980 : 44-45).

გავრცელებული შეხედულების თანახმად, ქართულ ზმნაში ყოველთვის არაა შესაბამისობა ვალენტობასა და პირიანობას შორის, რადგან ვალენტობა

1 ტრადიციულად ქართულ ენათმეცნიერებაში ვალენტობის მნიშვნელობით პირიანობა გამოიყენება (მცირეოდენი სხვაობით).

შეიძლება უდრიდეს პირიანობას, იყოს მასზე ნაკლები ან მეტი.¹ შდრ. პირიანობა და ვალენტობა ტოლია: Val = Pers (ზის, დგას, მაქებს, მხატავს); პირიანობა მეტია ვალენტობაზე: Val < Pers (წვიმს, თოვს, მწყურია, მაკანკალებს); პირიანობა ნაკლებია ვალენტობაზე: Pers < Val (წერ, ხატავ და სხვ.).

ქართულ ენაში ვალენტობის მიხედვით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტიპის ზმნები:

I. ნულვალენტიანი²:

V_0 წვიმს, თოვს

II. ერთვალენტიანი (ბრუნვაცვალებადი ან ბრუნვაუცვლელი სუბიექტით):

$V_1 [v + Sn]$

(1) Nn/Ne//Nd მუშაობს (ის), მეფობს (ის).

(2) Nn ზის (ის); წევს (ის); ხმება (ის); იპარება (ის); წითლდება (ის); გდია (ის)

(3) Nd + 0 სცივა (მას), სცხელა (მას).

(4) Nn + v + Pr (პრედიკატივიანი მოდელები): ჩემი ძმა სტუდენტია.

III. ორვალენტიანი (გარდამავალი ან გარდაუვალი):

$V_2 [v + Sn + O^d; v + Sn + O^{ind}; v + Sd + On]$.

(5) Nn + Nd//Ne + Nn//Nd + Nn

ჭამს (ის მას), აქებს (ის მას), ბარავს (ის მას), ჭრის (ის მას)

(6) Nn + Nd უხმება (ის მას), ელაპარაკება (ის მას), უწითლდება (ის მას)

(7) Nd + Nn უყვარს (მას ის), სძულს (მას ის), ჰქვია (მას ის)

IV. სამვალენტიანი:

$V_3 [v + Sn + O^{ind} + O^d; v + Sn + O^{ind} + O^{ind}]$.

Nn + Nd + Nd//Ne + Nd + Nn//Nd + Nn + Np_{1თვის}

(8) უხსნის (ის მას მას), უშენებს (ის მას მას);

V. ოთხვალენტიანი (იშვიათად):

$V_4 [v + Sn + O^{ind} + O^{ind} + O^d; v + Se + O^{ind} + O^n]$.

(9) მიჭმია (მან მე მას ის) და სხვ.

ვალენტობის შესახებ მსჯელობისას მნიშვნელოვანია ქართული ზმნის თავისებურებების გათვალისწინება (ამის შესახებ იხ. ზექალაშვილი 2016:660-664): პოლიპერსონალურობა, კოორდინაციით დაკავშირებული ბრუნვაცვალებადი სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, ვალენტობის კლება სამვალენტიანი ზმნის

1 ქართული ზმნის ვალენტობისა და პირიანობის სხვაობაზე პირველად გაამახვილა ყურადღება ლ. ენუქიძემ (ენუქიძე 1974:61-62). ზმნის ვალენტობა კარგადაა განხილული სპეციალურ ლიტერატურაში (იხ. გამყრელიძე 2008; უთურგაიძე 2002; მახარობლიძე 2009 და სხვ.).

2 პირობითი ნიშნები: S – სუბიექტი, O^d – პირდაპირი ობიექტი, O^{ind} – ირიბი ობიექტი, V – ვალენტობა (რიცხვი აღნიშნავს აუცილებელი ვალენტობის რაოდენობას), v – ზმნა, N – სახელი, p – წინდებულები; ბრუნვები: n – სახელობითი, e – მოთხრობითი, d – მიცემითი, g – ნათესაობითი, inst – მოქმედებითი, adv – ვითარებითი, VN – მასდარი, VA – მიმღეობა, pas – პასივი (ვნებითი), act – აქტივი, stat – სტატიკური (ვნებითი), caus – კაუზატივი, SC – დამოკიდებული წინადადება და ა. შ.

მესამე სერიაში (დედა შვილს კაბას უკერავს. შდრ. დედას *შვილისთვის* კაბა შე-
უკერავს), ზოგიერთი ზმნის ვალენტობის მატება ენის განვითარების პროცესში
(იხ. იმნაიშვილი 2007). ყოველივე ეს გვარწმუნებს იმაში, რომ ევროპული ენე-
ბის ანალოგიით ქართული ზმნის პირიანობისა და ვალენტობის ახსნა გარკვეულ
უხერხულობას ქმნის (ამის შესახებ იხ. მახარობლიძე 2009:35-36).

ვფიქრობთ, ქართულ ზმნაში **ნულოვანი ალომორფიც** უნდა მივიჩნიოთ პი-
რიანობის მაჩვენებლად, თუკი ის პარადიგმის წევრია (შდრ. უთურგაიძე 2002).
ჩვენთვის მისაღებია დებულება, რომ **პირიანობა არ შეიძლება შეიცვალოს**
ერთი პარადიგმის ფარგლებში (იხ. მახარობლიძე 2009:35-37). ამას გარდა, ვა-
ლენტობით განსხვავებული ზმნები ხშირად ფორმითაც განსხვავდება, **ხმოვან-**
პრეფიქსები ი, ა, უ, ე (ტრადიციული ტერმინოლოგიით, ქცევის, სიტუაციის ან
გვარის ნიშნები) მიგვანიშნებს უნიშნო პირის არსებობაზე. ამიტომაც მიიჩნევენ
მათ **ადრესატულ** პირზე მიმთითებლად (ასათიანი 1994 :7).

ქართული ზმნების ვალენტობის დახასიათების დროს გასამიჯნია **აუცი-**
ლებელი და **ფაკულტატიური** ვალენტობა. **აუცილებელ** ვალენტობაში უნდა
აისახოს როგორც **პირმიმართი**, ისე **პირმიუმართავი** (ე.წ. უბრალო) **დამატე-**
ბაც, რომელიც ზმნასთან უშუალო ან შუალობითი მართვით არის დაკავშირე-
ბული. **ფაკულტატიური** ვალენტობა კი თავისუფალ წევრებთან (უბრალო **და-**
მატებასა და **გარემოებებთან**) ზმნის შეხამების უნარია. ვფიქრობთ, ყველა **თა-**
ვისუფალი წევრის მითითება ლექსიკონში არაა სავალდებულო, რადგან მოქმე-
დების დრო, ადგილი, ვითარება, მიზეზი და მიზანი თითქმის ნებისმიერ ზმნას
შეიძლება დაემატოს, რაც არ შეცვლის მის ვალენტობას ან პირიანობას, მაგრამ
საჭიროა **უბრალო დამატების** მითითება, როცა მისი არსებობა განპირობებუ-
ლია ზმნის სემანტიკით (მაგ.: **ამაყობს** ის **რამით**).

ლექსიკონისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეირჩეს ზმნების **კლასიფი-**
კაციის პრინციპი, **ინდექსაციის** წესი და დადგინდეს პირობითი აღნიშვნები ნი-
ნადადების მოდელისთვის.

რაც შეეხება ქართული ზმნების კლასიფიკაციას, აუცილებელია, გადაწყ-
დეს, რა ავიღოთ მის საფუძველად: გარდამავლობა, პირიანობა, გვარი, სტატიკუ-
რობა-დინამიკურობა თუ რამე სხვა ნიშანი¹. ამას გარდა, საკამათოა, რა ფორ-
მით იყოს ზმნა მოცემული ლექსიკონში: მასდარის თუ უღლებადი ფორმით,
ანბანურად თუ ბუდობრივი პრინციპით. ვფიქრობთ, ზმნის ვალენტობის მითი-
თება და დისტრიბუციის ჩვენება უფრო პრაქტიკულია და ზმნების გამოყენებას
გააადვილებს.

ამ ტიპის ლექსიკონში ზმნების განლაგება მოსახერხებელი იქნება **ფუძე-**

1 აკ. შანიძის კლასიფიკაციის საფუძველია ზმნის **გვარი**, გამოყოფილია უღლების
4 ტიპი (შანიძე 1973:488-493). კიტა ჩხენკელის ლექსიკონში ამ ტიპებს ემატება
მეხუთეც: ირიბი ანუ **ინვერსიული** ზმნები. ამას გარდა, გამოყენებულია ზმნათა
ინდექსაცია (პირიანობის, ქცევის, სიტუაციისა და კაუზაციის მიხედვით) (იხ.
ჩხენკელი 1965-1974; ჩხენკელი 1958:63-122). ქართული ენის განმარტებითს
ლექსიკონში ზმნების კლასიფიკაცია ეყრდნობა დინამიკურობა-სტატიკურობას,
გარდამავლობასა და გვარს. საინტერესოა ზმნების დაჯგუფება **დიათეზების**
მიხედვით (მელიქიშვილი 2001; ხოტივარი-იუნგერი და სხვ. 2010), რომლის
მიხედვითაც, **I** დიათეზაში შედის **R-O** – სტრუქტურის მქონე ზმნები (ცვალებადი
სინტაქსური კონსტრუქციისა); **II** დიათეზის ზმნები **R+ი** სტრუქტურისაა (უცვლელი
სინტაქსური კონსტრუქციისა); **III** დიათეზის ზმნებთან ლოგიკური სუბიექტი
ყოველთვის მიცემითშია.

ბის მიხედვით ანუ ბუდობრივად, საყრდენი უღლებადი ფორმების, მასდარისა და მიმღობების, სხვადასხვა ზმნისნინით ნაწარმოები ზმნების მითითებით (ვალენტობის, ქცევის, კონტაქტისა და გვარის ფორმების მიხედვით). ლექსიკონმა უნდა მოიცვას ზმნების შესაძლო ფორმები და ამიტომ კლასიფიკაციის საფუძველი ვერ იქნება მხოლოდ დინამიკურობა-სტატიკურობა, გვარი ან გარდამავლობა, რადგან არ გვაძლევს სრულ ინფორმაციას ზმნების სწორი გამოყენებისათვის. ამ ტიპის ლექსიკონში უნდა აისახოს სემანტიკური, დერივაციული და მორფოლოგიურ-სინტაქსური მონაცემები ზმნების შესახებ. ლექსიკონის დანიშნულება უმეტესად სასწავლო იქნება – არაქართველი მომხმარებლისთვის ქართული ზმნების გამოყენების გაადვილება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ზმნების განლაგება აჯობებს არა ანბანურად, არამედ ფუძეების მიხედვით, ასევე თემატურადაც. მაგ., ქონა-ყოლის, გრძნობა-აღქმის, ყოველდღიური ურთიერთობის, ოჯახური საქმიანობის, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების, ემოციების გამომხატველი ზმნები.

ლექსიკონში ზმნები განიხილება **სამ საფეხურზე**:

I საფეხური: აქტანტების **რაოდენობის** მითითება (აუცილებელი და ფაკულტატიური ვალენტობა) და ზმნის მნიშვნელობის ახსნა სინონიმების მოშველიებით;

II საფეხური: ზმნის **სინტაქსური გარემოცვის** მითითება ფორმალურად (პირობითი ნიშნებით);

III საფეხური: **სემანტიკური გარემოცვის** დადგენა და სანიმუშო წინადადებების დასახელება.

მაგალითად მოგვყავს **წერ**- ფუძისგან ნაწარმოები ზმნები და ლექსიკონში მათი წარმოდგენის პრინციპი. ვასახელებთ აქტიურ და პასიურ ზმნებს, სხვადასხვა ვერსიისა და კაუზატივის ფორმებს: წერს (ინერს/უნერს, სწერს), აწერინებს; იწერება/ენერება; წერია/უნერია. მითითებული იქნება ზმნის სამი ძირითადი ფორმა: მყოფადი, წყვეტილი და I თურმეობითი (წერს/დანერს, დანერა, დაუნერია), ასევე სახელზმნები: მასდარი და მიმღობები: წერა/დანერა; დამწერი, დანერილი, დანანერი, დასანერი, დაუნერელი.

ჩამოითვლება და დახასიათდება ამ ძირთან გამოყენებული ყველა შესაძლებელი ზმნისნინიანი ფორმა. მაგ., **წერ-ს** ზმნა გვხვდება ზმნისნინებთან: **დაჩა-, ჩამო-, გა-, გამო-, გადა-, გადმო-, აღ-, შე-, ამო-, მი-, მო-, შემო-** (დანერს, ჩანერს, ჩამონერს, განერს, გამონერს, გადანერს, გადმონერს, აღნერს, დაანერს, შეანერს, ამონერს, მისნერს, მოსნერს, შემოანერს).

ვფიქრობთ, ვალენტობის მითითება უნდა დავინყოთ უფრო გავრცელებულით.

ორვალენტიანი

1. V₂

წერს/დანერს – დანერა – დაუნერია; ინერს/დაინერს – დაინერა – დაუნერია

1. **წერ-ს** (რამე აზრიანს წერს შეტყობინების მიზნით)

2. **წერ-ს** → v + N n/e/d + N d/n + (Np₁, p₂)

სინტაქსური კონსტრუქციები: v + Nn + Nd // v + Ne + Nn // v + Nd + Nn

Nn/e/d → სულიერი:

ქალი წერს (ქალმა დანერა. ქალს დაუნერია).

უსულო (სულიერის მნიშვნელობით)

საბჭო წერს.

Nd/n → უსულო

ქალი წერს წერილს (ბარათს, შეტყობინებას...).

Nn/e/d + Nd/n + SC

ქალი წერს, რომ ცხოვრება რთულია.

2. V₂

1. წერ-ს (ქმნის, როგორც შემოქმედი)

2. წერ-ს → v + Nn/e/d + Nd/n + (Np₁, p₂)

სინტაქსური კონსტრუქციები: v + Nn + Nd//v + Ne + Nn//v + Nd + Nn

Nn/e/d → სულიერი

მწერალი (მეცნიერი...) წერს.

Nd/n → უსულო (შემოქმედების პროდუქტი)

მწერალი მოთხრობას (რომანს, ლექსს) წერს.

Np₁ ზე (d)/შესახებ (g)

მწერალი წერს სიყვარულზე/სიყვარულის შესახებ.

3. V₂

1. წერ-ს (შემოქმედებითს საქმიანობას ეწევა, მაგ., ხატავს)

2. წერ-ს → v + Nn/e/d + Nd/n

სინტაქსური კონსტრუქციები: v + Nn + Nd //v + Ne + Nn//v + Nd + Nn

Nn/e/d → სულიერი (მხატვარი წერს პეიზაჟს)

Nd/n → უსულო (მხატვარი წერს პეიზაჟს (პორტრეტს ან მისთ.) (=ხატავს).

სამვალენტიანი

უნერს/დაუნერს – დაუნერა – დაუნერია; სწერს/მისწერს – მისწერა – მიუწერია

4. V₃

1. ს-წერ-ს → (რამეს სწერს ვინმეს შეტყობინების მიზნით//ვინმესთან გასაგზავნად)

2. ს-წერ-ს → v + Nn/e/d + Nd + Nd/n + (Np₁, p₂)

სინტაქსური კონსტრუქციები: v + Nn + Nd + Nd// v + Ne + Nd + Nn//v + Nd + Nn + Np₁ თვის

Nn/e/d → სულიერი:

შვილი დედას წერილს სწერს. პაციენტი სწერს წერილს ექიმს.

სტუდენტი (ის) წერილს სწერს მეგობარს (მან წერილი მისწერა მეგობარს.

მას წერილი მიუწერია მეგობრისთვის).

Nd → 1. სულიერი:

ის სწერს წერილს თავის ექიმს.

აბსტრ. (სულიერის მნიშვნელობით):

ის სწერს განცხადებას სამინისტროს.

Nd/n → უსულო

ის სწერს ძმას წერილს, ბარათს, შეტყობინებას.

Np₁ თვის → სულიერი:

სტუდენტს მეგობრისთვის მიუწერია წერილი.

Np₁ ზე (d)/შესახებ (g)

სტუდენტი სწერს მეგობარს ოჯახზე (ბავშვებზე, გარეულ ცხოველებზე,

ინსტიტუტზე, კულტურულ ძეგლებზე, სოფლის მეურნეობაზე,

ნიჩბოსნობაზე) /ოჯახის შესახებ და ა. შ.

$v + Nn/e/d + Nd_{რომ} + SC$

ის მეგობარს სწერს, რომ ცხოვრება რთულია.

5. V₃ (წერს ვინმესთვის, ვინმეს მაგივრად ან დასახმარებლად)

1. **უ-წერ-ს** → $v + Nn/e/d + Nd + Nd/n + (Np_1)$

სინტაქსური კონსტრუქციები: $v + Nn + Nd + Nd + Np_{2პო} // v + Ne + Nd + Nn +$

$Np_{2პო} // v + Nd + Nn + Np_{1თვის} + Np_{2პო}$

2. **უ-წერ-ს** → $Nn/e/d$ სულიერი:

მამა შვილს დავალებას უწერს.

Nd → სულიერი:

ის უწერს დავალებას შვილს.

Nd/n → უსულო

ის უწერს შვილს დავალებას, პროექტს, თემას...

$Np_{1თვის}$ → სულიერი:

მამას შვილისთვის დაუწერია დავალება.

$Np_{2პო}$ უსულო (საგანი, საკითხი...)

მამა დავალებას უწერს შვილს მათემატიკაში (ქიმიაში, ქართულში...).

6. V₃

აწერინებს/დააწერინებს – დააწერინა – დაუწერინებია

აწერინებს-ს (სხვას ეხმარება ან აიძულებს, რომ დაწეროს)

სინტაქსური კონსტრუქციები: $v + Nn + Nd + Nd // v + Ne + Nd + Nn // Nd +$

$Np_{1თვის} + Nn$

აწერინებს-ს → $v + Nn/e/d + Nd + Nd/n$

$Nn/e/d$ → სულიერი:

მამა (და, მეგობარი...) აწერინებს შვილს დავალებას.

Nd → სულიერი:

მამა აწერინებს შვილს (დას, მეუღლეს...) დავალებას.

$Np_{1თვის}$ → სულიერი:

მამას დაუწერინებია შვილისთვის (დისთვის, მეუღლისთვის...) დავალება.

Nd/n → უსულო:

დედა აწერინებს შვილს დავალებას (მისამართს, წერილს...).

ერთვალენტიანი

წერს/დაწერს – დაწერა – დაუწერია

7. V₁

1. **წერ-ს** (წერა შეუძლია, კვალს ტოვებს სანერ მასალაზე)

სინტაქსური კონსტრუქციები: $v + Nn // v + Ne // v + Nd$

2. **წერ-ს** → $Nn/e/d$

3. $Nn/e/d$ → უსულო (ავტოკალამი წერს).

8. V₁

1. **წერ-ს** (წერის უნარი აქვს, წერა შეუძლია)

სინტაქსური კონსტრუქციები: $v + Nn // v + Ne // v + Nd$

2. **წერ-ს** → $v + Nn/e/d + (Np_1, p_2)$

3. $Nn/e/d$ → სულიერი

1. ადამ.

ბავშვი წერს. მოსწავლე ლამაზად წერს.

2. კრებ., აბსტრ. (როგორც ადამ.)

საბჭო წერს დადგენილებას.

$Np_{1\text{ზე}(d)}$: სულიერი, უსულო (აბსტრაქტული):

სტუდენტი წერს *დედაზე*, *ბავშვობაზე*.

შეუზღუდავი: ის წერს თავის ბავშვებზე, ძაღლებზე, ინსტიტუტზე, კულტურაზე, სოფლის მეურნეობაზე, ნიჩბოსნობაზე...

Np_2 შესახებ (გ): → სულიერი,

უსულო (აბსტრაქტული)

სტუდენტი წერს *დედის შესახებ*, *ბავშვობის შესახებ*.

9. V_1

ინერება/დაინერება – დაინერა – დანერილა

სინტაქსური კონსტრუქცია: $v + Nn$

ინერება-ა Nn → უსულო:

გვარი ინერება სიაში. *სიტყვა* ერთად ინერება.

10. V_1

წერი-ა (დანერილი არის)

სინტაქსური კონსტრუქცია: $v + Nn + Np_1$

წერი-ა Nn → უსულო:

ნიშანი (სახელი, სიტყვა...) წერია რვეულში.

$Np_{\text{პი}(d)}$ → უსულო:

ბიოგრაფია წერია *ენციკლოპედიაში*.

11. V_2

ენერება/დაენერება – დაენერა – დასწერია

სინტაქსური კონსტრუქცია: $v + Nn + Nd$

ენერება-ა → $v + Nn + Nd$

Nn → სულიერი:

სტუდენტი ენერება.

უსულო:

გვარი ენერება წიგნის ყდაზე.

Nd → უსულო:

$Np_{1\text{ზე}(d)}$ → უსულო:

სტუდენტი ენერება *სერტიფიკატზე*.

$Np_{2\text{პი}(d)}$ → უსულო:

მოსწავლე (ჩა)ენერება *წრეში*.

12. V_2

ანერია – ენერება – ენერა – სწერებია

ანერია-ა (დანერილი არის ზევიდან)

სინტაქსური კონსტრუქცია: $v + Nn + Nd + (Np_1)$,

Nn → უსულო:

მისამართი (სახელი, გვარი...) კონვერტს/კონვერტზე ანერია.

Nd → უსულო

მისამართი კონვერტს ანერია.

ან: $Np_{1\text{ზე}(d)}$ → უსულო

მისამართი კონვერტზე ანერია.

ფუძისაგან **მუშა-** შეიძლება დავასახელოთ ზმნური ფორმები: **ერთვალენტიანი** – მუშაობს, მუშავდება, **ორვალენტიანი** – ამუშავებს, უმუშავდება, **სამვალენტიანი** – უმუშავებს.

ქ- ძირთან: შეაქებს (რამისთვის, რამის გამო), შეუქებს, შეიქება; **თამაშ-** ძირთან: თამაშობს, უთამაშებს, ათამაშებს, თამაშდება, უთამაშდება;

ამაყ-ძირთან: ამაყოზს (რამით ან ვინმეთი), აამაყებს (ის მას) და ა. შ. **ამაყოზს** ერთვალენტიანია (დედა ამაყოზს), მაგრამ ზმნა მოითხოვს სახელს მოქმედებით ბრუნვაში (უბრალო დამატებას): $v + Nn + N_{inst}$ (ამაყოზს დედა *შვილით*), რომლის გარეშე წინადადების აზრი გაუგებარი და არასრული იქნება.

როგორც ვხედავთ, არსებული ლექსიკონებისა და თეორიული შეხედულებების საფუძველზე, ასევე, უცხოელ ლინგვისტთა გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია ქართული ზმნების ვალენტობისა და დისტრიბუციის ლექსიკონის შედგენა.

ქართული ზმნა დახასიათდება მორფოსინტაქსურად: მასთან კოორდინაციით დაკავშირებული სახელების (სუბიექტისა და პირმომართი ობიექტების) მითითებით. ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე, აისახება აუცილებელი პირმიუმართავი დამატებებიც, დაკავშირებული ზმნასთან უშუალო ან შუალობითი მართვით.

ზმნები დალაგდება ფუძეების მიხედვით: დასახელებული იქნება განსხვავებული ფორმები გარდამავლობის, გვარის, ქცევისა და კონტაქტის მიხედვით.

თითოეული ზმნა დახასიათდება სამ საფეხურზე: I. ვალენტობის ანუ აუცილებელი აქტანტების რაოდენობის მითითებითა და სემანტიკის ახსნით; II. სინტაქსური კონსტრუქციისა და აქტანტების ფორმების დასახელებით, ინდექსაციის მოშველიებით; III. აქტანტთა სემანტიკური შეხამებულობის ანუ სემანტიკურად დასაშვები და დაუშვებელი სახეობების აღნიშვნით: სულიერი (ადამიანი/არაადამიანი), უსულო, აბსტრაქტული თუ შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა. დანართის სახით მოცემული იქნება ზმნების ინდექსირებული ჩამონათვალი.

ლიტერატურა

- ასათიანი 1994** – რ. ასათიანი, ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), „მეცნიერება“, თბილისი, 1994;
- ბიანკო 1996** – Bianco M.T., Valenzlexikon Deutsch-Italienisch. Dizionario della valenza verbale (=Deutsch im Kontrast, Bd. 17/1+2) 2 Bd., Heidelberg 1996;
- გამყრელიძე 2008** – თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“: ენა და ენობრივი ნიშანი (სტატიების კრებული), თბილისი, 2008;
- გოგოლაშვილი და სხვ.** – გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის), „მეცნიერება“, თბილისი, 1989;
- ენგელი, შუმახერი, 1987** – Engel U., Schumacher H., Kleines Valenzlexikon deutscher Verben (= Forschungsberichte des Instituts für deutsche Sprache, Bd. 31), Tübingen, 1987 (1976);
- ენუქიძე, 1974** – ლ. ენუქიძე ლ., ზმნის ვალენტობისა და პირიანობის მიმართება ქართულში: თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, 1974, IV;
- ზექალაშვილი, 2016** – Zekalashvili R., Valency of Verb and the Basic models of the Simple Sentence in Georgian: International Symposium on “Culture Dialogue of the Silk Road Countries”, Proceedings, Erzurum, 2016;
- იმნაიშვილი 2007** – ვ. იმნაიშვილი, სამპირიანი გარდაუვალი ზმნები: ენათმეცნიერების საკითხები, 2007, 1-2, თბილისი, 2007;
- კაცნელსონი 1948** – Кацнельсон С.Д., О грамматической категории: Вестник ЛГУ, 1948, 2;
- ლელ 1990** – Лингвистический энциклопедический словарь (гл. ред. Ярцева В. Н.), Москва: «Советская энциклопедия», 1990;

- მახარობლიძე 2009** – თ. მახარობლიძე, პირიანობა და ვალენტობა ქართულში: ლინგვისტური წერილები, I, „ნეკერი“, თბილისი, 2009;
- მელიქიშვილი 2001** – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2001;
- ტენიერი 1988** – Теньер Л., Основы структурного синтаксиса (пер. с франц. Вступ. ст. и общ. ред. В. Г. Гака), Прогресс, Москва, 1988;
- უთურგაიძე 2002** – თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთ-მიმართებისათვის ქართულ ზმნაში, „უნივერსალი“, თბილისი, 2002;
- ფენრიხი და სხვ. 2013** – Fähnrich H., Odischelidse N., Reineck N., Georgische Verben (mit deutschen Entsprechungen und Satzbeispielen), Leipzig, 2013;
- შანიძე 1973** – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, მე-2 გამოცემა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1973;
- შუმახერი 1986** – Schumacher H. (Hrsg.): Verben in Feldern. Valenzwörterbuch zur Syntax und Semantik deutscher Verben (= Schriften des Instituts für deutsche Sprache, Bd. 1), Berlin, 1986;
- ხოტივარი-იუნგერი და სხვ. 2010** – Chotiwari-Jünger St., Melikischwili D., Wittek L., Georgische Verbtabelle, Helmut Buske: Verlag GmbH, Hamburg, 2010;
- ჩხენკელი 1958** – Tschenkéli, K., Einführung in die georgische Sprache, Bd. 1: Theoretischer Teil, Zürich, Amirani-Verlag, 1958;
- ჩხენკელი 1965-1974** – Tschenkéli, K., Wörterbuch der georgischen Sprache, 3 Bd, Zürich, 1965-1974;
- ჰელბიგი, შენკელი 1980** – Helbig G., Schenkel W., Wörterbuch zur Valenz und Distribution deutscher Verben, 5. unveränderte Auflage, Leipzig: VEB Bibliographisches Institut, 1980;
- ჰერბსტი და სხვ. 2004** – Herbst Th., Heath D., Ian F. Roe, Gotz D. (eds.), A Valency Dictionary of English: A Corpus-Based Analysis of the Complementation Patterns of English Verbs, Nouns and Adjectives. Berlin, Mouton de Gruyter. 2004.

დარეჯან თვალთვადე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„შემდგომნი თარგმანნი პირველდამაშურალთა თარგმანთა ნიგნებისაგან განვისწავლებით“

(ძველ ქართველ მთარგმნელთა ეტიკეტის ზოგიერთი ასპექტი)

სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვა ეტაპზე მთარგმნელობითი საქმიანობის ხასიათს და მთარგმნელის მიდგომას სათარგმნი ტექსტისადმი ეპოქის კულტურულ-ისტორიული, იდეოლოგიური და ლიტერატურული მოთხოვნები განაპირობებდა. ეს მოთხოვნები განსაზღვრავდნენ, თუ რა სახის ტექსტები, რომელი ენიდან და როგორ უნდა ყოფილიყო თარგმნილი. ხანგრძლივი მთარგმნელობითი ტრადიციის მქონე კულტურებში (მათ შორის ქართულშიც) ამ ფაქტორების ზეგავლენით უკვე არსებული თარგმანების კრიტიკული შეფასების, მათი შესწორებისა და ზოგჯერ ხელახლა თარგმნის საჭიროებაც დგებოდა, რამაც განაპირობა არსებული თარგმანებისა („პირველთარგამანების“) და მათი

შემქნელების – „პირველმთარგმნელთა“ მიმართ ერთგვარად სტანდარტიზებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. ამ მოსაზრებების ერთობლიობას შეიძლება პირობითად მთარგმნელობითი ეტიკეტი ეწოდოს, რომლის ძირითადი არსი ძველი მთარგმნელების განსაკუთრებული ღვაწლის აღიარებასა და მათი ნამუშაუკვეის ჯეროვნად დაფასებაში მდგომარეობს; მათ თარგმანებზე გაზრდილ ახალ მთარგმნელებს „პირველდამაშურალ მთარგმნელთა“ მიმართ პატივისცემისა და მაღლიერების გამოხატვა ჰმართებთ; კადნიერებად მიიჩნევა მათი თარგმანების ხელყოფა და იმ შემთხვევაში, როცა მათი ნათარგმნი თხზულების ხელახლა თარგმნა ან რედაქტირება ხდება, აუცილებელია ამ საჭიროების არგუმენტირებული დასაბუთება.

ქართული მწერლობის (და, შესაბამისად, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია(ც) ბიბლიურ წიგნთა პირველი თარგმანებით იწყება, რასაც მალევე მოჰყვება ორიგინალური ქართული აგიოგრაფიული მწერლობის პირველი ძეგლების შექმნა. იგი უძველესი დროიდან ჯერ ქრისტიანული აღმოსავლეთის, ხოლო მოგვიანებით, მე-10 საუკუნიდან, ბიზანტიის სამონასტრო-მნიგნობრულ ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობით ყალიბდებოდა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს პერიოდი (V საუკუნიდან X საუკუნის 80-იან წლებამდე) მხოლოდ სასულიერო ხასიათისაა და დიდწილად სწორედ ბერძნულიდან ნათარგმნი ბიბლიოლოგიური, ეგზეგეტიკური, აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული, ჰომილეტიკური და ქრისტიანული მწერლობის სხვა ჟანრების თხზულებებითაა წარმოდგენილი, თუმცა გვაქვს სირიული და სომხური ენიდან შესრულებული თარგმანებიც (კეკელიძე 1980: 42-58; მენაბდე, 2001).

მთარგმნელობითი სტრატეგია ამ ეპოქის ქართველი მთარგმნელებისა, რომელთაც მომდევნო პერიოდის მნიგნობრები „პირველმთარგმნელებად“ მოიხსენიებენ, ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ვითარებიდან გამომდინარეობდა და გულისხმობდა უმდიდრესი ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლების ქართულ ენაზე გადმოღებას, ხშირად მათი მოკლე რედაქციების თარგმნის გზით. ამასთანავე, მათთვის დამახასიათებელია ორიგინალის ტექსტისადმი შედარებით თავისუფალი დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, რომ, ხშირ შემთხვევაში, ისინი ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი თხზულებების არა ზუსტ, ადეკვატურ თარგმანს, არამედ მათს ქართულ ვერსიებს ქმნიდნენ.

ძველი ქართველი მთარგმნელები, რომელთა საქმიანობა აღბეჭდილია პირველმთარგმნელთა მიმართ დიდი პატივისცემითა და მაღლიერების გრძნობით, ერიდებოდნენ წინამორბედთა მიერ უკვე თარგმნილი თხზულებების ახლად (მეორედ) თარგმნას. „ახლად თარგმნაჲ არა ჯერ-არს“, რადგან „უკუეთუ ვისმე პირველად ეთარგმნოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდეგომად გამოჩნდების... და ამით არა ჯერ-არს“ (მატბერდის კრებული 1979:363),¹ – ასე-

1 ამის შესახებ წერს თეოდორიტი კვირელის „ფსალმუნთა თარგმანების“ მთარგმნელი დაჩი სტეფანე მტბევართან გაგზავნილ წერილში, რომელიც წინ უძღვის „მატბერდის კრებულში“ (Xს.) შეტანილ დაჩისეულ თარგმანს: „მრავლით ჟამითგან გულსმოდგინედ ვეძიებდ თარგმანებასა ფსალმუნთასა, წიგნსა მას, რომელი დაწერა წმიდამან მამამან ჩუენმან ეპიფანე კპპრელ ებისკოპოსმან, და არა ვპოვე ქართულად, ბერძენთა ენითა ვპოვე და ვერ შეუძლე ცნობად, ვითარცა წყაროსა მიუწდომელსა და ფასსა დაფარულსა. მერმე ვპოვე სომხურითა ენითა წერილი სრულიად მითვე ბერძნულითა განგებითა და მითვე რიცხვთა. შემშურდა სომეხთათჳს და შემეშინა თარგმანებად, რამეთუ დიდი ბრალობაჲ შემთხუევის თარგმანთა,

თია ძველ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში დამკვიდრებული მოსაზრება, რაც სწორედ პირველმთარგმნელთა მიმართ მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობას ეფუძნება. ისინი არიან მასწავლებელნი „ყოველთა ქართველთა თარგმანთა“, „წყაროჲ და ძირი თარგმანებისა“ (თვალთვაძე 2009:210). მეთერთმეტე საუკუნის ქართველი მწიგნობარი და მთარგმნელი ეფრემ მცირე ასე აფასებს თავისი წინამორბედი დიდი მთარგმნელების – ექვთიმე და გიორგი ათონელების მოღვაწეობას: „ანბანი ბერძულისა და ქართულისაჲ მათგან მისწავიეს შემდგომად ღმრთისა, და მიერითგან რაჲცაღა ვისგან ვისწავლო, მას მათდავე შეეჭრაცხ, რამეთუ მათითა ენითა ვზრახავ და მათითა ყურითა მესმის და მათითა ჴელითა ვშურები“ (ეფრემ მცირე 2009:226)“. თავად თავისი, როგორც მთარგმნელის, მოვალეობად კი ეფრემს მათი „მონაფეობის სრულყოფა“ მიაჩნია: „უკუეთუ მათითავე ჩემდა დატევებულითა კეტებითა და უროებითა მათსა ახოდ გაკაფულსა და ლოდოვანებისაგან ყანობირ ქმნილსა შინა ადგილადგილ სიმაშურალითა დაშთომილი მათდა ძირი და ანუ კლდე აღმოვჰკაფო, ამას მათსა მათთაგან მათდავე შევსწირავთ“ (ეფრემ მცირე 2009:226)¹.

„ახლად თარგმნის“ ყოველი შემთხვევა საფუძვლიანად მოტივირებული უნდა ყოფილიყო, რომ მთარგმნელს ეს კადნიერებად ან „თავისა უმჯობესად გამოჩინების სურვილად“ (ეფრემ მცირე 2009:226) არ ჩათვლოდა. მიუხედავად ამისა, ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში არაერთი ფაქტი დასტურდება ერთი თხზულების მეორედ (ზოგჯერ მესამედ) თარგმნისა. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს: ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათჳს“, რომელიც VIII-X საუკუნეებში ითარგმნა ქართულად, XI საუკუნეში განმეორებით თარგმნა გიორგი ათონელმა (ბასილი დიდი 1947; ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი 1964; ქაჯაია 1992). მანვე ხელახლა თარგმნა გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“ (იხ. გრიგოლ ნოსელი 1964), რომელიც ადრე არაბულიდან იყო თარგმნილი; ეფრემ მცირემ ხელახლა თარგმნა გრიგოლ ღვთისმეტყველის რამდენიმე ჰომილია, რომლებიც დავით ტბელისა და ექვთიმე ათონელის მიერ იყო თარგმნილი²; ორი თარგმანით არის მოღწეული იოანე დამასკელის

რომელნი არა განეკრძალნენ და სრულად უკუეთუ ვისმე პირველად ეთარგმნოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდეგომად გამოჩნდების, ვითარცა აკვლახსი იგი და სკმაქოსისი, და ამით არა ჯერ არს“ (მატბერდის კრებული, 1979:363);

1 იხ. აგრეთვე, მისივე „სამოციქულოს თარგმანების შესავალი“: „უკუეთუ ვინმე მაბრალობდეს, პირველად შენდობასა ვითხოვ და ამისსა შემდგომად განუცხადებ საიდუმლოსა გონებისა ჩემისასა და ვიტყვ: უკუეთუ რა ვიდრე მოაქამომდე მითარგმნის და რაჲცა წალმართ ვიქნები თარგმნად და არა ყოველივე შემდგომად ღმრთისა და ღმრთისმშობელისა ყოველთა წმიდათა ეფთჳმის და გიორგის მაღლისად და წინადამაშურალობითა და ან მეოხებისად შემირაცხიეს, ნუმცა შერაცხილ ვარ წესსა თანა ქრისტიანეთასა“ (ეფრემ მცირე 2009:207);

2 გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები: Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica I, Orationes, I, XLV, XLIV, XLI, ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava, M. Chanidze (Corpus Christianorum. Series Graeca, 36. Corpus Nazianzenum, 5), Turnhout-Leuven, 1998; Versio iberica II, Orationes XV, XXIV, XIX. ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, M. Machavariani, N. Melikichvili, M. Raphava (Corpus Christianorum, Series Graeca, 42, Corpus Nazianzenum 9), Turnhout – Leuven, 2000; Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica IV, Oratio XLIII, ed. a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava (Corpus Christianorum. Series Graeca, 52. Corpus Nazianzenum, 17), Turnhout-Leuven, 2004; Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica V, Orationes

ტრილოგიის „წყაროე ცოდნისაჲს“ პირველი ნაწილი - „დიალექტიკა“ (მთარგმნელები: ეფრემ მცირე (XI ს.) და არსენ იყალთოელი (XI-XII ს.), (იოანე დამასკელი 1976), ხოლო ამავე წიგნის მესამე ნაწილი - „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“ სამჯერ ითარგმნა ქართულად (მთარგმნელები: ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი) (მიმინოშვილი 1968); ქართულად სამჯერ ითარგმნა ბასილი კესარიელის „ასკეტიკონიც“ (პროკოპი მღვდლის, ეფრემ მცირისა და უცნობი მთარგმნელის თარგანები) (ხინთიბიძე 1968). იოანე სინელის „კლემაქსი“ ანუ „სათნობათა კიბე“ წინაათონურ პერიოდში (მეათე საუკუნემდე) თარგმნა უცნობმა მწიგნობარმა, შემდეგ იგი პროზაულად თარგმნეს ექვთიმე ათონელმა (X საუკუნის ბოლო - XI საუკუნის დასაწყისი) და იოანე პეტრინმა (XII-XIII სს) (იოანე სინელი 1968; ბეზარაშვილი 1989); სამი თარგმანი გვაქვს ანდრია კრიტელის საგალობელთა კრებულის „დიდი კანონისა“ (მთარგმნელები: ექვთიმე ათონელი (X-XI ს.), გიორგი ათონელი XI ს.) და არსენ იყალთოელი (XI-XII ს.) და, რაც ყველაზე საგულისხმოა, გვაქვს ბიბლიურ წიგნთა ძველი (წინაათონური, XI ს.-მდე) და ახალი - ათონური, XI ს. და ელინოფილური - XII-XIII სს-ის თარგმანები//რედაქციები (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია... 1945; ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია 1979; მელიქიშვილი 2009).

ერთი თხზულების რამდენჯერმე თარგმნას მრავალი სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა. მათ შორის უმთავრესია იდეოლოგიური გარდატეხა, რომელიც ქართული სულიერი კულტურის განვითარებაში X საუკუნის ბოლოდან იწყება. თუ ადრე (IV-V საუკუნეებიდან) ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ ქრისტიანულ სამონასტრო ცენტრებსა და სამწერლობო კერებში, X საუკუნის 80-იანი წლებიდან მათ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის გაძლიერებისა. ერთი მხრივ, ქართულ-ბიზანტიური პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება და, მეორე მხრივ, ქართული სახელმწიფოს რელიგიური ორიენტაცია ბიზანტიისაკენ აუცილებელს ხდის აღმოსავლეთის ეკლესიათა ლიტურგიკულ ტრადიციებზე დაფუძნებული უკვე არსებული ძველი ქართული თარგმანების (მათ შორის ბიბლიური წიგნების ქართული ვერსიების) რევიზიას. იწყება ინტენსიური მუშაობა უკვე თარგმნილი უმნიშვნელოვანესი თხზულებების ბერძნულთან შედარება-შეჯერებისა გზით მათი ახალი რედაქციების, ან ახალი თარგმანების შესაქმნელად. პარალელურად, რა თქმა უნდა, გრძელდება ბიზანტიური მწერლობის აქამდე უთარგმნელი ძეგლების ქართულად გადმოღებაც.

იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით მუშაობდნენ ამ პერიოდის ქართველი მთარგმნელები საყურადღებო ცნობაა დაცული მეთერთმეტე საუკუნის ქართველი ავტორის გიორგი მცირის აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“, სადაც ბიოგრაფი აფასებს რა გიორგი მთაწმინდელის ღვაწლს, საუბრობს მის დიდ დამსახურებაზე წიგნთა თარგმნის საქმეში, გამოყოფს მის მიერ ამ კუთხ-

XXXIX et XL, ed. a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, M. Raphava (Corpus Christianorum. Series Graeca, 58. Corpus Nazianzenum, 20), Turnhout-Leuven, 2007.

ით შესრულებულ სხვადასხვა ტიპის სამუშაოს.¹ მისი თქმით, გიორგი მთაწმიდეღელმა პირველმა თარგმნა ბერძნულიდან ის წიგნები, რომლებიც აქამდე არ ყოფილა თარგმნილი ქართულად; ხელახლა თარგმნა ოდესმე ვერკეთილად გადმოღებული წიგნები; განასრულა ექვთიმეს მიერ დანყებული წიგნების თარგმნა და განავრცო მის მიერ მოკლედ თარგმნილი თხზულებები; კუალად სხუანი კი ბერძულსა შეუნამა და ამით „ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუა-დუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენნა და განაბრწყინნა“, ანუ უკვე არსებული ქართული თარგმანების ბერძნულ დედნებთან შედარება-შეჯერების გზით მათი ახალი რედაქციები მოგვცა. აქ დასახელებული მთარგმნელობითი საქმიანობის სახეები (ახალი წიგნების თარგმნა, ადრე თარგმნილის ხელახლა თარგმნა, მოკლე ვერსიების გავრცობა და არსებული თარგმანების ბერძნული დედნების მიხედვით შესწორება-რედაქტირება) ის მიმართულებებია, რომლებიც მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის უმთავრეს ვექტორებად ისახება. ამასთანავე, მთელი ეს საქმიანობა (ახალი თარგმანების შექმნა და ძველის რედაქტირებაც) წარმართება ახალი მთარგმნელობითი მეთოდით, რომელიც სათარგმნი ტექსტის მაქსიმალური სიზუსტით გადმოღებას გულისხმობს². ეს ახალი მთარგმნელობითი მეთოდი კი ეფუძნება ახალ კონცეფციას, რომელიც XI საუკუნის შუა წლებიდან ანტიოქიის მახლობლად შავი მთის სავანეში ყალიბდება, სადაც საფუძველი ეყრება ახალ მთარგმნელობით სკოლას, რომლის გამოკვეთილი ლიდერია ცნობილი ქართველი მწიგნობარი, მთარგმნელი და მეცნიერი ეფრემ მცირე. ეფრემ მცირე სათავეს უდებს ახალ მიმდინარეობას – ელინოფილიზმს, რომლის ძირითადი არსი მისივე სიტყვებით ასე შეიძლება გადმოვცეთ: „ყოველივე ბერძულისაგან და ვითარ იგი ბერძულად არს“ (თვალთვაძე 2009:232). ელინოფილიზმი იყო ქართველ ინტელექტუალთა მიზანმიმართული სწრაფვა ბიზანტიური კულტურისა და აზროვნებისაკენ (ბეზარაშვილი 2012:15-20), „ბერძულსა წესსა მიყვანება“ არა მხოლოდ საეკლესიო ლიტურგიკული პრაქტიკისა, არამედ „გაელინურება“ აქამდე არსებული ქრისტიანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების ქართული თარგმანებისა და „ელენყოფა“ თავად ქართული ენისა (დობორჯგინიძე 2012:103-104). შეიძლება ითქვას, რომ ელინოფილიზმა მოიცვა ქართველ მწიგნობართა საქმიანობის ყველა სფერო³.

1 „რომელნიმე წიგნნი სრულიად არაყოფილნი და ენისა ჩუენისაგან უცხონი სიღრმითგან უმეცრებისათა ნათლად გამოაბრწინნა, ხოლო სხუანი ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გამოღებულნი, გინა თუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მჭმარებელთაგან დაგესლებულნი, ვითარცა ვთქუთ, ბრძმედსა მას შინა წმიდისა მის გონებისა თსისასა გამოადვნა და გამოაჭურვნა, ხოლო კუალად სხუანი წიგნნი წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმის მიერ თარგმნილნი და წუთ უცილობისაგან ვერ სრულქმნილნი, არამედ სულმცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცელნა. კუალად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეანამა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუა-დუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენნა და განაბრწყინნა, ვითარცა თვთ თავადი სახარებაჲ და პავლე“ (ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდეღლისა 1967).

2 ამ პროცესში ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ბერძნებთან კულტურული მეტოქეობის მკვეთრად გამოხატული სურვილი, რომ ბერძნებს არ ჰქონდეთ ქართველების თარგმანების დანუწების და მათი ბარბაროსებად მოხსენიების საბაზი („რაჲთა არა გუაყვედრიდეს ბერძენნი“).

3 ბერძნულის მიხედვით შესწორდა თვით ბიბლიური წიგნების ათონური რედაქციებიც კი. ფაქტობრივად, ნახევარი საუკუნის განმავლობაში (XI საუკუნის შუა წლები-

მთარგმნელობით საქმიანობაში ელინოფილურმა მიდგომამ მთარგმნელთა სტრატეგიის მკვეთრი შეცვლა გამოიწვია – ქართველმა მნიგნობრებმა კრიტიკული თვალთ შეხედეს ადრეულ ქართულ თარგმანებს, შენიშნეს მათი რამდენადმე დაშორება დედნებიდან, რაშიც შუალედურ თარგმანებს ადანაშაულებდნენ, დაიწყეს მათი ბერძნული ტექსტების მიხედვით გასწორება და ხშირ შემთხვევაში ახლად თარგმნა. დინამიკური (მოდალურ-ადაპტური) ტიპის თარგმანების ნაცვლად ამ პერიოდის მთარგმნელები მიზანად ისახავენ ორიგინალის ადეკვატურ, ზედმინევენით ზუსტად გადმოტანას თარგმანში, როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმოზობრივი (ენობრივ-სტილისტური და ტერმინოლოგიური) კუთხით. ეფრემ მცირის სიტყვებში „*ვითარ იგი ბერძნულად [არს] და ყოველივე ბერძნულისგან*“ (ეფრემ მცირე 2009:232) ერთდროულად გაცხადებულია ეპოქისთვის ნიშანდობლივი ორი უმთავრესი პრინციპი: 1. „*ყოველივე ბერძნულისგან*“ – გულისხმობს თარგმნას მხოლოდ ბერძნული ორიგინალიდან. თხზულება უშუალოდ დედნიდან უნდა ითარგმნებოდეს (ბერძნული ტექსტი „დედაა“, თარგმანი – „შვილი“, თარგმანიდან შესრულებული თარგმანი კი „შვილიშვილია“ ბერძნულისა) (ეფრემ მცირე 2009) 2. „*ვითარ იგი ბერძნულად არს*“ – მთარგმნელს ავალდებულებს ორიგინალის ზუსტი, ადეკვატური თარგმანის შექმნას. თარგმანი ზედმინევენით ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ტექსტს – „*თარგმანი დედისა პირსა უნდა იტყოდეს*“ (ეფრემ მცირე 2009). ანალოგიური პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს მთარგმნელმა უკვე არსებული თარგმანების გადამუშავების პროცესშიც. „*ბერძულთან შენამება*“ ძველი თარგმანის ტექსტის ბერძნულ ორიგინალთან მაქსიმალურ დაახლოებას, მის „*ბერძულისადა მიყვანებას*“ გულისხმობს, რომ ქართულ თარგმანში ყველაფერი ისე იყოს, „*ვითარ იგი ბერძნულად არს*“. ამის მისაღწევად, ცხადია, მთარგმნელს ზოგჯერ უხდება ძველი თარგმანის საფუძვლიანი რედაქტირება – ტექსტში სიტყვათა დამატება ან დაკლება, ლექსიკისა და გრამატიკულ ფორმათა შეცვლა, სიტყვათა რიგის შენაცვლება, ბერძნული და ქართულ ენების გრამატიკულ-სტილისტურ თავისებურებათა გათვალისწინებაც და, ამის შესაბამისად, თარგმანის ენის დახვეწა-განახლება. ორიგინალისადმი ამგვარი მიდგომით მიღებული ახალი ტექსტები გარკვეულწილად „ახლად თარგმანებულად“, ანუ ახალ თარგმანებად ითვლება, რომელთაც „პირველთარგმანებულ“ ტექსტებთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვთ – ეს მათი „სიტყვასისწორება“. ისინი ორიგინალის ტექსტს ზუსტად გადმოსცემენ („*დედისა პირსა იტყვიან*“), ამიტომ გადამწერებს რეკომენდაცია ეძლევათ¹ არჩევანი სწორედ მათზე გაა-

დან XII საუკუნის დასაწყისამდე) ბიბლიური ნიგნების ძველმა ქართულმა თარგმანმა სამჯერ განიცადა საფუძვლიანი გადამუშავება და, როგორც შენიშნულია, ასეთი რედაქციული გადამუშავების მიზანი იყო არა ტექსტის ენობრივი მოდერნიზაცია (ამ პერიოდის ქართულ ენაში არ მომხდარა ისეთი მასშტაბის ცვლილება, რომ ამის გამო აუცილებელი გამხდარიყო ძველ ქართულ თარგმანთა რედაქციული გადამუშავება), არამედ ტექსტის მაქსიმალური დაახლოება ბერძნულ წყაროსთან. ამიტომაც, რომ გვიანდელ რედაქციებში საგრძნობლად იზრდება არა ნეოლოგიზმები, არამედ გრეციზმები (დანელია 1983:317). ეს იყო ქართველ მთარგმნელთა მიზანმიმართული სწრაფვა თარგმანის „ბერძნულისადა მისაყვანებად“ და თავად ქართული ენის „ელენსაყოფად“, რომელსაც მყარი ისტორიულ-კულტურული ფაქტორები ასაზრდოებდა (ამის შესახებ იხ. თვალთვაძე 2015).

1 უნდა აღინიშნოს, რომ ძველსა და ახალ თარგმანებს თანაბრად აქვთ არსებობის უფლება („ვისა რომელი სწადდეს გარდაწერად, მას დაინერდეს“) და, რაც მთა-

კეთონ („მუნით დაწერონ“) (გიორგი მთაწმიდელი 1981:282-283) და თანაც ისე, რომ „დედასა არარაჲ შეცვალონ“.

ცხადია, პირველთარგამანებულ ტექსტთა ახლად მთარგმანებელ მნიგნობრებს, რომლებსაც თავი სწორედ „პირველთა მათ თარგმანთა“ მონაფეეზად მიაჩნდათ, გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში დამკვიდრებული აზრი, რომ „მეორედ თარგმანებული წინააღმდეგომად პირველისა გამოჩნდების“, ამიტომაც ცდილობდნენ ხელახლა თარგმნის ყოველი შემთხვევა საფუძვლიანად დაესაბუთებინათ, რომ მათი ქმედება კადნიერებად და „თავისა უმჯობესად გამოჩინების“ სურვილად არ ყოფილიყო შერაცხილი (ეფრემ მცირე 2009:226); სწორედ ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ „თავისა განმართლებაჲ უცხო არს წესთაგან სამონაზნოთა“ (ეფრემ მცირე 2009:225), ასეთი თავის მართლება არაერთხელ გვხვდება ამ პერიოდის მთარგმნელთა ანდერძებში. ამის ნიმუშად გამოდგება ეფრემ მცირის კოლოფონებში არაერთგზის დადასტურებული ისეთი ფრაზები, რომლებიც წინამორბედ მთარგმნელთა მიერ თარგმნილი თხზულებების ხელახლა თარგმნის გამო თავის მართლებად შეიძლება მივიჩნიოთ: „...გარნა რაჲ უყო მაბრალობელთა ორკერძო და მრავალკერძო განყოფილთა, ვითარ რომელიმე ჩემისა სილალით ჰგონებენ მეორედ თარგმნისა კადრებასა..., რომელიმე უკუე შურიითა და ჯდომითა, ანუ ვითარ-იგი ვიეთმე თქუეს ჩემთჳს, თავისა უმჯობესად გამოჩინებისთჳს ვემნა, ანუ მიქმნიეს, უცხომცა ვარ ღმრთისაგან და ყოველთა წესთა ქრისტიანობისათა“.

ეფრემი შიშობდა, რომ მისი ნარედაქციევი ფსალმუნისა და სამოციქულოს ტექსტები ახლად თარგმნილად არ ჩაეთვალათ თანამემამულეებს (დავითნი „არა ორგ ზის თარგმანებულად“ და სამოციქულო „არა მეორედ თარგმნილად შეირაცხო“ (ეფრემ მცირე 2009:174), ამიტომაც მათზე დართულ „მთარგმნელის მოზრახულში“ ბოდიშს იხდის სხვათა ნაღვანის ხელყოფისათვის, განმარტავს თავის მიზანდასახულებას და ცდილობს თხზულების ახლად თარგმნის მოტივირებას. მაგალითად, ანდერძში „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრებისა“, რომელიც ადრე გიორგი ათონელმა თარგმნა, ხოლო მეორედ ეფრემმა გადმოიღო, ახლად თარგმნის მიზეზსა და ვითარებაზე მან შემდეგი გვამცნო: „ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ცხოვრებაჲ ამის წმიდისაჲ, რომელ ჩუენ ძუელად გუქონდა, სხუაჲ არს, და ესე გრიგოლ ნოსელისა თქუმული - სხუაჲ. და ესეცა გუასმიოდა, ვითარმედ... ესეცა საკითხავი უთარგმნია... გიორგი მთაწმიდელსა, გარნა ჩუენ ჯერეთ არა გუეხილვა, არცა შავსა მთასა მონევენულ იყო. ამისთჳს იძულებითა მღდელისა გაბრიელისითა ვთარგმნე, ვითარცა არა მომლოდემან მის წიგნისა აქა მონევენისამან სიჰავისაგან ჟამთაჲსა და უდებებისაგან გონებათაჲსა. და ესე დავნერე, რაჲთა უკუეთუ ოდესმე მოინიოს, არა ჰგონოთ, თუ

ვარია, ორივეს ჰყავს თავისი მკითხველი: როგორც ეფრემ მცირე წერს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულის თარგმნისთვის დაწერილს წინასიტყვაობაში, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებნი, „ვითარცა წმიდის მოძღურის თარგმნილი, ყოველთა ეკლესიათა ზედა განფენილი ბრწყინავს“, ხოლო მისი თარგმანი, „ვითარცა არაწმიდისაჲ და უნარჩევნისა მონაფისაჲ..., იძუთ ვიეთთაჲსმე იღვას გულისწმისყოფელთათაჲ; „ესე (ეფრემის თარგმანი) ცხად ჰყოფდინ სიტყუა-სიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისასა, ხოლო იგი (ექვთიმეს თარგმანი) — სიტყუა სივრცესა და განათლებასა მამისა ჩუენისა ეფთამესსა, რამეთუ ესეც მისივე არს და აქაჲ უწუილეს გამოიძიებული, მასვე გზა უყოფიეს ჩუენდა“ (ეფრემ მცირე 2009:227).

კადნიერებით ვყავ თარგმნა თარგმნილისა დიდისა მოძღურისა და ეკლესიისა მნათობისა“ (ეფრემ მცირე 2009: 240).

მთარგმნელთა ამგვარი ანდერძები კარგად გვიჩვენებენ, რამდენად საფრთხილო საქმე იყო წიგნის ხელახლა თარგმნა, მაგრამ იგივე ანდერძები მოწმობენ, რამდენად დიდი იყო ქართველ მთარგმნელთა მონდომება, რომ ყველაფრის მიუხედავად დაეძლიათ წინააღმდეგობანი და ძველი თარგმანების პარალელურად შეექმნათ ახალი, დედნის ადეკვატური ზუსტი თარგმანი, რათა ბერძნებს ქართველებისთვის ქრისტიანული ლიტერატურის დამახინჯება არ დაენამებინათ. ამიტომაც ცდილობენ მთარგმნელები დაარწმუნონ მკითხველი, რომ მეორედ თარგმნა ყოველთვის არ გულისხმობს, რომ ახალი თარგმანი „წინააღმდეგომ პირველისა იქმნების“ და ასახელებენ რამდენიმე საყურადღებო მიზეზს, რომელთაც შეეძლოთ უკვე თარგმნილი თხზულების ხელახლა თარგმნა გამოენვიათ: განსხვავებული დედანი, გაუმართავი დედანი, სიჩქარით გამოწვეული უზუსტობანი, გადამწერთა მიერ შერყვნილი ადგილები და, რა თქმა უნდა, დროის მოთხოვნები და ის სოციოკულტურული ფაქტორები, რომლებიც მათს მთარგმნელობით სტრატეგიას განსაზღვრავდნენ. მაგალითად, იგივე ეფრემ მცირე ორიგინალისადმი თავისუფალ დამოკიდებულებას, რომლითაც გამოირჩეოდა ექვთიმე ათონელი, მის ნაკლად და შეცდომად კი არ მიიჩნევს, არამედ ეპოქის სოციალურ-კულტურული მოთხოვნებით ხსნის - „*მას ჟამსა ესრეთ შეჰგუანდაო*“¹. მისი აზრით, მწერალი „ჟამის“ შესაფერისად მოქმედებს, მის ლიტერატურული და მთარგმნელობითი საქმიანობის ხასიათს ეპოქის კულტურულ-ისტორიული, იდეოლოგიური და ლიტერატურული მოთხოვნებიანი განაპირობებენ.

უკვე თარგმნილი თხზულების ხელახლა თარგმნას მთარგმნელმა მაშინ შეიძლება მოჰკიდოს ხელი, როცა თარგმანი შესრულებულია არა იმ ენიდან, რომელზედაც შექმნა თხზულება, ან როცა დედანი ქართველი მთარგმნელის მიერ შემოკლებულია ან გავრცობილი და ამიტომ თარგმანს ის სიღრმე და სიცხადე არა აქვს, რაც დედანში ჰქონდა. ასეთი თარგმანები თუნდაც ღრმად პატივისცემ მწიგნობრებს, „*თარგმანების წყაროდ და ძირად*“ წოდებულ მამებს, ექვთიმე და გიორგი ათონელებს, ეკუთვნოდეს, მაინც უნდა ითარგმნოს ხელახლა, რომ არც „*ბერძენნი გუაყუედრიდენ*“ და არც ქართველნი, „*კუალად შემდგომნი მეცნიერნი ბერძულისანი*“, რომლებიც „*მაბრალელებელ გუექმნებოდეს გამოუძიებლად დანერისათჳს სიტყუათაჲსა*“ (ეფრემ მცირე 2009:206).

ძველი მთარგმნელებისა და თარგმანებისადმი შუა საუკუნეების ქართველ მთარგმნელთა დამოკიდებულების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტი ეფრემ მცირის ერთი კოლოფონიდან², რომელშიც შეიძ-

1 ეფრემის მეტაფორული განმარტებით, „*მაშინ ჩვენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩულ*“ და *სწორედ ამ „სიჩრების“ გამო ვერ შეძლებდა „მტკიცე საზრდელის მიღებას“*, ამიტომაც ექვთიმე ათონელი, რომელიც, ეფრემის თქმით, ქართველ მკითხველს „*სძითა ზრდიდა და მხალითა*“, მას „*წყლით განზავებულ*“, ანუ ერთგვარად ადაპტირებულ, შემატება-კლების მეთოდით თარგმნილ თხზულებებს აწვდიდა, რამაც მალე ქართველები შემდგომი ეტაპისთვის („*მტკიცე საზრდელისა მიღებისთვის*“) მოამზადა, როცა მთარგმნელს გაუზავებლად და გაუმარტივებლად შეეძლო ეთარგმნა „*ღრმა და გულისწყმისაყოფელი*“ ბერძნული წიგნები.

2 ეფრემის ეს ე. წ. „*თავისა ანდერძი*“ დაწერილია გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა 16-სიტყვიანი კრებულისათვის (იხ. ეფრემ მცირე 2009: 225; თვალთვაძე 2009:112-129).

ლება ითქვას, რომ ძველ ქართველ მთარგმნელთა მთარგმნელობითი ეტიკეტია ჩამოყალიბებული: „შემდგომნი თარგმანნი პირველ დამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებით და ვითარცა ღმრთისად, ეგრეთვე ჩუენთა უწინარესთად შევჰრაცხთ მადლსა მას და მათსა მეოხებასა ძალმნედ ვიჭუმევთ, ვითარცა ყოველთა წმიდათასა; ამით განვისწავლებით, ამით ვთარგნითცა. არა როდენ ჩუენი ღირსებაჲ იყოს, არამედ როდენ მათმან და ყოველთა ძმათა და მამათა ჩუენთა ქართველთა ლოცვამან მოგუანიჭოს; ხოლო უკუეთუ მათთა თარგმნილთაცა შინა რაჲმე ვიხილოთ დაშთომილად, ანუ სისწრაფისაგან, ანუ დედისა და თარგმანთა ვერ პოვნისაგან, ანუ შემდგომთა გარდამწერელთა განწყუნისა, მას არა ჩუენგან, არამედ სხუათა მიერ საანჯმნო ქმნილსა, შემდგომად სხუათა მიერისა იძულებით დიდითა გამოკითხვითა და მრავალთა წიგნთა და მოძღუართა თანა მიმოსლვითა, შიშით და ძრწოლით ვიკადრებთ განმართებად“.

ლიტერატურა

- ბეზარაშვილი 2012** – ქ. ბეზარაშვილი, ბიზანტიური და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე, წიგნი III, თბილისი, 2012;
- ბეზარაშვილი 1989** – ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „klemasiss“ ახალგამოვლენილი ქართული ვერსია, „macne“ (ელს), 1989, №3;
- დანელია 1983** – კ. დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1983;
- დობორჯგინიძე 2012** – ნ. დობორჯგინიძე, ლინგვისტურ-ჰერმენევტიკური მეტატექსტები, პრაქტიკული გრამატიკა და ჰერმენევტიკა X-XIII საუკუნეების ქართულ წყაროებში, თბილისი, 2012;
- თვალთვაძე 2009** – დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009;
- თვალთვაძე 2015** – დ. თვალთვაძე, ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი: ჟურნალი „სპეკალი“ №9, 2015. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/9/90> ;
- კეკელიძე 1980** – კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980;
- მელიქიშვილი 2009** – ნ. მელიქიშვილი, ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 2009;
- მენაბდე 2001** – ლ. მენაბდე, ძველი ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, ლიტერატურული ძიებანი, 2001, 21;
- მიმონოშვილი 1966** – რ. მიმონოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბილისი, 1966;
- ქაჯაია 1992** – ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ქართული თარგმანები, თბილისი, 1992;
- შანიძე 1981** – ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1981;
- ხინთიბიძე 1968** – ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბილისი, 1968;

წყაროები

- ბასილი დიდი**, ექუსთა დღეთაჲ (გიორგი მთაწმიდლის თარგმანი), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბილისი, 1947;
- გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები** Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica I, Orationes, I, XLV, XLIV, XLI, ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava, M. Chanidze (Corpus Christianorum. Series Graeca, 36. Corpus Nazianzenum, 5), Turnhout-Leuven, 1998; Versio iberica II, Orationes XV, XXIV, XIX. ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, M. Machavariani, N. Melikichvili, M. Raphava (Corpus Christianorum, Series Graeca, 42, Corpus Nazianzenum 9), Turnhout – Leuven, 2000; Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica IV, Oratio XLIII, ed. a B. Coulic, H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava (Corpus Christianorum. Series Graeca, 52. Corpus Nazianzenum, 17), Turnhout-Leuven, 2004; Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica V, Orationes XXXIX et XL, ed. a B. Coulic, H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, M. Raphava (Corpus Christianorum. Series Graeca, 58. Corpus Nazianzenum, 20), Turnhout-Leuven, 2007;
- გიორგი მთაწმინდელი**, სახარება-ოთხთავის თარგმანზე დართული ანდერძი: ა. შანიძე, ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში, თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1981;
- გრიგოლ ნოსელის** „კაცისა შესაქმისათჳს“, თარგმანი გიორგი ათონელისა. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“ X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ, თბილისი, 1964;
- ეფრემ მცირე**, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა სრული კრებულის ანდერძი: დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, 2009;
- ეფრემ მცირე**, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა კრებულის თარგმანზე დართული ანდერძი: დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009;
- ეფრემ მცირე**, იოანე დამასკელის გარდამოცემის თარგმანისთვის დაწერილი წინასიტყვაობა: დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009;
- ეფრემ მცირე**, შესავალი ფსალმუნთა თარგმანებისა, დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009;
- ეფრემ მცირე**, „გრიგოლ საკვირველმოქმედის ცხოვრების“ თარგმანზე დართული ანდერძი: დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009;
- ეფრემ მცირე**, სამოციქულოს თარგმანების წინასიტყვაობა: დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი, 2009;
- იოანე დამასკელი**, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ, თბილისი, 1976;
- იოანე სინელის** „კლემაქსი“, იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1968;
- ქართული ოთხთავის** ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ), რედაქტორი და გამომცემელი ა. შანიძე, თბილისი, 1945;
- ქართული ოთხთავის** ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979;
- შატბერდის კრებული X** საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979;
- ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმიდელისა**: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, (XI-XV სს.), ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1967.

მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სირცხვილის გამომხატველი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველური ემპირიული მასალის მიხედვით

სირცხვილის გაგება განსხვავებულია სხვადასხვა ეთნოსებსა და ხალხებში. ის სხვადასხვაგვარად აღიქმება არა მხოლოდ სხვადასხვა კულტურაში, არამედ სხვადასხვა პერიოდის ერთსა და იმავე კულტურულ სივრცეში. სირცხვილის მნიშვნელობა ქართულში დაკავშირებულია სინდისსა და ნამუსთან. სინდისი საკუთარი საქციელის ავ-კარგიანობის შინაგან შეფასებას, საკუთარი ყოფაქცევისათვის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას, პატიოსნებას აღნიშნავს (ქეგლ-ი 1986:408). საბას განმარტებით სირცხვილი „შიში ბილწებისა რისამე საქმესა ზედა და არცა ესე უსასო არს ცხოვრებისაგან“ (ორბელიანი 1993:303). სირცხვილის სახელდება დაკავშირებულია ადამიანის სხეულის ნაწილთან - ცხვირთან. სირცხვილს არნ. ჩიქობავა ცხვირთან აკავშირებს, სადაც ცხვრ // ცხუ-ირ ცხუ ძირია, ხოლო ირ - სანარმოებელი სუფიქსი: „ცხუ-ირ-: მდრ. ჰ-რ-ცხუ-ენ-ა... ა-რ-ცხუ-ენ-ს... სირ-ცხხლ- ... უ-რ-ცხხნ-ო...“ (ჩიქობავა 1942:82). ქართულში ადამიანის სასქესო ორგანოების აღსანიშნავად გამოიყენებენ ლექსიკურ ერთეულს *სასირცხვო* ან *სასირცხვო ადგილები*. მეგრულში ონჯლორე, სირცხვილის გარდა, ნიშნავს ასევე სასირცხვოზე ასაფარებელს (ქობალია 2010: 540). აღსანიშნავია, რომ უცხვირპიროს ქართულში უწოდებენ ადამიანს, რომელსაც სინდისი არ აქვს, არაფრის რცხვენია. სირცხვილის ცხვირთან დაკავშირება შესაძლოა ძველი ქართული სასჯელის მიხედვით, რომელსაც ქმარი მოლაღატე ცოლის დასასჯელად იყენებდა. ეს წესი გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში, სამეგრელოში; ვისაც სასახლის ქალთან სქესობრივი კავშირი ექნებოდა, ცხვირს აჭრიდნენ. ცხვირის მოჭრა ზნეობრივი შერცხვენა უფრო იყო, ვიდრე ფიზიკური ტანჯვა, რადგან ცხვირი სახის თვალსაჩინო ნაწილია და მისი არქონა სახეს ამახინჯებს (სახოკია 1979:821-822). მეგრულში *ჩხვინდიშ მოკვათუა* ნიშნავს ცხვირის მოკვეთას, სასჯელის ფორმას მოლაღატე ცოლების დასასჯელად (ქობალია 2010: 679). სასირცხვილო საქციელის ჩამდენს ხშირად ასე მიმართავენ, შეგირცხვეს ცხვირიო. უნამუსო, უსინდისო ადამიანს ხშირად უცხვირპიროს უწოდებენ. ქართულში სირცხვილის ფუძისგან ნაწარმოები შერცხვენა შეურაცხყოფას, გაუპატიურებას, სახელის გატეხას ნიშნავს. შეურაცხყოფილ ადამიანს შერცხვენილს უწოდებენ. „წარმოების მიხედვით სირცხვილის ლექსიკურ ბუდეში გაერთიანებული ლექსიკური ერთეულები შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს: 1) რცხვ- ფუძით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები: სირცხვილი, რცხუნა, დარცხვენა, დარცხუნა, დარცხვენილი, სამარცხვინო, მარცხუნელი, მორცხვობა, მორცხუე, მორცხუედი, შერცხვენა, შერცხუნა, შერცხვენილი, შესარცხვენი, შეურცხვენილი, სარცხვინელი, სასირცხვილო, სასირცხვო, სირცხვილეული, ურცხვი, ურცხვობა, უსირცხვილო, უსირცხვილობა, უსირცხვო, უსირცხვობა, სასირცხვენე, სასირცხვნო, სასირცხვენელი; 2. როდესაც ლექსიკური ერთეულის პირველ კომპონენტს წარმოადგენს სიტყვა

სირცხვილი: სირცხვილ-ნამუსი, სირცხვილნაჭამი, სირცხვილდაკარგული“ (ია-კობიძე 2015: 61).

სალიტერატურო ქართულთან მიმართებით უაღრესად საინტერესოა როგორც სირცხვილის კონცეპტი ზოგადად, ასევე სირცხვილის გამომხატველი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველურ ენებში;

მეგრულსა და ლაზურში სირცხვილის აღმნიშვნელია ლექსემა **ონჯლორე**, რომელიც ცალკე ერთეულადაც გვხვდება წინადადებებში და შესიტყვების წინადადაც. მაგ. მეგრულში: **ონჯლორე** - სირცხვილი; **ონჯლორე უჩქუ** - რცხვენია (სირცხვილი იცის), იმავე მნიშვნელობისაა **ონჯლორე აფუ** - სირცხვილი აქვს, **ონჯლორეთ ღურუ** - სირცხვილით კვდება; **ონჯლორეშ ნავილა** - სირცხვილით მკვდარი (სირცხვილის მოკლული); **ონჯლორე ვა ჭკუმას** - არ შერცხვეს (სირცხვილი არ ჭამოს) და ა.შ. მეგრულში სირცხვილის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებიც გვხვდება. მაგ., **დუს ლაფი გენუმილი** - თავს ლაფდასხმული (შერცხვენილი); **ცვაეკორჩხილი/ცვაგორჩხილი**, -- უსირცხვილო; **ცვაელასირქილი** - შუბლატლეკილი; გადატ. უსირცხვილო; **ცვაიკორჩხილი /ცვაგორჩხილი**, -- ურცხვი, უტიფარი, უსირცხვილო; **შერცხუნილი** - შერცხვენილი; **შერცხუნილიში გორჩქინელი (სქუა)** შერცხვენილის გაჩენილი (შვილი); // გადატ. სამარცხვინო;

- (1) **ჩქიმო ონჯლორე ლე** (ყიფშ., 7) „ჩემთვის სირცხვილი არის“;
- (2) **უონჯლორეს უონჯლორე მოოუნსია** (ხალხ.სიბრ., 134) „უსირცხვილოს უსირცხვილო მოჰყავსო“;
- (3) **გათხუალა გოკო, მარა ონჯლორე გიჩქ რაგადიშა** (სამუშ., 30) „გათხოვება გინდა, მაგრამ თქმის გრცხვენია (სირცხვილი იცი)“;
- (4) **ცუდეს ვა გააცხადდ ონჯლორეშენი** (ყიფშ., 27) „ამ ბიჭმა სახლში არ თქვა (გააცხადა) სირცხვილის გამო (სირცხვილისათვის)“;
- (5) **ონჯლორეშ ნავილა კოჩი მის უძირუნია** (დან., ცან., 116) „სირცხვილის მოკლული კაცი ვის უნახავსო“;
- (6) **ვებდე, ონჯლორე მაფუ** (ხუბ., 33) „რომ არ ნავიდე, მრცხვენია (სირცხვილი მაქვს)“;
- (7) **ონჯლორეთ მიმორჩქედ დო ნგარას მითას ვოძირანდი** (მასალ., 108) „სირცხვილად მიმანდა და ტირილს არავის (არ) ვაჩვენებდი“;
- (8) **დოღურუ ონჯლორეს უნჩაში სინჯაქ** (ყიფშ., 100) „ძალიან შერცხვა (სირცხვილით მოკვდა) უფროსი სიძე“;
- (9) **ენა ვარე საონჯლორო** (ეკური, 382) „ეს არ არის სასირცხვილო“;
- (10) **ადამურს ონჯლორექ დააგურუ** (ხუბ., 275) „ადამურს შერცხვა (სირცხვილი მოენიჭა)“;
- (11) **ონჯლორე ვამოძირავა** (ყიფშ., 44) „არ შემარცხვინო“.
- (12) **მა ქორთხინთ, ონჯლორე ვაჭკომათინი** (აჭარ. დიალექტ ლექსკ., 67) „მე გთხოვთ, რომ არ ჭამოთ სირცხვილი“;
- (13) **ათეცალი ცვაგორჩხილი კოჩი ვამიძირუ** -- „ასეთი შუბლგარეცხილი კაცი არ მინახავს“;
- (14) **დუდჭკირილი მაფუ თინკმა დო იში ძირაფა ღურაცალო ვამოკო** -- „შერცხვენილი ვარ (თავი მოჭრილი მაქვს) მასთან და იმისი ნახვა სიკვდილის მსგავსად არ მინდა“;
- (15) **თექი გერდი, ურჩქილენი, სი დუსლაფი გენუმილი!** – „იქ იდექი, უყურებდი, შე თავსლაფდასხმულო!“

(16) **დუს ლაფიქ გინგონუ** (ქსს, 1, 311) – „თავს ლაფი დაგესხა“.

ლაზურში: **ონჯლორე** - „სირცხვილი“, **ონჯლორე ავენ** - რცხვენია („სირცხვილი ექმნება“; **ონჯლორეს გეტალა** - „სირცხვილში“ **ონჯლორე გეიტალამს** - „შეგრცხვება (სირცხვილში ჩავარდება, სირცხვილი დაეცემა)“; **ონჯლორეთე ღუაღუფე გამჭითასენ** - „სირცხვილისგან ლოყები გაუწითლდება“ და სხვ.

მეგრულ-ლაზურში **ონჯლორ** ძირისგან ინარმოება სახელური და ზმნური ფორმები: მეგრ.- **უონჯლორო** (უსირცხვილო) და **საონჯლორო** (სამარცხვინო), **ოონჯლორუ** (რცხვენია)... ლაზ. - **ონჯლორიანი** (დარცხვენილი, სირცხვილიანი), **უონჯლორიარ** (უსირცხვილო)...

ლაზურში სირცხვილის აღმნიშვნელი სხვა ლექსემებიც მოგვეპოვება, მათ შორის ხშირად ბევრი ნასესხები სიტყვა გვხვდება: **კვანტერი** შემცბარი, დარცხვენილი, შემკრთალი, შეძრწუნ-ებული, **კვანტერ-კვანტერი** დარცხვენილი (დარცხვენით), **მოჭიბრერი** „დარცხვენილი, ჩუმად მყოფი“, **მოჭიბრუ** „დარცხვენა, ჩუმად ყოფნა, მორიდება“, **ნოსაბი** „მორცხვი, ნაზი“, **ჩანჩობა** „ურცხვი, უტიფარი საუბარი“; **აიბი** (თურქ. ayip) სირცხვილი, **აღლი** (თურქ. arli) მორცხვი, **არი** (თურქ. ar) სირცხვილი, **არლი** (თურქ. arli) სირცხვილიანი, მორცხვი, **არსუზი** (თურქ. arsız) უზრდელი, უსირცხვილო, **თუხმი** მორცხვი, **აზულოლსუნ** (თურქ. yazukolsun) საცოდაობისათვის, შეგირცხვეს თავი, **რეზილი** (თურქ. rezil) სამარცხვინო, შერცხვენა, **რუსვაი** (სპარს.-თურქ. rüsvay) შერცხვენა, განბილება, სახელის გატეხვა, თავის მოჭრა, **ქეფაზე** (თურქ. kefaze) შერცხვენილი...

(17) აქ დოხუნუ **ონჯლორე** ვა რენი სქანდა, ომ კოჩის (კოჩიმ) ბედელი-ნარე? (ყიფშიძე, 11) – „აქ დაჯდომა სირცხვილი არ არის შენთვის, ასი კაცის ბადალი რომ ხარ?“.

(18) ალ ოლსუნ ბოლაქი სიჯას **ონჯლორე ავუ!** (ჩიქობავა, 6) – „საბრალო სიძეს, ნეტავი, შერცხვა!“

(19) „**ონჯლორეს** მოთ **გემიტალითა**“ (ყლენტი, 121) – „სირცხვილში რატომ ჩაგვაგდეო“.

(20) მუშე კალსა **ონჯლორე ვარ გეეტალაფს** (ყიფშიძე, 48) – „მას რაც შეეხება, სირცხვილში არ მოიტოვებს (არ ჩააგდებს)“.

(21) ჰენთეფეს **ონჯლორე ავენს**, ლაქინ კაპულა ქონირეს (ყლენტი, 125) – „მათ შერცხვათ, იმიტომ რომ ზურგი უჩვენეს“.

(22) მუთიშე **ონჯლორე ვარ მააენან** (ყიფშიძე, 75) – „რაიმესი სირცხვილი არ გვექნება (არაფრის არ შეგვრცხვება)“.

(23) ბოზო დიდო **ონჯლორიანი** რენ (თანდ., 612). – „გოგო ძალიან მორცხვია“.

(24) ბაზი **ონჯლორრარი** ივენ ნეზული (ყიფშიძე, 47) – „ზოგი მორცხვი იქნება (ზრდილობიანი, მორიდებული), ნაზი“.

(25) ა ბერეს ჰირ **აიბი** ვარ უჩქინ (თანდ., 6) – „ამ ბავშვმა სრულებით სირცხვილი არ იცის“.

(26) კოჩი მციქა **აღლი** ტასინონ (თანდ., 10) – „კაცი ცოტა მორცხვი უნდა იყოს“.

(27) ბერე ეკო **არსუზი**, ეკო ელამცქევი იყვერეტუ-ქი... (ჩიქობავა, 77) – „ბავშვი ისეთი უზრდელი (უსირცხვილო), იმდენად განებივრებული გამხდარიყო, რომ...“.

(28) **აზულოლსუნ**, ბოლაქი სიჯას **ონჯლორე ავუ!** (ჩიქობავა, 67) – „საცოდავია (თავშერცხვენილი), სიძეს რცხვენია“.

(29) ბაბა მუშის-თი პატი ქოდანონუ: „ბოზო ჩქიმიქ რეზილი დომნოფხუ“-
ა (ჟღენტი, 123)– მამამისსაც ეწყინა: „ჩემმა ქალიშვილმა უნამუსო გამხადაო
(შემარცხვინაო)“.

(30) „ჩქუ ჰანი ქეფაზე სო ბიდათენ?“ (ყიფშიძე, 36) – „ჩვენ ახლა
შერცხვნილი სად უნდა ნავიდეთ?“

მ. ჩუხუამ მეგრულ-ლაზურ **ჯღორ** ძირს მოუძებნა ქართული შესატყვისი
ძრახ: „ქართ. **ძრახ-**, **ძრახ-**ვ-ა, **ძრახ-**ავ-ს, ნა-**ძრახ-**ი, სა-**ძრახ-**ავ-ი, სა-**ძრახ-**ი,
სა-**ძრახ-**ისი-ი. ზან. (მეგრ.) **ჯღორ-**, მ-ო-ო-**ნჯღორ-**უ(ნ) „მესირცხვილება“,
ო-**ნჯღორ-**ე „სირცხვილი“, სა-ო-**ნჯღორ-**ო „სადრახისი“, ჭან. **ო-ნჯღოქ'**-ე
„id“. რუსთველისეულ ნა-**ძრახ-**ში აშკარაა სასირცხვილოს შინაარსი (სჯობს სი-
ცოცხლესა **ნაძრახსა...**). მეგრულში შესატყვისი ზმნური **ჯღორ** დაკარგულია;
მისი არსებობის კვალი ჩანს ო-(ნ)ჯღორ-ე ნაზმნარ სახელში, რომელიც ქართუ-
ლი სა-ძრახ-ავ-ი-ს იდენტურია სტრუქტურულ-სემანტიკურად (შდრ.ნასახელა-
რი ზმნა მ-ო-ო-ნჯღორ-უ(ნ))“ (ჩუხუა 2000–2003:348). სვანურში ქართულისა
და ზანურის შესატყვისი ძირი ვერ იძებნება.

სირცხვილის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში აერთიანებს შემ-
დეგ ლექსემებს: **შგუირ** „სირცხვილი“, **შგურწლ** „სირცხვილიანი, **ლუშგუირ**
„მორცხვი“, **ლიშგურწლ** „სიმორცხვე, მორცხვობა“, **ლეშგუირ** „სამარცხვინო,
სასირცხვილო, შემარცხვენელი, შესარცხვენი; ვინც, რაც სირცხვილს იწვევს“...
სვანურში გვხვდება სირცხვილთან დაკავშირებული შემდეგი ფრაზეოლოგია:
ლეშგუირდმესდე „შერცხვენელი“, **კინჩხი ქუწცა** „თავის (კისრის) მოჭრა“,
კინჩხილექცე „თავმოსაჭრელი“, **საყობელდ მესდე** „სამარცხვინოდ ქმნილი,
შერცხვენილი“, **ღირსებამეკდე** „პატივაყრილი“, **შგუირიყახე** „სირცხვილ-
ნამუსი“, **უხიშკა** „უხიაგი, მდგომარეობა, როდესაც ადამიანს არაფრის
რცხვენია“, **გიმს ლიყფენე** „მინასთან გასწორება“, **გიმს ლყფენე** „მინასთან
გასწორებული, შერცხვენილი“, **მიშგუ ფაყუ გიმს უუ ხაიხა, ჰენსა შგურწლ ოსე**
„შერცხვენილიყავი, ჩემი ქუდი მინასამც დანარცხებია, თუკი სირცხვილნაჭამი
დავრჩე“, **ყორქა ლაწდ ჟიმეშდხე ხარ** „თავლაფდასხმული, ლაფდასხმული, რაც
საჯაროდ შერცხვენილს, შეურაცხყოფილს ნიშნავს“, **უშგურწლა** „სირცხვილის
არმცოდნე“, **კინჩხიმუქუწცე** „მარცხუენელი“...

(31) **შგუირიყახალა თხუიმ ხარ ქა ლგდე** (ექსპედიც. მასალები); „სირცხვილ-
ნამუსისთვის (სირცხვილ-სახელზე) თავი გადადებული აქვს“;

(32) **ლიბოფშია ლიშგურწლ ლიხოშთი ქა ახჭამ** (ექსპედიც. მასალები);
„ბავშვობის სიმორცხვე დიდობამიც გადმოჰყვა“.

სირცხვილის კონცეპტის ამსახველი ლექსიკა საინტერესოდ არის წარმოდ-
გენილი ქართველურ ენათა ლექსიკონებსა და ტექსტურ გამოცემებში:

(33) ქორა ღვაჟერ ფაყვარს დემის იკედხ ლაგვანაჟინ ი ლაშდიღვჟინ, ალეჩი
ლანშან ლერე, ღვაჟარ **შგურწლ** ლიხ ი ოდე დო ჩვანდნორეხ მინე ლგდვარს,
ერქად ფაყვარს დემის იკედხ... (სვან. ენ. ქრესტ. 1978:46) „ოჯახის მამაკაცები
ქუდმოუხდელეები არიან („ქუდს არ იხდიან“) დატირებისას და დაკრძალვისას,
ეს კი იმის ნიშანია, რომ მამაკაცები შერცხვენილები („სირცხვილიანები“) არიან
ვიდრე არ იძიებენ შურს („არ ისისხლებენ მკვდარს“), მანამ ქუდებს არ მოიხდი-
ან...“;

(34) „ალ ბეგარ ჩი ზურწლს ხაგად ი ალა მამ **ხოშგურს**, ჰნლ ჭაშვხანქა
ლილნავ (სვან. ენ. ქრესტ. 1978:41) „ეს ბეგარა ყველა ქალს ჰმართებს და ეს
სულაც არ რცხვენიათ, ისევე როგორც ფეხმძიმობა მეუღლისაგან“.

შგჟირიჟახე ზს. **შკჟირ ი ჟახე** ლნტ. – სირცხვილ-ნამუსი, (სირცხვილი და სახელი). **შგჟირიჟახე** ჩუოლზ რრთიშურა (ბქ. 210) სირცხვილი და ნამუსი ერთმანეთისგან გაგერჩიოს (თოფურია, ქალდანი 2000:813). **შკვირ უშკვირი** „სირცხვილ-ნამუსი“, **შკვირ ულშკვირა** „უსირცხვილო ადამიანი“ (ლიპარტელიანი 2014:267);

როგორც ცნობილია, კონცეპტი აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხის სემანტიკური წარმონაქმნია და წარმოადგენს აზრის ვერბალურ გამოვლინებას. კონკრეტული სახელის წარმოთქმისას ადამიანებს ამ საგნის სრულიად განსხვავებული ფორმები უჩნდებათ ცნობიერებაში, აბსტრაქტულ სახელებთან მიმართებით კი სურათი სრულიად სიურეალისტურია, მით უფრო, თუ ეს სიტყვა, ამავე დროს, კონცეპტიცაა. ასეთ შემთხვევაში რთულდება სიტყვა-კონცეპტის ერთი ძირითადი მნიშვნელობის დადგენა და მას იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენი ადამიანიც წარმოთქვამს მას. კონცეპტის აზრის გასაგებად საჭირო ხდება ამ ენაზე მოლაპარაკეთა კოლექტიური ცნობიერების ანალიზი, ანუ როგორი და როგორი მნიშვნელობით იყენებენ ამ სიტყვას, როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამოსატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქეტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ სიტყვათშეხამებებსა და ფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე, ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში. ამ კუთხით ძალზედ საინტერესო აღმოჩნდა ქართველურ ენათა მონაცემებზე დაკვირვება სირცხვილის კონცეპტის შესწავლის მიზნით.

სირცხვილის კონცეპტი ქართველურ ენებში – სვანურის, მეგრულის, ლაზურის ენობრივი მონაცემები სირცხვილთან დაკავშირებული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიზმების თვალსაზრისით ტიპოლოგიურად რამდენადმე განსხვავებულია სალიტერატურო ქართულისაგან. როგორც საუკუნის წინ გამოცემული სვანური, მეგრული, ლაზური ტექსტების შესწავლისა და თანამედროვე ცოცხალ მეტყველების მონაცემების შედარების საფუძველზე გამოიკვეთა ქართველური ენები სირცხვილის კონცეპტის ამსახველი ლექსიკის თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის შემცველია. სვანურის, მეგრულისა და ლაზურის ეს მონაცემები საინტერესოა როგორც სტრუქტურა-აღნაგობის, ასევე სიტყვანარმოებითი მოდელების, ეტიმოლოგიების, სემანტიკური ნიუანსების თვალსაზრისით. წინასწარი კვლევის საფუძველზე, სალიტერატურო ქართულთან მიმართებით იკვეთება საინტერესო სემანტიკური ნიუანსები.

ლიტერატურა

- ასათიანი 2012** – ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2012;
- დიუმეზილი 2009** – ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, (მ. ბუკიად დამუშავებული ქართულად, ლექსიკონით), თბილისი, 2009;
- თანდილავა 2013** – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013;
- თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000;
- იაკობიძე 2015** – ნ. იაკობიძე, ემოციის აღმნიშვნელ აბსტრაქტულ სახელთა სემანტიკა ქართულსა და გერმანულ ენებში, თბილისი, 2015;
- კოდორული ქრონიკები 2007-2010** – ი. ჩანტლაძე, რ. იოსელიანი, ქ. მარგიანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. სალღიანი, კოდორული ქრონიკები, თბილისი, 2007-2010;
- მარი 1910** – Н. Маррь, Грамматика чанского (лазского) языка, С-Пб, 1910;
- მასლოვა 2001** – В. А. Маслова Лингвокультурология. М., 2001;

Телия 1996 – В.Н. Телия, Русская Фразеология. Семантический, прагматический и лингвокультурологический аспекты. М. 1996;

რამიშვილი 1995 – გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბილისი, 1995.

წყაროები

სვანური ენის ქრესტომათია (ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა, ზ. ჭუმბურიძემ), თბილისი, 1978;

სამუშია 1979 – კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით), თბილისი, 1979;

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990;

ქაჯაია I-IV – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2001-2006;

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986;

ჩიქობავა I – არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, ტფილისი, 1029;

ჩიქობავა II – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936;

მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003;

ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1994;

მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937.

იგორ კეკელია

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის

„აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ მოხსენიებულია სოფელ გუფუში მცხოვრები ყმა-გლეხის ბეგარა-გადასახადები: „მართებს გუფუს მახუს ვარდანიას საპურობო ქანდაქი ..., ბეგარაჲ 5 კოკა ღვნო, სამის დღის მუშაობაჲ, ლაშკრობაჲ და სამსახური“ (კაკაბაძე 1914:38). აქ იგულისხმება ოჩამჩირის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, ლალიძგის მარჯვენა ნაპირას მდებარე სოფელი **გუფუ**, რაც თემის ცენტრია და აერთიანებს სოფლებს: საკუთრივ გუფუს, აგვავერას, აკვასკიას, აჯამფაზრას, ზაგანს, ფადგუს და ჩანვქითს. სოფელი ზ. დ. 170 მ-ზეა და ოჩამჩირეს დაშორებულია 14 კმ-ით (ქსე, III, 1978:320). გუფაგუ აგრეთვე სოფელია ოჩამჩირის რაიონში, კოდორის ქედის სამხრეთ მთისწინეთზე, მდ. მოქვის მარცხენა ნაპირას. წარმოადგენს არასაძიხის თემის ცენტრს. თემში შედის გუფაგუ, არასაძიხი და მეორე არასაძიხი (ქსე, III, 1978:320). ვ. ზუხბაიას მსჯელობით, სოფელი ადრე ქართულ სახელს – **გუბს** ატარებდა. სახელწოდება ამ ფორმით დასახელებული აქვთ დიუბუა დე მონპერეს და კუდრიავცევს (ზუხბაია 2000: 80). **გუფი//გუბი** მეგრულში აღნიშნავს გუბეს. **გუბანა** იგივეა, რაც „ტბორი, გუბე, დაგუბების ადგილი“; **გუბორი** ეწოდება „შემადლებულ წყლისპირს“, „საგუბარს, გუბურას“; **გუფილი** „დაგუბებულია“, **გუფუა** – „გუბვა, დაგუბება“; „ბლომად სმა (პირში ჩაგუბებით)“ (ქობალია 2010:218,231). შდრ. „ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით თალია-

ნი ფორმის, ლერწმისაგან „შეკერილ“ ნავს **გუფა** ეწოდება (ქელ 2009: 34). „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ **გუბე** განმარტებულია, როგორც მცირედ ჩაღრმავებულ ადგილას დამდგარი წყალი. შდრ. **გუბე** – უბანი თხილაგანში (ჩოხატაურის რ.); **გუბი** – ტყე ზემო აკეთში, ციხისფერდსა და აცანაში; ჩავარდნილი ადგილი ჯიხანჯირში (ლანჩხუთის რ.)...

ვახუშტი ბატონიშვილი საყურადღებო ცნობებს გვანვდის დადისწყლისა და ეგრისწყლის ხეობების საისტორიო გეოგრაფიის საკითხებზე: „კუალად ამ ეგურის ჩდილოთ დის დადისწყალი, წოდებული დადის დაბის გამო. გამოსდის მასვე აღმოსავლეთით კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღუას. ამ დადისწყლის ჩდილოთ დის ეგრისისწყალი, წოდებული ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და მიერთვის ზღუას ილორს. ჯოლო ზღვს კიდეზედ, ამ წყლის დასავლით კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქსა, და უძეს სამჭრით ზღუა და ჩდილოთ ველი“ (ვახუშტი, IV, 1973: 779).

ისტორიკოსის თქმით, დაბის სახელწოდებაა **დადი**, რამაც სახელი მისცა ენგურის ჩრდილოეთით მომდინარე **დადისწყალს**. ვახუშტის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე მოცემულია მდინარის დინების მიმართულება აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. სახელდებული მდინარე, ვახუშტის ცნობით, სათავეს იღებს „აღმოსავლეთის კავკასსა“ და უერთდება შავ ზღვას. ვახუშტი დადისწყალს კიდეც აღნიშნავს თავის რუკაზე, მდინარის სათავეში მცირე შენაკადებით, მაგრამ დაბა „დადის“ სახელწოდებით რუკაზე არაა დატანილი. ენგურის ქვემო დინებასა და ლალიძგას შორის მდებარე, XVIII ს. I მეოთხედიდან **სამურზაყანოდ** სახელდებული (ძირითადად გალის რაიონი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის ტოპონიმთა ანალიზიც ცხადყოფს, რომ მდინარე „დადისწყლის“ და დასახლებული პუნქტი „დადის“ სახელწოდებით ამ მხარეში სადღეისოდ არ დასტურდება. ვახუშტის „აღწერაში“ დამოწმებული ჰიდრონიმები – „დადისწყალი“ და „ეგრისწყალი“, -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით უნდა იყოს წარმოებული. მეგრულ-ჭანური შესატყვისი კი უნდა ყოფილიყო **დადიშწყარი// დადიანწყარი და ეგრიშწყარი//ეგრიანწყარი**.

აქვე ორიოდე სიტყვით შევეხებით ჰიდრონიმ „დადისწყლის“ მოტივაციას. აკაკი ჭანტურიას ავტორობით გამოცემული მეგრული ანთროპონიმის მასალებიდან ირკვევა, რომ **დადა, დადეი, დადია, დადეუ, დადეუა, დადი** და სხვ. მისთ. გავრცელებული პირსახელები იყო სამეგრელოში (ჭანტურია 2006: 2). ალ. ლლონტის მიერ გამოცემულ ანთროპონიმთა ლექსიკონში მამაკაცთა სახელებად დამოწმებულია **დადი** (მესტია), **დადა, დადაი, დადავი, დადეუ, დადეუა**, ხოლო ქალთა სახელებად – **დადალი, დადანა, დადარ, დადენა, დადი, დადეუა, დადეული, დავდიუ...** (ლლონტი 1986: 109, 110, 265). საფიქრებელია, რომ მდინარის სახელწოდება ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილ მეგრულ ან სვანურ ანთროპონიმთან იყოს დაკავშირებული. ან სულაც დასაშვებია შემდეგი ფრთხილი ვარაუდიც: **დადიაშ წყარი**→**დადიშწყარი**→**დადინწყარი**→**დადისწყალი** „დადიანის წყალი“; „მდინარე, რაც დადიანის სამფლობელოში მოედინება“.

გავიხსენოთ ოდიშის (სამეგრელოს) დასავლეთი ნაწილის ვახუშტი ბატონიშვილისეული აღწერა: „ამ ეგურის ჩდილოთ დის დადისწყალი წოდებული დადის დაბის გამო. გამოდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღვას. ამ დადისწყლის ჩდილოთ დის ეგრისისწყალი“ და ა. შ. (ვახუშტი, IV, 1973: 779). ამასთანავე, ვახუშტის თქმით, ოდიშის ეპისკოპოსი

„მწყემსი არს ან დადისწყლისა და მოქვისწყლის შუათისა ადგილთა“ (ვახუშტი, IV, 1973:780).

თხზულებიდან ირკვევა, რომ დადისწყლის მარცხენა მხარეს მდებარე საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული წალენჯიხის ეპისკოპოსის მფლობელობაშია. თუკი **ერისწყლისა და ლალიძგის** იგივეობის თვალსაზრისს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ამასთანავე, ოდიშის დასავლეთი ნაწილის გეოგრაფიული ვითარების შესახებ არსებული წყაროთმცოდნეობითი მასალისა და ზემოთ დამონმებული სხვა სახის მონაცემების დისკურსული მსჯელობა-გაანალიზებითაც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საკვლევი ჰიდრონიმის („დადის მდინარის“//„დადისწყლის“) გავრცელების არეალი ენგურ-ლალიძგის შუამდინარეთით იფარგლება (ზემოთ ითქვა, რომ წალენჯიხელის სამწყსო მდ. ენგურის ქვემო დინების მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორიასაც მიითვლიდა).

ვახუშტის ცნობებისა და სადღეისო ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების ურთიერთშედარებით ძალაუვნებურად იმ აზრისაკენ უნდა გადავიხაროთ, რომ **დადისწყალი//დადის მდინარე** ორი შედარებით დიდი მდინარიდან (ერისწყალი, ოქუმი//ობოჯე) ერთ-ერთის უწინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო. მართალია, მას ვახუშტი არც ერთხელ არ ახსენებს, მაგრამ სამაგიეროდ კოლხიდის (ოდიში, სამეგრელო) მდინარეებზე მსჯელობისას XVII ს. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი წერს: „ენგურის იქით არის ხეთი, რომელსაც სიპატარავის გამო რუკებზე არ აღნიშნავენ, თუმცა ღირსშესანიშნავია თევზის სიუხვით; ზღვას შეერთვის გაგიდასთან. ხეთს იქით არის ოქუმი... ოქუმის იქით ეგრისია...“ (ლამბერტი 2011: 201).

ერწყარი ოქუმის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს (ქსე, III, 1978:642); თუმცა გალის რაიონის მცირე სქემატურ რუკაზე, რაც „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილი, ეს მდინარე შეცდომით უშუალოდ მიერთვის შავ ზღვას (ქსე, II, 1977:24; იხ. აგრეთვე ცხადაია 2004:33). ერისწყალი (ერწყარი) სათავეს იღებს **ერთიშუი**. ასე ეწოდება ხეობას და ტყე-საძოვრებს გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარზე. მდინარის ზემო წელი ამ ორი რაიონის საზღვარს წარმოადგენს. **ერწყარპიჯეფი//ზენი** – ასე იწოდებოდა ვაკე-სახნავეები და სამოსახლოები ერწყარის ნაპირებზე, ხოლო მას შემდეგ, რაც მდინარის შუა წელი კაშხლით გადაიკეტა, აღნიშნული ტერიტორია გალის წყალსაცავში მოექცა (ცხადაია, ჯოჯუა 2003: 68).

„ერისწყლის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობს მკვლევარი კ. სამუშია. მისი აზრით, ერისწყალი დადისწყლის მერმინდელი სახელწოდებაა. დადიანთა სამკვიდროში არსებულ მდინარეს ადრიდანვე დადისწყალი უნდა დარქმეოდა, ხოლო საქართველოს გაერთიანებულ სამეფოში დადიანთა თანამდებობრივი უფლებების ამაღლების, კერძოდ, მეფის მრჩეველად დანიშვნის შემდეგ, დადიანები იწოდებოდნენ ერისთავთ-ერისთავებად და მდინარე დადისწყალსაც შეიძლება დადიანთა ახალი ტიტულის მიხედვით დარქმეოდა ერისწყალი. მან შეცვალა მდინარის უწინდელი სახელწოდება დადისწყალი, ან ერთიმეორის პარალელურად მდინარეს დადისწყალსაც უწოდებდნენ და ერისწყალსაც (სამუშია 1990:131). მაშასადამე, კ. სამუშია ფიქრობს, რომ ერისწყალი ერისთავისწყლის შემოკლებული ფორმაა, რაც ნაკლებ დამაჯერებელი ჩანს. ვ. ზუხბაია ასახელებს ერისწყალს და პარალელურ ფორმას – **ერთიშინყარი**, და შენიშნავს, რომ ამ მდინარემ სახელი რამდენჯერმე შეიცვალა. II საუკუნეში მოღვაწე მეცნიერი

არიანე მას **სინგამეს** უწოდებს, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი – **ჰეტინყარს**, ვახუშტი ბატონიშვილი – **დადის**, და იქვე დასძენს: ამჯერად მდინარის სახელწოდებაა **ერისწყალი**. „იგი ნამდვილად ამართლებს თავის სახელწოდებას. ერს ემსახურება“ (ზუხბაია 2000:94). არც ეს განმარტებაა რეალური. **ერის** ერთ-ერთი მნიშვნელობაა მეგრულში „დიდი სიმრავლე, მრავალრიცხოვნება“. შდრ. **ერებამი** „ერიანი, დიდი ოჯახის პატრონი“; **ერები** „ერობა, ერი, დედაბუდე, თესლ-ჯილაგი; საბადისი, დიდი რაოდენობა ხალხისა; ე. წ. **ერიანი ოჯახი**, დიდი გაუყრელი ოჯახი დედამამიშვილებისა ან ბაბუიშვილებისა; დიდი ოჯახი მთელი თავისი ქონებით და საქონლით“ (ქობალია 2010: 283).

ჩვენ საგულისხმოდ მიგვაჩნია **ერწყარის** ა. ქობალიასეული განმარტება: „დიდი წყალი, წყალუბვი მდინარე“ (ქობალია 2010: 284). შდრ.: **ერწყარო** – წყარო ნავენახევში (საქ. ტოპ., III, 2003: 102).

ცორკა – ასე ეწოდება ზღვისპირა საძოვარსა და ყურეს გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზე. სახელდებული ობიექტი მოიცავს ოხურეინყარის, იგივე ანარიანყარის 10-11 კმ-იან მონაკვეთს, ჯოყობასთან შეერთების შემდეგ, შავ ზღვამდე. იგი ორ სოფელს – მეორე გაგიდასა და ნაგვალოუს შორის საზიარო ტერიტორიაა (ცხადაია, ჯოჯუა 2003: 201). აქვე მინდორს **ცორკამ ნაზავოდ** ეწოდება, სადაც უნინ სახერხი ქარხნის (რუს. „ზავოდ“) არსებობას მიუთითებენ. ჭაობს სოფ. მეორე გუდავაში, ცორკასთან, **ოხაიონა//ცორკამ ოხაიონა**, ხოლო ხიდს ცორკაზე **ცორკამ ხინჯი** ეწოდება (ცხადაია, ჯოჯუა 2003:136, 201). ტოპონიმ „ცორკას“ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას წიგნში არაფერია ნათქვამი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოულ მეგრულში სიტყვა **ცორიკა** გამოიყენება ჩქერალის, მდინარის ჭრომებიანი ადგილის აღმნიშვნელად. რამდენადაც ცორკად ეწოდება ოხურეინყარის//ანარიანყარის გარკვეული მონაკვეთი, გამორიცხული არაა სახელწოდების დაკავშირება სწორედ მდინარის ჭრომებიანი ადგილის აღმნიშვნელ, ზემოთ დამონმებულ სიტყვასთან. ამასთანავე, შესაძლებელია ტოპონიმი **ცორკა** „პატარას, მცირეს“ მნიშვნელობის შემცველი სიტყვიდან იყოს წარმომდგარი. ეს სიტყვაა **ცორო**. პატარა კალათას, ქოთანსაც ამ მხარეში **ცორობეს** ეძახიან (ქობალია 2010: 685).

ცუმური სოხუმის რაიონის ახალშენის თემში შემავალი სოფელია. მდებარეობს გუმისთის მარჯვენა ნაპირზე, ზ. დ. 250 მ-ზე და სოხუმს 35 კმ-ით არის დაშორებული (ქსე, XI, 1987: 244). ტყით დაფარულ ადგილს ამავე სოფელში აგრეთვე ცუმური ჰქვია. კ. ბერულავას თქმით, უნინ აქ სვანებს უცხოვრიათ, ხოლო უკანასკნელ ხანებში – აფხაზებს. ცუმურის თემს ფეოდალი მარშანიები ფლობდნენ. ვაკესა და ხრამს შორის მოქცეულ ერთ შეღმართზე დგას გაღავნით შემოზღუდული მრგვალი ეკლესია. XVII-XVIII სს-ში, როცა ამ მხარის მოსახლეობა გამაჰმადიანდა, სამღვდლოებას ეკლესიის კარ-სარკმლები ამოუშენებია. კ. ბერულავა ვარაუდობს, რომ ცუმურის ეკლესია თავისი ფორმითა და კონსტრუქციით შესაძლებელია კეისარ იუსტინიანეს დროს (VI ს.) იყოს აშენებული (ბერულავა 1951: 51-53).

ვალერიან ზუხბაიას ვარაუდით, ახალშენის საკრებულოში შემავალი სოფელ ცუმურის სახელწოდება სვანურია: **ცხუმურ** → **ცუმური** (ზუხბაია 2000: 60). გ. გასვიანის აზრით ასეთია: აფხაზეთში **ცხუმ**- ფორმიანი გეოგრაფიული სახელების გავრცელებაზე ცხუმის მახლობლად ტოპონიმ „ცუმურის“ არსებობაც მიუთითებს (გასვიანი 2011: 189). **ცუმური** სიტყვას სამურზაყანოს მეგრულში

ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ნაყოფიერი, მოსავლის ცვენის ადგილი; 2. პოხიერი, ტენიანი ნიადაგი (ქობალია 2010: 685). სიტყვის ორივე მნიშვნელობა შეიძლება და ტოპონიმის ამოსავალი ყოფილიყო.

ლიტერატურა და წყაროები:

- გასვიანი 2011** – გ. გასვიანი, აფხაზეთი ისტორიული საქართველო, თბილისი, 2011;
- ვახუშტი IV, 1973** – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბილისი, 1973;
- ზუხბაია 2000** – ვ. ზუხბაია, ვახუშტი ბაგრატიონი და აფხაზეთი. თბილისი, 2000;
- კაკაბაძე 1914** – ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი. ტფილისი, 1914;
- ლამბერტი 2011** – ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 2011;
- საქ. ტოპ., III 2003** – საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ქვემო იმერეთი. შემდგენლები: შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა, მ. კემულარია. ტ. III, თბილისი, 2003;
- ქსე, II 1977** – გუფაგუ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II, თბილისი, 1977;
- ქსე, III 1978** – ერისწყალი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. III, თბილისი, 1978;
- ქსე, XI 1987** – ცუმური. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. XI, თბილისი, 1987;
- ქელ 2009** – ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი ს. ჭანტურიშვილი. თბილისი, 2009;
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010;
- ლლონტი 1986** – ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი, 1986;
- ცხადაია, ჯოჯუა 2003** – პ. ცხადაია, ვ., ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი, 2003;
- ცხადაია 2004** – პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბილისი, 2004;
- ჭანტურია 2006** – ა. ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, თბილისი, 2006.

მარიამ კიკონიშვილი, ნინო ჭუმბურიძე

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დიმინუტივები სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში

დიმინუტივები (ლათ. *deminutus* - კნინობითი სახელები) ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, გამორჩეულ და მეტად თავისებურ სახელთა ჯგუფს წარმოადგენს. წარმოქმნილი სახელების სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებით, კნინობით სახელებს მანარმოებელი მნიშვნელობას კი არ უცვლის, არამედ სემანტიკურად აზუსტებს: გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს, ზომით ან სიდიდით ნაკლებია ძირეული სახელით აღნიშნულზე: გორა - გორ-აკ-ი, ნიგნი - ნიგნ-აკ-ი, კოკა - კოკ-ურ-ა.... ამასთანავე, კნინობითობა ემოციურ-გამომსახველობით შეფერილობას ანიჭებს სიტყვას: გამოხატავს მოფერება-აღერსს: დედ-იკო, ბიჭ-უნა, დათ-ურა... ან დაცინვა-დამცირებას: ბებრ-უხანა, ვაჭრ-უკანა, გლეხ-უჭა... (შანიძე 1980; ქართული ენა 2008).

ძველ ქართულში დიმიწუტივების მანარმოებლად მხოლოდ ორი სუფიქსი გვხვდება: თითო-ოროლა შემთხვევაში -ა, უმეტესად კი -აკ (ზოგჯერ კი – ორივე ერთად): ქალ-ა, ქათამ-ა, კნინ-აკ-ი, მცირე-აკ-ი, სახლ-აკ-ი, ძმისწულ-აკ-ი, ქუეყან-აკ-ი, გოდორ-აკ-ი, შვილ-აკ-ი, მართუე-აკ-ა... (მარტიროსოვი, 1978:109). ეს კნინობითი ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აღარ გამოიყენება.

ძველ წერილობით ძეგლებში დიმიწუტივების სიმცირეს იმით ხსნიან, რომ V – XI საუკუნეების სალიტერატურო ენა სასულიერო მწერლობის ენა იყო და კნინობითი ფორმები მის სტილს არ შეეფერებოდა (მარტიროსოვი, 1978:108).

კნინობითი სახელები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მეტად არის გავრცელებული, მაგრამ სხვა ენებთან (რუსულთან, გერმანულთან...) შედარებით მაინც ნაკლებია. უფრო აქტიურად გამოიყენება ისინი ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებაში და განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული დიალექტებში.

დიმიწუტივების მანარმოებელთა რაოდენობა მრავალრიცხოვანია. ესენია -ა სუფიქსი და რთული სუფიქსები: -ი-ა, -იკ-ა, -იკ-ო, -უკ-ა, -უნ-ა, -უჩ-ა, -უნ-ი-ა, -იკ-ელ-ა, -უკ-ელ-ა, -ოკ-ინ-ა, -უხ-ან-ა, -უჩ-უნ-ა, -უც-უნ-ა და სხვ. კნინობით სუფიქსთა ასეთი მრავალფეროვნების მიზეზი ის არის, რომ ისინი ხშირად ერთმანეთის ბგერწერული ნაირსახეობებია. სუფიქსთა სიმრავლეს განაპირობებს ისიც, რომ კნინობითობა მრავალ სემანტიკურ ნიუანსს მოიცავს: მოფერებას, ალერსს, სიყვარულს, სიბრალულს, დაცინვას, დამცირებას, ირონიას, გაკიცხვას, უპატივცემულობას, აგდებულ დამოკიდებულებას.

დიმიწუტივების წარმოებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავად ფუძის სემანტიკას. კნინობითი სახელები მოფერებასა და ალერსს მაშინ გამოხატავს, როცა მათი ფუძე იგუებს სიმცირისა და ალერსის სემანტიკას: ბიჭ-უნა, ბიჭ-იკო, მამ-იკო, და-იკო, დათ-უნა, დათ-იკო... თუ ფუძის სემანტიკასთან სიმცირე ან ალერსი შეუთავსებელია, კნინობითი სუფიქსის დართვით გამოხატულია დამცირებითი, დამცინავი დამოკიდებულება: ბებრ-უხ-უნ-ა, ბებრ-უც-უნ-ა, ყრუ-ალ-ა, ყრ-უჩ-უნ-ა...

შეინიშნება ამგვარი ტენდენციაც: როდესაც სახელის ფუძე უარყოფითი თვისების გამოხატველია, მასზე კნინობითი სუფიქსის დართვა ამცირებს ამ თვისების უარყოფითობას (შტერ-უკ-ა, მუნჯ-უკ-ა, მსუქ-ან-ა...), ხოლო როცა დადებით თვისებას გამოხატავს ფუძე, მაშინ კი პირიქით ხდება, კნინობითი სუფიქსის დართვით გამოიხატება დაცინვა, უპატივცემულობა (გენიოს-ა, ჭკუის კოლოფ-ა...).

დიმიწუტივების მანარმოებელთაგან ზოგი მეტად პროდუქტიულია: -ა, -იკ, -უკ, -ილ, -უნ, ზოგი - ნაკლებად, გვაქვს ისეთი სუფიქსებიც, რომლებიც ერთეულ სიტყვებში თუ შეგვხვდება: -უჭ, -უხ, -უც, -უხ-ან-ა, -უც-უნ-ა...

ქართული ენის დიალექტებიდან დიმიწუტიური ფორმების ფართო გამოყენებით გამოირჩევა რაჭული, ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, გურული დიალექტები. ამ დიალექტებში კნინობითების გამოყენებასთან დაკავშირებით შეინიშნება განსხვავებული ტენდენციებიც. განვიხილავთ ზოგ მათგანს.

ყველაზე მეტად დიმიწუტივების წარმოებით გამოირჩევა რაჭული. გვხვდება სულ რამდენიმე მანარმოებელი, ძირითადად, -უკა და -უნა, თუმცა ისინი

ძალიან ფართოდ და შეუზღუდავად გამოიყენება. კნინობითი სუფიქსები და-ერთვის თითქმის ყველა სახელს, ისეთსაც, რომელთა სემანტიკა სიმცირეს, ალერსს ან დაცინვას გამორიცხავს: **წყალ-უკ-ა** (წყალუკა უნდა მოვიტანო); **ლამ-უკ-ა** (ერთი ღამეუკა ქვე დეინვინეო); **კაბ-უნ-ა** (ძველი კაბუნა ქვე რათ მინდა, მე ბევრი მაქ კარქი); **ბალ-უკ-ა** (ბალუკა ქვე იცის ჩვენში); **ბოძ-უკ-ა** (დასმულია ოთხი ბოძუკა); **თუმნ-იკ-ა** (ოც თუმნიკას მაძლევსო)....

რაჭულში კნინობითი სუფიქსები არსებითის გარდა გვხვდება ზედსართავ სახელთან, რიცხვით სახელთან, ნაცვალსახელსა და ზმნისართთან: **პატარ-უკ-ა** (ჰყავდა სამი ვაჟა, ერთი პატარუკა ძრიელ); **ცოტ-უნ-ა** (მოყვება ქორწილები და ჩვენი გახარება ცოტუნა ხანს); **ორ-უნ-ა** (ორუნა რა გასამხელია); **თა-უკ-ა** (ისე მე დამირჩა ჩემი ქმარ-შვილი და კარგათ მექნა მათი თაუკა...); **ამხელ-უკ-ა** (ჩემი და პატარუკა ამხელუკა იყო)...

მსგავსი შემთხვევები სხვაგანაც შეინიშნება: **ამნიკ-ინ-ა** (ასე პატარა; ქართლ.); **ადრი-ელ-ა** (ადრე; გურ.); **ჩუმათ-ალ-ა-ე** (ჩუმათ; აჭარ.)... თუმცა ასეთი წარმოება სხვა დიალექტებში ერთეულ შემთხვევებში გვხვდება და არ არის ისე გავრცელებული, როგორც რაჭულში.

კნინობითების სიხშირით და ფართო გამოყენებით რაჭული ყველა დიალექტს შორის გამოირჩევა. რაჭულში დომინუტივები ძირითადად კნინობით-სა-ალერსოა; მათი გამოყენებით გამოიხატება როგორც მთქმელის განწყობა დასახელებული საგნისადმი, ასევე მისი შინაურული, ახლობლური დამოკიდებულება მოსაუბრისადმი და საერთოდ, გარესამყაროსადმი. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ გაბმული მეტყველების ერთ ნიმუშს:

„კაჟიანი თოფობა იყო, ისა, ოსები **თოფუკას** ეძახოდენ. კაჟი ქონდა გაკეთებული და კვესამდა. გაამსემდა ბაბუა ნამლით, გძელი **რკინუკა** იყო, იმითი გატენიდა, ი ნამალაზე **ტყვიუკას** დააყრიდა **ბაბუკა**. **კვესუნა** იყო აყუდებული, პატარა ბტყელი **კაჟუკა** ქონდა. დაუმიზნებდა **დათუნას**, დაეცემოდა **კვესუნა** და გავარდებოდა. მოკვლიდა **დათუკას**“.

ვფიქრობთ, ამ მცირე ამონარიდიდანაც ჩანს ის ტენდენცია, რომელიც კნინობითი ფორმების გამოყენების თვალსაზრისით რაჭულს ახასიათებს: მთქმელის კეთილგანწყობა და ამასთანავე ერთგვარი „გაშინაურება“ გარემოსთან.

რაჭულისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები. ქართლურსა და კახურში დომინუტივების მანარმოებელი აფიქსები მრავალფეროვანია (-არ-ა, -ალ-ა, -ელ-ა, -აკ-ა, -იკ-ა, -უტ-ა, -ურ-ა, -იჭ-ა, -აკ-უნ-ა, -უჯ-ან-ა, -უც-უნ-ა...), სამაგიეროდ, შეზღუდულია იმ სახელთა რაოდენობა, რომელთაც ეს მანარმოებლები დაერთვის; კნინობითი სახელები უფრო ხშირად ადამიანის მიმართ გამოიყენება. გვხვდება კონკრეტული საგნების სიმცირის გამომხატველი დომინუტივებიც, რომლებიც ექსპრესიულობის თვალსაზრისით ნეიტრალურია: **ჩაფ-რ-უკ-ა** (პატარა ჩაფი; ამ ცხელ პურზე ჩაფრუკით ღვინოც გამოიტანე! ქართლ.); **ქინ-ულ-ა** (პატარა ქილა; ბაზრობაზე ქინულა ვიყიდე, მოვიტანე და გასდის ი გასაოხრებელსა; ქართლ.); **ლანგრ-ულ-ა** (მომცრო ლანგარი; ლანგრულაი თიხისა იყო ხომე; ქართლ.); **ჭურ-ულ-ა** (პატარა წყალი; ქართლ.); **კუნტ-ალ-ა** (მოკლე, პატარა, სქელი; კუნტალა მტევანი მუშტიხელაა, მოკლე, შეკრული; ქართლ.; აგრეთვე კახ.); **თაბ-ულ-ა** (პატარა ჯამი, სუ დიდ ჯამსა თაბახს უძახდით, მომცროსა – თაბულასა; ქართლ.)...

დომინუტივები, რომლებიც ადამიანის მიმართ გამოიყენება, ემოციურად უფრო დატვირთულია. მათში დაცინვა-დამცირების სემანტიკის სახელები აღემატება ალერსის გამომხატველ კნინობითებს. ამ სახელების ემოციურ-ექსპრე-

სიულ იერს უმეტეს შემთხვევაში სუფიქსთან ერთად ბგერწერაც განსაზღვრავს.

სხვადასხვა უარყოფითი თვისებისა და ნაკლის გამომხატველი დიმიწუტი-
ვებია: **კუზ-ლ-არ-ა** (კუზიანი, მხრებში მოხრილი; ქართლ, კახ.); **მუნჯ-კ-ალ-ია**
(ბლუ, ენაჩლუნგი; ქართლ., კახ.); **ჭუტ-ალ-ა** (ელამი; კახ.); **ლატ-ლ-აკ-უნ-ა** (ლა-
რიბი; კახ.); **ბაჩ-აჩ-უ-ა** (საწყალი, უშნო; ქართლ.); **ჩოფ-ან-ა** (დაბალი; ქართლ.)...

ამა თუ იმ სხეულის ნაწილთან დაკავშირებული ნაკლის ქონას გამომხატა-
ვენ კნინობითი სახელები: **კისერ-ა** (კისერმოდრეცილი; კახ., გვხვდება აგრეთვე
თუშ., ფშ.); **ცხვირ-ა** (დიდცხვირა; ქართლ., კახ.); **მუცელ-ა** (ლორმუცელა, ბევ-
რის მჭამელი; კახ.); **ყბ-აჩ-ა** (ყბამრუდი, სახემოქცეული; კახ.); **კიჭ-ა, კიჭებ-ა**
(დიდკბილებიანი, კბილებგადმოყრილი კაცი; კახ.)...

ზოგჯერ დამცირებით, დამცინავ დამოკიდებულებას განაპირობებს ზო-
მის, წონის სიმცირე ან გადაჭარბება: **ბაკ-უტ-ა** (დაბალი, სქელი ადამიანი;
ქართლ.); **წინილ-აკ-ა** (უღონო, სუსტი, პატარა; ქართლ.); **წინლ-იკ-ა** (პატარა,
დალეული; კახ., ქართლ.); **ნიპ-რ-ო, ნიპ-რ-უ-ა** (პატარა, ჩია; კახ.); **ნიკ-ლ-ა, ნიკ-
ლ-ი-ა** (პატარა ტანის, პანანკინტელა კაცი; კახ.); **წუნრ-უტ-ან-ა** (წვრილი; კახ.);
ლინკ-ლ-ა, ლინტ-ლ-ა (პატარა, მოლეული, უვარგისი; ქართლ.); **კნაჭ-ა** (ძალიან
გამხდარი; ქართლ., კახ.); **კნან-ა, კნინ-ა** (პატარა, წვრილი; ქართლ., კახ.); **კვაჭ-
-აჭ-ა, კოჭ-იჭ-ა** (პატარა ადამიანი; ქართლ.); **კოკ-ოჭ-ა** (ერთი ბენო, პატარა;
ქართლ.); **კუპ-აჭ-ი-ა** (დაბალი ადამიანი; ქართლ.); **მანკ-ატ-ა** (მომცრო, პატარა;
ქართლ.); **ცუც-ა, ცუც-უნ-ა** (ჩია, პატარა ტანის კაცი; კახ.); **ცქნაფ-ა** (პატარა,
გალეული; ქართლ.); **ჩქიფ-ა** (მომცრო ზომის, პატარა; ქართლ.); **ჩოგმ-ან-ა** (და-
ბალი; ქართლ.); **გუდრ-უც-ა, დუდრ-უჯ-ან-ა** (ჩასუქებული; ქართლ.); **ოდრიგ-
ალ-ა, ოდროგ-ელ-ა** (ძალიან დიდი; ქართლ., კახ.); **ყლარნ-ა, კლარნ-ა** (მაღალი
და გამხდარი; ქართლ., კახ.); **ყაყვ-ი-ა** (აყლაყუდა; ქართლ.); **ტოქ-ინ-ა** (დიდი,
ტლანქი, მოუხეშავი; ქართლ.); **ჯაგ-ურ-ა** (პატარა და მსუქანი ბავშვი; ქართლ.)...

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში ხშირია დამცირებით-
დაკნინებითი სახელები, რომლებიც ფუძის რედუპლიკაციით მიიღება. ფუ-
ძის გამეორება, რასაც ფონეტიკური ცვლილებებიც ახლავს (ხმოვნის შეცვლა,
თანხმოვნის დაკლება ან დამატება) სიმრავლის, კრებითობისა და ინტენსიობის
გარდა კნინობითობა-დამცირებასაც გადმოგვცემს: **ყარტა-ყურტა** (უბრალო,
მდაბიო; კახ.); **ნარჩევ-ნურჩევი** (უბრალო, მდაბიო ხალხი; კახ.); **აჩლა-ჩურჩლა**
(ჩანჩურა, უშნოდ ჩაცმული; ქართლ.); **ანხლა-ხუნხლა** (არეულ-დარეული, ნა-
ყარნუყარი; ქართლ.); ხარდა-ხურდა (წვრილი ქვა; ქართლ.)... ხშირად გაორმა-
გებულ ფუძეს კნინობითი სუფიქსიც ერთვის: **ბაჩ-აჩ-უ-ა / ბაჩ-აჩ-უყ-ა** (საწყა-
ლი, ბეჩავი, უშნო, მოუხერხებელი; ქართლ.); **ბაჩ-აჩ-უკ-ა** (დაბალი და პატარა;
კახ.); **ჟივ-ჟალ-უკ-ა, ჟინ-ჟალ-უკ-ა** (პატარა, წვრილი რამ; ქართლ.)... ასეთი სა-
ხელები განსაკუთრებული ექსპრესიულობით გამოირჩევა, რასაც ბგერწერაც
განსაზღვრავს.

დიმიწუტივები, რომლებიც ქართლურსა და კახურში ადამიანის მიმართ გა-
მოიყენება, მთქმელის პირდაპირობის გამომხატველია, უმეტესად ადამიანის
ნაკლის მხილებას წარმოადგენს და ირონიას, დაცინვას, გაკიცხვას შეიცავს.

წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ვფიქრობთ, ჩანს ქართული ენის ზოგ
დიალექტში გამოკვეთილი ტენდენცია როგორც მანარმოებელთა რაოდენობის,
ისე მათი გამოყენების სიხშირისა და ემოციურობა-ექსპრესიულობის გამომხატ-
ვის მხრივ. ყველა დიალექტის მონაცემების დაწვრილებით შესწავლა მომავლის
საქმეა და უთუოდ საინტერესო იქნება როგორც მორფოლოგიური, ისე სემან-
ტიკური თვალსაზრისით.

ლიტერატურა

- მარტიროსოვი 1978** – არ. მარტიროსოვი, კნინობითი სახელები ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XX, თბილისი, 1978;
ქართული ენა 2003 – ქართული ენა, ენციკლოპედია, თბილისი, 2008;
შანიძე 1980 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1980.

წყაროები

- უ. სახლთხუციშვილი**, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი, 2003;
ქართული დიალექტური კორპუსი: <http://www.corpora.com> (ბოლო ნახვა 2017 წლის მაისში).

ნანა ლოლაძე

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულები ქართულში

სივრცული და დროითი მიმართებების ამსახველ ენობრივ საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანდებულს. ტრადიციულად თანდებულები განიხილება უპირატესად სინტაქსის ფარგლებში, რაც არ იძლევა თანდებულების სემანტიკური ნიუანსების სრულად გამოვლენის საშუალებას.

კოგნიტიური ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად, გაჩნდა ახალი შეხედულებები და ახალი მიდგომები, კერძოდ, თანდებულები განიხილება როგორც გარკვეული კონცეპტების კომპლექსი, რომლებიც აქტიურდება ადამიანის ცნობიერებაში მეტყველებისას მათი გამოყენების დროს. თანდებულის მნიშვნელობაში გამოიყოფა ლექსიკური და გრამატიკული კომპონენტები. გრამატიკულში იგულისხმება თანდებულის საშუალებით გამოხატული სინტაქსური კავშირი სიტყვებს შორის, ხოლო ლექსიკურში – ის ინფორმაცია, რომელსაც თანდებული გადმოგვცემს ობიექტისა და დენოტაციური სიტუაციის შესახებ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობები თანდებულთა შემთხვევაში განსხვავებულ მიმართებაშია ერთმანეთთან ვიდრე ეს არის, ერთი მხრივ, სრულმნიშვნელოვან სიტყვებში და, მეორე მხრივ, სხვა დამხმარე მეტყველების ნაწილებში.

თანდებული ქართულში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. მისი სხვადასხვა ასპექტის კვლევას არაერთი საგულისხმო ნაშრომი მიეძღვნა. ძველი ქართულიდან დღემდე თანდებულმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს შეეხო ბრუნვებისა და თანდებულების ურთიერთობასაც მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით. მნიშვნელოვნად შეიცვალა ცალკეულ თანდებულთა ლექსიკური მნიშვნელობა.

სივრცული და დროითი მიმართებების გამოსახატავად თანდებულის გამოყენება გვიანდელი ჩანს. არამ მარტიროსოვის დაკვირვებით, თანდებულიანი

ფორმები უმეტესად ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება (მარტიროსოვი 1956:381). რაც შეეხება ამ ფუნქციით თანდებულების გამოყენებას, აშკარად შეინიშნება სივრცისა და დროის გამოხატვის ფუნქციათა განაწილება. კერძოდ **ზედა** თანდებული მხოლოდ სივრცული მიმართებების გამოსახატავად გამოიყენება და დროის გადმოსაცემად არ გვხვდება. რაც შეეხება თანდებულს **შინა<-ში** (ზოგიერთ ძეგლში გვხვდება აგრეთვე **შიდა** და **შიგან**), ფართო არის გამოყენებული როგორც სივრცული, ისე დროითი მიმართებების გამოსახატავად. დროითი მიმართებებია გამოხატული შემდეგ კონტექსტებში:

მაშინ იმარხვიდენ მას *დღესა შინა* (ჰაემეტი 20V9-10);

ვიმარხავ *შაბათსა შინა* ორ დღე (ბოლნ. 538) (მარტიროსოვი 1946: 219].

ძალიან გავრცელებულია შესიტყვებები: **ჟამთა შინა / ჟამსა შინა – 531; დღესა შინა/ დღეთა შინა – 863; ძილსა შინა / ძილთა შინა – 140; ბრძოლასა შინა – 175; ლოცვასა შინა – 126; მეყსა შინა – 71; ნამსა შინა – 40¹.**

როგორც ვხედავთ, **შინა** კვირის დღეებთან გამოიყენებოდა, რაც თანამედროვე ქართულისათვის უცხოა. ასევე განსხვავებული ვითარება დასტურდება ნელინადის დროებთან, კერძოდ, **შინა** გვხვდება ლექსემასთან გაზაფხული:

და კუალად ჟამსა მკისასა, რაჟამს იგი ჰბერავნ ქარი ცხელი, მიიცვალის მთასა არარატისასა სადა იგი ზაფხულ ყოველ *გაზაფხულსა შინა* შეზავებით აქუნდის სიტფოჲ და სიგრილე (გრიგოლ პართელის ცხოვრება, 15:34).

საყურადღებო სურათს გვაძლევს **-გან** თანდებული. როგორც ე. ძონენიძემ აჩვენა, **-გან** თანდებულიანი ნათესაობითი დროს არ გამოხატავდა, მისი ფუნქცია იყო მხოლოდ სივრცული მიმართების ჩვენება. სივრცულ მიმართებებს, კერძოდ, მოქმედების დაწყების პუნქტს, გამოხატავდა უთანდებულო მოქმედებითი და დროის გადმოსაცემად ჩვეულებრივ არც ის იხმარებოდა. დროის გადმოსაცემად გამოიყენებოდა **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი. მისი თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მოქმედების სანყისის გამოხატვა დროში. ამდენად, სივრცული მიმართებების გამოხატვა მეორეული უნდა იყოს. **-გან** თანდებულიანმა მოქმედებითმა თავისი პირვანდელი ფუნქციაც (დროის გამოხატვა) შეინარჩუნა და სივრცული მიმართების გამოხატვის ფუნქციაც მოიპოვა (ძონენიძე 1946: 195–202).

საკუთრივ დროის გამოხატვის ფუნქციას ძველ ქართულში ასრულებს **ზე**, რომელიც ნათესაობით ბრუნვას დაერთვის (მარტიროსოვი 1956:216). ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში **ზე** ასეა განმარტებული:

ზე „ზესკნელი“, ზევით; „ზენა“: სული ძეთა კაცთაჲ, უკუეთუ ადვალს იგი **ზე** (ეკლ.3, 21). იყოს ვინმე ზე და ჩამოიჭრას ქუე“ (Sin. – 11,314V).

კარგად ჩანს **ზე**-ს სემანტიკა შემდეგ კონტექსტში:

არა ჰქმნე თავისა შენისა ქანდაკებული, არცა ყოველი მსგავსებაჲ ცასა *შინა ზე* და რაოდენი ქუეყანასა *ზედა ქუე* და რაოდენი წყალსა *შინა ქუეშე* კერძო ქუეყანისა. (გელათის ბიბლია 8)

ზე თანდებულიანი ფორმები დროს სემანტიკისაა შემდეგ კონტექსტებში:

ხოლო ნეტარისა მამისა გრიგოლის **ზე** ღირსმან მღდელთ-მთავარმან ზაქარია ესე სასწაულნი ქმნნა (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება 64: 7-8).

1 ძველი ქართული ენის მასალა დამოწმებულია ქართული ენის კორპუსიდან <http://gnc.gov.ge>

პირველი კათალიკოზი იყო პეტრე ვახტანგ მეფისა **ზე** (მოქცევა ქართლისა B, 93:34-35)

და მეთერთმეტე მეფობდა დაჩი. და კათალიკოზი იყო სამოელ. ამისა **ზე** ქალაქსა თბილის[ს] კაცნი დასხდეს და მარიამ-წმიდისა ეკლესია აღაშენეს (მოქცევა ქართლისა B, 93:36-37-94:1-2).

საყურადღებოა, რომ **ზე** გამოიყენება სიტყვასთან **ჟამთა**:

ამ[ა]თ ჟამთა **ზე** იქმნა მიცვალებაა წმიდისა და სანატრელისა ღირსისა დედის[ა] და განმანათლებ[ე]ლისა ჩუენისა ნეტარისა ნინო(ა)სი (მოქცევა ქართლისა B, 90: 18-21).

ძველი ქართული ენის მონაცემები შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

1. დროითი (სივრცული) მიმართებების გამოსახატავად თანდებულის გამოყენება ძლიერი ტენდენციის სახეს ატარებს;

2. როგორც ი. ვეშაპიძე აღნიშნავს, ძველ ქართულში თანდებულები იმყოფებოდნენ ჩამოყალიბების პროცესში, ამასთან ერთად, თანდათან ხდებოდა მათი ფუნქციების კონკრეტიზაცია (ვეშაპიძე 1963:110). აქედან გამომდინარე, თანდებულის გამოყენების მწყობრი სისტემა საკმაოდ გვიან ჩამოყალიბდა;

3. თანდებულისათვის დროის გამოხატვის ფუნქცია მეორეული, კერძოდ, სივრცული მიმართებების გადააზრიანების შედეგად მიღებული არ უნდა იყოს. როგორც ძველი ქართული ენის მონაცემები გვიჩვენებს, რიგ შემთხვევაში სწორედ სივრცული მიმართებების ასახვის ფუნქციაა მეორეული (**-გან** თანდებულიანი ფორმების მაგალითზე).

ეს უკანასკნელი დასკვნა ძალზე ფასეულია არა მხოლოდ ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით, არამედ იგი მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც დროითი მიმართებების ასახვა ენებში სივრცული მიმართებების გადააზრიანების შედეგი არ უნდა იყოს.

ახალ ქართულში აშკარაა, რომ ბრუნვათა ფუნქციებში სულ უფრო შეიზღუდა ადგილისა და დროის გამოხატვის უნარი, რაც სწორედ თანდებულების ხარჯზე ხდება. სამართლიანად მიუთითებს ი. ვეშაპიძე, რომ თანდებულმა ბრუნვის ფორმას კი არ წაართვა ფუნქცია, არამედ დააკონკრეტა იგი სხვა თვალსაზრისით (ვეშაპიძე 1963: 109).

დროული მიმართებები გამოიხატება თანდებულის დართვით ისეთ სახელებზე, რომლებიც დროს, მოვლენებს, ხდომილებებს აღნიშნავს. ამასთან, შეინიშნება გარკვეული შეზღუდვა თანდებულთა შერჩევისას. გარდა ამისა, ერთი და იგივე სახელი სხვადასხვა თანდებულის დართვისას განსხვავებულ თვისებებს ავლენს. აქ მთავარ როლს თამაშობს თანდებული, რამდენადაც სწორედ თანდებული შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ დროული სემანტიკის კონკრეტულად რომელი კომპონენტი გამოდის წინა პლანზე მოცემულ სიტუაციაში. მაგ., 2 საათზე, 2 საათში, 2 საათისთვის, 2 საათის წინ და ა.შ.

დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულები ორ ჯგუფად იყოფა: თანდებულები, რომლებიც დროულ ლოკალიზაციას ახდენენ და თანდებულები, რომლებიც დროის ხანგრძლივობას აღნიშნავენ. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან: ა) -ზე, -გან>-დან, -მდე, -თვის. მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან: ა) -ში, განმავლობაში.

სალიტერატურო ქართულში დროის ლოკალიზაციისათვის, როდესაც საჭიროა კონკრეტული მომენტის ფიქსირება (როდის?), გამოიყენება უთანდებულო მიცემითის ფორმა. **-ზე** თანდებული დაერთვის დროის აღმნიშვნელ შემდეგ ლექსემებს: საათი, წუთი, წამი (5 საათზე; 2 ს-თსა და 15 წუთზე; ბოლო წამზე).

ლექსემა დღე **-ზე** თანდებულს არ დაირთავს დროის ლოკალიზაციის ფუნქციით (**-ზე** თანდებულიანი ფორმა სხვა სემანტიკისაა კონტექსტებში – ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, ორ დღეზე მეტი). კვირის დღეებს **-ზე** არ დაერთვის, თვეების მიხედვით დროის ფიქსირებისას ასევე უთანდებულო ფორმები გამოიყენება: 1 იანვარს; 10 მარტს. უთანდებულო მიცემითით აღნიშნავს ფიქსირებულ დროს ლექსემა წელი (2016 წელს).

წელიწადის დროები ასეა გადანაწილებული: გაზაფხული და შემოდგომა **-ზე** თანდებულს დაირთავს, ზამთარი და ზაფხული – **-ში** თანდებულს.

თანამედროვე ქართულში შეიმჩნევა სივრცული და დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულების ფუნქციონირების არეალის კიდევ უფრო გაფართოების ტენდენცია. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ქართულის დიალექტებში არსებული ვითარება.

სალიტერატურო ქართულში დროის ლოკალიზაციის გადმოსაცემად **-ზე** თანდებულს არ დაირთავს ლექსემები: დილა, საღამო, დრო, წელიწადი. თუმცა ქართული ენის დიალექტების უმეტესობა თანდებულებს ანიჭებს უპირატესობას:

დილა

ხვალ დილაზე ადრე ავდგები და წავალაო (რაჭული)¹;

დილაზე წავიდოდა მხვეწარი დეკანოზებთან ლალანგურის ნმერზე (მოხეური);

დილაზე უთხრა, რო: მე შენი ცოლი ვიყავიო და ასე შეგაცდინეო (სამცხურ-ჯავახური);

თარჯიმანი ეტყოდა: აი, ამა და ამ თავადის სახლს გაძლევსო, დილაზე მობძანდი, ყველაფერი ჩაიბარეო (კახური);

დილაზე გოგო ათაკრავდა ლოგინ (ზემოაჭარული);

საღამოპირაი იუსუფელიდამ წამუალთ სახლისკე, დილაზე ჩამუალთ (ტაოური);

ამბოვს: ეხლა დილაზე წალ ფაჰასთან, ჰემაგ ჰათარაც დაუალევი შენბე, ამაგ ქენ! (ინგილოური).

საღამო

მამრე აქ ჩამოვიდოდიან კვირა საღამოზე (მოხეური);

- წავალ და წამუალ, საღამოზე ხვალ საღამოზე ხო ისივ ჩამოხოლ? (მთიულურ-გუდამაყრული);

საღამოზა ხოხომს//ხორომს გავაკეთებთ, ვხორომავთ (შავშურ-იმერხეული).

დრო

ერ დროზე ე ბერ კაც იგევეს (ინგილოური);

სულ პირვლაჲომ ვაჲენობა იყო, ჟამობი დროზე, ცხრა წლისა ვყოფილვარ, ზითნალი გამჩენმა (ზემოაჭარული);

ამ დროზე ქალის პირიდან ამოდრა ერთი გველი, მოხუცს აქ მახასი (ზემოაჭარული);

1 მასალა დამოწმებულია ქართული დიალექტური კორპუსიდან <http://www.corpora.co>

გლახუნას თითონ აფერი ქონდა და ჭამის დროზე ყოლთვინე სხვას მუუძუძგურებდა (გურული);
თავისუფალ დროზე ქალები ცეხვდენ საცეხველში (ლეჩხუმური);
კონვის დროზე ამ ნაბჯებს ავიღეთ და ვანყოფთ გვარალზე, რაც გამეეტევა (ლეჩხუმური);
ერთ დროზე მზეს არ ეცალა და სიძე გაგზავნა თავი მაგივრათ (კახური);
ნეფე ერეკლე რო მოვიდა თავი დროზე აქა, ასპინძაში მოვიდა თავი ჯარით (სამცხურ-ჯავახური).

ნელინადი

შეიცადეს სამი დღე სამ ნელინადზე (ზემოიმერული);
იმ ნელინადზე ემე ვქენ (შავშურ-იმერხეული).

ამდენად, დროის ლოკალიზაციის, კონკრეტული დროის ფიქსირების ძირითად საშუალებას თანამედროვე ქართულში **-ზე** თანდებული წარმოადგენს, რომელიც სულ უფრო იფართოებს ფუნქციონირების არეალს.

დიალექტებში ასევე შეინიშნება თანდებულების განაწილების წესის ცვლილება ნელინადის დროებთან, მაგალითად,

გაზაფხული

გაზაფხულში ჩვენმა ხალხმა ნახა შემთხვევით შემოდგომაზე აყვანილი ბაღნები (გურული);

მაგ კუკულამა ცხურები გადმეიყუანა ჩუენსა გაზაფხულში (შავშურ-იმერხეული);

გაზაფხულში ბზვრ გოზლევნენ (ინგილოური);

ისე ქერსა, ისე უგრეხელსა ვთესავდით გაზაფხულში (ქართლური).

ზაფხული

ერთ ზაფხულზე კიტრი დაგვირიგეს დლიურზე (ზემოიმერული);

ხოდა ზაფხულზე მიდიოდა ამ ჩვენთან, რო მინდორი იყო და გასადევარი (ფერეიდნული);

ზაფხულზე რომ დავხეთქავდით ხეებს, სახლისთვის გვინდოდა, თუ სხვა შრამელისათვის, მეორე წლამდი ხელს არ ვახლებდით (რაჭული);

-ზე თანდებული ასევე გამოიყენება შემდეგ კონტექსტებში:

-გყამდაო, შვილო, და ნადირობაზე დეილუპაო (იმერული);

ომიანობაზე (მესხური); სიმთვრალეზე (სიმთვრალისას) ამბობს (რაჭული);

დიალექტებში არის შემთხვევები, როდესაც **-ში** თანდებულის ნაცვლად **-ზე** თანდებული გამოიყენება:

მემრე ჯეჯილი ამუა ორ-სამ კვირაზე ან თვეზე, გააჩნია, როგორი ამინდი იქნება (კახური);

სათესლეთ არჩეული პარკიდან პეპელა ერთ კვირაზე გამოვა (ქიზიყური);

სადილი ერ კვირაზე, ოზდაორზე მიმიტანეს და ტირილში გავსკტი, რატუმ ადრე არ მიმიტანეს-მეთქინ (მუჰაჯირული – ქობულეთური);

ერთ კვირეზე გაზარდა (შავშურ-იმერხეული);

ორ-სამ თვეზე გაივსო ეს ხე ოქრო-ვერცხლითა, შეისხა ოქროულობა (რაჭული).

ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ზმნისწინთა აღრევა კი არ ხდება, არამედ დროული სემანტიკის სხვადასხვა კომპონენტი გამოდის წინა პლანზე. სალიტერატურო ქართულში დროის ხანგრძლივობა აღინიშნება, ხოლო დიალექტებში შედეგის დადგომის მომენტის ფიქსირება ხდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფერეიდნულში არსებული ვითარება, რომელიც თანდებულთა გამოყენების თვალსაზრისით საგულისხმო სხვაობას გვიჩვენებს. მაგალითად,

შემოდგომაჩიგა კარგი, მონეულ ყურზენი დაჭკრიფითყე;

აბონეჩი ნაგყუანენყე ახანძალს, მასალან *პარასკევზე* აბონე დღე იქნებისყე.

დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულების ფუნქციონირების თავისებურებების შესწავლა დიაქრონიულ ჭრილში, ასევე ენაში არსებული ვითარების ჩვენება და უახლესი ტენდენციების გამოვლენა საშუალებას მოგვცემს გამოიკვეთოს მოდელი, რომლის საშუალებითაც ხდება სივრცისა და დროის კონცეპტუალიზაცია ქართულში. ამ საკითხების შესწავლის მნიშვნელობა უნდა შეფასდეს როგორც კონკრეტული ენის, ისე ენათა შედარებითი კვლევის კონტექსტში.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973;

ვეშაპიძე 1963 – ი. ვეშაპიძე, ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის, თსუ შრომები, ტ, 96, თბილისი, 1963;

მარტიროსოვი 1946 – ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იკე, I, თბილისი, 1946;

მარტიროსოვი 1956 – ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი, 1956;

ძონენიძე 1946 – ქ. ძონენიძე, -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში, იკე, I, თბილისი, 1946.

მაია ლომია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ეკონომიურობის პრინციპი“ ენაში და სპონტანური მეტყველებისთვის დამახასიათებელი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია

პრობლემის განსაზღვრა

ცნობილია, რომ სპონტანურს უწოდებენ წინასწარმოუმზადებელ ზეპირ მეტყველებას, რომლის ქარგაზეა აგებული უმწერლობო ქართველური ენები (მეგრული, ლაზური, სვანური), ქართული ენის დიალექტები, ამიტომაც ინფორმაციის ჩამოსაყალიბებლად და გადასაცემად სხვადასხვა ენობრივ საშუალებასა და სტილურ ხერხს იყენებენ. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს მსჯელობის გაშლა მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური მონაცემების **გამეორების** ხარჯზე,¹ მეორე შემთხვევაში კი პირიქით, კომუნიკაციის მიზნებისთვის საჭი-

1 გამეორება, როგორც მოვლენათა ხაზგასმის, აქტუალიზების სტილური ხერხი ქართველურ ენათა მასალის მიხედვით გაანალიზებულია შემდეგ ნაშრომებში: უთურგაიძე და სხვ. 1979; აფრიდონიძე 1986; კომორიძე 1996; კიკნაძე 1999; ლომია 2004.

რო ხდება „ეკონომიურობის პრინციპის“ გამოყენება, რაც სხვადასხვა ენობრივი მოვლენის სახით რეალიზდება. მათ შორის ერთ-ერთია კონსტრუქციაში ცალკეული ფორმისა თუ შემადგენელი მონაკვეთის ელიფსისი.

საკითხის ისტორია

ქართულ ენაზე მრავალგვერდიანი თეორიული ხასიათის სამეცნიერო სტატია, რომელშიც საუბარია ეკონომიის როლზე ენის სისტემასა და განვითარებაში, ეკუთვნის პროფ. იზაბელა ქობალავას (ქობალავა 1988:34-49). სტატიაში ვრცლად არის მიმოხილული საერთაშორისო ენათა პრინციპების შექმნის იდეა, რომლის რეაბილიტაცია შესაძლებელი იყო ან რომელიმე ენის თუ ენების მიხედვით, ან კიდევ ახალი ხელოვნური სისტემის შექმნით. ამგვარი წინასწარ დაგეგმილი ენებისთვის გათვალეს მარტივი (ეკონომიური) სტრუქტურა. მეცნიერებაში ამ საკითხზე მსჯელობა დაიწყო XVII-XVIII საუკუნეებიდან და განსაკუთრებით გააქტიურდა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. ზოგიერთ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნდა ენაში ეკონომიურობის პრინციპის გამოყენების წინასწარ დაგეგმვა. ისტორიული ენათმეცნიერების სპეციალისტებმა XIX საუკუნის II ნახევრიდან ეკონომიურობის პრინციპის ძიება დაიწყეს ბუნებრივ ენებში, რამაც თავისთავად გააქტიურა ბუნებრივ ენათა არაეკონომიურობის საკითხი, რაც გულისხმობს ინფორმაციის გადაცემისას ენობრივ საშუალებათა „ჭარბად“ გამოყენებას; თუმცა, ამასთან ერთად განიხილება „ჭარბი“ ენობრივი მონაცემების ფუნქციური დატვირთვის საკითხი. „ის, რაც „სიჭარბეა“ რომელიმე გამოყენებითი ასპექტით, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს სიჭარბედ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით?“ (ქობალავა 1988:37). ხშირად, რაც ჭარბია გრამატიკულად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით (დანვრ. მსჯელობა იხ. ასათიანი 2009:14-29; ენუქიძე 1981:96-110). ბუნებრივ ენებში ე.წ. „სიჭარბის“ არსებობა განპირობებულია იმით, რომ იგი „ეკონომიურობის თვალსაზრისით არ შეიძლება გათანაბრებულ იქნეს რომელიმე „მანქანურ“ ენასთან“ (ქობალავა 2009:37); ცნობილია, რომ საკომუნიკაციო აქტი აუცილებლობით ითხოვს ეკონომიურობის პრინციპის გამოყენებასაც, რაც გამოიხატება ენობრივ საშუალებათა რაოდენობის შემცირებით. „ეკონომიურობის“ გამოხატვის ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია ელიფსისი¹, რომელიც კონსტრუქციაში რომელიმე სტრუქტურული ელემენტის გამოტოვებას გულისხმობს, თუმცა აზრი გასაგებია საერთო კონტექსტის გათვალისწინებით.

საანალიზო მასალის შესახებ

„ენობრივი სისტემის ეკონომიურობა ვლინდება მის სტრუქტურულ ორგანიზაციაშიც“ (ქობალავა 1998:44). ცნობილია, რომ ზეპირმეტყველებაში ტევადი შინაარსის ინფორმაციის ჩამოყალიბება და გადაცემა ხდება ჰიპოტაქსური კონსტრუქციების საშუალებით, რომელთა სტრუქტურა ორი, სამი და მეტმე-მადგენლიანია.

1 ელიფსისის იდეა, რომელიც XVI-XVIII საუკუნეთა ლოგიკურ გრამატიკებში გაჩნდა, „კანონის დარღვევად“ მიიჩნეოდა. მსჯელობა ელიფსისის გაჩენის საფუძვლების შესახებ დანვრილებით იხ. ქობალავა 1988: 37-43.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია სამკომპონენტური ჰიპოთაქსური კონსტრუქციის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი; ძირითადი საანალიზო ემპირიული მასალა მოხმობილია მეგრული ტექსტებიდან, ხოლო პარალელები – სვანური ენიდან, ქართული ენის დიალექტებიდან.

სამკომპონენტური კონსტრუქციის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

მეგრულში პირობითობის აღმნიშვნელი რთული კავშირებია **ვარდა, ვარა**. **ვარდა** კავშირი ორი ნაწილისაგან შედგება: **ვარ** (=არა) უარყოფის ნაწილაკი, **-და** (=თუ) – კავშირ-ნაწილაკი. ზუსტი ქართული შესატყვისია „არა და“, შესაძლებელია გადმოიცეს *თუ არა / თუ არა და*-ს სახით. **ვარდა** ისეთ სამკომპონენტურ კონსტრუქციაში დასტურდება, რომლის **I კომპონენტი** ან მარტივი წინადადებაა, ან 2 ნაწილად წარმოდგენილი ჰიპოთაქსური კონსტრუქციაა უკავშირო შეერთებით; **II კომპონენტი** კი, ანუ მომდევნო ჰიპოთაქსური კონსტრუქცია, გამარტივებულია – ოდენ ზმნა-შემასმენლით გადმოცემული დამოკიდებული წინადადება გაუჩინარებულია, დარჩენილია მხოლოდ მთავარი. მთლიანი კონსტრუქცია სამკომპონენტურია გაუჩინარებული დამოკიდებული წინადადების ხარჯზე, რომლის ადგილს იკავებს (**ვარ- =არა**) უარყოფითნაწილაკდართული **-და** კავშირ-ენკლიტიკა (=ვარ-და)¹; ამიტომ, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის კონსტრუქციებს სამკომპონენტურ ჰიპოთაქსურ კონსტრუქციებად მოიხსენიებენ.

მაგალითები:

(1) *[I კომპონენტი]*²: მუ გილუ სააზრო, ქომინი, *[II კომპონენტი]*: **ვარ-და**, მა სქანი თოლიში ნოხოლე დუს დიიპილე (ხუბ. 213, 22) „რა გაქვს საფიქრალი, მითხარი, **თუ არა და**, მე შენ თვალწინ თავს მოვიკლავ“;

(2) *[I]*: თე ჯიმა თენერი კოჩიე, თი რაშის ქემოიფონანს, *[II]*: **ვარდა** ოსური მიდულია (ხუბ. 108,16) „ის ძმა იმნაირი კაცია, იმ რაშს მოგიყვანს, **თუ არა და**, ცოლი წაართვიო“;

(3) *[I]*: ათე ცალი სხული ოკო გაარჩქინევეე ყუდეშ ნოხოლევა, *[II]*: **ვარია-და** ჭუმენერი საკაკალო მაყიქია (ხუბ. 244,34-35) „ამნაირი მსხალი უნდა გააჩინო სახლის წინ, **თუ არა და**, ხვალინდელი ლუკმა შემექნებო“;

როგორც დამონშემებული მაგალითებიდან ჩანს, დამოკიდებული წინადადების პრედიკატის გაუჩინარება განაპირობა წინამავალმა წინადადებად, რომელიც ლოგიკურად ქვენყობილ წინადადებასთანაა დაკავშირებული და რომლის პრედიკატი ივარაუდება მომდევნო დამოკიდებული წინადადების პრედიკატადაც, ოღონდ უარყოფითი ფორმით. ზემოთქმულის ნათელსაყოფად (1) მაგალითს გაშიფრულად წარმოვადგენთ:

• *[I]*: მუ გილუ სააზრო, *ქომინი*, *[II]*: *[ვამინიინქდა]*, მა სქანი თოლიში ნოხოლე დუს დიიპილე „რა გაქვს საფიქრალი, *მითხარი, თუ არ მეტყვი / „არ მეტყვი და“*, მე შენ თვალწინ თავს მოვიკლავ“.

1 აღნიშნული კავშირი, რამდენადაც ორი ნაწილისაგან შედგება, ბეჭდურ ტექსტებში დეფისითაც იწერება: **ვარ-და**;

2 დანარჩენ მაგალითებში, სიმოკლისათვის, კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტებს მხოლოდ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული რომაული ციფრებით აღვნიშნავთ.

როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებულ წინადადებაში პრედიკატის გაუჩინარების შემდეგ ხდება უარყოფითი ნაწილაკისა და კავშირის შერწყმა.

მეგრულში ვარდა კავშირიან წინადადებას I კომპონენტად ზოგჯერ წინ უსწრებს -და კავშირიანი პირობის სემანტიკის შემცველი ქვეწყობილი წინადადება; მაგალითად,

(4) [I]: **გეიანწყედა**, ჩილო მიდააყუნუნია, [II]: **ვარია-და**, დუდი ოკო მეკვა-თასიე „**თუ** შეძლო ამოხსნა, ცოლად ნაჰყვება, **თუ არა და**, თავი უნდა მოჰკვეთოსო“ (დან.ცან. 52, 4-5);

(5) [I]: თის **ქემომლანქ-და**, სქანი ოსური იპეირქია (იპი-რქია), [II]: **ვარდა**, ვამორკოქია „**თუ** იმას [ცხვირსახოცს] მომიტან, შენი ცოლი ვიქნები, **თუ არა-და**, არ მინდიხარო“ (დან.ცან. 180,3);

(6) [I]: ...თქვანი ქესას **ქომიჭყოლოფუნთ-და**, მადლობერი გაყით, [II]: **ვარდა**, მა მუთუნს ვა რთხინთ! (ხუბ, 212, 18-19) „თქვენს ქისას **თუ მინყალობებთ**, მადლობელი ვიქნები, **თუ არა და**, მე არაფერს არ გთხოვთ“!

ზეპირმეტყველებაში დადასტურებული სამკომპონენტიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციისთვის ჩვეულებრივ **პრედიკატის გამეორებაა** ნიშანდობლივი; მეორდება კონსტრუქციის თავკიდურა პოზიციაში მდგარი პირობითი დამოკიდებული წინადადების პრედიკატი:

(7) [I]: **დოვიგორუნ-და**, **დოვიგორუნია**, [II]: **ვარდა** დუს მერკვათუნქია „**თუ მოვიძებნია, მოვიძებნია**, **თუ არა და**, თავს მოგკვეთო“ (დან.ცან. 328,8);

(8) [I]: **ქოლოლან(ქ)და**, **ქოილოლამ**, [II]: **ვარდა** დუც მერკვათუნქია (ხუბ. 215,31-32) „**თუ (ვა)აკეთებ, გაგიკეთებია**, **თუ არა და**, თავს მოგჭრიო“.

ვარა კავშირი ვარდა-ს გამარტივების შედეგადაა მიღებული. იგი ასევე სამკომპონენტიან ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში დასტურდება, ოღონდ I კომპონენტი ყოველთვის მარტივი წინადადებითაა წარმოდგენილი:

(9) [I]: დაართინე ათე მინუტის თაქ, [II]: **ვარა** სი გოიტალე თინეფიში არ-დგილიშავე (ხუბ. 200, 34) „დააბრუნე ამ ნუთში აქ, **თორემ** შენ გაგიშვებ იმათ ადგილასო“.

(10) [I]: ოშურეთიშა ქალარდი მიდეელი, [II]: **ვარა** ოსურს მიდაილანქია, – თქუა ხენნიფექ (ხუბ. 110,3) „სულეთში წერილი/„ქალაღი“ წაიღე, **თორემ** ცოლს წაგართმევო, – თქვაო ხელმწიფემ“.

პარალელები

მსგავსი სამკომპონენტიანი კონსტრუქცია **სვანურშიც** დასტურდება; კერძოდ, **ჰე მოდეე** (=თუ არა და) რთულკავშირიან კონსტრუქციას **ჰე** (=თუ) კავშირიანი ქვეწყობილი უძღვის წინ (აბესაძე 1962:120).

ქართული ენის დიალექტები:

(11) სამ წლამდე **თუ მოვიდო, მოვიდე**, **თუ არა და**, სამ წელს იქით გათხოვდიო (ქართ. დიალექტ., ქართლ., 292).

დასკვნა

ჰიპოტაქსური კონსტრუქციების კვეცას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს, ერთ-ერთია განმეორებული პრედიკატების რიცხვის შემცირება (კვანტალიანი 1990:10). დროთა ვითარებაში ერთი და იმავე ლექსიკური მასალის პრედიკატთა ტავტოლოგიური განმეორება საფუძველს იძლეოდა ერთ-ერთის გაუჩინარებისათვის (ძიძიგური 1973:452). **კვეცის საფუძველი ენაში მოქმედი ეკონომიის პრინციპია, რაც ახასიათებს სასაუბრო ქართულს** (კვანტალია-

ნი 1990:12), **ასევე მეგრულსაც** (ლომია 2005:2010). ქართულ სალიტერატურო ენაში განვითარების ადრეულ ეტაპზე დასტურდებოდა (7), (8) მაგალითების მსგავსი კონსტრუქციები, რომელთა დახვეწა მოხდა თანდათანობით. როგორც ჩანს, „ეკონომიის პრინციპი“ თანაბრად მოქმედებს როგორც სამწერლობო-სალიტერატურო, ასევე უმწერლობო ენებშიც.

რთული კავშირების – ქართ. *თუ არა და, მეგრ. ვარდა, ვარა, სვან. ჰე მოდეჲ* – შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია **პირობით-შედეგობითია**. ამ ტიპის წინადადება ქართულ სალიტერატურო ენაში საბოლოოდ დამკვიდრდა *თორემ* კავშირით, რომელიც *თუ არა-ს* საფუძველზეა აღმოცენებული და თავისთავად ორი წინადადების შენაზავს უნდა წარმოადგენდეს¹ (ძიძიგური 1973:451).

ლიტერატურა

- აბესაძე 1962** – ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, საკან-დიდატო დისერტაცია (ხელნაწერის უფლებით), თბილისი, 1962;
- ასათიანი** – რ. ასათიანი, ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, კრებ. ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, თბილისი, 2009;
- აფრიდონიძე 1989** – შ. აფრიდონიძე, ილია ჭავჭავაძის სტილისათვის, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. IX, თბილისი, 1989;
- ენუქიძე 1981** – ლ. ენუქიძე, წინადადების აქტუალური დანაწევრება და მისი მიმართება სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდებთან, სამეც. კრებ. თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბილისი, 1981;
- კვანტალიანი 1990** – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი, 1990;
- კვაჭაძე 1950** – ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1950;
- კოშორიძე 1995** – ე. კოშორიძე, გამეორება გიორგი ლეონიძის პროზაში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. IV, თბილისი, 1995;
- ლომია 2004** – მ. ლომია, ერთი სტილური ხერხის გამოყენებისათვის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში (მეგრული ტექსტების მიხედვით), ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, თბილისი, 2004;
- ლომია 2005** – მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბილისი, 2005;
- უთურგაიძე და სხვ. 1979** – თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXI, თბილისი, 1979;
- ქობალავა 1988** – ი. ქობალავა, „ეკონომიის“ როლისათვის ენის სისტემასა და განვითარებაში“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXVII, თბილისი, 1988;
- ძიძიგური 1973** – შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1973.

შემოკლებათა განმარტებანი

- დან.ცან.** – ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, თბილისი, 1991;
- ხუბ.** – მაკარ ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფილისი, 1937;
- ქართ. დიალექტ.** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი, 1961;
- ქართლ.** – ქართლური (ნ. ქართ. დიალექტ.).

¹ უფრო ადრე ლ. კვაჭაძეს აღნიშნული აქვს: ზოგჯერ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს შედეგს არა ერთ წინადადებაში გამოხატული მოქმედებისას, არამედ რამდენიმე წინადადებისას“ (კვაჭაძე 1950:71).

დალის ხეობის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის

საანალიზოდ წარმოდგენილია კოდორის ხეობის ტოპონიმია, რომლის ჩანერასაც (როგორც ხეობის მკვიდრი) საკუთარი სურვილით და სახსრებით ვახორციელებდით 1990-2008 წლების განმავლობაში; რამდენადაც, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ტოპონიმის ლაბორატორიის სამეცნიერო მივლინება მასალის ჩასანერად და შესაკრებად ისტორიულ დალის, იგივე კოდორის ხეობაში. 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შედეგად, სამწუხაროდ, დალის ხეობის დედასამშობლოსგან დროებით მოკვეთის შემდგომ ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, უდავოდ გაიზარდა.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ახლებური გააზრება და ეტიმოლოგია ტოპონიმებისა – **კოდორი<სვან. კვედ; გვანდრა < სვან. გვალ; ღვალვა < სვან. უღვა.** საენათმეცნიერო და, ზოგადად, ონომასტიკურ ლიტერატურაში არსებობს ჰიდრონიმ კოდორის სხვადასხვა ეტიმოლოგია: 1. **კოდორი < სვან. კადარ „მშრალი“ (თ. მიხრუანი), 2. კოდორი<სვან. სკრდი „ღრმა“ (ჭუმბურიძე 2007; მარგიანი 1998); 3. კოდორი < ნა-კად-ულ-ი; კოდორი <ლა-კად-ა (ჩანტლაძე 2010:82-83; კოდორული ქრონიკები 2007-2010:18);** წყაროს აღსანიშნავად სვანურში სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით გვხვდება ლექსემები: **სარაგ, მაზუაბ, ნვდღლ, კვედ/კუედ;** ვფიქრობთ, ჰიდრონიმი კოდორი სწორედ ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს, როგორც კვლევებმა აჩვენა. **კოდორი < სვან. კვედ „წყარო, მიწიდან ჩუხჩუხით ამომავალი წყალი“, რომელსაც მოგროვების მიზნით ქვიტკირსაც მოუშენებდნენ.** ამით განსხვავდება კვედ სარაგ'ისაგან, რომელიც აუცილებლად ხის ღარით მომდინარე წყაროს სახელია; **კვედ** არ დასტურდება თოფურია-ქალდანის სვანურ ლექსიკონში. ა. ლიპარტელიანთან კი განმარტებულია შემდეგნაირად: კვედ – წყლის პატარა, გაუდინარი აუზი (ლიპარტელიანი 1994:161).

გვანდრა < სვან. გვალ „ბაგა, ბოსელი“ (მდრ. გვალდ/გვალდერი); გვანდრა დალის ხეობაში არის სახელი სოფლისა, მდინარისა, მთისა (საზაფხულო იალაღებისა, საძოვრებისა) და მწვერვალისა. სოფელი გვანდრა მთის კალთებზეა შეფენილი ომარიშალას მახლობლად, იქვე ჩამოედინება მდინარე გვანდრალა, რომელიც სათავეს იღებს გვანდრის მთიდან, უერთდება რა საკნარას, ქმნის მდინარე კოდორის დინებასა და სათავეებს.

საინტერესოა პარალელები სვანეთის ტოპონიმიდან: **„გვალდერი** სოფელია ზემო სვანეთში, **გვალდა** მთის სახელია მესტიასა და მულახს შორის. ამ მთიდან იღებს სათავეს პატარა მდინარე **გვალდერი.** ყველა ამ ტოპონიმის ფუძედ გამოიყოფა **გვალ,** რაც სვანურად „ბოსელს“ ნიშნავს. მისი კნინობითია **გვალდა,** საიდანაც **ერ** ალომორფის დართვით წარმოქმნილია სოფლის სახელი **გვალდერი, ირ** ალომორფის დართვით კი – მდინარის სახელი **გვალდერი** (ჭუმბურიძე 2007: 29).

ჩვენი აზრით, დალის ხეობის ტოპონიმი **გვანდრა**, სწორედ, სვანური **გვალ** ლექსემიდან მომდინარე ქართველურ ენათათვის დამახასიათებელი **ნ** და **მ** ნარ-ნარა თანხმოვანთა მონაცვლეობით მიღებული გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს: **გვალ>გვალდ>გვანდ-რა**;

თუკი ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ სეგმენტაცია ლექსემისა **გვანდრა** ამ სახით უნდა წარმოვადგინოთ – **გვან-დ-რა**: სადაც **გვან<გვალ** არის ძირი, –**დ** კნინობითობისაა, –**რა** საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სვანური ტოპოფორმანტია. მაქსიმე ქალდანს დავესესხებით: „ალსანიშნავია, რომ ყოფილი მისიმიანეთის და დღევანდელი სვანეთის მხარეთა მდინარეების სახელების გარკვეული ნაწილი ერთსა და იმავე –**რა** სუფიქსს შეიცავს: **გვანდ-რა, საკნა-რა, აძგა-რა, აჯა-რა, ხეც-ქვა-რა/ხე-წყვა-რა/ხე-ქვა-რა** ... სვანეთიდან მსგავს წარმოებას ვხედავთ მდინარეთა სახელებში: **დოლ-რა, ნაკ-რა, კალ-რა, მელხუ-რა...**“ (ქალდანი 1999:56).

შესაბამისად, ჩვენ ვერ გავიზიარებთ რუსულ ლიტერატურაში გამოთქმულ შემდეგ მოსაზრებას: «Гуа (сокращенное Гуагуа) и анда-ра «ограждение», граница паствичных владений рода Гуагуа?» (ბონდარევი 1981: 172).

საინტერესო სტრუქტურის გეოგრაფიული სახელებია, მიკროტოპონიმებია: ნალჭტამოლ, ლაყსგრ, ლარრკა, ლაშდლტინარ, ლწშტმინა, ნალგანჭტულ, ლაციქტარანლ, ლამანჩულდარ, ლანესგერა, ლწჩხტარ, ლაჯმუნწლ, ლაჯრებილარ, ლადრელ, ლწკუცირ, ნწმშიხვ, ლანრექტილარ, ღვალვა <სვან. უღვა „უღელი“... რელიგიური ლექსიკის კოდორის ხეობის ტოპონიმიაში ასახვის მაგალითია ნალჭტამოლ – სახელი მალლობისა. ნალჭტამი < (სვან. ნალჭტამ „ნაეკლესიარი“ ლაჭუმი „ეკლესია“ შდრ. სვან. მაჭტამ „მადლობა“, ე.ი. ლაჭუმი/ლაჭტამ სიტყვასიტყვით ნიშნავს „სამადლო, სამადლიერო“)... ადგილობრივ მკვიდრთათვის ნალჭტამის სახელითაა ცნობილი ქვის ზღუდის სახით შემორჩენილი ძეგლი აჟარის ერთ-ერთ შემალლებულ გორაზე, რომელიც, ხალხური გადმოცემით, მაცხოვრის სახელობის სალოცავს წარმოადგენდა და საიდუმლო გვირაბით უკავშირდებოდა აჯარწ ჯგგრწგს – აჯარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას. რელიგიურ ლექსიკას განეკუთვნება ასევე ჯგგრწგ შყერიშ – შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია კოდორის სათავეებთან. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ამ სალოცავის – შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის – განსაკუთრებული როლისა და მნიშვნელობის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში; ტრადიციულად „იარუნესგას“ კვირეულში, ზემო სვანეთში, სრულიად საქართველოს წმინდა სალოცავების მოხსენიებისას კალენდრით დასახელებული ასზე მეტი სალოცავიდან სვანი მომლოცველი პირველს სწორედ ჯგგრწგ შყერიშ-ს მოიხსენიებდა (იხ. ბარდაველიძე 1939:27); შიყერის სალოცავს ყველა დაღელისათვის, ყველა კოდორელისათვის განსაკუთრებული მადლი და ძალა აქვს. მას ღვთაებრივის გარდა მედიატორის მისიაც აქვს შეთავსებული. აქ მოსისხლე მტრებიც კი შერიგებულან; რამდენადაც შიყერის მაღალ სალოცავზე (აქედან ხომ მთელი დალის ხეობა ხელისგულივით მოჩანს) ნათქვამი ყოველი სიტყვა თითოეული კოდორელისათვის მუდამ იყო წმიდათანმიდა, საბოლოო და სავალდებულოდ შესასრულებელი. ხალხური გადმოცემებით, XIX საუკუნის მიწურულისათვის ნანგრევების სახითლა მოღწეულ სალოცავზე ადრეულ ეპოქაშიც კი ადგილობრივი სვანებისაგან შეწირული ათეულობით ზვარაკი იკვლებოდაო. ლალქანა < (ლა-ლ-ქან-ა) < სვან. ქან „კანაფი“ – ადგილის სახელია

ომარიშალში; ქან, მოგეხსენებათ, უძველესი კულტურაა. დიდია მისი გამოყენების არეალი, როგორც სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებისა. ქენაშ < (ქან-შ) კანაფის თესლისგან დამზადებული უგემრიელესი კერძია, გიმბაშ კანაფის ნაყოფის სახელია. გიმბაშ-ს ურევენ ყველში და აცხოვენ ხაჭაპურებს. გიმბაშ-ის ზეთი უებარი სამკურნალო საშუალებაა სიმსივნური დაავადებებისა. კანაფის გამხმარ ფოთოლს ზამთრობით აჭმევენ საქონელს, რითაც იცავენ მათ ღვიძლის დაავადებებისაგან. ასეთი მრავალმხრივი გამოყენების გამო ლალქანა და ლა-ქნაშერა უამრავ ადგილას იყო კოდორის ხეობაში. თუმცა ახალგაზრდების მიერ მისი არასწორად გამოყენების გამო კანაფის დათესვა აიკრძალა სახელმწიფოს მიერ და მოსახლეობაც იძულებული გახდა კანაფისა (სვან. ქან) და მისი თესლის (სვან. გიმბაშ) ამდენ სიკეთეზე ეთქვა უარი. თუმცა, დალის ხეობაში კანაფს დათესვა არც სჭირდებოდა, ის ბუნებრივად ამოდოდა და მოსახლეობა იძულებული გახდა გაენადგურებინა და მიკროობიექტთა სახელები – ლალქანა და ლაქნაშერა სამუდამოდ დაევიწყებინა. ლანკელა < (ლა-ნკელა) მომდინარეობს ლი-ნკელე-დან, რაც სვანურად მომწყვედევას, მოხელთებას ნიშნავს; ლანკელას არქმევენ ძირითადად მთებში ცხენების, უფრო იშვიათად, ნადირისა და ნანადირევის მოსამწყვედევ, ჩასაკეტ ადგილებს. ლასკარ < (ლა-სკარ) ადგილის სახელია იალცუნეგასა და გვანდრაში; ტოპონიმი მომდინარეობს სვან. სკარ რელიგიური სემანტიკის ტერმინიდან, რაც ნიშნავს სხვადასხვა სახის ღენ-ებზე ანუ რელიგიურ დღესასწაულებზე რამდენიმე ოჯახის ან თემის ან სოფლის გაერთიანებას, ზვარაკის ერთად შეწირვას და ლოცვას. ლაჯრებ < (ლა-ჯრებ) „კლდის მარილის მოსაპოვებელი ადგილი“ < სვან. ჯერაბ „კლდის მარილი“; ლა-ცრქუ-არ-აღ „სათვალთვალო“; ნა-ლ-გიმ-ალ-უ-არ „ნამშენებლარები“ < ლი-ლ-გიმ-აღ „შენება“, ნა-ყარ-უ-აღ < ყურ „ყავარი“, ნა-დატუ-უ-არ „დანალუბები“, ხუარ-აშ „რღვევისა, ჩამოშლისა“, ფაჩა ლარ „ცაცხვის ხევი“, ბეროლრე ნალზიგუტ „ბერების ნამოსახლარი“, ნადირობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელებია: დაღ „ნადირობის ქალღმერთი, მონადირეთა მფარველი“, დალია კოჯარ „დალის კლდეები“, ჯალდემრე ლაკუცრ „ხალდეველთა საჯიხვე“... ლანდშაფტით გაპირობებული ტოპონიმებია: მურყმიღარ „მწვერვალი აჭაფარაში“ (მურყმ-ილ-არ) „კლდეები“ < მურყვამ „კომკი“, ბაჩა ბოგ „ქვის ხიდი“, მაკლათხე ზაგარ „უმალღესი ზეგანი, მწვერვალი“... ლა-ყსგარ < სვან. ყსგარ „არამწველი საქონელი“ – ხარი, მოზვერი, დეკეული, ბერნად დარჩენილი ძროხა... (ამავე სტრუქტურისაა სახელები: ლა-მანჩუ, ლა-ნესგირ, ლა-ჩხტარ, ლა-ჯმუნაღ, ლა-ხერხა, ლა-დრელ...) ჰულდემ-არ < ჰულდუმ „ურდული“ მდინარის ციცაბოკალაპოტიანი ზოლისა და მისი შემოგარენის სახელია კლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც კლდეები თითქოს ურდულივით კეტავენ მთის ბობოქარ, ჩანჩქერებად მომავალ მდინარეს, ჩიჩხულდ-არ < ჩიჩხულდ „გაფსკვნილძაფებბოლოებიანი ფოჩი“ - ზღდ – კინობითის სუფიქსია; სახელია კლდის ფერდობისა, სადაც მხეფებად მოდის და მონანნ კარებს ჩანჩქერი და მყინვარების ნადნობ-ნაჟური წყალი... რამდენიმე სიტყვით კოდორის ხეობის ჰიდრონიმებზე; მეშხე ტუიბრა „მავი ღელე“ იალცუნესგა < აარუ-ლიც-ნესგა „ორ-წყალ-შუა“ იგივე „შუამდინარეთი“... როგორც ცნობილია, ჰიდრონიმია არის ტოპონიმიის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილი; წყალს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის. კაცობრიობის ცივილიზაციის კერები, პირველი დასახლებანი სწორედ მდინარეებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ზოგადტოპონიმიკური კანონზომიერების თანახმად, დიდ ობიექტ-

თა, განსაკუთრებით, მდინარეთა სახელები საუკუნეებში ცოცხლობენ და მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც კი უძლებენ (ცხადაია 2004:89) ზოგადად, საქართველოს ჰიდრონიმებზე თუმცა მწირი, მაგრამ მაინც მოიპოვება ცნობები შუა საუკუნეების არაერთი არაბი, ფრანგი, იტალიელი მოგზაურისა და ისტორიკოსის ნაწარმოებებსა თუ ჩანაწერებში. მაგ. მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც 16 წელი იცხოვრა სამეგრელოში, აღწერს მდინარეებს – ფაზისს, ჰიპოსს (ცხენისწყალს), გლაუკს (აბაშას), ტაკურს (ტეხურას), კოხისს (ხოზს), ენგურს, კოდორისს (კოდორს), ასევე ჟ. შარდენმა 1672-73 წლებში საქართველოში მოგზაურობის დროს შესრულებულ ნაშრომში აღწერა მდინარე ენგური, შეეხო მტკვარს, კოდორს, რიონს და სხვა მდინარეებს. მდინარე კოდორი და მისი შემოგარენი ვრცლად არის აღწერილი ვახუშტის გეოგრაფიაშიც: „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვს მდინარის შორისის ადგილისა... მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელ არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ მთაში. ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა“... (ვახუშტი 1973: 781)

ხაზგასმით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ სვანური ტოპონიმიით არაერთი ცნობილი მკვლევარი თუ ქართველოლოგი დაინტერესებულა. კვლევა-ძიების შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნებიც არის გაკეთებული: „ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები სვანების მრავალრიცხოვნების შესახებ ზღაპრული გაზვიადების ნაყოფი რომ არ არის, ამას თვალნათლივ ადასტურებს სვანეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმიკური მასალის ანალიზი... რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთისა და მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიში ამკარად შეინიშნება სვანური ენის კვალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უცხოვრიათ, ამგვარი ნაკვალევი შეიმჩნევა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზეც. მდინარე ყუბანისა და თერგის შენაკადთა სათავეებში. ამას მოწმობს იქაური ტოპონიმები: ხუმარი (შდრ. ცხუმარი), უშკალანი (შდრ. უშკულ) და სხვა...“ (ჭუმბურიძე, ლავროვი).

მცირე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსკურსი დალის ხეობაზე, ამ ეგზოტიკურ კუთხეზე: კოდორის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – ნებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის... უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. კოდორის ხეობა მდებარეობს დასავლეთი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდინარე კოდორის ხეობის ზედა წელზე, სათავეებიდან 70 კმ-ის მანძილზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ნაჰარვისა (გონდორაის) და ქლუხორის უღელტეხილებიდან მარუხის უღელტეხილამდე (დაახლოებით 80-90 კმ.) დალის სვანეთს აღმოსავლეთით მესტიის რაიონი ესაზღვრება. მათ ერთმანეთისაგან ყოფს ხვარაშისა და ჯერილის საკმაოდ მაღალი მთაგრეხილები; სამხრეთით ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ტერიტორიებია (ურთიერთგამყოფია ფანავის ქედი, ჰარვასა და ბარუმბას მთები), დასავლეთით კი

– ბაგადის კლდეებია. ვარაუდობენ, რომ კლუხორის უღელტეხილით ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის III ათასწლეულში მყარდებოდა რეგულარული კავშირები სრულიად სხვადასხვა ეთნოსთა შორის, ხოლო „ხალხთა მასიური გადაადგილების ეპოქაში“ – IV-VII სს. კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის (ბონდარევი 1981:89). ითვლება, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დალის ხეობას საუკუნეების მანძილზე ხალხთა და ტომთა გადაადგილება-გადანაცვლებისა თუ დროებითი განსახლების მრავალმა გრიგალმა გადაუქროლა, რამაც გარკვეულწილად ჰპოვა ასახვა ამ მხარის ტოპონიმიაში, ყოფაში, სულიერ და მატერიალურ კულტურაში. თუმცა ფაქტია, რომ არც ერთ ეპოქაში, არც ერთ საუკუნეში დალის (კოდორის) ხეობა დედა სამშობლოსგან მოკვეთილი არ ყოფილა, იქ მუდამ სუფევდა მძლავრი ეროვნული სულისკვეთება და გაისმოდა ძლიერი ქართული სიტყვა. კოდორის ხეობა ისტორიული მისიმიანეთია. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თითქმის 15 საუკუნის შემდგომ მისიმიანელთა ნაფუძარზე მოსახლე დასახლებმა ღირსეულად გაიმეორეს წინაპართა გმირობანი და 1993-2008 წლებში გმირულად შეინარჩუნეს ქართული სულისკვეთება და კოდორის ხეობა საქართველოდ შემოინახეს დედა სამშობლოსაგან დროებით მოკვეთილ აფხაზეთში.

ზოგადად, დალის ხეობის ტოპონიმია ხასიათდება ენობრივი მრავალფეროვნებით და სახელდების სრულიად სხვადასხვა ასაკითა და ქრონოლოგიით, რამდენადაც აქ გვხვდება როგორც ქართული (სვანური), ასევე აფხაზური, რუსული და გაურკვეველი ეტიმოლოგიის გეოგრაფიული სახელები. უაღრესად საყურადღებოა აღნიშვნა ფაქტისა, რომ ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების წყაროებში (აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, თეოფანე ჟამთააღმწერელი...) მოხსენიებულია კოდორის ხეობის არაერთი სვანურენოვანი (ან სვანური ეტიმოლოგიის) გეოგრაფიული სახელი – ფუსტა, ჩიხარი / ჩხალი/ ჩხალთა, სქიომარი, ლაგვანა, ტიბელეოსი, დარენი, ბოკერი/ ბოგერი...

ამრიგად, ისტორიულ ექსკურსთან ერთად დალის ხეობის რამდენიმე ტოპონიმის წარმომავლობა და ეტიმოლოგია შესაძლოა ამ სახით წარმოვიდგინოთ: დვადვა<სვან. უღვა „უღელი“, გვანდრა < სვან. გვალ „ბაგა, ბოსელი“, კოდორი < სვან. კვედ „წყარო“...

ლიტერატურა

- ასლანიშვილი** 1933 – ს. ასლანიშვილი, აფხაზეთის სვანეთი, ტფილისი, 1993;
ბარდაველიძე 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი, 1939;
ვახუშტი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973;
გასვიანი 1998 – გ. გასვიანი, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბილისი, 1998;
ზარდალიშვილი 1949 – გ. ზარდალიშვილი, ქლუხორის რაიონის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების დადგენისათვის, თსუ შრომები, ტ. 36, თბილისი, 1949;
ქალდანი 1999 – მ. ქალდანი, მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „აფხაზეთის მოამბე“, 2, თბილისი, 1999;
ჩანტლაძე 2010 – ი. ჩანტლაძე, კვლავ „კოდორ“-ის ეტიმოლოგიისათვის, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXI, თბილისი, 2010;

- კოდორული ქრონიკები 2007–2010 – ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი–დადვანი, ქ. მარგიანი–სუბარი, მ. სალლიანი, რ. იოსელიანი, კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ), თბილისი, 2007-2010;
- ცხადაია 1986 – პ. ცხადაია, სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მომბე“ 122, 1, თბილისი, 1986;
- ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე, 2007 – ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე – სვანური ტოპონიმია, სვანური ენა, თბილისი, 2007;
- ხორავა, 2008 – ბ. ხორავა ბ., ნებელდა–დალის 1840 წლის აჯანყება, სვანეთი – ქართული კულტურის სავანე, თბილისი, 2008;
- Бондарев Н. 1981 – В горах Абхазий, Москва, 1981;
- Бгажба Х. 1956. – Некоторые вопросы этнонимии топонимии Абхазий, Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. 27. 1956;
- Лавров Л. И. 1950 – Л. И. Лавров, Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века, КСИЭ, Ч. М. – Л. 1950.

ქეთევან მარგიანი-სუბარი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I თურმეობითის (resp. შედეგობითის) უპრევერბო ფორმათა სპეციფიკა სვანურ ენაში

როგორც ცნობილია, I თურმეობითის (resp. I შედეგობითი, I რეზულტატიური, ნამყოსრული) ერთ-ერთი ფუნქციაა მოქმედების (/მოვლენის) უნახაობის გამოსატყვანა, „თურმეობითობა“; „ქართულ ენაში თურმეობითის მწკრივებს სახელი დაერქვა უნახაობის ელემენტის მიხედვით. ამ მწკრივთა ფორმები გადმოგვცემენ ისეთ მოქმედებებსაც, რომელთა შედეგი ჩანს (ან ჩანდა) და ამ შედეგის მიხედვით გააზრებულია თვით მოქმედება. ამიტომ მათ შედეგობრივიც (რეზულტატიური) შეიძლება ვუწოდოთ“ (შანიძე 1973: 223).

მაშასადამე, თურმეობითთა სემანტიკაში მნიშვნელოვანი ელემენტია მოქმედების აქტის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედების პროცესი, თუ არა: „ნახულის ფორმა გადმოგვცემს პირდაპირ, უშუალოდ მოპოვებულ ცნობას მოქმედების შესახებ (პირდაპირი ევიდენციალობა – ქ. მ.), უნახავისა კი ისეთს, რომელიც ისე მომხდარა, რომ მოუბარი იმ დროს იქ არ ყოფილა (ირიბი ევიდენციალობა – ქ. მ.), ანდა, თუ ყოფილა და დასწრებია, ცნობიერება მაინც არ ჰქონია... ამიტომ, თუ ნახულის ფორმა საზოგადოდ ცნობიერია, სამაგიეროდ, უნახავის ფორმა უცნობელი იქნება“ (შანიძე 1973:211).

ტრადიციული შეხედულებით, სვანური ზმნის დროთა III ჯგუფი მნიშვნელობით მთლიანად უდგება ქართულისას, წარმოებით კი განსხვავებულია (თოფურია 1967:177); კვლევამ აჩვენა, რომ ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს, ვინაიდან III სერიაში, განსაკუთრებით კი I შედეგობითში, საკმაოდ განსხვავებული ვითარებაა სწორედ ფუნქციური თვალსაზრისით;

ქართულისგან განსხვავებით, სვანური უღლების I შედეგობითში (ნამყოს-რული) მოქმედების აქტისადმი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია ზმნისნი-ნიან და უზმნისნინო ფორმებში. თუ ქართულში **უკრეფია – მოუკრეფია, უშე-ნებია – აუშენებია** მხოლოდ ასპექტური ოპოზიციას და ეს ფორმები მოქმედე-ბის (მოვლენის) უნახაობას ცალსახად, კონტექსტის გარეშე, არ გულისხმობენ („თურმეს“ გაგებას გარკვეულ წინადადებებში ვერ ინარჩუნებენ), სვანურში სა-კითხი სხვაგვარად დგას; უპრევერბო ზმნები ამ მწკრივში ორ ქვეჯგუფს ქმნიან: ა) ქართულისებური წარმოებისა, ანუ ოდენ -ა'სუფიქსიანიები და ბ) -ენ-ა სუფიქ-სიანიები;

პირველი ტიპის ზმნები მხოლოდ **ექსპერიენციულობას**¹ გამოხატავენ. მათ სემანტიკაში ე. წ. „უნახაობა“ გამოირიცხება: **ხრმა /ხომა** „უჭამია მას ის = ნაჭამი აქვს“ – მოქმედებას ადგილი ჰქონია თუნდაც ერთხელ, ოღონდ ეს მოქმე-ლისთვის პერცეფციული ან მასთან გატოლებული ინფორმაციაა. საანალიზო ფორმებს უნახაობის, ირიბი ევიდენციალობის გამოხატვა მხოლოდ და მხო-ლოდ **ესნარ'ი** („თურმე“) ნაწილაკთან ერთად, ანუ ლექსიკურად შეუძლიათ; მაგალითად: წინადადებაში **ვგინწ ლწირ დესა მწჯდა** – „შინიდან წერილი არ 'მო'მსვლია“ – ზმნა მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს (ქართულში ეს წინადადება შეიძლება პირდაპირევიდენციალურიც იყოს და ირიბევიდენცია-ლურიც – „მომსვლია“ ფორმის გამოყენებისას ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი (ვერბალობა ან ინფერენცია), მაგრამ **ვგინწ ლწირ დეს'ამწჯდა** უკვე ერთმნიშვნელოვნად ირიბევიდენციალურია, რადგან **ზმნის პრევერბიანმა ფორმამ (დეს'ამწჯდა „თურმე არ მომსვლია“)** უკვე **სავალდებულო უნახაობის სემანტიკა შემოიტანა;**

ამგვარად, თანამედროვე სვანურ მეტყველებაში უპრევერბო (ქართულის მსგავსი წარმოების) ოდენ -ა'სუფიქსიანი I შედეგობითს უნახაობის გამოხატვის ფუნქცია არ მოეპოვება. ის ნებისმიერ კონტექსტში მხოლოდ პირდაპირევიდენ-ციალურია, განსხვავებით ქართულისგან, სადაც I თურმეობითის უზმნისნინო ფორმებსაც შეუძენიათ ირიბი ევიდენციალობის (კერძოდ, უნახაობის) გამო-ხატვის უნარი; შდრ.: ქართ. უნადირია = „ნანადირები აქვს/ჰქონია“, „თურმე ინადირა“; სვან. **ხოთხუწირა** („უნადირია“) = „ნანადირები აქვს“; ≠ „ნანადირები ჰქონია, თურმე ინადირა“;

ჩვენი აზრით, უპრევერბო I შედეგობითის ფორმებში ჩანს ძველი ქართული (ქართველური) სურათის ანარეკლი, როცა ისინი ასპექტის მხრივ როდი ქმნი-ან ოპოზიციას პრევერბიან ფორმებთან, არამედ – განსაზღვრულობა-განუ-საზღვრელობის ნიშნით: **ხომწრა** „უმზადებია“, **ხრმა** „უჭამია“, **ხოწრა** „უნე-რია (მას ის)“ ტიპის ფორმებში პრევერბის დართვა (**ოხმწრა** „მოუმზადებია“, **ლოხმამა** „შეუჭამია“, **ოთწრა** „დაუნერია“...) ცვლილებას ასპექტის თვალსაზ-რისით კი არ განაპირობებს, არამედ კონკრეტული მოქმედების კონკრეტულ დროსთან მიმართების მიხედვით – უპრევერბო ზმნები გამოხატავენ, რომ ამა თუ იმ მოქმედებას / მოვლენას **ადგილი ჰქონდა** (ერთხელ თუ მრავალჯერ – ეს არ არის რელევანტური და მხოლოდ და მხოლოდ თანმხლებ ზმნიზუდაზეა დამოკიდებული, მთავარია, რომ **პრეცედენტი იყო**):

1 ექსპერიენტივის მნიშვნელობა განისაზღვრება როგორც მოქმედების გან-ხორციელება წარსულში თუნდაც ერთხელ; აქცენტი თავად მოქმედების ფაქტზეა (Comrie 1976: 58).

ჟობაშ ესერ მეჩდელი ეჩი ლაჭუდანთე, მარე დანს ესერ მოშ ხოჭუდანა (სვ. პრ. ტ. I, 1939: 417,20) – „მრავალი წასულაო იმის წასაკითხავად, მაგრამ ვერავის «წაუკითხავსო» (=„აქვს წანაკითხი“; შდრ. პრევერბიანი *ოთ-ჭოდანა* „წაუკითხავს“ = „თურმე წაიკითხა“);

ჟობაშ ლგდვარ ჩუ ნადგარუნდჷე მიჩა მგდვარის ჩუ ხოთჷიფა (სვ. პრ. ტ. II, 1957: 287,38) – „მრავალი მკვდარი მოკვლის შემდეგ მის მკვლელს {გადა} უკარგავს (= გადანაკარგი აქვს, გაუქრია ხოლმე; შდრ. *ჩ'ოთთჷიფა* „გადაუკარგავს = გადაკარგა თურმე“);

ამავე დროს, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სასიმღერო ტექსტებში, ჩვეულებრივ, უპრევერბო ფორმები, ე. წ. „წინდებულ-თანდებულთან“ (ჟი, ჩუ, სგა, ქა) ერთად თუ უმისოდ, საანალიზო სემანტიკის თვალსაზრისით, სრულიად სხვადასხვა ვითარებას აფიქსირებენ და ხანდახან კონტექსტის დახმარებითაც კი რთულია გარკვევა, უნახაობას გულისხმობს მთქმელი, ექსპერიენციულობას, თუ მხოლოდ რეზულტატიურობას:

**მერმე სწვან რი ჯიხვიტახ,
ეშხჷი მარე დარ ჯიცივირახ.**

ო, ბოყურე მუჟალჷარე,

თოყიშ დაგრას დემ ახვიჩედ! (სვ. პოეზ. I, 1939: 18,73-74) –

„სხვა სავები ამოგინყვეტიათ,

ერთი კაცი არავინ დაგიტოვებიათ.

ო, ხოკრებო მუჟალელებო,

თოყის სიკვდილს ვერ მოინელებთ!“

ან:

ხოდახ „დაუდვიათ“: ლჷინლი კუპრანლ ეჩჩუ ხოდახ

(იქვე 46,15) – „ღვინის ტიკები იქ {და}უდვიათ“;

ხოტიხახ „დაუბრუნებიათ“: ეჯანრს პასუხ მან ხოტიხახ (იქვე 47) – „იმათ პასუხი არ დაუბრუნებიათ“.

შინაარსის გათვალისწინებით, მოცემულ კონტექსტებში ზმნები ერთჯერად, მომენტობრივ და უნახავ მოქმედებებს უნდა შეესაბამებოდნენ (ერთიც და მეორეც თანამედროვე ეტაპზე მხოლოდ პრევერბიანი ზმნების პრეროგატივაა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა), ყველა ჩამოთვლილ ზმნურ ფორმას კი დღევანდელ სვანურში მხოლოდ ექსპერიენტივის (უნახაობის ელემენტის გარეშე) მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მოცემულსავე კონტექსტებში ეს ფორმები თანამედროვე სვანურში ბუნებრივი მხოლოდ ზმნისწინთან ერთად იქნებოდა: **ესჷდახ** „დაუდვიათ“, **ლახტეხახ** „დაჰბრუნებიათ“, **ქ'ოთჷიფა** „გაუძვრია“, **ლოხტიხახ** „დაუბრუნებიათ“; სვანური ხალხური პოეზიის ნიმუშებში მსგავსი მასალაც უხვადაა:

ახსგურენა „მოსჯდომია / თავს დასხმია“: **ჩოღირს ლანშგარ ახსგურენა** (იქვე 44,1) – „ჩოღურს ლანქარი თავს დასხმია“ (ზემოაღნიშნული მოვლენის სისტემურად გატარების შემთხვევაში უნდა ყოფილიყო **ხასგურენა**);

ლახჩღდა „შერევია“: **ჯანრს ამჷი სგა ლახჩღდა** (იქვე 46,7) – „ჯანრს ასე შერევია“ (ძველი ვითარებით შეიძლებოდა „სგა ხაჩღდა“).

ესჭონახ „გაბრუნებულან“, **ამტეხლიხ** „დაბრუნებულან“: **ჟი ესჭონახ, ჟემგდ ამტეხლიხ** (იქვე 46,10) – „შეტრიალებულან, უკან დაბრუნებულან“ (ნაცვლად მოსალოდნელი „ჟი ხოჭონახ, ჟემგდ მეტხელიხ“ ფრაზისა...).

გვხვდება პრევერბიანი და უპრევერბო ფორმების გვერდიგვერდ, პარალელურად გამოყენების მაგალითებიც:

სოფალუმე ეჯა უნუ *ხოშუნახ, ჟი ხოშუნახ ი უ'ობხუხოჩუახ* (იქვე, 62,10) – „მთელ სოფელს იგი დაუცავს („შეუნახავთ,“), შეუნახავთ და მოურჩენიათ („გამოუკეთებიათ“);

როგუ ჟი *ხოზურახ, ჩუ ოთთემახ* (იქვე, 48,61) – „ცერცვი მოუგროვებიათ, უშოვიათ“;

თანამედროვე ზემოსვანურ მეტყველებაში მართებული იქნებოდა: *ჟი ხოზურახ, ჩუ ხოთმახ* – „უგროვებიათ, უშოვიათ“ (დღევანდელი ექსპერიენციული მნიშვნელობის უპრევერბო I შედეგობითი) ან: *ჟი ოხზორახ, ჩუ ოთთემახ* – „მოუგროვებიათ, უშოვიათ“ (ევიდენციალური, მომენტობრივი).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა (I შედეგობითის უპრევერბო ფორმათა მოქმედების ნახულობა-უნახაობის თვალსაზრისით უნესრიგო გამოყენება) სასიძლერო ტექსტების სპეციფიკასა და სტილს უკავშირდება (სასაუბრო ენაში კი ეს ფორმები, შესაძლოა, უნახაობას არც მაშინ გამოხატავდნენ და ამ მნიშვნელობით არ იხმარებოდნენ), მაგრამ, ჯერ ერთი, ამ მოვლენას მასშტაბური სახე აქვს და არა გამონაკლისებისა, მეორეც, საყურადღებოა, რომ დღევანდელ ლენტეხურ დიალექტშიც I შედეგობითის უპრევერბო ფორმები ხშირად სწორედ იმავე მნიშვნელობას (უნახაობას) გამოხატავენ, რასაც პოეზიის ენაში:

ზურალს ქა ხოთონა [ლიც პარაბოვილაშდ] (სვ. პრ. ტ., III 1967: 211,27) – „ქალს მიუსწავლებია (/უჩვენებია) [წყალი პარაბოვილისთვის]“;

ალ დენას ქა ხონვენა ლუს [მერაბიშდ] (იქვე, 191,38) – „ამ გოგოს უჩვენებია ძუძუ მერაბისთვის“ (ეს ფორმები ამავე მნიშვნელობით ზემოსვანურშიც შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ გამონაკლისების სახით, ლენტეხურში კი ამ მოვლენას სისტემური ხასიათი აქვს);

ჩვენი აზრით, სასიძლერო ტექსტებსა და ლენტეხური დიალექტის მონაცემებში სვანური ენის განვითარების ის გარკვეული ეტაპებია ასახული, როცა ზმნისწინიანი ფორმები ყალიბდებოდა და იძენდა დამატებით ფუნქციებს (ასპექტი, აქტი...), პრევერბიან და უპრევერბო ფორმათა ფუნქციური „აღრევა“ კი გარდამავალ საფეხურს უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა, სამწუხაროდ, სვანურ ხალხურ სიმღერათა ნიმუშების დათარიღება და, მით უმეტეს, მათი ქრონოლოგიურ ჭრილში დალაგება, ცხადია, შეუძლებელია.

ვფიქრობთ, საანალიზო მწკრივის პირველადი ფუნქცია, რეზულტატიურობასთან ერთად, მხოლოდ ექსპერიენციულობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ ფორმებში უნახაობის სემანტიკა ჩაისახა, სვანურში ორი მნიშვნელობის (ნახული და უნახავი აქტი) განსასხვავებლად -ენ- სუფიქსი განვითარდა; საბოლოოდ, პრევერბის შემოსვლით ამ ზმნებში დაიჩრდილა შედეგობითობა (ექსპერიენციულობა პრევერბიან ზმნებში თავისთავად გამოირიცხებოდა, ვინაიდან ისინი მომენტობრივ მოქმედებას გამოხატავენ, კონკრეტულ დროსთან მიმართებით) და უნახაობის ფუნქციამ წამოიწია წინა პლანზე, ხოლო მარტივ (ოდენ ა' სუფიქსიან) უპრევერბო ფორმებში ბოლომდე შენარჩუნდა პირველადი ვითარება და ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზეც მათი მთავარი ფუნქცია ექსპერიენციულობაა, -ენ- სუფიქსის დართვის შემთხვევაში კი – ექსპერიენციულობა და ევიდენციულობა ერთდროულად.

ლიტერატურა

- თოფურია 1967** – ვარლამ თოფურია, შრომები, I, სვანური ენა I, ზმნა, „მეცნიერება“, თბილისი, 1967;
- შანიძე 1973** – აკაკი შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973;
- Comrie 1976** - B. Comrie, Aspect: An Introduction to the Study of Verbal Aspect and Related Problems. Cambridge, 1976;

წყაროები

- სვანური პოეზია** (სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა), საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1939;
- სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I** (ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ), საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1939;
- სვანური პროზაული ტექსტები, ტ. II** (ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, მ. ქალდანმა და ვ. თოფურიამ), საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1959;
- სვანური პროზაული ტექსტები, ტ. III** (ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა), თბილისი, 1967.

დამანა მელიქიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოგმატიზმი, ავტორიტარიზმი და ტრადიცია ენათმეცნიერებაში

ამ სტატიაში ჩვენ არ შევეხებით **რელიგიურ დოგმატიზმს** (რომელსაც საფუძვლად უდევს რწმენა, რადგანაც ეს უკანასკნელი ეხება „ზესთაგონიერ“ - ტრანსცენდენტურ სამყაროს და ამდენად, არ ემორჩილება განსჯა-დასაბუთებას, ამიტომ მას აქ არა აქვს ალტერნატივა: მისთვის ამოსავალი დებულება უპირობოდაა მიღებული); არც **პოლიტიკურ ავტორიტარიზმს** (რომელიც ხშირად ახასიათებს ხელისუფლებას და, რომლის უარყოფითი, ზოგჯერ მძიმე და დამლუპველი შედეგები მყისიერად აისახება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რადგანაც პოლიტიკური წნეხი იწვევს ხალხის, საზოგადოების მწვავე რეაქციას და რევოლუციებსაც კი, რასაც მოსდევს ადამიანთა მსხვერპლი და ქვეყნის დაქცევაც კი); არც ზოგადად, „კეთილი“ თუ „მავნე“ **ტრადიციის** საკითხს საზოგადოებრივ ყოფასა თუ კულტურაში (რაც ხანგრძლივი ისტორიული ფაქტორებითაა განპირობებული და ჩვეულებადაა ჩმოყალიბებული).

ამჯერად ჩვენ გვინტერესებს, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს **დოგმატიზმა, ავტორიტარიზმმა** და თითქოს „უმტკივნეულო“ და „ჩვეულებად“ ქცეულმა **ტრადიციამ** საზოგადოდ **მეცნიერებაში** (რომლის კვლევის სფეროს მათე-

რიალური სამყარო, ემპირია წარმოადგენს) და, კერძოდ, **ენათმეცნიერებაში**, როგორც მეცნიერების ერთ-ერთ, მნიშვნელოვან დარგში, რადგანაც ენათმეცნიერებაში სამივე მოვლენის მაგალითები საკმაოდაა წარსულშიცა და არა მხოლოდ „საბჭოთა“ წარსულში.

მეცნიერებაში ავტორიტარიზმი, დიდი ავტორიტეტის მქონე მეცნიერის ცალკეული მოსაზრებისა თუ თეორიის გავლენა ამა თუ იმ ემპირიული მეცნიერების სფეროში შედარებით შეუმჩნეველია. შესაბამისად, ეს ინვესს მეცნიერული აზრის განვითარების სტაგნაციას, აბრკოლებს მეცნიერული აზრის განვითარებას. მით უფრო, თუ ავტორიტეტების მიერ დანერგილი გარკვეული დებულებები, წანამძღვრები, რომლებზედაც აგებულია შემდეგ დარგის კვლევის მეთოდოლოგიის სისტემა, აპრიორულია და არ ეყრდნობა საკვლევი **ემპირიული მასალის** სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. ტრადიციისა და ავტორიტეტის გავლენით ეს სისტემა იმდენად არის გამჯდარი მეცნიერულ წრეებში, რომ შემონგმების სურვილიც კი აღარ ჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულად დამკვიდრებული ის არასწორი, აპრიორული დებულება, რომელიც უდევს საფუძვლად ამა თუ იმ პრობლემის კვლევას, ინვესს ბევრ შეუსაბამობას, წინააღმდეგობას და შეკითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა ამ სისტემის ფარგლებში შეუძლებელი ხდება. ამ დროს უკეთეს შემთხვევაში კვლევა ზედაპირული, არასისტემური, სტერეოტიპული ხდება, უარეს შემთხვევაში კი ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, თვითკმაყოფილება ინვესს მეცნიერული აზრის პარალიზებასა და გაყინვას.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რა შედეგები მოაქვს ტრადიციისა და ავტორიტეტების გავლენას და შესაბამისად - დოგმატიზმს ენათმეცნიერებაში. ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ ავტორიტარიზმის შედეგები ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში, ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მეთოდოლოგიური პრობლემები ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ევროპულ გრამატიკულ ლიტერატურაშიც, რადგანაც ენათმეცნიერება, რომელიც მე-19 საუკუნეში ყალიბდებოდა როგორც მეცნიერება, არ იყო დიფერენცირებული დარგებად და ევროპულ ენათა გრამატიკები ძირითადად დიონისე თრაკიელის ფილოლოგიურ გრამატიკას ეყრდნობოდა. თრაკიელის ფილოლოგიურ გრამატიკაში არსებული არისტოტელეს ლოგიკური ტერმინოლოგია - „**სუბიექტი**“ და „**ობიექტი**“ დამკვიდრდა ევროპული ენების გრამატიკებში, საიდანაც გზა გაიკვალა სხვა ენათა, მათ შორის ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაშიც, სადაც, მოყოლებული მე-18 საუკუნიდან, ტრადიციად იქცა. ამასთან, ტერმინი „**სუბიექტი**“, რომელიც ბერძნული υποκειμενον-ის ლათინური თარგმანია, გამოყენებულია მორფოლოგიაში, ხოლო „**ქვემდებარე**“, რომელიც, ასევე, ამავე ბერძნული ტერმინის ქართულ თარგმანს წარმოადგენს, სინტაქსშია გამოყენებული. ეს ტერმინები ლოგიკურ-სემანტიკური შინაარსისაა და არც ერთი მათგანი არ ასახავს გრამატიკულ ფუნქციას (არ მიუთითებს მორფოლოგიურ ფორმაზე, კერძოდ, თუ რომელი ბრუნვის ნიშნითაა მარკირებული ამ კონკრეტულ ენაში „**სუბიექტი**“, - და სინტაქსურ მექანიზმზე: ფორმათა ურთიერთმიმართებაზე - კოორდინაცია-სუბორდინაციაზე). მეტიც, სუბიექტისა და ობიექტის დეფინიციაში, ჩვეულებრივ, დომინირებს განსაზღვრების შინაარსობლივი ასპექტი და არა გრამატიკული, რომელიც ზოგ შემთხვევაში საერთოდ იგნორირებულია.

ლოგიკის „ექსპანსიამ“ გრამატიკაში, რაც დიონისე თრაკიელის ფილოლოგიური გრამატიკიდან მოყოლებული, დღემდე ტრადიციულადაა დამკვიდრებული მეცნიერულ და სასკოლო-სასწავლო გრამატიკებში, ამ გრამატიკების ავტორთა დიდი ავტორიტეტის გავლენის შედეგად, შეიძლება ითქვას, ათეული წლების განმავლობაში დააბრკოლა ენათმეცნიერული (გრამატიკული) აზრის განვითარება ყოფილი „საბჭოთა კავშირის“ სივრცეში, რომელშიც ქართული ენათმეცნიერული სკოლაც მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ქართველმა ენათმეცნიერმა, კავკასიოლოგიური ენათმეცნიერების სკოლის ფუძემდებელმა, **არნოლდ ჩიქობავამ** გაილაშქრა ამ „ექსპანსიის“ წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1928 წელს და შემდგომ სხვადასხვა წლებში ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ მთელ რიგ მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომებში. მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში, როდესაც ევროპაში პრადის სკოლამ და სოსიურის ლექციებმა ენათმეცნიერების სფეროში დასაბამი დაუდო სტრუქტურულ და დესკრიფციულ კვლევებს, სწორედ მან, არნოლდ ჩიქობავამ, თავის ფუძემდებლური ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ ენათმეცნიერული კვლევის თეორიული საფუძვლები ქართული ზმნური შესიტყვების ემპირიული კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბა; ხოლო **აკაკი შანიძემ** ქართული ზმნის ფორმათა გამონვლილვითი მორფო-სინტაქსური სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე განავრცო, დაასრულა და სერიებისა და მწკრივთა მოძღვრების სახით წარმოადგინა ქართული ზმნის უღლების ნიკო მარისეული დრო-კილოთა სისტემა.

ენათმეცნიერების, როგორც მეცნიერების დარგობრივი დიფერენციაციის შემდეგ საჭირო გახდა ტერმინოლოგიის დიფერენცირება და დაზუსტება, რაც მეოცე საუკუნის განმავლობაში და დღესაც, 21-ე საუკუნის დასაწყისშიც, თანდათან ხდება: ერთი მხრივ, სტრუქტურულ-დესკრიფციულმა ენათმეცნიერებამ, რომლის სფეროა **გრამატიკა**, მოითხოვა ლოგიკური ტერმინოლოგიისგან გამიჯნვა, მეორე მხრივ კი, კოგნიტური ხასიათის კვლებებმა მოითხოვა ლოგიკური ტერმინების - *სუბიექტისა და ობიექტის* მნიშვნელობათა დაზუსტება (აგენსი, *პაციენსი, ეკზეკუტორი...*). აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს ევროპული ენების ზმნური შესიტყვების ანალიზისას გრამატიკულ ლიტერატურაში აფექტურ ზმნებში (*мне снится, хочется... il me plait*) სუბიექტად უკვე არა სახელობითში დასმული, არამედ მიცემითბრუმვიანი სახელი კვალიფიცირდება; ფრანგული ენის სასკოლო სახელმძღვანელოებიდანაც გრამატიკული ანალიზისას ამოღებულია ტერმინები „სუბიექტი“ და „ობიექტი“.

თუ რა გაუგებრობა შეიძლება მოიტანოს სხვა დარგის ცნება-ტერმინების შემოჭრამ და ამ პოლისემიური ტერმინებით ოპერირება-კვალიფიცირებამ ენათმეცნიერებაში, ეს კარგად გამოაჩინა **სოციო-ლინგვისტური თვალსაზრისის „ექსპანსიამ“** ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში **„ქართველური ენების“ ლინგვისტური კვალიფიკაციის** საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც აქ საუბარს არ გავაგრძელებთ.

ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში, რომლის კვლევის საგანს წარმოადგენს მატერიალური სამყარო და, მაშასადამე, მატერიალური, სამეტყველო, ბგერითი ენა, საჭიროა **ლოგიკური დასაბუთების** ელემენტარული და აუცილებელი წესების დაცვა: ამაზე, სხვათა შორის, საგანგებოდ მსჯელობს XII საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნე - ფილოსოფოსი და თეოლოგი, **იოანე პეტრიწი**

თავის კომენტარებში პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლებისა“, რომელიც მან ქართულად თარგმნა გელათის აკადემიის მსმენელთათვის; თავისი „ლექციების“ შესავალში იგი საგანგებოდ ეხება შემეცნების მეთოდებს და შემდეგ კი, I თავში, განიხილავს რა არისტოტელეს დსაბუთების მეთოდს, ასკვნის: „ამ მცირედით ამოიწურება არისტოტელეს „იძულებითი“ (=აუცილებელი) კანონები, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია რისამე შემეცნება **გონების (ლოგიკური) გზით**“ (სხვათა შორის შემდგომ თავებში, როდესაც იგი გადადის იმ გონებით მიუწვდომელი „ზესთა ერთის“ სფეროს განხილვაზე, აღნიშნავს, რომ არისტოტელეს კანონები „ვერ კმა არიან“ მის დასასაბუთებლად).

სამწუხარო ფაქტია, რომ ხშირად სწორედ ეს, არისტოტელეს ლოგიკური დასაბუთების ელემენტარული და აუცილებელი („უცილობელი“) კანონებია უგულვებელყოფილი ენათმეცნიერული და, კერძოდ, გრამატიკული კვლევების დროს.

1. შესასწავლი მასალის, კერძოდ, ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისას ხშირად **არ არის დაცული ცნების დაყოფის ლოგიკური წესი**, რაც გულისხმობს გვარეობითი ცნების სწორად განსაზღვრას და ამ კლასიფიკაციის ფარგლებში მიღებული კრიტერიუმის ბოლომდე დაცვას;

ენათმეცნიერების კვლევისა და შესწავლის საგანი ენაა. ენას ორი მხარე აქვს: შინაარსი (ფუნქცია) და ფორმა, რომელიც ამ შინაარსს (ფუნქციას) გამოხატავს. ენის შესწავლა გულისხმობს როგორც ფუნქციის (სემანტიკის, მნიშვნელობის), ისე სტრუქტურის (ფორმის) შესწავლას, მაგრამ „სრულიად დაუშვებელია, რომ სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) აღინეროს ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და პირუკუ“ (არნ. ჩიქობავა, „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1928, 1968). არნოლდ ჩიქობავას „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ პრინციპი ენათმეცნიერებაში, რომელიც წინა საუკუნის 30-იან წლებში იქნა წამოყენებული, მოითხოვს ენობრივი მასალის კვლევასა და გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაციას **გრამატიკის** შესასწავლი საგნის (**მორფოლოგიისა და სინტაქსის**) იმანენტური სპეციფიკიდან ამოსვლით.

ამავე დროს, ენების კვლევისას მეთოდოლოგიური იმანენტიზმი აუცილებლობით გულისხმობს კონკრეტული ენის შესასწავლი სიმრავლის, ემპირიული მასალის სტატისტიკურ აღწერას 1) **ამ ენის სპეციფიკიდან ამოსვლით**, 2) **ხოლო, რამდენადაც გრამატიკის დარგებია მორფოლოგია და სინტაქსი, შესასწავლი მასალის აღწერა და კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მორფო-სინტაქსურ კრიტერიუმს**. ენის შესწავლა გულისხმობს როგორც ფუნქციის (სემანტიკის), ისე სტრუქტურის (ფორმის) შესწავლას. ფუნქცია და სტრუქტურა ერთმანეთის გარეშე არ არსებობს, მაგრამ მათ სხვადასხვა დარგი შეისწავლის: კერძოდ, გრამატიკა შეისწავლის ფორმებს, რომელთა საშუალებითაც ხდება გარკვეული სემანტიკის მარკირება. მაგალითად, გრამატიკული ფუნქციის მქონე აფიქსები, **ი-, უ-, ე-** ზმნური ხმოვანპრეფიქსები, რომელთა გრამატიკული ფუნქცია ნებისმიერი სტრუქტურის ზმნაში არის არა ქცევის სემანტიკის, არამედ ზმნაში მონაწილე პირების კორელაციის, ურთიერთმიმართების გამოხატვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გამოხატავდეს ე.წ. „ქცევის“ (კუთვნილება-დანიშნულებითს) სემანტიკას, პოზიციურ-ლოკალურსაც და სულაც ნეიტრალურსაც. ასევე, **ვ-** და **მ-**ს რიგის ნიშნები, რომლებიც პირის რომელობის გამომხატველი **გრამატიკული მარკერებია**, და არა როგორც სემანტიკი-

სა - შეიძლება გამოხატავდეს როგორც სუბიექტის, მოქმედი პირის სემანტიკას, ასევე - ობიექტის სემანტიკას, იმის მიხედვით, თუ რომელ გრამატიკულ დიათეზასა თუ სერიას მიეკუთვნება განსახილველი ფორმა (სტრუქტურა).

ქართული ზმნის ანალიზისას და კლასიფიკაციისას დარღვეულია ორი პირობა: კლასიფიკაციისას არ არის დაცული მორფო-სინტაქსური კრიტერიუმი და გრამატიკული კატეგორიების გამოვლენა არ ემყარება **ქართული ენის სპეციფიკას**: ამ ენის საკვლევი მასალის სტატისტიკური და სისტემური ანალიზის შედეგებს; არ არის გათვალისწინებული ქართული ზმნის მორფო-სინტაქსური თავისებურება, რომლითაც იგი განსხვავდება ევროპული ზმნისაგან - შესაბამისად ზმნურ ფორმათა გრამატიკული კვალიფიკაცია არ არის სწორი: **კერძოდ, ზემოთ განხილულ შემთხვევებში ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციისას გვარეობით ცნებად აპრიორი მიღებულია სემანტიკური და არა მორფოლოგიური კრიტერიუმი: გვარი, ქცევა და ზმნაში მონაწილე პირის როგორობა (ობიექტი-სუბიექტი) და არა რომელობა (პირველი, მეორე და მესამე - რაც ქართულში, განსხვავებით ევროპული ზმნისაგან, მორფოლოგიური მარკერითაა განსხვავებული.**

ამგვარად, ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი გაანალიზებულია ევროპული ენების მოდელების მიხედვით: დღემდე სახელმძღვანელოდ მიღებულ გრამატიკულ ლიტერატურაში ქართული ზმნის ძირითად **მორფოლოგიურ საკლასიფიკაციო კრიტერიუმად** გამოყოფილია **გვარის სემანტიკური კატეგორია**, კერძოდ, (მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი) და ვნებითი გვარის მორფოლოგიური სტრუქტურის მახასიათებელ ყალიბად მიჩნეულია **-ები** და **-ბოლოება**, ხოლო ვნებითი გვარის ნიშნებად - **ი-**, **ე-** პრეფიქსები და - **დ** სუფიქსი (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები; ასევე, ავტორთა კოლექტივი: „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“, 2011) მაშინ, როდესაც ამ პრეფიქსების მორფოლოგიური ფუნქცია არის არა გვარის კატეგორიის, არამედ პირთა კორელაციის აღნიშვნა, ხოლო - **დ** სუფიქსი კი მადინამიკურებელი, მაინტენსივებელი სუფიქსია, რომელიც სახელისაგან ზმნას აწარმოებს (ვრცლად იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, 2014). **თვით აქტივი და პასივის შინაარსი კი მორფოსინტაქსური ანალიზის შედეგად მიღებულ სქემაში ერთმანეთს გრამატიკულად, ფორმის მიხედვით არ უპირისპირდება**: სემანტიკური კატეგორიაა. მათი გრამატიკული ფორმით დაპირისპირება თანდათან ჩამოყალიბდა ბერძნულიდან პასიური კონსტრუქციების თარგმნის პროცესში, რაც ომონიმური ფორმების თავიდან აცილების აუცილებლობამ გამოიწვია (ვრცლად იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, 2014). ასევე საფუძველს მოკლებულია საშუალი გვარისა და მისი ქვეჯგუფების (მედიოაქტივისა და მედიოპასივის) როგორც გრამატიკული კატეგორიის გამოყოფა ქართულში (ვრცლად იხ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, 2014)

1. საკლასიფიკაციო პრინციპი არ ემყარება მორფოლოგიურ და სინტაქსურ კრიტერიუმებს, შესაბამისად, გრამატიკული მოვლენების კვლევისა და კვალიფიკაციისას გამოყენებულია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტრადიციული, ძველი ქართველი გრამატიკოსების თრაქიელიდან და ევროპული გრამატიკებიდან გადმოღებული ლოგიკური (/სემანტიკური) ტერმინოლოგია: გრამატიკული სტრუქტურა და კონსტრუქცია აღწერილია ლოგიკურ(/უნივერ-

საღურ) და არა გრამატიკულ (მორფო-სინტაქსურ) ცნებათა აღმნიშვნელი ტერ-
მინებით, რაც ხშირად გაუგებრობას იწვევს.

ევროპული ენების გრამატიკების სტანდარტის გავლენა ქართული ენის
გრამატიკებზე „არ ახალია,“: ცნობილია, რომ ქართული ზმნური შესიტყვები-
სათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ბრუნვის, **მოთხრობითის** დამკვიდ-
რებას ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში ერთი საუკუნე დასჭირდა;
ასევე, საკმაოდ დრო დასჭირდა ქართული ზმნის აკაკი შანიძისეული მორფოსინ-
ტაქსური პრინციპით, სერიებად და მწკრივებად კლასიფიკაციის მიღებასა და
დამკვიდრებას.

**2. დასაბუთების საფუძვლად აღებულია აპრიორულად, წინასწარ მიღე-
ბული, ემპირიულად (სტატისტიკურად) შეუმონმებელი დებულება,** მაშინ,
როდესაც დასკვნების სისწორე-მცდარობა დამოკიდებულია 1) **წანამძღვრის,**
ამოსავალი დებულების სისწორე-მცდარობაზე რასაც ემპირია/სტატისტიკა
ამონმებს და ხშირად დამოკიდებულია ახალი მასალის მოკვლევასა თუ აღმოჩე-
ნებზე, ანდა 2) **ლოგიკური არგუმენტაციის სიმტკიცე-სისუსტეზე.** მეორე პი-
რობა ხშირად დაცულია, მაგრამ, თუ ემპირიული მასალა სტატისტიკურად საკ-
მარისად არ არის შესწავლილი და არგუმენტაცია ეყრდნობა არასწორ, **მცდარ**
წანამძღვარს, დანასკვი მცდარი იქნება. კლასიფიკაცია უნდა ამოდიოდეს და
ეყრდნობოდეს **ემპირიულ მასალას** (ინდუქციიდან >დედუქციისკენ და არა პი-
რიქით) **და არა** ტრადიციულად დამკვიდრებულ **აპრიორულად** მიღებულ დე-
ბულებას, რომელიც კვლევის პროცესში შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ამგვა-
რად, გრამატიკული კატეგორიის, თუ მისი მარკერის კვალიფიკაციისას აუცი-
ლებელია საკვლევი მასალის სტატისტიკური (მათ შორის მონათესავე ენების)
მონაცემების გათვალისწინება, რაც ხშირად უგულვებელყოფილია. გათვალის-
წინებული არ არის ემპირიული, სტატისტიკური მონაცემები და გამონაკლისად
და ანომალიებადაა ჩათვლილი სისტემური მოვლენები, რადგანაც ხშირად მა-
სალის კვლევას სისტემური ხასიათი არა აქვს, ენობრივი მოვლენების შესწავ-
ლა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, „ამოგლეჯით“ ხდება და მხედველობაში
არ არის მიღებული ის, რომ ენა სისტემაა, ამ სისტემის რგოლები ერთმანეთთან
ორგანულადაა დაკავშირებული და სწორედ ამ ორგანული კავშირების ურთი-
ერთმიმართებაა აღმოსაჩენი და შესასწავლი.

**3. დგას მორფო-სინტაქსური ფაქტებისა და კატეგორიების ტერმინოლო-
გიური დახასიათების პრობლემა:** მაგ. ა) ზოგადად „მწკრივთა“ სახელწოდებე-
ბის საკითხი (კერძოდ, ძველი ქართული ენის გრამატიკაში ტერმინის „კავშირე-
ბითის მწკრივები“ გამოყენების შეუსაბამობა, III სერიის მწკრივთათვის ტერმინ
„თურმეობითების“ მიზანშეწონილობის საკითხი როგორც ძველ, ისე თანამედ-
როვე ქართულში და სხვ.); გ) ტერმინის – „გარდამავლობა“ – გამოყენება, გრამა-
ტიკული კატეგორიის აღსანიშნავად „პოლიპერსონალურ“ ქართულ ზმნაში; დ)
ზმნის პირის ნიშანთა „ინვერსიის“ პრობლემა და ამასთან დაკავშირებით პირის
მარკერების ლოგიკურ-სემანტიკური და **საკუთრივ გრამატიკული ფუნქციე-
ბის** განსაზღვრა და გამიჯვვა დიაქრონიულ და სიქრონულ წრილში და სხვა (იხ.
დ. მელიქიშვილი, ქართული სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, 2014)

*აღსანიშნავია, რომ თამაზ გამყრელიძემ გარკვეული წესრიგი შეიტანა ლოგი-
კურ და გრამატიკულ ცნება-ტერმინთა დიფერენცირებაში (თ. გამყრელიძე, „ზმნის*

პირიანობა და ვალენტობა”, იხ. „რჩეული ქართველოლოგიური შრომები”, თბილისი, 2000); ირინე მელიქიშვილმა ქართული ზმნის სემანტიკური მარკირების მიხედვით მოახდინა ვინისა და მანის რიგის მარკირების ლოგიკური (ფუნქციური) კლასიფიკაცია და გამოყო ერთი მხრივ – ვინის რიგით გამოხატული აქტიური აქტანტებისა და მეორე მხრივ – მანის რიგით გამოხატული ინაქტიური აქტანტების (სუბიექტის) ქვეჯგუფები; ასევე, მანის რიგით მარკირებული აქტანტების (ობიექტების) ქვეჯგუფები (იხ. მელიქიშვილი, „სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და პასიურობა-აქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში“: იხ. კრებ. „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ბათუმი, 2011, გვ. 325-334). ირინე მელიქიშვილის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად წარმოდგენილი სურათი აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიის მიხედვით პირის ნიშანთა განაწილებისა ადეკვატურად ასახავს ქართული „წინადადების ბირთვის” პარტიციპანტების ზმნასთან სემანტიკური მიმართება-მარკირების წესს ისე, რომ არ არის აღრეული გრამატიკულ პრინციპში (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლოგიკური ტერმინი „სუბიექტი“ მასაც, ტრადიციისამებრ, გრამატიკული მნიშვნელობით აქვს ნახმარი).

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული ზმნის უღლებად ფორმათა კლასიფიკაცია გრამატიკული - მორფოსინტაქსური პრინციპით: ზმნურ ფორმათა სტრუქტურისა და კონსტრუქციის საფუძველზე გამოყოფილია ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია - დიათეზა, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით. გვარი (ავტოაქტივი, აქტივი, პასივი) დიათეზების მორფოსინტაქსურ სისტემაში (სქემაში) დიათეზის სემანტიკურად განსხვავებული ქვესახეა, რომელიც გრამატიკულად არ არის მარკირებული. გვარი (ავტოაქტივი, აქტივი, პასივი) დიათეზების მორფოსინტაქსურ სისტემაში (სქემაში) დიათეზის სემანტიკურად განსხვავებული ქვესახეა, რომელიც გრამატიკულად არ არის მარკირებული.

1. დიათეზის გრამატიკული კატეგორია არის ზმნური შესიტყვების მორფოსინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და ზმნური აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა.

2. დიათეზების სისტემა ისტორიულად საერთოა ქართველური ზმნური შესიტყვებისათვის, რომელმაც გარკვეული ცვლილება განიცადა მეგრულსა და ლაზურში - სისტემის უნიფიკაციისა და „მეტყველების ეკონომიის“ საფუძველზე - ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების არის გაფართოებით.

სტრუქტურისა და კონსტრუქციის ვარიანტების თვალსაზრისით, გამოიყოფა დიათეზის სამი ჯგუფი, ისევე, როგორც მორფოსინტაქსური კლასიფიკაციით მიღებულ სამი სერიის შემთხვევაში. თითოეული ჯგუფი აერთიანებს უღლების განსხვავებულ ტიპებს, რაც რეალიზდება სამი სერიის ფარგლებში:

I დიათეზა: (ი-/უ-/ა)-R-[th.suf.]-Ø სტრუქტურა: გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ა) „ავტოაქტიური“ სუბიექტის მქონე არასრული კონსტრუქციის უკუქცევითი ზმნები (რეფლექსივები), რომელთაც „შეზღუდული დინამიკა“, ანუ „ნაწილობრივი სტატიკა“ ახასიათებთ (კანკალ-ებ-ს ის - ი-კანკალ-ებ-ს ის, ი-კანკალა მან; ი-ცინ-ი-ს ის - გა-ი-ცინ-ებ-ს ის - გა-ი-ცინ-ა მან). და ბ) აქტიური სუბიექტის მქონე სრული კონსტრუქციის დინამიკური ზმნები (ა-კანკა-

ლებს ის მას, ა-ცინებ-ს ის მას, უ-თბ-ობ-ს ის მას მას); აქვე შედის ლაბილური კონსტრუქციის ნაკლები კონსტრუქციის ავტოაქტივები/რეფლექსივები“ რომელთა შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება, - ხან იკარგება (თამაშობს ის - თამაშობს ის მას,, ლაპარაკობს ის - ლაპარაკობს ის მას,, სწავლობს ის - სწავლობს ის მას). პირველ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ასევე, არასრული კონსტრუქციის ორპირიანი ზმნები (უყურ-ებ-ს ის მას - უყურა მან მას, უჩხიკინ-ებ-ს ის მას - უჩხიკინა მან მას, უ-ცინ-ი-ს ის მას - გა-უ-ცინ-ა მან მას ტიპისა და სხვ.).

II დიათეზა R+ი სტრუქტურა: გამოიყოფა 2 ქვეჯგუფი: ა) R+ი სტრუქტურის („უთემისნიშნო“), სტატიკური, უგვარო (/ნეიტრალური) (ჭ-გდ-ი-ე-ს > გდ-ი-ა იგი) ზმნები და ბ) R-[th.suf.ებ]+ი სტრუქტურის დინამიკური, ავტოაქტიური, აქტიური და პასიური სუბიექტის მქონე ზმნები (ე-გდ-ებ-ი/-ა, ი/ე-მალ-ებ-ი/-ა, თბებ-ი/-ა). შესაბამისად - არასრული და სრული ნომინატიური კონსტრუქციით.

III დიათეზაში გამოიყოფა ძირეული დატიური კონსტრუქციის ფსიქიკური და მენტალური, ე.წ. აფექტური არქაული ზმნების ორი ქვეჯგუფი: ა) I ქვეჯგუფი: შერეული, R-Ø და R+ი სტრუქტურისა (მიყვარ-ს, მძულ-ს, მომწონ-ს, მში-ი-ს, მწყურ-ი-ს > მშ-ი-ა,, მწყურ-ი-ა, მგონი-ე-ს > მგონ-ი-ა ტიპისა) და ბ) II ქვეჯგუფი ასევე შერეული კონსტრუქციის (I და II დიათეზების), ა-R- [th.suf.ებ]-Ø და R--[th.suf.ებ]+ი სტრუქტურის ზმნათა კონვერსიისა და ინვერსიის გზით მიღებული დატიური კონსტრუქციის მქონე ზმნები (მაკანკალებს ისმე > მაკანკალებს მე /ა-კანკალ-ებ-ს მას ის > ა-კანკალ-ებ-ს მას; ა-ყრუოლ-ებ-ს, ა-ცი(ვ)-ებ-ს ის მას > აყრუოლებს, აციებს მას; აინტერესებს-ს ის მას > აინტერესებს/ე-ინტერეს-ებ-ა მას ის; მ-ანატრებს-ს ის მე მას > მ-ენატრ-ებ-ა მე ის - ვ-ე-ნატრ-ებ-ი მას მე ...)

დიათეზის, როგორც გრამატიკული კატეგორიის ჩვენ მიერ წარმოდგენილი სქემა აჩვენებს სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესაბამისობას, მაგრამ ამ სქემაში სემანტიკური დონე ექვემდებარება დიათეზის გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც განსაზღვრულია მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით, სხვაგვარად: ამ სქემაში დიათეზა გრამატიკული ნიშნით განსაზღვრული კატეგორიაა (რომელიც მარკირებულია მორფო-სინტაქსური ნიშნებით: სტრუქტურითა და კონსტრუქციით) გვარი კი დიათეზების მიხედვით კლასიფიკაციის ფარგლებში სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც არ არის გრამატიკულად მარკირებული: აქტიური სემანტიკა გადმოიცემა როგორც I დიათეზის R[th.suf]-Ø სტრუქტურით, ასევე II დიათეზის ი/ე-, R[th.suf]-ი R-დები სტრუქტურითაც, ხოლო პასიური სემანტიკა კი მხოლოდ II დიათეზის R[th.suf]-ი სტრუქტურითაა მიერ და გან თანდებულები. ამ მხრივ ცალკე დგას „დატიური კონსტრუქციის“ III დიათეზა, რომელიც შერეული სტრუქტურისაა: ამ ჯგუფში ძირითადად ე.წ. „აფექტური“, სულიერი და მენტალური მოქმედება-მდგომარეობის ზმნებია გაერთიანებული, რომელთა სუბიექტი სუსტი ნებელობის, განმცდელი, ინაქტიური პირია, რომელიც უგამონაკლისოდ მ-ს რიგის პირის მარკერით აღინიშნება. ამ თვალსაზრისით III დიათეზას შეიძლება „ინაქტიური“ დიათეზაც ეწოდოს (იხ. დიათეზების სქემა).

როგორც ქვემოთ წარმოდგენილი სქემიდანაც ჩანს, დიათეზის გრამატიკული კატეგორია არის ზმნური შესიტყვების მორფოსინტაქსური სტრუქტურა-

მექანიზმის ორგანიზაციისა და ზმნური აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ენაში, მათ შორის, ქართულსა და ევროპულ ენებში: კერძოდ, ქართული ენის ზმნური შესიტყვების სისტემა ევროპულისაგან განსხვავებით, რთულია, მაგრამ მკაცრად ორგანიზებული და ლოგიკურად გამართულია აქტანტთა სუბორდინაცია-კოორდინაციის საფუძველზე.

ზემოთ ჩამოთვლილი რობლემების გადაჭრა შეუძლებელია ტრადიციული გრამატიკის ფარგლებში, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართული ენის გრამატიკის სწავლება საერთოდ ამოღებულ იქნა სასკოლო პროგრამებიდან.

ყოველივე ამასთან, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ქართული ენის კომპიუტერული მოდელირება ამ პრობლემების დაძლევისა და ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის გარეშე შედეგის მომცემი არ იქნება, ვფიქრობთ, საჭირო და აუცილებელია ქართულ სასწავლო თუ სამეცნიერო გრამატიკულ ლიტერატურაში ტრადიციულად მიღებული დოგმების გადახედვა და ამ საკითხებთან დაკავშირებით საენათმეცნიერო დისკუსიის გამართვა არა მხოლოდ ქართული ზმნის გრამატიკული კლასიფიკაციის, არამედ, ზოგადად (ლინგვისტურ ლიტერატურაში), გრამატიკული კლასიფიკაციის პრინციპების თაობაზე.

დიათეზების სქემა

I დიათეზა (ერგატიული)	
<p>სტატიკური, (ნაწილობრივი, რელატიური სტატიკა) გვარი: ავტოაქტივი//რეფლექსივი სტრუქტურა: R-∅; ი-/უ-R[ე/ი]-∅; prev.-R- ა-/ი-/უ-R-th.- ∅</p> <p>კონსტრუქცია არასრული: [ის – მან; ის მას – მან მას]</p>	<p>დინამიკური გვარი: აქტივი</p> <p>სტრუქტურა: ა-/ი-/უ-R-∅; ა-/ი-/უ-R [ე/ი]-∅; ა-/ი-/უ-R-th.suf.-∅</p> <p>კონსტრუქცია სრული: [ის მას – მან ის; ის მას მას – მან მას ის]</p>

II დიათეზა (ნომინატიური)	
<p>სტატიკური (აბსოლუტური სტატიკა) უგვარო</p> <p>სტრუქტურა: ∅-/ი-/უ-R-ი</p> <p>კონსტრუქცია არასრული: [ის – ის]</p>	<p>დინამიკური გვარი: ავტოაქტივი, აქტივი, პასივი</p> <p>სტრუქტურა: ∅-/უ-R-ებ-ი; ∅-/უ-R-დ-ებ-ი; ა-R-ებ-ი; ე-R-ებ-ი; ი-/ე-R-ებ-ი</p> <p>კონსტრუქცია სრული: [ის – ის; ის მას – ის მას]</p>

III დიათეზა (დატიური)	
სტატიკური (განმცდელი, სუსტი, ინაქტიური სუბ.)	სტატიკური, დინამიკური. (განმცდელი, ინაქტიური სუბ.)
სტრუქტურა ძირეული: ი-/-უ-R-∅ ი-/-უ- R-ი	სტრუქტურა წარმოქმნილი: ა-R-ებ-∅ ე-R-ებ-ი
კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის -მას ის .ს ის – მას ის]	კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]

დიათეზასა და გვართან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ლენინგრადის ენათმეცნიერულ სკოლაში დაიწყო **დიათეზისა და გვარის უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის დამუშავება**, რასაც არაერთი კოლექტიური თუ ინდივიდუალური შრომა და კრებული მიეძღვნა. მუშაობაში მოსკოვისა და სსრკ-ს სხვა ქალაქების, საზღვარგარეთის ლინგვისტებიც ჩაებნენ, მაგრამ პრობლემა მოუგვარებელი დარჩა, რასაც თვით ამ კონცეფციის მონაწილენიც აღიარებდნენ. ამ გაურკვეველობის და ბუნდოვანების მიზეზი კლასიფიკაციის პრინციპების დარღვევა და კრიტერიუმების აღრევაა: აღნიშნული კონცეფციის მიხედვით გვარი განსაზღვრულია (გაგებულია), როგორც „ზნაში გრამატიკულად მარკირებული დიათეზა“. ხოლო დიათეზის გაგება კი ეფუძნება სემანტიკური (სუბიექტ-ობიექტის) პლანისა და სინტაქსური (ქვემდებარე-დამატების) პლანის ურთიერთშესაბამისობას. მაგ. ა. ხოლოდოვიჩის განსაზღვრებით, **დიათეზა - ეს არის სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესაბამისობის სქემა, ხოლო გვარი - გრამატიკულად მარკირებული კატეგორია** (უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კლასიფიკაციას ეყრდნობა ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომში „დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში“ ზ. ბარათაშვილი (ენათმეცნიერების საკითხები, 2013, გვ.66-80), რის გამოც ავტორი შეუსაბამო სურათს იღებს: ერთმანეთში აღრეულია გრამატიკული და სემანტიკური კატეგორიები.

ენათმეცნიერების, ისევე, როგორც ნებისმიერი ემპირიული მეცნიერების სფეროში, კვლევის პროცესში პირველი რიგის ამოცანაა შესასწავლი სიმრავლის სტატისტიკურად აუცილებელი და საკმარისი რაოდენობის მასალის ანალიზი ჩატარდეს მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პოზიციიდან, რაც გულისხმობს საკვლევი მასალიდან, ემპირიიდან ამოსვლით, **ინდუქციური და არა დედუქციური** კვლევის გზით მისვლას ჭესმარიტად სწორ დანასკვამდე და არა პირიქით, აპრიორულად, წინასწარ, დოგმად მიღებული, სტატისტიკურად შეუმომნებელი და დაუსაბუთებელი დებულებიდან, რასაც ლოგიკაში უწოდებენ „წრეს დასაბუთებაში“ - ეს კი „საგიობელ არს ფილოსოფოსთაგან“ (როგორც წერს არისტოტელეს „კატეგორიების“ ერთ-ერთი კომენტატორი, ალექსანდრიული ფილოსოფიური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი, ამონიოს ერმიასი, იხ. ამონიოს ერმიასის თხზულებები ქართულ მწერლობაში 1983).

ამ, თავისთავად ცხადი პრინციპების გაუთვალისწინებლობა და დარღვევა ენობრივი ფორმებისა თუ მოვლენების გრამატიკული კლასიფიკაციი-

სა და კვალიფიკაციის გაურკვევლობას და ხშირ შემთხვევაში მცდარობასა და დეზინფორმაციასაც იწვევს.

დაბოლოს, შეძლება დავასკვნათ: რამდენადაც გრამატიკის შესასწავლი ობიექტი სიტყვის ფორმა (სტრუქტურა) და ამ ფორმათა შეკავშირების მექანიზმია (ანუ კონსტრუქცია), აქედან გამომდინარე, შესასწავლი მასალის აღწერა და კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მორფო-სინტაქსურ-გრამატიკულ კრიტერიუმს. ამავე დროს, დაცული უნდა იყოს ცნების დაყოფის ლოგიკური წესები და კლასიფიკაციის პრინციპის ერთიანობა.

გრამატიკული მოვლენის კვალიფიკაციისას უნდა გაიმიჯნოს ლოგიკისა და გრამატიკის სფეროები: გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს მასალის მორფო-სინტაქსური ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც გაირკვევა გამოვლენილი ფორმების (/ სტრუქტურების) ერთი მხრივ - გრამატიკული და, მეორე მხრივ - ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციები, ანუ დადგინდება სემანტიკური მარკირების მიმართების ტიპი მორფოლოგიაში; ასევე, გაირკვევა, საერთოდ, მარკირებულია თუ არა გრამატიკულად (მორფოლოგიურად) ესა თუ ის უნივერსალური სემანტიკური კატეგორია კონკრეტულ ენაში.

მერაბ ნაჭყებია, თამილა ზვიადაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მასალები დასავლეთ საქართველოს ტრადიციული დარგობრივი ლექსიკიდან

(ზემო იმერეთი)

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შრომითი საქმიანობის დროს იქმნებოდა ესა თუ ის პროფესიული დიალექტი, რომელთა ლინგვისტური მახასიათებლების შესწავლა საინტერესო სურათს იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგობრივი ლექსიკის კვლევა. როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებდა: „დარგობრივი ლექსიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და შეხედულებებთან. მათში მიმდინარე ცვლილებები ხშირად გამოავლენს ფაქტებს, რომლებიც დიდ კულტურულ-ისტორიულ ინტერესს აღძრავენ და რომელთაც თანამედროვეობისათვის აქტუალური მნიშვნელობა აქვთ სალიტერატურო ენის გამდიდრების, ტერმინოლოგიის დამუშავების თვალსაზრისით (ჩიქობავა 1975:37). დარგობრივი ლექსიკა სრულ წარმოდგენას გვიქმნის დიალექტის თავისებურების შესახებ და თემატურ ჯგუფად თავს უყრის იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა საქმიანობასა და ცნობიერებასთან.

ზემო იმერეთში დასტურდება მრავალდარგოვანი კერამიკული წარმოება: მეჭურჭლეობა, მექვევრეობა-მეთონეობა, მეკრამიტეობა-მეაგურეობა. მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ დარგების ხელსაწყო-ნაგებობათა, კერამი-

კულ ნანარმთა სახეებისა და მათი გამოძერწვა-მოხატვის პროცესების ამსახველი ლექსიკა ჯერ კიდევ შემორჩენილია, რადგან შინამრეწველობის ეს დარგი აქ დღემდე არსებობს და შემოსავლის წყაროცაა. ლექსიკური ერთეულები გამოირჩევიან სიძველით, თუმცა დროთა ვითარებაში შესაძლებელია მოხდეს ცვლილება – სიტყვამ დაკარგოს ზოგიერთი სემანტიკური კომპონენტი და ახალი შეიძინოს.

კვლევის შედეგად გამოიყო კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების რამდენიმე თემატური ჯგუფი, მოპოვებული მასალა ეთნოგრაფიულ და ენათმეცნიერულ მონაცემებს შეუდარდა (ლ. ბოჭორიშვილი, ზემოიმერული კერამიკა: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, 1956; ქეთევან ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974; ქართული ენის დიალექტური კორპუსი, ძველი ქართული ენის ლექსიკონები, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი); დადგინდა მათი წარმომავლობა, მიმართება ძველ ქართულ ენასა და ქართული ენის სხვა დიალექტებთან.

ზემოიმერულში საჭურჭლე მიწას **აყალოს** უწოდებენ. საბას განმარტებით, „აყალო არის მიწა, საპონთ მსგავსი, მნიკვლთა გამრეცხელი“ (ორბელიანი 1991:81), „ტალახი მიკრავი, მიმწები, ძნელად გამოსარეცხელი“ (ორბელიანი 1991: 403); იგი უპირატეად მონითალო ან მტრედისფერი **ლაგაზია** - „ზიტნია მიწა, რომელიც ხელებზე საპონივით ილესება“ (ძონენიძე 1974:213); სიტყვა ძველი მნიშვნელობით გამოიყენება დღესაც: „აყალო მიწა ისე იზიზნება, არაფრით ნიჩაბი არ მიდის წინ“, „კი იდგა მუხლებამდე **ლაგაზ** ტლაპოში“ (ზესტაფონი, ძირულა). გარდა ნებოვანებისა, საჭურჭლე მიწა ხასიათდება როგორც ფიცხი, კეჟერი მიწა. **კეჟერი** დიალექტებში აღნიშნავს ნახევრად ხმელს და ნახევრად ნედლს (ღლონტი 1974:281). იმერულში კეჟერას უწოდებენ ერთგვარ ფხალს (კომბოსტოს მსგავსია), რომელიც მაგარია. ამავე მნიშვნელობისაა ეს სიტყვა სულხან -საბასთან: **კეჟერა**- უთავო კომბოსტო (ორბელიანი 1991: 366);

არქაული სიტყვაა **ალიზი**, რომელიც ძველ ქართულში აღნიშნავს გამოუწვავ აგურს. ასე განმარტავს მას ი. აბულაძე, რომელიც ძველ ქართულში მისი გამოყენების ნიმუშად რამდენიმე მაგალითს ასახელებს: „ალიზი ერთი დაიდვის სასთუმალ“ („შუშანიკის წამება“); „ალიზი, რომელსა არ ედვას ქუემე საფუძვლად ქვად პირსა მდინარესასა, ვერ დაიდგამს უმეტეს ქვისა“ (მ. ცხ. 352); „მოიღე თავისა შნისა ალიზი“ (ეზეკ. 4.1);

ალიზი სალიტერატურო ენაში დღესაც გამოუწვავი აგურის მნიშვნელობით იხმარება (ალიზის სახლი-აგურის სახლი). იმერული დიალექტის მიხედვით, ეს არის მოყვითალო-მონითალო თიხა, რომელსაც ქვევრის დასაგოზავად, საწინახლის გასალესად გამოიყენებენ: „ადრე ჭურისა და ჭურჭლის ქარხანა ან ქვითკირისა იყო, ან ჩელტისაგან კეთდებოდა. დაასობდნენ სარებს... და რაგვავდნენ წნელით სარების სიმალღეზე, შემდეგ შელესავდნენ თიხით – ალიზით“ (ძონენიძე 1974: 562);

საჭურჭლე მიწის შემადგენელი ნაწილია **თირი**, რომელიც მოთეთრო ფერისაა, ფხვიერი, სილისნაირი, უზეთო. იგი მოთეთრო ფერის „უღალო“, „უძალო“, „ტინტლი“ წმინდა მიწაა. ხელით ადვილად ისრისება. სიტყვა საკმაოდ ძველია, დასტურდება სხვა დიალექტებშიც (აჭარ., ქიზ., ჯავახ.). ივანე ჯავახიშვილის მიხედვით: „თირი არის კლდე ლბილი და ადვილად სათლელი... აქ თირის მხოლოდ ორი თვისებაა აღბეჭდილი. ერთი ის, რომ იგი თავისი სიმკვრივით უფრო კლდეს და ქვას მიაგავს, ვიდრე მიწას; მეორე ისიც, რომ თავისი სიმკვრივის მი-

უხედავად თირის დამახასიათებელ თვისებას სწორედ სირბილე შეადგენს“ (ჯავახიშვილი 1934: 122);

ზემოიმერულში თირი მინაა, როგორც სულხან-საბა აღნიშნავს, „საშუალი ქვისა და მინისა“, ნებოვანიც არის და მშრალიც. რომელსაც ნებოვნება აკლია, **შლაში** ეწოდება. საჭურჭლედ ნებოვანი თირი სჯობს, ცოტა რაოდენობით აყალოს შერევა სჭირდება. ხელოსნები ცალკე გამოყოფდნენ საჭურე და საკრამიტე მინას. სიტყვა „**შლაში**“ გამოიყენება გამხდარი, სუსტი აღნაგობის ადამიანის აღსანიშნავადაც. გადატანითი მნიშვნელობით ეს არის უძარღვო, ნებოვანებაგამოცლილი მინა.

განსხვავებულია საჭურე მინა. იგი „ხვინჭკიანია“, წითელი ფერის, ცეცხლგამძლე, სხვაგვარად „ქვათარს“ უწოდებენ. **ხვინჭკა** არქაული წარმოშობის ლექსიკური ერთეულია. სულხან-საბასთან **ხვინჭა//ღვინჭა** - წყალთ კენჭია (ორბელიანი 1993:485); ასევე განმარტავს ილია აბულაძეც: **ღვინჭა** - წურილოვანი ქვა, კენჭი: „შთააგდის ბუდესა მას შინა ღვინჭა ერთი მცირე“ (ბ. კეს. დღ. 99, 28).

დასავლურ დიალექტებში ძველი სემანტიკით გამოიყენება: **ხვინჭი** (რაჭ.) - ქვის წვრილი ნატეხი (ღლონტი 1984:751). „ე იმ გზას რო დაადგებოდი, წულეში **ხვინჭა** და ხრეში გადი-გამოდიოდა“ (ზესტაფონი, ძირულა);

მინაში ქვის როდენობის შესაბამისად ადგილს ეწოდება: ქვიშიანი, ქვიშნარი, ხვიჭნარი... ზემო იმერულში გვაქვს ხვინჭკარო : „ხვინჭკარო მინაზე კარგათ ივარგა ბოსტანმა“ (ძონენიძე 1974:264); **ხვიჭკ(ნ)არა** - მოხვინჭული ანუ მოკენჭილი, მოკირწყლული ადგილი (ა. გვენცაძე);

საჭურჭლე მინა შეიძლება იყოს „**ხოშორი**“ - „მსხვილისა და წვრილის საშუალი (ორბელიანი 1993:428). იმერულში ეს სიტყვა დაფქულის, ფქვილის აღსანიშნავად გამოიყენება, უწოდებენ ოდნავ მსხვილ მარილსაც.

თიხის ჭურჭლის შესამკობი ტერმინია „წერნაქი“, რომელიც დანვამდე ყვითელი ფერის „ხვანჭკასავით“ ქვაა, დანვის შემდეგ კი წითელ ფერს იღებს. ამზადებენ შავ წერნაქსაც. ამისთვის საჭიროა ჭიათურის ქვა - მარგანეცი. შავ ქვას გამოუნვავად ნაყავენ და წერნაქს შეურევენ. თუ ქვა უფრო ნაკლებია, წერნაქი ბადრიჯანისფერია“ (კაკაბაძე 1982 : 19).

წერნაქი//წარნაქი გვხვდება ძველ წერილობით წყაროებში: „მონერა იგი წარნაქითა და ძონითა, მენამულ ქნა ფერი მისი“ (სიბრძ.სოლ. 13, 14); „უშენე... მონივთლები ნაძვით, განგლესილები წარნაქითა“ (იერემ. 22, 14); სულხან-საბა წერნაქის განმარტებისას მიგვითითებს „დაბადების“ კონტექსტზე: „წითელი სახატავია, კაპაადუკიას გამოვა: ერთი უწითლესია, მეორე - უმქრალესი, მესამე - უცუდესი; სახლის სართულებს მოხატვენ“ (ორბელიანი 1993:367);

ქართულსა და დიალექტებში „წარნაქი“ დღესაც კერამიკული ჭურჭლის მოსახატ საღებავს აღნიშნავს. პროფ. თ. გვანცელაძის ცნობით, წარნაქი ამავე მნიშვნელობით გამოიყენება აფხაზურშიც. რაც შეეხება მეგრულს, აქ მომხდარია სემანტიკური ცვლილება, დავინროებულია სიტყვის მნიშვნელობა: „ბინეხიქ ოკო ინამალუას წარნაქით დო წურწუფათი“ - ვაზი უნდა შეინამლოს შაბიამნითა და გოგირდით (ქაჯაია 2002:404). ე. ი წარნაქი ეწოდება ვენახის (ბოსტნის) შესაწამლ შაბიამანს. სიტყვა მეგრულში ქართულიდან არის შესული, ცვლილება გვიანდელი უნდა იყოს. „სააქიმო წამალს ჭურში ან სხვა ჭურჭელში ვამზადებთ. კირი და შაბი ერთნაირად უნდა, დავასხამთ წყალს და ავურევთ“ (ზესტაფონი, ძირულა);

ღვინის შესანახ დიდი ზომის თიხის ჭურჭელს იმერეთში ჭურს უწოდებენ. კახეთისაგან განსხვავებით, აქ შედარებით მცირე ზომის საღვინე ჭურჭელი მზადდება. ეს იმიტომ გამოწვეულია, რომ კახეთთან შედარებით იმერეთში ვენახი მცირე ფართობზეა გაშენებული და ყურძნის მოსავალიც ნაკლებია.

საღვინე ჭურჭელს ქართულში ფორმისა და დანიშნულების მიხედვით სხვადასხვა სახელი ერქვა. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით: „ზოგადი სახელი ყოველთა არს ჭურჭელი, ხოლო ესე ჭურჭელი განიყოფიან: იარალად, გვარდაკად, ლაკანად, ჯამად, საღვინედ, წედად, სარწყულად, ზარდახმად, სანყავად, ჭურად... საღვინე არს: სურა, სანდე, დასტი და მისთანანი, ჭურნიცა და წედანიცა საღვინედ ითქმის“ (ორბელიანი 1993 : 409);

ჭური, როგორც საღვინე ჭურჭელი, გულისხმობს ლექსემებს: დიდი, მოზრდილი, ღრმა, პატარა, მომცრო... ეს სემანტიკა სალექსიკონო მნიშვნელობებით გადმოიცემა: „დიდსა ეწოდების ქვევრი და მის შედეგსა – ყვიბარი და მისსა უმცროსსა – ქოცო, არამედ ყოველივე ჭური არს“ (ორბელიანი 1993:408); „სიტყვის კონას“ ეყრდნობა ნ. ჩუბინაშვილიც: „ჭური საკუთრივ ეწოდების ღვინის ჩასასხმელს, რომელ არიან: ქოცო, ხალანი, დერგი, ლაგვანი, ლაგვინარი და თხიერიცა (ჩუბინაშვილი 1961: 460);

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც ღვინის შესანახ დიდი ზომის თიხის ჭურჭელს ჭური ჰქვია, ქვევრი კი უფრო მცირე მოცულობისაა, რომელიც შიგ ჩაუსვლელად, ზევიდან ირეცხება სარცხით (ძონენიძე 1974:403); ჭური დიდი ქვევრია, ორმოც ფუთზე მეტი ტევადობის. მისი გარეცხვა შიგ ჩაუსვლელად არ ხერხდება, ამიტომ ძველად ჭურს „ჩასავალსაც“ უწოდებდნენ (კაკაბაძე 1982: 63); მარნის ჭურებიანი ნაწილი, სადაც ღვინო ინახება, ღია ცის ქვეშაა განთავსებული, ხოლო თავად სამეურნეო ნაგებობა ღია ტიპისაა, გადახურული, სადაც მეღვინეობასთან დაკავშირებული ინვენტარია განთავსებული. აქვეა საწნახელი და სატკბილე **ისარნა**. მარნის ასეთი განლაგება დაკავშირებულია როგორც ნახევრად ტკბილი ღვინოების დაყენების პრაქტიკასთან, ასევე განპირობებულია დასავლეთის ტენიანი ბუნების გათვალისწინებით, რაც კარგად იცავს ჭურში ჩასხმულ ღვინოს და უნარჩუნებს საუკეთესო თვისებებს. [http:// www.nplg. gov. ge /gsdl/cgi-bin/library.exe?e](http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e)

„დიდ ჭურს ვეძახით **ჩასავალ ჭურს**, პატარას – **ქვევრებს**. საწნახელი ცემენტის მაქ. ხისიც ქე მქონდა. მარანში მიდგია. ჭურებს არ ვხურავთ, ისეა, გარეთკენ. ღვინოს ვიღებთ **ორშიმოთი**. ჩასავალ ჭურს ვრეცხამთ **კრაზანათი**, პატარა ჭურს – **ოფიჭოთი**, გამხმარი ზღის ტყავით (ზესტაფონი, ძირულა).

საღვინე ჭურჭლის აღსანიშნავად სხვადასხვა სახელია გამოყენებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. დიდი და საშუალო სიდიდის ჭურჭელს გურიში **ჭური**, სამეგრელოში **ლაგვანი** ჰქვია. საბას განმარტებით, ლაგვანი არის „პატარა ჭური“ (პირფართო სარწყული, ქოცო, დიდი ქილა) (ორბელიანი 1991:403). დამოწმებულია მარკოზის სახარების ერთ-ერთი თავი, სადაც იკითხება: „ლაგვნითა წყალი ზე ედგა“ (არკ. 14. 13). ლაგვანი არაერთხელ გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებშიც: „დავდგი ლაგვნები სავსეი ღვინითა„(იერემია 35, 5ჟ). „ლაგვანი სავსეი ზედაშითა“-სინ -11, 318რ (აბულაძე 1974: 207); ეს სიტყვა მცირე ფონეტიკური ცვლილებებით დღემდე დაცულია გურულ დიალექტში (ნიკოლეიშვილი 1998: 204), აღნიშნავს პატარა დოქს: „ბარელამ ღვინოც ამოიღე ჭურიდან, მოქაფული ღვინო რომაა. წაიღე, აგერაა **ლაგინაი**“ (ქეგლ 1955:1459);

მომცრო ჭურს, რომელშიც ხუთ ვედრომდე ჩადის, გურიასა და იმერეთში - **ყვიბარი (ყვიბარი)**, სამეგრელოში კი **ლახუტი** ჰქვია. **ყვიბარი** ლექსიკური არქაიზმია, მომცრო ჭური (ორბელიანი 1993: 275), ი. აბულაძე განმარტავს როგორც **კარაბას**, კოკას (აბულაძე 1973: 470), დ. ჩუბინაშვილი უწოდებს მომცრო ჭურს და ყველის ქილას (ჩუბინაშვილი 1984: 1378). დასტურდება ძველ წერილობით წყაროებში:

„შეჰმუსრო **ყვიბარი** იგი წინაშე თუალთა მათ კაცთასა„ (იერ. 19, 10); „მოიგე შენდად **ყვიბარი** ერთი, ქმნული მეკეცისა“ (იერ. 19. 1);

აღნიშნული ლექსიკური ერთეულები (ყვიბარი, ქოცო) იმერულში იფართოებენ მნიშვნელობას და აღნიშნავენ ზოგადად პატარას: ყვიბარი კაცი - ჩია, დაგვალული; ყვიბარა ბავშვი - პატარა, თანატოლებს რომ ჩამორჩება ზრდით. ქოცოთა კვიცი - ძალიან პატარა;

პირგანიერი, უპირატესად უყურო ჭურჭელია **დერგი** - დიდი ქილა ქვევრის მოყვანილობისა. ჭურთ უმცირესი (ნ. ჩუბინაშვილი).

ღვინის გადასადები თიხის ჭურჭელია **თალარი - ისარნა**, სატკბილე. იგი ფორმით ნახევარ, შუაში გადაჭრილ ჭურს ჰგავს. სულხან - საბა უწოდებს **ტაგარს** და განმარტვს როგორც ტკბილის სადგომს: „ესე არს ჭურჭელი ტკბილისა სანნახელითა წინა მყოფი... არა ჭურისა მსგავსად, არამედ ფართოდ და პირგანიერად აგებული“ (ორბელიანი 1993: 131), დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „თალარი“ - ტაგანი, სამი კოდის სანყაო. ი. აბულაძე ტაგარს სანნახელს უწოდებს და იმონებს ძველ წერილობით წყაროებს: „აღმოთხარა მას შინა ტაგარი“, „სავსე არს სანნახელი და გარდაეცემიან ტაგარნი“ (იოველ. 3-13).

ისარნა ზემოიმერული დიალექტის მიხედვით, განიერთავიანი ძროვინრო ჭურჭელია, რომელშიც ჩადის სანნახელიდან გადმოსული ტკბილი (ძონენიძე 1974: 78). ძველ ქართულში განიერთება, როგორც აუზი (ქილ. 588; დაბად. 24-20). დაბეჭდილის დაბადებაში - ჯურღმული) ჩუბინაშვილი 1984: 583). იმერულში სხვა მნიშვნელობაც აქვს - აღნიშნავს ფქვილის ჩასაყრელ ხის ჭურჭელს, ნისქვილის წინ მოწყობილ ყუთს, რომელშიც ფქვილი იყრება.

ტერმინთა უმეტესი ნაწილი, როგორც აღმოჩნდა, ძველი ქართული ენის საკუთრებაა. ზოგი დიალექტმა შემოინახა არქაულივე სემანტიკით, ნაწილი გაფართოებული მნიშვნელობით გამოიყენება. ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება მნიშვნელობაშეცვლილი ლექსიკური ერთეულები, დასტურდება ქართველური ენობრივი ფორმებიც. მასალა იმდენადაა სანდო და საინტერესო, რამდენადაც ეყრდნობა ადგილობრივ მკვიდრთა მონათხრობს, შენარჩუნებული აქვს ბუნებრიობა, ფორმათა თავისებურება, რაც დიალექტოლოგიური კვლევისას განსაკუთრებით ღირებულთა.

ლიტერატურა

- აბულაძე 1974** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1974;
ბოჭორიშვილი 1956 -- ლ. ბოჭორიშვილი, ზემოიმერული კერამიკა: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, თბილისი, 1956;
კაკაბაძე 1982 – ც. კაკაბაძე, შრომული კერამიკა, თბილისი, 1982;
ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბილისი, 1991;
ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი, 1991;

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I – VIII, თბილისი, 1950 -1964;
ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. თბილისი, 2002;
ლლონტი 1984 – ალ ლლონტი, ქართულ კილო -თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984;
ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961;
ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 1984;
ჩიქობავა 1975 – არნ. ჩიქობავა, დარგობრივი ლექსიკა და მისი შესწავლის მეცნიერული
აქტუალობა: იკე, წელიწადეული, II, თბილისი, 1975;
ძონენიძე 1974 – ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი, 1974;
ჯავახიშვილი 1934 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, II, თბი-
ლისი, 1934.

მაია ნინიძე

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნოველის უცნობი ავტორი – ჯორჯ პარსონს ლეტროპი

1878 წელს გაზეთ „ივერიაში“ ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად გამოქვეყნებული ნოველით – „უბინაო კაცი ნუიორკში“ საზოგადოება დაინტერესდა მას შემდეგ, რაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღმოჩნდა ამ ტექსტის გაზეთ „ივერიიდან“ გადაწერილი პირი და ცნობილმა ტექსტოლოგმა ლევან ჭრელაშვილმა დაასაბუთა, რომ ეს ნოველი და იმავე არქივში დაცული, ასევე ჟურნალ-გაზეთებიდან გადაწერილი ილია ჭავჭავაძის თხზულებები და თარგმანები, შესრულებული იყო ერთი ხელით.

მკვლევარმა მოიძია საბუთები, რომელთა მიხედვითაც, 1892 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულისთვის პერიოდული პრესის ფურცლებიდან მისი ტექსტების გადასაწერად გამომცემლობას სპეციალური ხელშეკრულება გაუფორმებია კონკრეტულ პირებთან. რამდენადაც იმ დროს ილია ცოცხალი იყო და გამოცემა მისი მეთვალყურეობით ხორციელდებოდა, მიჩნეულ იქნა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ამ ხელნაწერ ასლებს ილია ჭავჭავაძის ანონიმური თხზულებების ატრიბუციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებოდა. ეს მოსაზრება გაიზიარა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის სარედაქციო საბჭომ და გადაწყდა, რომ ზემოხსენებული თარგმანი შეტანილიყო მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შესაბამის ტომში.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ენობრივი თვალსაზრისით ძალიან დიდი სიჭრელე გვხვდება. თითოეულ მწერალს აქვს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა, გრამატიკული ფორმები და მართლწერა, რასაც ტექსტოლოგები ხშირად ვიყენებთ ავტორის იდენტიფიცირებისათვის. ზემოხსენებული თარგმანის ატრიბუციის გასამყარებლადაც ჩავატარეთ მასში და ილია ჭავჭავაძის ცნობილ ნაწერებში ხშირად გამეორებული გრამატიკული ფორმების, ლექსიკისა და მართლწერის შედარებითი კვლევა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

აღმოჩნდა, რომ ტექსტში „უბინაო კაცი ნიუ-იორკში“, ილია ჭავჭავაძის თხზულებების მსგავსად, ხშირია ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან სრული შეთანხმება მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში (თავისის რაზმის, ისეთის აღტაცებით, გამთბარს კედელს და სხვ.), სტატიკური ვნებითების ან-მყოში -იან დაბოლოება (შემიძლიან, ჰსცხვენინან), ფუძედრეკადი ზმნების აორისტში -„ვ“ თანხმოვნის შენარჩუნება (აურ-დაურივა) და სხვ. ამ საშუალო მოცულობის ნოველაში 55-ჯერ გვხვდება ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელი ორმაგი პირის ნიშანი „ჰს“ (ჰსცხოვრებდა, შეჰსწრებოდა ჰსდიოდა და სხვ.) და 24-ჯერ თანდებულის „დამ“ ფორმა (კონცერტიდამ, თავიდამ, გულიდამ და სხვ.), ნაცვალსახელების, ნაწილაკებისა და მეტყველების სხვა ნაწილების თავისებური მართლწერა (ვილასაც, რალასაც, დიად, მგზავსი, უკაცრაგოდ, ბოლომდინ, სუბუქად, შეამცნივა და სხვ). განსაკუთრებით საყურადღებოა ილია ჭავჭავაძისთვის დამახასიათებელი სიტყვა „ბავშვის“ არატიპური მართლწერა - „ბამვი“ („სახე გაუცოცხლდებოდა, როგორც ბავშვა“, „ორი მშვენიერი ბავში!..“), რომელსაც იმ პერიოდში მის გარდა თითქმის არავინ იყენებდა. ასევე საგულისხმოა, რომ პროზაულ ტექსტში გვხვდება ერთი ორსიტყვიანი პოეტური ფრაზა „აჩრდილიდან“ – „უმნედ, უნუგემ“ („...ჰგრძნობს ხოლმე უბედური, დაშთომილი უმნედ, უნუგემ და ცის ანაბარად“). როგორც ვხედავთ, კომპიუტერული კვლევა ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობის სასარგებლოდ მეტყველებს.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მეცნიერებს უნდა გადაეჭრათ, იყო ტექსტის ავტორის დადგენა.

თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში ნოველის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა ტექსტოლოგიური ძიებები მისი ავტორისა და თარგმანის წყაროს დასადგენად. რამდენადაც ცნობილი იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ინგლისურენოვან ტექსტებს, ძირითადად, რუსული თარგმანებიდან ასრულებდა, მკვლევარმა ნათელა ჩიტაურმა შეისწავლა შესაბამისი წლების რუსული პრესა და მიაკვლია შუალედურ თარგმანს. ტექსტს მსგავსი სათაური ჰქონდა და A. II.-ს ხელმოწერით (ამ ფსევდონიმს იყენებდა მწერალი და მთარგმნელი ალექსეი პლემჩიევი) იყო გამოქვეყნებული ჟურნალში „Отечественные записки“. ნათელა ჩიტაურმა გამოთქვა ვარაუდი ტექსტის ავტორთან დაკავშირებითაც. მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ამერიკელი მწერალი ბრეტ ჰარტი, რადგან პლემჩიევი ხშირად თარგმნიდა მის ნოველებს და თან ამ ავტორს რამდენიმე ნოველა ჰქონდა დანერვილი მანანალებზე.

2002 წელს ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ტექსტის ავტორი ბრეტ ჰარტი ვერ იქნებოდა, რადგან მისი სტილი და დამოკიდებულება ნოველაში წარმოდგენილი თემისადმი რადიკალურად განსხვავდება ნოველის ავტორისეულისაგან. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ბრეტ ჰარტის ნოველებიდან მოხმობილი ამონარიდები შედარებული გვქონდა ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ ნოველასთან. ასეთივე შედარებითი კვლევის საფუძველზე გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ „უბინაო კაცი ნიუ-ორკში“ სხვა ამერიკელი ავტორების თხზულებებზე მეტ სიახლოვეს ავლენს ჰერმან მელვილის ნოველებთან, მაგრამ, მიუხედავად უხვი პარალელების მოხმობისა, იქვე აღვნიშნავდით: „ინდივიდუალურ სტილზე საფუძვლიანი დაკვირვება თარგმანის მეშვეობით თითქმის წარმოუდგენელია. ასეთ კვლევას ატრიბუციისათვის არ შეიძლება ჰქონდეს საბოლოო, მეცნიერული დასკვნის გამოტანის პრეტენზია“.

ასე რომ, კვლევის შემდგომი მიზანი გახდა თხზულების ორიგინალის პოვნა. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მის პუბლიკაციასთან არ იქნებოდა მითითებული ავტორის ვინაობა (რაც იმ პერიოდისათვის ძალიან დამახასიათებელი იყო), ორიგინალური ტექსტი მეტ საშუალებას მოგვცემდა ატრიბუციისათვის, მით უფრო, თუ ამ კვლევებში ჩაერთვებოდნენ ამერიკელი ტექსტოლოგებიც.

თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ ორიგინალის კვალს გვაპოვებინებდა რუსი მთარგმნელის - ალექსეი პლეშჩეევის შემოქმედების შესწავლა და იმ წყაროების მოძიება, რომლიდანაც იგი თარგმნიდა ხოლმე. საკითხის შესწავლის შემდეგ მივხვდით, რომ ეს უკიდურესად რთული იქნებოდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ალექსეი პლეშჩეევი ინგლისურ ტექსტებს ორიგინალიდან არ თარგმნიდა. ამისათვის იყენებდა გერმანულ ან ფრანგულ შუალედურ თარგმანებს. ამიტომ გადავწყვიტეთ ორიენტაცია პირდაპირ ორიგინალზე აგველო.

რამდენადაც ვეძებდით ტექსტს, რომლის ზუსტი სათაურიც არ ვიცოდით, ჩამოვწერეთ რუსული ტექსტის სათაურის ყველა შესაძლო ინგლისური შესატყვისი და დავუწყეთ ძებნა სხვადასხვა ენციკლოპედიურ გამოცემასა და ცნობარში, შემდეგ კი - ინტერნეტში. ამან რომ შედეგი არ გამოიღო, შევუდექით ტექსტის შინაარსის შესაბამისი, მაგრამ ოდნავ განსხვავებული სათაურების ძებნას, მაგრამ მოძიებულ ტექსტთაგან არც ერთი არ აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო დედანი. ასეთებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ჰერმან მელვილის ნოველა დიპტიხი „ლარიბის პუდინგი და მდიდრის ნამცეცები“ და რაბორგის „ნიუ-იორკის უსახლკაროები“. პარალელურად მიმონერა გვექონდა ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეებთან, მაგრამ მათმა კონსულტაციებმაც ვერ მიგვიყვანა კონკრეტულ შედეგამდე.

გადავწყვიტეთ სავარაუდო ავტორთა ჩამონათვალის შემჭიდროვება, რისი ერთ-ერთი საუკეთესო გზაც ტექსტის დათარიღება იყო. ამისათვის ყურადღებით შევისწავლეთ იგი ისეთი რეალიების საპოვნელად, რომლებიც დათარიღებაში დაგვეხმარებოდა. რამდენადაც რუსული შუალედური წყარო უფრო ვრცელია და ორიგინალთან უფრო ახლოს მყოფი, ძირითადად მას ვიყენებდით.

ნოველის დაწერის მაქსიმალურ ქრონოლოგიურ მიჯნად ავიღეთ რუსულ ჟურნალში მისი პუბლიკაციის დრო - 1877 წელი და შევუდექით კვლევას დროის ქვედა მიჯნის განსასაზღვრად. ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამდენიმე რეალიამ: ნოველაში ნახსენებია კუპერის ინსტიტუტი და მისი ბიბლიოთეკა, რომელიც დაარსდა 1859 წელს, მაგრამ იყო ისეთი რეალიებიც, რომლებიც ქრონოლოგიური ჩარჩოების ქვედა ზღვარს უფრო მალა ასწევდა. ეს არის ტექსტში ნახსენები ომი და «აჯანყებულები», რაც მიგვანიშნებდა 1861-65 წლების აშშ სამოქალაქო ომზე, რომლის დაწყების მიზეზი გახდა აჯანყება მონათმფლობელური შტატების გამოსაყოფად. რამდენადაც ნოველის მიხედვით ეს დაპირისპირება უკვე დასრულებულია და ქვეყანაში მშვიდობაა, თხზულება 1865 წლის შემდეგ უნდა ყოფილიყო დაწერილი.

რუსულ ტექსტში აღმოჩნდა კიდევ ერთი დეტალი, რომელმაც ქრონოლოგიური ჩარჩოები უფრო მეტად შეამჭიდროვა. ნოველის დასაწყისშივე, სადაც ნათქვამია, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ტეტლოუები გამოვიდნენ ნიუ-იორკის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზ სტეინ-ვეი-ჰოლიდან, ვკითხულობთ: «Молодая чета редко тратила доллары на концерты Томаса, но в этот вечер рискнула и возвращалась довольная». ჩვენ დავგაინტერესა მუსიკოს ტომასის / თომასის ვინაობამ. სამუსიკო ენციკლოპედიაში «Grove's Dictionary of Music and Musicians»

ამოვიკითხეთ, რომ იმ დროისათვის ცნობილი მევიოლინის – თეოდორ ტომასის (Theodore Thomas) ოჯახი 1845 წელს გადასახლდა გერმანიიდან შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-იორკში. იქვე დაკონკრეტებული იყო ისიც, თუ რომელ წელს რომელ დარბაზში ატარებდა იგი კონცერტებს. მათგან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ 1872 წელს მან 60 კაცისაგან შემდგარი ორკესტრის თანხლებით დაიწყო კონცერტების სერია და 1878 წლამდე რეგულარულად უკრავდა სტეინ-ვეი ჰოლში. რადგან ნოველაში სწორედ ერთ-ერთი ამ კონცერტაგანია ნახსენები, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი 1872 წელზე ადრე არ შეიძლება იყოს დაწერილი და რომ მისი შექმნის სავარაუდო დრო დაიყვანება 1872-1877 წლებზე.

ნაწარმოების შექმნის დროის განსაზღვრა, ჩვენი აზრით, ბევრად გააიოლებდა დასახულ ამოცანას, შეამცირებდა იმ სავარაუდო მწერალთა რიცხვს, რომელთა შორისაც უნდა გვეძებნა ანონიმი ავტორი. ამერიკელ ნოველისტაგან ირვინგი (გარდ.1859), პო (გარდ. 1849), ჰოთორნი (გარდ. 1864), კროკეტი (გარდ. 1836) და უორდი (გარდ.1867) 1872 წლამდე გარდაიცვალნენ, გარლანდს (დაიბ.1860), კრეინს (დაიბ.1871) და ო'ჰენრის (დაიბ. 1862) 1877 წელსაც კი არ ჰქონდათ დაწყებული მოღვაწეობა და ამდენად ვერცერთი მათგანი ვერ იქნებოდა 1872-77 წლებში დაწერილი ნოველის ავტორი, მაგრამ სავარაუდო ავტორთა სია მაინც ისეთი დიდი რჩებოდა, რომ მათი თხზულებების გადათვალიერებას ჩვენთვის საინტერესო ტექსტის საპოვნელად ვერ შევძლებდით. ამიტომ გადავწყვიტეთ ტაქტიკის შეცვლა.

ნოველის ჟანრის წარმოშობა ამერიკაში პირდაპირ უკავშირდებოდა პრესის განვითარებას და ნოველათა უდიდესი ნაწილი პირველად ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. შესაბამისად, სავარაუდო იყო, რომ ჩვენთვის საინტერესო ნოველაც 1872-1877 წლებში გამოსულ რომელიმე ლიტერატურულ ჟურნალში, ან გაზეთში (მოცულობიდან გამომდინარე, უფრო ჟურნალში) ყოფილიყო დაბეჭდილი. ამ 5-6 წლის პრესის გადათვალიერება ბევრად უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე იმავე წლებში მოღვაწე ყველა ამერიკელი მწერლის თხზულებათა სრული ჩამონათვალის და შემდეგ მსგავსი დასათაურების ტექსტების მოპოვება. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ საძიებელი ტექსტის საპოვნელად საჭირო იყო, სათაურებისთვის ყურადღების მიუქცევლად, 1872-1877 წლებში ამერიკულ ლიტერატურულ ჟურნალებში დაბეჭდილ ნოველათა ტექსტების გადახედვა მსგავსი შინაარსის იდენტიფიცირების მიზნით.

რამდენადაც მე-19 საუკუნის დასახელებული წლების ჟურნალები საქართველოს ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება, ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლას კი ვერ ვახერხებდით, დაუუკავშირდით კანზასში მივლინებით მყოფ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორს - ნინო სოზაშვილს და ვთხოვეთ ამ გეგმის განხორციელება. კანზასის უნივერსიტეტთან არსებული სპენსერის კვლევითი ბიბლიოთეკის თანამშრომლის - კარენ სევერუდ კუკის დახმარებით, ხუთი წლის ჟურნალების გადათვალიერების შემდეგ იგი მართლაც წააწყდა ჩვენთვის საინტერესო ტექსტს, რომელსაც იგივე შინაარსი, მაგრამ სულ სხვა სათაური ჰქონდა - „გარიყული“ (“Left Out”) და ეკუთვნოდა ამერიკელ მწერალ ჯორჯ პარსონს ლეთროპს. ნოველა დაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალში - „Atlantic Monthly”.

ლეთროპი იმ დროს ამ ჟურნალის ასოცირებული რედაქტორი იყო და ხშირად აქვეყნებდა მასში თავის თხზულებებს. ამრიგად, გაირკვა ილია ჭავჭავაძის

მიერ თარგმნილი ნოველის ავტორის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ტექსტის სათაური მართლაც სრულიად განსხვავებული იყო და იმიტომაც ვერ მივაკვლიეთ ვერცერთ ცნობარში, მაგრამ ტექსტი ანონიმურად არ იყო გამოქვეყნებული, ავტორის ვინაობა მასთან სრულად იყო მითითებული.

ინგლისური დედნიდან ქართულ თარგმანამდე ტექსტის მიერ გავლილი გზის სრულად აღსადგენად გადავწყვიტეთ გვეპოვა კიდევ ერთი შუალედური თარგმანი, რადგან ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, რომ რუსული თარგმანის ავტორმა - ალექსეი პლეშჩეევმა არ იცოდა სათანადოდ ინგლისური და ინგლისურენოვან ტექსტებს ფრანგული, ან გერმანული წყაროებიდან თარგმნიდა.

იმხანად ჯერ კიდევ ამერიკაში მყოფ ნინო სოზაშვილს ვთხოვეთ ამ შუალედური თარგმანის პოვნაშიც დაგვხმარებოდა, რასაც მან არაჩვეულებრივად გაართვა თავი. რამდენადაც ინგლისური ტექსტი დაიბეჭდა 1877 წლის იანვარში, რუსული კი - იმავე წლის დეკემბერში, ამჯერად გადასათვალისწინებელი იყო 1877 წლის თებერვალ-ნოემბრის ფრანგული და გერმანული ჟურნალები ჩვენთვის უკვე ცნობილი ავტორის და ცნობილი დასათაურების ტექსტის საპოვნელად. აღმოჩნდა, რომ ალექსეი პლეშჩეევს ფრანგული შუალედური წყაროთი უსარგებლია. ლეთროპის ნოველა ფრანგულ ენაზე დაბეჭდილა ჟურნალის - "Revue Britanique" 1877 წლის ივლისის ნომერში. ტექსტთან მითითებული იყო ავტორი (იგი ამოღებულ იქნა რუსულ თარგმანში), მაგრამ სათაური პირველად სწორედ ფრანგ მთარგმნელს შეუცვლია. შესაბამისად, ისტორიულ რეალიაზე დამყარებულმა მიახლოებითმა დათარიღებამ და სწორმა სამოქმედო სტრატეგიამ გვაპოვნინა ტექსტი, რომლის არც სათაური ვიცოდით, არც ავტორი და არც წყარო და რომელსაც ქართულ თარგმანამდე კიდევ ორი ეტაპი ჰქონდა გავლილი - ფრანგული და რუსული. ჩვენ თვალწინ გადაიშალა მთელი ის გზა, რომელიც ინგლისურმა ტექსტმა განვლო ილია ჭავჭავაძის მიერ მის თარგმანამდე, გაირკვა ტექსტის ავტორის ვინაობა და ფრანგული შუალედური თარგმანის წყარო.

რამდენადაც ორიგინალი ნაპოვნია, უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა ცვლილებები განიცადა ტექსტმა ინგლისური დედნიდან ქართულ თარგმანამდე.

საქართველო უძველესი მთარგმნელობითი კულტურის მქონე ქვეყანაა და ილია ჭავჭავაძეც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მთარგმნელობითი პრაქტიკის შემდგომ განვითარებას. მისი პირველი პუბლიცისტური წერილიც - „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდამ „შემლილის“ თარგმანზედა“ სწორედ თარგმანის ხარისხსა და პრინციპებს ეხებოდა. ილია ჭავჭავაძემ, ვანო მარაბელთან ერთად, ქართულ ენაზე აამეტყველა შექსპირის „მეფე ლირი“, რომელიც დღემდე ითვლება ამ ტრადიციის ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად. ეს არის ტექსტი, რომელიც მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცემს ორიგინალის შინაარსს, შესრულებულია უმდიდრესი ქართული ლექსიკით და ორიგინალთან მიახლოებული მხატვრულ-ესთეტიკური საშუალებებით.

ასეთი თარგმანები ქართული კულტურის განუყრელი ნაწილი ხდება, მაგრამ ამ თარგმანს ორმა უდიდესმა ოსტატმა - მთარგმნელმა და მწერალმა ნახევარი წელი მოანდომა, ქართველი მკითხველის ზოგადკულტურული განათლების ამაღლებისათვის კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი რაც შეიძლება მეტი უცხოელი ავტორის თხზულებას გასცნობოდა. ამიტომ ქართულ ჟურნალ-

-გაზეთებში (ასევე იყო უცხოეთშიაც) პარალელურად დამკვიდრდა სწრაფი და ზედაპირული მთარგმნელობითი პრაქტიკაც, რომელიც მეტწილად ჟურნალ-გაზეთების მომდევნო ნომრის გამოსვლამდე არსებულ ორკვირიან, ან ერთთვიან შუალედში ხორციელდებოდა.

ასეთი თარგმანები მიზნად ისახავდა ორიგინალური პროზაული თხზულების შინაარსის და ძირითადი სათქმელის გადმოცემას და უცხოური ლიტერატურის გაცნობას მკითხველისათვის. მათში ხშირად იყო გამოტოვებული ორიგინალის ენისა და კულტურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რეალიები და მხოლოდ ნაწილობრივ იყო შენარჩუნებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები. ასეთი თარგმანები ზოგჯერ არა დედნიდან, არამედ მთარგმნელისათვის უფრო კარგად ნაცნობი შუალედური ენიდან ხორციელდებოდა. ილია ჭავჭავაძეს სწორედ ამ პრინციპით აქვს თარგმნილი ალფონს დოდეს, ჯურა იაკშიჩის, გეორგ ებერსის, ჟიულ კლარეტისა და სხვა უცხოელი ავტორების პროზაული ტექსტები.

ამ ტიპის თარგმანის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ჩვენ მიერ განხილული ნოველაც. აქ ხშირად ვხვდებით ცალკეული ადგილების შემოკლებას, უცხოური რეალიების იქვე განმარტებას, განზოგადებას, ან მთლიანად გამოტოვებას, მაგრამ ადეკვატურად არის შენარჩუნებული გმირთა სახეები, სიუჟეტი და დედაზრი. ცვლილებები, რომლებიც არსებობს ქართულ თარგმანსა და ნოველის „გარიყული“ დედანს შორის, გაჩნდა ქართული თარგმანის განხორციელებამდე, წინა ორ შუალედურ ტექსტშიც.

რამდენადაც ვიცით, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე სათარგმნი მასალის შერჩევას, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რით შეიძლებოდა მიეპყრო მისი ყურადღება ჯორჯ პარსონს ლეთროპის ამ ნოველის რუსულ თარგმანს, რომელსაც ორი ენობრივ-კულტურული ტრანსფორმაცია (ფრანგული და რუსული) უკვე გავლილი ჰქონდა და გარკვეული მხატვრულ-გამომსახველობითი ღირებულებებიც დაკარგული.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ - ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მხატვრული შემოქმედება, პუბლიცისტიკა და თარგმანები საერთო ინტერესებით, ორიენტირებითა და პრობლემებისადმი დამოკიდებულებით არის გამთლიანებული. ამის დასადასტურებლად მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს: იმპერიის მიერ ანექსირებულ ქვეყნებში ადგილობრივი ენების კვდომის პრობლემაა ასახული მის არაერთ ზეპირ მოხსენებასა და გამოსვლაში, ლექსებში („პასუხის პასუხი“, „ბედნიერი ერი“ და სხვ.) პუბლიცისტურ წერილებში (1881 წ. მარტის „შინაური მიმოხილვა“, „ბატონ იანოვსკის წერილის გამო“ და სხვ.), ალფონს დოდეს მოთხრობის - „უკანასკნელი გასაკვეთი“ თარგმანში და სხვ.; ადამიანის სიკვდილით დასჯის განაჩენის სისასტიკისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებით აიხსნება მისი სიტყვით გამოსვლა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობის შესახებ, მოთხრობის „სარჩობელაზედ“ შექმნა, ჟიულ კლარეტის რომანის „ერთი უბედურთაგანი“ თარგმნა და სხვ.; გლახთა სოციალური უუფლებობისადმი ყურადღების გამახვილებას და ამ პრობლემის მოგვარებას ისახავდა მიზნად ილიას აქტიური მონაწილეობა საქართველოში ბატონყმობის გაუქმებისა და გლახებისათვის მიწის მიკუთვნების კანონმდებლობის შემუშავებაში, მოთხრობების: „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და სხვ.; ლექსების: „ნანა“, „მუშა“ და სხვ. შექმნაში,

ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ და ნეკრასოვის ლექსის „ნატვრა“ („Что ни год - уменьшаются силы...“) თარგმნაში და სხვ.

ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძის მიერ ლეთროპის ნოველის არჩევა სათარგმნად განპირობებული უნდა ყოფილიყო მასში ასახული თემის აქტუალობით (მიუსაფარი ადამიანის ბედი), მთავარი გმირისადმი ავტორის დამოკიდებულებით (ნოველის გმირი გამოირჩევა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითა და ადამიანური ღირსებებით) და პრობლემის ხედვით (ნოველა „გარიყულის“ ავტორი მიუსაფარი ადამიანებისადმი მზრუნველობას მიიჩნევს არა მხოლოდ სახელმწიფოსა და შესაბამისი ორგანიზაციების, არამედ ნებისმიერი მოქალაქის მოვალეობად).

ეს თემაც და ეს დამოკიდებულებაც უადრესად ახლობელი იყო ილიასათვის. მის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ იგივე პრობლემა და ისეთივე აქცენტებია წარმორჩენილი, როგორც ლეთროპის ნოველაში. ამასთანავე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლეთროპთანაც, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის ეპიკურ თხზულებებში: „გლახის ნაამბობი“, „კაცია, ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „სარჩობელაზედ“, „განდეგილი“ და სხვ. ავტორისეული საჭვრეტი წერტილი ქრისტიანული ღირებულებები და მორალია.

ლეთროპის ნოველის სიუჟეტური კვანძი კულმინაციას აღწევს არა იმ ეპიზოდში, როცა მისი ერთი პერსონაჟი თავს ანებებს მეორეზე მზრუნველობას და მის ზურგს უკან კარს მიიხურავს, არამედ მაშინ, როცა მის გულში პირველად ჩნდება სინანული. ამას კი იწვევს მაცხოვრის იმ სიტყვების გახსენება, რომლებიც მან უთხრა ჯვარცმის წინა ღამეს გეთსემანიის ბაღში მისი ლოცვის ჟამს ჩაძინებულ მოციქულებს: «ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ-ერთ მღვიძარებად ჩემთანა» (მათე 26, 33). ეს, რა თქმა უნდა, არა იმდენად ფიზიკურ მღვიძარებაზე იყო ნათქვამი, რამდენადაც სულიერზე. ლეთროპის ნოველის გმირმაც წუთიერად მოადუნა სიფხიზლე, კარზე მომდგარი მოყვასი უნუგეშოდ გაისტუმრა და ამით, შესაძლოა, დაღუპვისათვის განირა იგი.

ნოველის ფაბულა ასეთია: ნიუ-იორკელი ახალგაზრდა კაცი ფილიპ ტეტლოუ, რომელიც ერთ საღამოს მეუღლესთან ერთად საკონცერტო დარბაზიდან ამაღლებულ განწყობაზე გამოდის, ქუჩაში მდგომ მოხუც გლახაკს ნახევარ დოლარს ჩუქნის. საბრალო კაცი ჯერ ვერ იჯერებს, რომ ამოდენა მონყალეა უბოძეს, მაგრამ როცა დარწმუნდება, უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავს.

გარკვეული დროის შემდეგ ეს ორი ადამიანი ისევ შემთხვევით ხვდება ერთმანეთს. ტეტლოუ გლახაკს - ფილიპ ერნს მისი გაჭირვების მიზეზს მოაყოლებს. აღმოჩნდება, რომ ის ომში ყოფილა და ტყვედ ჩავარდნილა. შინ დაბრუნებულს აღარც სახლ-კარი დახვდა და აღარც ჯანმრთელობა ჰქონდა, რომ თავი ერჩინა. ტეტლოუ ცდილობს დაეხმაროს ერნს. ისინი არაერთ ეკლესიას, თავშესაფარს და საქველმოქმედო ორგანიზაციას მიმართავენ თხოვნით, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ტეტლოუსაც ბეზრდება გლახაკის მეურვეობა და აგრძნობინებს. ერნი მიდის და იკარგება. ტეტლოუ ნანობს, რომ გასაჭირში ჩავარდნილი მოყვასი, რომელსაც მისი იმედი ჰქონდა, თავიდან მოიცილა, უნდა, რომ შეცდომა გამოასწოროს და ეძებს, მაგრამ ვეღარსად პოულობს.

როგორც ვხედავთ, „მოყვარული ქველმოქმედის“ (ასე უწოდებს ავტორი ტეტლოუს) სახე საკმაოდ ჰგავს ილიას მოთხრობის „სარჩობელაზედ“ პეტრეს, რომელმაც თავდაპირველად დიდი ბაქი-ბუქით აიღო თავის თავზე გზად შეხვედრილი, გასაჭირში მყოფი ორი ყმანვილის მეურვეობა (მათი დაპურება,

ლამის გათევა და ქალაქში ჩაყვანა), მაგრამ შემდეგ გადანყვიტა, რომ თავი დასაცინად აღარ გაეხადა. ტეტლოუმ ერნს აგრძნობინა, რომ აღარ მიეკითხა მისთვის, პეტრემ კი, მას შემდეგ, რაც ყმანვილებმა სიკეთეზე ბოროტებით უპასუხეს და გაძარცვეს, ინანა მათდამი გამოჩენილი სიკეთე და ბოლოს ერთ-ერთი ძმის ჩამოხრჩობის ცერემონიაზე მაცურებელთა „გროვაშიც“ აღმოჩნდა.

ლეთროპის ნოველა, უფრო ფსიქოლოგიური და სულიერი სიღრმეებით იზიდავს მკითხველს, ვიდრე დამაინტრიგებელი სიუჟეტით. მასში ისეთი არაფერი ხდება, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში არ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ავტორი ახერხებს, რომ ამ დუნედ მიმდინარე მოქმედებების ფონზე ბევრი ისეთი რამ შეგვაცნობინოს, რაც გვეხმარება არა მხოლოდ მოქმედ პირთა ხასიათების გახსნაში, არამედ საკუთარი განცდებისა და მიდრეკილებების იდენტიფიკაციაშიც.

ნოველის პროტაგონისტი - გლახაკი ერნი, თუმცა ძონძებით არის შემოსილი, ქუჩაში ცხოვრობს, დაუბანელი და გაუპარსავია, ჭეშმარიტი ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნებაა. მას ლუკმა პური ენატრება, მაგრამ როცა მოეჩვენება, რომ გამვლელმა შეცდომით მისცა ხურდის ნაცვლად ნახევარდოლარიანი, გამოეკიდება და სთხოვს, რომ შემთხვევით მიცემული ფული უკანვე დაიბრუნოს. მისი პრინციპია, რომ ადამიანი, რომელმაც ერთხელ უკვე მისცა მონყალეა, ხელმეორედ აღარ შეაწუხოს. ერნს ყველა ახლობელი დაელუპა, რაც კი რამ მატერიალური გააჩნდა, ყველაფერი დაკარგა და დაინვალიდა, მაგრამ ცდილობს, თავი არავის შეაცოდოს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები უგულისხმოდ ექცევიან, არ განიკითხავს მათ, არ შურს მათი და ანგარიშს უწევს გარემოებებს.

ავტორის არაჩვეულებრივი მიგნებაა, რომ ნოველის ორივე პერსონაჟს ერთი და იგივე სახელი - ფილიპი ჰქვია, რადგან „უსახლკარო ფილიპი“ და „სახლ-კარიანი ფილიპი“ ეს ერთი სახეა, სხვადასხვა პირობებში აღმოჩენილი. ის, რომ ტეტლოუ წარმატებულია, მისი განსაკუთრებული დამსახურების შედეგი კი არ არის, არამედ იმის, რომ მას, ერნისგან განსხვავებით, ომში მონაწილეობის მიღება არ მოსწევია, არ დაუჭრიათ, არ დაინვალიდებულა, ტყვედ არ ჩავარდნილა და უკან დაბრუნებულს ცოლ-შვილი დახოცილი და სახლ-კარი განადგურებული არ დახვედრია. როგორც ამ ყველაფრის არქონა არ არის ერნის ბრალი, ასევე არ არის მხოლოდ ტეტლოუს განსაკუთრებული ღირსებების შედეგი ის, რომ ის სუფთად ჩაცმული, საზოგადოებაში მიღებული სახელმწიფო მოსამსახურეა. ნოველაში არაფერი მინიშნება გვხვდება იმაზე, რომ ერნი ყველა ამ სიკეთეს თავისი უუნარობის ან პასიურობის გამო იყოს მოკლებული. პიროვნული ღირსებით ერნი ტეტლოუზე ბევრად მაღლა დგას. მას, თავისი მდგომარეობის მიუხედავად, საღი აზრი, ობიექტური თვითშეფასების უნარი და იუმორის გრძნობაც კი შენარჩუნებული აქვს.

ნოველის ენობრივი ქსოვილი და გამომსახველობითი ხერხები ძალიან მდიდარია. უხვად არის საინტერესო შედარებები, პარალელები, კონტრასტი, გროტესკი, იუმორი.

ნოველაში პრობლემატიკის ერთ-ერთი ასპექტი დიდ ქალაქებში მცხოვრები ადამიანის ჩაკარგული პიროვნულობაა, რასაც ლეთროპი თავის სხვა თხზულებებშიც არაერთგზის ეხმიანება. ლექსში „ღამე ნიუ-იორკში“ („Night In New York“) ეს პრობლემა მშობლიური ქალაქისადმი რიტორიკულ მიმართვაში მოკლედ და ხატოვნად არის ჩამოყალიბებული: „Places of life and of death, /

Numbered and named as streets, / What, through your channels of stone, / Is the tide that unweariedly beats?“

ის, თუ როგორ გავლენას ახდენს ადამიანზე ზოგადად გარემო და თუნდაც ერთი რომელიმე სხვა ადამიანი, ლეთროპს კარგად აქვს ნაჩვენები ცალკეულ ეპიზოდებში პერსონაჟის სწრაფად მონაცვლე განცდებით. მაგალითად, როდესაც ერნი აღმოაჩენს, რომ ვილაც უცნობმა ნახევარდოლარიანი შეცდომით კი არა, შეგნებულად მისცა, მას სახე იმედით უნათდება: “...A ruined, far-off superiority was restored to him; it pervaded his heavy, slouchy form, insinuated itself through his grievously poor garments, shone in his soiled, tired face”; ხოლო ორიოდ წუთის შემდეგ, როდესაც ეს „ქველმოქმედი“ ჭკუის დარიგებას დაუნყებს, რომ მის მიერ მიცემული ფული სასმელში არ დახარჯოს, წუთიერი, ამაღლებული განცდა უცებ ემსხვრევა: „...he seemed to be retiring from manhood into spectrehood again.”

ლეთროპი ძალიან კარგად ერკვევა ადამიანის ფსიქოლოგიაში და თავის პერსონაჟებს ვრცელი სიტყვიერი დახასიათებით კი არ წარმოგვიჩენს, არამედ მათივე მეტყველებით, ფიქრებითა და ქმედებებით. იგი არ გვეუბნება, რომ ერნი სამართლიანი და შემწყნარებელია, მაგრამ როდესაც იგი ტეტლოუს თავისი ტყვეობის ამბის თხრობისას ეუბნება, რომ ხანგრძლივად შიმშილობდა, იქვე დასძენს, რომ საჭმელი მის დამტყვევებლებსაც ძალიან ცოტა ჰქონდათ. როდესაც ერნს უკვირს, რომ მისი მშობლიური ქალაქი არავითარ ყურადღებას არ იჩენს მისი ყოფილი ჯარისკაცისადმი, იქვე დასძენს: „მაგრამ მე ხომ დღეს აღარ ვიბრძვი მის დასაცავადო.“

ერნისთვის ღირსება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკვები და თავშესაფარი. მას არ ეშინია პოლიციელის, რომელსაც შეუძლია, რომ ბიბლიოთეკიდან, სადაც გასათბობად შედის ხოლმე, გამოაგდოს, მაგრამ ვერ ეგუება ამავე პოლიციელის ქედმაღლურ და დამცინავ დამოკიდებულებას.

ასეთივე ხერხით წარმოგვიდგენს ლეთროპი ნოველის მეორე პერსონაჟსაც. არსად არის ნათქვამი, რომ ტეტლოუ, რომელიც გარეგნულად თანაუგრძნობს და დახმარებას უწევს ერნს, რეალურად ამპარტავანია, მაგრამ ეს შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი მისი ქმედებებით. როდესაც გაცნობისას ტეტლოუ გაიგებს, რომ ვილაც ჭუჭყიან გლახკაცა მისი სახელი ჰქვია, ქვეცნობიერი განცდა იმისა, რომ მასთან თანაზიარობა არ სურს, აიძულებს, რომ, თავის მხრივ, ერნს მხოლოდ საკუთარი გვარი უთხრას და არ გაუმხილოს, რომ მათ ერთი სახელი აქვთ: “To have his own name come from such a source was like suddenly seeing his face in a mirror that should reflect it pale, sick, and wretched. Somehow he revolted at telling the beggar that their first names were the same. He merely said, my name is Tetlow”. ასევე ძალიან საინტერესოა ტეტლოუს რეაქცია ერნის ხელახალ გამოჩენაზე. მას ისეთი განცდა უჩნდება, თითქოს დახრჩობისაგან კაცის გადასარჩენად წყალში შესულიყოს და აღმოეჩინოს, რომ ნაპირამდე ვერ გაიყვანს და შეიძლება თავადაც დაიღუპოს: “like that of someone who has plunged into a stream to save a drowning person, and finds the weight more than he can carry to shore.”

ერნის თითოეული ღირსების აღმოჩენას - მის თავაზიანობას, მოკრძალებულობას, თავშეკავებულობას, მომჭირნეობას, შინაგან კულტურას, იუმორს, ტეტლოუ გაკვირვებული ხვდება, თითქოს ეს ღირსებები მხოლოდ კარგად ჩაცმულ და მატერიალურად უზრუნველყოფილ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეს. კიდევ უფრო განცვიფრებულია იგი, როდესაც იგებს, რომ ერნს ცოლი და ორი

შვილი ჰყოლია და დაჰლუპვია და რომ ადრე ისიც ეკლესიის მრევლი ყოფილა. ტეტლოუს თითქოს ქვეცნობიერად უნდა, რომ ერნის გაჭირვება მისი პიროვნული თვისებებისა და ცხოვრებისეული შეცდომების შედეგი იყოს. ერთი მხრივ, შესაძლოა, ეს გამონვეული იყოს მისი გაუცნობიერებელი შიშით, რომ თუ პიროვნული ნაკლოვანებები არაფერ შუაშია, ასეთი რამ შეიძლება ყველას, მათ შორის, მასაც დაემართოს. მეორე მიზეზი კი ბევრად უფრო პრაგმატულია. თუ ერნი თავის უბედურებაში თავად იქნებოდა დამნაშავე, ტეტლოუს სინდისის ქენჯნის გარეშე აიღებდა ხელს მის შემდგომ დახმარებაზე.

ავტორი არაჩვეულებრივად წარმოაჩენს ტეტლოუს წინააღმდეგობრივ ბუნებას. მასში ერთმანეთს ებრძვის მოყვასის თანაგრძნობა და ეგოიზმი. ერთ-ერთ ეპიზოდში ტეტლოუს უნდა, რომ ერნი დაამშვიდოს და უთხრას, რომ მას ჰყავს მეგობრები, რომლებიც ბედის ანაზარა არ მიატოვებენ” ...a warm rush of simple and generous emotion came pouring into Tetlow's heart and he wanted to say: “It's all real, Erne! You need not be afraid that it won't last; you have friends, now, and they'll stick by you,” მაგრამ, ავტორი იქვე გვაჩვენებს, როგორ იფანტება ეს თბილი სიტყვები ერნის გონებაში მათ წარმოთქმამდევე და როგორ იკავებს მათ ადგილს ერთი მოზომილი ფრაზა. “This was what he longed to say impetuously, at the moment; but the words scattered themselves unheard within his mind, and he merely remarked, “It's pleasant to think that we've got something arranged, at last”.

ტეტლოუს თავადაც აცნობიერებს თავის გულგრილობას. როდესაც თავშესაფრის მეპატრონე, ბატონი ნიდლოკი ერნს და ტეტლოუს ერთნაირად ჩამოართმევს ხელს, ტეტლოუსადმი რაიმე სახის უპირატესობის გამოუხატავად, მას ახსენდება თავისი საქციელი - ნიდლოკის თანაშემწე გოგონასთან საუბრისას ერნი ქედმაღლურად, სახელის გარეშე, უცხოსავით რომ მოიხსენია: „ამ კაცისათვის თავშესაფარს ვეძებო“ და ხვდება, რომ მას ისეთივე ჯანსაღი დამოკიდებულება არა აქვს ერნისადმი, როგორიც ამ ადამიანებს.

ბოლო შეხვედრისას, როდესაც მის მიერვე დაბარებული ერნი დათქმულ დროს სამსახურში მიაკითხავს ტეტლოუს, იგი თავს მოაჩვენებს, თითქოს არ ახსოვს, რომ დაბარებული ჰყავდა და ამით კიდევ ერთხელ აგრძნობინებს უხერხულობას ადამიანს, რომელიც თავს ისედაც ყველგან ზედმეტად მიიჩნევს. როდესაც ტეტლოუმ მასთან მისულ ერნს ფეხზე წამოუდგომლად, მჯდომარემ გაუწოდა ფული და აიძულა, თავად მისულიყო მასთან გამოსართმევად, ამ ქმედების შეფასებაში უკვე ავტორიც ერთვება და გვეუბნება, რომ ამ კაცის თავიდან მოშორების სურვილი თავს იჩენდა ასეთ პატარა ნიუანსებში: “showed itself in these small mismoves” “words and the manner had lost their cunning; they would be cheer was simply freezing”.

ტეტლოუს მისი თანამედროვე ცივილური საზოგადოების ტიპური წარმომადგენელია. მასში ცივი გონება ბატონობს გრძნობაზე. ამის ილუსტრირებასაც ლეთროპი თავისი გმირის ქმედებებით ახდენს. სარეკლამო აგენტმა ტეტლოუმ თავისი ქორწილის დღე დანიშნა არა მაშინ, როდესაც მან და მისმა მომავალმა მეუღლემ გადანყვიტეს, რომ თავიანთი ბედი ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ, არამედ მაშინ, როდესაც სააგენტოში ამ განცხადების გამოქვეყნებისთვის მოხერხებული დრო იყო.

ლეთროპი ზუსტად ასახავს ფსიქოლოგიურ ნიუანსებს, როგორ ხდება საზოგადოების მიერ მისი რომელიმე წევრის კეთილშობილური წამოწყების ჩახშობა საზოგადოებრივი ნორმებისა და წესების დაცვის საჭიროების შესხენე-

ბით. როდესაც იგი წერს ტეტლოუს მიერ ერნისათვის ნახევარი დოლარის შეწირვაზე, აღწერს, როგორი რეაქცია ექნებოდათ ამაზე საზოგადოების „საშუალო ზნეობრივი ღირებულებების“ წარმომადგენლებს: “they could have been at once convicted of a gross offense against the maxims.” როდესაც ერნი დაიკარგა და ტეტლოუმ დაიჩივლა, რომ ველარასოდეს ნახავდა მას, ერთ-ერთმა მეგობარმა ასე დაამშვიდა: “Why in the name of reason should you want to?”, სხვა მეგობარი კი ასე უქადაგებდა: “preached to him the heinousness of giving promiscuous relief to the poor and thereby encouraging intemperance and crime.” ერნისადმი ტეტლოუს დამოკიდებულების შეფასებისას ავტორი საზოგადოების წვლილს ასე აყალიბებს: “became alluring to him, and tempted him to drop the whole troublesome business.”

ავტორის ჩანაფიქრი და თხზულების დედააზრი კარგად ჩანს ერთ-ერთ ფინალურ პასაჟში, რომელშიც აღწერილია ტეტლოუს განცდები ერნის დაკარგვის შემდეგ: “always when his (igulisxmeba erni) image comes (იგულისხმება ტეტლოუს სიზმრისეული ხილვები) it is like the form of some lost duty, some exiled power of loving - kindness, banished from the world when this same fellow - creature was cast out into misery.”

ლეთროპი ქრისტიანული აღმსარებლობისა იყო. მას სწამდა, რომ, თუ ადამიანს ყველა მიატოვებდა, ღმერთი მაინც ყოველთვის მასთან იქნებოდა. ეს კარგად ჩანს მის ლექსში „შიმშილი და მკა“ („Famine and Harvest“): “Fear not! Though thou starvest, / Provision is made: / God gathers His harvest / When our hopes fade!” ლეთროპს სწამდა ისიც, რომ ეკლესიამ, როგორც ინსტიტუციამ, და ქრისტიანებმაც არ უნდა მიატოვონ გასაჭირში მყოფი მოყვასი. როდესაც ტეტლოუ იგებს, რომ ერნის გადასარჩენად მისი ეკლესია და მრევლიც არაფერს აკეთებს, ყოვლად წარმოუდგენლად, „კომიკურადაც“ კი აღიქვამს ამ სიტუაციას.

მიგვაჩნია, რომ აქცენტი მოყვასისადმი ქრისტიანულ სიყვარულსა და თანაგრძნობაზე, რაც თანაბრად მნიშვნელოვანი იყო მეცხრამეტე საუკუნის ამერიკელი და ევროპელი მკითხველისათვის, და რაც მოგვიანებით საფუძვლად დაედო შემწყნარებლობის დემოკრატიულ პრინციპებს, ყველაზე მნიშვნელოვანი იმპულსი იქნებოდა ფრანგი, რუსი და ქართველი მოღვაწეებისათვის, რომლებმაც ამ ნაწარმოების თარგმნა გადანყვიტეს. მეორე მხრივ, ამ უმნიშვნელოვანესი საერთო ორიენტირის მიუხედავად, თითოეულ მთარგმნელს ჰქონდა საკუთარი კონკრეტული მიზანდასახულობაც, რომელიც უკავშირდებოდა მათი მკითხველის ისტორიულ-კულტურულ სპეციფიკას და ინტერესებს.

იმ მიზნით, რომ არ გადაეღალათ მკითხველი მისთვის უცნობი ქვეყნის გეოგრაფიული სახელებით, დაწესებულებების აღწერითა და უცხო გვარებით, მთარგმნელები ტექსტიდან ასეთ დეტალებს ხშირად ტოვებდნენ, საკუთარ სახელებს საზოგადოთი ანაცვლებდნენ ან იქვე ურთავდნენ განმარტებებს. ასე არის თარგმანებიდან გამოტოვებული: Union Square, Jefferson Market, the Hudson River, Chatham Street, Fifty-Ninth Street, Sixth Avenue, Canal and Center Streets. Andson-yule, Brooklyn Navy-Yard, Pearl Street და სხვ. „Cooper Institute Reading-Room“ ქართულად გადათარგმნილია უბრალოდ, როგორც „ბიბლიოთეკა“, მოთხრობის სათაურში სიტყვა „ნუიორკს“ კი სქოლიოში აქვს განმარტება: „ნუიორკი უმთავრესი ქალაქია ამერიკის რესპუბლიკისა“.

სოციალური უსამართლობის წარმოსაჩენად ლეთროპი ხშირად მიმართავს გროტესკს. როდესაც ტეტლოუ ერნს ეკითხება, რატომ არა აქვს პენსია,

იგი პასუხობს, რომ ომში მხოლოდ და მხოლოდ დაიჭრა. აი, დაჭრის ნაცვლად რომ მომკვდარიყო, პენსიას აუცილებლად დაუნიშნავდნენ“. იმ ეპიზოდში კი, რომელშიც საუბარია გლახაკებზე, რომლებიც კუპერის ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზში შედიოდნენ გასათბობად და გაზეთების წასაკითხად, ავტორი დასძენს: „...These vagrants have been led hither by a delirious hope of finding their own deaths announced in the papers, and the enigma of their starved lives solved by a line or two of print.”

გროტესკის მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის რიტორიკული მიმართვა მათდამი, ვინც ნიუ-იორკის ქუჩებს აშენებს ერნისნაირი ადამიანების თავშესაფრად: „O, wise generations that lays out streets! For without them what should we do with our loose human beings? We might be forced to hang or imprison them all; unless, perchance, we were driven to show a love so untiring for them that they should be restored to order and fitness. But we dont all belong in the streets, and why dont we? Whos to decide whether this particular man belongs there or not?”

ასევე გროტესკულად არის წარმოდგენილი ნოველაში საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობა. სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში დაინვალიდებულ უსახლკარო, უთვისტომო ადამიანს ყველა უარს ეუბნება დახმარებაზე, რადგან თითოეულს კონკრეტული ვინრო პროფილი აქვს, რომელსაც ერნის მდგომარეობა არ მიესადაგება. ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი გულუბრყვილოდ ეტყვის კიდევ, ნეტავი ლოთი იყო, რომელსაც სასმელისთვის თავის დანებება უნდა, მაშინ ჩვენი პროფილის შესაფერისი იქნებოდი და სიამოვნებით დაგეხმარებოდით. ასეთ ორგანიზაციებზე ნოველაში მწარე ირონიით არის ნათქვამი, რომ ისინი: „swallow camels mostly, and strain at the hungry gnats”.

როგორც ვხედავთ, ნოველა, რომლის ავტორიც არა მხოლოდ ქართული საზოგადოებისათვის, ბევრი მისი თანამემამულისთვისაც კი უცნობია, საკმაოდ მაღალი მხატვრული ღირებულებისაა. როგორც ჩანს, ლეთროპის ნიჭი დაიწყო რდილა მეცხრამეტე საუკუნის სხვა, დიდი ამერიკელი ნოველისტების გვერდით, რომელთაგან ერთ-ერთი მისი სიმამრი - ნათანაელ ჰოთორნი იყო.

რამდენადაც მკითხველისათვის საინტერესო იქნება ცოტა უფრო მეტის შეტყობა იმ ავტორის შესახებ, რომლის ნოველაც თარგმნა ილია ჭავჭავაძემ, აქვე წარმოვადგენთ მოკლე ინფორმაციას მისი მოღვაწეობის შესახებ.

ჯორჯ პარსონს ლეთროპის (1851-1898) ლიტერატურული და ჟურნალისტური მოღვაწეობა საკმაოდ მდიდარი და მრავალმხრივია. მას ეკუთვნის რომანები: „მწუხრი“ (Afterglow), „ვენების ექო“ (An Echo of Passion) „შორიდან“ (“In The Distance”) და „ნიუპორტი“ (“Newport”), არაერთი პოეტური კრებული და ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები: „ჰოთორნის შემოქმედების კვლევა“ (“A Study of Hawthorne”), „ნიუ იორკის ლიტერატურული მოძრაობა“ (“The Literary Movement In New York”), „ლიტერატურული და სოციალური ბოსტონი“ (“Literary and Social Boston”), „ხელოვნების პროგრესი ნიუ-იორკში“ (“The Progress of Art in New York”), „საუბრები ედისონთან“ (“Talks with Edison”), „კოლრიჯი, როგორც პოეტი და პიროვნება“ (“Coleridge as Poet and Man”) და სხვ. ლეთროპი სხვადასხვა წლებში იყო ორი პოპულარული ამერიკული ჟურნალის „ატლანტიკ მანთლისა“ („Atlantic Monthly”) და „ბოსტონის კურიერის“ („Boston Courier”) რედაქტორი, 1883 წელს კი დააარსა საავტორო უფლებების ამერიკული ლიგა („American Copyright League”).

საინტერესოა ხოლმე ავტორის შემოქმედების ანალიზი მის მიერ საგანგებო დეკლარაციაში, ნარკვევებში, ესეებში, პუბლიცისტურ ან პირად წერილებში ჩამოყალიბებული შემოქმედებითი კრედოს ფონზე. ლეთროპის ნარკვევი „რომანი და მისი მომავალი“ (“The Novel and its Future”), ამგვარი დაკვირვებისათვის საუკეთესო მასალას გვანვდის. მასში ვკითხულობთ: „რეალიზმი მიზნად ისახავს, ჩაუკვირდეს თითქოსდა ყველაზე უმნიშვნელო და უინტერესო ხასიათებსა და მოვლენებს, რომ ცხოვრების სიღრმიდან ზედაპირზე ამოიტანოს მათი სრული ღირსება და ჭეშმარიტი არსი. ის ყველა ცალკეულსა და კერძოში განჭვრეტს კავშირს ნაცნობსა და განსაკუთრებულთან, ადამიანური ბუნების ხილულ და უხილავ შრეებთან. იგი ცდილობს, გარეგნულად უმნიშვნელო დღეების უღიმღამო მოსასხამს მიღმა აღმოაჩინოს ხასიათების სულიერი კონტურები, შეაფასოს მათი ზრდა, თვალი ადევნოს მორალური დაცემისა თუ ხელახალი აღორძინების სიმპტომებს და გაზომოს გრძნობითი და ინტელექტუალური პრობლემების სიღრმე. მოკლედ, რეალიზმი აღმოჩენაა. იქ, სადაც ჩვენ გვეგონა, რომ ღირსშესანიშნავი არაფერი იყო, იგი ცხადლივ დაგვანახებს, რომ თურმე ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა“.

როგორც ვხედავთ, ნოველა „გარიყულიც“ ამ პრინციპების ზუსტი ხორცშესხმაა. ავტორი მასში ფარდას ხდის პერსონაჟთა სულის სიღრმეში დაფარულ განცდებს, ვნებებსა და მისწრაფებებს და ყოველივე ამას წარმოგვიდგენს საოცრად დამაჯერებლად, მუდმივი დინამიკისა და განვითარების პროცესში.

მართალია, ლეთროპი სახელოვან მწერალთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ნოველა „გარიყული“ დაწერიდან სულ მოკლე დროში ითარგმნა ფრანგულ, რუსულ და ქართულ ენებზე და სამი სხვადასხვა ენისა და კულტურის მქონე საზოგადოების ინტერესი დაიმსახურა, შემთხვევითი არ უნდა იყოს და ზემოთ განხილულ მხატვრულ-ესთეტიკურ ასპექტებთან ერთად, მის შემოქმედებით ღირსებაზე ესეც უნდა მეტყველებდეს.

სალომე ოშიაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარწმუნოებრივი შრე პარემიულ ერთეულთა შინაფორმაში

ყოველი ენა და მისი განმახორციელებელი დისკურსი კულტურულ კონსტრუქციას წარმოადგენს. ამასთანავე, ყოველი ეროვნული სუბიექტის კულტურულ ფენომენოლოგიაში არსებობს რაღაც საერთო, ზოგადი, რაც გლობალურ დროსა და სივრცეში ინახება; ეს „რაღაც“ კულტურული ხასიათისაა და ეროვნული ერთობის ყოველ წევრს ეროვნული იდენტობის აუცილებელ თვისებას ანიჭებს.

ყოველ ეროვნულ კულტურას აქვს გარკვეული მენტალურ-კულტურული სქემები, სიმბოლოები, ციტატები, სახელები, თარიღები, ჟესტები და მისთ., რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს სიტყვათა მნიშვნელობას, ენობრივი ურთიერთობის თავისებურებებს, ტექსტის აზრსა და დისკურსის სპეციფიკას. ყო-

ველივე ეს კი ცოდნათა ბაზისური სტერეოტიპული ბირთვის სახით არსებობს ინდივიდის ცნობიერებაში და არაერთხელ მეორდება მისი სოციალიზაციის პროცესში. აღნიშნული ბირთვი გვევლინება როგორც გარკვეულად სტრუქტურირებულ ცოდნათა და ეროვნულად მარკირებულ, კულტურულად დეტერმინირებულ წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია მოცემული ეროვნულ-ლინგვოკულტურული ერთობის ყოველი წარმომადგენლისათვის, რათა მან ამ ერთობაში ურთიერთობა შეძლოს.

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური და კოლექტიური წარმოდგენები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, კოლექტიური წარმოდგენები, როგორც მენტეფაქტები, როგორც რწმენათა და გრძნობათა სისტემა, საერთოა საზოგადოების წევრებისათვის და არ არის დამოკიდებული ცალკეული ადამიანის ყოფიერებაზე. ლევი-ბრიულის იდეის მიხედვით, ისინი თაობიდან თაობას გადაეცემა და ხდება „არა განსჯის, არამედ რწმენის პროდუქტი“ (ლევი-ბრიული 1994: 20).

ქართული ენის პარემიოლოგიური ფონდი, რომელიც ხალხის მენტალიტეტისა და კულტურის შესახებ ცოდნის მდიდარი წყაროა, უხვად შეიცავს ერთეულებს, რომელთა შინაფორმაში სარწმუნოებრივი შრე იკვეთება. ხატოვან სიტყვა-თქმებში შენახული ქართველთა კონფესიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სისტემურ ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს მოითხოვს.

მენტეფაქტთა სისტემის შემადგენელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ე. წ. პრეცედენტულ ფენომენებს. მათ განეკუთვნება ეროვნულ-ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთათვის კარგად ცნობილი ფენომენები, რომლებიც აქტუალურია კოგნიტიური (შემეცნებითი და ემოციური) თვალსაზრისით და მათდამი აპელაცია აღნიშნული ერთობის წარმომადგენელთა მეტყველებაში მუდმივად განახლებადია (კრასნიხი 2002:44-45).

პრეცედენტულ სახელთა შემცველი სიტყვა-თქმანი. მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნის ბიბლიურ პრეცედენტულ სახელთა შემცველი მყარი გამონათქვამები. ამავე ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ „**ღმერთის**“ მონანილეობით შექმნილი ფრაზეოლოგიური ერთეულები და სიტყვის მასალა. მრავალ მათგანს პარალელური ვარიანტი აქვს, რომლებშიც „ღმერთის“ ნაცვლად „**უფალი**“, „**ქრისტე**“ დასტურდება („ღვთის თვალი ტრიალებს“ // „უფლის თვალი ტრიალებს“; „ღვთის მოლაღატე“ // „ქრისტეს გამყიდველი“).

ქართულ პარემიოლოგიაში მკვიდრია ცოდნა **ღმერთის ყოვლისშემძლეობაზე**: „ღვთის წყალობით ყველაფერი შესაძლებელიაო“; უამრავი პრევენციული თუ დალოცვის ფორმულა იწყება სიტყვებით – ღმერთმა ნუ ქნას ... / ღმერთმა ქნას ... **მფარველობაზე**: „ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!“; „ღმერთმა დაიფაროს!“; „ღმერთის ქვეშ ყოფნა“ ... **შემწეობაზე**: „უფალი შეგენიოს!“; „ღმერთი შეენევა!“; „განსაკუთრებით მრავლად გვხვდება უფლისგან ობოლთა და გაჭირვებულთა შეწვევის ამსახველი თქმები: „ობლის მამა ღმერთიაო“; „ღარიბი კაცის ვალის მზღვეველი ღმერთიაო“; „გაჭირვებულ კაცს ღმერთი სწყალობსო“; „ბრმა ყვავს ღმერთი აუგებს ბუდესაო“ ... **სამართლიანობაზე**: „დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი!“; „თუ მოდავედ მოსამართლე გყავს, მაშინ შენი შემწე ღმერთი იყოსო!“; „საწყაო წყავს, ღმერთი ხედავსო“ ... **ნების უზენაესობაზე**: „უღვთოდ ხეს ფურცელი არ გავარდებაო“ და სხვ.

ღმერთი მოყვარულია, თუმცა, არაერთი პარემიის მიხედვით, უკეთურ ადამიანს ღმერთი არ სწყალობს, ასეთ ადამიანს შეიძლება ღმერთი გაუწყნარეს კი-

დეც: „რა ღმერთი გაუნყრა“; „ღმერთი არ გაგინყრეს“; „ღმერთი გინყენს“; „კაცს რომ ღმერთი გაუნყრება, ჯერ (//პირველად) ჭკუას გამოუღვესო“; „კაცის მკვლელს ღმერთი არ გაახარებსო“; „უკუდო ამპარტავანი ღმერთსაც სძულდა, კაცსაცაო“; „გლახა გამცემი ღმერთს სძულდა, ეშმაკს უყვარდაო“; „ღმერთი არამზადას ურმით დასდევს, მაგრამ მაინც დაენევაო“.

ღმერთს ღვთისმოშიში, ღვთის მცნებათა შემსრულებელი კაცი უყვარს, ღვთის სიყვარული და ნყალობა კი ყველაფერზე მეტია: „თუ ღმერთი გწყალობს, ეშმაკები ვერას დაგაკლებენო“.

ღმერთი შემსმენელია და მას ყველა ყველაფერს შესთხოვს: „გამქცევიც და მიმწევიც, ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო“; „მგელიც ღმერთსა სთხოვს საზრდოსაო“; „საქონელმა თქვა: ისეთ პატრონს მიმეცი, მოხმარება შეეძლოსო“; „ქათამი რომ ნყალს დაღვეს, ზევით ღმერთს შეხედავს – ღმერთო, შემარგეო!“; „დათვს უთქვამს: ღმერთო, ჩემს ძმას ნუ შემახვედრებ და თუნდაც შვიდი სხვა შემხვედრიო“; „ჭიანჭველას თვალები არ ჰქონდა და ღმერთს ეხვეწებოდა – ნამნამები გამომასხიო“; „ერთმა კაცმა ნალი იპოვა და, ღმერთო, სარკინეთი ამოაგდეო“; „გლახა გლახას აედევნა, ღმერთო, ფარატინი გააგდებინეო“; „სხვისი პურმარილითა, ღმერთო, ჩემი მკვდარი აცხონეო!“.

პირველი ადამიანების – **ადამისა და ევას** – სახელების მონაწილეობით შედგენილი მყარი შესიტყვეებები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. **ადამის** სახელთან კაცობრიობის დასაბამი და უძველესობა, ხანდაზმულობა დაკავშირებული, რასაც მონაწილეს შემდეგი ერთეულები: **ადამის ჟამისა, ადამ-ჟამობა** (ძველი დრო), **ადამის ხნისა**. პრეცედენტული სახელები, შემდგარი ერთი ან ერთზე მეტი ელემენტისაგან, რთულ ნიშანს წარმოადგენენ, რადგან ისინი მიემართებიან არა საკუთრივ დენოტატს (რეფერენტს), არამედ პრეცედენტული სახელის დიფერენციულ ნიშნებს. ამის დასტურია ადამის დროს გაჩენილი **ევა**, რომლის დიფერენციულ ნიშანთაგან გააქტიურდა **ღალატი და გაუტანლობა** და არა უძველესი წარმოშობა, რაც, თავის მხრივ, სამოთხეში ღალატის პრეცედენტულ სიტუაციას უკავშირდება. პრეცედენტული სიტუაცია გულისხმობს ერთგვარ „იდეალურ სიტუაციას“, რომელიც ოდესმე არსებულა რეალურ ან წარმოსახვით სინამდვილეში. ამ სტატუსს იძენს სიტუაცია, თუ იგი გარკვეული მენტალურ-ენობრივი კომპლექსის მატარებელთათვის კარგად არის ცნობილი, აქტუალურია კოგნიტიურ პლანში, ანუ მას აქვს აღქმის ინვარიანტი, რომელშიც შედის თვით ამ სიტუაციის შესახებ განსაზღვრული, მინიმიზებული და ეროვნულ-დეტერმინირებული ცოდნა და წარმოდგენები, რომლებიც მოიცავენ მოცემულ სიტუაციასთან დაკავშირებულ კონოტაციებსაც (კრასნიხი 2002: 60). **ევას** სახელის მონაწილეობით შექმნილ მყარ გამონათქვამთა თუ ხატოვან თქმათა დომინანტური სემანტიკური ნიშანია მაცდურობა, **ღალატი – ევას თესლი, ევას ჩამომავლობა, ევას მოდგმა** და სხვ. თანამედროვე ქართულ დისკურსში გვხვდება კონტექსტები, რომლებშიც ევას სახელთან ქალის სიშიშველე დაკავშირებული, თუმცა აღნიშნული კონოტაცია შინაფორმაში არ არის საძებნელი, იგი ვერბალიზებული, გაგარეგნებულია, მაგალითად, „**ევას ჩაცმულობა**“ (სიშიშველე).

ხანდაზმულ ადამიანზე იტყვიან, **მათუსალას** ხნისააო, ეს გამოთქმა 967 (969) წლის ბიბლიური პატრიარქის სახელს უკავშირდება; ისრაელთა პატრიარქ **იოხის** სახელი ორი რიგის გამოთქმებში მონაწილეობს – ცუდ დღეში ყოფნის აღ-

სანიშნავად ამბობენ, „იობის დღეშია ჩავარდნილი“, „იობის მატლები ახვევიაო“, უდრტვინველსა და სულგრძელ ადამიანზე იტყვიან, „იობის მოთმინება აქვსო“.

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ ხატოვან ერთეულს დავასახელებთ, რადგან მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. აღნიშნულ ჯგუფში ჭარბობს მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებები: **ნოეს** კიდობანი, **აბრაამის** ბატკანი (// მამა აბრაამის ბატკანი), **აბრაამის** ტაბლა, **ლაზარეს** აღდგინება (სასიკვდილოდ გადადებულის სასწაულებრივი გამოჯანმრთელება), **იერემიას** გოდება (იერემია – ისრაელთა წინასწარმეტყველი, რომელიც დასტიროდა საკუთარი ერის უბედურებას; იერემიას გოდება – დიდი მწუხარება), **იონას** აყირო (საქადაგებლად წასულ ებრაელთა წინასწარმეტყველ იონას ეს მცენარე თავზე გადაჰფარებია მწველი მზისაგან დასაცავად, იონას აყირო – შვების მომგვრელი, სანატრელი, მხსნელი), **კაენის** ცოდვა (ძმის გამეტება, უკიდურესი სიმდაბლე), **კაენის** ბეჭედი (მოსარიდებელი, ხიფათისაგან თავის დასაღწევი ნიშანი), **იუდას** ამბორი, **იუდას** კერძი, **პილატეს** ცრემლები და სხვ. ამ შესიტყვებათა ნათესაობით ბრუნვაში მდგომი ზოგიერთი მსაზღვრელი სახელი ქართულ დისკურსში დამოუკიდებლად იხმარება იმავე მნიშვნელობით, მაგალითად, **იობი, კაენი, იუდა**.

გარდა პირთა სახელებისა, ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმებში ბიბლიიდან მომდინარე პრეცედენტულ გეოგრაფიულ სახელთა გამოყენებაც არ არის იშვიათი: **იერიქონის** საყვირი (პალესტინის ძველი ქალაქის სახელით შექმნილი ეს შესიტყვება გადამეტებული ყვირილის აღსანიშნავად იხმარება), **ბეთლემის** ვარსკვლავი (სასიხარულო, იმედისმომცემი ნიშანი), **ბაბილონის** გოდოლი, **გოლგოთა**, მეორე **იერუსალიმი**, **ედემი**, **სოდომი** და **გომორი** თუ სხვ.

ბიბლიური შესიტყვებები და გამონათქვამები. სარწმუნოებრივი ცოდნის მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება ბიბლიიდან მომდინარე შესიტყვებები და გამონათქვამები, რომელთა ნაწილი უცვლელადაა შესული ქართულ პარემიულ ფონდში, ნაწილი პარაფრაზირებულია, ნაწილის ანარეკლი კი სხვადასხვა ერთეულის შინაფორმაშია შენახული.

უცვლელად გვხვდება შემდეგი გამონათქვამები – ძველი აღთქმიდან: „თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ“ (ლევიტ. 24: 20; II რჯ. 19: 21), „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი“ (II რჯ. 8: 3); სახარებიდან: „არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს“ (მარკოზი 4: 22; ლუკა 8: 17); „ნათელნი სოფლისანი“ (მათე 5: 14) – ქრისტეს მიერ თავისი მოწაფეებისადმი ამგვარი მიმართვა ქართულ დისკურსში სულიერ წინამძღვრთა აღსანიშნავად დამკვიდრდა; „მარილნი ქუეყანისანი“ (მათე 5: 13) – საზოგადოების საუკეთესო ნაწილზე, გამორჩეულ ადამიანებზე ითქმის და მისთ.

სახარებისეული სიტყვები – „ეძიებდით და ჰპოვოთ“ (მათე 7:7; ლუკა 11:9) – პარაფრაზირებულია ანდაზაში „ვინც ეძებს, ის პოულობსო“; ამავე სტრუქტურის ანდაზადაა გარდათქმული დასახელებული შეგონების გაგრძელება – „ირეკდეთ და განგელოს თქვენ“ (მათე 7: 7; ლუკა 11: 9) – „ვინც აკაკუნებს, კარს იმას უღებენო“.

ბიბლიური წარმომავლობა შეფარულია, მაგალითად, ანდაზაში „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, შდრ. სახარებისეული „წინასწარმეტყუელსა თვისსა სოფელსა პატივი არა აქუს“ (იოანე 4: 44); აგრეთვე, სიახლოვის, ნათესაობის აღმნიშვნელ გამოთქმაში „სისხლი და ხორცი“, შდრ. „ძვალი ძვალთა ჩემთაგანი და ხორცი ხორცთა ჩემთაგანი“ (დაბ. 2: 23) და სხვა მრავალში.

სასულიერო პირთა სახელების შემცველი ანდაზები. ქართულ ზეპირ-სიტყვიერებაში სხვადასხვა რანგის ღვთისმსახურზე მრავალი ანდაზაა: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“, „აღარც მღვდელი უნდა, აღარც დიაკვანიო“, „ხატი იყოს მწყალობელი, დეკანოზმა ქადა ჭამოსო“, „ბერს ბერობა შეშვენის და ერს ერობაო“, „ქვეყნის სატირალს ცენტერადის მონაზონი ტიროდაო“; მათ შორის ჭარბობს საეკლესიო იერარქიაში მღვდლისა და დიაკვნის მიმართების ამსახველი ერთეულები: „დიაკვანს რომ ღვინო მოსწყურდება, მღვდელს მიაწოდებს, შემდეგ ჯერი ჩემზე მოვაო“; „ვიდრემდის (/სანამდის) მღვდელი მწყალობდა, ცხრა დიაკვანი მყვარობდაო“; „მღვდელს ჰკითხეს, მოწმე ვინა გყავს და დიაკვანიო“; „აკურაში ერთი მღვდელი, ოცდახუთი დიაკვანი“; „თუ მღვდელი მწყალობს, დიაკვანი ვერას დამაკლებსო“ და სხვ.

ანდაზებში, რომლებშიც ბერი და მონაზონია ნახსენები, უმეტეს შემთხვევაში დომინანტურ სემანტიკურ ნიშნად ასკეტიზმის სირთულე და განდევილობის აღთქმის შეუსრულებლობაა წარმოდგენილი: „ბერმა და მონაზონმა ჯოჯოხეთი აავსოო“; „ბერო, მადლი ნაგინყდა და მოლოზანო, – სალოცავიო“; „ბერი რას იზამს, თუ მოლოზანი არ შეცდაო“; „წმინდა ბერი წმინდად წაწყდაო“; „ბერო, არ გინდა ცხოვნება და ღმერთმა ნუ მოგცესო“ და სხვ.

განსახილველი ჯგუფი ისეთ ანდაზებს აერთიანებს, რომლებშიც დაცულია ცნობები სასულიერო პირთა გარეგნული ნიშნების, ჩაცმულობის, თვისებების, მსახურების შესახებ: „მღვდელს თავის წვერს აბარებდნენ, კარგად მოუარეო“; „თხამ მღვდლობა მოინდომა, აქოდა გრძელი წვერი მაქვსო“; „სანამ მღვდელი ჩაიცვამს, ცაც შეიმოსება და სანამ გაიხდის, ცაც გადიყრისო“; „მღვდელს ჭილობშიაც იცნობენო“; „სახით – მღვდელიო, საქმით – მგელიო“; „მღვდელი და ექიმი ერთიაო“; „დიაკვანმა თქვა, ჩემი დავითნი მომიტანეთო“; „ერთი ალილია მღვდელსაც შეეშლებაო (//შესცდებაო)“, „მღვდელი რომ წირვას დაიწყებს, მოლოზანს მაშინ მოუხდება ბერტყაო“, „მღვდელი რომ იყო, უზიარებელს მომკლავდიო“.

ამავე ჯგუფის პარემიულ ერთეულებში საეკლესიო კანონთა ანარეკლი ჩანს: მარჯვედ მოლაპარაკესა და მაცდური ენის პატრონზე ითქმის – „ბერს ცოლს შეართვევინებსო“; ბერისგან განსხვავებით, მღვდელს რომ ცოლის ყოლა არ ეკრძალება, შემდეგი ანდაზები გვატყობინებს: „ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს – მღვდლის ცოლიო“; „ვის არ უნდა თვითონაც მღვდელი იყოს და ცოლიც ფოფოღია ჰყავდესო“. მღვდლის ხარისხის ჩამორთმევის თანმხლებ რიტუალს ასახავს გამოთქმა „მღვდლის გაკრეჭა“, იმავეს ეძღვნება ანდაზა – „მღვდელი თუ გაკრიჭო, კარგად გაკრიჭეო“.

მართლმადიდებელ ქრისტიანთა ქცევის ამსახველი პარემიები. ამ დიდ ჯგუფში კონფესიური ცოდნის ორი შრე ჩანს, ინფორმაცია მორწმუნეთა მიერ ეკლესიაში და მის გარეთ შესასრულებელი ნეს-ჩვეულებების შესახებ:

ლოცვა – „ილოცე და უფალი შეგენევაო“; „მარტო ლოცვით სამოთხეში არ შეისვლებაო“; „ქვეყანას ჭკუა, შენება და ლოცვა გადაარჩენსო“; „წყევლა უვნები, ლოცვა ურგები ვინა თქვაო“;

საყდარ-სალოცავი, ხატი – „ერთ საყდარში ორი ღმერთი ვერ იქნებაო“; „წყალს საყდარშიც გაიყვანენო“; „ეკლესიის კარი ღია იყო – ძალს ნამუსი არ ჰქონდაო“; „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიაო (// ოხერს ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიაო)“; „დიდ ეკლესიაში პატარა ხატები არ ეტეოდაო“; „ჩემი გაჭედილი ხატის ამბავი მე უკეთ ვიცო“; „ერთი ხატი სალოცავად არ კმარაო“;

„გლეხი ხატს მიეჩვია და ნაფოტის სროლა დაუნყოფო (// გლეხი რომ ეკლესიაში შეუშვა, ხატებს ქვებს დაუშენსო)“; როგორ შეიძლება ჩნდებოდეს ამ უკანასკნელის მსგავსი ერთეულები? აქაც უნდა ვივარაუდოთ რაღაც პროტოტიპული სიტუაცია, სახელდობრ, ფრაზეოლოგიური ერთეულის პირდაპირი მნიშვნელობის შესატყვისი სიტუაცია – როგორ ესვრის გლეხი ხატს ნაფოტს, შემდეგ ამ კონკრეტული შინაარსის ახლებური გააზრება ხდება, ანუ პროტოტიპული სიტუაციის აღმწერი სიტყვების თავდაპირველი შინაარსის საფუძველზე იქმნება სახე. ასე ჩნდება ფრაზეოლოგიური ერთეულის შინაგანი ფორმა, რომელიც შეიცავს კულტურასთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას (მასლოვა 2001:84). ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ გამოთქმას – **„ხატის ღვინის დაღვევა“ (გაგიჟება)**, რომელიც უკავშირდება უძველეს ტრადიციასა და მის დარღვევას: ძველად სხვადასხვა სალოცავის სახელზე ქვევრებში თუ ქოცოებში ღვინოს ინახავდნენ, რომელიც მხოლოდ იმ სალოცავის დღეობაზე უნდა დაეღვინათ. ვინც მანამდე ქურდულად მიეპარებოდა სასამელს, სწამდათ, რომ ხატი ჭკუიდან შემლიდა, აქედანვეა წარმომდგარი იდიომი **ხატის გიჟი**, რომელიც დამთხვეულსა და დამნაშავეზე ითქმის (სახოკია 1979: 903-904).

ჯვარი, პირჯვარი – ჯვრის ძალასა და მის მფარველობას მრავალი ხატოვანი სიტყვა-თქმა და დიდძალი სიტყვის მასალა ეძღვნება, სახელდობრ, პრევენციული გამოთქმები: „ჯვარი მწერია / გწერია / სწერია ...“; „ოთხივ კუთხივ ჯვარი გეწეროს“; „ჯვარი აქაურობას“; ქრისტიანისათვის ჯვრის გამოსახვის მნიშვნელობაა ხაზგასმული შემდეგ ანდაზებშიც: „კაცს ღმერთი არა სწამდა და პირჯვარს ინერდაო“; „ნურც ეშმაკს დამანახვებ და ნურც პირჯვარს დამანერინებო“; „შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამინერე“. გამოთქმა „ჯვარსა და ხატზე დაფიცებაც“ ჯვრის საკრალურობაზე მიუთითებს. ამ რიგის ერთეულებში გამოიყოფა ცალკე ჯგუფი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმას უკავშირდება და ტანჯვის, მწუხარების გამომხატველია: „ყველას თავისი ჯვარი აქვს“; „ეს ჯვარი ზიდოს“; „ჯვარს ვეცვი / ჯვარს მაცვა“; „მძიმე ჯვარი“ და მისთ.

სანთელ-საკმეველი – „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო“; „ყმანვილს კვერს ნუ დაჰპირდები და ღმერთს – სანთელ-საკმელსაო“;

შესაწირი / საღმრთო – „წირვის უწინ საწირავი არ მიიცემაო“; „ვისაც საღმრთო უნდოდა, ცხვარს იძახდა, ვისაც გაძლომა და – კამეჩსაო“; „ვირი სამღვთოში არ დაიკვლება, მაგრამ ვირის საფასურით კი სამღვთოს გადაიხდიანო“;

მარხვა – „მარხვა ვჭამო დოსთვინაო, ქურდობა ვქნა ხბოსთვინაო?“; „მარხვის ჭამა დამენამა, ნეტავ რამე შემეჭამა“; „თევზი – მარხვაში, ცხენი – აღმართში“; „მარხვის მჭამელს ხსნილში არა ეშოვებოდაო (// აღარა ჰქონდა რაო)“, შემდეგი წყევლის ფორმულაც, რომელიც უკიდურესად გაღარიბების სურვებაა, დიდი მარხვის დასრულებას უკავშირდება: „ლობიო მოხარშულიყოს შენს სახლში აღდგომა დღესო“, – ე. ი. ისე გაღარიბებულიყავი, ვერ გაგეხსნილებინოს და დიდი მარხვის შემდეგაც, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ისევ ლობიო გეჭამოსო. გარდა საკვებთან დაკავშირებული ცნობებისა, პარემიულ ერთეულებში ასახულია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დანესებულ მარხვათა დროითი პარამეტრი – ხანგრძლივობა და კონკრეტული დღეები: „დიდ მარხვას უთქვამს: ისე გავირბენ, ქვრივმა პერანგის გარეცხვაც ვერ მოასწროსო“; „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“; „ნათლისღების წინა დღეო ნუ გგონია კვირა დღეო“;

ნათელმირონობა – „ნათლულს ნათლიის სამსახური არ მოსწყინდებაო“; „ნათლიამ უთხრა ნათლიდედას: ჩემი ნათლული გებარებოდესო“; „ნათლიის ბანზე არ გადაივლიანო“; „ნათლი, ძალი გეპარებოდა, სირცხვილით ვერ გითხარიო“ და მისთ. ალექსი ჭინჭარაული ქართულ ხალხურ პოეზიაში ნათელ-მირონით დაკავშირებულ სტუმარმასპინძლობის ამსახველ ლექსებზე მსჯელობისას ანდაზებსაც ასახელებს და „სამნუხარო დიალექტიკად“ აფასებს ჩვენ მიერ დამონმებული ანდაზების გვერდით იმგვარ პარემიულ ერთეულთა გაჩენას, რომლებშიც ნათელმირონობის არსი გაუფასურებულია: „ნათლიავ, შენსას ჩემი მირჩვენია და სხვისას – შენისო (// სვინაო, შენი თავი სხვისას მირჩვენია და ჩემი თავი – შენსასო)“; „ნათლიავ, ხან რომ ჩვენსა, ხან – თქვენსაო“ (ჭინჭარაული 2008).

საეკლესიო დღესასწაულები ქართულ პარემიებში. აღნიშნულ ჯგუფში **აღდგომასთან** დაკავშირებული ანდაზები და გამოთქმები ჭარბობს. განსაკუთრებული სიხარულის, დიდი ბედნიერების აღსანიშნავად იტყვიან: „აღდგომის დღე დაუდგა“, „აღდგომა გაუთენდაო“, იგივე შინაარსია ანდაზებში: „მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისაო“; „ცეცისთვის (// ცერცეცისთვის) მუდამ აღდგომააო“, „ავი კაცი აღდგომასაც ავიაო“. გვხვდება სხვა დღესასწაულთა სახელებიც: „ბზობასა და აღდგომას ერთნაირი ამინდი იცისო“; „აღდგომას მომტყუებელი, მეტს იზამს **ამაღლებასო**“, „გლესხ **შობა** უთენდებოდა და **მეალილოვეებმა** აღარ გაუთენესო“, „ალილო და ხვალაო“; „ნათლისღების წინადლეო ნუ გგონია კვირადლეო“; „ფერიცვალება დღეს ირემი ხეს არ შეეფხანებაო“.

პარემიებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საეკლესიო დღესასწაულების სახელებსა და მათთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს ხშირად დროში ორიენტაციის, დროის დინებისა და ამინდის აღნიშვნის ფუნქცია აქვთ: „აღდგომა და ხვალაო“, „ალილო და ხვალაო“; „ბებერმა კვერცხი თავით დაიდო, ეგები აღდგომა მალე გამითენდესო“; „წითელ კვერცხს ვერ გაფრცქვნისო“ (აღდგომამდე ვერ იცოცხლებსო); „ბზობასა და აღდგომას ერთნაირი ამინდი იცისო“; „აღდგომაა დარიანი, **ამაღლება** – ნამიანი“.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა გამოთქმა **„ბზობის ყვავივით გაქრა“**, რომელიც **უცებ** გაუჩინარებული, უგზოუკვლოდ დაკარგული ადამიანის ქცევას ახასიათებს. აღნიშნული ხატოვანი თქმის შინაფორმა ინახავს ხალხის შემდეგ დაკვირვებას: ზამთარში ყვავი სოფელს არ შორდება, რომ სარჩო იშოვოს. გაზაფხული კი ძველების დაკვირვებით, დაახლოებით აღდგომის წინა კვირას, ბზობას იწყება და ყვავებიც ტყისკენ მიფრინავენ, სადაც უკვე სარჩო საკმაოდ ექნებათ და ბახალებსაც უშიშრად გამოჩეკენ. ამის შემდეგ ყვავები სოფელში იშვიათად ჩნდებიან (სახოკია 1979 : 55-56).

არამართლმადიდებლური შრე ქართულ პარემიულ ერთეულებში. ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმებსა და სიტყვის მასალაში სხვა რელიგიათა ცოდნაც ჩანს, რაც საგანგებო კვლევას მოითხოვს. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: „ცეცხლი მოასვენეო“, – ამბობენ, „ჩააქრეო“, – არ იტყვიან, ცეცხლს ჩაქრობას არ ჰკადრებენ, რაც ცეცხლთაყვანისმცემლობის დროიდან შემორჩენილი დამოკიდებულებაა; „ტირტერამ უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო“; „მოლა ვირზე იჯდა და ვირს ეძებდაო“; „ხოჯის აბანოაო“ (ქალების ჩხუბის ადგილზე იტყვიან); „რომში **პაპი** ვერა ვნახე და თბილისში აბანოო“; „მაჰმადის **მტრედით** ყურში ჩამძახის“ (რამის გაკეთებას მიბრძანებს); „ალაჰმა უწყის!“; „ჰალას-

ბიჭლას ფიცავენ“ (ღმერთის დაფიცების არაბული ფორმულაა, რომელსაც ძველად ქართველებიც იყენებდნენ ფიცისთვის) და სხვ.

„უავო კარგი ღმერთს არ გაუჩენიაო“, გვამცნობს ანდაზა, რომელში შენახული ხალხური სიბრძნე ბევრჯერ გარდათქმულა ბინარული კონტრასტირების მეცნიერულ დებულებად, კლასიფიკაციითა პრინციპად თუ სხვადასხვა დეფინიციად (მაგ., „ანდაზის სიღრმისეულ შრეზე ფიქსირდება უნივერსალური ოპოზიციური ბინარული სტრუქტურა“, – რუსიეშვილი 1999:55). ჩვენც ცალკე ჯგუფად განვიხილავთ იმ პარემიებს, რომლებშიც სემანტიკური პოლარულობა ამ ერთეულთა ოპოზიციურ-სტრუქტურული საფუძველი გამხდარა, ასეთე-ბია, მაგალითად, ურწმუნოება – რწმენა: „კაცს ღმერთი არა სწამდა, პირფვარს ინერდაო“; სამოთხე – ჯოჯოხეთი: „სამოთხეს ლასტის კარი აქვს, ჯოჯოხეთს – ოქროსიო“, „ცოდნა სამოთხეა, არცოდნა – ჯოჯოხეთიო“; ეშმაკი – ანგელოზი: „ეშმაკის შენახული ანგელოზმა გაიხმარაო“, „გამოუცდელ ანგელოზს გამოცდილი ეშმაკი სჯობიაო“; ცხონება – ნაწყმედა: „საცხონებლად ნასული ნაწყმედილი დაბრუნდაო“; ღვთის წყალობა – ღვთის რისხვა: „ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ესმისო“; სააქაო – საიქიო: „სააქაოში სიკვდილი საიქიოში დაბადებას ნიშნავსო“ და სხვ.

განხილული მასალა მხოლოდ ერთი ნაწილია იმ პარემიული ერთეულებისა, რომლებშიც სარწმუნოებრივი ცოდნა ინახება. ეს ცოდნა ხან ზედაპირზეა, ხან უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს, ზოგჯერ ზედაპირზე მყოფი ინფორმაციის უკან კიდევ დგას ასევე რელიგიური შინაარსის, მაგრამ სხვა ცოდნა. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში გაზრდილია ინტერესი პარემიოლოგიისადმი, განსაკუთრებით მომრავლდა ტიპოლოგიური კვლევები, რომლებშიც პარემიულ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს გვთავაზობენ არამონათესავე ენების მასალის მიხედვით, მსჯელობენ პარემიის სტატუსზე, ტერმინოლოგიურ ხარვეზებსა და ამა თუ იმ საკლასიფიკაციო სქემებზე, მაგრამ თითქმის არა გვაქვს ნაშრომები დასახელებულ ერთეულთა კომუნიკაციური რელევანტურობის შესახებ. ასეთი ტიპის გამოკვლევათა სიმცირე კი შეუძლებელს ხდის პარემიოლოგიის მნიშვნელობის განსაზღვრას თანამედროვე ენის მატარებელთათვის.

ამ ნაშრომის მიზანიც სწორედ ის არის, რომ შემოვსაზღვროთ მასალა ლინგვოკულტუროლოგიური ანკეტირებისათვის, რომელსაც დაემყარება ჩვენი სამომავლო კვლევა განხილული ჯგუფის ერთეულთა პრაგმატიკის შესახებ.

ლიტერატურა:

კრასნიხი 2002 – В. В. Красных. Этнопсихоллингвистика и лингвокультурология. М.: Гнозис, 2002;

ლევინ-ბრიული 1994 – Л. Леви-Брюль. Сверхъестественное в первобытном мышлении. М.: Педагогика-Пресс, 1994;

მასლოვა 2001 – В. А. Маслова. Лингвокультурология. М.: Издательский центр «Академия», 2001;

რუსიეშვილი 1999 – მ. რუსიეშვილი, ანდაზის სემანტიკური მოდელი, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. VIII, თბილისი, 1999;

სახოკია 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, „მერანი“, თბილისი, 1979;

ჭინჭარაული 2008 – ა. ჭინჭარაული, „ჩხავრის ღვინო ამომიღე, ჭურში გეკონებაო“ (სამწახარო დიალექტიკა); <http://www.vinoge.com/istoria/Cxavris-Rvino-amomiRe-WurSi-geqonebao>

წყაროები

რჩეული ქართული ანდაზები, შეადგინა კ. ჯორჯანელმა, თბილისი, 2003;
თ. სახოკია, ქართული ანდაზები, თბილისი, 1967;
თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, „მერანი“, 1979;
ქართული ანდაზები, შესავალი წერილი და რედაქცია ზ. ჭუმბურიძისა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1965;
ქართული ანდაზების კრებული, შემდგენელი ივ. ხორნაული, წინასიტყვაობა და რედაქცია ზ. ჭუმბურიძისა, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1965;
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტტ. I-VIII, თბილისი, 1950-1964;
ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისი, 1979.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სოფელ ძვილეთის ონომასტიკური მასალები

სოფელი ძვილეთი მდებარეობს შიდა ქართლში, მდინარე ფცის წყლის (ფციულა) მარცხენა შენაკად ლოლურას მარჯვენა მხარეს, შემალლებულ ადგილზე. ამ სოფლიდან სამხრეთით კარგად ჩანს ქარელის რაიონის სოფლები და მტკვრის ხეობის მონაკვეთი. ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიაში“ ფცის წყალზე სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია **მძვივლეთი** (ვახუშტი 1997:208). ასეთივე ფორმითაა მოცემული 1745 წელს მის მიერ შედგენილ რუკაზეც; იმავე რუკაზე ჩანს აზნაურის რეზიდენციაც, რომელიც ტატიშვილებს ეკუთვნოდათ. ისინი იმ რეზიდენციაში ცხოვრობდნენ, თუმცა ჰქონდათ მეორე რეზიდენციაც. მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ენციკლოპედისტის იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ფცის წყალზე მდებარეობს სოფელი **მძვივლეთი** (ბაგრატიონი 1986:43.). სოფლის ისტორიის, ტოპონომასტიკის შესასწავლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა 1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარი, ასევე მთელი რიგი ისტორიული ლიტერატურა, რომლებიც მოგვითხრობენ როგორც ტატიშვილების, ისე სხვა გვარების შესახებ.

ზემოხსენებული დავთრის მიხედვით, იმ დროისათვის ყოფილა ორი, ზემო და ქვემო, ძვიმლეთი. ზემო ძვიმლეთში ცხოვრობდნენ: როსაფ, სეხნია ტატიშვილები, ინდულაშვილი, მარკოზაშვილი, ფეხაშვილი, მახმადაშვილი, ლოლაძე, მახარობლიშვილი, იაველაშვილი, ვარძელაშვილი, ხუცისშვილი, კაკაშვილი, ჩუსტანიძე, ბედიანიძე, დათაშვილი, რაბადაშვილი, ჯანგირაშვილი, მიქელაშვილი, ორი ოჯახი, გვარად ჯავახი. ქვემო ძვიმლეთში ცხოვრობდნენ: ოთარ, ჯარდან, ონისიმე ტატიშვილები, გოგელაშვილი, ვიგრიაშვილი, გულიაშვილი, გოგინაშვილი, გარეყანაშვილი, დულარიძე, იორდანაშვილი (თაყაიშვილი 1907:134-135). მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების გამო მოსახლეობა დაი-

ფანტა, სხვა ადგილებში გადასახლდა, ნაწილი კი გადაშენდა. ზემო ძვილეთიდან მახარობლიშვილები ფრონეს ხეობის სოფელ დირბში გადასახლდნენ და დღეს ისინი მახარობლიძეები არიან. იაველაშვილი შეცვლილი გვარით იველაშვილად არის წარმოდგენილი. ვარძელაშვილები სოფელ რუისში გადასახლდნენ. როგორც ტატიშვილებთან, ისე ზემოხსენებულ გვარებთან სხვადასხვა ონომასტიკური ერთეული არის დაკავშირებული. იოანე ბაგრატიონი თავის შრომაში წერს, რომ „ტატიშვილები არიან ცნობილი დროსა ლეონ მეფისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1523-ს... აზნაური ტატიშვილი არის ახალციხით ტაოელი ტატიშვილი, ხოლო ამის შვილსა ყრმასა უწოდენ ტატასა ალერსობის გამო და ამის გამო გაუგვარდათ ტატიშვილობა მეფობასა ვახტანგისასა 1704 წელსა“ (ბაგრატიონი 1997:43). 1642 წელს როსტომ მეფემ ძვილეთელ აზნაურს ათანასე ტატიშვილს წყალობის წიგნით დაუმტკიცა ადრინდელი სვიმონ მეფის ნაწყალობევი გლეხები (პალ. 1991. 352).

ტატიშვილების სახლის ნაწილი, სადაც წლების განმავლობაში სკოლა იყო განთავსებული, დგას მდინარე ლოლურას ნაპირზე. სკოლის შენობას, სადაც შემდგომ კოლმეურნეობის ადმინისტრაციული ერთეული იყო, ეწოდებოდა „როსაფისეული სახლი“, რადგან როსაფ ტატიშვილს ეკუთვნოდა; ლოლურას პირზე მდგარი კოშკი კი „როსტომის კოშკის“ სახელით იყო ცნობილი, რადგან იქ როსტომ ტატიშვილი ცხოვრობდა. ის იყო ოჯახის უფროსი. ძველი ანთროპონიმებიდან ცნობილია: „ოტიაანთ მინები“, რომელიც ოტია ტატიშვილის საკუთრება იყო სოფლის დასავლეთით, ლოლურას მარჯვენა მხარეს; „კოტეს წყარო“, რომელიც კოტე ტატიშვილს ჰქონდა სოფელში გამოყვანილი; „თედოაანთ სახნაკი“ ეკუთვნოდა თედო ტატიშვილს; „ჯანიაანთ მინები“ სოფლის ჩრდილოეთით მდებარეობდა და ეკუთვნოდათ ირემაშვილებს, რომელთა შტოგვარი იყო ჯანიაანთ/ჯანიაანთი. „დულარიძის მზვარე“ ეწოდება სოფლის დასავლეთით დაქანებას, რომელიც მზიანი ადგილი იყო. დულარიძეები ამჟამად სოფელში აღარ ცხოვრობენ, კახეთში არიან გადასახლებულები. „გოგინაანთ ვენახები“ დაკავშირებულია ქვემო ძვილეთში მცხოვრებ გოგინაშვილების გვართან. „ჯანგირაშვილების კორომი“ დაკავშირებულია ტყესთან, რომელიც ამჟამად გამქრალია, მხოლოდ ბუჩქნარია დარჩენილი. დღეს ძვილეთში ცხოვრობენ: ლალოშვილი, ოქრუაშვილი, გოგინაშვილი, ირემაშვილი, მულდარაშვილი, გოგინაშვილი და რამდენიმე უცხოტომელის ოჯახი. სოფელი ოკუპირებულია. ზემოხსენებული გვარების გარდა, 1674 წლის საბუთით ზემო მძვილეთში მოხსენიებულია ჩაჩანიძე და ქვემოში – გაგნიძე.

გვარის, უბნის წარმოების დროს ჩნდება **-ან** სუფიქსი, რომელიც კრებითობას გამოხატავს, ხოლო **-ანთ** სუფიქსი საკუთრების გამომხატველია: ოქრუა-ან-ი-ოქრუა-ანთ-ი, გოგინა-ან-ი-გოგინა-ანთ-ი, ლალო-ან-ი-ლალოა-ანთ უბანი, ირემა-ან-ი-ირემა-ანთ-ი... **-ანთ** სუფიქსი ასევე გამოყენებულია შტოგვარის საწარმოებლადაც: *სოსანა-ანთ კოტე, ოტია-ანთ მიშა, ჯანია-ანთ ვასო, სოსიკა-ანთ ივანე, გიორგ-ანთ ალე, ოქრუა-ანთ ჯემო, ლექსა-ანთ შაქრო...*

მდინარე ლოლურას მარჯვენა მხარეს არსებული მამულები, რომლებიც ჯერ იხვენებოდა, ხოლო მერე საძოვრებად იყო გამოყენებული, რამდენიმე გვარს ეკუთვნოდა. სამი ჰექტარი მამულის სახელია „ჯანგირაანთეული“, რომელიც ადრე მცხოვრებ ჯანგირაშვილებს უკავშირდება. „ჯავახიაანთეული მამული“ სოფლის ჩრდილოეთით მდებარეობს და დაკავშირებულია ადრე მცხოვრებ ჯავახებთან. ეს გვარი, 1715 წლის რუისის დავთრის მიხედვით, ზემო ძვილეთში

ერთი კომლითაა წარმოდგენილი. „*მიქელანთეული პატარა ნაკვეთი*“, მდებარე ლოლურას მარცხენა მხარეს, უკავშირდება 1715 წელს აქ მცხოვრებ მიქელაშვილებს.

სოფელ ძვილეთში სხვადასხვა ფორმისა და სახელდების ტოპონიმები გვხვდება, რომლებიც იმეორებენ ქართველურ ტოპონიმთათვის დამახასიათებელ წარმოებას; გვხვდება დიალექტური ფორმებიც, რომელთაც მოსაზღვრე იმერული მეტყველების გავლენა ეტყობათ, რადგან აქ იმერეთიდან გადმოსული მოსახლეობა გვხვდებოდა როგორც ადრე, 1715 წლის დავთრის მონაცემების მიხედვით, ისე შემდგომაც.

ტოპონიმთა საწარმოებლად გამოყენებულია **-ებ** სუფიქსი, რომელიც მამულის სიდიდეს განსაზღვრავს: *ბუხს-ებ-ი* (სოფლის ჩრდილოეთით, ახლა საძოვრებადაა ქცეული), *ტბ-ებ-ი* (სოფლის აღმოსავლეთით, ხუთი ჰექტარი, ამჟამად მხოლოდ ბუჩქნარია), *აკანათ-ებ-ი* (სოფლის ჩრდილოეთით, რვა ჰექტარია), *ბილიკ-ებ-ი* (სოფლის ჩრდილოეთით, სადაც ბოლო ხანს სოფლის ფერმა იყო მოწყობილი), *ნანებ-ებ-ი* (ადგილი ლოლურას მარჯვენა მხარეს), *ჭალ-ებ-ი* (მამულები მდინარის მარჯვენა მხარეს). კომპოზიციური გეოგრაფიული სახელების პირველი ნაწილი ფუძის სახით არის წარმოდგენილი: *ხუთ-მებ-ებ-ი* (სოფლის დასავლეთით, ოთხი ჰექტარი), *გძელმინ-ებ-ი* (სოფლის ჩრდილოეთით, ხუთი ჰექტარი), *ორ-მუხ-ებ-ი* (სოფლის სამხრეთით, ორი ჰექტარი), *მიქელ-კარ-ებ-ი* (სოფლის ჩრდილოეთით, სახელდება დაკავშირებულია მიქელაშვილების გვართან).

ჰიდრონიმებიდან აღსანიშნავია „*ფცის წყალი*“; დღეს ეწოდება *ფცი-ულა*, რომელშიც **-ურა** მანარმოებლის -ულა დისიმილაციური ფორმა დასტურდება. ლოლ-ურა მდინარე ფციულას მარცხენა შენაკადია, რომლის სახელიც სოფელ ლოლუეთიდან მომდინარეობს.

სოფელში რამდენიმე უბანი გვხვდება: „*გალმა უბანი*“ ეწოდება ლოლურას მარჯვენა მხარეს, *გამოლმა* – მარცხენა მხარეს. „*ოტიაანთ უბანი*“ არის სოფლის ცენტრში, რომელიც ოტია ტატიშვილის სახელის მიხედვით არის დარქმეული. „*ღვთისშობლის უბანი*“ ლოლურას მარცხენა მხარესაა, სადაც ლალოშვილები ცხოვრობენ. „*ოსების უბანში*“ კაჩმახზოვი და ვალიევი ცხოვრობენ.

სოფელში ეკლესიონიმებიდან აღსანიშნავია „*წმინდა ნინოს სალოცავი*“, რომელიც ჯერ კიდევ კარგად არის შემორჩენილი, იგი ბაზილიკის ტიპისაა; „*წმინდა გიორგის ეკლესია*“, ასევე, „*ღვთისმშობლის ეკლესია*“. არის სალოცავი ნიშები, რომლებსაც ხატს ეძახიან; ერთი ლოლურას მარცხენა მხარესაა, მეორე – სამხრეთ მხარეს, სადაც არის მუხის კორომი და ნასახლარები.

ლიტერატურა:

- ვახუშტი 1997** – ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1997;
- ბაგრატიონი 1986** – იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი, 1986;
- თაყაიშვილი 1907** – ექვთიმე თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფილისი, 1907;
- სს - საქართველოს სიძველენი 1899-1920** – ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, II, ტფილისი, 1899-1920.

კრებითი სახელისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი ქართულში

იმდენად, რამდენადაც გრამატიკული კლასიფიკაციების უძირითადესი და საკვანძო საყრდენი ფორმოზოგ-სემანტიკური ერთეულებისა და მათი მარკერების გამოყოფა-გამოცალკევების გზაა, ლოგიკურია, რომ ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა სახელთა ის შინაარსობრივი ჯგუფი, რომელსაც სამეცნიერო აზრმა კრებითი სახელები უწოდა და რომლებიც რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ენის ფლექსიურ დონეს უნდა მივაკუთვნოთ. მრავლობითობის გამოხატველი ეს ჯგუფი თავისი მცირერიცხოვნობითაა გამორჩეული და ქართული ენის ლექსიკური ბანკის მხოლოდ პატარა სეგმენტს ქმნის, თუმცა, ვფიქრობთ, რომ წინადადებაში მისი სინტაქსური პოზიციების თავისებურებანი ანგარიშგასაწევია და დამოუკიდებელ მეცნიერულ განხილვას მოითხოვს. მოხსენებაში ჩვენ კრებითი სახელებისა და შემასმენლის სინტაქსური შეკავშირების ერთ სახეს – შეთანხმებას – შევხებით.

აკაკი შანიძეს არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფების (სულიერთა და უსულოთა, ვინ და რა ჯგუფის და სხვ.) განხილვისას შეუნიშნავი არ დარჩენია ის ფაქტი, რომ დასახელებული ლექსიკური კატეგორიები ზოგ შემთხვევაში სცდებიან ოდენ შინაარსობრივი გამოხატვის ენობრივ სიბრტყეს და გრამატიკულ (მორფო-სინტაქსურ) ფორმებში რეალიზდებიან; სხვაგვარად აუხსნელი დარჩებოდა მეცნიერის ფრაზა იმის შესახებ, რომ ლექსიკურ ჯგუფებს „რამდენადმე გრამატიკული ნიშნებიც ახლავს“-ო (შანიძე 1980:37); თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ამის შესახებ მეტი არაფერია ნათქვამი და სემანტიკურ ჯგუფთა ფორმოზოგ-სემანტიკის გამოხატვის საშუალებებსა ან მათ კლასიფიკაციებზე მსჯელობას ფაქტობრივ არ ვხვდებით.

ახლა ორიოდე სიტყვა სინტაქსური შეკავშირების ერთ უმნიშვნელოვანეს სახეზე – შეთანხმებაზე, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით შეთანხმების საერთო წესებზე ქართულში. წინადადების წევრთა სინტაქსური მიმართებანი რომ პირდაპირ კავშირშია სიტყვის ფორმასა და მის სინტაქსურ ძალასთან (ამ საყრდენ პრინციპზეა აგებული არნ. ჩიქობავას კოორდინანტთა სისტემა), ეს უეჭველი ფაქტია. სწორედ დასახელებული, ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე თეზისი იქცა როგორც სხვა სინტაქსური ურთიერთობების, ისე რიცხვში შეთანხმების მთავარ, განმსაზღვრელ კლასიფიკატორად და ენობრივი წესრიგით შემოთავაზებული ვერსიების გრამატიკული აღწერაც მოხერხდა.

ლეო კვაჭაძე „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ შენიშნავს: „ზოგჯერ დაქვემდებარებული სიტყვა წამყვან სიტყვასთან შეწყობილია ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ ამას მორფოლოგიური გამოხატულება არ ახლავს. უფრო ხშირად სიტყვათა შეკავშირებას ქმნის ფორმიანი სიტყვები, რომელთაგან სინტაქსურად გაბატონებული სიტყვა დაქვემდებარებულს გარკვეული ფორმით შეიწყობს სათანადო შინაარსის გადმოსაცემად“ (კვა-

ჭაძე 1966:16-17). სახელისა და ზმნა-შემასმენლის შემთხვევაში მათანხმებლად წოდებული სახელი (ძირითადად ქვემდებარე) მასთან შეთანხმებულ შემასმენელს (კვაჭაძე 1966:17) თავისი გრამატიკული ფორმით, ზოგჯერ შინაარსით (ვგულისხმობთ უსულო ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმებას: „ქედები გადაჭიმულიყო“; და არა: „ქედები გადაჭიმულიყვნენ“) აიძულებს კონკრეტულ რიცხვში დგომას და ამ თვალსაზრისით ნაკლებად თმობს სინტაქსურ პოზიციებს. ეს მდგომარეობა საერთოა ქართული ენისათვის, ამიტომ, ერთი შეხედვით, გამონაკლისი არც ქვემდებარის ფუნქციის მქონე კრებითი სახელი არ უნდა იყოს. და მართლაც, ნორმატიულ ენაზე დაყრდნობით ავ. არაბული ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების ცალკეული პუნქტების განიხილვისას დამოუკიდებელ წესად გამოყოფს კრებითი სახელით გამოხატული ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებას. მეცნიერი წერს: „თუ სუბიექტი კრებითი სახელით არის გამოხატული, ანუ სუბიექტის სიმრავლე მხოლოდ შინაარსობრივია, ზმნა მხოლობითის ფორმით შეენყოფა: *დამფრთხალი ხალხი უმაღლეს მთაზე გასასვლელს*“ (არაბული 2008:164) – თანამედროვე ქართული ენის ეს კანონი საყოველთაოა და თითქოს სადავოც არაფერი რჩება, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, ყურადღებას შევაჩერებთ იმ დისონანსზე, რომელიც, ერთი მხრივ, 1-ლი და მე-2 პირისა, და, მეორე მხრივ, მე-3 პირის აღმნიშვნელ კრებით სახელებთან ან მათ ეკვივალენტურ პირის ნაცვალ-სახელებთან შეინიშნება.

ახლა უფრო დანვრილებით:

უპირველესად, დავიწყებთ იმით, რომ მე-3 პირში მდგომი კრებითი მნიშვნელობის ქვემდებარის ნაცვალსახელური შესატყვისი ყოველთვის, უგამონაკლისოდ მხოლობით რიცხვში დასმულ პირის ნაცვალსახელს შეიწყობს, მაგალითად, „ხალხი გარბოდა“ პირდაპირპროპორციულია შესიტყვებისა – „ის გარბოდა“; ან: „ფარა ფერდობს შეეფინა“ უდრის კონსტრუქციას – „ის ფერდობს შეეფინა“. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს გალაკტიონ ტაბიძის ენიდან:

„იყოს მრავალჟამიერი ჩვენი **ერი**“: გალაკ., VI, 253.

„ოცნებით მისით **ისახება** მრავალი **ერი**“: გალაკ., X, 400.

„წმინდა იდეალს **ანვდიდა** აფრად **დასი**“: გალაკ., VI, 336.

„ეს **იყო** თბილისიდან ქუთაისში ჩამოსული რომელიღაც **დასი**“; გალაკ., XII, 242.

საილუსტრაციო მაგალითები ცხადყოფს, რომ ენობრივი პოზიცია ერთგვაროვანია და შეთანხმების სინტაქსური შეკავშირება მთლიანად გამომდინარეობს კრებითი სახელების მხოლობითად გააზრების სემანტიკური მოდელირებიდან, რომელიც ამ მოვლენას გრამატიკულ ასახვას უპირდაპირებს; ეს მოვლენა კი, თავის მხრივ, ენის ორსავე გრამატიკულ დონეს მოიცავს – მორფოლოგიურსაც და სინტაქსურსაც.

პოლარულად განსხვავებული მდგომარეობა ფიქსირდება იმავე კრებით სახელებთან (ქვემდებარეებთან), როდესაც მათ 1-ლი და მე-2 პირის სტრუქტურაში გადმოვიყვანთ და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებას დავაკვირდებით. ჯერ პირის ნაცვალსახელთა ეკვივალენტებზე შევაჩეროთ ყურადღება და ვნახოთ, გაიმეორებენ თუ არა ისინი მე-3 პირისათვის არსებულ ენობრივ ნორმას. მარტივად ვიტყვი, რომ არა! მაგალითისთვის კი მოვიყვანთ შემდეგს: „ახალგაზრდობა გავრბოდი“ შესატყვისია გრამატიკული სტრუქტურისა – „**ჩვენ** გავრბოდი“ [1-ლი პირისათვის]; ასევე: „ახალგაზრდობა გარბოდი“ ნიშნავს ენობრივ მოდელს: „**თქვენ** გარბოდი“ [მე-2 პირისათვის]. ნათელია, რომ ქვემ-

დებარის პოზიცია კრებითი სახელის 1-ლი და მე-2 პირის შემთხვევაში არ იმეორებს მე-3 პირის სემანტიკურ და ფორმოზოგიკ გააზრებას და სხვაგვარად მოდელირდება. უფრო მეტიც, კრებითი ქვემდებარე რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით შერეულ სისტემასა და პიროვანი უღვლილების სრულიად განსხვავებულ სტრუქტურას მისდევს. ამგვარი მორფო-სინტაქსური მიდგომა ქართულ ენას არცერთი სხვა შინაარსობრივი ჯგუფის მიმართ არა აქვს და სხვაგან ასეთი ტენდენციის გაჩენაც კი წარმოუდგენელ ენობრივ შესაძლებლობად გვესახება – ეს ენობრივი ნონსენსია. ზემოთ ნათქვამს სქემატური სახით წარმოვადგენთ და შემდგომ ამ ფაქტის ჯერ დიაქრონიულ ანალიზს, ხოლო შემდგომ მეცნიერულ ახსნას შევეცდებით.

1-ლი პირი: ხალხი [ჩვენ] ვართ

მე-2 პირი: ხალხი [თქვენ] ხართ

მე-3 პირი: ხალხი [ის] არის → ხალხია

არ დაიშვება სტრუქტურა:

1-ლი პირი: ხალხი [მე] ვარ

მე-2 პირი: ხალხი [შენ] ხარ

დავძენთ იმასაც, რომ ქართულ ენაში საკუთრივ კრებითი სახელების სტატისტიკური მონაცემი არ სცდება ერთი ათეულის ფარგლებს (აქ არ იგულისხმება არაკრებითთა გამოყენება კრებითის ფუნქციით) და ამასთან, რიცხვის კატეგორიის გამოხატვის მხრივ ისინი რამდენადმე კონსერვატიული არიან; თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე, ნაკლებად იგუებენ რიცხვის მორფოლოგიურ გაფორმებას, თუმცა მათთან მრავლობითის ფორმები მაინც ფიქსირდება: ხალხ-ნ-ი [ხალხ-თა], ხალხ-ებ-ი; ან: ერ-ნ-ი [ერ-თა], ერ-ებ-ი და მისთანანი. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობთ, უფრო ნათელი ხდება, რომ რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიის ოპოზიციური ზღვარი 1-ლი და მე-2 პირების შემთხვევაში ფაქტობრივ წაშლილია, თუ არ ჩავთვლით თავად კრებითი სახელების მორფოლოგიურ მარკირებას. ჩვენ მიერ ნათქვამის სიცხადისათვის ახალ სქემას შემოგთავაზებთ:

მხოლოდითი მრავლობითი

1-ლი პირი: ერი [ჩვენ] ვართ ერ-ებ-ი [ჩვენ] ვართ

მე-2 პირი: ერი [თქვენ] ხართ ერ-ებ-ი [თქვენ] ხართ

მე-3 პირი: ერი [ის] არის → ერია ერ-ებ-ი [ისინი] არიან (და არა: ერებია)

მეცნიერულ ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული იმის გარკვევა, თუ რა ხდებოდა ამ თვალსაზრისით ძველ ქართულ ენაში. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ არცერთი მაგალითი 1-ლ და მე-2 პირებში დადასტურებული კრებითი სახელებისა არ დადასტურდა ათონელთა რედაქციების მიხედვით ივ. იმნაიშვილის მიერ შედგენილ „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში“ (იმნაიშვილი 1986) და ამ მიმართულებით საილუსტრაციო ნიმუშის მოძიება საკმაოდ გართულდა (რაც უპირველესად კრებითი სახელების უაღრესად მწირი რაოდენობით უნდა აიხსნას), თუმცა, ვფიქრობთ, რომ რეალური სურათის აღდგენა მაინც არ უნდა გაჭირდეს, თუკი გავითვალისწინებთ ძველი ქართული ენის (ზოგადად, ქართული ენის) სტრუქტურულ სპეციფიკას. მაგალითისათვის ლუკას სახარების ერთ კონტექსტს ავიღებთ (ლუკა, 9, 49) და ნაცვალსახელურ ეკვივალენტს კრებით სახელს მივუსადაგებთ:

1-ლი პირი: ჩუენ [*ერი] ვ-ა-ყენ-ებ-დ-ი-თ მას

მე-2 პირი: *თქუენ [ერი] ა-ყენ-ებ-დ-ი-თ მას

მე-3 პირი: *იგი [ერი] ა-ყენ-ებ-დ-ა მას

ძველ ქართულშიც მე-3 პირის კრებითი ქვემდებარით გამოხატული ფორმები რომ მხოლოდით რიცხვში შეთანხმებულ შემასმენელს მოითხოვს, ეს ენობრივი ფაქტია და ამ მიმართულებით არც საილუსტრაციო მასალაა მცირე:

ერმან მან შეჰრისხნა მათ: მათე, 20, 31.

ყოველმან **ერმან** ქვაჲ **დამკრიბოს** ჩუენ: ლუკა, 20, 6.

გულისწმა-ყო ყოველმან **ერმან** ჰურიათამან: იოვ., 12, 9.

და სხვანი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ზოგ შემთხვევაში რიცხვში შეთანხმების, ერთი შეხედვით, სტანდარტული მოდელი – კრებითი ქვემდებარე [მხ.რ.] + შემასმენელი [მხ.რ.] – დარღვეულია და შერწყმულ წინადადებაში თუკი ერთი შემასმენელი მხოლოდითია, მეორე მრავლობით რიცხვში დგას; მეტიც, შემასმენლთან აზრობრივ-სტრუქტურულად შეწყობილი ნაცვალსახელებიც მრავლობითი რიცხვით კონსტრუირდება:

და **მიუგო** ყოველმან **ერმან** და **რქუეს**: სისხლი მაგისი **ჩუენ ზედა** და შვილთა **ჩუენთა ზედა**: მათე, 27, 25.

ან:

და მეყსეულად აღიხილნა [**ზრმამან თვალნი**] და მისდევდა მას და ადიდებდა ღმერთსა. და ყოველმან **ერმან იხილეს** და აქებდეს ღმერთსა: ლუკა, 18, 43.

„ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონის“ მასალის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ კრებით ქვემდებარებთან შეწყობილი შემასმენლები არსებითად მხოლოდით რიცხვშია დასმული, თუმცა იშვიათ შემთხვევებში ისინი მრავლობითით გადმოიცემა. რა ენობრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე? ძნელია, ძველი ქართული ენის ეს ვითარება ნათარგმნ ძეგლებში მხოლოდ ბერძნული ენის გავლენას მივანეროთ და ამით დაკვამყოფილდეთ, როცა 1-ლი და მე-2 პირების მდგომარეობა, ჩვენი აზრით, უძველესი ენის სხვა სტრუქტურულ ფენაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მეხუთესაუკუნემდელი წერილობითი ტექსტების არარსებობა სამწერლობო (და არამხოლოდ სამწერლობო) ენაზე დაკვირვებას გამორიცხავს, თუმცა მეცნიერულ ლოგიკას იქით მივყავართ, რომ ქართული ენის ადრეულ სტრუქტურად კრებითი ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება სამსავე პირში ვივარაუდოთ. ძველ ქართულში რიცხვში შეთანხმების ეს მოდელი უკვე დეფექტურად გამოიყურება, მე-3 პირში დასმული კრებითი სუბიექტი (და მისი გამოყენება მნიშვნელოვნად აღემატება 1-ლი და მე-2 პირისას) ძირითადად მხოლოდითი დასმულ შემასმენელს შეინყობს, თუმცა ფრაგმენტულად, ნაშთის სახით ინახავს მრავლობითში შეთანხმებულ შემასმენელსაც. ეს უკანასკნელი ქართული ენის უძველეს ვითარებასა და მისი შინაარსობრივი თუ გრამატიკული ევოლუციის მიმართულებას უნდა ასახავდეს.

კრებით სახელთა და შემასმენელთა რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მე-3 პირში დასმული ქვემდებარისა და რიცხვში ფუძემონაცვლე შემასმენლების ურთიერთობაც. ენობრივი ფაქტია ისიც, რომ მრავლობითად გააზრებული „ფოთოლი“ შემასმენლად შეინყობს „ცვივა'ს“ და არა – „ვარდება'ს“ („ფოთოლი ცვივა“); ან სხვა შემთხვევაში: „იარალი ბრძოლის ველზე **ყყარა**“ და არა - „ეგდო“, თუკი „იარალი“ კრებითის მნიშვნელობითაა გამოყენებული. ქართული ენის ამგვარი მიდგომა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად ადრეული მოჩანს; სავარაუდოდ, ნინ უსწრებს გრამატიკული გაფორმების ეტაპს და თავისი არსით ლექსიკურ დონეს განეკუთვნება.

ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას კიდევ ერთი გარემოება ამყარებს. არამ მარტიროსოვი ნაცვალსახელთა შესახებ შენიშნავს: „ენათმეცნიერებაში არსებობს თეორია, რომლის მიხედვითაც ნაცვალსახელი ენაში ყველაზე პირველი წარმონაქმნია“ და ამ თეორიის გასამყარებლად იქვე დასძენს: „პირველი პირის ნაცვალსახელს თვლიდნენ ადამიანის თვითშეცნობის გამოხატულებად და სახელთა კატეგორიის წარმოქმნას უშუალოდ უკავშირებდნენ ამ ნაცვალსახელს“ (მარტიროსოვი 1964: 29). 1-ლი და მე-2 პირის ნაცვალსახელთა ჩამოყალიბება რომ უსწრებს მე-3 პირისას, ეს საყოველთაოდ გაზიარებული სამეცნიერო აზრია და მეტ-ნაკლებად უნივერსალურ მოვლენადაა მიჩნეული, რადგან ამაზე ინდოევროპულ ენათა მასალაც მიუთითებს (მარტიროსოვი 1966: 104). მაშასადამე, გამოდის, რომ 1-ლი და მე-2 პირის მონაცემები შეთანხმების სინტაქსური შეკავშირების თვალსაზრისითაც საყრდენ სტრუქტურებს ქმნის, რასაც ვერ ვიტყვით მესამე პირის შესატყვისი კრებითი ქვემდებარე-სუბიექტისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის კუთხით. ლოგიკის ამ დედუქციურ ხაზს, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი სიცხადე შეაქვს დიაქრონიულ ანალიზში და კრებითი ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების მხრივ ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპს გამოყოფს. კერძოდ: I - უძველესს, როცა სამსავე პირში რიცხვში შეთანხმება უნდა ყოფილიყო; II - ძველი ქართულისას, როცა მე-3 პირის მდგომარეობა უძველეს ვითარებას ნაშთის სახით ინახავს, შერეულ სისტემას გვთავაზობს და შეთანხმების პრინციპს ცვლის, სემანტიკური, ანუ ლექსიკური, მოდელიდან გრამატიკულ მოდელზე გადადის; და III - ახალი ქართული ენის ეტაპი, როცა მე-3 პირში მდგარი კრებითი ქვემდებარე არსებითად გამორიცხავს შემასმენელთან რიცხვში შეთანხმებას.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული და ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპები მე-3 პირის სინტაქსური სტრუქტურების მიხედვითაა დალაგებული, რადგან 1-ლი და მე-2 პირის მდგომარეობა რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით უაღრესად მყარია და უცვლელი. სავარაუდოდ, ეს მოვლენა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სათავეს უძველეს ენაში იღებს.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ კრებითი ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების სინტაქსური ურთიერთობა, როგორც წინადადების მთავარ წევრთა შეკავშირების სახე, არსებითად განსხვავდება სხვა სულიერი თუ უსულო ქვემდებარეებისა და შემასმენლის შეკავშირების საერთო წესებისაგან. იმ ენობრივ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ნაცვალსახელი ყოველთვის პირდაპირ მიემართება მასთან შესატყვისობაში მყოფ (წინადადების წევრის ფუნქციის მქონე) სახელურ ერთეულს, კრებითი ქვემდებარეების 1-ლი და მე-2 პირებისათვის სრულიად განსხვავებულ სტრუქტურას გამოავლენს და საშუალებას გვაძლევს ეს მოვლენა კერძო შემთხვევად აღვიქვათ. ვფიქრობთ, რომ ნაშრომში განხილული გრამატიკული თავისებურება ერთი კონკრეტული ლექსიკური ჯგუფის მახასიათებელია და კრებით სახელთა სემანტიკური თავისებურებითაა შეპირობებული.

ლიტერატურა:

არაბული 2008 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, „უნივერსალი“, თბილისი, 2008;

იმნაიშვილი 1986: ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1986;

კვაჭაძე 1966 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966;
მარტიროსოვი 1966 – არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 1966,
სანიკიძე 1991 – თ. სანიკიძე, გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი, ხუთტომეული, ტ.2, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1991.
შანიძე 1980 – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 3, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980.

წყარო:

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, [ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა], თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1979.

მედეა სალლიანი

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ანმყოს ფუძის წარმოება სვანურში სხვადასხვა ფონოსემანტიკური ჯგუფის მიხედვით

თანამედროვე სვანურში ანმყოს მანარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებად გამოყოფილია **-ჟ**, **-ი**, **-ა** და **-Ø** სუფიქსები, რომელთა წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ ქართველ ენათმეცნიერთა მიერ (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ალ. ონიანი, გ. მაჭავარიანი, ნ. ნათაძე, მ. სუხიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნოზაძე, რ. ჭკადუა...) არაერთი საყურადღებო თვალსაზრისია გამოთქმული.

აღნიშნული სუფიქსების გამოყოფა დაკავშირებულია ვ. თოფურიას სახელთან, რომელმაც მათ „თემისეული ბოლოსართები“ უწოდა (თოფურია 1967:71). მან ანმყოს მწკრივის ძირითად ნიშნად მიიჩნია **-ი**, ხოლო **-ჟ** ← **ა** + **ი** სუფიქსის კონტრაქციით მიღებულად (მაგ. *აკრ-ჟ* ← **აკრა* + **-ი** „აღებს“; *გგემ* ← **გგამ* + **-ი** „დგამს“ – თოფურია 2002:181).

ვ. თოფურიას ეს მოსაზრება გაიზიარა შემდგომ არნ. ჩიქობავამ თავის ნაშრომში – „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ და იქვე დასძინა, რომ „**-ჟ** და **-ი** სუფიქსები სხვადასხვა წარმომავლობისა და რომ აღმოჩნდეს, **-ი** სუფიქსის ხვედრი ნონა სვანური ზმნის ანმყოს წარმოებისას გაცილებით დიდია ქართული ანალოგიური სუფიქსის ხვედრ ნონასთან (*მკ-ი-ს*, *ჰსნ-ი-ს*) შედარებით. სწორედ ამ **-ი** სუფიქსიან ზმნებში უნდა იყოს დაცული, მისი აზრით, სვანური ხოლმეობითი ისევე, როგორც ქართულ *მკ-ი-ს-ში* გვაქვს გაანმყოფებული ხოლმეობითი“ (ჩიქობავა 1948:102-103).

მოგვიანებით მოქმედებითი გვარის ზმნათა მოდელეებში (**ა** – **-ი/ჟ**) არსებული სუფიქსების შესახებ მსჯელობა წარმოადგინა გ. მაჭავარიანმა და, ვ. თოფურიას მსგავსად, მანაც ეს სუფიქსები თემის ნიშნებად მიიჩნია. იგი ანმყოს ფუძის მანარმოებელ **-ჟ** სუფიქსს ქართულის **-ებ** თემის ნიშანს უკავშირებს, ხოლო **-ი-ს** ქართულის **-ი-ს** (მაჭავარიანი 1988:103).

ანმცოს ფუძის მანარმოებელ სუფიქსებს ქართველურ ენებში *თემატურ სუფიქსებად* მიიჩნევადა ნ. ნათაძეც (1959:139-140), თუმცა ანმცოს ფუძის მანარმოებლად გამოყოფილი: *-ემ, -ალ, -ელ, -ერ, -ეშგ, -ესგ, -ისგ* (ბზ. *-ესგი*) ელემენტები და ასევე *-ინ, -ენ* და *-უნ* სუფიქსები, მისი აზრით, თემის ნიშნები არ არის სვანურში.¹

პრეფიქსებთან ერთად სახელის „გასაზმნავებელ“ საშუალებად თვლის *-ი, -ე* სუფიქსებს ზ. ჭუმბურიძეც (ჭუმბურიძე 1981:154), ხოლო ზმნური სიტყვანარმოების ერთ-ერთ გზად ოდენ სუფიქსურ ნარმოებას მიიჩნევს ბ. ჯორბენაძე და თემის ნიშანთა განაწილებას გარკვეულ კანონზომიერებას უძებნის, რაც ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს წმინდა ფორმობრივი, სხვა შემთხვევაში კი – სემანტიკურიც. იქ, სადაც ეს კანონზომიერება არ ჩანს, ვარაუდობს მის ადრინდელ არსებობას (ჯორბენაძე 1988:175-186).

ალ. ონიანი *-ე* და *-ი* სუფიქსებს ანმცოს მწკრივის მანარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებს უწოდებს და საჭიროდ მიიჩნევს, მათთვის ცალ-ცალკე სახელწოდებათა შემუშავებას, კერძოდ, *-ე ალომორფიანი, -ი ალომორფიანი, -ა ალომორფიანი* და *ნულოვანალომორფიანი ზმნები* (ონიანი 1998:153; 157); ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად კი მიაჩნია ამ ალომორფთა განაწილების წესების დადგენა (ონიანი 1988:155), თუმცა ფონოსემანტიკურ მასალაზე, ჩვენი დაკვირვებით, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი ალომორფთა განაწილების წესები, მათი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ნაკლებად ვრცელდება.

ცხადია, ანმცოს ფუძის სანარმოებლად *ოდენ სუფიქსური ნარმოების* გარდა სვანურში *პრეფიქს-სუფიქსური ნარმოებაც* დასტურდება, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული, მაშინ, როცა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, *პრეფიქსაცია ქართული ენის მორფოლოგიის ერთ-ერთი უძველესი დამახასიათებელი პრინციპია* (არნ. ჩიქობავა). ამ მხრივ გამონაკლისს არ უნდა ქმნიდეს სვანური და განსაკუთრებით ისეთი სიძველის ზმნები, როგორცაა ე. წ. მედიოაქტივები, უძველეს ქართულში პრეფიქსული ნარმოება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სწორედ ამ ტიპის ზმნებისთვისაც (ნოზაძე 2008:85). იქ, სადაც არ გვაქვს პრეფიქსი, მეორეულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. პრეფიქსულ ხმოვანთა განსაკუთრებული სიხშირე კი, ლ. ნოზაძის აზრით, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ „ქართულ-კოლხურისაგან განსხვავებით ისტორიულად სვანურში არ ჩამოყალიბებულა თემატურ სუფიქსთა ერთიანი სისტემა“ (იქვე:117).

ჩვენ ლ. ნოზაძის ამ თვალსაზრისს ვიზიარებთ და მიგვაჩნია, რომ სვანურში ზემოთ აღნიშნულ სუფიქსთა თემატურ ნიშნებად მიჩნევა საკამათოა. ისინი დღევანდელი ვითარების მიხედვით ანმცოს ფუძის მანარმოებელი ელემენტებია და არა თემატური ნიშნები.² ვფიქრობთ, სვანურმა სწორედ თავდაპირველი ვითარება შეინარჩუნა (ანუ ვერ მოასწრო *თემატურ სუფიქსთა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება* – ხაზი ჩვენია! მ. ს.). არც ის არის გამორიცხული, რომ სვანურმა დროთა განმავლობაში შეძლოს თემის ნიშნების დართვა ნასესხები, ე. წ. ფონოსემანტიკური მასალის ზეგავლენით (შდრ., მაგ.: *ყიყინ-ე* (ქს.), *ყიყინ-ე* (ლნტ.) < ქართ. „ყიყინებს“; *კიკინ-ე* (ქს.), *კიკინ-ე* (ლნტ.) < ქართ. „კიკინებს“; *კრი-*

1 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა იხ. ქვემოთ!

2 აღნიშნულ ფუძეთა დიაქრონიული ანალიზის გარეშე შეუძლებელია გადაჭრით იმი-სი თქმა, რომ ეს სუფიქსები თემატური ნიშნებია.

ახ-ე (ქს.) < ქართ. „კრიახ-ებს/კრიახოვს“ და მრავ. სხვ.). ეს ტენდენცია დამახასიათებელია, ძირითადად, ქვემო სვანური დიალექტებისათვის და ამ მოვლენას ვერ ვუწოდებთ არქაულ მოვლენას. აქ წარმოდგენილი მასალის ერთ ნაწილში **-ე** ხმოვნის ქართული **-ებ** სუფიქსისაგან მომდინარეობა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა საკუთრივ სვანურ მასალაში, დღევანდელი მონაცემების მიხედვით, ჭირს ანმცოსეული ბოლოსართების თემატურ ნიშნებად მიჩნევა.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ ანმცოს ფუძის (კერძოდ, **ოდენხმოვან-სუფიქსიანი** და **პრეფიქს-სუფიქსიანი ზმნების**) წარმოება სხვადასხვა ფონოსემანტიკური (ხმიანობის, **ხმაურის, სვლა/სიარულის, სმის, ჭამის, ცემის, ყურების, ბუნების მოვლენების...**) ჯგუფების მიხედვით და გზადაგზა წარმოვადგინოთ ჩვენეული ინტერპრეტაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ოდენხმოვანსუფიქსიანი ზმნები ანმცოში, ფორმის თვალსაზრისით, რამდენიმე სტრუქტურულ მოდელს ქმნიან სვანურში:

1. ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ანმცოს მანარმოებელი -ე სუფიქსი

ბეკრ-ე (ზს., ლნტ.) „ბლუკუნებს“; **ყოჰ-ე** (ბქ.) „კრიახოვს“; **შტნეფ-ე** (ჩოლ.) „ქმნის“; **ჯენჩ-ე** (ბქ.) „მიზეზობს“; **ყარყმ-ე** (ბზ.) „ჩხუბობს“; **ღჯე-ე** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ტლიკინებს“; **ქეშლ-ე** (ჩოლ.) „ქოშინებს“; **ხოშენთქ-ე** (ბქ., ლნტ.) „სცემს გამეტებით“; **ქანქრუშ-ე** (ჩოლ.) „კუნტრუშებს“; **კვრ-ე** (ბზ.) „კრიალებს“; **ყუედლ-ე** (ბქ.) „ბურტყუნებს“; **თართხულ-ე** (ზს.) „თოვს დიდი და წვიმანარევი ფანტელებით“...

2. ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ანმცოს მანარმოებელი -ი სუფიქსი

ფგრჩლაჷ-ი (ბზ., ლნტ.), **ფორჩლაჷ-ი** (ბქ., ლშხ.) „ჩურჩულებს“; **ჭერქნ-ი** (ზს.) „ჭიხვინებს“; **ჰყელ-ი** (ბზ.) „კიკინებს“; **ჯერჩნ-ი** (ლნტ.) „ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობს“; **შოქმოქ-ი** (ლზმ.) „ბევრს ლაპარაკობს“; **თერტნ-ი** (ზს.) „ფრუტუნებს“; **ბანტყულ-ი** (ქს.) „ბურტყუნებს“; **ბერყლაჷ-ი** (ბზ.) „როყოფ ლაპარაკობს“; **ბერზეკ-ი** (ბქ.) „ბუზღუნებს, ჩხუბობს“; **სერტნ-ი** (ზს.) „ყვირის, გაჰკვივის“; **შანგულ-ი** (ლნტ.) „დუდღუნებს“; **დარდალ-ი** (ჩოლ.) „ბლავის“; **ჩხერტეშტ-ი** (ბქ.) „ჭიკჭიკებს“...²

3. ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ანმცოს მანარმოებელი -ა სუფიქსი

ხარ-ა (ზს., ქს.) „ეცინება“; **ხაციცაჷ-ა** (ჩოლ.) „მიშტერებუღია“; **ხაბრწყუ-ა** (ლშხ.) „ზის დიდი ადამიანი უსაქმურად“; **ხაბრჩნ-ა** (ჩოლ.) „დიდი აღნაგობის ქალი გაჩაჩხული ზის“; **ხათხარმ-ა** (ბქ.), **ხათხარმ-ა** (ლშხ., ჩოლ.) „ალაგ-ალაგ დევს (მაგ. თოვლი...)“; **ხაკერფხან-ა** (ბქ.) „მაგრად აქვს შემოკრული“; **ხამრთხ-ა** (ლშხ., ჩოლ.) „მიყრილ-მოყრილია (მაგ. თივა და მისთ.)“; **ხატუს-ა** (ბზ.) „ოდნავ ბჟუტავს; აბადია“; **ხაკუნკუ-ა** (ლნტ.) „ჩაცუცქულია; ჩაკუზულია“...

1 შდრ. ლზმ. **ყედულა** „გრძლად გალობა (ფრინველთა), სტვენა, გრძლად თქმა, გაბმით მღერა“.

2 სვანურში მედიოაქტივ ზმნათა ეს წყება ანმცოს ჯგუფში **ი-** პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი.

4. მეოთხე მოდელად გამოიყოფა **ნულსუფიქსიანი წარმოება (ი-პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ფუძეს შეხორცებული -წლ/-წლ/-წლ/-ალ/-იწლ/-იელ... ელემენტები)**

ი-ცინგლაჟალ (ბქ.) „დადის, დაეხეტება ფეხის წვერებით“; **ი-ბლნჟანწლ** (ბზ.) „დაბნეული იყურება“; **ი-ბლიჟიელ** (ლშხ.) „დაბნეული იყურება“; **ი-ყჟირანაწლ** (ბქ.) „უაზროდ, უდარდელად იყურება“; **ი-ტყინგოლწლ** (ლნტ.) „მსუქანი ქალი დიდის“; **ი-ტყლიგწლ/ი-ტყლიგანწლ** (ბზ.) „ი-ტყიგანალ“ (ბქ.) „ტიტველი დადის“; **ი-შგნჟანწლ** (ბზ.) „იბღვირება“; **ი-სჟიტიგანალ** (ბქ.) „იბღვირება, იბუტება“; **ი-ლწგრინწლ** (ჩოლ.) „ფუქსავატობს“...¹

5. მეხუთე მოდელად შესაძლოა გამოიყოს **მარტივი ფუძე ყოველგვარი აფიქსური გაფორმების გარეშე, რომელთა რაოდენობა სვანურში დიალექტ-კილოკავთა მიხედვით საგრძნობლად დიდია:**

კჟიეც (ზს., ქს.) „კვენესის“; **ზეწ** (ბქ.) „იჭინთება“; **ჯჟეშ** (ბქ.) „ახველებს“; **ჯეჩ** (ჩოლ.) „ახველებს“; **თხლეკ** (ბზ.) „სლოკინებს ტირილის მერე“; **ბრეხ** (ბქ.) „ხმამაღლა ახველებს“; **ჰეჟ** (ბქ.) „ყეფს“; **ბიყჟ** (ზს., ლნტ.) „დგას უშნოდ, ჩანს“; **ჩრით** (ზს., ლნტ.) „უშნოდ ზის“; **ფრიგ** (ზს.) „დგას ერთ ადგილას გაშეშებული“; **ყუყ** (ზს.) „ზის, აგდია“ და მრავ. სხვ., რომელთაც პარალელურად პრეფიქს-სუფიქსური და ოდენ პრეფიქსური ანმცოს ფორმებიც ეწარმოებათ (მაგ.: **კჟიეც** – **ი-კჟცალ** „კვენესის“; **ზეწ** – **ი-ზეწალ** „იჭინთება“; **ჯჟეშ** – **ი-ჯჟეშალ** „ახველებს“ (შდრ., ასევე, **ხ-ა-ჯჟეშუნ-ე** „ახველებს“); **შდეკჟ** – **ი-შდეკჟალ** „სლოკინებს“ (შდრ., ასევე, **ხ-ა-შდეკჟუნ-ე** „ასლოკინებს“); **ჰეჟ** – **ი-ჰეჟ** „ყეფს“; **ყჟიბ** – **ი-ყჟიბანალ** „დგას“ და ა. შ.).

მარტივი, გაუფორმებელი, ე. წ. შიშველი ფუძეები ერთჯერად (*წყვეტილ*) მოქმედებაზე მიუთითებენ, *პრეფიქს-სუფიქსური* და *ოდენ პრეფიქსური* ანმცოს ფორმები კი *მრავალჯერად* (| *მრავალგ ზის, უწყვეტ*) მოქმედებაზე.

ხ-ა-ჯჟეშუნ-ე (ეჯას „მას“) – **ი-ჯჟეშალ** (ეჯი „ის“); **ხ-ა-ქშალტუნ-ე** (ეჯას „მას“) – **ი-ქშელ** (ეჯი „ის“)... ოპოზიციური წყვილების შესახებ მსჯელობა არის წარმოდგენილი რ. ჭკადუას ნაშრომში „ი-პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობისათვის სვანური ენის ზმნებში“ (2015:161). მისი აზრით, ქართულის **ა-** პრეფიქსიანი (ყალიბის მიხედვით მოქმედებითი გვარის), ერთვალენტისანი (*ა-ხველებს, ა-ბოყინებს*) ზმნების სვანური შესატყვისების ორ-გვარი წარმოება საინტერესო ფაქტს წარმოადგენს და დასძენს, რომ „სვანურის ფორმით კაუზატიურ (**ხ-ა-ჯჟეშუნ-ე** (მას)) ტიპის ლექსემებში, სემანტიკური ირიბი ობიექტი, მდგომარეობის განმცდელ სუბიექტად არის გაგებული, ისევე როგორც ქართულში – „ახველებს (მას)“, ხოლო **ი-ჯჟეშელ** (ეჯა) – „იხველება (ის)“ ტიპის ზმნები შედარებული აქვს ძვ. ქართულის *ი-ჯჟელის, ი-ჯჟელელების* ტიპის ზმნებთან (იქვე:261).

1 ანმცოში გამოყენებული **ი-** პრეფიქსიანი ყალიბის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს (იხ.: ზ. ჭუმბურიძე, ნასახელარი ზმნები სვანურში, ა. შანიძისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1981; კ. გაგუა, საშუალო გვარის ზმნათა ერთი სახეობისათვის სვანურში, იკე, XXVII, თბ., 1988; ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 2008; რ. ჭკადუა, **ი-** პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობისათვის სვანური ენის ზმნებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბ., 2015). მიჩნეულია, რომ **ი-** პრეფიქსი ანმცოს ფორმებში, ძველი ქართულის მსგავსად, დამახასიათებელია მედიოაქტიური ზმნებისათვის სვანურში (ნოზაძე 2008:94), თუმცა **ილწწლ, ირეჭწლ, იყწრდწლ** და ა. შ. ტიპის ზმნებში გვაქვს სუბიექტის მიზანმიუმათავი მოქმედება, რამაც გამოხატულება ჰპოვა ხმოვანპრეფიქსში (ჭკადუა 2015:261).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. მაჭავარიანი ანმყოს ფუძის მანარმოებელ -ე სუფიქსს ქართულ -ებ- სუფიქსს უკავშირებს, ხოლო -ი-ს ქართულის -ი-სუფიქსს (შდრ. ქართ. მკ-ი-ს, ხსნ-ი-ს, ჭრ-ი-ს, ყრ-ი-ს და ა. შ. – მაჭავარიანი 1988:103). -ე სუფიქსის ქართული -ებ- სუფიქსისაგან მომდინარეობა, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებული არ არის, რასაც შედარებით ახალი ნასესხები ფორმებიც (მაგ.: აკრ-ე < *აკარ-ე < *აკარ-ებ-ს „კარებს ალებს“; ზერზნ-ე < *ზურზნ-ე < *ზურზუნ-ე < *ზუზუნ-ე < ზუზუნ-ებ-ს; ყიყნ-ე – ყიყინ-ებ-ს; დუდ-ლუნ-ე – დუდლუნ-ებ-ს და სხვ.) ადასტურებენ. რაც შეეხება სვანური -ი სუფიქსის ქართული -ი სუფიქსისაგან მომდინარეობას, ეს საკითხი საკამათოა. ჩვენი აზრით, -ი სუფიქსიანი ფორმების ერთი ნაწილი მომდინარეობს ქართული შესაბამისი -ი სუფიქსიანი ფორმებისაგან: კელ-ი/კილ-ი ← ქართ. კივ-ი-ს; ზელ-ი/ზელ-ი < ქართ. ზმუ-ი-ს; სელი/სელი < ქართ. სივ-ი-ს; ჟღელ-ი/ჟღელ-ი < ქართ. ზღავის, ჟღავის“ და ა. შ., რაც შეეხება დანარჩენ -ი სუფიქსიან ანმყოს ფორმებს, იქ -ი სუფიქსის წარმომავლობა გასარკვევია, რისთვისაც აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, შესაბამის ფუძეთა სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზი.

ცხადია, ოდენსუფიქსური წარმოების პარალელურად სვანურში ანმყოს ფუძის საწარმოებლად დასტურდება პრეფიქს-სუფიქსური წარმოების რამდენიმე მოდელიც. ესენია:

1. ა- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ანმყოს მანარმოებელი -ე სუფიქსი

ა-ფხკვნ-ე (შდრ. ფხაკუნ-ე) „ფხაკუნობს“; ა-კუთხ-ე (შდრ. კუთხ-ე) „წვეთავს; ყრის“; ა-პალტ-ე (შდრ. პალტ-ე) „ქოთქოთებს“; ა-შუნშხუ-ე (შდრ. შუნშხუ-ე) „სრუტუნებს“; ა-ნაკ-ტ-ე (შდრ. ნაკტ-ე) „კაპასობს“; ა-შდუ-ე (შდრ. შდუ-ე) „წვიმს“; ა-ნექჟ-ე/ა-ნექჟ-ე (შდრ. ნექჟ-ე/ნექჟ-ე) „წვეთავს“; ა-ნფხზარ-ე/ა-ნიფხზარ-ე (შდრ. ნფხზარ-ე/ნიფხზარ-ე) „ჟინჟლაავს“; ა-ხგრს-ე (შდრ. ხგრს-ე) „ძლივს სუნთქავს გაციებისაგან“...

ოპოზიციური წყვილის პირველი წევრი ანუ პრეფიქს-სუფიქსური წარმოების (ა-კუშურ-ე/ა-კუშურ-ე, ა-ნფხზარ-ე/ა-ნიფხზარ-ე, ა-ნექჟ-ე/ა-ნექჟ-ე და ა. შ.) ზმნები საანალიზო ლექსემებში მრავალჯერად (| მრავალჯ ზის, უწყვეტ) მოქმედებაზე მიუთითებენ, ოდენსუფ-იქსური კი – ერთჯერად (წყვეტილ) მოქმედებაზე.

კასბ-ე, ნაკტ-ე, ხგრს-ე, ნფხზარ-ე/ნიფხზარ-ე, ნექჟ-ე/ნექჟ-ე... ტიპის ზმნები საშუალო გვარის (აბსოლიტურ-გარდაუვალი) ზმნებია. რაც შეეხება ა-კასბ-ე, ა-ნაკტ-ე, ა-ხგრს-ე, ა-ნფხზარ-ე/ა-ნიფხზარ-ე, ა-ნექჟ-ე/ა-ნექჟ-ე... ზმნებს, ისინიც ფორმით ერთპირიან ზმნებად აღიქმება, თუმცა შინაარსით თითქოს ორპირიანობის გაგებას შეიცავენ. თუ მათ ორპირიანობას დავუშვებთ, მაშინ აღნიშნული ზმნები არა საშუალო გვარის ერთპირიან ზმნებად უნდა მივიჩნიოთ, არამედ საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნებად (!). ცხადია, ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონსტრუქციას, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს.

იგივე შეიძლება ითქვას ქვემოთ წარმოდგენილ ოპოზიციურ წყვილებზეც.

2. ა- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ანმყოს მანარმოებელი -ი სუფიქსი

ა-მგრტყენ-ი (შდრ. მგრტყენ-ი) „ხმაურით ჭამს“; ა-ფხგრკენ-ი (შდრ. ფხგრკენ-ი) „ფხაკურობს“; ა-ჩგრჩინ-ი (შდრ. ჩგრჩინ-ი) „ჩრიფინებს“; ა-ფგრჩხენ-ი (შდრ. ფგრჩხენ-ი) „შრაშუნებს“; ა-პინსლჷ-ი (შდრ. პინსლჷ-ი) „თოვს (წვრილად)“; ა-ფინთლჷ-ი (შდრ. ფენტ-ლჷ-ი) „თოვს (ხვავრიელად)“; ა-ბურყყენ-ი (შდრ. ბურყყენ-ი) „ბუტბუტებს“...

თუმცა პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ფორმათა უმრავლესობას, ჩვენი დაკვირვებით, ოდენ სუფიქსიანი ანმეოს ფორმები არ მოეპოვებათ:

ა-რლუნ-ე (შდრ. ლი-რლუნ-ე „წვლრევა“ და არა *რლუნ-ე) „ანჯლრევს“; ა-რკუნ-ე (შდრ. ლი-რკუნ-ე „კანკალი“ და არა *რკუნ-ე) „კანკალებს“; ა-ფრინშკჷ-ე (შდრ. ლი-ფრინშკჷ-ე „ფრთხილად შეწვლრევა, გაღვიძება“ და არა *ფრინშკჷ-ე) „მძინარეს ფრთხილად ანძრევს, რომ გააღვიძოს“; ა-ყრანჭუნ-ე (შდრ. ლი-ყრანჭუნ-ე „მაღალი, გრძელკისერა ადამიანის ლაპარაკი“ და არა *ყრანჭუნ-ე) „მაღალი, გრძელკისერა ადამიანი ლაპარაკობს“; ა-ღერმან-ი (შდრ. ლი-ღერმან-ი „ცრემლებს ღვარღვარი“ და არა *ღერმან-ი) „ცრემლებს აღვარღვარებს“ და სხვ.

მათი ეკვივალენტი ზმნები თანამედროვე ქართულში, როგორც უკვე ვნახეთ, უმეტესად უპრეფიქსო ფორმებს წარმოგვიდგენენ.

ანმეოს ფუძის სანარმოებლად, შესაძლოა, დადასტურდეს შემდეგი ტიპის მოდელებიც:

3. ი- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ანმეოს მანარმოებელი -ე სუფიქსი

ი-ყუბ-ე¹ (შდრ. ლი-ყუბ-ე „დიდი ლუკმებით ჭამა, ტენვა“) „იტენის, ჭამს დიდი ლუკმებით“; ი-ქუნც-ე/ი-ქუნც-ე (შდრ. ლი-ქუნც-ე/ლი-ქუნც-ე „მოხიკვა, შეგროვება“) „ხიკავს, აგროვებს“; ი-ღენჯურ-ე/ი-ღენჯურ-ე (შდრ. ლი-ღენჯურ-ე/ლი-ღენჯურ-ე „ხრვა ძვლისა“...) „იხრავს ძვალს...“; ი-ძენძურ-ე (შდრ. ლი-ძენძურ-ე „მოგლეჯვა, მოხევა“) „იგლეჯს, იხლეჩს, იხევს“; ი-ყრანჭუნ-ე (შდრ. ლი-ყრანჭუნ-ე „ყლურნვა“) „ყლურნავს“ და სხვ.

4. ი- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ანმეოს მანარმოებელი -ი სუფიქსი

ი-პპენ-ი (შდრ. ლი-პპენ-ი „გაბრაზება, მეტისმეტი სიბრაზისაგან გასიება“) „ბრაზდება, მეტისმეტი სიბრაზისაგან სივდება“; ი-შლენ-ი (შდრ. ლი-შლენ-ე „ზედმეტი ჭამა-სმისაგან გასკდომა, გაძლომა“) „ზედმეტი ჭამა-სმისაგან სკდება, ძლება“; ი-ქშპენ-ი (შდრ. ლი-ქშპენ-ე „გაფერმკრთალება“) „ფერმკრთალებს“; ი-ფჯგენ-ი (შდრ. ლი-ფჯგენ-ე „გაშეშება“) „შეშდება“; ი-ყგენ-ი (შდრ. ლი-ყგენ-ე „გაყინვა“) „იყინება“ და ა. შ.

5. ა-/ა- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ანმეოს მანარმოებელი -ე სუფიქსი

ა-მიჭტან-ე (შდრ. ლი-მიჭტან-ე/ლი-მიჭტან-ალ „უკმაყოფილოდ, ტუჩების მოპრუნვით ყურება“) „უკმაყოფილოდ, ტუჩების მოპრუნვით იყურება“; ა-გლიდან-ე (შდრ. ლი-გლდენ-ე/ლიგლიდ-ან-ალ „უშნოდ აღმართული ადამიანის ყურება; სიარული“) „უშნოდ აღმართული ადამიანი იყურება,

1 ამ მოდელში წარმოდგენილი ზმნები ორპირიანი მედიოაქტიური ზმნებია.

დადის“; **ა-ბიყუან-ე** (შდრ. **ლი-გვლდენ-ე/ლი-ბიყუან-ალ** „გაბუტული დგომა“) „გაბუტულად დგას“; **ა-შჷირან-ე** (შდრ. **ლი-შჷირან-ე/ლი-შჷირან-ალ** „ბლვერა უშნო, ელამი თვალეებით“) „იბლვირება უშნო, ელამი თვალეებით“ და მისთ.

ჩოლურულში აღნიშნული მოდელით ინარმოება ლაპარკის აღმნიშვნელი ზმნებიც. მაგ.:

ა-ბლანყუნ-ე (შდრ. **ლი-ბლანყუნ-ე** „მსუქანი ადამიანის ნელი საუბარი“) „მსუქანი ადამიანი ნელა, ხმადაბლა საუბრობს“; **ა-ბანჯლუნ-ე** (შდრ. **ლი-ბანჯლუნ-ე** „პატარა ბიჭის ან პატარა ტანის მამაკაცის საუბარი“) „პატარა ბიჭი ან პატარა ტანის მამაკაცი საუბრობს“; **ა-ბრანჩხუნ-ე** (შდრ. **ლი-ბრანჩხუნ-ე** „დიდი აღნაგობის და ასაკის უნესო ქალის უხეში საუბარი“) „დიდი აღნაგობის და ასაკის უნესო ქალი უხეშად საუბრობს“ და ა. შ.

6. მეექვსე მოდელად შეიძლება წარმოვადგინოთ **ნულსუფიქსიან წარმოებად მიჩნეული** (იხ. ზემოთ მე-4 მოდელი!) **მოდელი**, რომელიც ოდენ-პრეფიქსური წარმოებისაა (**ი პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ფუძეს შეხორცებული -ალ/-ალ/-ალ/-ალ/-იელ/-იელ... ელემენტები**)

ი-ბლიტანალ (ბქ.) „გაოცებული, დაბნეული იყურება“; **ი-შანგუნალ** (ბზ.) „მაღალი ადამიანი გრძელი ნაბიჯებით დადის“; **ი-რიჭჷანალ** (ბქ.) „ყურებ-დაცქვეტილი იყურება აქეთ-იქით“; **ი-თჷრიჩანალ** (ბქ.) „მეტისმეტად გრძელი კაბით დაიარება“; **ი-რეკჷანალ** (ჩოლ.) „თვალეების ცეცებით დაიარება“; **ი-სჷიტანალ** (ბქ.) „იბლვირება, იბუტება“; **ი-გლამბუნალ** (ჩოლ., ლშხ.) „მეჩხერ-კბილებიანი მოზრდილი ადამიანი უშნოდ დადის“ და მრავ. სხვ.

შენიშვნა: **ლი-** – **ე** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები (მაგ.: **ლი-ბლანყუნ-ე, ლი-ბანჯლუნ-ე, ლი-განგუნ-ე** და ა. შ.) მასდარები ჩოლურულსა და ლაშხურში, როგორც მე-5 მოდელიდან ჩანს, ლაპარაკის აღმნიშვნელი მასდარებია და ანმყოს **ა-** – **ე** ყალიბით აწარმოებენ. **ლი-** – **ალ/-ალ** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები (მაგ.: **ლი-ბლანყუნალ, ლი-ბანჯლუნალ, ლი-განგუნალ** და სხვ.) მასდარები კი სიარულის აღმნიშვნელია და ანმყოს აწარმოებენ **ი-** პრეფიქსით. როგორც ჩანს **-ალ/-ალ** სუფიქსს შემოაქვს სიარულის სემანტიკა, თუმცა აღნიშნული სუფიქსი დღევანდელი ვითარების მიხედვით ფუძესაა შეხორცებული და მისი მნიშვნელობა თითქმის მიჩქმალულია სვანური ენის ყველა დიალექტში. უნდა ითქვას ისიც, რომ ძირეული მასალა ორივე შემთხვევაში (შდრ. ერთი მხრივ, **ლი-ბლანყუნ-ე** „მსუქანი ადამიანის ნელი საუბარი“ და, მეორე მხრივ, **ლი-ბლანყუნალ** „მსუქანი ადამიანის ნელი და უშნო სიარული“) ერთი და იგივეა.

7. მეშვიდე მოდელად შესაძლოა გამოვყოთ „ჭამის“ აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, რომელთა სტრუქტურული შედგენილობა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: **ი- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + ფუძეს შეხორცებული -ალ/-ალ/-ალ/-ულ/-იელ/-ინ/-აჷ/-ან... ელემენტები + სანყისის მანარმოებელი ი სუფიქსი**

ი-ყლენტ-ალ-ი (შდრ. **ლი-ყლენტ-ალ-ი** „დიდი ლუკმებით უხეშად ყლაპვა“) „დიდ ლუკმებს უხეშად ყლაპავს“; **ი-ქლენტ-ალ-ი** (შდრ. **ლი-ქლენტ-ალ-ი** „დიდი ლუკმებით უხეშად ყლაპვა ქონიანი ხორცისა; თქვლეფა“) „უხეშად ყლაპავს

ქონიანი ხორცის დიდ ლუკმებს; თქვლევს“; **ი-პამპლ-აჟ-ი** (შდრ. **ლი-პამპლ-აჟ-ი** „ჩქარ-ჩქარა ჭამა რბილი საჭმლისა, რომელსაც დაღეჭვა არ სჭირდება“) „ჩქარ-ჩქარა ჭამს რბილ საჭმელს“; **ი-თხენსკ-წლ-ი** (შდრ. **ლი-თხენსკ-წლ-ი** „კენკვა; ფრინველის ჭამა“) „კენკავს, ჭამს ფრინველი“ და ა. შ.

აღნიშნული წარმოება, ფონოსემანტიკური ლექსიკის მრავალრიცხოვან ჯგუფთაგან, მხოლოდ „ჭამის“ აღმნიშვნელი ლექსიკისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა არაფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებსაც მოეპოვებათ მსგავსი წარმოება (შდრ.: **ი-ბრეშტ-გნ-ი** „ზედმეტი ჯავრისაგან იბერება, სივდება სახეზე“; **ი-ბჯღ-გნ-ი** „იხლიჩება ბიჭი“; **ი-გლგფ-გნ-ი** „უტყვი და უშიშარი ხდება“; **ი-შერთქ-ინ-ი** „მეტისმეტად სუქდება, სივდება ქალი“).

როგორც მრავალფეროვან სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები ანმყოში *უთემისნიშნოდ* დასტურდება. რაც შეეხება მეექვსე მოდელად გამოყოფილ **ი-გჭირანა/ლ**, **ი-შანგუნწლ**, **ი-თერანწლ** და ა. შ. ტიპის ფორმათა წარმოებას, ამ ტიპის მასალაში აუსლაუტში წარმოდგენილი **-ალ/-წლ/-წლ/-ულ/-იელ/-იელ/-ინ/-აჟ/-ან...** სუფიქსები, რომლებიც დღეს უკვე ფუძის კუთვნილებაა, *მოქმედების მრავალგზისობაზე, განმეორებადობაზე* (ჩვეულებითობა-ზოგადობაზე) მიუთითებენ. აღნიშნულ ფორმებში „უშუალოდ მოძრაობის ინფორმაციის გადმომცემი ელემენტი არ ჩანს, მაგრამ მორფოლოგიურ სტრუქტურაში შემავალი კომპონენტები ფუნქციის მიხედვით ისე არის შეხამებული ერთმანეთთან, რომ მთლიანობაში გადმომცემულია *მოძრაობა, მოძრავი საგნის დახასიათება* და ამ დახასიათებაზე დამოკიდებული მოძრაობის მანერა“ (ჭკადუა 2015:234).

საანალიზო ფორმებში ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ზმნური ძირის მომდევნოდ, აუსლაუტის წინ გამოვლენილი **-ურ/-ულ/-უნ...** ელემენტები, რომლებსაც ზმნის ფუძის მანარმოებლად (*მაზმნავებლად*) მიიჩნევენ, ისინი, მსგავსად **-ალ/-ლ/-ლ/-ილ...** სუფიქსებისა, დღეს უკვე ფუძეს არიან შეხორცებული, და რაც მნიშვნელოვანია, ეს ელემენტები ანმყოს მწკრივის მანარმოებელი ნიშნები არ არის, ისინი შესაბამის მასდარებშიც დასტურდება და როგორც *ყოფადის წრის მწკრივებში*, ასევე *მეორე და მესამე სერიის მწკრივებშიც* დაჩნდებიან.

განხილული მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ სვანური ანმყოს ფუძის მანარმოებლად თემის ნიშნებს არ იყენებს. ანმყოს ფუძის მანარმოებელი სუფიქსების შესახებ კი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის განხილვამ აჩვენა, სხვადასხვა თვალსაზრისები არსებობს. ჩვენი აზრით, ეს თვალსაზრისები, განსაკუთრებით კი აღნიშნული სუფიქსების *თემატურ ნიშნებად* მიჩნევა, საკამათოა.

როგორც ჩანს, ანმყოს ფუძის ჩამოყალიბება დღესაც მიმდინარეობს სვანურში სხვადასხვა მორფოლოგიურ ელემენტთა გამოყენებით. ვფიქრობთ, ეს პროცესი უჩვეულო არ არის, ვინაიდან, როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავდა, ანმყოს ფუძის ჩამოყალიბება პერმანენტული პროცესია, რომელიც მეტნაკლები მოდიფიკაციებით დღესაც იჩენს თავს ქართული ენის დიალექტებში. ამ მოვლენაზე კი მეტყველებს *ხმარულ-ობ-ს*, *ხდილ-ობ-ს*, *ჩუქ-ნ-ი-ს* ტიპის ფორმათა წარმოქმნა და სწორედ ამ მხრივ იქცევს ყურადღებას თემის ნიშნთა განაწილების საკითხიც, რაც კერძო სახეა ენაში მოქმედი დეტერმინიზმის პრინციპისა (ჯორბენაძე 1988:175).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, თემის ნიშანთა სხვადასხვაგვარი განმარტებიდან უფრო გავრცელებულია და დამკვიდრებულია განსაზღვრა, რომ თემის ნიშანია ის ფორმანტი (resp. სუფიქსი), რომელიც აწარმოებს I სერიის ფუძეს [და, ამდენად, ჩამოსცილდება მას II სერიაში (შანიძე 1980:387-388)]. თემის ნიშანი, ასევე, თავს იჩენს იმ პარადიგმებშიც, რომლებიც I სერიის (კერძოდ, ანმყოს) ფუძეს ეყრდნობა: *მო-მ-ი-კლ-ავ-ს, გა-მ-ი-კეთ-ებ-ი-ა* [I შედეგობითი (ჯორბენაძე 1988:175)].

რაც შეეხება სვანურს, იგი თემატური სუფიქსებით ქართველურ ენებს შორის ყველაზე ღარიბად ითვლება (ნათაძე 1959:144). ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი ანმყოს ფუძის მანარმოებელ *-ე, -ი, -ა* და *-Ø* სუფიქსებზე, რომელთა თემატურ ნიშნებად მიჩნევა, რიგი საკითხებიდან გამომდინარე, საკამათოა, და საკითხი უფრო საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. გარდა აღნიშნული სუფიქსებისა, სვანურში გამოიყოფა: *-ემ, -ალ, -ელ, -ერ, -ემგ, -ესგ, -ისგ* (ბზ. -ეს-გი) ელემენტები (იხ. ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ენა, ზმნა, თბ., 1967) და, აგრეთვე: *-ინ, -ენ* და *-უნ* სუფიქსები (II და III სერიის ფორმებში), თუმცა, როგორც ნ. ნათაძე მიუთითებს, „მათ ფუნქციას ამა თუ იმ ნაკვეთის წარმოება არ შეადგენს“ (ნათაძე 1959:145). ეს სუფიქსები ანმყოს ფუძეშივე გამოყენებული მანარმოებლებია, რომლებიც ენამ შემდგომ ანმყოს ერთ-ერთ ვარიანტს – მყოფადს მიამაგრა. *-უნ-ა, -ინ-ა* სუფიქსები, რომლებიც თურმეობითი I-ის მანარმოებლებად ითვლება, აგრეთვე ანმყოს არ მოწყდება. ყოველივე აქედან გამომდინარე კეთდება დასკვნა, რომ აღნიშნული სუფიქსები თემის ნიშნებს არ წარმოადგენენ სვანურში (იქვე). ცხადია, ვერც ფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებში ზმნური ძირის მომდევნოდ წარმოდგენილ *-ურ/-ულ/-უნ, -ალ/-ალ/-ალ/-ილ...* ელემენტებს მივიჩნევთ თემატურ ნიშნებად.

შენიშვნა: სვანურში ანმყოს ფუძის უთემისნიშნოდ წარმოდგენა რომ ჩვეულებრივი მოვლენაა, ამაზე მეორეული მასდარებიც მიუთითებენ. მაგ.: **თერტენ** „ჭიხვინი“ – **თერტენ-ი** „ჭიხვინებს“; **ხერტენ** „ხროტინი“ – **ხერტენ-ი** „ხროტინებს“; **ბერთქენ** „ფეხების ბაკუნი“ – **ბერთქენ-ი** „ფეხებს აბაკუნებს“; **სერტენ** „ყვირილი, ხმაური“ – **სერტენ-ი** „ყვირის, ხმაურობს“; **ხერტენ** „ხროტინი“ – **ხერტენ-ი** „ხროტინებს“; **პერტქენ** „რატრატი, ტლიკინი“ – **პერტქენ-ი** „რატრატებს, ტლიკინებს“; **ბერთქენ** „ფეხების ბაკუნი“ – **ბერთქენ-ი** „ფეხებს აბაკუნებს“ და მრავ. სხვ.

ანმყოს ფუძის მანარმოებელი მორფოლოგიური ერთეულების სქემა:

ოდენ სუფიქსური წარმოება	ოდენ პრეფიქსური წარმოება	პრეფიქს- სუფიქსური წარმოება
-ე	ი-	ა- - -ე
-ი		ა- - -ი
-ა		ა- - -ე
-Ø		ი- - -ე
		ი- - -ი

ლიტერატურა

- გაგუა 1988 – კ. გაგუა, საშუალო გვარის ზმნათა ერთი სახეობისათვის სვანურში, იკე, XXVII, თბილისი, 1988;
- თოფურია 1967 – ვ. თოფურია, შრომები I, თბილისი, 1967;
- თოფურია 2002 – ვ. თოფურია, სვანური ენა, შრომები, II, თბილისი, 2002;
- მაჭავარიანი 1988 – გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე XXVII, თბილისი, 1988;
- ნათაძე 1959 – ნ. ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში, იკე, XI, თბილისი, 1959;
- ნოზაძე 2008 – ლ. ნოზაძე, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 2008;
- ონიანი 1998 – ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998;
- შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი III, თბილისი, 1980;
- ჩიქობავა 1948 – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი: მეცნიერება, 1948;
- ჭკადუა 2015 – რ. ჭკადუა, ი- პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობისათვის სვანური ენის ზმნებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბილისი, 2015;
- ჭუმბურიძე 1981 – ზ. ჭუმბურიძე, ნასახელარი ზმნები სვანურში, აკაკი შანიძეს, თბილისი, 1981;
- ჯორბენაძე 1988 – ბ. ჯორბენაძე, თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში, თბილისი, 1988.

მურმან სუხიშვილი

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების დიაქრონიული ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულში

ქართული (ქართველური) ზმნის უღლების სისტემაში დრო-კილოთა სამი ჯგუფი (სერია) გამოიყოფა სათანადო მწკრივებით: 1. ანმყოს ჯგუფი. 2. აორისტის ჯგუფი და 3 პერფექტის ჯგუფი (დასავლურ არეალში, ქართულის იმერულ, რაჭულ და ლეჩხუმურ კილოებში, ასევე, ზანურსა და სვანურში დასტურდება დრო-კილოთა ახლად წარმოქმნილი მეოთხე ჯგუფიც (თურმეობითი III და თურმეობითი IV), რომელიც ანმყოს ჯგუფის უხილავი აქტის გამომხატველია (როგავა 1975:274) გარდამავალი ზმნა დრო-კილოთა ანმყოს, აორისტისა და პერფექტის ჯგუფებში არაერთგვაროვან სინტაქსურ კონსტრუქციებს წარმოგვიდგენს, – ნომინატიურს – ანმყოს ჯგუფში, ერგატიულს – აორისტში და დატიურს – პერფექტის ჯგუფში. გარდაუვალ ზმნებს სამსავე სერიაში ნომინატიური კონსტრუქცია აქვთ (გარდაუვალ ზმნათა ერთ ჯგუფს დატიური კონსტრუქცია უდასტურდება ანმყოს სერიაში).

სინტაქსური კონსტრუქციების თვალსაზრისით ქართულის მსგავსი ვითარება გვაქვს სვანურში; მეგრულისა და ქანურის განსხვავებული ვითარება მეორეულია; კერძოდ, ქანურში გარდამავალი ზმნა, ჩვეულებრივ, ერთი სინტაქსურ

რი კონსტრუქციით – ერგატიული კონსტრუქციით გვევლინება: რეალური სუბიექტი ყველა სერიაში ერგატივიზია, რეალური პირდაპირი ობიექტი – ყველგან სახელობითში, ე. წ. ვერტიკალური გათანაბრება (ჩიქობავა 1936:104); მეგრულში ნამყო-ძირითადსა (აორისტსა) და მისგან ნანარმოებ დროებში სუბიექტი არა მარტო გარდამავალ, არამედ გარდაუვალ ზმნასაც ერგატივიზი უზის (ჩიქობავა 1936:201; ქირია და სხვ. 2015:314...).

მეგრულშიც და ჭანურშიც ერგატიული კონსტრუქციის გამოყენების არე გაფართოებულია: მეგრულში – გარდაუვალ ზმნათა ხარჯზე, ჭანურში – ანმყო-სა და პერფექტის ჯგუფების მიმართულებით; მეგრულისებრი ტენდენცია გამოვლინდება ქართული ენის დასავლურ (გურული, ქვემოიმერული...) და აღმოსავლურ (ქართლური, კახური – ნაკლები ინტენსივობით) დიალექტებში; სადაც ეს მოვლენა, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად ჩაისახა; ვ. თოფურიაშვილმა გარკვევა, რომ გარდაუვალ ზმნათა ერგატივიზაცია მეგრულის აორისტის ჯგუფში და ქართულის დასავლურ კილოებში მეორეულია, სინტაქსური ანალოგიის შედეგია (თოფურია 1923:13-121).

მეორეულია ეს პროცესი ქართულ კილოებში, მეორეულია გადახრა ერგატიული კონსტრუქციის გამოყენებისა მეგრულშიც და ჭანურშიც, – ასკენის არნ. ჩიქობავა და მიაინიშნებს, რომ ჭანურში კიდევ იძებნება ნომინატიური კონსტრუქციის ნაშთები გარდამავალ ზმნასთან და დატიური კონსტრუქციისა ინვერსიულ თურმეობითში“ (ჩიქობავა 1936:181-182; 201, 221, 243).

როგორც გარდამავალი, ასევე გარდაუვალი ზმნების ნომინატიურ, ერგატიულ ან დატიურ კონსტრუქციებად სახელდება მხოლოდ III პირს ეხება, I და II პირის ფორმებთან (მე, შენ, ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელებთან) გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ოდენფუძიანი (ინდეფინიტიური) კონსტრუქცია გვაქვს ახალსა თუ ძველ ქართულში; მხოლოდ ოდენფუძიანი კონსტრუქცია დასტურდება ძველ ქართულში ადამიანის საკუთარ სახელებთან – აბრაამ შვა ისააკ... (ჩიქობავა 1948:3-4).

ასე რომ, ოდენფუძიანი, ნომინატიური, ერგატიული და დატიური კონსტრუქციები გარდამავალი ზმნის ძირითადი კონსტრუქციებია ქართველურ ენებში.

ბუნებრივია, სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება დასახელებულ კონსტრუქციათა ფორმალური და ფუნქციური ურთიერთმიმართებისა და, შესაბამისად, მათი უწინარესობა-შემდგომადობის საკითხი, თითქოს ეჭვს არ იწვევს გარდამავალი ზმნის III სერიის დატიური კონსტრუქციის პერფექტულ ფორმათა მეორეულობა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, ა. არაბული, ი. მელიქიშვილი...), თუმცა კონსტრუქციათა ურთიერთმიმართების კვლევისას პრიორიტეტული მაინც ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების ურთიერთმიმართების საკითხი ჩანს. ამ ურთიერთმიმართების ფონზე ქართული (ქართველური) ზმნის ბუნების საკვანძო საკითხები იკვეთება.

ტრადიციულად მიჩნეულია, რომ გარდამავალი ზმნის კონსტრუქციათა ამოსავალ ვითარებას დრო-კილოთა II ჯგუფის ერგატიული კონსტრუქციის მარტივი ფორმები წარმოგვიდგენენ, გარდამავალი ზმნის I ჯგუფის გართულე-ბული ნომინატიური კონსტრუქცია მეორეულია (გ. დეეტერსი 1930:11-112, ჩიქობავა 1948:5..., გ. როგავა 1975:276, ა. ჰარისი 1985:96...).

ნომინატიური კონსტრუქციის მეორეულობის მტკიცების მართებულობას გარდამავალ ზმნაში ამყარებს ის ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები, რაც

ქართველურ ენებში ნომინატიური კონსტრუქციის წარმოშობის შესახებ არსებობს: რომ 1) ნომინატიური კონსტრუქცია გარდამავალ ზმნაში ჩამოყალიბდა ინდოევროპულ ენათა გავლენით (გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი, კ. შმიდტი) და 2) ნომინატიური კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქციის შინაგანი განვითარების შედეგია, ოღონდ ეს შინაგანი განვითარება (ერგატიული კონსტრუქციის ნომინატიურად გარდაქმნა) სხვადასხვა გზით განხორციელდა: ა) ქართული (ქართველური) ზმნის ოდინდელი ასპექტური უღლების ტემპორალურ უღლებად გარდაქმნის შედეგად, რომელზეც მიბმულია გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესიც (ჩიქობავა 1948) და ბ) გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქციის ინტრანზიტივაციით (პეტჩი 1967:143-152; როგავა 1975 : 273-280).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი, ქართველურ ენათა გარდამავალ ზმნებში ერგატიული კონსტრუქციის, ე. ი. დრო-კილოთა II ჯგუფის ფორმათა პირველადობის შესახებ, ეფუძნება დებულებას, რომ ამ ენათა უღლების სისტემაში დროის კატეგორიის არსებობას წინ უსწრებდა ასპექტური დაპირისპირების არსებობა: გარდამავალ ზმნებს მხოლოდ ერთი, ერგატიული კონსტრუქცია ჰქონდათ, გარდაუვალ ზმნებს – მხოლოდ ნომინატიური.

ასპექტური უღლების პერიოდში დინამიკურ ზმნებში, როგორც გარდამავალში, ასევე გარდაუვალში, ორი ასპექტი გაირჩეოდა – მომენტობრივი და დიურატიული, მომენტობრივი ასპექტი ნამყო ძირითადის (აორისტის) მწკრივით გადმოიცემოდა:

ნამყო ძირ.: გარდმ. ყო, კლ-ა... მან იგი, გარდუვ. შთავარდა, დაეცა იგი მას... დიურატიული (პერმანსივი) გადმოიცემოდა ხოლმეობითის მწკრივით.

ხოლმე.: გრდმ. ყვ-ი-ს, კლ-ი-ს მან იგი, გრდუვ. შთავარდ-ი-ს იგი, დაეც-ი-ს იგი მას...

გარდაუვალ სტატიკურ ზმნებს მხოლოდ დიურატიული ასპექტის ფორმები ჰქონდათ: ხოლმე.: ს-ნად-ი-ს იგი მას...

ხოლმეობითის ისტორია ძველ ქართულში ცხადყოფს, რომ „ძველად“ (იგულისხმება ძველქართულამდელი და ალბათ უფრო ადრინდელი პერიოდიც) ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების ნაცვლად (გარდამავალ ზმნებთან) ერთიდა გვექონდა: ერგატიული კონსტრუქცია. ანმყოსეული ნომინატიური კონსტრუქცია მერელა წარმოიქმნა; მანამდე ანმყოს ფუნქციას – დიურატიულობას – ხოლმეობითი გადმოსცემდა (ჩიქობავა 1948:128).

ეს დასკვნა არნ. ჩიქობავას ძველი ქართულის სათანადო ფაქტების მოძიებით, მასალის სინქრონული ანალიზისა და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდის გზით აქვს მიღებული.

ხოლმეობითი რომ გარკვეულ კონტექსტებში ანმყოს მნიშვნელობითაც იხმარება ძველ ქართულში, ეს ფაქტია: თქვს, დაადგის, შთაასხის, განწყუნის, შეიპყრის იქმნის... მან იგი, დაემკვდრის, განეშორის... იგი მას. ხოლმეობითის ფაქტები ადიშის ოთხთავში ანმყოს მნიშვნელობას გადმოსცემს, ჯრუჭ-პარხლისა და ოპიზა-ტბეთის სახარებათა პარალელურ ტექსტებში ხოლმეობითის ფორმებს ანმყოს ნომინატიური კონსტრუქციის ფორმები ენაცვლება: ხოლმ. თქვან || ანმყ. იტყვან, ხოლმ. მიიყვანის (მან იგი) || ანმყ. მიჰყავს (მას იგი) || მიიყვანებს (იგი მას) და ა. შ. ტექსტების შეჯერება აჩვენებს, რომ ხოლმეობითი და ანმყო ხშირად ერთსა და იმავე ფრაზაში ერთიმეორის გვერდით იხმარება; ძვ. სომხურის, ბერძნულის, ლათინურის,

ძვ. სლავურის სათანადო ადგილას ქართულის ხოლმეობითებს ანმყო შეესაბამება; არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ხოლმეობითების მიერ ანმყოს მნიშვნელობის გადმოცემა „რიგ შემთხვევაში გ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი ა“; სხვაგან: „თ ქ ვ ს ზმნის (ხოლმეობითის) ანმყოს ნაცვლად გამოყენება ჰადიმის ოთხთავში უფრო ნ ა რ ჩ ე ნ ი ა, ვინემ – ძირითადი ნორმა“ (ჩიქობავა 1949:119; 27); „ნ ა რ ჩ ე ნ ი“, „გ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი“ ძველი ქართულის წინარე ვითარებას გულისხმობს, როცა გარდამავალი ზმნის ნომინატიური კონსტრუქციის ფორმები ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, როცა გარდამავალი ზმნის უღლება ოდენ ასპექტური იყო და ხოლმეობითს, თავის ძირითად მნიშვნელობასთან ერთად, „მერმინდელი ანმყო“, ზოგადი ანმყოს მნიშვნელობაც შეეძლო გამოეხატა, ნამყო უსრულისა და კავშირებითის გარდა (ჩიქობავა 1949:47). ამიტომაც, რომ დიურატიული ასპექტის გარდამავალმა და გარდაუვალმა ზმნებმა ტემპორალურ უღლებად გარდაქმნის პროცესში ბუნებრივად შეითვისეს ანმყო ფუნქცია.

ბოლო ხანებში ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების დიაქრონიული მიმართების საკითხი სხვაგვარადაც დაისმის; კერძოდ, ნომინატიური კონსტრუქცია გარდამავალი ზმნისა პირველადია, ერგატიული – მეორეული (გ. ნეზიერიძე, ი. მელიქიშვილი ...). ასეთი დასკვნა კეთდება კონსტრუქციათა ფორმალური და სემანტიკური მახასიათებლების შეჯერებისას მარკირების თეორიის თვალსაზრისის გამოყენებით (ნეზიერიძე 1987; 1988; 1991; მელიქიშვილი 1998; 2013).

ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების დიაქრონიული მიმართების განსაზღვრისას ამოსავლად I სერიის ნომინატიური კონსტრუქციის არამარკირებულ ფორმებს ასახელებს ი. მელიქიშვილი (მარკირების იაკობსონისეული გააზრებით) და საერთო ქართველურისათვის აღადგენს არქაულ აქტიურ კონსტრუქციას (ნომინატივი > ერგატივი); მკვლევარი ამგვარი გააზრების ტიპოლოგიურ პარალელსაც ასახელებს „გახლეჩილი ერგატივის“ მქონე საშუალები და ახალი ინდოირანული ენების სახით, რომლებთანაც ქართულ (ქართველურ) ენებს აერთიანებს არა მარტო კონსტრუქციათა ასპექტური შეპირობებულობა, არამედ ერგატივის გაფართოების პრინციპიც (მელიქიშვილი 1998:127; 2013, 250).

„საშუალო ინდურ-ირანულ ენებთან, რომლებშიც გარდამავალ ზმნათა პერფექტულ (სრული ასპექტის) დროთა ფორმებში ერგატიული კონსტრუქციაა წარმოდგენილი, ხოლო დროთა იმპერფექტულ (უსრული ასპექტის) ფორმებში ნომინატიური, ინდო-ირანულ ენათათვის განვითარების ხაზი ნომინატიური კონსტრუქციიდან პერფექტულ ფორმათა პოსესიური კონსტრუქციის გზით წარმოქმნილი მეორეული ერგატიული კონსტრუქციისაკენ სრულიად ნათელია“ (მელიქიშვილი 1998:127).

ი. მელიქიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ასპექტური უღლების უნიწარესობა ტემპორალურ უღლებასთან მიმართებით ქართველურ ენებში მასალობრივად ვერ საბუთდება, თუმცა ჰიპოთეტურად ვერც გამოირიცხება... ამერიკის ინდიელთა ზოგ ენაში დღესაც არ არის განვითარებული დროის კატეგორია და ასპექტი ქმნის ზმნურ დაპირისპირებათა საფუძველს“ (მელიქიშვილი 2013, 268); ზოგადად, ასპექტური, მოქმედების სახის მიხედვით (Actionsart) დაპირისპირებები აქტიურ ენებთან მიახლოებულ ერგატიულ ენებს ახასიათებთ (კლიმოვი 1973: 180; 1977: 144).

გასათვალისწინებელია სხვა არგუმენტებიც:

ერგატიული ბრუნვა საერთო ქართველური ფუძე ენის დონეზე არ აღდგება (ნებერიძე 1987; 1988... ჰ. ფენრიხი 2008:19...), ეს ფაქტი საფუძვლიანი არგუმენტია იმისთვის, რომ II სერიის ერგატიული კონსტრუქცია მეორეულად მივიჩნიოთ: ცდები ფუძეენაში ერგატიული ბრუნვის აღდგენისა ზუსტი ფონეტიკური შესატყვისის არსებობის გარეშე (შდრ., კლიმოვი 1962:63-65, ონიანი 1989:151-152; ჰარისი 1985:89-90) ამ თვალსაზრისის ავტორებისთვის მიუღებელია ძველი ქართულისა და ახალი ქართულის ზოგი დიალექტის (ფშაური, ხევსურული, მთიულური) მიხედვით მოაზრებული ასპექტური უღვლილების უწინარესობის დამადასტურებელი არგუმენტი, სახელდობრ, აორისტის ხოლმეობითის (დიურატივის) -ი ნიშანი ფუძე ენის დონეზე არ ჩანს, არ ჩანს ის სხვა ქართველურ ენაშიც, მაშინ როცა „მკვლევართა ეჭვს არ ინვესს საერთოქართველურ დონეზე დროის კატეგორიის აღდგენის შესაძლებლობა (მელიქიშვილი 2013: 63-65; გ. მაჭავარიანი 2002): ასევე, ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი მონაცვლეობა აორისტის ხოლმეობითი ~ ანმყო, ანმყოს არამარკირებული ბუნებითაა შეპირობებული. ზოგადად, ანმყო მარადიულ, ზედროულ შინაარსებსაც ითავსებს და, ამდენად, ხოლმეობითისა და ანმყოს მონაცვლეობა, ხოლმეობითის ანმყოდ გარდაქმნის წინაპირობა ვერ იქნება.

ანმყოს ჯგუფის ზმნათა პირველადობის კონცეფცია მნიშვნელოვან საკითხებს წამოჭრის ქართული (ქართველური) ზმნის ბუნების, მისი განვითარების ეტაპებისა თუ ზოგადი მორფოლოგიური ტიპის დადგენის თვალსაზრისით; ამდენად, ეს კვლევები სპეციალურ შესწავლას, ძველი და ახალი ქართულის, ასევე, ზანურისა და სვანურის სათანადო მასალის ახალი კუთხით გადასინჯვას მოითხოვს;

წინამდებარე სტატიაში რამდენიმე ისეთ საკითხს შევეხებით, რომელიც, ვფიქრობთ, ახალ ინტერპრეტაციებს ნაკლებად იგუებს.

არგუმენტი, რომ მრავალგზისობის კატეგორიის არსებობის შემთხვევაშიც ზედროული (უდროო) მოქმედებები ენაში შეიძლება ანმყოს ფორმით გადმოიცეს, რაც ანმყოს კატეგორიის არამარკირებული ბუნებითაა შეპირობებული, ვერ უარყოფს ხოლმეობითის მიერ ანალოგიური ფუნქციის გამოხატვის შესაძლებლობას, რადგან „ხოლმეობითი არაა დრო, არამედ ასპექტი. ხოლმეობითი იმას კი არ აღნიშნავს, როდის მიმდინარეობს ესა თუ ის პროცესი – მის შესახებ ლაპარაკის დროს, ლაპარაკზე ადრე თუ შემდეგ –, არა, იგი მიუთითებს, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი, რა სახისაა იგი. პროცესის განგრძობილობა – აი, რის ჩვენებაა ხოლმეობითის ამოსავალი ფუნქცია (ჩიქობავა 1948:77).

თავისთავად, ხოლმეობითის შინაარსი ძველ ქართულში დრო-კილოს მნიშვნელობათა მრავალფეროვან სპექტრს მოიცავს: „ანმყოს მაგივრობასაც ეწევა და ნამყო უსრულისასაც, კავშირებითის ნაცვალაცაა (ბრძანებითის გადმოსაცემადაც გამოიყენება“ (ჩიქობავა 1948:77; იმნაიშვილი, იმნაიშვილი 1996).

ამასთან, ანმყო ძველ ქართულში მხოლოდ ზოგჯერ გამოხატავს უდრო (მარადიულ) მოქმედებას, მისი ძირითადი მნიშვნელობა ახლანდელი დროისა და ერთგზისი მოქმედების აღნიშვნაა, მაშინ, როცა II ხოლმეობითისათვის ამ მნიშვნელობის გამოხატვა ძალიან ხშირია (სარჯველაძე ... 83-86).

ხოლმეობითის შესაძლებლობა გამოხატოს ანმყოს ფუნქცია უფრო ფართოა.

საერთოდ, ერგატიული ენების ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მახასიათებლად მიიჩნევა მისი ასპექტური ოპოზიციის

(იგულისხმება მოქმედების მიმდინარეობის სხვადასხვა სახეთა დაპირისპირება) გარდაქმნა ტემპორალურ ოპოზიციად; იგივე პროცესი დასტურდება ენათა აქტიური წყობის ნომინატიურად გარდაქმნისას, რაც ზოგადენობრივ კანონ-ზომიერებადაც განიხილება (კლიმოვი 1973:180); ე. კურილოვიჩი ფუნქციათა გარდაქმნის გარკვეულ პანქრონიულ კანონებსაც გვთავაზობს: იტერატივი > დიურატივი (პრეზენსი) > (ზოგადი ან განუსაზღვრელი) პრეზენსი, დეზიდერატივი „ნატვრითი“ > მომავალი და სხვ. (კურილოვიჩი 1965:432-433).

მოქმედების ასპექტური ოპოზიციის (როგორ?) გარდაქმნა დროის მიხედვით (როდის?) ოპოზიციად ხოლმეობითის ფუნქციური მრავალსახეობის შედეგი უნდა იყოს. ხოლმეობითი ძველ ქართულში ენაცვლება ანმყოფს, ნამყოფს უსრულს და სხვა მწკრივებსაც. ეს ფუნქციური შენაცვლება ფორმოზოვიზადაც რეალიზდება, – იგულისხმება -ი თემისნიშნისანი ანმყოფები (ჰ-მკ-ი-ს, ჰ-წსნ-ი-ს, ჰ-გზავნ-ი-ს იგი მას), რომლებიც, ფუძის სტრუქტურის თვალსაზრისით, იგივე ხოლმეობითებია, ამათი თემის ნიშანი წარმოშობით ხოლმეობითის მწკრივის ნიშანია (მკ-ი-ს, წსნ-ი-ს, გზავნ-ი-ს... მან იგი) (ჩიქობავა 1948: 73-74; იმნაიშვილი, იმნაიშვილი, 1996:182), რომელიც ხოლმეობითის მარტივ (ნამყოფი ძირითადთან საერთო) ფუძეს დაერთვის.

-ი სუფიქსიან ზმნათა ერთ ნაწილს ძველ ქართულში ანმყოფი და ხოლმეობითი გარჩეული აქვს: ანმყოფი შეკუმშული ფუძე გვაქვს, ხოლმეობითში – უკუმშველი, სრული:

ანმყოფი: ჰ-ზრდ-ი-ს, ჰ-სჯ-ი-ს, ს-ცვლ-ი-ს... იგი მას

ხოლმეობითი: ზარდ-ი-ს, საჯ-ი-ს, ცვალ-ი-ს... მან იგი

ზმნათა ნაწილს ანმყოფ-ხოლმეობითის ფორმები არა აქვს გარჩეული:

ანმყოფი: ჰ-მკ-ი-ს, ჰ-წსნ-ი-ს, ჰ-წრწნ-ი-ს... იგი მას

ხოლმეობითი: მკ-ი-ს (მო-მკ-ი-ს), წსნ-ი-ს, წრწნ-ი-ს... მან იგი

განსხვავება ანმყოფსა და II ხოლმეობითის ფორმებს შორის სინტაქსურია: ანმყოფს ფორმებთან ნომინატიური კონსტრუქცია გვაქვს (იგი მას), ხოლმეობითებთან – ერგატიული (მან იგი); მორფოლოგიურად ანმყოფსა და ხოლმეობითს პირდაპირი ობიექტის (მხოლობითი რიცხვის) III პირის ნიშნის ქონა-არქონა განასხვავებს:

ანმყოფი: ჰ-მკ-ი-ს, ს-ცვლ-ი-ს... იგი მას

ხოლმეობითი: მკ-ი-ს, ცვალ-ი-ს... მან იგი (ჩიქობავა 1948:73...)

ანმყოფი პირდაპირი ობიექტის III პირი აღინიშნება, ხოლმეობითში – არა.

გაჭირდება, სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის მხოლობითი რიცხვის III პირის აღუნიშვნელობა II სერიაში მის სემანტიკას დავუკავშიროთ; პროტოტიპურად III პირის პირდაპირი ობიექტი ნამდვილად არის უსულო საგანი, თუმცა ეს სემანტიკა რჩება I სერიაშიც, სადაც ის მარკირებულია.

აქ არსებითია ის, რომ პირდაპირი ობიექტის სახელობითი ბრუნვა მიცემით იცვლება. მიცემით ბრუნვაში დასმული ირიბი ობიექტი კი ქართულში ყოველთვის აღინიშნება (სამპირიან ზმნებში მარკირების თვალსაზრისით მიცემითის ობიექტს აქვს უპირატესობა). სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის ბრუნვის შეცვლა მიცემით ბრუნვად ერგატიული კონსტრუქციის ნომინატიურ კონსტრუქციად გარდაქმნას უკავშირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნულია, რომ მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა მეორეულია (იმნაიშვილი, იმნაიშვილი 1996).

-ი სუფიქსიანი ანმყოფ-ხოლმეობითების დიფერენცირებული ვარიანტების არსებობა: ანმყოფ-შეკუმშული, ხოლმეობითი – შეუკუმშველი, თავისთავად შე-

კუმშულ ანუ ანმცოს ფორმათა მეორეულობაზე მეტყველებს; ანმცოში ფონეტიკური პროცესის შედეგია წარმოდგენილი (ჩიქობავა 1948, 73). ძველ ქართული ვნებითის რიგი უკუმშველი ფუძის არსებობა ანმცოში: გამოიცადებ ის, იზარდე ბოდა, იცვალე ბის სათანადო მოქმედებითი გვარის უკუმშველი ფორმების არსებობას მიანიშნებს (ჩიქობავა 1948:74).

მართალია, ხოლმეობითი ფუძეების დონეზე არ აღდგება, რადგან ეს ფორმა ქართულის გარდა სხვა ქართველურ ენაში არ დასტურდება, მაგრამ „იგი უნდა არსებულყოფილ სხვა ქართველურ ენებში და შემდეგ გაქრა ისევე, როგორც ახალ ქართულში“ (მაჭავარიანი 2002:136-137). სვანურში ამ ხოლმეობითის სავარაუდო რეფლექსი შეიძლება ანმცოში შემორჩენილი -ი სუფიქსიანი ანმცო იყოს: ასყ-ი „აკეთებს“, აშხ-ი „წვავს“ აწნ-ი „ხნავს“...

სათანადო ქართული მასალის შინაგანი რეკონსტრუქციით მიღებული შედეგის – „გაანმცოებული ხოლმეობითის“ მკ-ი-ს (მომკ-ი-ს) მან იგი > ანმც. კ-მკ-ი-ს იგი მას მორგება სვანურის -ი სუფიქსიან ანმცოებზე აშხ-ი, აწნ-ი იგი მას... (არნ. ჩიქობავა) შეიძლება წარმატებული ცდა აღმოჩნდეს ფუძეების უძველეს საფეხურზე ხოლმეობითის აღდგენისათვის.

გარდამავალი ზმნის ერგატიულსუბიექტიანი ხოლმეობითის ფორმების ნომინატიურ კონსტრუქციად რეინტერპრეტაციასთან მიზნულია არა მარტო ძველი ქართული ენის ზმნის ადრეული ასპექტური უღლების ტემპორალურ უღლებად ჩამოყალიბების პროცესი, არამედ გარდამავალი ზმნის გვარის მიხედვით გაუდიფერენცირებელი (ნეიტრალური) ფუძეების (შდრ., ძვ. ქართ. და-ი-მარხ-ა მან იგი – და-ი-მარხ-ა იგი, შე-ი-მოს-ა მან იგი – შე-ი-მოს-ა იგი და მისთ.) აქტიურ და პასიურ ზმნებად მარკირება (თემის ნიშნების დართვით, სუბიექტისა და, რაც უფრო არსებითია, პირდაპირი ობიექტის ბრუნვათა შეცვლით: და-ი-მარხ-ავ-ს იგი მას – და-ი-მარხ-ვ-ი-ს/და-ი-მარხ-ებ-ი-ს იგი...).

სახელობით ბრუნვაში დასმული პირდაპირი ობიექტის მიცემით ბრუნვად მოქცევით, ასევე, სუბიექტის ერგატიული ბრუნვის სახელობითად შეცვლით ანმცოს ჯგუფის დროებში, იშლება ერგატიულობის მორფოლოგიური მახასიათებელი, რომელიც გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტსა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტს ერთი – სახელობითი ბრუნვით წარმოგვიდგენს და განასხვავებს გარდამავალი ზმნის ერგატიული ბრუნვისაგან.

გვარის კატეგორიის მიხედვით გაუდიფერენცირებელი ფორმები (სათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითებისა) დასტურდება სვანურშიც, მაგრამ არა აორისტის ჯგუფში, არამედ ანმცოში, ანმცოსეული სინტაქსური კონსტრუქციით. ვიმონშებთ ბალსზემოური კილოს ფორმებს: ი-რდ-ი „იზრდის“ – ი-რდ-ი „იზრდება“ ი-სყ-ი „იკეთებს“ – ი-სყ-ი „კეთდება“, ი-ღჷრეჷ-ი „იტყუებს“ – ი-ღჷრეჷ-ი „ტყუდება“, ი-შხბ-ი „იკერავს“ – ი-შხბ-ი „იკერება“, ი-შხ-ი „ინვავს“ – ი-შხ-ი „ინვის, ინვება“, ი-ცᄁრ-ი „ფცქვნის“ – ი-ცᄁრ-ი „იფცქვნება“ და სხვ. (სვანური ლექსიკ., 2000).

სვანურის -ი სუფიქსიან მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა ანმცოსეულ ფორმებში შენარჩუნებულია არა მარტო „გაანმცოებული ხოლმეობითის“ ისტორიული -ი სუფიქსი, (არნ. ჩიქობავა), არამედ გარდამავალ ერგატიულ ზმნათათვის ნიშანდობლივი გვარის ფორმათა გაუდიფერენცირებლობის ფაქტორიც.

ლიტერატურა

- თოფურია 1923** – ვ. თოფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით. „ჩვენი მეცნიერება“, თბილისი, 1923;
- იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ. 1936** – ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, I. მაინის ფრანკურტი, 1936;
- კლიმოვი 1973** – Г. Климов, Очерк общей теории эргативности, М., 1973;
- კლიმოვი 1977** – Г. Климов, Типология языков активного строя, М., 1977;
- კურილოვიჩი 1965** – Е. Курилович, О методах внутренней реконструкций, новое в лингвистике, IV, М., 1965;
- მაჭავარიანი 2002** – გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბილისი, 2002;
- მელიქიშვილი 1998** – ი. მელიქიშვილი, ზმნურ ფორმათა I, II და III სერიის ურთიერთმომართებისათვის ქართველურ ენებში. სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ქართული ენის კათედრის შრ., 4, თბილისი, 1998.
- მელიქიშვილი 2013** – ი. მელიქიშვილი, ერგატიული კონსტრუქციის მეორეულობის შესახებ ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2013.
- ნებიერიძე 1987** – გ. ნებიერიძე, არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია 3, თბილისი, 1987.
- ნებიერიძე 1988** – გ. ნებიერიძე, როგორი სისტემა უნდა აღდგეს ქართველურ ფუძეენაში? მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი, 1988.
- ნებიერიძე 1991** – გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1991.
- როგავა 1975** – გ. როგავა, ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, იკენ. თბილისი, 1975.
- სარჯველაძე – ქირია და სხვ., 2015** – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა I, მორფოლოგია, თბილისი, 2015.
- ჩიქობავა 1936** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936.
- ჩიქობავა 1948** – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი, 1948.

ნონა ქეცბაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეზო-კართან დაკავშირებული ლექსიკა მეგრულში

სამეგრელოში დღის დიდ ნაწილს ატარებენ ეზოში, ღია ცის ქვეშ. აქ ისინი ისვენებენ, იკვებებიან და სძინავთ კიდეც, ე. ი. ნამყვანი მათი კარ-მიდამოა, შესაძლოა, ამითაც აიხსნება ისე იდეალურად მოვლილი ეზოები, როგორც აქ იცინიან (ლამბერტი 1939:137).

სახლი და დამხმარე ნაგებობანი დგას შემოკავებული მიწის ნაკვეთზე, რომელსაც მეგრულად **ოზე** „ეზო“ ჰქვია (ქართული ეზო მეგრულში **ოზე** ფორმით

დამკვიდრდა). საინტერესოა, რომ ქართული ენის ინგილოურსა და აჭარულ დიალექტებშიც ეზოს აღმნიშვნელი ტერმინია **ოზო**.

ოზე თხზული სიტყვებისა და შესიტყვებების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტადაც არის წარმოდგენილი: ოზე-კარი „ეზო-კარი“, ოზეშ ხოჯი (ზედმინ. „ეზოს ხარი“). ი.ყიფშიძის ცნობით, დიდი მარხვის 24-ე დღეს, ოთხშაბათს, ჭინჭრისაგან აკეთებდნენ მხალს. ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით მკაცრად იყო აკრძალული ჭინჭრის ხსენება. მას ტაბუ ედო და უწოდებდნენ ოზეში ხოჯის (ქაჯაია 2002: 426).

ეზოს ჩვეულებრივ შემოვლებული აქვს ღობე, რომელიც მეგრულში **ღობერი** ტერმინით აღინიშნება. ძველად ადგილ-მამულის გარშემო სარეზზე წნელით მოწნული ან მწკრივად ჩარჭობილი სარეზით შემოვლებული იყო ზღუდე; ღობავდნენ თხმელის, თხილის, შქერის ან სხვა წნელისაგან. გადასასვლელად ტოვებდნენ ოლაგეს (გადასასვლელს). ცნობილია **ხარახენიშ ღობეც** (ხარახინის ღობე). დაასობდნენ სარეზს, მათ ერთმანეთზე წნელებით მიაკრავდნენ და მუხის ხეებს დააწყობდნენ, შეკრავდნენ და ისევ ხეებს დააწყობდნენ (მასალე-ბი 1976:390). **ღობერი** ღობის მნიშვნელობით დასტურდება ზანური ენის ორივე დიალექტში. ასევე გვხვდება ქართული ენის გურულ დიალექტშიც (ღლონტი 1984: 592).

მეგრულში ღობის მნიშვნელობით გვხვდება სხვა ტერმინებიც:

ღანდა „ღობე“. ეზოებსა თუ ყანებს ერთმანეთისაგან გამოყოფდნენ ღობით ანდა ჩარგავდნენ ხეებს საზღვრად. ამ ღობეს, ასევე, ჩარგული ხეების ახლო ადგილს ეძახდნენ ღანდას (ქაჯაია 2002: 165).

ღებოხა//ღაბახა//ღაბახო „ღობე“ (ელიავა 1987:202; ქაჯაია 2002:189). ეს ტერმინი ღობეზე გადასასვლესაც აღნიშნავს. ამავე მნიშვნელობით გვხვდება იგი იმერულსა და გურულ დიალექტებშიც (ღლონტი 1984:320).

რტყილი//ტყილი//ნორტყი „ცოცხალი ღობე“. ეს არის ერთმანეთზე გადახვეული ეკალ-ბარდი., ნახევრად ბუნებრივი ღობე. სასაზღვრო თხრილის ან ღელის ნაპირას ნორჩ ხეებს ერთი, ერთ-ნახევარი მეტრის სიმაღლეზე შეჭრიან და გადაანვენენ. გადანოლილ ხეს ტოტები ეზრდება უხვად, რომლებსაც ეხვევა ეკალ-ბარდები (ქაჯაია 2002:395).

ზაბორი „ღობე, მესერი“;

ყორე//ჯორე „ქვის კედელი“; ეს ლექსიკური ერთეული სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება. ის აღნიშნავს შეშის ან ქვის ზვინს (ჭარაია 1997:148).

ხიბირი//ხიბილი//ხეზილი „ყორე, ხერგილი, ხერგული“ (ელიავა 1987:387). ეს ზოგადი ლექსიკური ერთეულიცაა და აღნიშნავს კლდეს ან მთას, რომელიც შედგება ქვა-ლოდების ბუნებრივი ჰორიზონტალური შრეებისაგან (ქაჯაია 2002: 591).

ხორგი//ხორგიში//ხურგი „ხის ან ქვის ღობე“. ეს არის ქვა-ლორღის ზვინი, ხერგი, ხე-ტყით ან მიყრილი ქვებით გაკეთებული ღობე, გალავანი, საზღვარი (ყიფშიძე 1994:610). **ხურგი** საზღვრის მნიშვნელობით იხმარება იმერულშიც (ღლონტი 1984:765).

ხარხი „ძველებური მეგრული ღობე, ჯებირი“; ასობდნენ ორ მესერს, გარდიგარდმო აწყობდნენ ანახეთქებს (ხის განაპობს), შემდეგ უკეთებდნენ ქართხას (ხის ან წკნელის რგოლს), რომლითაც ამაგრებდნენ ღობის სარეზს, შემდეგ **კვენდლით** („თხილის წნელით“) წნავდნენ ღობეს (ქაჯაია 2002:130). გურულსა და აჭარულში კვენდლი ტერმინით აღინიშნება ნედლი და მოქნილი წნელი, რომელსაც იყენებენ ღობეზე სარის დასაკრავად (ღლონტი 1984:285).

ჭინიშ ლობერი „წნელის ლობე“;

წკიზილ ლობე „მიჯრით შეკრული ლობე“;

ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს ლობის შემადგენელ ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები:

გირგატი „ლობის სამაგრი, ლობის გადასალობი მსხვილი წნელი“ (ელიავა 1987:90). იმერულ დიალექტში გირგალი ლობის თავს აღნიშნავს, გირგვლა კი ლობის თავის გაკეთებას ნიშნავს (ღლონტი 1984:154). **ქართხა** „ხის ან წნელის რგოლი“; **კვენდლი** „თხილის წნელი“; **ჭინი** „წნელი“; **ჯგუნჯგი** „სარი“; **ჭაიკარი** „ლობის კარი“; **ხიბაკარი** „ხიბაკარი, ლარტყული კარი“; **ოლაგე** „გადასასვლელი“, **ოლეშე** „გადასასვლელი“.

კარ-მიდამოს უკავშირდება შემდეგი ტერმინებიც:

ჭიშკარი „ეზოს კარი“. **ჭიშკარის** პარალელურად ასიმილაციის (შ-კ-ქ) შედეგად გვხვდება **ჭიშქარი**;

ანწალა // **ანწოლა** „ხეზე ჩამოკიდებული ჩალა, ზვინი“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად იყო ანწოლა და შემდეგ მივიღეთ ასიმილაციის გზით ანწალა. ჩალის ასაკონს, მოკლებზე ტოტებშეჭრილ სარს - **ჯლაშ ხერხალი**, **ხირხალი** ჰქვია (ელიავა 1987:388).

ინჭა „ჭა“ - ღრმა და ვიწრო ორმო, ქვით ამოშენებული, რომელშიც მინისქვეშა წყალი გროვდება“ (ქეგელი). ო. ქაჯაიას მიხედვით, მისი აღმნიშვნელი ტერმინია **წყუ**, რომელიც წყაროსაც აღნიშნავს. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობაა **ონინარი**, მაღალი ბოძი, რომლის თავშიც გაყრილია მოძრავი ასანევ-დასანევი ძელი. საბას მიერ ონინარი განმარტებულია როგორც ძელი, შემზადებული ადვილად დიდთა ქვათა ასაღებლად და მაღლა ოსტატისა თანა მისატანელად (საბა 1991:611). სავარაუდოდ, **წონინარი** გვიანდელია, **წ** გაჩენილი ჩანს. წონინარი დასტურდება გურულ დიალექტშიც (ღლონტი 1984:34). ჭის კერამიკულ თავსადგამს **გვიში** ჰქვია. მას აკეთებდნენ მოლობილს, მთლიანი ხისაგან, ქვისაგან, ხშირი იყო გამომწვარი თიხისა. ამჟამად აკეთებენ ბეტონისას (მასალები II, 1976: 239).

მეგრულში ეზო-კართან დაკავშირებული ლექსიკა წარმომავლობის მიხედვით შეიძლება დაიყოს საერთოქართველურ, საკუთრივ მეგრულ და ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებად.

საკუთრივ მეგრული ლექსიკური ერთეულია **რტყილი**, რომელიც **რტყულა** „გადაწვნა, გადახლართვა“ ზმნის წარსულდროიანი მიმღეობაა.

საერთო ქართველური ლექსიკური ერთეულებია: **ხორგი**, **ხიბილი**, **ყორე**.

ხიბილი ფორმაში გამოიყოფა **ხიბ-** ფუძე; ეს ფუძე შემონახულია ტოპონიმშიც **ხიბ-ულ-ა**; ქართული ენის გურულ დიალექტში გადა-**ხიმ-**ვ-ა ნიშნავს „შეღობვას“. სავარაუდოდ, **ხიბ-/ხიმ-** ძირები საერთო წარმომავლობისაა, რომლებიც მიღებულია საერთოქართველური ძირისაგან **ჯიუ** „შეღობვა, გადაღობვა“ (ჩუხუა 2002-2003:45).

მეგრულში **ხორგი/ხურგი** ეტიმოლოგიურად უკავშირდება ქართულ **ხერგ-** ძირს („ხერგილი“). საერთოქართველური ძირი უნდა ყოფილიყო ***ხარგ-**, უმლაუტის შედეგად მიღებულია ქართული **ხერგ-ი**, რომელსაც შეესატყვისება ზანური **ხორგ-** ძირი.

მეგრული **ყორ-** ძირის შესატყვისად დასახელებულია ქართული **ყორ-** და სვანური **ყორ-** ძირები („კარი“, „ეზო“) (პ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე), ისტორიული **ჯორ-ე** არქეტიპიდან განვითარდა თანამედროვე ჯუილ-ა (ზ. სვან. ჯუილ-ა „ყორე“).

სამეცნიერო ლიტერატურაში **ინჭა** კომპოზიტად არის მიჩნეული (ყინ+ჭა) (ყიფშიძე 1994:419). მ. ჩუხუას აზრით, **ინ-ჭა** რთული შედგენილობის სიტყვაა და მიღებულია **ინი** „ქვედა“ + **ჭა** „ნალო“ სეგმენტებისაგან, ე.ი. ჭის გაგება მეორეულია. მას საფუძვლად დაედო „ნალოს, განჯინის“ სემა.

ნასესხები სიტყვაა **ლანდა**. აფხაზურ ენაში ლობის აღმნიშვნელი ტერმინია **‘ანდა**, რომელიც მეგრულში **ლანდა** ფორმით დამკვიდრდა. სესხებისას მეგრულში ამ სიტყვის წინ ღ-ს სახით შენარჩუნებულია აფხაზურში დაკარგული უკანა რიგის თანხმოვანი (ჯანაშია 1954:4).

ყოველგვარი ცვლილების გარეშეა შემოსული რუსული ენიდან მეგრულში ლობის აღმნიშვნელი სიტყვა **ზაბორი**.

ეზო-გარემოსთან დაკავშირებული ლექსიკის აღწერა არის ცდა უძველესი მეგრული ლექსიკის გადარჩენისა, რადგან ახალი თაობის მეტყველებიდან თითქმის განიდევნა ძირეული ლექსიკის უძველესი ფენა.

ლიტერატურა

- ელიავა 1987** – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997;
მასალები II, 1976 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, თბილისი, 1976;
ლამბერტი 1939 – არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1939;
მაკალათია 1941 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941;
ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბილისი, 2002;
ყიფშიძე 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1994;
ლლონტი 1984 – ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984;
ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

რამაზ ქურდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიტყვა **მაზალო**-ს ეტიმოლოგიისათვის

ცნობილია, რომ ყოველ ენაში ძირეულ ლექსიკასთან ერთად გამოიყოფა ნა-სესხები სიტყვებიც, რომელთა არსებობას ენის ლექსიკური კონტაქტები განაპირობებენ. ქართულ ენას თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ბერძნულ, არაბულ, სპარსულ, ოსურ, რუსულ ენებთან, რაც სათანადოდ აისახა კიდევც მის ლექსიკაში.

ლექსიკური კონტაქტები უშუალო მეზობლობით და გარკვეული ისტორიულ-პოლიტიკური ფაქტორებით წარმოიშობა. სწორედ ამის შედეგია საქართველოში ებრაელთა თემის მოსვლის შემდეგ გაჩენილი ებრაული ლექსიკური

ერთეულები სასაუბრო ქართულში.¹ ცნობილია, რომ ებრაელები საქართველოში პირველად ძველი ნელთალიცხვით 586 წელს ნაბუქოდონოსარის მიერ იერუსალიმის დარბევის შემდეგ მოსულან.² იმ დროიდან მოყოლებული ებრაელები ცხოვრობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რაც ბუნებრივია, გარკვეულ კვალს ტოვებდა ლექსიკური შეხვედრების თვალსაზრისით.

ამ ურთიერთობის ერთი ნიმუშის შესახებ გვექნება ქვემოთ საუბარი.

სიტყვა **მაზალო-ს** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ორი მნიშვნელობა აქვს. პირველი მნიშვნელობა ერთგვარად მოძველებულია: *კობტა, სასიამოვნო*; მეორე მნიშვნელობაა *უცნაური, ახირებული*. სწორედ ამ მეორე მნიშვნელობით გამოიყენება დღეს ეს სიტყვა, რომელიც ძირითადად სასაუბრო მეტყველებაში გვხვდება და ვულგარულად არის მიჩნეული (ქეგლ-ი).

იოსებ გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ **მაზალო-ს** სამი მნიშვნელობაა წარმოდგენილი:

1. *შესანიშნავი, საინტერესო, მოწყობილი, მოხერხებული.*
2. *საოცარი, საკვირველი. . .*
3. *„Забавный“ (განიევის ლექსიკონი, გვ 37).*

მესამე მნიშვნელობა ი. გრიშაშვილს სხვა ლექსიკონიდან მოჰყავს უთარგმნელად, რუსულად (გრიშაშვილი, 1997).

ფაქტობრივად, ამ სიტყვის ზემოაღნიშნული ხუთი მნიშვნელობიდან მხოლოდ ერთია ნეგატიური: *უცნაური, ახირებული*, ხოლო დანარჩენი, ყველა, პოზიტიურია: *კობტა, სასიამოვნო; შესანიშნავი, საინტერესო, მოწყობილი, მოხერხებული; საოცარი, საკვირველი*. ასევეა ბოლო, რუსულად მოყვანილი მნიშვნელობაც, *Забавный*, რაც *სახალისოს, მხიარულს* ნიშნავს ქართულად.

ჩვენი აზრით, ეს სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს ებრაულ ლექსიკურ ერთეულს მაზალ-ს. იგი ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც დასტურდება: „*კაი მაზალის კაცია!*“, „*რა მაზალის კაცია?!*“ – იტყვიან კარგი ბედ-იღბლის მქონე ადამიანზე. გვხვდება დალოცვაშიც: „*კარგი მაზალი დაჰყოლოდეს*“ და სხვ.

ამ გამოთქმების მიხედვით **მაზალის** მნიშვნელობაა: *ბედი, იღბალი*.

საყურადღებოა, რომ ქართველ ებრაელთა მეტყველების გარდა ეს სიტყვა გუდამაყრელთა მეტყველებაშიც შეგვხვდა და აქაც იგი სემანტიკურად *ბედს, იღბალს* უნდა უკავშირდებოდეს: „*დიდება ღმერთსა, მოწყალე-მოსამართლესა. ღმერთო, გაუმარჯვე თავში კვირესა, კვირეძლიერსა, კვირეს ძალიანსა, ხვთიშვილს წინაღმდეგსა, ხორციანთ ხელუხლებასა. ღმერთო, გაუმარჯვე მაზალა ხვეის ბატონ-პატრონს, ემ ადგილის დედას, წმინდა გიორგისა*“ (ხაზგასმა ჩვენია – რ.ქ.).³

ეს სიტყვა იდუაღური წარმოშობისაა და თანამედროვე ებრაულში იხმარება გამოთქმებში: *მაზელ ტოვ // მაზალ ტოვ*; ამბობენ რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით მილოცვისას; სიტყვა-სიტყვით შემდეგს ნიშნავს: **მაზელ // მაზალ – ბედი, იღბალი და ტოვ – კარგი**.⁴

თუ გავითვალისწინებთ ზემომოყვანილ **მაზალო** სიტყვის პოზიტიურ მნიშვნელობებს, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს გამორიცხული ქართულში დადასტურებული **მაზალო** ებრაულ **მაზალ//მაზელ-ს** დავუკავშიროთ სემანტიკურად.

1 ამას გარდა, ებრაული ლექსიკა ქართულში სხვა გზითაც შემოსულა, კერძოდ, ბიბლიურ წიგნთა თარგმნის გზით, იხ. დანელია 1998: 126-161.

2 იხ. ГРУЗИНСКИЕ ЕВРЕИ – <http://www.eleven.co.il/article/11322>

3 იხ. ნიკლაურები – http://tsiklaurebi.blogspot.com/p/blog-page_17.html

4 იხ. Mazel tov – https://en.wikipedia.org/wiki/Mazel_tov

რაც შეეხება **მაზალო** სიტყვის ფორმას, იგი უნდა შედგებოდეს ებრაული ძირისაგან **მაზალ** და ქართული **-ო** სუფიქსისაგან. ცნობილია, რომ ქართულში გამოიყოფა სუფიქსი **-ო**, რომელიც სახელის ფუძეს აწარმოებს. ეს სუფიქსი დამოუკიდებლად გვხვდება ადგილ-მდებარეობათა აღმნიშვნელ სახელებში: ფერდ-ო (შდრ.: ფერდ-ი), გვერდ-ო (შდრ.: გვერდ-ი); ზედსართავ სახლებში: ფართ-ო (შდრ.: ფართ-ი). ვარაუდობენ, რომ ეს **-ო -ობ** სუფიქსის ცვეთითაა მიღებული (ქავთარაძე 1979:139-144). ეტიმოლოგიის დონეზე **-ო** შეიძლება გამოიყოს სხვა სახელებშიც: ძრ-ო (შდრ.: ძირ-ი), ტარ-ო (შდრ.: ტარ-ი) (ჭუმბურიძე 1983: 150-158). **-ო** სუფიქსი მანარმოებლად გამოიყოფა მცენარეების, უპირატესად სოკოების, სახელებში: ღვინ-იო, ტრედ-იო და სხვ. ამ შემთხვევაში **-ო-ს** ნოდებითი ბრუნვის ნიშანს უკავშირებენ (ლომთათიძე 1982: 81-87; ჯორბენაძე, ბერიძე, კობაიძე 1988:332-336).

ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო სიტყვაშიც (მაზალო) ეტიმოლოგიის დონეზე შესაძლებელი უნდა იყოს სახელის ფუძის მანარმოებელი **-ო** სუფიქსის გამოყოფა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ **მაზალო** უკავშირდება სიტყვას **მაზა**, რომელიც ასევე ნახესხებია, კერძოდ, სპარსულიდან. მისი მნიშვნელობაა *გემო, მი-საჭმელი*. ეს სიტყვა ქართულში ამჟამად აღარ გამოიყენება და მოძველებული ლექსიკური ერთეულია; ქეგლ-ში დადასტურებულია მისი ორი მნიშვნელობა:

1. სანუკვარი საჭმელი,
2. გადატანით: მშვენება; შნოსა და ლაზათის მიმცემი (ქეგლ-ი).

მაზა სემანტიკური თვალსაზრისით შეიძლება დაუკავშირდეს **მაზალო-ს** პირველ მნიშვნელობას – *შესანიშნავს, საინტერესოს, მოწყობილის, მოხერხებულს*, მაგრამ აუხსნელი რჩება ლ ბგერის ჩართვა, რის გამოც სწორედ ზემო-მოყვანილ, პირველ ვარაუდს ვანიჭებთ უპირატესობას.

ამრიგად, ჩვენი აზრით, სიტყვა **მაზალო** ებრაული წარმოშობის ლექსიკური ერთეულია და ქართულ-ებრაული ლექსიკური ურთიერთობების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს.¹

ლექსიკონები და ლიტერატურა

ქეგლ-ი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, ტ. I-VIII, 1950-1964;

გრიშაშვილი 1997 – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა), გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 1997;

დანელია 1998 – კ. დანელია, ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. I, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1998;

ლომთათიძე 1982 – ქ. ლომთათიძე, -იო დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982;

1 საყურადღებოა, რომ ებრაული ლექსიკური ერთეული მაზალ//მაზელ სხვა ენებშიც დამკვიდრებულა, ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესო ცნობა მოგვანოდა პროფესორმა ვ. ბოედერმა: გერმანულ სასაუბრო ენაში არსებობს გამოთქმა: *vermasselen* – საქმის გაფუჭება პრეფიქსს *ver-*ს ამ შემთხვევაში უარყოფითი მნიშვნელობა აქვს, *masselen* კი ებრაული სიტყვაა.

ქავთარაძე 1979 – ი. ქავთარაძე, ერთი სიტყვასაწარმოებელი სუფიქსისათვის ქართულში, არნოლდ ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1979;

ჭუმბურიძე 1983 – ნ. ჭუმბურიძე, -ო სუფიქსიანი სახელები ქართულში, თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შრომები, IX, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1983;

ჯორბენაძე, ბერიძე, კობაიძე, 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. ბერიძე, მ. კობაიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988.

ელექტრონული რესურსები:

ГРУЗИ́НСКИЕ ЕВРÉИ – ГРУЗИ́НСКИЕ ЕВРÉИ, <http://www.eleven.co.il/article/11322>

ნიკლაურები – ნიკლაურები, <http://tsiklaurebi.blogspot.com/p/blog-page-17.html>

Mazel tov–Mazel tov, https://en.wikipedia.org/wiki/Mazel_tov

ელექტრონული რესურსები გადამონმეებულია 2017 წლის 24 იანვარს

მანანა ჩაჩანიძე, ნინო ხახიაშვილი, ნატა რაზმაძე

თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სინონიმური რიგის საკითხისათვის ქართულ ლექსიკოგრაფიაში

ქართული ენის სინონიმის ლექსიკოგრაფიის საკითხებს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა თვალსაზრისით არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ინტერესებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ საგანგებო მსჯელობის საგნად წარმოგვედგინა სინონიმური რიგის საკითხი ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

სპეციალური ლიტერატურის თანახმად, სინონიმის განსაზღვრისას მთავარია ერთგვარი საგნობრივი მიმართების („მიმართება საგანთან“) არსებობაზე მითითება, სხვა – მეორეულია (მხედველობაში გვაქვს კონოტაცია) (ბ. ფოჩხუა, მ. ჭაბაშვილი, ლ. ნოზაძე). სიტყვის მიმართება საგანთან, აღსანიშნთან, არის მისი მნიშვნელობა, რაც ლექსიკოგრაფიულად განმარტებაში უნდა იყოს წარმოდგენილი. მაშასადამე, სინონიმურ რიგს შეადგენს სემანტიკურად (საგნობრივი მიმართების მიხედვით) იგივეობრივი ისეთი სიტყვები, რომლებიც სინქრონიულად იხმარება ერთ ენობრივ (resp. დიალექტურ) წრეში, აქვთ საერთო დისტრიბუცია და შესწევთ უნარი კონტექსტებში ურთიერთჩანაცვლებისა.

სინონიმური რიგის საკითხი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს სიტყვანის (ლექსიკური ბაზის) საკითხს. საკუთრივ სინონიმური ერთეულები და მათი წარმოდგენის ფორმა ლექსიკონებში ცალსახად უკავშირდება ლექსიკონის შედგენის პრინციპებს: მასალის მეცნიერულ ანალიზსა და მოწესრიგებას. ამ თვალსაზრისით:

I. აქამდე გამოცემული ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონები (ნეიმანი I გამოცემა – 1951, II გამოცემა – 1961; ჯორჯანელი 2003) შეიძლება შეფასდეს, როგორც მხოლოდ სალექსიკონო მასალები, რადგან: ა) ამ ლექსიკოგრაფიულ შრომებში ლექსიკური მასალა შეტანილია უსისტემოდ; ბ) შესაბამისად, არაკვალიფიციურია წარმოდგენილი სინონიმური რიგები;

გ) სინონიმური რიგები უმეტესად განუმარტავია;

დ) სინონიმურ რიგებს სათანადო დოკუმენტაციები არ ახლავს ან საილუსტრაციო მასალა უსისტემოდაა წარმოდგენილი.

II. ქეგლის ბაზაზე მუშავდება ახალი „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“ (არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში), რომელიც ზემოთ დასახელებული ლექსიკოგრაფიული შრომებისაგან ძირეულად და პრინციპულად განსხვავდება არა მხოლოდ ჩამოთვლილ ხარვეზთა (უპირველესად, სინონიმურ რიგთა) დაძლევის გამო, არამედ სხვა მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეებით.

თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ „კვაზისინონიმთა“ და „აბსოლუტურ სინონიმთა“ შორის თავსდება სიტყვათა სინონიმური გამოყენების ყველა შემთხვევა (ფორჩუა 1980:293), სინონიმურ რიგთა დადგენა და შემდეგ თვით ეს რიგები ყველაზე პირობით ლექსიკოგრაფიულ პროდუქტად შეიძლება მივიჩნიოთ (ალბათ, ესაა კიდევ თავიდათავი მიზეზი იმისა, რომ ამგვარ ლექსიკონთა შედგენა ყველაზე რთულია!). ის ფაქტი, რომ საგნობრივი მიმართება მეტნაკლებად ახასიათებს ყველა სიტყვას, ხოლო ემოციურად და სტილისტურად ნეიტრალურია სიტყვათა უმეტესობა, მაგრამ მარკირებულია მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ სინონიმთა მოიცავს ლექსიკური ფონდის განსაკუთრებულ ნაწილს – ძირითადად კონოტაციით განსხვავებულ სიტყვებს.

ამ ეტაპზე ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ინტერესებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნით თვალსაჩინოებისათვის წარმოგვედგინა რამდენიმე სინონიმური რიგი, ფაქტობრივად ამონარიდები დამუშავების პროცესში მყოფი სინონიმთა ლექსიკონიდან, რომელსაც საფუძვლად უდევს ქეგლი (როგორც არაერთ სხვა ლექსიკონს). სინონიმური რიგების განსაზღვრისას საყრდენია ქეგლში გამოყოფილი მნიშვნელობები.

ნიმუშები:

1. ბავშვობა // სიბავშვე, ბაღლობა, ყმანვილობა // სიყმანვილე, მცირეწლოვანება, პატარაობა // სიპატარავე, უსაკობა, სიმცრო (ძვ.) ბავშვის (ბაღლის ასაკი).

ადამიანს თავისი ასაკები აქვს: ბ ა ვ შ ვ ო ბ ა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე (ილია). ჩემი ბ ა ვ შ ვ ო ბ ი ს ოცნება (ვაჟა). ჩემს ბ ა ვ შ ვ ო ბ ა ს, განვლილ დღეებს წინ გამიშლის, მომაგონებს (გ. კაჭახ.). შუაგეცხლთან მაქვს ჩემი ბ ა ვ შ ვ ო ბ ა გატარებული (რ. ინან.). ოთახში ბ ა ვ შ ვ ო ბ ი ს დროინდელი, დანაკერები შარვალი ეგდო (ფ. ხალვ.). ბ ა ვ შ ვ ო ბ ი დ ა ნ ვ ე მივეჩივე [ზღვას], – თქვა გულიკომ (თ. ნატრ.). ვცელქობდე, ვხტოდე ნორჩ ყვავილებზე, რომ მოვიგონო ჩემი ს ი ბ ა ვ შ ვ ე (ი. ევდ.). ბ ა ლ ლ ო ბ ი დ ა ნ ვ ე კეთილი იყო მარინე და მოსიყვარულე (ვ. ბარნ.). ერთიმეორე რარიგ გვიყვარდა, რა კარგი იყო ჩვენი ბ ა ლ ლ ო ბ ა (გ. აბაშ.). მჯდარა კი არა, მთელი ბ ა ლ ლ ო ბ ა სახედარზე არ გაატარა?! (თ. ბიბილ.). მე ყ მ ა ნ ვ ი ლ ო ბ ი თ ვ ე სხვა მზემ დამკრა და სხვაგვარად გა-

მითბო გული (ილია). სამართალში მიცემულ ბიჭს მიესაჯა ორი წლის ციხე მისი მცირეწლოვანების გამო (დ. კლდ.). იგი კარგი ცხენოსანია, პატარაობითვე ინვრთნება ცხენოსნობასა და თოფ-იარაღის ხმარებაში (ილია). ყოველი ახალი ზამთარი წინა წლის ზამთარზე დიდად ეჩვენება [ბებია მარიამს], ჩემს პატარაობას იცოდა ასეო (რ. ინან.). პატარაობის სახელი „გულო“ შემდეგაც აღარ მოაშორეს ამ ქალს (ე. ნინოშ.). როდესაც... მშობელი თავის შვილს დედაენას აშორებს და უცხო ენას ასწავლის... იგი ხელიდან ართმევს... ერთადერთ ძლიერ ღონისძიებას გონების სწორად გახსნისათვის სიპატარავის დროს (ი. გოგებ.). გონების გაუცნობიერებლობა... აქ გაპირობებულია უსაკობით (მ. ჯოხ.). [იასე] მაჰმადიანი იყო, სიმცრო დაწყების კარს აზრდელი (ვ. ბარნ.).

2. ბავშვობა, ბაღლობა, ყმანვილობა, გულუბრყვილობა, მიამიტობა, გამოუცდელობა, უემპაკობა.

ბავშვივით (ბაღლივით...) გულუბრყვილო საქციელი.

ეგ ხომ მტკნარი ბავშვობა იქნება? (ილია). რა არ გესმით, თავი დაანებეთ ბავშვობას... ვითომარიცით, რაზეც გელაპარაკებით (გ. ფანჯ.). ყმანვილობა იქნება ჩვენგან, ვიფიქროთ, რომ ფული თავისთავს სადმე დაივიწყებს და მოგებას არ აწყევბა (ილია). რა ყმანვილობა არის?! ხომ იცით, რომ განყენთ ეგ აღტაცება და აღელვება? (აკაკი). ანიკო გულუბრყვილობით ვერაფერს ამჩნევდა (კ. გაბ.). მე მათებს თქვენი სიჯიუტე თუ გულუბრყვილობა (გ. ფანჯ.). დამხატავის გულუბრყვილობამ დიდხანს აცინა იოვანე (ს. კლდ.). ცოლის გულუბრყვილობა სიამოვნებდა (ო. ჭილ.). მიამიტობა კეკლუც დედოფლებს ამშვენებს კიდევაც (კ. გამს.). [მერის] ბავშვური მიამიტობით ეჭიმება წარბები (რ. ინან.). ნამსვლელმა... ბოდიშით მიმართა მყოფთ იმ შეცდომებისათვის, მას რომ მოსვლია უნებლიეთ... გამოუცდელობის გამო (დ. კლდ.).

3. ბვშვობა, ბაღლობა, გოგობიჭობა // გოგო-ბიჭები, აჭალბუჭულები (საუბ.) // უჭულბუჭულები (საუბ.).

ბევრი ბავშვი (ბაღლი...) ერთად.

მთელი უბნის ბაღლობა მყავდა დაპატიჟებული (გ. ლეონ.) კაკლის ბერტყვაზე მთელი სოფლის ბაღლობა იყრიდა თავს (თ. ბიბილ.). გოგობიჭობა გაიფანტ-გამოიფანტა (კ. კობ.). ჩუმი ჟივილ-ხივილით დაიშალა გოგობიჭობა (გ. ბუთხ.). იოსები ცხრა წლამდე აქ იზრდებოდა თურმე სოფლის გოგო-ბიჭებსა და მწყემსებს შორის (ილია). სახლის ბანზე გაუმართავთ გოგო-ბიჭებს ცეკვა-ლხინი (შ. მღვიმ.). ცოლს არ ირთავ? გინდა შენი ძმა სოსიას აჭალბუჭულები გაახარო? (ვ. ბარნ.). პატარძალ-საპატარძლოები, აჭალბუჭულები და მოხუც-ბებრუცუნები სახლში დარჩნენ (ა. გალდ.). ჰოდა, ჩემმა ბედნიერმა ცოლმა და უჭულბუჭულებმა ახლა ამ თავლაში დაიდეს ბინა (ჯ. თითმ. თარგმ.).

1. ბიჭი, ყმანვილი, ჭაბუკი, ყრმა.

მამრობითი სქესის მოზარდი ადამიანი.

ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო! (ხალხ.). ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი, ეზიდება ზამთრის სარჩოს (რ. ერისთ.). ქაჯანა გახლავთ მეტი სახელი ერთი სოფლელი პატარა ბიჭისა (ნ. ლომ.). სცენაზე ერთი ბუთხუზა ბიჭი გამოვიდა (თ. ჭილ.). ყაყაჩოსა სინითლითა ყანა დაუმშვენებია, ყმანვილსა კარგი სწავლითა სახლი გაუხარებია (ხალხ.). თორმეტ-ცამეტი წლის ყმანვილე-ბიშვგობრობდნენ ნვერ-ულვაშიან მონაფეებსა (გ. ნერეთ.). იქაური ყმანვი-

ლები, ბიჭობის ვადა რომ გაუვიდოდათ, უბრალო კაცებად კი არ იქცევოდნენ... არამედ მეგობრებად (ჯ. ქარჩხ.). წელს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა მეოთხედ მოიპოვა საკავშირო თასი („ლელო“). აბგით ყრმები გამორბიან, მალხაზები ჰგვანან ციყვებს (გ. ლეონ.). თავაზიანი დედოფალი დადიოდა სოფელ-ქალაქად, ნათლავდა ყრმათა (კ. გამს.).

2. ბიჭი, ვაჟი, ვაჟიშვილი, ძე.

ადამიანის შვილი მამრობითი სქესისა.

ერთი ძუძუთა ბიჭი ჰყავდა იმ ქალსა (თ. რაზიკ.). ჩემი ბიჭი პატარაა ჯერ! (ნ. ლორთქ.). შენი ბავშვი სად არის? რატომ არ მაჩვენებ? ხომ ბიჭია? (შ. დად.). [ხეხილი] ჩემი უმცროსი ბიჭის დარგულია, იმ საცოდავისა (კ. კობ.). იყო ერთი მეზადური... წავიდა სათევზაოდ და თან თავისი ვაჟი წაიყვანა (ზღაპ.). კიკოლას და მის ცოლს, მართას, მიეცათ პირველი ვაჟი (ნ. ლომ.). არც ის ჯონდი მომწონს, ჩემისიყრმის მეგობრის ვაჟი (კ. გამს.). თინათინს... ხელთ ეპყრა ოქროსქორჩიანი მარგალიტივით ვაჟები (ვ. ბარნ.). ელენეს ვაჟი შეეძინა და ამასთან ყოველივე იმედი გაქრა წინანდელი სიამტკიბილობის (დ. კლდ.). ერთადერთი სამი წლის ვაჟი შვილის მეტი არავინა მყავს (ი. გედევ.). შენ კი გაიხარე იმ ორ ვაჟიშვილზე! (ს. მგალობ.). ვაჟიშვილი არ იქნა და არ აღირსა ღმერთმა (ფ. ხალვ.). შეიწყალა ღმერთმან და მისცა მეფესა ძე ერთი (საბა.). აქ არავინ გყავს მახლობელი და ნათესავი, კიდევან ჩემი მხოლოდშობილი ძისაკონსტანტინესი (კ. გამს.). იგი დაკვირვებით უთვალთვალებდა თავის ერთადერთძეს (გ. ციც.).

3. ბიჭი, ვაჟკაცი.

შენი გამჩენის ჭირიმი, შენი! ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი! (ილია). ბიჭის არის, საომრად ვინაც დაიწყებს ზიდილსა, ვინც განამებულ სიცოცხლეს დაამჯობინებს სიკვდილსა (ვაჟა). ველზე გასული ბიჭები ბრძოლისთვის გვეძახიანო (ი. ევდ.). აბა, ვინც ბიჭი და ნინ დამიდგეს! (ა. ცაგარ.). მერე უჩას მოგვარეები იმისთანა ბიჭები არიან, რომ წაუხვალ სადმე თუ? (ა. ბელ.). მამულის დამხსნელს ვაჟკაცის ხმალი და გული სდომია! ვაჟკაცის გამომჩენელიც მტერთან მედგარი ომია! (ილია). [ვახტანგმა] დაისვენა თუ არა, თავისი ჯარიდან ამოირჩია საუკეთესო ვაჟკაცი (ი. გოგებ.). პირდაპირია აფშინა, ვაჟკაცს არ უყვარს პარება (ვაჟა).

4. ბიჭი, შინამოსამსახურე.

ძველად: ხელზე მოსამსახურე ყმანვილი.

სადილის დასასრულს თავადმა უბრძანა ბიჭებს ახალი სუფრა გაეშალათ (ა. ცაგარ.). „ერთად წამოდიო“, – უბრძანა ბატონმა თავის ორ ბიჭს (ნ. ლორთქ.). კარებში მოზღვავებულიყო... ზანქანის ჯალაბობა: გამდელები, მოახლეები, ხელზე მოსამსახურე ბიჭები (შ. დად.). დუქნების წინ რამდენიმე ყასბის ბიჭმა გაირბინა (მ. ჯავახ.). ყმანვილმა ბიჭებმანიტელი ღვინო კოკებითა და თუნგებით შემოარბენინეს (რ. ჯაფ.). ბიჭი იყო, შინამოსამსახურე, ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა (ილია).

ვფიქრობთ, აღნიშნული სალექსიკონო ნიმუშები მკაფიოდ წარმოაჩენს სინონიმური რიგების დადგენისას ახალი სინონიმთა ლექსიკონის პინციპულ და სტრუქტურულ მახასიათებლებს, რომლის სიტყვა-სტატიის მოდელი ამგვარია:

სინონიმური რიგი (რიგის წევრთა კვალიფიკაციითურთ)

განმარტება

სადოკუმენტაციო ზონა (ილუსტრაციები რიგის თითოეული წევრისათვის).

ლიტერატურა

- არაბული 2004 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004;
ნოზაძე 2008 – ლ. ნოზაძე, ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემები, თბილისი, 2008;
სილაგაძე 1981 – ჯ. სილაგაძე, ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის საკითხები, თბილისი, 1981;
ფონხუა 1974 – ბ. ფონხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974;
ფონხუა 1980 – ბ. ფონხუა, ქართული სინონიმის ლექსიკოგრაფიული საკითხები, იკე, XXII, თბილისი, 1980;
ჭაბაშვილი, ნოზაძე 1993 – მ. ჭაბაშვილი, ლ. ნოზაძე, ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი, იკე, XXXII, თბილისი, 1993.

გიორგი ცოცანიძე

ქეთელაურიდან ნასკვაურისძემდე, ანუ ზოგი რამ, რაც ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს მიღმა იკითხება

სტატია ინერება ჩემი უმცროსი კოლეგების, ნინო ჭუმბურიძისა და ციციწო კვანტალიანის „მკაცრი დავალებით“.

მე, პენსიონერს და ამის გამო არავალდებულს, ჩვევად მაქვს გადაქცეული: ყოველ სამშაბათს, რაიმე საქმე მაქვს თუ არა, როცა ქალაქში ვარ, უეჭველად შევივლი ხოლმე ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მივიკითხ-მოვიკითხავ იქაურობის ამბებს, მონატრებულ კოლეგებს მოვინახულებ, თუ ტარდება, დავესწრები საინსტიტუტო სამეცნიერო შეკრებილობებსაც და თითქოს ვალმოხდელი ვბრუნდები სახლში. იმ სამშაბათსაც ქართველურ ენათა განყოფილების გამგის, გიორგი გოგოლაშვილის, სამუშაო ოთახში შესულს იქ დამხვდნენ ჩემი უმცროსი კოლეგები – ნინო ჭუმბურიძე, ციციწო კვანტალიანი, ცირა ჯანჯღავა და რუსუდან ლანდია.

– ბატონო გიორგი, – შესვლისთანავე მომმართა ნინო ჭუმბურიძემ – მე მითხრეს, რომ თქვენ ესწრებოდით ლიტერატურის ინსტიტუტში ალუდა ქეთელაურის „ლიტერატურულ გასამართლებას“, მართალია?

– მართალია-მეთქი.

– გვიამბეთ, როგორი სასამართლო იყო.

და მეც, რაკი აქამდის არ მომცემოდა შესაძლებლობა, ვინმესთვის გამეზიარებინა ის დადებითი ემოციები და შთაბეჭდილებები, იმ იმპროვიზებულ „სასამართლოზე“ რომ მივიღე, დავჯექი და სიამოვნებით ვუამბე, რაც მახსოვდა და როგორც შევძელი.

5 მაისს, დღის ორ საათზე, ლიტერატურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი. ყველა დასაჯდომი ადგილი ხომ დაკავებული იყო და ფეხზედაც ბევრი იდგა. თავი მოეყარათ ლიტერატორებს და ლიტერატურის მოყვარულებს, ვაჟა-ფშაველას გენიის თაყვანისმცემლებს. ალექსანდრე ორბე-

ლიანის საზოგადოების ეგიდით იმართებოდა ლიტერატურული „გასამართლება“ ვაჟას პოემის – „ალუდა ქეთელაურის“ – მთავარი მოქმედი პირის, ალუდასი. სასამართლოს წარმართავდა საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალი როსტომ ჩხეიძე, რომელსაც გაეხსენებინა მისი ბავშვობისდროინდელი, ან შეიძლება უფრო ადრინდელიც, სადღეისოდ მივიწყებული ლიტერატურული მოვლენა – „გასამართლება“ ლიტერატურული ნაწარმოების გმირებისა, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, სულაც არ არის დასავიწყებელი: იგი მსმენელ-მაცურებელს კიდევ ერთხელ გაუსიგრძელებს ხოლმე ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტის არსს და მკითხველს უეჭველად უწყობს ხელს თხზულების პერსონაჟთა ტიპაჟის სიღრმისეულ წვდომაში.

მაშ ასე: „პროცესზე“ წარმოდგენილი იყო სასამართლოს სრული შემადგენლობა თავისი მოსამართლით, ბრალდებულ-ბრალმდებლებითა და მოწმეებით: მოსამართლე – ამირან არაბული, მოსამართლის თანაშემწეები: ნანა კუცია და სალომე კაპანაძე; ბრალდების მხარე – „პროკურორი“, – ახალგაზრდა ლიტერატორი ლია კუხიანიძე; „ადვოკატი“ – მაია ჯალიაშვილი; ალუდა ქეთელაურის წარმომადგენლად გამოდიოდა მისი „ნდობით აღჭურვილი პირი“ თემურ ქორიძე; მოწმის სახით დაიკითხა ალუდას ცოლის, ლელას, წარმომადგენელი ეთერ თათარაიძე; მონაწილეობა მიიღო პროფესიონალმა იურისტმა თემურ გრიგალაშვილმა, რომელიც „დანაშაულს“ აფასებდა წმინდა იურიდიული თვალსაზრისით. შთაბეჭდილებები გამოთქვეს დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომელთაგან ზოგი მახსოვს, ზოგი – არა და, რომ ვინმეს გული არ დაეწყვიტო, მათგან პერსონალურად არავის დავასახელებ.

იუმორის ელფერდაკრული მთელი ეს „სასამართლო პროცესი“ მიმდინარეობდა სამართლებრივი პროცედურების სრული დაცვით. იუმორი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მოპაექრეთაგან არაერთგზის ხსენდებოდა ძველ ელინელთა სასამართლოც, სოკრატეც და თანამედროვე სტრასბურგიც. მხარეების მოსმენის შემდეგ მოსამართლემ გამოიტანა თითქოს მოულოდნელი განაჩენი: მიუხედავად იმისა, რომ ალუდა ქეთელაური ფორმალური იურიდიული თვალსაზრისით დამნაშავეა, წმინდა ადამიანური, ჰუმანისტური პოზიციიდან იგი მართალია, რადგან ერთგული და მოყვარულია იმ საზოგადოებისა, რომელმაც იგი მოიკვეთა; ამიტომ ამ სასამართლოს განაჩენით მას უფლება ეძლევა, დაბრუნდეს სამშობლოში და იცხოვროს იქ, როგორც მისმა სრულუფლებიანმა წევრმა.

ყველა გამომსვლელის სიტყვა, ოფიციალურისაც და არაოფიციალურისაც, ალბეჭდილი იყო ტექსტის ზედმინევენითი ცოდნით და ავტორისეული იდეის ღრმა გააზრებით. ამ მხრივ ეს პაექრობა უნაკლო იყო. რაც შეეხება სასამართლოს პროცედურულ მხარეს, მე მომეჩვენა, რომ ძირითადი ბრალდება, რითიც ალუდა გასამართლდა – თითქოს იგი ხევისბრის უფლებებში შეიჭრა და მისი ფუნქციები მიითვისა – ვერ იყო საკმარისად დასაბუთებული, უფრო მეტიც, ალუდას ხევისბრის უფლება-მოვალეობები არ მიუთვისებია. ეს უკვე ჩემი კონტრბრალდებაა სასამართლოს ბრალმდებელთა მიმართ. ამ ჩემეული ბრალდების საფუძვლიანობის გასამაგრებლად სასურველი იქნება მსჯელობა უფრო შორიდან დავინყოთ და სათანადოდ გავერკვეთ იმ მოვლენის არსში, რის საფუძველზეც ბრალი წარედგინა ალუდა ქეთელაურს. ძნელია დაუპირისპირდე იმას, რაც, ერთი შეხედვით, თითქოს სიუჟეტის ზედაპირზე დევს, თუ მოვლენათა სიღრმისეულ შრეებში არ ჩაიხედე და არ წამოსწიე წინ ის პასაჟები, რაც უეჭველად იკითხება ავტორისეული სტრიქონების მიღმა. აქ არ შეიძლება არ გავიხ-

სენოთ ვაჟას ფენომენის უდიდესი მკვლევრის, პროფესორ გრიგოლ კიკნაძის, ნათქვამი: „ვაჟა-ფშაველა დიდი ხელოვანია და ამიტომ კვლევა-ძიების ერთ დონეზე ნამდვილად დაუძლეველია იგი. თვითონ ვაჟა ადვილად თხზავდა, ჩვენ კი ძნელად გასარკვევი თხზულებები დაგვიტოვა, რაცაა მისი პოეტური სიცოცხლის უკვდავების პირობა“. და კიდევ: „ვაჟა-ფშაველა შორეული წარსულიდან იწვევს განსასახიერებელ მასალას და თანამედროვეობის ასპექტში აშუქებს მას. ე.ი. გასაგებად და საჩვენოდ აქცევს შორეული წარსულის ადამიანთა გრძობებსა და აზროვნების შინაარსს“. ასეა „ალუდა ქეთელაურის“ შემთხვევაშიც: მასში მოთხრობილი ამბავი ვაჟას ეპოქაზე ბევრად ადრინდელი ხევსურეთის ცხოვრების ანარეკლია. იგი რეალური არაა, ავტორის გამონაგონია, როგორც თვითონვე ამბობს იპოლიტე ვართაგავას საპასუხოდ დაწერილ ერთ წერილში, მაგრამ რეალისტური კია – ამგვარ მოვლენებს შეიძლება ადგილი ჰქონოდა ხევსურეთის არც თუ ძალიან შორეულ წარსულში. ალუდა ქეთელაურის ბრალი ისაა, რომ მან ბზარი გააჩინა ტრადიციული ადათების უმტკიცესი სალტეებით შეკრულ თემური საზოგადოების ორგანიზმში – ერესის ბაცილით დაასნებოვნა იგი. დიახ, ალუდა ერეტიკოსია. იგი მარტო დაუპირისპირდა მთელი საზოგადოების იმ რწმენას, რომლის ძალითაც „ქისტის ცხონება არ დაწერილა რჯულად“ და რომ „წესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მოსჭერ დანითა“.

ალუდამ მტერი დაამარცხა, ორივე მოძალადე მოკლა, ნადავლი წაართვა და გამარჯვებული ბრუნდება უკან. ასეთ შემთხვევაში მეომარს თავმონონება და მტერზე გამარჯვებით სიამაყის ლხენა ჰმართება. ასეთ დროს, ალბათ, ნებისმიერი სხვა ხევსურის ომახიანი სიმღერის ხმები შესძრავდა გარემორტყმულ მთაკლდეებსა და ქიუხებს. ალუდა კი დაღვრემილი მოდის – მას „არ ეწონება თავია, პირს დასწოლია ფიქრები, გულით ნადენი, შავია“. რა ფიქრებია ეს? ეს სინანულის ფიქრია, კარგი ვაჟკაცის მოკვლამ რომ გააჩინა მის გულში. ამ სინანულის გამო არ მოაჭრა მან მუცალს მარჯვენა ხელი და არ წარუდგინა თანამოძმეებს მოპირდაპირესთან შერკინებაში გამარჯვების დასტურად. პირიქით – მან ჩაიდინა ხევსურეთში მანამდის გაუგონარი და უანდერძო საქციელი: დაიტირა და გააპატიოსნა თავისგანვე მოკლული „ურჯულოს“ ცხედარი:

„ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
 ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო!
 მკლავზედავ გებას მარჯვენა,
 შენზედ ალალი არიო,
 შენ ხელ შენს გულზე დამიწდეს,
 ნუმც ხარობს ქავის კარიო!
 კარგი გყოლია გამდელი,
 ღმერთმ გიდლეგრძელოს გვარიო.
 სიგრძივ გაჰხურა ნაბადი,
 ზედ გადაადვა ფარიო“.

ხევსურებისთვის გაუგებარია ალუდას ეს საქციელი, ხოლო აღიარებამ კი – „ვერ გავიმეტე მუცალი მარჯვენის მოსაჭრელადა, გული გამიწყრა, არა ჰქნა, რაც საქნელია ძნელადა, დაე, დააკლდეს სახელსა, მე გირჩევივარ მრჩეველადო“, აავსო „ახალ-უხალთა“ რისხვის ფიალა და ავად შეუძახეს მას: „გამუქცევიხარ ქისტის შვილს, გადუქცევიხარ ქალადაო“. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ მტერს მოერიო, მოკლა იგი და ამის დასტურად მოჭრილი ხელი არ წამოი-

ლო თან. მათი აზრით, ცხადია, ალუდა ცრუობს, რაშიც ეჭვიც კი არ ეპარებათ, რის გამოც „ზურგი აქციეს ალუდას, პირითა ჯავრიანითა, თავთავის სახლებს მიჰმართეს, ჭერხოთით კარიანითა, სახელსა ალუდაისას იძახდეს ბრალიანითა“. ალუდასა და მის თანამოძმეებს შორის კონფლიქტის ეს პირველი აბრიალებული ალი ადვილად ჩააცხრო საქმეში მინდიას ჩარევამ, ვინც ალუდას სიმართლის დასამტკიცებლად მოკლული ქისტის მოჭრილი მარჯვენა მოიტანა შატილში, თან საყვედურიც უთხრა ახალგაზრდებს: „ახლებო, სისხლი გიფუისთ, სჭრითა და ჰკერავთ გულითა, გულს ათრეინებთ გონებას, თავს აჭრეინებთ ცულითა, ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა, მის ვაჟკაცურის რჯულითა“ და აქვე გაისმის დამრიგებლური შეგონებაც: „ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ, გული'დ გონება ძმანია“.

გულისა და გონების კონფლიქტი ერთი მნიშვნელოვანი მოტივია ვაჟა-ფშაველას ამ ხასიათის პოემებისა და, ზოგადად, მისი შემოქმედებისაც. ალუდას გონება ეუბნება, რომ მოკლულ მტერს მარჯვენა უნდა მოაჭრა, თორემ „სახელს დააკლდება“ – პირისპირ ბრძოლაში ძლეულ მტერთა სათვალავს არ მიემატება. გული კი ეურჩება: ღირსეული ვაჟკაცი ხელის მოსაჭრელად არ ემეტება. ალუდა გულს უჯერებს – „დაე, დააკლდეს სახელსაო“.

მინდიას მიერ მოტანილმა მარჯვენამ მეთემეთა გულისწყრომა ჩააცხრო. მათთვის ალუდა კვლავ თემ-სოფლის საამაყო და საიმედო ვაჟკაცია. აკი ხევისბერი ბერდიაც ეუბნება მას, „ვაჟკაცი სახელიანნი ჩვენს ბატონს ებედებისა“. თვით ალუდას გულის სასინანულო ფორიაქს კი არაფერი ეშველა: მას კომმარული სიზმრები არ აძლევს მოსვენებას, რომლებიც ისევ და ისევ მუცალის მოკვლის გამო სინანულითაა დაღდასმული. მას სულს უშფოთებს სიზმრად ხილული მისი სახება და მისგანვე ნათქვამი საყვედური: „თქვენ დაგრჩესთ ნუთისოფელი, მე კი წავიდე ქვეყნითა, დაძელით, ხევსურთ შვილებო, ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“. ამას მოსდევს კიდევ უფრო საშინელი კომმარი: კაცის თავ-ფეხით შეზავებული წვნიანი. ალუდას ამ საშინელი ჩვენებებიდან თავის დახსნის იმედად მუცალის სულის საოხად სალოცავისთვის მსხვერპლის შეწირვა-ლა ესახება. ამიტომ წარსდგება იგი გუდანის ჯვრის კარზე შავი კურაგით და სთხოვს ხევისბერს, დაუმწყალოვნოს „ძოდან მოკლული ქისტი“. მას მისთვის გაუმეტებია ეს სამსხვერპლო კურაგა, „როგორც უნდომლად მოკლულის თავის ლამაზის ძმისთვისინა“. აი, აქაა კულმინაცია პოემის სიუჟეტური ხაზისაც და ალუდას გულის კარხანით ჩადენილი საქციელისაც. კულმინაციის მთელი სიმწვავე მკითხველისთვის საცნაურდება ალუდასა და ხევისბერ ბერდიას შორის გამართულ ცხარე დიალოგში. ხევისბერი შეახსენებს ალუდას, რომ ამ ანდერძადაც კი გაუგონარი საქციელით იგი „ურჯულოვდება“, რომ არა თუ კურაგის შეწირვა ქისტის სულისთვის, მისი საცხოვრებელი სიტყვაც კი არ უნდა ამოსცდენოდა მის ბაგეს. ალუდაც თავისაზე დგას: ისიც ხომ ხევსურია, ხევსურეთის მთისა და წყლის შვილი, ყმა გუდანის ჯვრისა და უფლება აქვს, შესწიროს თავის „ბატონს“ მსხვერპლი, ვისთვისაც ემეტება, იმისი ცხოვრებისათვის. „ძღვენსა ნუ გამიმსუბუქებო“, ეხვეწება იგი ხევისბერს, მაგრამ ბერდიაც უკომპრომისოა, როცა თემის ადათების მტკიცედ დაცვას ეხება საქმე: „ფერი ედება ბერდიას, ფერი სხვაგვარის შიშისა“. დიახ, შიშისა! რა შიშია ეს? ის გრძნობს, რომ ხევსურთა ადათ-წესებისა და რწმენა-წარმოდგენების არსში ალუდას სახით ერესის ბაცილაა შეპარული და ვაი თუ იბარტყოს?!. ამიტომ მისი პასუხი შეუვალია: „ტყუილად სცდები, ალუდავ, ტყუილად იცვეთ პირსაო“. აი, ამ სიტყვებზე კი „გაჯავრდა ქეთელაური“ და მერე როგორ გაჯავრდა: „ფერი დაიდვა მგლისაო!

ხელი გაიკრა ფრანგულსა, შუქი ამოხდა მზისაო, უქნივა მოზვერს ქედზედა, თავი მიგორავს ძირსაო“. აი, ეს საქციელი ჩაუთვალა ბრალდების მხარემ ალუდას დანაშაულად – მიიჩნია რა, რომ მან ხევისბერის ფუნქცია მიითვისა და მსხვერპლშენირვის რიტუალი შეასრულა, რის უფლებაც მას, ხევისურთა ადათით, არა და არ ეპატიება. ხევისბერის მიერ მისთვის გამოტანილი განაჩენი: „მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შენამზირები“ და თანაც „ჰრისხავდეს ჩვენი ბატონი, არ არის შესაბრალებიო“, სამართლიანად ჩათვალა. სინამდვილეში კი სულ სხვა რამ იკითხება ავტორისეული სტრიქონების მიღმა: ალუდას ხევისბერის ფუნქცია არ მიუტაცებია და არც მისი მოვალეობა შეუსრულებია. მან უკიდურესად გაჯავრებულმა, აფექტის მდგომარეობაში მყოფმა, გააგდებინა ხმლის ერთი მოქნევით მოზვერს თავი. აფექტი კი გამოიწვია ბერდიას სიტყვებში: პირს ტყუილად იცვეთო. წარმოვიდგინოთ, როგორი დიდი უნდა ყოფილიყო აფექტის ძალა, რომ კაცს, რაც უნდა ძლიერი მკლავი ჰქონოდა და რაც უნდა ბასრი ხმალი სჭეროდა ხელში, სამი წლის კურატისათვის ერთი მოქნევით თავი გაეგდებინებინა, თუ კიდევ სხვა ზედდართული ძალა არ იმოქმედებდა მასზე. აფექტის ეს ფაქტორი გამორჩა მხედველობიდან ბრალმდებელს, როცა მან ხევისბერის მოვალეობის თვითნებური მიტაცება დააბრალა ალუდას. არა. ალუდას არ მიუტაცებია ხევისბერის ფუნქცია, რაც უეჭველად იკითხება პოემის სტრიქონებსმიღმიერ პასაჟებში და რომელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოვიკითხავთ, თუ გავითვალისწინებთ ხევისბერის საღვთისმსახურო მოქმედებათა მთელ წყებას, რაც აუცილებლად უძღვის ხოლმე წინ ხატის კარზე სამსხვერპლო ცხოველის შეწირვას.

ჯერ ისა ვთქვათ, თუ საიდან ვიცით, რომ ალუდას მიერ ხატის კარზე მიყვანილი კურატი მაინცდამაინც სამი წლისაა. ვიცით, რომ სამსხვერპლო ცხოველი კენტი წლოვანებისა უნდა იყოს, აუცილებლად მამალი და აუცილებლად დაუკოდავი – ერთი, სამი ან ხუთი წლისა. ალუდა „ხევისბერს აძლევს მოზვერსა, დადგა დახრილის თავითა“, ამბობს ვაჟა. ერთი წლისა ჯერ მოზვერი არაა, ხბოა. ორი და ოთხი წლისას ხატი არ შეინირავს, ხუთი წლისა უკვე ხარია და არა მოზვერი. ე.ი. ალუდამ მუცალის სულის საცხონებლად თავის ნახირში სამი წლის შავი მოზვერი აარჩია და იმითი წარუდგა ხევისბერს. ხევისბერი ჯერ „დიდებას“ იტყვის. ეს ერთი საღვთისმსახურო კანონიკური ტექსტია. აკი აქაც ბერდია „ხანჯარს აიძრობს, დიდების სათქმელად დაეღირება“. მერე ანთებული სანთლით ხელში მსხვერპლს „სახელს შაზდებს“, ე.ი. ხატს შესთხოვს, მიიღოს იგი იმისი სულის საცხონებლად, ვისთვისაც იგი შემწირველს გაუმეტებია. მერე კურატს ანთებული სანთლით შუბლზე ბალანს შეუტუსავს, ხოლო სანთელს ხატის ყორეზე მიაკრავს. ამის მერელა წამოაქცევინ მსხვერპლს და ხუცესი ყელში ხანჯლის გარჭობით (და არა გამოსმით) დაკლავს მას ისე, რომ ყელიდან წამოსული სისხლის ნაკადი სალოცავის ნიშის ყორეს ესხურებოდეს. ქნა ყოველივე ეს ალუდამ? არა, არ უქნია და, მამასადამე, არც ხევისბერის მოვალეობა შეუსრულებია. ასე რომ, მისთვის წაყენებული ბრალი ხევისბერისაც და „პროკურორისაც“ უსამართლოა.

გაბრაზებული ხევისბერის მონოდებაზე „ხევისურთ შვილები“ იარაღს მიმართავენ – „უნდა სცან ქეთელაურსა, კაპასად ჟღერენ რვალები“, მაგრამ ვერა სცეს. რატომ? იმიტომ, რომ ალუდამ, როგორც კი მოზვერს თავი გააგდებინა, უაღრესად გამწყრალმა, ერთი ეს კი დაჰვედრა, „აღლადა ჰქონდეს მუცალსა, იმ მოუნათლავ გმირსაო“ და ზურგი აქცია ხევისბერსაც, ხატსაც, თავმოკვეთილ

მოზვერსაც, მისთვის საცემრად აღელვებულ „მასმულ“ ბრბოსაც და წავიდა. იკითხავთ, ეს საიდანღა იციო, ეს ხომ იქ არ წერიაო. მართალია, არ წერია, მაგრამ ავტორისეული სტრიქონების მიღმა მკითხველი მას კითხულობს იმ ცოდნის ძალით, რომ კავკასიელ მთიელთა მეომრული კოდექსით ზურგმექცეულ მონინალმდეგეს ზურგიდან ვერ დაარტყამ, თუ ბრძოლისას მის სახეს არ ხედავ. გავიხსენოთ თვით ვაჟას სიტყვები პოემიდან „სისხლის ძიება“. „კაცი ვით ჰკლავდეს მოსაკლავს, არ უხედავდეს სახესა“. ჭეშმარიტი მწერალი თხზულებაში უტოვებს თავისუფალ ადგილებს მასთან ჰარმონიაში მყოფ მკითხველს მხატვრული შემეცნებისათვის (2014 წლის ფრანგი ნობელიანტი მწერალი პატრიკ მოდიანო). ამგვარი თავისუფალი ადგილები ვაჟას თხზულებებში არაერთია. აქაც, მე, როგორც მკითხველი, ცხადია, ვხედავ ზურგმექცეულ ალუდას, რომელიც გაჯავრებული ილტვის აჩოჩქოლებული ხატის კარიდან შორს, ალბათ შინისკენ. ესაა ის კრიტიკული წერტილი კონფლიქტისა, რომელიც უკვე აღარ აპატიო თემმა ალუდას და მოიკვეთა, გადაძევა იგი მშობლიური კუთხიდან. მკაცრ ზამთარში მოუხდა მას თავისი საცხოვრისის დატოვება, ოჯახიანად გადახვეწა უცხო მხარეში, როცა „თოვლი თოვს, ქარი ბობოქრობს, ყელზე შეკრულა მთებისა“. ეს ფაქტი ზოგ ლიტერატორს მწერლისგან უნებლიეთ დაშვებულ ანაქრონიზმად ეჩვენება: ზაფხულში მოიკვეთეს და ოჯახი კი ზამთარში ტოვებს სამშობლოსო, მაგრამ მკითხველი, ვინც კარგად იცნობს იმ სამყაროს, სადაც პოემაში მოთხრობილი დრამატული ეპიზოდები თამაშდება, ვერ დაინახავს აქ რაიმე ქრონოლოგიურ შეუსაბამობას. ალუდამ კურატი გუდანის ჯვრის ხატობაზე მიიყვანა და ხევისბერს ეუბნება, ეს „ძოდან“ მოკლული ქისტის „სამხვეწროაო“. „ძოდან“ დიალექტური სიტყვაა და სალიტერატურო ქართულის „ამასწინათს“ შეესაბამება. ე.ი. ქისტებმა შატილიონთა ცხენები გაზაფხულზე, ხევსურთა „ათენგენობებამდე“ სადღაც ორიოდ კვირის წინ გაიტაცეს და ალუდასა და თემს შორის კონფლიქტსაც აქედან დაედო სათავე. შემდეგ ზაფხულის დასაწყისია, ხევსურთა ხატობების პერიოდი, როცა კონფლიქტი კულმინაციას აღწევს. ხევისბერი მოითხოვს ალუდას გადაეცემა, მაგრამ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც კაცის მოკვეთაა, თემი „რჯულის“ ანუ ხევსურული სასამართლოს გარეშე ვერ იზამს. „რჯული“ ხევსურეთის ყველა თემიდან შეყრილი „კითხული კაცების“ კრებაა, რომელშიც თორმეტი პირი უნდა მონაწილეობდეს. ხევსურთა „ათენგენობებს“ თანვე მოჰყვება საზაფხულო და საშემოდგომო სამეურნეო სამუშაოების – თიბვა-მკისა და კალობა-წისქვილობების ხანგრძლივი, მძიმე პერიოდი. უნდა ვიფიქროთ, რომ ზაფხულში და ადრე შემოდგომაზე „რჯულში“ მონაწილეობისათვის ვერაფერს მოიცლიდა. „მერჯულეთა“ გუდანის ჯვარში, ხევსურთა ამ მთავარ სალოცავში, შეყრა გვიან შემოდგომამდის ვერ მოხერხდებოდა. ეს „რჯული“ არ იყო ერთ და ორდღიანი პროცესი – მას წინ უძლოდა „მერჯულეთაგან“ გარკვეული საღვთისმსახურო წესების შესრულება და თვით სასამართლოც რამდენიმე დღეს გაგრძელდებოდა – ალუდასწინაირი კაცების თემიდან გადაეცემა არ იყო იოლად გადასაწყვეტი საკითხი. ვაჟამ ხომ ყველაფერი ეს ზედმინვნით კარგად იცის და, უეჭველია, ეს ცოდნა შინაგანად ჰკარნახობს, რომ დროში ასე განალაგოს მოვლენათა თანმიმდევრობა. ცხადია, ვერც იმაში დაინახავდა რაიმე უცნაურს, თუ ისეთი საძნელო საკითხის გადაწყვეტას, როგორც ალუდას გადაეცემა იყო, ზამთარი მოუსწრებდა (აქ ხომ ნოემბრიდან უკვე ზამთრდება). და აი თოვლ-ქარბუქიან ამინდში მიდის იგი, მიჰკვალავს უდაბურ მთას და „ხუთიც უკვინა ჰყვებისა“.

ლიტერატურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გამართულ ამ „სასამართლო პროცესზე“ მოსამართლის ერთმა თანაშემწემ, თუ არ ვცდები, ნანა კუციამ (თუ ვცდები, ბოდიშს მოვუხდი სალომე კაპანაძეს), აუდიტორიის ყურადღება მიაქცია ავტორისეულ ერთ პასაჟს: ალუდამ და მისმა ოჯახმა თოვლიანი მთა გადაკვალა, მაგრამ მათ უკან „თხრილი აღარ ჩანს კვალისა“ – მას ქარ-ნამქერი თანავე შლის და ასწორებს. ეს ნაშლილ-გადასწორებული ნავალი გამომსვლელმა იმის სიმბოლოდ მიიჩნია, რომ ალუდასეულმა ერესმა საზოგადოების ცნობიერებაზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია, იგი უკვალოდ დაიკარგა. ეს ისეთი პასაჟიაო, ბრძანა მან, რომლის ბადალიც მსოფლიო მწერლობაში ძნელად თუ მოიძებნებაო. ჭეშმარიტად მახვილგონივრული დაკვირვებაა, მაგრამ აქვე არ შემიძლია ახალგაზრდა კოლეგის ყურადღება არ მივმართო ერთი, ჩემი თვალსაზრისით, უაღრესად მეტყველი, ფაქტისკენ: როცა განრისხებული ხევისბერი ხევსურებს მოუწოდებს ალუდას დედა-ბუდიანად განადგურებისაკენ და „შას-მულ“ ხევსურ „ახალ-უხალთა“ რვალები „კაპასად“ აჟღერდებიან, იქვე მყოფ მინდიას „მოუწყლიანდის თვალები, ველარას შველის ალუდას, გულზე გადინყვის მკლავები“. აი, ეს გულზემკვლავებგადაწყობილი უმოქმედოდ გაჩერებული მინდია იმის გამოხატულებაა, რომ ალუდას ჯანყს, რისიც ასე ეშინია ხევისბერ ბერდიას, უკვალოდ არ ჩაუვლია – მან რაღაც კვალი მაინც დაატყო თემის ცნობიერებას. დიახ, ალუდა ერეტიკოსია, აქტიური, აჯანყებული ერეტიკოსი. ერეტიკოსია მინდიაც, არც ის იზიარებს თემის ზოგად გულისთქმას, თანაურგრძნობს ალუდას, მაგრამ ჯერჯერობით პასიურია, უბრალოდ განზე დგას საზოგადოების საყოველთაო ვნებათაღელვისაგან. ვაჟამ იცის, რომ ადრე თუ გვიან ეს ერესი იმძლავრებს და მოიცავს მთლიან თემს თუ არა, მის მნიშვნელოვან ნაწილს მაინც. და მართლაც, მოვლენის ამგვარ განვითარებას ვხედავთ მის ოდნავ მოგვიანებით დაწერილ პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“. ქისტებმა აღასრულეს თავიანთი ადათებრივი წესი: ხევსურთაგან მოკლული დარლას საფლავი გადანათლეს ზვიადაურის სისხლით. რაღაც სინანულისდაგვარმა გრძნობამ კი თითქმის ყველა მათგანის გულები მოიცვა. მათ დააფასეს „გიაურის“ შეუდრეკლობა: „კარგი ვაჟკაცი ყოფილა, ყველა ალაჰსა ჰფიცავდა, ამიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა, თავის მიწა-წყალს იცავდა“. და კიდევ: „ხომ მაგას არ მოვუკლავდით მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ“. ჯოყოლასა და ალაზას არსებაში ხომ გულმა აშკარად დაჯაბნა გონება. ალაზა მალულად დასტირის ზვიადაურის ცხედარს, თუმცა:

„ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით ღმერთი ამინებს,
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცური სიკვდილი
გულიდან არა ჰქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი
შიგ გაეყარა ისრადა,
ამან დაადვა ლამაზსა
დაკლულის გლოვა კისრადა“.

და აქვეა ჯოყოლას განაჩენიც ცოლის ამ საქციელის გამო: „იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა, დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“.

როგორც ვხედავთ, თვით ვაჟას წარმოდგენით, ალუდას ერესმა გარკვეული კვალი დაატყო მთიელთა იმ შორეული საზოგადოების შეგნებას, რომელსაც ამ პოემებში მოთხრობილი ამბები შეეხება. ეს კვალი ცხადად მოჩანს ხევსურეთშიც და ქისტეთშიც, თანაც ამ უკანასკნელში უფრო მძაფრად და შთამბეჭდავად, მაგრამ საკითხი უფრო სხვაგვარადაც დაისმის: იქონია თუ ვერა გავლენა ამ ერეტიკულმა გამოვლინებებმა მთიელთა უფრო გვიანდელი საზოგადოების ცნობიერებაზე? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ერთი, სავარაუდოდ, თუშეთში შექმნილი საგმირო ლექსი ვინმე როშკიონ ხევსურ ნასკვაურიძეზე, რომელიც თუში მეღეჟის აღტაცების ობიექტი გამხდარა:

„ცხენს ეტყოდ ნასკვაურიზე, როშკას გაზდილი, საღარსა:
ცხენო, გატყობან, გეშინის, ბექებს ვერ ხფრინავ მაღალსა.
ჩაგკიდებ ბექ-ბუქიანსა, ჩაგაფრენ მაღალ-მაღალსა;
ყიდუელთ ყანებს აქებენ, ჩაგადებიებ ნაღარსა,
საგათენებოდ დაგაბამ ყემეშოს ყოჩის ბაგასა.
მეორეს დილა ჩახედვენ, ნასკვაურიზემ სად არსა?
ომშია ნასკვაურიზე, მაგის გამოსვლა გძლად არსა;
ლეკებს ხოცს, ხელებს არა შჭრის, ხევსურეთ წესად არ არსა,
ხელნ დაშჭერ, ნასკვაურიზევ, უხელოდ სახელ არ არსა“.

ეს ლექსი გვეუბნება, რომ 1857 წლისთვის, როცა მისი გმირი, როშკიონი ნასკვაურიძე, დაღესტანში, ქართული მილიციის თუშების ასეულის შემადგენლობაში იბრძვის, ხევსურეთში მოკლული მტრისთვის მარჯვენა ხელის მოჭრა წესად უკვე აღარ არის მაშინ, როცა თუშეთში იგი კვლავაც მკვიდრობს იმდენად, რომ სამხედრო ისტორიკოსი, ვოლკონსკი, რომელიც იმ წელს თან ახლავს შამილის წინააღმდეგ მონყობილ დიდოეთის ექსპედიციას, თუშ მეომრებს ზოგჯერ „ხელებზე მონადირეებსაც“ კი უწოდებს. იკითხავთ, ეგ საიდანღა იცი, რომ ლექსი 1857 წლის ამბებს შეეხება და ნასკვაურიძე ამ წელს თუშების ასეულის რიგებში მებრძოლი ხევსურიაო? გეტყვით, საიდანაც: იმ ზაფხულს, 17 ივლისს, აულ ხოტრახოს იერიშისას შეთე გულუხაიძეს უმცროსი შვილი, 23 წლის ხუტო, მოუკლეს. შეთემ დაავალა უფროს შვილს, დავითს, რომ დაადგინოს, ვისი ნასროლით მოკვდა ხუტო, რათა პირადად იძიოს შური შვილის მკვლელზე. დავითი ერთი თავისი სოფლიდან გამოძევებული ლეკის მეშვეობით დაადგენს, რომ ესაა ვინელი ჯიგიტი ალხანი. ლეკი ჰპირდება შეთეს, რომ იგი გაიყვანს მას მოსისხლეზე, ოღონდ სამაგიეროდ ითხოვს შეთესგან მისი მტრების სამი ოჯახის განადგურებას თავად მისივე მონაწილეობით.

– სადაა ახლა ლეკი? – ეკითხება შეთე დავითს.

– ჯამარჯიძესთანაა, – პასუხობს დავითი – ჰყარაულობენ კი მას ჩვენი ხევსურები. „ჩვენი ხევსურები“ ის ხევსურებია, რომლებიც ამ ექსპედიციის დროს თუშების ასეულში ირიცხებიან. იმ ზაფხულს თუშების ასეულმა გაანადგურა ლეკების აულები ყიდუ და ყემეშო, რომლებთანაც მათ პირადი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი. მაშასადამე, ლექსის გმირი ნასკვაურიძე, ვინც იმუქრება, რომ თავის საღარს ყიდუელთა ყანებს ჩაათელვინებს და მერე ყემეშოში ყოჩის ბაგაზეც დააბამს, თუშების მხარდამხარ მებრძოლი ხევსურია. ჩვენთვის მნიშვნე-

ლოვანი ისაა, რომ ნასკვაურიძე დახოცილ ლეკებს ხელებს არ აჭრის, „ხევსურეთ წესად არ არსო“. როდის გადავარდა ხევსურეთში მოკლული მოპირდაპირისთვის მარჯვენის მოჭრის ტრადიცია, ამაზე ვერაფერს ვიტყვით ვერც მე და ვერც სხვა. ვერც იმას იტყვის ვინმე, თუ რა გზით გადავარდა იგი ხევსურეთში – თემური სასამართლოს დადგენილებით თუ თანდათანობით, სახელოვან მეომართა მიბაძვით? მთავარი ისაა, რომ ალუდას მიერ ჩათესილმა ერესის ბაქტერიამ იბარტყა და შედეგად გამოიღო იმ „ცოდვა-ბრალით მონათლული სამართლის“ უარყოფა, რასაც პირველმა ალუდამ გამოუცხადა ბრძოლა. ნასკვაურიძის დროს კი იგი საბოლოოდ გადავარდნილია.

ბატონო გიორგი, ეს უნდა დაწეროთ! - ერთდროულად მომმართეს ნინომ და ციცინომ, როგორც კი თხრობა დავამთავრე. ხოდა დავწერე. გული კი მეთანაღრება: იქონიებს კი ეს დაწერილი რაიმე გავლენას ვაჟას პოემის ლიტერატურული გააზრებისას, თუ როგორც ჩემი თაობის კავკასიათმცოდნეობის კუმირი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა იტყოდა, „Этим науке не холодно, не тепло“.

ანა ხარანაული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თარგმანის ტექნიკა და ენის შესაძლებლობები

(პირობითი წინადადებების გადმოტანის მაგალითები ლევიტელთა წიგნის ქართულ თარგმანებში)

იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი, უფრო ზუსტად, განმსაზღვრელი როლი ჰქონდა თარგმანს ქართული მწიგნობრული ენის ჩამოყალიბებაში, არაერთხელ თქმულა (იხ. დანელია 1998; მელიქიშვილი 1975, 1999). უკვე ეფრემ მცირე აღნიშნავდა თავის კოლოფონებში იმას, თუ როგორ აიძულებდა თარგმანი ენას, რომ ამოქმედებინა თავისი შესაძლებლობები და გაემდიდრებინა ისინი, თუ როგორ ითვისებდა ან უკუაგდებდა ენა მისთვის უცხო ენობრივ კონსტრუქციებს (დობორჯგინიძე 2012:80-91); სწორედ ამიტომ, თარგმანის ცალკეული ენობრივი მონაცემის კვლევა დედანთან მიმარებაში საშუალებას გვაძლევს, ჯერ ერთი, უფრო ღრმად გავიცნოთ ქართული ენის ბუნება, დიაქრონიაში გავადევნოთ თვალი ახალ წარმოებებს სინტაქსისა თუ მორფოლოგიის სფეროში, მეორე მხრივ კი, სწორად გავიგოთ კონკრეტული ტექსტის შინაარსი.

ქართველ პირველ მთარგმნელებს განსაკუთრებულ სირთულეს ბერძნული ენის სინტაქსის ფორმალური ასახვა უქმნიდა. განსაკუთრებით რთული იყო ეს ბიბლიის თარგმნის შემთხვევაში, რადგანაც ქართული ჯერ არ იყო ნავარჯიშები უცხოენოვანი რთული სინტაქსური კონსტრუქციების ასახვაში და, გარდა ამისა, თავად ბიბლიის ბერძნული წარმოადგენდა სირთულეს ენობრივი თვალსაზრისით: ებრაული და ბერძნული სინტაქსის ეს ნაზავი უცხო იყო თავად ბერძნული ენისთვისაც – გასხვავდებოდა ბერძნულენოვანი ლიტერატურის ნატიფი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, იყო მოუხეშავი, ბუნდოვანი და ზოგჯერ გაუგებარიც კი. ამრიგად, ბიბლიის ქართველი მთარგმნელი ერთდროულად

ორი ენის – თარგმანის ენისა და ორიგინალის ენის პრობლემებს ეჭიდებოდა: მას უნდა სწორად გაეანალიზებინა ორიგინალის ენისთვის უცხო სინტაქსური კონსტრუქციები, უნდა განეჭვრიტა ებრაულ-ბერძნულ სამოსში გახვეული ტექსტის აზრი, უნდა გამკლავებოდა საკუთარი ენის გამოუცდელობას და ფორმალური და სემანტიკური ადეკვატურობით აესახა დედანი.

მიუხედავად იმისა, რომ პირველმთარგმნელთა მიერ შექმნილი არაერთი სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც თავდაპირველად უცხო იყო ქართული-სათვის, შემდგომი მთარგმნელების და მწერლების მიერ ხშირი გამოყენების შედეგად „ნებად ბუნებითად“ (ეფრემ მცირე) იქცა ქართულისთვისაც (დობორჯგინიძე 2012:89), მაინც რჩებოდა ისეთი სინტაქსური მოდელები თუ ამ მოდელების კერძო შემთხვევები, რომლებიც ისევ პრობლემატური იყო ქართველი მთარგმნელისათვის. იმას, თუ როგორ ვითარდებოდა ენა, როგორ ჩნდებოდა ახალი შესაძლებლობები, კარგად აჩვენებს ელინოფილური ეტაპის თარგმანები და, განსაკუთრებით, ე.წ. გელათური თარგმანების შეპირისპირება ადრეულ ქართულ თარგმანებთან; მაგრამ ამავე თარგმანების ურთიერთშეპირისპირება იმასაც ნათელყოფს, თუ რამდენად გადაჭარბებულია, ან, უფრო ზუსტად, რამდენად ზედმეტადაა განზოგადებული აზრი ძველი თარგმანის ე.წ. თავისუფალი ხასიათის შესახებ. ამის საილუსტრაციოდ განვიხილავ ერთი სინტაქსური მოდელის – პირობითი წინადადების გადმოტანას „ლევიტელთა“ წიგნის ძველქართულ ვერსიებში. ამასთან, შევხები სხვა სინტაქსურ კონსტრუქციებსაც თუ ქართულისათვის უცხო ფრაზეოლოგიას, რომელიც გზადაგზა შეგვხვდება პირობით წინადადებებში.

წინასწარ ვიტყვი, რომ გელათელ მთარგმნელებს წინ უდევთ ძველი თარგმანი, სავარაუდოდ, ოშკური ტიპისა და იქ, სადაც მათ ეს თარგმანი აკმაყოფილებთ, უცვლელად ტოვებენ ტექსტს. შესაბამისად, ყოველი ცვლილება გელათურ თარგმანში გააზრებულად და პრინციპული ხასიათისად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ყოველი უცვლელად დატოვებული ტექსტი – იმ მაქსიმალურ სიახლოვედ ორიგინალთან, რომლისთვისაც შეეძლო მიეღწია ქართულ ენას და გელათელ მთარგმნელს.

პირობითი წინადადებები

პირობითი დამოკიდებული წინადადება ლევიტელთა წიგნის ენის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია: ღმერთი მოსეს უყენებს პირობებს და აფრთხილებს იმის შესახებ, თუ რა მოხდება ამ პირობების შესრულების ან არშესრულების შემთხვევაში. ამ კონსტრუქციის წინადადებების სირთულე, მრავალფეროვნება და ინტენსიური გამოყენება ნოყიერ და საინტერესო მასალას წარმოადგენს როგორც სეპტუაგინტას, ისე მისი თარგმანების სინტაქსის თავისებურებებზე დასაკვირვებლად.

ჰომეროსიდან მოყოლებული, კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში პირობითი დამოკიდებული წინადადება სემანტიკური თუ ფორმალური მრავალფეროვნებით და გამოყენების სიხშირით ხასიათდება (Kühner/Gerth 463-488; Schwyzer 682-688). გვიანელინისტურ ხანაში და, განსაკუთრებით, ახალი აღთქმის ენაში, ამგვარი წინადადების სახეები რედუცირდა (Mayser 84-92; Blass/Debrunner/Rehkopf 301-306). ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში კი, ორიგინალის ენის გავლენის გამო, სპეციფიკური ფორმა შეიძინა.

პირობითი წინადადების ის სახე, რომელიც განსაკუთრებით ხშირია „ლევიტელში“, გამოხატავს გარკვეული პირობის მოსალოდნელ შედეგს. იგი შემდეგნაირად არის შედგენილი: დამოკიდებული წინადადება (პროტასისი), რომელიც პირობაა მოცემული, წინადადების პირველ ნაწილს წარმოადგენს. იგი, როგორც წესი, *ἐάν* კავშირით იწყება, რომელიც კავშირებით კილოში – კონიუნქტივში (უმეტესად პრეზენსის ან აორისტიკისა) მდგარ ზმნას უკავშირდება. მეორე ნაწილი – მთავარი წინადადება (აპოდოსისი), რომელიც გამოხატავს შედეგს, მოსდევს დამოკიდებულს და, ძირითადად, მაკავშირებელი სიტყვის გარეშე არის ხოლმე წარმოდგენილი. მისი შემასმენელი თხრობით კილოში – ინდიკატივში (უმეტესად ფუტურუმისა) დგას. მარტივ შემთხვევაში, ამგვარი პირობითი კონსტრუქციის წინადადებები არც თარგმნისა და არც გაგების სირთულეს არ წარმოადგენენ, მაგ.:

20:9 *ἐάν* (C) et allii) *ἀνθρώπος ἀνθρώπος* δὲ *ἐάν* *κακῶς* εἴπῃ τὸν πατέρα αὐτοῦ ἢ τὴν μητέρα αὐτοῦ, *θανάτῳ* (> C⁴¹⁷ Lat Ruf Lev XI 2) *θανάτουσθα*] უკუეთუ კაცმან ბოროტი ჰრქუას მამასა თჳსსა ანუ დედასა თჳსსა, მოკუედინ¹ Geo²; უკუეთუ კაცმან ბოროტი ჰრქუას მამასა თჳსსა გინა დედასა თჳსსა, სიკუდილით მოკუედინ Geo¹. როგორც ვხედავთ, თავად პირობითი კონსტრუქცია ძველ და გელათურ თარგმანში ერთნაირადაა გადმოტანილი: *ἐάν*-ს უკუეთუ კავშირი შეესაბამება, დამოკიდებული წინადადების აორისტიკის კონიუნქტივს – II კავშირებითი, ხოლო მთავარი წინადადების პრეზენსის იმპერატივს – II ბრძანებითი.

მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, პირობითი წინადადებები, რომლებიც „ლევიტელთა“ წიგნის ბერძნულ თარგმანში გვხვდება, სინტაქსური კონსტრუქციების უაღრესად რთული ნაკრებია: პროტასისი ხშირ შემთხვევაში თავად წარმოადგენს რთულ წინადადებას: ჰიპოტაქსურს და/ან პარატაქსულს, რომლებიც, თავის მხრივ, გართულებულია უპირო (ინფინიტური) კონსტრუქციებით და ჩართული (პარენტეზული) წინადადებით. ასევე, რთული წინადადებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი აპოდოსისიც, თუმცა, ამ უკანასკნელის უმთავრესი, თავად ბერძნულისთვის და, მით უფრო, ქართულისათვის არაბუნებრივი მახასიათებელი ისაა, რომ და კავშირით იწყება, რომელიც, ფაქტიურად, სემანტიკისაგან დაცლილია როგორც ბერძნულ, ისე ქართულ წინადადებაში. ქართველი მთარგმნელები – ადრეულიცა და გელათელიც – ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად ეკიდებიან ამგვარი წინადადებების გადმოტანას. იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ ქართველ მთარგმნელთა წინაშე მდგარ ამოცანებში და შევაფასოთ მათ მიერ ნაპოვნი გამოსავალი, სხვადასხვა ტიპის პირობითი წინადადება შევარჩიე.

პროტასისი რთული ქვენყობილი წინადადება

20:4 *ἐάν* δὲ *ὑπερόψει* *ὑπερίδωσιν* οἱ *ἀπόχθονες* τῆς *γῆς* τοῖς *ὀφθαλμοῖς* αὐτῶν ἀπὸ τοῦ *ἀνθρώπου* ἐκείνου, *ἐν* τῷ *δὲ* *δύνα* *αὐτὸν* *τοῦ* *σπέρματος* *αὐτοῦ* *ἀρχοντι* *τοῦ* *μῆ* *ἀποκτεῖναι* *αὐτόν* (5) *καὶ* *ἐπιστήσω* τὸ *πρόσωπόν* *μου* *ἐπὶ* τὸν *ἀνθρώπον* *ἐκείνον*²

- 1 გელათელი მთარგმნელი, ისევე, როგორც მისი კატენური რეცენზიის ბერძნული დედანი (C⁴¹⁷), გამოტოვებს პარონომასიული წყვილის ერთ-ერთ წევრს: *θανάτῳ* – *სიკუდილით*.
- 2 ბერძნული ტექსტის თარგმანი ასეთია (ფრჩხილებში ვიძლევი სიტყვასიტყვით თარგმანს): *ხოლო, თუკი მინის მკვიდრები (ავტოქტონური მოსახლეობა) არ შეიმჩნ-*

Geo²: ხოლო უკეთეს მირიდებით მიარიდნენ მკვდრთა მის ქუეყანისათა თუალნი მათნი კაცისა მისგან, მი-რაჲ-ს-ცემდა იგი თესლსა თჳსსა მთავარსა, არა მოკლვად მისსა, (5) და დავამტკიცო პირი ჩემი კაცსა მას ზედა;

Geo¹: უკეთეს უგულებით უგულებელ-ყონ თუალითა მათითა მკვდრთა მათ ქუეყანისათა კაცისა მისთვის, რომელმან მისცა ნათესავი თჳსი მთავარსა, და არა მოკლან იგი, (5) და დავამტკიცო პირი ჩემი კაცსა მას ზედა.

1. პროტასისი – დამოკიდებული წინადადება – თავის მხრივ, შედგება მთავარი და ორი დამოკიდებული წინადადებისაგან:

1. მთავარი წინადადება (ἡπερόψει ἡπερίδωσεν οἱ ἀπτόχθινες ... τοῖς ὀφθαλμοῖς ... ἅπθ τοῖ ἀμάρπτου) იდიომითაა გამოხატული: ერთი მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა ძირისაგან შემდგარი პარონომასიული წყვილი (ἡπερόψει ἡπερίδωσεν) პირდაპირი ობიექტის სემანტიკის მქონე ἅπθ წინდებულისაგან არსებით სახელთან (ἅπθ τοῖ ἀμάρπτου) არის დაკავშირებული. ეს, ბერძნულისათვის სრულიად უცხო კონსტრუქცია, ფორმალური სიზუსტით ასახავს ებრაული დედნის წინდებულის ფორმას (שׂוֹרֵף וְשׂוֹרֵף). ძველი ქართველი მთარგმნელი ცდილობს, ეს ფრაზა ფორმალური სიზუსტით გადმოიტანოს: 1. პარონომასიული წყვილისთვის ჩვეულ ეკვივალენტს – ერთი ძირის მქონე მოქმედებითი დასმულ სახელს და პირიან ზმნას იყენებს (უკეთეს უგულებით უგულებელ-ყონ), 2. დატივში მდგარი ირიბი ობიექტი (τοῖς ὀφθαλμοῖς), როგორც ჩანს, ესმის როგორც *dativus instrumenti* და, შესაბამისად, მოქმედებითი ბრუნვით გადმოაქვს ((უგულებელ-ყონ) ... თუალითა), 3. ცდილობს ასახოს წინდებულის (ἅπθ), თუმცა, უცვლის მას მნიშვნელობას და -თვის თანდებულის გადმოაქვს ((უგულებელ-ყონ) ... კაცისა მისთვის). 4. მიუხედავად ფორმალური სიზუსტისა კენ სწრაფვისა, მთარგმნელი ადგილს უცვლის სუბიექტს (მკვდრთა), აშორებს მას შემასმენელს და, საბოლოოდ, ქართულისათვის სრულიად არაბუნებრივი წინადადება იქმნება: უკეთეს უგულებით უგულებელ-ყონ თუალითა ... მკვდრთა ... კაცისა მისთვის.

გელათურ თარგმანში 1. პარონომასიული წყვილი ძველ თარგმანში აპრობირებული ეკვივალენტით არის გადმოტანილი და მხოლოდ ლექსიკურად არის შეცვლილი. რაც შეეხება კონსტრუქციის სხვა დეტალებს: 2. სუბიექტს თავისი ადგილი უნარჩუნდება – შემასმენლის შემდგომ, 3. დატივში მდგარი სახელი ირიბ დამატებად გადმოდის და 4. წინდებულისანი კონსტრუქციაც ფორმალური და სემანტიკური სიზუსტით არის ასახული – -გან თანდებულის: უკეთეს მირიდებით მიარიდნენ მკვდრთა ... თუალნი ... კაცისა მისგან.

პროტასისს ორი უპირო კონსტრუქცია მოსდევს, რომლებიც მას აზუსტებენ დროისა და მიზნის თვალსაზრისით. ე.ი., დამოკიდებული წინადადება, თავის მხრივ, თავად არის მთავარი წინადადება ორი სხვა, ინფინიტიური კონსტრუქციით წარმოდგენილი დამოკიდებული წინადადებისთვის. მთარგმნელის წინაშე მდგარი სირთულე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სწორად ასახოს მიმართებები წინადადებებს შორის. ეს მიმართებები, ფორმალური თვალსაზრისით, არც ბერძნულშია ერთმნიშვნელოვანი და მხოლოდ ტექსტის შინაარსობლივი ანალიზის შედეგად დგინდება.

ნევენ (თვალს მოარიდებენ) იმ კაცს, როდესაც იგი თავისი შთამომავლისგან (თესლისგან) მიუტანს მთავარს (იგულისხმება კერპი - მოლოქი, ა.ხ.) და არ მოკლავენ მას (ე.ი. მოლოქისთვის მსხვერპლის მიმტანს - ა.ხ.) (რათა არ მოკლან იგი), და განვურისხდები იმ კაცს (დავადგენ პირს ჩემსას იმ კაცზე). მუხლების ინტერპრეტაცია იხ. Wevers, 316-317; La Bible d'Alexandrie, 3, 173.

პირველი კონსტრუქცია წარმოადგენს არტიკლიან, გასუბსტანტივებულ პრეზენსის ინფინიტივს, რომელსაც წინდებული დაერთვის (*ἐν τῷ + inf.*) და *acc-*ში მდგარი სუბიექტი და *dat.*-ში მდგარი ობიექტი შეეწყობა: *ἐν τῷ δῖσσαι ἀπὸν τοῦ σπέρματος... ἄρχουσι*. კლასიკურ ბერძნულში ეს *ἐν τῷ + inf.* კონსტრუქცია იშვიათია (Aalto, 1953:33-36), ძველი და ახალი აღთქმის ბერძნულში კი, ებრაული *כּ + inf. cstr.* ანალოგიით, ინტენსიურად გამოიყენება (Soisalon-Soininen, 80-82), საკმაოდ ხშირია აგრეთვე ქრისტიანულ ბერძნულ ლიტერატურაშიც. *ἐν τῷ + praes. inf.* დურატიული დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ფარდია, რომელსაც ატიკურ ბერძნულში ან დამოკიდებული წინადადება, ან პარტიციპიუმი გამოხატავს (Blass/Debrunner/Rehkopf, 333-334). სწორედ ამ მნიშვნელობითაა გადმოტანილი იგი გელათურშიც ((*მი-რაჲ-სცემდა*) *თესლსა თვსსა მთავარსა*). ძველ მთარგმნელს ეს, ბერძნულისათვის უჩვეულო კონსტრუქცია, სხვაგვარად ესმის და მას განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას¹ შეუსატყვისებს (*რომელმან მისცა*). რაც შეეხება გამოყოფით გენეტივს, რომელიც ასევე, ებრაიზებული ბერძნულისთვისაა დამახასიათებელი – *δῖσσαι ... τοῦ σπέρματος* (გენეტივი *δῖσσαι-სთან* იხ. Blass/Debrunner/Rehkopf, 139), იგი ორივე თარგმანში ერთნაირად, ფორმალური სიზუსტით კი არ არის გადმოტანილი (მაგ., ნათ. ბრუნვით), ანდა გრამატიკული კონსტრუქციის მნიშვნელობიდან ამოსვლით (მაგ. -*გან* თანდებულით), არამედ ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით – როგორც პირდაპირი ობიექტი: *მი-რაჲ-სცემდა თესლსა Geo²; მისცა ნათესავი Geo¹*.

მეორე კონსტრუქციას *gen.*-ში მდგარი არტიკლიანი ინფინიტივი ქმნის (*τοῦ + inf.*), რომელსაც *acc-*ში მდგარი ობიექტი დაერთვის (*τοῦ μὴ ἀποκτεῖναι ἀπὸν*) და პროტასისის შემასმენელთან (*ὑπερῖδωσι*) დაკავშირებულ მიზნის გარემოებას გამოხატავს.² გელათურში ეს კონსტრუქცია ჩვეული ფორმალური ეკვივალენტით, ასევე, უპირო კონსტრუქციით – ვითარებითი დასმული მასდარით გადმოდის (*არა მოკლვად მისსა*), მაგრამ ფორმალური სიზუსტე აზრს ბუნდოვანს ხდის: გაურკვეველია, რომელ შემასმენელს უკავშირდება ეს სანყისი – უშუალოდ წინამავალ *მი-რაჲ-სცემდა-ს* თუ მთავარი წინადადების *მიარიდნენ-ს*. ძველი თარგმანი დედნის ადაპტირებას ახდენს საკუთარ ენასთან როგორც ფორმალური, ისე შინაარსობლივი თვალსაზრისით: ინფინიტივი პირიანი ზმნით გადმოაქვს და შერწყმულ წინადადებას ქმნის (*უგულებელ-ყონ ... და არა მოკლან იგი*).

II. აპოდოსისი, რომელიც პროტასისში მოცემული პირობის შედეგს გამოხატავს, ებრაულის შესაბამისად და ბერძნული ენისთვის შეუსაბამოდ, მაერთებელი კავშირით – *καί-თი* იწყება. პროტასისთან დასაკავშირებლად *καί-ს* ხმარება სეპტუაგინტას ენის თავისებურებაა და ქართულში ეს თავისებურება ასახულია: ორივე ქართული ვერსია დამოკიდებულ წინადადებას ასევე, და კავშირით იწყებს. ღმერთის მუქარა – შედეგი ღვთის ნების არ შესრულებისა – გავრცელებული ებრაისტული ფორმულით (*ἐπιστήσα τὸ πρὸς ἁπὸν μου ἐπί*)³ არის გამოხატული. ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ეს ფორმულა ორივე ქარ-

1 ქართულის ეს კონსტრუქცია, ჩვეულებრივ, აქტიური გვარის მიმღობურ კონსტრუქციას შეესაბამება ხოლმე ბერძნულში.

2 „თვალს არიდებენ კაცის საქციელს..., რათა არ მოკლან იგი.“

3 მუქარის ეს ფორმულა კიდევ რამდენჯერმეა ნახმარი ლევიტელეში (17:10; 20:3,5,6; 26:17) და ქართულ თარგმანებში ყოველთვის ფორმალური სიზუსტითაა გადმოტანილი.

თულ თარგმანში სემანტიკურად კი არ გადმოიცემა, არამედ ფორმალური სი-ზუსტით: და დავამტკიცო პირი ჩემი კაცსა მას ზედა. გელათელი მთარგმნელის პოზიცია აქაც მკვეთრადაა გამოხატული: ძველი თარგმანის ჩანაცვლება ახლით მისი თვითმიზანი არ არის. როდესაც ეს თარგმანი ფორმალურდ ზუსტია, გელათელ მთარგმნელს არავითარი შესწორება არ შეაქვს მასში.

პროტასისი რთული თანწყობილი წინადადებისგან შედგება

13:18-20. (18) καὶ σὰρξ ἐὰν γένηται ἐν τῷ δέρματι αὐτοῦ ἔλκος καὶ ὑγιασθῆ (19) καὶ γένηται ἐν τῷ τόπῳ τοῦ ἔλκους οὐκ ἔστι λευκὴ ἢ τηλαυγὴς λευκαίνουσα ἢ πυρρίζουσα, καὶ ὀφθίησεται τῷ ἱερεῖ (20) καὶ ὅψεται ὁ ἱερεὺς, καὶ ἰδὼς ἢ ὅψις ταπεινότερα τοῦ δέρματος, καὶ ἢ θριξὶς αὐτῆς μετέβαλεν εἰς λευκὴν, καὶ μianεῖ αὐτὸν ὁ ἱερεὺς ἴεπρα ἔστιν ἐν τῷ ἔλκει ἐξήγησεν¹

Geo¹ უკუეთუ იქმნეს ჯორცსა ცყავისა მისისასა ნუთხი და განმრთელდეს. (19) და იქმნეს ადგილსა ნუთხისასა ბრძკლი სპეტაკი ანუ ბზინვარე მოთეთრედ გინა მოწითლედ, და ერუენოს მლდელსა (20) და იხილოს მლდელმან, და აჰა, შესახედავი უმდაბლეს არს ცყავისა და თმა მისი – გარდაცვალებულ თეთრად, და შეგინებულად შეჰრაცხოს იგი მლდელმან: ნიში კეთროვნებისა არს, ნუთხისა მიერ აღყუავნა.

Geo² უკეთუ იყოს ჯორცისა ცყავისა მისისასა წყლულება იგი რამე და განცოცხლდეს. (19) და იყოს ადგილსა მას წყლულებისასა ბრძკლი სპეტაკი გინა ბრწყინვალე მოთეთრედ გინა მოწითლედ, ერუენოს იგი მლდელსა მას. (20) და იხილოს იგი მლდელმან მან და აჰა ესერა, პირი მისი უმდაბლე ცყავისა მის და თმა მისი გარდაიქცა თეთრად, და შეგინებულ-ყოს მლდელმან, რამეთუ კეთროვანება არს, რამეთუ წყლულსა მას გამოაჩნდა.

1. პროტასისი κα-თი შეერთებული პარატაქსული კონსტრუქციით არის წარმოდგენილი, რომელიც ებრაული კონსტრუქციის – თანამიმდევრობის vav-ის (vav consecutivum) შესატყვისია: 1. καὶ σὰρξ ἐὰν γένηται ... ἔλκος καὶ ὑγιασθῆ ... 2. καὶ γένηται ... οὐκ ἔστι λευκὴ ἢ τηλαυγὴς... 4. καὶ ὀφθίησεται τῷ ἱερεῖ 5. καὶ ὅψεται ὁ ἱερεὺς.

ქართულ თარგმანებში ეს ვრცელი თანწყობილი წინადადებები ასევე, თანწყობილი კონსტრუქციით გადმოიცემა:

1. უკუეთუ იქმნეს ჯორცსა ... ნუთხი და განმრთელდეს 2. და იქმნეს ... ბრძკლი სპეტაკი ანუ ბზინვარე... 3. და ერუენოს მლდელსა 4. და იხილოს მლდელმან Geo²

1. უკეთუ იყოს ჯორცისა ... წყლულება იგი რამე და განცოცხლდეს 2. და იყოს ... ბრძკლი სპეტაკი გინა ბრწყინვალე... 3. ერუენოს იგი მლდელსა მას. ... 4. და იხილოს იგი მლდელმან მან Geo¹

პროტასისის ამ, ერთმანეთის მომდევნო თანწყობილ წინადადებებს მოსდევს ორი მონაკვეთი (καὶ ἰδὼς ἢ ὅψις ταπεινότερα τοῦ δέρματος καὶ ἢ θριξὶς αὐτῆς

1 ახალი ქართული თარგმანი (კვადრატულ ფორმებში ნაგულისხმევი სიტყვები ალდგენილი): და ხორცი, თუკი [იგი] კანზე იქცევა წყლულად და განიკურნება, და [თუ] წყლულის ადგილას ფურუნკული იქცევა თეთრად ანდა ბრწყინვალედ, გათეთრებული ანდა განითვლებული (გაცეცხლისფერებული), და [თუ] ენახება მღვდელს; და [თუ] ნახავს მღვდელი, რომ (და), აჰა, შესახედაობა კანზე ღრმა და მისი (ე.ი. ნაიარევის - ა.ხ.) თმა გადაქცეულია თეთრად, ნაბილწულად შეჰრაცხავს (ნაბილწავს) მას მღვდელი: კეთრი არის ნაიარეგში აყვავებული. მუხლების ინტერპრეტაცია იხ. Wevers, 178-179; La Bible d'Alexandrie, 3, 137-138.

μετέβαλεν εις λευκήν), რომლებიც წინებს ისევ *καί* კავშირით უერთდება, მაგრამ სემანტიკურად დამატებით დამოკიდებულ წინადადებას წარმოადგენს (*ნახავს, რომ...*), გადმოტანილს ისევ *καί* კავშირით შეერთებული თანწყობილი წინადადებით (*καί-ს ხმარება მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით, ანდა იბის-სთან ერთად – წინადადების თავში, იხ. Blass/Debrunner/Rehkopf, 368*). ქართულ თარგმანებს დედნის შერწყმული, თანწყობილი და ფორმალურად თანწყობილი, მაგრამ სემანტიკურად დამოუკიდებელი წინადადებები გადმოაქვთ არა ქართულისათვის უფრო ბუნებრივად – სემანტიკიდან ამოსვლით, არამედ ისევ ფორმალური სიზუსტის დაცვით და დედნის ფორმალურად ერთგვარი პერიოდების ასახვით ახდენენ მის იმიტაციას (*და აჰა, შესახედავი უმდაბლეს არს ტყავისა და თმაჲ მისი – გარდაცვალებულ თეთრად Geo²; და აჰა ესერა პირი მისი უმდაბლე ტყავისა მის და თმაჲ მისი გარდაიქცა თეთრად Geo¹*).

II. რაც შეეხება აპოდოსისს: ისიც *καί* /და კავშირით იწყება და ამის გამო რთული გამოსარჩევია და კავშირით შეერთებული თანწყობილი წინადადებებით შედგენილი პროტასისისგან. მთავარი წინადადება სამი, ფორმალურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაწილისაგან შედგება: საკუთრივ შედეგისაგან – მღვდლის მოქმედებისგან (*καί μισαί αὐτὸν ὁ ἱερεὺς*), იმ საფუძვლის დასახელებისგან, რომელსაც ეს მოქმედება ეფუძნება – დიაგნოზისაგან (*λέπρα ἐστίν*) და იმ კლინიკის აღწერისგან, რომელსაც დიაგნოზი ეყრდობა (*ἐν τῷ ἔλαει ἔξήσθησεν*). გელათური ფორმალურად მიჰყვება დედანს: არ ცდილობს წინადადებებს შორის ლოგიკური კავშირების ექსპლიციტურ ასახვას: და შეგინებულად შეჰრაცხოს იგი მღვდელმან: ნიში კეთროვნებისა არს, ნუთხისა მიერ აღყუავნა Geo²; ძველი თარგმანი კი მინიმალური ცვლილებებით – წინადადებებს შორის კავშირების აღდგენით ცდილობს ერთმანეთს დაუკავშიროს წინადადებები: და შეგინებულ-ყოს მღვდელმან, რამეთუ კეთროვანება არს, რამეთუ ნყლულსა მას გამოაჩნდა Geo¹. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას იჩენენ მთარგმნელები ლექსიკის გადმოტანის დროსაც: *ἔξήσθησεν* გელათური ე.წ. ეტიმოლოგიურ თარგმანს აკეთებს (*ἀνθός* (ყვავილი) > *ἀνθήα* (აღყუავნა), ძველი კი – კონტექსტიდან ამოდის (გამოაჩნდა). კიდევ ერთი საინტერესო განსხვავება ძველ და გელათურ თარგმანს შორის *ἐν τῷ* კონსტრუქციის გადმოტანაა: უნდა ითქვას, რომ ამ კონსტრუქციაში *ἐν* წინდებულის გაგება და მისი გადმოტანისას არჩევანი ინსტრუმენტალისსა თუ ლოკატივის შორის პრობლემატურია არა მხოლოდ ქართული თარგმანებისთვის. მოცემულ შემთხვევაში გელათური თარგმანი ინსტრუმენტალისის მნიშვნელობით იგებს *ἐν* წინდებულს და მიერ თანდებულობით გადმოაქვს იგი, ძველ მთარგმნელს კი იგივე წინდებულობით ლოკატივის მნიშვნელობით ესმის და მიცემითს (ადგილობითს) შეუსატყვისებს.

პროტასისი ნომინალური წინადადებაა,

პროტასისი და აპოდოსისი ერთმანეთთან კავშირით არ არიან შეერთებული

3:6 *ἐὰν δὲ ἀπὸ τῶν προβάτων τὸ δῆρον αὐτοῦ, მსσίαν σατηρίου τῷ χυρίῳ, ἄρσεν ἢ θῆλυ, ἄμῃμῃν προσοίσει αὐτό¹*

1 *თუ ცხოვართავანი[ა] მისი ძღვენი უფლისთვის მაცხოვარების სამსხვერპლოდ, მამრი თუ მდედრი, უბინო შენიროს იგი; ანდა – თუ ცხოვართავან [მიუყვანს] ძღვენად მაცხოვარების მსხვერპლად უფალს, მამრს თუ მდედრს, უბინო შენიროს იგი. მუხლების ინტერპრეტაცია იხ. Wevers, 25-27; La Bible d'Alexandrie, 3, 92. იხ. ასეთივე კონსტრუქცია 3:1 *ἐὰν δὲ მსσία σατηρίου τὸ δῆρον αὐτοῦ τῷ χυρίῳ*] ხოლო უკუეთუ*

Geo² უკუეთუ ცხოვართაგან ძღუენი მისი, მსხუერპლი მაცხოვარებისაჲ უფალსა, ნულეტრი ანუ მდედრი, უბინოჲ შენიროს იგი

Geo¹ უკუეთუ ცხოვართაგან იყოს მსხუერპლი იგი მისი ღმრთისა საცხოვრებელად მისა, ვერძი გინათუ ნეზჲ, უბინოჲ მოიბას იგი.

I. მოცემულ შემთხვევაში პროტასისის გადმოტანის სირთულე, უპირველეს ყოვლისა, ისაა, რომ უპირო წინადადებით არის წარმოდგენილი. გელათურ თარგმანს ეს უპირო წინადადება ფორმალური სიზუსტით, ასევე, უშემასმენელოდ გადმოაქვს, განსხვავებით ძველი თარგმანისაგან, რომელიც მეშველ ზმნას აღადგენს: *უკუეთუ ცხოვართაგან იყოს მსხუერპლი იგი.*

თარგმნის სხვა სირთულეს ქმნის წინადადებაში მაკავშირებელი სიტყვის გარეშე ჩართული „ძღვენის“ ორი სხვადასხვაგვარი განსაზღვრება: ერთი მხრივ, ესაა განსაზღვრება, რომელიც აკონკრეტებს ძღვენის სახეს (*მსία σαρῆισ* τῆ *χαριῆ*) – უფლისათვის შენირული „მაცხოვარების მსხვერპლი“ და, მეორე მხრივ, თავად შესანიშნავი ცხოველის სქესის განსაზღვრება (*ἄρσεν ἢ θῆλυ*). გელათელი მთარგმნელი არ ცდილობს ამ განსაზღვრებების საზღვრულთან დაკავშირებას ქართულისათვის მოსახერხებელი და გასაგებად ნათელი ფორმით. ასევე, ფორმალური სიზუსტით – მყარი ეკვივალენტით არის გადმოტანილი მსხვერპლის ერთ-ერთი სახეობის გამომხატველი ფორმულა – *მსία σαρῆισ*] *მსხუერპლი მაცხოვარებისაჲ*. რაც შეეხება ძველ თარგმანს, აქ პროტასისი თავისი ჩართული განსაზღვრებით, ერთ სეგმენტად არის თარგმნილი: ფორმულა *მსία σαρῆισ* აქაც ისევე, როგორც ლევიტელთას სხვა ადგილებში¹, კონტექსტის შესაბამისად არის თარგმნილი.

II. წინა მაგალითებისაგან განსხვავებით, უკანასკნელ შემთხვევაში აპოდოსისი პროტასისთან კავშირით არაა შეერთებული. მას ზედსართავი სახელი (*ἄμασ*) იწყებს, რომელიც პროტასისის სუბიექტის, τὸ *ἄρσεν*-ის მსაზღვრელია, მაგრამ რადგანაც *ἄρσεν ἢ θῆλυ*-საც ეთანხმება ბრუნვაში, მათ მსაზღვრელადაც შეიძლება იქნას გაგებულნი. გელათელი მთარგმნელი, ისევე, როგორც ძველი თარგმანი, როგორცა ჩანს, ერიდება ტექსტის ინტერპრეტაციას და ბერძნულის კალკირების გზით ამ, ორგვარი გაგების საშუალებას ტოვებს.

ბერძნული პირობით წინადადებების განხილული მაგალითები – ტიპური თავისი სირთულით – მეტყველებენ იმ გავლენაზე, რომელსაც ორიგინალის ენა ახდენდა თარგმანის ენაზე. ეს გავლენა შედეგია ორიგინალის პირდაპირი იმიტაციისა, რომელიც სრულიად გააზრებული ჩანს როგორც ძველ, ისე გელათურ თარგმანში. ამგვარ იმიტაციას – სიტყვასიტყვით თარგმანს მთარგმნელი სწორედ რთული, ქართულისათვის (ისევე, როგორც ბერძნულისათვის) უცხო გრამატიკული კონსტრუქციებისა თუ იდიომატიკის შემთხვევაში, ორიგინალის ბუნდოვანების შემთხვევაში მიმართავს: არც ძველი და არც გელათელი მთარგმნელი არ ცდილობს დედნის ბუნდოვანება გასაგები შინაარსითა და ქართულისათვის ბუნებრივი ფორმით შეცვალოს. დედნისგან გადახვევები (თუ, რასაკვირველია, ეს გადახვევები მთარგმნელისგან მომდინარეობს და არა გადამწერებისგან) სპორადული ხასიათისაა და საეჭვოა ასახავდეს მთარგმნელის სწრაფვას ტექსტში სინათლის შეტანისკენ ანდა „კარგი ქართულის“ შესაბამისი

მსხუერპლსა მაცხოვარებისასა ძღუნად მისსა უფალსა ეო²; შდრ უკუეთუ შესანიშნავი ცხოვრებისაჲ იყოს მსხუერპლი იგი მისი ღმრთისა ეო¹.

1 იხ., მაგ. ამავე და მომდევნო თავში: 3:1,3,9; 4:10,26,31,35.

სტილის შექმნისკენ. მთარგმნელთა ამგვარი პოზიცია – ორიენტაცია დედანზე და, შესაბამისად, მკითხველის იძულება თავად გაერკვეს ნეიტრალურად და არა ინტერპრეტაციულად გადმოტანილ ტექსტის ნიუანსებში, აიძულებს ენას, მოახდინოს სხვადასხვა ტიპის ენობრივი მოდელის აპრობირება. საბოლოო ჯამში, სწორედ ამგვარი „ვარჯიში“ ენისა, მიმართული რთული აზრის ნიუანსური გამოხატვისკენ, იმისგან დამოუკიდებლად, დამკვიდრდება თუ არა კონკრეტულ მოდელი ენაში, აცოცხლებს მის შემოქმედებით რესურსებს და ანვითარებს მის გამომსახველობით საშუალებებს.

ლიტერატურა

- დანელია 1998** – კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლო ენის იტორიიდან, 1, თბილისი, 1998;
- დობორჯგინიძე 2012** – ნ. დობორჯგინიძე, ლიგვისტურ-ჰერმენევტიკული მეტატექსტები, თბილისი, 2012;
- მელიქიშვილი 1975** – დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილისი, 1975;
- მელიქიშვილი 1999** – დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბილისი, 1999;
- Aalto 1953** – A. Pentti, Studien zur Geschichte des Infinitivs im Griechischen, Helsinki, 1953;
- Blass/Debrunner/Rehkopf 1990** – Friedrich Blass, Albert Debrunner, Friedrich Rehkopf, Grammatik des neutestamentlichen Griechisch, Vandenhoeck & Ruprecht, 17. Aufl, Goettingen, 1990;
- Kühner/Gerth 1904** – Raphael Kühner, Bernhard Gerth, Ausführliche Grammatik der griechischen Sprache, 2. Teil, Satzlehre, Hannover und Leipzig, 1904;
- La Bible d’Alexandrie 1988** – La Bible d’Alexandrie, 3, Le Lévitique, par Paul Harlé et Didier Pralon, Paris, 1988;
- Mayser 1970** – Edwin Mayser, Grammatik der griechischen Papyri aus der Ptolemäerzeit. Mit Einschluss der gleichzeitigen Ostraka und der in Ägypten verfassten Inschriften, II 3, Nachdruck 1970;
- Schwyzler 1988** – Eduard Schwyzler, Griechische Grammatik Bd. 2: Syntax und syntaktische Stilistik, 5. Aufl., Muenchen, 1988;
- Soisalon-Soininen 1965** – Ilmari Soisalon-Soininen, Die Infinitive in der Septuaginta, Helsinki, 1965;
- Wevers 1977** – John William Wevers, Notes on the Greek Text of Leviticus. Society of Biblical Literature Septuagint and Cognate Studies, no. 44. Atlanta: Scholars Press, 1997.

შემოკლებები:

- Geo¹**: ლევიტელთა წიგნის ძველი, ე.წ. ოშკური ტიპის თარგმანი, დაცული ოშკის ბიბლიაში (ათონი, ივირონი, Ath. 1), კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერებში: H 1207, A51, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერში k 28;
- Geo²**: ლევიტელთა წიგნის ე.წ. გელთური ტიპის თარგმანი, დაცული კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კატენურ ხელნაწერებში – A 1108, Q 1152.

თურქულ ნასესობათა გავრცელების დინამიკა ქართველურ ანთროპონიმიაში

ქართველურ სინამდვილეში – იქნება ეს დღევანდელი თუ წარსული, დიალექტები თუ ქართული სალიტერატურო ენა კონკრეტულ ისტორიულ ჭრილში, მხოლოდ პატრონიმის ფუძეს შემორჩენილი თუ საუკუნეთა განმავლობაში დესემანტიზებული პირის სახელი, ძველ საბუთთა კოლექციები თუ სასინოდო კანტორის რეგისტრები, ზოოფორული თუ თეოფორული სახელები და სხვ. – დადასტურებულია თურქული წარმომავლობის საკუთარ სახელთა შრე, რომელშიც იგულისხმება არა მხოლოდ ანატოლიელ თურქებთან, აზერბაიჯანელებთან, ყუმუხებთან, ნოღაელებთან, ყარაჩაელებსა და ბალყარებთან, არამედ გადაშენებულ ჰუნებთან, ხაზარებსა და ყივჩალებთან სხვადასხვა სახის კონტაქტების შედეგად დამკვიდრებული ანთროპონიმები.

სესხებისათვის ანთროპონიმია ყოველთვის ღია იყო და ამიტომაც ყველა ენაში ეროვნული პირის სახელების გვერდით დამკვიდრდა უცხოური საკუთარი სახელები, რაც უკავშირდება რელიგიას, პილიტიკურ მდგომარეობას, ლიტერატურულ გავლენას, ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობებს, ხალხთა კონტაქტებს და სხვ. ამიტომ გვხვდება ქართველურ არეალში ასე უხვად ებრაულ-ბერძნულ-რომაული სახელები, რომელთა ძირითადი ფონდის გავრცელება ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებასთან არის დაკავშირებული. ისტორიულ ურთიერთობათა შედეგია ირანული, არაბული, თურქული სახელები. შედარებით გვიანდელია – XIX-XX საუკუნეებისა – რუსული და ევროპული სახელების ფენა.

ქართველურ ანთროპონიმიაში გამოვლენილია თურქული წარმომავლობის 400-ზე მეტი საკუთარი სახელი (ჯიქია 2008:111). XVI საუკუნიდან ვრცელდება ანატოლიური თურქული სახელები. აზერბაიჯანულიდან შემოსული ანთროპონიმები ფიქსირებულია XVII-XVIII საუკუნეების იურიდიულ დოკუმენტებსა და სტატისტიკურ აღწერილობებში.

ჩრდილოკავკასიელ თურქ ტომთა (ყუმუხები, ყარაჩაელები, ბალყარები) საკუთარი სახელები ხშირია სვანურსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში.

თურქიზმების ადაპტაცია საკუთარ სახელებში უპირატესად მანთროპონიმებელი -ა სუფიქსით ხდება – ბედუკა </bedük/ ‘დიდი’, ალთუნა </altun/ ‘ოქრო’, ბაირამა </bajram/ ‘დღესასწაული’, დარაბეგა </därä begi/ ‘ხევის ბატონი’ და სხვ. ხოლო გვართა ფუძეებს ერთვის სადერივაცია ფუნქციით აღჭურვილი საგვაროვნო ფუძე-ფორმანტები: -შვილი, -ძე, -ია, -იანი, -ური: ქუჩუკა </küçük/ ‘პატარა’ – ქუჩუკაშვილი, უზუნა </uzun/ ‘გრძელი’ – უზუნაშვილი, შიმშანა </şişman/ ‘მსუქანი’ – შიმშანაძე, დემური </demür/ ‘რკინა’ – დემურია, გელბახი </gel bax/ ‘მოდი ნახე’ – გელბახიანი, ბუჩუკ </buçuk/ ‘ნახევარი’ – ბუჩუკური და სხვ. ქართულ პატრონიმულ სახელდებაში გვხვდება იდენტური შინაარსის სიტყვების შემცველი გვარები: პატარიძე, გრძელიძე, მსუქნიშვილი და სხვ.

XIX საუკუნიდან მოყოლებული თურქული წარმომავლობის ანთროპონიმთა შემოსვლა მკვეთრად იკლებს.

თურქიზმების არსებობას ქართულ ყოფაში რეალური ისტორიული ვითარება განსაზღვრავდა. ისტორიიდან ცნობილია, რომ ქართველ ხალხს თავისი არსებობის განმავლობაში აქტიური ურთიერთობა ჰქონდა თურქულენოვან ხალხებთან. ომს მშვიდობიანი პერიოდი ცვლიდა. ნებისმიერ დროს ხდებოდა კულტურულ-შემეცნებითი ინფორმაციის გაცვლა, რაც ილექებოდა ენობრივ ქსოვილზე და ამდიდრებდა ლექსიკას.

ბატონი ზურაბის საეტაპო წიგნში „რა გქვია შენ?“ განხილულია შემდეგი თურქული სახელები: ასლანი, ბაადური, ბეგი, ბერდია, დადაში, დურმიშხანი, დენიზა, ელგუჯა, თარხანი, თემური, თენგიზი, ყაფლანი, შუქია, ხათუნა, ჯარჯი, ჯურხა (ჭუმბურიძე 1992: 96,97,100,101,106,108,109, 181, 183).

არა მხოლოდ ადამიანთა, არამედ საერთოდ სახელდებაში ყოველთვის აირეკლება საზოგადოების სოციალური ცხოვრება და კულტურა. ყოველი ერის ეპიკური ჟანრისათვის დამახასიათებელია საკუთარ სახელთა წარმოჩენა. უპირველესად უნდა მოვიხმოთ მრავალგზისი ბიბლიისეული ჩამონათვალი (პირველი ნეშტთა, 1-9; მათე 1, 1-16; ლუკა 3, 23-38 და სხვ.). საკმარისია გავიხსენოთ ჰომეროსის „ილიადას“ მეორე წიგნში ხომალდთა ჩამოთვლა, „ვეფხისტყაოსნის“ თავი – „ნასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“, ისლანდიურ ლიტერატურაში არსებობდა განსაკუთრებული ჟანრი – თულა, ნყობილ-ლექსური ნიმუში, რომელიც მხოლოდ საკუთარ სახელთაგან შედგებოდა. თურქულენოვან ხალხთათვის ამ რიგში ჩადგება „დედე კორკუთის წიგნი“.

თურქული ეთნოსებისა და ქართველთა ურთიერთობის ენობრივი ჭრილი საჭიროებს ნასესხობათა დამკვიდრების დროისა და, შეძლებისდაგვარად, გზების დადგენას, რადგან თურქიზმები არც ერთბაშად შეთვისებულა და არც მხოლოდ ერთი გზით არ შემოსულა. ნასესხებ ლექსიკურ ერთეულთა ეტაპური შესწავლა, არეალურ საფუძველზე წარმოჩენილი ვარიანტების განხილვა გართულებულია იმითაც, რომ თურქულ ენათა ოჯახში შემავალი 40-მდე ენის ერთეულები სხვა ენაში შესვლისას თითქმის ერთნაირ რეფლექსებს იძლევა. ეს გარემოება აძნელებს წყაროების დადგენას. ამ დროს ძირითად კრიტერიუმად რჩება ტერიტორიული სიახლოვე და ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობები. ძველი დოკუმენტებიდან ამოკრებილი მასალა ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გვიჩვენებს ქართული გვარების ჯერ სანიან ვარიანტებს, ე.ი. როცა მსაზღვრელ ნევრთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენახულია, რაც მამაშვილობას გამოხატავს და გვარსახელის წარმოშობის პირველი საფეხურია და მერე – უსანო ვარიანტებს, შდრ.: თათარასშვილი და თათარაშვილი. სანიანი ვარიანტები დღესდღეობით იშვიათია. ნასესხებ სიტყვებს მიმღები ენა თავის შინაგან კანონებს უმორჩილებს და საკუთარი სადერივაციო საშუალებებით მათ შემცველ ახალ ერთეულებს წარმოქმნის (ლლონტი 1986:5). თურქულ ენათა ოჯახში შედის ორმოცამდე ცოცხალი და თხუთმეტი მკვდარი ენა. ამ ენების ლექსიკური ელემენტები სხვა ენაში შესვლისას თითქმის ერთნაირ რეფლექსებს იძლევა. ეს გარემოება აძნელებს სიტყვის ამა თუ იმ ენისათვის მიკუთვნებას. ამ დროს წყაროების დადგენის ძირითად კრიტერიუმად რჩება, პირველ რიგში, ისტორიულ-ეკონომიკური ურთიერთობა და ტერიტორიული სიახლოვე.

ანთროპონიმთა უმეტესობამ ჩვენამდე დიდი ხნის გარდასულ ეპოქათაგან მოაღწია. ზოგჯერ სახელი თითქოსდა მოგვითხრობს თავისი წარმოშობის

დროსა და ადგილზე. საკუთარი სახელის გენეზისითა და ფუნქციურ-ინფორმაციული სპეციფიკით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ონომასტიკა ენათმეცნიერების ცალკე დარგად გამოიყო, რაც იშვიათია ლინგვისტური სტატუსის მქონე სხვა ლოგიკური კლასის შესწავლისას. ხშირ შემთხვევაში ანთროპონიმები გვერდაუვლელი მასალაა სიტყვათა სემანტიკური ცვალებადობის, გრამატიკული აგებულებისა და ეტიმოლოგიური სათავეების დასადგენად (ლონტი 1986:5). თურქული მოდემის პირველი ხსენება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“: ვარსქენი მიდის „ჰონთა ზედა საბრძოლველად“. ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალი ცდილობდა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა ჩრდილოეთ კავკასიაში მომთაბარე თურქული წარმომავლობის ჰუნთა ურდოები. ადრეულ საუკუნეებში ხაზართა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომ ხაზარული (ანუ თურქული ეთნოსის ენა) იყო ერთი იმ ექვს ენათაგანი, რომელიც „იზრახებოდა ქართლსა შინა“ („ქართლის ცხოვრება“ 1955:16). დავით აღმაშენებლის მიერ 1118 წელს ჩამოსახლებული „ყივჩაღთა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს“. თამარის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ქართლში მცხოვრებ ყივჩაღთა ცოცხალი მეტყველების მაგალითებიც კია დაფიქსირებული. „დიდი თურქობის“ დროს მემატიანის ცნობით გეგონებოდა, რომ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა“ ქართლში იყო ჩამოსახლებული.

ობიექტური ისტორიული პირობების გამო თურქ-სელჩუკთა სამხედრო აქტივობა იზღუდება, ხოლო ფეოდალური საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. მთელი რიგი ომების შემდეგ საქართველოზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ თურქული სასულთნოები არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ ირანის აზერბაიჯანშიც. მათ წარმომადგენლებს იღებდნენ ქართველთ სამეფო კარზე „პატივითა და ზარით“, იყო ხმა „მგოსანთა და მოშაირეთა“, „ენყობოდა დარბაზობა“, „ნადირობა და ბურთაობა“.

წყაროების ანალიზიდან გამომდინარე, ურთიერთობა ძველ თურქულენოვან სამყაროსთან მხოლოდ ომებით არ განისაზღვრებოდა და კულტურულ-ეკონომიკურ სფეროსაც მოიცავდა, რაც ენაში აისახა. თავიანთი კვალი დატოვეს მონღოლებმაც. მათი შემოსევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგთაგანი სწორედ თურქული ელემენტის გაზრდა-გაძლიერება იყო ახლო აღმოსავლეთში (გაბაშვილი 1957:197), რაც ანთროპონიმთა დამკვიდრებასაც შეეხება. მონღოლთა ლაშქრობებს ვუკავშირებთ თურქული წარმომავლობის თათარ პირის სახელის ვარიანტთა სიმრავლეს. ამ ეთნონიმის შემცველია 27 ერთეული: თათარ, თათარა, თათარაი, თათარაიძე, თათარასშვილი, თათარაშვილი, თათარაძე, თათარგიორგიშვილი, თათარიშვილი, თათარიძე, თათარმამუკაშვილი, თათარსაბაშვილი, თათარყანი, თათარხანი, თათარახანი, თათარხნიშვილი, თათარაყანი, თათარიაშვილი, თათარიშვილი, თათრისშვილი, თათრულაიძე, ნათათრალაშვილი, ნათათრალიშვილი, ნათათრეიშვილი, ნათათრიშვილი, ციხითათრიშვილი, ციხეთათრიშვილი...

ქართულში დამკვიდრებული თურქული წარმომავლობის ლექსიკის სემანტიკური ტრანსფორმაციების რიგმა თავისებურებებმა – თუნდაც მნიშვნელობის გაფართოება-დავინროება, კერძოდ, იმ გარემოებამ, რომ ლექსიკური ინტერფერენციისას გარდაუვალი შინაარსობრივი ცვლილებები ენათმეცნიერებაში ცნობილი ზოგადი ტენდენციებით ყოვლთვის ვერ აიხსნება, საკუთარ სახელთა სესხების შემთხვევაში მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე: ქართველურ

ენებში დადასტურებული თურქული წარმომავლობის სიტყვები დესემანტიზებულია. მოძიებულ ანთროპონიმთა უმრავლესობის სემანტიკა თურქული ენის თვალსაზრისით საკმაოდ გამჭვირვალეა. ამიტომ ვიფარგლებით თურქული ძირის მნიშვნელობის დადგენით, ხოლო შემდეგ სახელებს ვაერთიანებთ სემანტიკურ ველებში.

გამოიყო ეთნოანთროპონიმები – ბაინდური, ბაშკირი, გურჯი, თათარი, იურუკი, თურქი, თუქლამი, ნოღაი, ოზბეგი, ოღუზა, ყაზახი, ურუმი, უთურგა, ყაჯარი, ყივჩაღი, ყუმახა, ხაზარა, ჯალათა...

ტოპონიმები პირის სახელთა ფუნქციით: არღუნი, ბესლანი, დანგიზი, ეხისკა, სტამბოლი, ყარაყუმა, ყიზლარა, ყირიმი...

საკუთარ სახელებად და გვართა ფუძეებში შეგვხვდა თურქული ხელობა-მოსაქმეობის ტერმინები: ავჯი</avʒy/‘მონადირე’, ათჯი</atʒy/‘მეჯინიბე’, არაბაჯი</arabaʒy/‘მეურმე’, არხი</ar(y)kcy/‘არხის გამყვანი’, ბალი</balcy/‘მეთაფლე’, დემურჩი</demürçi/‘მჭედელი’, თოფჩი</topçu/‘მეთოფე’, თოქმაჯი</tokmakcy/‘კვერის მცემელი’, კალაიჯი</kalajcy/‘მკალავი’, კომურჯი</kömürçü/‘მენახშირე’, კურახჩი</kürekçi/‘მენიჩე’, ულარჯი</jularcy/ ‘მეუნაგირე’, ფაფახჩი</papakcy/‘ფაფახის მკერავი’, ქურქჩი</kürkü/ ‘ჭონი’ (ბენვის, ტყავის მკერავი), ყაზანჯი</kazançy/ ‘მექვაბე’, ყაუხჩი</kavukçu/ ‘მექუდე’, ყაფჩი</kapyçy/ ‘მეკარე, კარისკაცი’, ყვინჩი </kuyumçy/ ‘ოქრომჭედელი’, ყორულჩი </körükçi/‘საბერვლის ოსტატი’, ჩარუხჩი</çarykcy/ ‘მექალამნე’ და სხვ.).

სოციალური ტერმინებია: ათაბეგი, აღა, ბეგი, ბეგთაბეგი, ელჩიბეგი, ემიკაღა, თარხანი, იგიტბაში, სოღაღა, სუბეი, უზბაში, ქეშიკა, ყაიაბეგი, ყორჩიბაში, ყულარაღასი, ყული, ხანი, ჯიბღა. ზოოფორული ანთროპონიმებია: ასლანი </aslan/ ‘ლომი’, ბულა </buyla/ ‘ხარი’, გონბახი</köpek/‘ძალი’, დონგუზა </doğuz/ ‘ლორი’, თილქი </tilki/‘მელა’, თილღურ </toyru/ ‘შევარდენი’, კუდუხა </kudux/ ‘კვიცი’, ოქუზა </öküz/ ‘ხარი’, ყაფღან </kaplan/ ‘ვეფხვი’, ყოჩი</qoç/ ‘ყოჩი’, ჯურღა/ჯურხა < ყარაჩ.-ბალყ. /ʒorya/ ‘ჩორთმავალი ცხენი’ და სხვ. ნასესხებ ანთროპონიმებში გვხვდება თურქული თეოფორული სახელებიც: თანღრია </tanrı/ ‘ღმერთი’, თანღრიყულა </tanrıku/ ‘ღვთის მონა’, თარივერდი </tanrı verdi/ ‘ღმერთმა მოგვცა’, დონღუა </döndü/ ‘მოიქცა’ და სხვ. ადამიანის ამა თუ იმ ნიშან-თვისების მიხედვით სახელდება ანთროპონიმიზაციის ადრეული ეტაპია. ეს ნომინაცია ახასიათებს ყველა ანთროპონიმულ სისტემას გამონაკლისის გარეშე. ქართველურ ანთროპონიმიში დამკვიდრებულ თურქული წარმომავლობის სახელებში ხშირია აღწერილი სახელები: ალაჯა </alağa/ ‘ჭრელი’, ალულა </alyk/ ‘სულელი’, ბუიღლი </byjykly/ ‘ულვაშიანი’, ბურნუსუზა </burunsuz/ ‘უცხვირო’, გევეზა </geveze/ ‘ყბედი’, გოზალ </gözâl/ ‘ლამაზი’ დელია </deli/ ‘გიჟი’, დოღუ </dolu/ ‘უხვი’, თექა </tek/ ‘ერთადერთი’, იაღღუზ </jalnyz/ ‘მარტო’, იანღული </janyl/ ‘ახალი’, იარალი </jaraly/ ‘დაჭრილი’, პარმაქსიზ </parmaksyz/ ‘უთითო’, სონღურ </sağur/ ‘ყრუ’, უღღურღუ </uyurlu/ ‘ბედნიერი’, ყარა </q’ara/ ‘შავი; ძლიერი, დიდი’, ყარაგოზა </q’ara göz/ ‘შავი თვალი’, ყიზიღა </q’yzyl/ ‘ნითელი’, ჩირქინა </çirkin/ ‘უშნო’, ჩოღაყა </çolak/ ‘ცალხელა’ და სხვ.

ანთროპონიმიის ისტორიაში ნათესაობის ტერმინებით სახელდება ერთ-ერთი უძველესი ეტაპია. ოჯახის წევრთა სახელების ონიმად გადაქცევა ტაბუისტური ჩანაცვლების გადმონაშთი უნდა იყოს. ასეა ქართული მამია, მამისა, მა-

მუკა, მამუა, მამუჩა, დედა, დედიკა, დედუნა, ბიძინა, ძამა, ძამუა, ძამუკა. თურქულ ონიმიასში ადამიანის საკუთარ სახელად ფუნქციობს მამა, დედა, ქალიშვილი და ვაჟიშვილი, ბაბუა და ბებია, ბიძა და რძალი და სხვ. ამათგან ქართულ ანთროპონიმულ სივრცეში შემდეგი სიტყვები დადასტურდა: აბალა < /abaya/ 'ბიძა, მამის ძმა', ათა < /ata/ 'პაპა; წინაპარი; მამა', ანაყიზ < /ana qyz/ 'დედა ქალიშვილი', ბაბა < /baba/ 'მამა', ბალა < /bala/ 'შვილი', ებე < /ebe/ 'ბებია', ექიზა < /ikiz/ 'ტყუპი', ეშა < /eş/ 'მეუღლე', იენე < /jeñe/ 'რძალი', ოლულა < /oɣul/ 'ვაჟიშვილი' და ოლლი < /oɣlu/ 'მისი ვაჟიშვილი' (ორი გვარის – ოლლიშვილი, ოლლიაშვილი – ფუძეში), ყარდაშ < /qardaş/ 'დედმამიშვილი; უმცროსი ძმა' ყიზია < /kyz/ 'ქალიშვილი' და სხვ. სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სახელთა ომონიმური ანთროპონიმებია: ბაშია < /baş/ 'თავი', ბილა < /byjyk/ 'ულვაში', გოზია < /göz/ 'თვალი' გონგლია < /göñlü/ 'მისი გული' და სხვ.

რამდენიმე სახელი გავაერთიანეთ მცენარეულ მიკროველში: ალმა < /alma/ 'ვაშლი', ბუდახა < /budak/ 'ტოტი', სოგუთი < /söjüt/ 'ტირიფი', ფუნდუკი < /fyndyk/ 'თხილი', ქოქია < /kök/ 'ფესვი', ჩიჩახა < /çiçek/ 'ყვავილი'. დედამინის რელიეფის ამსახველი სიტყვებია: არლუთა < /argyt/ 'ხეობა', დალა < /day/ 'მთა', თენგიზი < /teñiz/ 'ზღვა', ყაია < /qaja/ 'კლდე'. გარკვეული დანიშნულების საგანთა ომონიმური რამდენიმე ანთროპონიმი: ალაჯუყი < /alažyq/ 'კარავი', ალდუზ < /jalduz/ 'ვარაყი', არაბა < /araba/ 'ურემი', ბაირალა < /bajrak/ 'დროშა', ბოია < /boja/ 'საღებავი', ბურდუკი < /burduk/ 'ტიკი', თოფა < /top/ 'იარალი', სადალა < /sadaɣa/ 'საისრე', ტაგანა < /tagana/ 'ხის ჭურჭელი', ყაზანა < /q'azan/ 'ქვაბი', ყანდურ < /q'andyr/ 'დასათრიმლად გამზადებული ტყავი', ნედლი ტყავი, ყილიჯი < /q'ylyč/ 'ხმალი', ყურშუბა < /q'ursun/ 'ტყვია', ჩიბუხი < /čybux/ 'ჩიბუხი', ჩომახი < /čomak/ 'ჯოხი', ჩახმახა < /čakmak/ 'ტალ-კვესი' და სხვ. ციურ სხეულთა სახელები: აიგუნა < /aj gün/ 'მთვარე, მზე', აიდოლმიში < /ai doymyş/ "მთვარე შობილა" ვილდუზი < /jylduz/ 'ვარსკვლავი', თულა < თ. - მონღ. /tula/ 'თანაგარსკვლავედი სასწორი' და სხვ.

ახალშობილთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაბედების სურვილი: ალთუნა < /altun/ 'ოქრო', დემურ/თემურ < /demur/temir/ 'რკინა', ჯუმუშა < /žümüş/ 'ვერცხლი' და სხვ. დღეს ქართველთა ანთროპონიმიას გვარებში სამუდამოდ დამკვიდრებული თურქული ლექსემების გვერდით პირის სახელთაგან მხოლოდ ელგუჯა, თემური, თენგიზი, ხათუნა, იშვიათად ასლანი და ყაფლანი შერჩა.

ლიტერატურა

- გაბაშვილი 1957** – ვ. გაბაშვილი, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1957;
- „ქართლის ცხოვრება“ 1955** – „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955;
- ჭუმბურიძე 1992** – ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, თბილისი, 1992;
- ლლონტი 1986** – ა. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986;
- ჯიქია 2008** – მ. ჯიქია, თურქიზმები ქართველურ ანთროპონიმიასში, გამომცემლობა „სიტყვა“, თბილისი, 2008.

Abstracts

On the Etymology of Several Georgian Words with Deficient Roots

In Old and New Georgian there are certain base-forms containing only prefixes and suffixes without any root. Arnold Chikobava has identified some of the above-mentioned base-forms in the literary Georgian. Etymological analysis has revealed other similar base-forms. In this regard, mention should be made of the lexeme *sul*, with the infinitive prefix *s-* and participle suffix *-ul*. The root is missing. The lexeme *sul* (completely) is derived from the morpheme *srul* (complete), which, in its turn, is etymologically related to the verb *svla* (go).

The base-form **sul** has its correlate – the base-form *šuro*, *šur-ot`sruliad`* (completely) - in the Zan language. As a result of etymological segmentation, it has turned out that *š-ur-o* is represented only by affixes, while the root is missing. Due to the sound correspondence between the above-mentioned base-forms, it is likely that the common ancestor of the Kartvelian languages had archetypes **s-ul / *s-r-ul *s-r-ul-ad*. On the earlier stage, in the ancestor language there must have been archetypes **s-l-ul / *s-vl-ul *s-val-ul*.

Tsiuri Akhvlediani, Ketevan Gabunia

Phraseology as the Reflection of Realia

(On the Material of French and Georgian Languages)

Phraseological units are used in everyday life, literary works and journalism. They make the content more expressive and have their specific features in separate languages, as they reflect the national mentality. When studying a foreign language, special attention should be focused on phraseological units. It is especially difficult to understand authentic texts that contain phraseological units, proverbs, idioms and similes. Phraseology is closely related to the history, culture and mentality of a nation.

The paper analyzes and compares the phraseological units in two typologically different languages – French and Georgian. The study of phraseological universals and phraseological units in the interaction between languages of different structures is significant not only for the general linguistic theory, but also for the development of methods of foreign language teaching. Mastering of phraseological units facilitates the perception of texts containing such units, helps overcome native language interference on the lexico-grammatical level and helps develop conversational skills.

Maia Baramidze

On the Synonymous Lexis of Eptvime's Translation of "Tqumuli" by Theophane Kesaria of Cappadocia

The paper focuses on synonyms, as part of the lexis of Eptvime's Translation of 'Tqumuli' by Theophane Kesaria of Cappadocia (A1101). The language used in the above-mentioned translation chiefly follows the norms of Old Classical Georgian. The paper deals with pairs of synonyms placed together in one and the same sentence. These are: nouns, adjectives, verbs, adverbs and gerunds: *eḳali da ḳurojstavi* (thorn and prickle), *ḳliḱeni da moklonni* (locks and

padlocks), *picxelica da zlierica* (powerful and strong), *gangarisxe da gangamçare* (I infuriated and enraged you), *řirili da glovaj* (crying and mourning), *sacineli da samçereli* (funny and joyful), *picxlad da mçared* (cruelly and bitterly)...

Unlike other literary monuments, the author uses the synonyms, *açiro da saçiro* – ‘difficult’ and ‘severe’ as attributes that define earthly life. Synonymous words are found in different parts of the texts, for instance: *qsnad kaçisa – mařin scxondi* (to save Man – salvation); *açsasruli – sikudili* (the end – death); *saxierebisa mimart – kvelismokmedebisa* (mercy – charity); *vevedro – vitxovo* (beg – pray); *mtxrebelsa – mywmed* (hole – pit)...

The lexis of Eptvime’s Translation of ‘*Tqumuli*’ by Theophane Kesaria of Cappadocia is an important source for the study of the vocabulary of synonyms of the Old Georgian language.

Tsira Baramidze

Towards the Genesis of the Formants of the Reduced Stems (-eř/-ed)

In some Georgian stems it is possible to single out the **-eř** (//**-iř**) suffix (for example, *xvr-eř*/*xvr-iř*, *çql-eř*/*çql-iř*). Separation of the **-eř** (//**-iř**) suffix on the basis of this argument is reliable in the reduced stems:

Geo *çerçet-i* < **çer-çer-eř-i*

Geo *kerķet-i* < **ker-ķer-eř-i*

Such analysis of the reduced stems is firstly presented in the present paper. From the standpoint of derivation, the reduced stems are secondary, of the later period. Presumably, **-eř** / **-ed** suffixes are represented in few reduced stems. The genesis of the **-eř** / **-ed** formants is as follows: in the Common Kartvelian ***-eř**, the decomposition of which resulted in **-eř** in Georgian and **-ař** in Zan: ***-eř** < Geo **-eř**, Zan **-ař**:

Geo *çql-eř-a* / *çql-iř-a* Zan. *çqil-ař-ua* / *oçqil-iř-u* “mashing”; Geo *xvr-eř-a* / *xvr-iř-a* Zan *xir-ař-ua* / *o-xir-iř-u* “boring/perforating”, under a semantic shifting: “splitting”.

In the article the opinion is expressed that ***-eř** < Geo **-eř**, Zan **-ař** formants have phonetic correspondences in the Kartvelian Languages and dialects:

***-ř** > **-d** > **-ř**: The example of the transition of **d** into **ř** (affricatization) is little but it is still confirmed (cf., Geo *xid-i*, Zan *xi(n)ř-i* “bridge”, Old Geo *yer-ye[r]-ed-i*, Megr. *çorçonř-i* < **çor-çor-o(n)ř-i* – “goose”;

r > **d** > **ř**:

Geo *cvar-i*, Zan *cu(n)d-i/cu(n)ř-i* “sheep”.

The article analyzes the relevant empirical material of genesis of the formants of the reduced stems.

Tinatin Bolkvadze

The Soviet Policy regarding Language Minorities: Results of the First Period

The concept of a language minority and the attitude to such speech communities was diverse throughout the different periods of the Soviet language policy. In the first period of the Soviet language policy, when the equality of nations was declared, alphabets were created for all languages and ethnic groups, dialects were selected to form the literary languages. This

attitude was radically changed during the second period of the Soviet language policy, the so-called “New Balance” period.

“The New Balance” policy meant restriction of the number of ethnic groups with the right of nationalism. This was the start of Stalin’s policy of intermixture of languages. This policy lasted until the 60s, when the main aim was to achieve a stable bilingualism for every Soviet citizen. In the second period, the language pluralism characteristic of the first period continued: alphabets were created and printed media was spread for non-written languages. Sometimes they were opposed to the languages with longstanding written history. These activities were justified by the necessity to bring the Socialist ideas to every citizen with the aim of consolidation of the Soviet people. However, the results were frequently quite contrary. Instead of consolidation, these activities formed grounds for new conflicts (for instance, Megrelian printed media led to a conflict and, eventually, it was rejected).

The Georgian alphabet was used for graphical systems of Ossetian and Abkhazian languages. For the Ossetian language, the alphabet changed several times during the Soviet period. In 1923 the Cyrillic alphabet of the Ossetian language was romanized; in 1938 the alphabet was again translated into Cyrillic. In 1938-1954, the Ossetians used the alphabet on the basis of Georgian graphics and returned to the Cyrillic alphabet in 1954. One of the important arguments for the return of the Ossetians to the Cyrillic alphabet was the fact that two different alphabets were used for the Ossetian language and Ossetians were in different conditions in South Ossetia and North Ossetia, which did not support their national consolidation. But the printed material shows that a single alphabet is not sufficient for the development of a literary language. According to the Sociolinguistic Encyclopedia created by McConnell and his co-authors, only 15 poems, 15 plays, 61 short films and 4 novels (2000: 359) were published in the Ossetian language, which are not sufficient for the development of literary language.

The necessity of every Soviet citizen to speak Russian arose not only due to the Soviet political goals, but also due to the wish of the citizens to take an active part in the social and cultural activities. The knowledge of the Russian language would enable them find a job to their interest on the entire territory of the Soviet Union. The above-mentioned situation diminished all the achievements of the first period of the Soviet language policy. The degree of linguistic and national assimilation was higher. Only in rare cases the increased bilingualism was free of threat of assimilation (for instance, in case of Georgians) There appeared languages in which only a couple of books were published, reflecting the folklore of the speech community. Literary development of these languages was hampered due to the small number of native speakers and the increasing necessity to speak the Russian language (Examples are brought from North Caucasian languages).

Elisabed Gazdeliani

Ethnolinguistic Analysis of Certain Svan terms

The paper is an attempt of ethnolinguistic analysis of certain Svan terms.

1. Svan *solomo*, *solomn* is *Solomon* – the Biblical King of Jews. The Svans begged his assistance in all kinds of construction and agricultural activity.

2. *sunduk* {*deceš*, Biblical Arc. Worship of this sacred object is related to the Biblical story of Noah’s Ark where the Jews had placed their sacred laws.

3. *li-kûr-eš-i* < *li-kor-eš-i* (settlement); the base-form of this term is *kor* (house). The holiday is related to the Biblical story of the return of the prodigal son (his return to his father, family and home). The term is derived from the root *kor* (house).

4. *li-ši-ăši* New Year ritual: “light hand, food”, literally: “making one’s hand light”. *li-ši-ăši* is a compound word: *ši* “hand” *ăši* < *hăši* “light”.

5. *çor* – the term is related to the Svan law - “vengeance, the price for shedding someone’s blood”. *çori* < *sçoro* “even”. In the Svan form *çor*, *s-* is lost; cf. Megrelian *çori* “even”; Georgian *ga-u-s-çor-da* (he got even with his enemy); Svan *kād-çor-e* (he took revenge).

Giorgi Gogolashvili

Punctuation in Ana Kalandadze’s Poetry

There are certain original combinations of punctuation marks in the publications of Ana Kalandadze’s Manuscripts. Three dots are used either separately or together with a comma and exclamation mark. There are several versions of the original punctuation: two dots (..), three dots (...) with an unusual function, four dots (....), combinations like comma and three dots (... / ,... / ,...), an exclamation mark and three dots (!.. / !... / !....). It is obvious that this unusual punctuation has the artistic-stylistic function. In the printed version these variations are lost; hence, special attention should be paid to the original punctuation when publishing the works of the great Georgian poet.

Roseta Gujejiani

Representation of History and Traditional Svanetian Culture – “Tamar Dedpal” – (Queen Tamar)

The historical memory of Georgians has vividly retained the stories related to the sacred Queen Tamar. Representation of history is especially interesting in the culture of highlanders (Svans). Svanetian culture has retained many stories and legends regarding Queen Tamar: she was especially fond of Svaneti; she ordered to build numerous churches, monasteries, castles, fortresses and watchtowers in Svaneti; she constructed many roads; she gifted numerous crosses and icons to Svanetian monasteries; she frequently visited Svaneti (*Jorkvali, Lakhami, Etseri, Ipari, Ushguli and other places*); Svan warriors played an important role in Queen Tamar’s army; Queen Tamar blessed “Lemi” - the flag of Svanetian principedom; Queen Tamar had a healing power; Queen Tamar is buried in Svaneti and so on.

The image of Saint Queen Tamar is a chief motive of Svanetian traditional culture. This motive enhances the national pride of the highland population and makes them believe they have actively participated in the historic events. Representation of history forms grounds for the constant renewal of national history within the ethnic group.

On the Conceptual Framework of Old Georgian Translational Corpus

(Digital documentation and study of the translations from the pre-Athonite period)

The paper deals with the challenges associated with the documentation and annotation of the corpus of Georgian translated literature of the pre-Athonite period that lasted from the 5th through the 10th century. The problems have been addressed by transforming the collections of texts as well as the related theoretical knowledge into advanced digital resources.

Based on this principle, the Georgian translational corpus of the pre-Athonite period (see <http://corpora.iliauni.edu.ge/>) allows scholars to study the influence of foreign languages and cultures (Greek, Assyrian, Christian Arabic and Armenian) on literary processes unfolding in Georgia at the time as well as the linguistic and stylistic peculiarities of the original Georgian literature.

Along with the diplomatic and academic editions of the pre-Athonite translations, the corpus includes ten old manuscripts offering the versions that differ markedly from the ones presented in previous editions.

Rusudan Zekalashvili

On the Dictionary of Valency of the Georgian Verb

Valency, as the aptness of the verb to link with a certain amount of actants, has been introduced by L. Teniere. Later the meaning of valency was expanded to embrace all parts of speech (S. Katsnelson). Several types of valency are distinguished in contemporary linguistics: semantic, lexical, morphological and syntactic. The study of various aspects of languages with regard to valency reveals new perspectives and largely assists lexicography.

Dictionaries of valency and distribution of the parts of speech have been compiled for numerous languages. There is an obvious need to compile a similar dictionary for the Georgian language as well. It is evident that the experience of foreign linguists should be taken into account when creating a dictionary of this type (for instance, Helbig's Theory of Valency, which forms grounds for the dictionary of valency of German verbs).

The valency of Georgian verbs and the category of person are profoundly analyzed in special literature. Hence, there are important conclusions that may serve as a basis for the above-mentioned dictionary. In my opinion, the main types of verbs should be distinguished (regarding their valency and person forms), obligatory and facultative valency should be underlined and semantically acceptable types of actants should be identified (animate/inanimate, abstract/concrete, etc.).

The morphosyntactic peculiarities of the Georgian verb should be taken into account: the coordinative relation between the subject of diverse case forms and the person of the direct or indirect object. Based on the semantics of the verb, the dictionary of valency should also focus on prepositional objects, governed by the verb either directly or indirectly.

“Translators of the Later Period Receive their Knowledge from the Earlier Translations”

(On Certain Aspects of the Old Georgian Translators' Etiquette)

The type of translation activity and the attitude of the translator to the translated text have been conditioned by cultural-historical, ideological and literary requirements of various cultures and epochs. These requirements defined the type of texts to be translated, the language from which to translate and the manner of translation. In cultures of longstanding translation tradition (including Georgian) the above-mentioned factors often led to the necessity of critical evaluation of already existing translations, their correction and, sometimes, even repeated translation. All this led to a standardized opinion concerning the existing translations (“first translations”) and their authors - “first translators”. The unity of these opinions may be termed as translation etiquette. The essence of this etiquette is to respect and evaluate the works of the old translators; translators of the following generations ought to express their veneration and gratitude to “the first translators”; it is considered impudent to treat the existing translations with disrespect and, if a repeated translation is necessary, this necessity should be justified by arguments. The paper focuses on the wills of Georgian translators of the Middle Ages in which they express opinions regarding the translation etiquette.

Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgharkava

Lexems and Phraseological Units Expressing Shame in Kartvelian Empirical Materials

The concept of shame differs from culture to culture and changes with time in one and the same cultural space. The linguistic data of Svan, Megrelian and Laz languages with regard to shame-related vocabulary and phraseology are, to a certain extent, typologically different from those of the literary Georgian. Comparison of one-century-old Svan, Megrelian and Laz texts with contemporary everyday speech has proved that oral Kartvelian languages contain a rich and diverse material related to the concept of *shame*. The data of Svan, Megrelian and Laz languages are of interest from the viewpoint of structure, word-formation, etymology and semantics.

Igor Kekelia

Studies on the Toponymics of Apkhazeti

The presented paper deals with the structural-semantic analysis of some toponyms from Apkhazeti, which is confirmed by the data obtained from historical sources. Discussion is provided on the place names such as *Gupu*, *Dadistskali//Eristskali*, *Tsorka*, *Tsumuri*. In my view, the etymological interpretation of the above-mentioned geographical names can be made by means of Megrelian. I consider all the five toponyms to be of Kartvelian, namely, Megrelian origin.

Diminutive Names in Literary Georgian and its Dialects

As in every other language, in Georgian diminutive names constitute a specific and very interesting group. The suffix in such nouns does not change the meaning, but makes it semantically more precise (by denoting its small size) and attaches it emotional-expressive colouring. The small size of the object and the speaker's attitude to it is chiefly expressed by diminutive suffixes.

In Old Georgian there were only two diminutive suffixes: **-a** and **-ak**. The nouns formed by means of these suffixes are no longer used: *kal-a* (a young woman), *čabuḱ-a* (young man), *katam-a* (a young hen), *mcire-aḱ-i* (a small thing), *saxl-aḱ-i* (small house), *zmisčul-aḱ-i* (young nephew), *kuęan-aḱ-i* (a small country)...

Unlike Old Georgian, diminutive nouns are more widespread in the contemporary literary language. However, their number is much less as compared to other languages (Russian, German...). In the contemporary Georgian language diminutive nouns are frequently used in everyday speech and are quite widespread in the dialects.

Diminutive nouns are most widespread in the following Georgian dialects: Rachvelian, Kartlian, Kakhetian, Khevsurian, Pshavian and Gurian. There are numerous diminutive suffixes, most of which are compound. The last component of these suffixes is usually **-a**: **-i-a**, **-iḱ-a**, **-iḱ-o**, **-uḱ-a**, **-un-a**, **-uč-a**, **--un-i-a**, **-iḱ-el-a**, **-uḱ-el-a**, **oḱ-in-a**, **-ux-an-a**, **-uč-un-a**, **-uc-un-a**, etc. These suffixes vary in the degree of productivity. Some of them are found only in a couple of words.

There are certain tendencies to be observed in the dialects regarding the use of diminutives. In the Rachvelian dialect the diminutive suffix points to the speaker's intimate, familiar attitude to the interlocutor. Diminutive suffixes are added to almost all nouns, including those that are semantically far from smallness, caress or mockery (*tḡvi-uḱa tḡvia* (bullet), *tumn-iḱa tumani* (amount of money), *ęam-uḱa ęame* (night), *ḱves-una ḱvesi* (*ḱaž-uka ḱaži...*) (flint). Diminutive suffixes are also added to numerals and adjectives (*coḱ-una coḱa* (few), *or-uḱa ori* (two), *amxel-uḱa amxela* (huge)...). In some dialects diminutive suffixes are also added to adverbs, for instance, Gurian: *adri-ela adre* (early), *čumat-ela čumat* (quietly)...; Kartlian: *emčęina ase cota* (so few); *amčięina ase paḱara* (so small)... . In the Gurian dialect such suffixes are also used with participles: *moxurulai mciredi parduli* (small shed); *načamai mciredi načamai* (little eaten); *učmelai učmeli piruḱvi*, *adamiani* (not eating, used to denote a person or an animal)...

In the lowland dialects of Eastern Georgia diminutives usually express mocking rather than caress. Frequently the emotional colouring of a lexical unit is expressed by diminutive together with onomatopoeia (*čičl-ika paḱara da gamxdari* (small and lean); *ḱupačia erti bečo*, *dabali* (tiny and short person); *ḱniča paḱara*, *čvrili* (small, thin)...

In some dialects there are groups of nouns in which the diminutive suffix is added to a reduplicated stem with a slight alteration in one of the components: change of vowel, addition or removal of a consonant. Such nouns have a certain emotional colouring and express mockery, derogation, insult: *ačlačučla šemopletili* (tattered); *bačačua sačqali*, *ušno* (poor, ugly); *xexela aqlaquda* (extremely tall)...

Diminutive nouns are also found in literary texts (both original texts and translations). Sometimes writers create artificial forms based on the models already existing in the language.

Time Postpositions in Georgian

Postposition occupies an important place among language means expressing spatial and temporal relations. Traditionally, postpositions are analyzed from the syntactic point of view. However, this hampers a complete study and analysis of the semantic features of postpositions reflecting spatial and temporal relations. **The data of Old Georgian proves that a complete system of postpositions was formed rather late.** It is obvious that the spatial and temporal functions were distributed among postpositions. i.e. some postpositions are used only to denote spatial relations and never to denote time (*zedá, -gan* genitive case with postposition), whereas other postpositions are used to denote only temporal relations (*-ze, -gan* ergative case with postposition). These data are extremely valuable not only for the study of the Georgian language, but also for proving that the reflection of temporal relations in languages is not a result of transformation of spatial relations.

In contemporary Georgian there is an evident tendency to expand the functions of postpositions denoting spatial and temporal relations. In this regard, special mention should be made of the dialects of Georgian.

The diachronic study of the functions of time postpositions, as well as the analysis of the current situation and latest tendencies, will enable draw a model of conceptualization of space and time in Georgian. The above-mentioned issue is of importance not only for the study of one concrete language, but also for the comparative linguistic research.

Maia Lomia

“The Principle of Economy” in Language and Types of Hypotactic Constructions in Spontaneous Speech

Spontaneous speech is oral unprepared speech. Examples of such speech can be found in oral Kartvelian languages (Megrelian, Laz, Svan), dialects of Georgian and Georgian folk tales. Oral speech uses different linguistic and stylistic means to express and transmit information, for instance, expansion of argumentation based on the repetition of morphological-syntactic-lexical data or, vice versa, communication based on “the principle of economy” achieved by means of diverse language phenomena. In this regard, mention should be made of the **Ellipsis** of certain forms or parts of constructions.

“The principle of economy” has long existed in natural languages. However, opinions of scholars still vary in this regard. The paper deals with conditional constructions consisting of three components, *tu arada* (if not so) complex conjunction. These constructions are a good example of the principle of economy in language, which is achieved by means of diminishing the number of components in the construction.

On the History and Etymology of Some Toponyms of the Dali Gorge

The Dali (*resp.* Kodori) Gorge is a historical region of Abkhazia, Western Georgia. In the antique period this region was called Mivisianeti or Misimianeti, in the Middle Ages – the Dali Gorge, in the XIX century – Tsebelda-Dali District, in the Soviet Period – Abkhazian Svaneti, and in the XXI century – Upper Abkhazia. The gorge has extremely favourable geographical location and consists of Klukhori, Marukhi, Naharva and other passes. The Dali Gorge is the shortest route connecting the seaside region of Western Georgia to North Caucasus. Thus, the gorge played an extremely important role and fulfilled a significant strategic function in every epoch of history.

Alongside with the review of the history of the Dali Gorge, the paper focuses on the etymology and semantics of the toponyms: *γvaγva* < Svan *uγva* (yoke), *gvandra* < Svan *gval* (cowshed), *ḳodori* < Svan *ḳved* (spring)... In general, the toponyms of Dali Gorge are diverse. They are of different age and chronology and consist of Georgian (Svan), Abkhazian, Russian geographical names, as well as terms of uncertain etymology. Special mention should be made of the fact that the sources of the antique period and the Middle Ages (Agathias Scholasticus, Menander Protector, Theophanes the Confessor...) make mention of numerous Svan geographical names (or names of Svan etymology) denoting the Kodori Gorge – *pusta*, *čixari/čxali*, *skiomari*, *lagvana*, *ṭibeleosi*, *dareni*, *boḳeri/bogeri*...

Ketevan Margiani-Subari

The Specifics of Resultative I Forms Without Preverbs in the Svan Language

Experience is a semantic feature of perfective forms of the verb. The speaker underlines that a concrete action has been implemented in the past at least once (or never); the emphasis is made on the very fact of action, e. g.: *mičamia=načami makvs* (I have eaten), *ʃeʃ miḳeravs =ʃeʃnaḳeri makvs* (me is) (I have tailored), *vḡopilvar = namḡopi var* (I have been). In the Kartvelian languages the function of expression of the category under analysis is fulfilled by resultatives. There is a following semantic difference between the literary Georgian and Svan languages regarding the perfective, resultative forms without preverbs: in Georgian these verbs may express both experience and the lack of experience (not simultaneously), hence, a broad context is necessary for understanding the semantics. In the Svan language, unlike the literary Georgian, resultative forms without preverbs are divided into two groups: a) forms with suffix **-a**, that imply only experience in any context and never mean *turme* (it has turned out that): *giorgis meṣṭias demčiks x-o-čd-a* – “Giorgi has never been to Mestia”; b) forms with suffix **-en-a** that simultaneously express experience and an unseen action: *giorgis meṣṭias demčiks x-a-čd-ēn-a* – “It turned out that Giorgi had never been to Mestia”.

It is obvious that the initial function of the resultative tenses was both a result and experience. In this way, they were close to stative verbs. After these tenses started to express actions, forms without preverbs added suffix **-en** to differentiate between the two semantics in the Svan language.

Dogmatism, Authoritarianism and Tradition in Linguistics

The article tackles and responds to a question of what harms can result from dogmatism, authoritarianism and, as if “painless”, “habitual” tradition in science and especially in linguistics, which is one of the important branches of science in which empirical observation and research plays a key role. In linguistics we have instances of all the three above mentioned blunders both in the past and in the present.

Authoritarianism in scholarship, that is to say, influence of particular opinions or theories of authoritative scholars concerning this or that sphere of empirical science, is relatively unnoticeable. Accordingly, this leads to the stagnation and hindrance of development of scholarly ideas. All the more so, if certain assertions and premises set by such authorities are not based on any statistical analysis of the researched empirical material. Due to the reason of tradition and authority, this system is so much entrenched in scholarly circles that there is no desire left for checking the established opinions despite the fact that a traditionally accepted *a priori* assertion serving as a ground for studying this or that problem causes many incongruities, contradictions and questions, the answer to which is impossible within the confines of this rigid system. At best, in those conditions, research becomes superficial, unsystematic and stereotyped; at worst, such a self-conceit leads to paralysis and freezing of scholarly ideas.

The article demonstrates the problems existing in Georgian grammatical literature that are caused by dogmatism, authoritarianism and tradition. It provides classification of the Georgian verb according to a morpho-syntactic principle, as a result of which is singled out grammatical (morpho-syntactic) category of diathesis, which is divided into three groups according to the structure and construction (see the scheme).

In linguistics, as in any other sphere of empirical sciences, the first order task is to carry out an analysis of a sufficient amount of empirical material by means of inductive and not deductive research. The object of a grammatical study is a form (structure) of a word and mechanism of connection of such words (i.e. a structure). Therefore, the classification of a studied material should be based on a morpho-syntactic criterion. At the same time, logical rules should be maintained for the division of a notion and unity of the principle of classification.

While classifying any grammatical occurrence, one should distinguish between the spheres of logic and grammar: grammatical categories should be qualified on the basis of morpho-syntactic analysis of the material, on which ground both grammatical and logical-semantic functions of the revealed forms (structures) will be clarified, that is to say, will be established a type of relation of a semantic marker in morphology; besides, will be clarified, in general, whether this or that universal semantic category is marked grammatically (morphologically) in a concrete language or not.

Diathesis is a primary scheme for the morphological structure and syntactic construction of the Kartvelian verb; Diathesis is a grammatically marked category defined by the combination of morphological structure and syntactic construction.

We distinguish three types of diatheses; each of them combines verbs with the same morphological structure and syntactic construction.

Group I, where verbs are united according to their theme (**R-Ø**) and construction (ergative), constitutes the **first diathesis** which consists of the incomplete and complete construction subgroups. The first subgroup expresses the state of action and thus, has a stative meaning. The second subgroup, on the other hand, expresses the process of action and has a

dynamic meaning. The first one is primary and generates the second subgroup verbs in terms of both structure and construction (*praes*: - *kaṅkaṅlebs is* ‘he trembles/shakes’ > *a-kaṅkaṅlebs is mas* ‘he makes it shak AOR: *i-kaṅkaṅala man* > *a-a-kaṅkaṅala man is*; *PRS*: *cxovrebs is* ‘he lives’ > *a-cxovrebs is mas* ‘he makes/lets her live’; *AOR*: *i-cxovra man* > *a-cxovra man is*).

Group II, which also combines verbs with the same structure (**R-i**; **R-eb-i**) and construction (nomimative) constitutes the **second diathesis**. Like the first diathesis, it consists of incomplete and complete construction subgroups of which the first one is stative while the second one is dynamic; here as well, the first subgroup is the basis for the second subgroup in terms of both structure and construction (*gd-i-a is* - ‘he (she/it) is lying about (idly)’ > *m-i/u-gd-i-a /me is/mas is*).

In **III diathesis** there are two sub-groups of the psychological and mental, so-called affective archaic verbs of the basic dative construction: a) I sub-group: mixed, of R-Ø and R+O structure (*miqvars* “I love”, *mʒuls* “I hate”, *momçons* “I like”), b) II sub-group: also a mixed construction (I and II diatheses), dative construction verbs of **a-R-** -[th.suf.eb]-Ø and **R-**-[th.suf.eb]+i structures, obtained by means of verb conversion and inversion (*maṅkaṅlebs is me* > *maṅkaṅlebs me / aṅkaṅlebs mas is* > *aṅkaṅlebs mas*) (“something makes me shiver”, “something makes him/her shiver”).

Merab Nachkebia, Tamila Zviadadze

Materials of the Traditional Trade Vocabulary of Western Georgia (Upper Imereti)

The vocabulary related to certain fields draws an interesting picture of dialectal peculiarities and forms thematic groups of the lexical units reflecting the traditional trade, as well as the mentality of the local population. Pottery is a traditional trade of Upper Imereti. The analysis of related vocabulary proves that the lexical units denoting the equipment, buildings, types of pottery and methods of painting the latter are still retained. However, these lexical units are archaic and may be changed with time.

Several thematic groups of words related to pottery have been distinguished within the research framework. The obtained materials have been compared with ethnographic and linguistic data. A major portion of the terms belongs to the Old Georgian period. Some dialects have retained these terms with their archaic semantics, while others are used with expanded meaning. Lexical units with changed meaning are comparatively rare. The materials are reliable and interesting. They have been obtained based on interviews with the local population. These terms are unaltered, and this is especially valuable for dialectological research.

Maia Ninidze

The Unknown Author of the Short Story Translated by Ilia Chavchavadze - George Parsons Lathrop

In 1987 Shota Rustaveli Institute of Georgian Literature began to print a full scholarly edition of Ilia Chavchavadze’s works. As the writer used to publish anonymously, it was rather important to make a complete bibliography of his works. At the institute of manuscripts

Georgian scientists found a very interesting collection of written copies which helped them to fill in the list. Among other original and translated texts the manuscripts contained a short story “A Homeless Beggar in New York”, copied from the anonymous text published in the magazine “Iveria”. While preparing the texts, comments and notes for the scholarly edition, scientists thoroughly checked XIX century Russian periodicals and found a Russian version of the anonymous short story in “Otechestvennie Zapiski”. The title of the text was actually the same but it was also anonymous. There were only cryptonyms of the Russian translator Alexey Pleshcheev – “A. П.” at the bottom.

Despite looking through various bibliographies and literary indexes it was impossible to find any American story with a similar title and plot. As far as Pleshcheev translated a number of short stories written by Bret Harte, it was supposed that this one might also belong to him, but there was no such text among the author’s works. According to another opinion, the style and the whole spirit of the short story had more in common with Herman Melville’s works, but the idea was not confirmed either. As the titles of the literary works are often translated in a free way and not word-for-word, I considered that the searches according to the title might be in vain and decided to specify the date. The text mentions Thomas’s symphony concert held in Steinway Hall, and in “Grove’s Dictionary of Music and Musicians” I discovered the information that the famous violinist and conductor Theodore Thomas held regular symphony concerts in the hall from 1872. As one of the concerts is mentioned in the story, it was assumed that it could not have been written before 1872. As far as the Russian translation was published in December 1877, the upper limit should have been 1877.

Thus, it was decided to look through the literary periodicals published between 1872-1877 searching not for the title but for a similar plot. A young professor Nino Sozashvili found George Parsons Lathrop’s short story “Left Out” in “The Atlantic Monthly” and the text had exactly the same plot. As Aleksey Pleshcheev translated American literature either from French or from German, in order to make a full picture of the history of this text, it was necessary to find one more intermediate source. In Kentucky University library the same young scientist found a French translation of the story with the changed title - “Un vagabond a New-York”. As the changes made in translations show what the translators considered fit for their cultural conditions and the needs of their readers, analysis of the changes made in the different language versions of Lathrop’s story give us important information about French, Russian and Georgian cultural peculiarities and cross-cultural relations.

Salome Omiadze

Religious Layer in the Inner Form of Paremiological Units

The paremiological fund of the Georgian language, a rich source that reflects national mentality and culture, abounds in units with a religious layer in their inner form. Proverbs and sayings contain information about the religious faith of Georgians. This information requires a systemic linguistic and cultural analysis. The paper focuses on the following issues:

- Paremic units containing precedent names;
- Units pointing to precedent situations and the importance of these situations in the cognitive consciousness of the contemporary speech community;
- Names of Christian holidays, as temporal orientation marks;
- Words reflecting the behaviour of Orthodox Christians;
- Pre-Christian traces in Georgian paremic units.

The Onomastic Materials of Dzvileti Village

Dzvileti village is one of the oldest settlements located in the Ptsistskali Gorge. It is mentioned in the form of Mdzivleti in the list of villages appended to Vakhushti Bagrationi's scholarly work; the name of the village is given in the same form on the map published in 1745, also compiled by Vakhushti Bagrationi. The same name is used in Ioane Bagrationi's "Description of Kartli and Kakheti". One of the important sources to study the above-mentioned village and gorge is "The Registry of Ruisi Eparchy", compiled in 1715 by the Bishop of Ruisi – Nikoloz Mroveli. In this period the village was large, hence, it was divided into two parts – upper and lower Dzvileti. Families of different surnames comprised the population of the upper and lower Dzvileti. The suffix forming the surnames was mostly *-ant* which denotes belonging. Over eighty toponyms include lexemes: *water, spring* and others as second components.

Inga Sanikidze

The Issue of Collective Nouns and their Correspondence with the Number of the Predicate in Georgian

The number of collective nouns in Georgian is rather restricted. However, their syntactic position in a sentence is of interest. Namely, the subject denoted by a collective noun corresponding to the third person is always substituted by a third person singular pronoun: (1) *xalxi garboda (people ran) = is garboda (it ran)*.

The correspondence in number is different in case of subjects denoted by collective nouns, if they fit within the structure of the first and second person: (2) *axalgazrdoba gavrbodit* (we, the youth, ran) corresponds to the grammatical structure - (3) *čven gavrbodit* (we ran) (I person); also: (3) *axalgazrdoba garbodit* (you, the youth, ran) means: (4) *tkven garbodit* (you ran) (II person). Research has proved that the data of I and II persons form a basic structure regarding the syntactic correspondence. Scientific logic helps carry out a diachronic analysis, which distinguishes several stages of correspondence between the subject expressed by a collective noun and its predicate. In the earliest period there must have been correspondence in all the three persons. Thus, it can be concluded that the language has changed from the lexical model to the grammatical one, resulting in a mixed subsystem in contemporary Georgian.

Medea Saghliani

Formation of the Present Tense Base-Forms in Svan in Various Phonosemantic Groups

The morphological units forming the present tense in contemporary the Svan language are suffixes *-e,*

-i, -a and *-Ø*. Numerous Georgian linguists have expressed their opinions regarding the origin and functions of these suffixes (V. Topuria, Arn. Chikobava, A. Oniani, G. Machavariani, N. Natadze, M. Sukhishvili, Z. Chumburidze, L. Nozadze, R. Chkadua...).

The paper focuses on the formation of the present tense base-forms (namely, the formation of verbs with *oden-* vowel suffix and prefixo-suffixal verbs) in various phonosemantic groups (sound, noise, going/walking, drinking, eating, beating, watching, natural phenomena...). Several structural models have been distinguished in this regard. The analyzed materials prove that the Svan language does not use base-markers for the formation of the present tense. The analysis of scholarly literature has proved that opinions vary regarding the suffixes that form present tenses. It is argued that these opinions, especially the ones that consider the above-mentioned suffixes as base-markers, are debatable.

Murman Sukhishvili

The Diachronic Study of Nominative and Ergative Constructions in Georgian

The relationship between a subject and a direct object is crucial for a transitive verb. In some languages this relationship is denoted by means of nominative or ergative constructions. Both these constructions are found in Georgian: Nominative - I, in the present series, ergative - II, in the aorist series, III, there is a dative construction in the perfect series, and the same is the case for the Svan language. The situation is different in Megrelian and Chan languages (Arn. Chikobava). When implementing a diachronic research of constructions with transitive verbs, it is a priority issue to study nominative and ergative constructions. The analysis of this issue is significant for the study of the grammatical structure of the language, its development tendencies and identification of the main grammatical categories.

The traditional approach to the nominative and ergative constructions in Georgian (and other Kartvelian languages) proves that ergative constructions were primary. The development of the nominative constructions is related to the transformation of aspective conjugation into temporal conjugation in intransitive verbs. Such transformation is proved by the history of the permansive tense in Old Georgian, namely the verbs *icis* (he/she knows) and *uq̄q̄is* (he/she knows) (Arn. Chikobava).

Another opinion about nominative and ergative constructions is based on the theory of marking: the marked form is secondary, the unmarked form is primary, i.e. basic. In the opposition between nominative and ergative constructions, both formally and semantically, the nominative construction is unmarked, i.e. primary, whereas the ergative is marked. Typologically, this kind of development has been witnessed in the Indo-Iranian languages (G. Nebieridze, I. Melikishvili); in other Kartvelian languages there are no arguments proving that aspective conjugation is primary, whereas the temporal conjugation is secondary (for instance, Suffix *-ōis* is used to form the permansive tense in Old Georgian and highland dialects). Thus, the base cannot be reconstructed on the level of proto language.

However, the Svan language has retained suffix *-i* in the present tense forms of the active and passive voice. This, so-called “present-imperfect” suffix (Arn. Chikobava): *a-sq-i* (he does) – *i-sq-i* (it is done), *a-šx-i* (he fries) – *i-šx-i* (it is fried) ... as well as the identical subject version of the active voice and corresponding passive forms (to be more exact, the lack of difference between the active and passive voice forms): *i-šx-i* (he is frying it for himself) / (it is being fried), *i-qn-i* (he is ploughing it for himself) / (it is being ploughed)... proves the traditional viewpoint about the nominative constructions being primary and the ergative – secondary (ergative > nominative).

Megrelian Vocabulary Related to Yard-Garden

A house and auxiliary premises are generally built on a fenced land plot, the Megrelian name of which is *oze* “yard”. The yard is usually surrounded by a fence, the Megrelian term for which is *γoberi* “fence”. Other Megrelian terms denoting fence are: *γanda*, *leboxa*, *xarxi*, *qore*, *xibili/xibiri*, *xurđi/xorgi*. A hedge is *rtqili/nortqi* in Megrelian.

Another group is formed by nouns denoting separate parts of a fence: *girgađi*, *kvendyi*, *đini*, *đaikari*, *xibađari*, *olage*, *oleše*, *đgunđgi*. Other terms related to the yard are: *điđđkari/điđskari*, *anđala/anđola...*. According to their origin, Megrelian terms related to yard and garden may be divided into common Kartvelian, Megrelian proper and borrowed lexical units. Proper Megrelian lexical unit is *rtqili*, which is the past participle of the verb *rtqvala* (interlace, interweath). Common Kartvelian lexical units are: *xorgi*, *xibili*, *qore*. Loan-words are: *γanda*, *zabori*.

Description of the vocabulary related to yard and garden helps study and preserve the ancient Megrelian lexis.

Ramaz Kurdadze

On the Etymology of the Word *mazalo*

The Explanatory Dictionary of the Georgian Language defines the word *mazalo* as follows: according to one definition, this is an outdated word, meaning tidy, pleasant; according to another definition it is a newly-coined vulgarism which means strange, whimsical.

The paper argues that the word under study consists of the root *mazal* and suffix *-o*. The root *mazal* probably originates from Hebrew *mazal* // *mazel*, meaning luck/happiness. Georgian Jews also use this word in phrases like: *đai mazalis đacia!* (he is a man of good luck!), *ra mazalis đacia?!* (What a lucky man he is!). These phrases are used to denote lucky, happy people. Similarly, *đai mazali dagđolodes!* (May you always have good luck!) is used as a blessing.

The word under study is frequent in the Hebrew phrase *mazalđov/mazalđov*. The word *đov* means good. The phrase is used as a congratulation on some happy event in someone’s life.

Manana Chachanidze, Nino Khakhiashvili, Nata Razmadze

Synonym Row in Georgian Lexicography

Synonyms are a special part of the lexical fund. Principles of compiling of a dictionary are defined by synonymous units and the form of their representation in a dictionary. The Department of Lexicology at Arn. Chikobava Institute of Linguistics is working on the new Dictionary of Synonyms in Georgian Language, based on the eight volume Explanatory Dictionary of Georgian Language. Synonym rows are defined according to the meanings outlined in the Explanatory Dictionary of Georgian Language. The paper analyses several synonym rows and represents specific details of the conducted work.

From Ketelauri to Naskvauridze or Causes Beyond Vazha-Pshavela's Lines

The paper focuses on the real cause of banishment of Aluda by the community: Aluda “disrespected the religion” by slaughtering the calf that was brought to church as a sacrifice. According to the faith of the highlanders, he was not allowed to do this, as only the priest had the right to slaughter sacrificed animals.

Aluda's actions left their trace: later the Khevsurian community abandoned the tradition of cutting the killed enemy's arm. This can be proved by a folk poem of Tushetian origin about a man called Roshkion Khevsur Naskvauridze.

Ana Kharanauli

Translation Technique and the Potentials of Language

(Conditional Sentences in the Old Georgian Translations of Leviticus – Case Study)

The formal reflection of the Greek language syntax created a special challenge for the first Georgian translators of the Bible: first of all, Georgian had still not been tempered in the transmission of complex syntactic constructions of foreign languages and, apart from this, the Biblical Greek itself created difficulties from a linguistic standpoint: this mixture of the Hebrew and Greek syntax was inconvenient to even the Greek language itself: it differed from the elegant syntactic constructions of Greek language literature, it was clumsy, obscure, and sometimes even incomprehensible. Thus, a Georgian translator of the Bible had to simultaneously wrestle with the problems of two languages – the language of translation and that of the original. He had to correctly analyze the syntactic constructions foreign to the language of the original, foresee the essence of a text wrapped up in a Hebrew-Greek dress, overcome the inexperience of his own language, and reflect the parent text with formal and semantic adequacy.

Some examined examples of Greek conditional sentences (Lev. 20:4-5, 13:18-20, 3:6) – typical through their own complexity – attest to the influence that the language of the original had on the language of translation. This influence is a result of direct imitation of the original, which appears completely thought out in the old as well as the Gelati translation. The translator resorts to such an imitation as this – a literal translation – precisely in the case of difficult grammatical constructions or idioms inconvenient to Georgian (as well as to Greek), and in the case of the ambiguity of the original: neither the old nor the Gelati translator try to change the obscurity of the original with a comprehensible content and a natural form for Georgian. Deviations from the parent text (if, of course, these deviations stem from the translator and not the scribes) are of a sporadic nature and it is doubtful whether they reflect the translator's aspiration to introduce light into the text or to create an appropriate style for “good Georgian”. Such a position of the translators – an orientation on the parent text and, accordingly, forcing the reader to make sense of the nuances of the conveyed text in a neutral way and not in an interpretive manner, forces the language to cause an approbation of a linguistic model of various types. In summary, independent from the fact whether a concrete model becomes established in the language or not, precisely this kind of “tempering” of the language, oriented towards a nuanced expression of a complex idea, brings its creative resources to life and develops its expressive means.

The Dynamics of Spreading of Turkish Loan-words in Kartvelian Anthroponyms

There are over 400 anthroponyms of Turkish origin in Kartvelian languages. They have been borrowed as a result of contacts with various tribes of Turkish origin - Huns, Khazars, Pechenegs, Kipchaks, Selchuks, Ottomans, Azerbaijani... Beginning from XII century, Anatolian Turkish names started to spread in Georgia. Anthroponyms borrowed from Azerbaijani are found in legal documents and statistical materials of XVII-XVIII centuries. Proper names of North Caucasian Turkish tribes (Karachays, Kumyks, Balkars and Nogais) are widespread in Svaneti and the highlands of Eastern Georgia. The semantic classification is limited by the definition of the meaning of the Turkic root. Turkic ethnonyms, toponyms, words describing the appearance of a person, titles, ranks, terms of social status, zoophoric and theophoric names, terms of relationship... are used as anthroponyms.

In order to form a proper name, the Kartvelian anthropoformant **-a** is added to the Turkish lexemes: *Budag-a*, *Vermish-a*. In surnames they are adapted by means of suffixes: *-švili*, *-ze*, *-ia*, *-iani*, *-uri* etc: *kučuka* < Turkish /küçük/ 'small' – *kučukašvili*, *šišmana* < /şişman/ 'fat' – *šišmanaže*, *demur* < /demür/ 'iron' – *demuria*, *gelbax* < /gel bax/ 'come and see' – *gelbaxiani*, *bučuka* < /buçuk/ 'half' – *bučukuri*, etc.

Currently these borrowings are mostly retained in surnames, as well as several first names like *Elguja*, *Temur*, *Tengiz*, *Khatuna* and, more rarely, *Aslan* and *Kaplan*.

The borrowing of proper names of Turkish origin was due to the political situation and events in Georgian history.

ბიბლიოგრაფია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსის, პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის
სამეცნიერო შრომების
ბიბლიოგრაფია¹

**სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, პოპულარული გამოცემები
(წიგნები), პერიოდიკა (შერჩევით)**

1. ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, „სახელგამი“, თბილისი, 1956;
2. სალიტერატურო ენა და მწერლობა, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1962;
3. როგორ გაჩნდა სიტყვა, „ნაკადული“, თბილისი, 1963; „ნაკადული“, თბილისი, 1978 (მე-2 გამოცემა);
4. რა გქვია შენ? „ნაკადული“, თბილისი, 1966; „ნაკადული“, თბილისი, 1971 (მე-2 გამოცემა); „განათლება“, თბილისი, 1982 (მე-3 გამოცემა); ფირმა „თეატრონი“, თბილისი, 1992 (მე-4 გამოცემა); „ლოგოს პრესი“, თბილისი, 2003 (ახალი შევსებული გამოცემა);
5. ლიტერატურული წერილები, „მერანი“, თბილისი, 1975;
6. ძველი ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, „ნაკადული“, თბილისი, 1975;
7. ქართული წიგნის მოამბე, საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამოცემა, „ნაკადული“, თბილისი, 1981;
8. მადლი დედაენისა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1982;
9. ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, „ნაკადული“, თბილისი, 1983;
10. მყოფადი ქართველურ ენებში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1986;
11. დედაენა ქართული, „ნაკადული“, თბილისი, 1987;
12. ნუ დავაგდებთ ძველსა გზასა (ადრე გამოქვეყნებული წერილების კრებული), „მერანი“, თბილისი, 1988;
13. ილია ჭავჭავაძის ენა და ტექსტის დადგენის ზოგიერთი საკითხი, „მეცნიერება“, თბილისი, 1994;
14. ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ (მესამე შევსებული გამოცემა), თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი, 2000;
15. ქართული ენა, მე-10 კლასის სახელმძღვანელო (თანაავტორი რ. გაბეჩავა), „განათლება“, თბილისი, 1997-2005;
16. ქართული ენა, მე-11 კლასის სახელმძღვანელო (თანაავტორი რ. გაბეჩავა), „განათლება“, თბილისი, 1999-2005;
17. სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი). შემდგენლები: ზურაბ ჭუმბურიძე, ლელა ნიჟარაძე, რამაზ ქურდაძე; ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, „პეტიტი“, თბილისი, 2007;
18. ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები, „წიგნიერი“, თბილისი, 2016.

ტექსტების გამოცემა

19. სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით; ტექსტი ფოტოსურათებიდან გადმოწერეს და სასტამბოდ მოამზა-

1 შეადგინა ფილოლოგიის აკადემიურმა დოქტორმა ნინო ჭუმბურიძემ

- დეს ძველი ქართული ენის კათედრის წევრებმა: ივანე იმნაიშვილმა, ლევან კიკნაძემ, მზექალა შანიძემ, ზურაბ ჭუმბურიძემ და ლელი ბარამიძემ, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1959;
20. ზუვიე, „იზა“, რომანი, თარგმანი ილია ჭავჭავაძისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჭუმბურიძემ, „სახელგამი“, თბილისი, 1959;
 21. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I (ლექსები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჭუმბურიძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961;
 22. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II (ლექსები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჭუმბურიძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964;
 23. ვასილ ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთეს ზურაბ ჭუმბურიძემ და ლევან ჭრელაშვილმა, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1965;
 24. ქართული ანდაზები, შესავალი ნერილი და რედაქცია ზურაბ ჭუმბურიძისა, შემდგენელი ა. კანდელაკი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1965;
 25. იოსებ მჭედლიშვილი, ოიანა-ბუიანა, წინასიტყვაობა და რედაქცია ზურაბ ჭუმბურიძისა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966;
 26. სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს აკაკი შანიძემ, მაქსიმე ქალდანმა და ზურაბ ჭუმბურიძემ, აკაკი შანიძისა და მაქსიმე ქალდანის რედაქციით, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1978;
 27. ქართული ანდაზების კრებული, შემდგენელი ივანე ხორნაული, წინასიტყვაობა და რედაქცია ზურაბ ჭუმბურიძისა, „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1984;
 28. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ლექსიკონი, „უნივერსიტეტი სკოლას“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1986;
 29. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, რედაქტორი ზ. ჭუმბურიძე, გამომცემლობა თბილისი, 1987;
 30. გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაიშვილის რედაქციით, „მეცნიერება“, თბილისი, 1993;
 31. უდაბნოს მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ლელი ბარამიძემ, კორნელი დანელიამ, რუბენ ენუქაშვილმა, ივანე იმნაიშვილმა, ლევან კიკნაძემ, მზექალა შანიძემ და ზურაბ ჭუმბურიძემ; აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 28, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1994;
 32. იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, „ჯალი“, თბილისი, 1999;
 33. გიორგი ლეონიძე, მივიწყებული ლექსები (1911-1923), შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი ზურაბ ჭუმბურიძე, თბილისი, 2003;
 34. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, „არტანუჯი“, თბილისი, 2005;
 35. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები (ფოტოტიპური გამოცემა), „არტანუჯი“, თბილისი, 2005;
 36. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, II - ლექსები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჭუმბურიძემ, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2006;
 37. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, რედაქტორები გიორგი აბაშიძე, ანდრო ბედუკაძე, როსტომ ჩხეიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, „ილიას ფონდი“, თბილისი, 2007 - 2015;

38. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, „საქართველოს მაცნე“, თბ., ტ. III, IV - პოემები, 2010, ტ. V, VI - მოთხრობები, 2013, ტომების რედაქტორი ზურაბ ჭუმბურიძე;
39. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები (ტექსტები შეკრიბეს და დასაბეჭდად მოამზადეს ზურაბ ჭუმბურიძემ, იური ჩიქოვანმა და ანზორ სიჭინავამ, ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, „არტანუჯი“, თბილისი, 2013;
40. ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი; ქართველური ნაწილის რედაქტორი ზურაბ ჭუმბურიძე, „პეტიტი“, თბილისი, 2015.

ლექსიკონები

41. ნიკო ლომოურის საბავშვო მოთხრობების ლექსიკონი (ერთვის ნიკო ლომოურის თხზულებათა ერთტომეულს; გამოცემის სერია „საყმაწვილო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“), „ნაკადული“, თბილისი, 1971;
42. „სიბრძნე სიცრუისა“ ლექსიკონი (ერთვის გამოცემას: სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, გამოცემის სერია „უნივერსიტეტი სკოლას“), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1986;
43. სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ლექსიკონი (ერთვის „ქართული მწერლობის“ მე-7 ტომს), „ნაკადული“, თბილისი, 1989;
44. უდაბნოს მრავალთავის ლექსიკონი (ერთვის ტექსტის გამოცემას, იხ. 31).

თარგმანი

45. იან ბრაუნი, ბასკოლოგიის შესავალი; რუსული ენიდან თარგმნა ზურაბ ჭუმბურიძემ, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1984.

საენათმეცნიერო ნაშრომები

46. მევენახეობის ტერმინოლოგია ქვედა სიმონეთში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი III, თბილისი, 1948;
47. მასალები პურეულის ლექსიკონისათვის ქვემო იმერეთში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი V, თბილისი, 1950;
48. სალიტერატურო ენა და პერსონაჟთა მეტყველება, ჟურნ. „მნათობი“, 5, თბილისი, 1951;
49. მაქსიმ გორკი და სალიტერატურო ენის საკითხები, აღმან. „პირველი სხივი“, III, თბილისი, 1952;
50. Основные фонетические особенности лентехского диалекта сванского языка (Автореферат кандидатской диссертации), ТГУ, Тбилиси, 1953;
51. სალიტერატურო ენის ზოგიერთი საკითხი ი. სტალინის ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური საკითხები სსრ კავშირში“, „მნათობი“, 3, თბილისი, 1953. შემოკლებით იხ. გაზ. ახალგაზრდა სტალინელი, 23 დეკემბერი, თბ., 1952;
52. მცირე შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის გასწორების გამო, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 13, 2, თბ., 1954;
53. ენობრივი კოლორიტი ისტორიულ რომანში, „ლიტერატურული გაზეთი“, 4, 11, თბილისი, 1955;
54. სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის, ჟურნ. „მნათობი“, 12, 1954; 1, 1956;
55. „არსენა მარაბდელის“ ენა და სტილი, „ლიტერატურული გაზეთი“, 13, 1, თბილისი, 1956;

56. მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილისათვის ქართველურ ენებსა და აფხაზურში (ტოპონიმიკურ სახელთა მიხედვით), კრებული „სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, 1, თბილისი, 1956;
57. ქართული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში, ჟურნ. „მნათობი“, 2, 1957, ჟურნ. „ცისკარი“ 2, 1959 (თ. კოპლატაძის თანაავტორობით);
58. მოთხრობითი ბრუნვა „ვეფხისტყაოსანში“, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, XVIII, 5, თბილისი, 1957;
59. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც საბას ლექსიკონის წყარო, „სულხან-საბა ორბელიანი“, საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1959;
60. უმლაუტი ლენტეხურ კილოში, თსუ შრომები, ტ. 93, თბილისი, 1960;
61. პრესის ენის სრულყოფისათვის, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 7, თბილისი, 1960 (თ. კოპლატაძის თანაავტორობით);
62. ფიქრები საბავშვო ლიტერატურის ენაზე, ჟურნ. „მნათობი“, 6, თბილისი, 1964;
63. ომონიშია და მხატვრული თარგმანის საკითხები, ჟურნ. „ცისკარი“, 3, თბილისი, 1964;
64. საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, IX, თბილისი, 1964;
65. ასპექტისა და მოქმედების სახის ურთიერთმიმართებისათვის ქართულში, „ორიონი“ მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თსუ საიუბილეო კრებული, თბილისი, 1967;
66. მყოფადის წარმოება ქართულში, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის განც.), 6, თბილისი, 1967;
67. მყოფადის წარმოების ისტორიისათვის ქართულში, „საიუბილეო“, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 11, თბილისი, 1968;
68. Будущее время в картвельских языках (Автореферат докторской диссертации), ТГУ, Тбилиси, 1968;
69. ტოპონიმიკური ძიებანი, ბახმარო, „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს“, საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1969;
70. უარყოფითი ნაწილაკები სვანურში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 2, თბილისი, 1970;
71. მყოფადუსრული სვანურში, თსუ შრომები, 3 (142), თბილისი, 1972;
72. ერთი ტოპონიმის შესახებ (ლანჩხუთი), ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 2, თბილისი, 1974;
73. უღლების სისტემისათვის სვანურში, თსუ შრომები, 6-7, 151-152, თბილისი, 1974;
74. ვინ არის და ვინაა (დედაენის სინმინდისათვის), გაზ. „თბილისი“, 30 XII, 1974 (ი. იმნაიშვილის თანაავტორობით);
75. ტოპონიმიკური ძიებანი, სუჯუნა, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1, თბილისი, 1975;
76. ილია და ქართული ენა, ჟურნ. „მნათობი“, 6, თბილისი, 1975 (თ. კოპლატაძის თანაავტორობით);
77. ტოპონიმიკური ძიებანი, აბისი და ბებნისი, „ენათმეცნიერება“, თსუ, შრომები, ტ. 164, თბილისი, 1975;
78. სახელთა ბრუნება ძველ ქართულში და მისი სწავლება საშუალო სკოლაში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 2, თბილისი, 1976 (ი. იმნაიშვილის თანაავტორობით);
79. ტოპონიმიკური ძიებანი, ჭიშურა, „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, კრებული მიძღვნილი აკად. ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისი, 1976;

80. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბილისი, 1976;
81. მადლი „დედაენისა“, ჟურნ. „მნათობი“, 11, თბილისი, 1976;
82. Die Struktur der georgischen Vornamen, „Georgica“, Heft 1, Jena-Tbilisi, 1977;
83. კნინობითი სახელები სვანურში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 20, თბილისი, 1977;
84. ზმნა ძველ ქართულში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 3, 4, თბილისი, 1977; 1, 4, თბილისი, 1978 (ი. იმნაიშვილის თანაავტორობით);
85. დიდი ქართველი ლინგვისტი, ჟურნ. „მნათობი“, 8, თბილისი, 1978;
86. პასუხობს და უპასუხებს?, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 2, თბილისი, 1979;
87. ქონებისა და უქონლობის სახელები სვანურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბილისი, 1980;
88. გაჭიანურებული დისკუსია, ალმან. „განთიადი“, 2, ქუთაისი, 1981 (ი. იმნაიშვილის თანაავტორობით);
89. ნასახელარი ზმნები სვანურში, „აკაკი შანიძეს“, საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1981;
90. ნუ დავაგდებთ ძველსა გზასა!.. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 18, VI, 1982;
91. ერთი ქართული სიტყვის მართლწერის შესახებ, ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1, თბილისი, 1983;
92. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის, კრებული „ქართული ენა“, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 25, თბილისი, 1984;
93. მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმის ისტორიისათვის, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 25, თბილისი, 1984;
94. ტკბილი იოსები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 7, XI, თბილისი, 1985;
95. Die Namen der Eiche in georgischen Toponimes, `Georgika~, Heft 8, Jena-Tbilisi, 1985;
96. ეს სიტყვები შემოიტანა ილიამ, გაზ. „შრომა“ 1-2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10, თბილისი, 1987;
97. გრძელი ხმოვნების საკითხისათვის ქართველურ ენებში, კრებული „აკაკი შანიძე-100“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1987;
98. ტოპონიმიკური ძიებანი: კრობანი, თსუ კრებული „ონომასტიკა“, I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987;
99. „ნუვინ გაჰრევთ ერთმანეთსა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 26, II, თბილისი, 1988;
100. შოთა ძიძიგური (სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა), ერთვის წიგნს: შოთა ძიძიგური, ბიბლიოგრაფია, „მეცნიერება“, თბილისი, 1988;
101. ნელინადის დროთა სახელდებისათვის ქართველურ ენებში, „პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1988;
102. ტოპონიმიკური ძიებანი: მექვენა, ჩხორია, ერ სუფიქსი ქართულ ტოპონიმიაში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 27, თბილისი, 1988;
103. სვანური ზექ („შეშა“), „ეტიმოლოგიური ძიებანი“, თბილისი, 1989;
104. Грузинское письмо, Лингвистический Энциклопедический словарь, Москва, 1990;
105. Die swanische Sprache, „Georgika“, Heft 13/14, Jena-Tbilisi, 1990/1991;
106. ტოპონიმიკური ძიებანი: მესტია და ლენტეხი, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, I, ქუთაისი, 1994;
107. „ბუნებითი იარაღი გონებისა“ (ენა და მისი საზოგადოებრივი ფუნქცია), გაზ. „თბილისი“, 19. VII, 1994;

108. ქართული გვარები, „საგვარეულო წიგნი“, თბილისი, 1995;
109. აფხაზეთის რუკასთან, „ჯვარი ვაზისა“, 1, თბილისი, 1995;
110. ქართული გვარსახელების სტრუქტურული მოდელები და მათი ქრონოლოგია, „გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი“, 2, ქუთაისი, 1996;
111. სვანური მახუში („უფროსი“), „ეტიმოლოგიური ძიებანი“, VI, თბილისი, 1997;
112. იოანე-ბერა, აღმანახი „მნიგნობარი“, თბილისი, 1997;
113. ერთი ოჯახის ქრონიკა, მასალები გელოვანთა გვარის ისტორიისათვის), „ქართველური ონომასტიკა“, I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998;
114. თემის ნიშნების საკითხისათვის სვანურში, არნ. ჩიქობავა – 100, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1998;
115. ადიშის ოთხთავი ათას ასი წლისაა, ჟურნალი „სიტყვა“, 1, თბილისი, 1998;
116. ივირონის ჩამქრალ ვარსკვლავთა შუქი, აღმანახი „მნიგნობარი“, თბილისი, 1998;
117. ეთნონიმური გვარები ქართულში, ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისური საუბრები, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998;
118. საგვარმეტო, „შრომათა კრებული“, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, გორი, 1999;
119. სიმინდის კულტურა კავკასიაში (ენობრივი მასალების მიხედვით), ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999;
120. ქართველ ებრაელთა გვარების სტრუქტურა, კრებული „საქართველო – ისრაელი 2600“, თბილისი, 1999;
121. ქართული სული და შური, III საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თსუ გამომცემლობა, 1999;
122. ო და უ ხმოვანფუძიანი სახელები სვანურში, ვ. თოფურია – 100, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2001;
123. ნეკრესის წარწერების გამო, აღმანახი „მნიგნობარი“, 1, თბილისი, 2001;
124. ქართული გვარების რუსულად ადაპტირებულ ფორმათა ისტორიისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, XXII, თბილისი, 2001;
125. პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა სტრუქტურისათვის ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, 4 (16), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2002;
126. „მრევლის“ ეტიმოლოგიისათვის, შოთა ძიძიგური – 90, თსუ, თბილისი, 2002;
127. სახელობითი ბრუნვა ქართველურ ენებში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 29, თბილისი, 2002;
128. ებრაული ლექსიკა ქართულ გვარებში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2, ქუთაისი, 2002;
129. ბარქაში, „ოჩხარი“ (კრებული, მიძღვნილი პროფ. ფ. რუხაძისადმი), 2002;
130. ალუდას ეტიმოლოგიისათვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 8, ქუთაისი, 2003;
131. „დამაში“ თუ „დამქაში“? „ლიტერატურული ძიებანი“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, XXIV, 2003;
132. ერთი წიგნის თავგადასავალი, აღმანახი „მნიგნობარი-04“, თბილისი, 2004;
133. არჩილისეული „ვისრამიანის“ პროლოგი და ეპილოგი, „ლიტერატურა და სხვა“, აღმანახი, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, 2004;
134. სვანური ტუფ („ტყავი“) და ტეფ („კანი“, „ქერქი“), თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 31, 2004;
135. ნატყუარია თუ არა აბჟანდაძეთა სასისხლო სიგელი; „შოთა მესხია – 90“, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკად. შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, „ნეკერი“ თბილისი, 2006;

136. „ქართული ტექსტოლოგია“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კრებული, რედაქტორები ზ. ჭუმბურიძე, რ. კუსრაშვილი, შესავალი წერილი ზურაბ ჭუმბურიძისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2006;
137. „ყველას მაგივრად თქვენ რატომ მპასუხობთ?“, ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი, 2007;
138. სვანური ანდაზების შესწავლისათვის, სამეცნიერო კრებული „სვანეთი, III“; „არტანუჯი“, თბილისი, 2008;
139. ტბა და მისგან წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები ქართულში, საერთაშორისო კონფერენცია „ტბელობა“, (მასალები), 2008;
140. სამეგრელოს თავად-აზნაურთა ოჯახების აღწერის უცნობი მასალები (პროფ. იური ჩიქოვანის თანაავტორობით), საიუბილეო კრებული „გურამ კარტოზია – 75“, სერია „ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 11, „სეზანი“, თბილისი, 2009;
141. ფურცლები სამეგრელოს სამთავროს თავად-აზნაურთა ოჯახების აღწერის ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის მე-8 საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მასალები, 2010;
142. ებრაული ლექსიკის კვალი ქართულ ტოპონიმიაში: „ქართველური ონომასტიკა“, IV, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2010;
143. რუსთაველის ფრესკა ქვაბისხევში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, I, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2014;
144. სამეგრელოს თავად-აზნაურთა აღწერის მასალები (1853), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „აკაკი წერეთელი და მისი ეპოქა“, მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესადმი, მასალები, თბილისი, 2015;
145. სინტაქსური ტმესი ქართული პოეზიის ენაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, II, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 2016;
146. სიტყვა *იუბილე* ქართულში, აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და თეზისები, 27-28 თებერვალი, 2017 წელი, გვ. 34-35; იხ. ბმული: <https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/news/aQq678-2F2iGuiaco/?p=1>.

შობიანაძე



დედასთან - ვერა ტყავაძესთან და ძმებთან - თემურსა და მერაბთან ერთად



„პირველსხიველები“, მარცხნიდან: არჩილ სულაკაური, კლარა რამიშვილი, თამაზ ჩხენკელი, გოგი ჩიქობავა, ქართლოს კასრაძე, მაგალი თოდუა, მირიან მირნელი (ციკოლია), ედიშერ ყიფიანი, ზურაბ ჭუმბურიძე, შოთა ლომსაძე



მაგალი თოდუასთან ერთად



ჯანსუღ ჩარკვიანთან ერთად



ნოდარ ანდლულაძესთან,
ლილი გოგობიასთან და
კოტე ჭრელაშვილთან
ერთად



გელა გაბუნიასთან, კოტე ჭრელაშვილთან, ცოტნე კიკვიძესა და
თამაზ ჭილაძესთან ერთად



ლეილა სულხანიშვილთან, თამაზ ჩხენკელთან, მარლენ კიტიასა და
კარლო ქილარჯიანთან ერთად



იან ბრაუნთან, ნოდარ ანდლულაძესთან, ალექსანდრე ფოცხიშვილთან და გივი მაჭავარიანთან ერთად



გივი ძნელაძესთან,
შოთა ნიშნიანიძესთან,
ანა ხახუტაშვილთან ერთად



რეზო ინანიშვილი და
ზურაბ ჭუმბურიძე



ნოდარ დუმბაძესა და არჩილ სულაკაურთან ერთად



ნოდარ დუმბაძესთან, ლეილა სულხანიშვილთან, თამაზ ჩხენკელთან ერთად



ძველი ქართული ენის კათედრა
დგანან: თეიმურაზ მეტრეველი, რუბენ ენუქაშვილი, ლელი ბარამიძე,
კორნელი დანელია
სხედან: ლეო კიკნაძე, ივანე იმნაიშვილი, აკაკი შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე



ცისანა თოდუასთან,
მეუღლესთან –
ელენე ნიკოლაიშვილთან
და გურამ კარტოზიასთან
ერთად
საირმე, 1988 წელი



იან ბრაუნი, მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე



ზურაბ ჭუმბურიძე, აკაკი შანიძე, მზექალა შანიძე



ზურაბ ჭუმბურიძე, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბარამიძე



თეიმურაზ ხუროძესთან აკაკი შანიძესთან, ბესიკ ჯორბენაძესთან, რუბენ
ენუქაშვილთან ერთად



ზურაბ ჭუმბურიძე ტაო-კლარჯეთში, 2008 წელი



ალექსანდრე ონიანთან, ცირა ბარბაქაძესთან, ლეო კვაჭაძესთან ერთად



იან ბრაუნთან ერთად



ზურაბ ჭუმბურიძე
თბილისი, 2013 წელი




მეულლესთან და მეგობრებთან – მინდია სალუქვაძესთან,
თინა მურვანიძესა და ნათელა ხუციშვილთან ერთად
26 მაისი, 1986 წელი



მცხეთაში მეულლესთან და შვილიშვილებთან - გიორგისა და
ზურაბთან ერთად



შვილიშვილთან – ნუცასთან ერთად



შვილიშვილთან – ელენესთან ერთად



ძმის შვილიშვილთან –
კახა ჭუმბურიძესთან ერთად



გელათის აკადემიის წევრები

სხედან: მაგალი თოდუა, მარიამ ცაცანაშვილი, ალექსი ჭინჭარაული;
 დგანან: ზურაბ ჭუმბურიძე, ედიშერ ჭელიძე, ავთანდილ ნიკოლაიშვილი,
 ზაზა სხირტლაძე, თედო უთურგაიძე, მიხეილ ქურდიანი, იულონ გაგოშიძე



იან ბრაუნი და ზურაბ ჭუმბურიძე



ნმინდა გიორგის ოქროს ორდენით
 დაჯილდოება, 13.12.2012 წელი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საპატიო სიგელით
დაჯილდოებაზე, 2017 წელი



ქალიშვილთან – ნინოსთან ერთად
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 2017 წელი



2017 წელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში
ზურაბ ჭუმბურიძე, თამარ ჭუმბურიძე, ოლივერ რაისნერი, ანა ხარანაული,
რუსუდან ზეკალაშვილი



მზექალა შანიძე და ზურაბ ჭუმბურიძე
2017 წელი


ზურაბ ჭუმბურიძის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტში, 9 ივნისი, 2016 წელი



მზექალა შანიძე და ზურაბ ჭუმბურიძე



დამანა მელიქიშვილთან ერთად



მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, დამანა მელიქიშვილი



ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე, მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე



მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, დეკანოზი კონსტანტინე (გიორგაძე)



დარეჯან თვალთვაძე, მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე



ზურაბ ჭუმბურიძე და თამაზ გამყრელიძე



ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე, მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე




რამაზ ქურდაძე, ნანა გაფრინდაშვილი, დარეჯან თვალთვაძე, მზექალა შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ავთანდილ არაბული



წინა რიგში: გიორგი ცოცანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, თედო უთურგაიძე
უკანა რიგში: ნიკოლოზ ოთინაშვილი, იგორ კეკელია, როზეტა გუჯეჯიანი



სხდომათა დარბაზი



ზურაბ ჭუმბურიძე და
იასუჰირო კოჯიმა



ზურაბ ჭუმბურიძე სტუდენტთან –
გიორგი ჯღარკავასთან ერთად

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნანა კაჭაბავა
ნათია დვალი
თინათინ ჩირინაშვილი
მარიამ ებრალიძე

Released with the participation of:

Nana Katchabava
Natia Dvali
Tinatin Chirinashvili
Mariam Ebralidze

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995 (32) 225 14 32

www.press.tsu.edu.ge